1984

ცისკარი

1984

2



ISSN 0132—0548

ამიდეო მოდილიანი. ამიზანი

სუნჯი

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეგია

2
(59)
მარტი
აპრილი
1984

შინაარსი

პოეზია და პროზა

ჯონ სტაინბეკი. ამბავი თაგვთა და კაცთა. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ვიკა გეგეჭკორმა 3
ფეოდორ დოსტოევსკი. უგვანო ანეკდოტი. მოთხრობა. თარგმნა რუსულიდან ქებულაძემ 71
საქართველო გერმანულენოვან კოლეტთა შემოქმედებაში. გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ ყანნიაშვილმა 112
ხულიო კორტასარი. მოთხრობები. თარგმნა მედეა ზუბალაშვილმა 125
გი დე მოპასანი. მოთხრობები. ფრანგულიდან თარგმნეს ია ნაცვლიშვილმა და გიორგი ეკიზაშვილმა 153
ვიზმა ბელშევიცა. ლექსები. ლატვიურიდან თარგმნა რენე კალანდიამ 200
გეორგ გიუნერი. ლენცი. მოთხრობა. გერმანულიდან თარგმნა მარინა ბარამიძემ 203
ვლადიმერ ზორორი. მოთხრობები. თარგმნა გია პაპუაშვილმა 223
ფირდოუსი. ძეი-ყაუსი. დასასრული. სპარსულიდან თარგმნა ბელა შალვაშვილმა 258
თადეუშ რუჟევიჩი. ლექსები. პოლონურიდან თარგმნა მიხეილ ქვლივიძემ 268
შარლ ბოდლერი. ლექსები პროზად. ფრანგულიდან თარგმნა ზვიად გამსახურდიამ 270

წერილები

თენგიზ კეშელავა. სპარსული პროზის ფუძემდებელი 286
ვიტალი ვილენკინი. ამიერიო მოდილიანი. დასაწყისი. თარგმნა ლარისა ტიტვინიძემ 294

მთავარი რედაქტორი:
მუხრან მაჭავარიანი
პ. მგ. მდივანი:
ნანა დარჩია
სარედაქციო კოლეგია:
ელზა ახვლედიანი
ჯემალ აჯიაშვილი
გიორგი გაქანიძე
მზია გაქრაძე
გაჩანა გრიგვაძე
ვერამ გოგიაშვილი
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახუშტი კოტეტიშვილი
როგან მიმინოშვილი
გიორგი ნიშნიანიძე
ოთარ ნოდია
დალი ფანჯიკიძე
რუსუდან ძებულაძე
იორამ ძეგერტელიძე
ნიკო ყიასაშვილი
გივი ძნელაძე
დავით წერედიანი
ნუგზარ წერეთელი
თამაზ წივწივაძე
რეზო ჭეიშვილი

«САУНДЖЕ»

ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

№ 2.
1984

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეკანის პირველ გვერდზე: **ამედეო მოდილიანი.** ამორძალი. მეოთხეზე — ანა ეგიუტერნის პორტრეტი

მხატვრული რედაქტორი **ან. თოდრია.** მხატვარი **ა. ვართაგავა.** ტექრედაქტორი **რ. იმნაიშვილი.**
გამომშვები **ნანა ბერთაია**

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დიღომის ქ. № 2
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

გად. წარმ. 26. XII. 83 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 5. IV. 84 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/32
სააღრ. თ. 24,3. სასტ. თ. 28. სღებავის გატ. 28,7. ტირ. 10.000. შეკვ. № 2964.
ფასი 1 მან. 60 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14.

ჯონ სტაინბეკი

ამგავი თაგვთა და კაცთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

17769

მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა ვეკა გეგეჭკორმა

1

ოლედადიდან ოთხი მილის დაშორებით მდინარე სალინასი სულ ახლოს გასდევს მთების ძირს და, ვიდრე პატარა ყურეს შეურთდებოდეს, ერთხანს მიედინება ასე. ღრმა, მწვანე და თბილია წყალი. ვინემ აქამდე მოაღწევდა, ლივლივ-ლივლივით გადმოიარა მზით გავარვარებული ყვითელი ქვიშნარი. მაღლა-მაღლა მიიწევს მდინარის „გალმა ოქროსფერი ფერდობები ზვიად და კლდოვან გაბილენის მთებისკენ. გამოღმა, დაბლობ ნაპირზე კი ხეები ჩამწკრივებულა — ყოველ გაზაფხულზე მწვანედ მოხასხასე მტირალა ტირიფების ქვედა ფოთლებს ჯერაც შერჩენიათ თოვლწყაპისა და წყალდიდობის ნაკვალევი, თეთრად ტანაჭრელებული ნეკერჩხლების დაშვებული შტოები და ტოტები თალად გადახურვია ყურეს. ხეთა ძირში ხმელი ფოთლები სქელ საბნად დაჰფენია ქვიშიან ნაპირს, ასეთ საფარში ხვლიკის გასრიალებაც კი ერთ შარიშურს ატეხს ხოლმე. საღამოობით კურდღლები მოცუნცულებენ ბუჩქნარიდან ქვიშაზე დასასკუპებლად. ანცი ენოტები ქსელავენ ნესტიან ვაკეს. რანჩოდან სასეირნოდ გამოსული ძაღლების ნათათურებით თუ წყურვილის დასაკებლად სიბნელეში მოსული ირმების წაწვეტებული, ორად გაყოფილი ჩლიქების ანაბეჭდებითაა დასერილი ქვიშა.

ტირიფებსა და ნეკერჩხლებს შორის ბილიკია გაჭრილი, რომელიც ღრმა ყურეში რანჩოდან საბანაოდ გამოქცეულ ბიჭებსა და გზატკეცილიდან აქ, წყლისპირას ღამის გასათევად შემოხიზნულ მაწანწალებს საგულდაგულოდ დაუტკეპნიათ. ერთი ვეებერთელა ნეკერჩხლის განზე გაშვერილი ქვედა ტოტის ქვეშ მრავალგზის ანთებული კოცონის ნაშთად ჰყრია ნაცარი; ტოტი კი, ზედ რომ მჯდარა, იმ აუარება ხალხს მთლად გაუსიპია.

დახუთულ დღეს გრილი საღამო მოჰყვა და ნიავმა ოდნავ ააშრიალა ფოთლები. ჩრდილები მთის ძირებიდან ნელ-ნელა მიიპარებოდნენ მწვერვალებისკენ; ქვიშიან ნაპირზე კურდღლები პატარა რუხი ქვის ჭანდაკებებივით დასკუპულიყვნენ; უცებ გზატკეცილის მხარეს ნეკერჩხლის ჩამოცვენილი ფოთლები

კ. მარქსის სახ. საქ. სახ. ... ბიბლიოთეკა

აშრიალდა, ეტყობა, ვიღაც მოდიოდა; კურდღლებმა სწრაფად უშველეს თავს. ღითქოს ოჩოფეხებზე შემდგარი ყანჩა მძიმედ, ზანტად აფრინდა და ფრთების ტყლაშატყლუშით დაუყვა მდინარეს. წუთით თითქოს სიცოცხლე ჩაკვდაო ირგვლივ, მერე ბილიკზე ორი კაცი გამოჩნდა და მწვანე ყურესთან გაშლილ ადგილს მიაშურეს.

ერთი წინ მიდიოდა, მეორე უკან. მდელოზე რომ გამოვიდნენ, აქაც ასევე განაგრძეს გზა. ორივეს ჯინსის შარვლები და ჯინსისავე თითბრისფერებიანი ქურთუკები ეცვათ, შავი, დაჭმუჭნული ქუდები ეხურათ, მუთაქასავით დახვეული საბნები გადაეკიდათ მხარზე. პირველი — შავგვრემანი — ტანმორჩილი იყო და მკვირცხლი; როგორც მოუსვენარი თვალები და გამოკვეთილი ნაკვთები, ასევე მეტყველი ჰქონდა ყველაფერი: პატარა, ღონიერი ხელები, ვიწრო მხრები, თხელი, კეხიანი ცხვირი. მეორე კი სრულიად განსხვავდებოდა: ვეებერთელა კაცი იყო, ფართო, ბრტყელი სახე, დიდრონი, უსიცოცხლო თვალები და განიერი, მოხრილი მხრები ჰქონდა. მძიმედ, ფეხათრევით მიდიოდა, დათვი რომ დაბაჯბაჯებს ხოლმე, ისე. სიარულისას მკლავები მოშვებულად, გაუნძრევლად ეკიდა.

პირველი მინდორზე ისე უცებ შეჩერდა, მეორე კინაღამ ზედ შეასკდა. პირველმა ქუდი მოიხადა, ტყავის ქობას სალოკი თითი დაუსვა და ოფლი ხელით დაიქნია. მისმა ზორბა თანამგზავრმა საბანი ძირს დააგდო, დაიხარა და მწვანე წყალს დაეწაფა. დიდი ყლუპებით სვამდა, ცხენივით ფრუტუნებდა. ტანმორჩილი შეშფოთებით გაიწია მისკენ.

— ლენი! — მკაცრად მიაძახა ტანმორჩილმა. — ლენი, თუ ღმერთი გწამს, ნუ ყლურწავ ამდენს.

ლენის ფრუტუნი არ შეუწყვეტია. მაშინ ტანმორჩილი დაიხარა, მხარზე წაავლო ხელი და შეანჯღრია.

— ლენი, აი, ნახავ, თუ გუშინდელივით არ გაწყინოს!

ლენიმ მთლიანად, ქუდიანად ჩაყო წყალში თავი, მერე წამოჯდა; წყალი ქუდიდან ლურჯ ქურთუკზე ჩამოწურწურებდა და ზურგზე ჩადიოდა.

— ძლივს არ მოვითქვი სული! — თქვა მან. — შენც დალიე რა, ჯორჯ, ერთი ბლომად ყლუპე რაღა! — და ნეტარი ღიმილი აუთამაშდა სახეზე.

ჯორჯმა ფუთა მოიხსნა და ფრთხილად დადო ძირს.

— კაი წყალი არ უნდა იყოს, — თქვა მან. — ისეთი ქაფი აქვს მოგდებული, დამყაყებულსა ჰგავს.

ლენიმ თავისი ვეება ტორი წყალში ჩაატყაპუნა, თითები აათამაშა და წყალი ააშხეფა; წრეები ლივლივით ჯერ მეორე ნაპირისკენ წავიდნენ და ისევ უკან დაბრუნდნენ. ლენი ამ ლივლივმა გაიტაცა.

— შეხე, ჯორჯ, რა ვქენი, შეხე!

ჯორჯმა ნაპირთან ჩაიჩოქა და ჩქარ-ჩქარა, პეშვებით დაიწყო ხვრეპა.

— გემრიელი წყალი კია, — აღიარა მან. — ოღონდ გამდინარე წყალს ნაღდად არა ჰგავს; იცოდე, წყალი თუ გამდინარე არაა, არ დალიო, ლენი, — ამოიოხრა მან. — თუმცა შენ თუ წყალი მოგინდა, რა დაგაკავებს, წუმპედანაც დალევ.

ჯორჯმა ერთი პეშვი წყალი პირზე შეისხა, ხელი ჯერ სახეზე, ნიკაპზე ჩამოისვა და მერე უკან, კისერზე. შემდეგ ქუდი ისევ დაიხურა, წყალს მოშორდა, დაჯდა და მუხლებზე ხელები შემოიჭდო; ლენი თვალს არ აშორებდა, ცდი-

ლობდა ზუსტად მიეგბაძა ჯორჯისთვის. ისიც ნაპირს მოშორდა, დაჯდა და მუხლებზე ხელები შემოიჭდო; თან ჯორჯს უყურებდა, ხომ არაფერი გამომრჩაო. ბუდი ზედ თვალებზე ჩამოიფხატა, ჯორჯსაც ასე აქვსო.

ჯორჯი კუშტად ჩააშტერდა მდინარეს. მცხუნვარე მზისგან თვალები დაწითლებოდა.

— თავისუფლად შეგვეძლო რანჩომდეც მივსულიყავით, — თქვა ბრაზმორეულმა. — ავტობუსის შოფერს, იმ ნაბიჭვარს, რომ არ გავებითურებინეთ! აგერ გზას გადახვალთ და აქვე არისო, ასე გვითხრა, გესმის, კაცო, აქვე არისო. ეშმაკმაც დალახვროს, კაი ოთხი მილი კი გამოვიარეთ! მოეპრიანა და არ მიგვიყვანა რანჩომდე, ეგ იყო და ეგ! გაჩერება დაეზარა და მორჩა, ეშმაკსაც წაუღია! სოლედადში მაინც რომ გაგვიჩერა, არ გიკვირს? იქაც ეზარებოდა, ჩამოგვყარა ავტობუსიდან და გვითხრა, გზას გადახვალთ და იქვეაო. ნიძლავსა ვარ, ოთხ მილზე მეტი გამოვიარეთ. აბადა, რა ჯოჯოხეთურად ცხელია დღეს!

ლენიმ გაუბედავად გახედა ჯორჯს.

— ჯორჯ!

— რა გინდა?

— სად მივდივართ, ჯორჯ?

ჯორჯმა ქუდს წაავლო ხელი და მთლად ჩამოიფხატა. ერთი მაგრად შეუბღვირა ლენის:

— რა, ასე უცებ დაგავიწყდა ყველაფერი, რა ღმერთი გაგიწყრა, შე ლენჩო, შენა!

— დამავიწყდა, — ჩუმად უპასუხა ლენიმ. — ვცდილობდი დამემახსოვრებინა, ღმერთია მოწმე, რომ ვცდილობდი, ჯორჯ!

— კარგი, კარგი, კიდევ მოგიყვები, რა გაეწყობა. რამდენიც უნდა გეჩიჩინო, მაინც გავიწყდება. მერე ადექი, ჯორჯ, და, თუ ბიჭი ხარ, ისევ მოუყევი, მერე ისევ დაგავიწყდება და ასე გაუთავებლივ.

— ხომ ვეცადე, ჯორჯ, ხომ ვეცადე, — უპასუხა ლენიმ, — მაგრამ რომ არაფერი გამომივიდა? აი, კურდღლებზე რაც თქვი, ის კარგად მახსოვს.

— ჯანდაბას შენი კურდღლები! მაგათ მეტი ხომ არაფერი გახსოვს. ეგრე იყოს! ახლა კი მომისმინე, იცოდე, ყველაფერი უნდა დაიმახსოვრო, მერე დავიდარაბას რომ არ გადავეყაროთ, გაიგე? გახსოვს იმ დამპალ ადგილას, ჰოუარდ სტრიტზე რომ ვისხედით და შავ დაფას ვუყურებდით?

ლენის სახე გაებადრა:

— როგორ არა, ჯორჯ, მახსოვს... მაგრამ... მერედა, რა ვქენით იქ? მახსოვს, ვიღაც გოგოები მოვიდნენ და შენ თქვი... შენ თქვი, ისაო...

— ნეტა რას აგიჩემებია, შენ თქვი, შენ თქვიო. მარეი და რედისთან რომ მივედით კანტორაში, ის თუ გახსოვს? მერე იმათ სამუშაო წიგნაკები და ავტობუსის ბილეთები რომ მოგვცეს?

— როგორ არა, ჯორჯ, გამახსენდა, — თქვა ლენიმ და ხელები სწრაფად ჩააცურა ქურთუკის ჯიბეებში. მერე ხმადაბლა თქვა: — ჯორჯ, ჩემი რომ არა შაქვს, სადმე დამეკარგა ალბათ, — და სასოწარკვეთილმა თავი დახარა.

— ვაი შე გამოჩერჩეტებულო, შენა. ორივე მე მქონდა, შენ ხომ არ ჩაგაბარებდი? რა კაი იქნებოდა, ამისთანა რეგვენისთვის მიმებარებინა!

— მე... მე მეგონა, ჯიბეში ჩავიდე, — ლენიმ შვებით ამოისუნთქა და ხელი ისევ ჯიბისკენ გააცურა.

ჯორჯმა მკაცრად შეხედა:

— რას იყოფ ხელს ჯიბეში, რა გაქვს მანდ?

— ჯიბეში? არაფერიც არა მაქვს, — იეშმაკა ლენიმ.

— ჯიბეში რაღა გექნება, ახლა ხელში გაქვს და იმიტომ. აბა ხელში რა გიჭირავს, ის მითხარი? რას მალავ?

— არაფერს, ჯორჯ, გეფიცები.

— მობრძანდი და მომეცი!

ლენიმ მუშტი იქით გასწია, თითქოს ჯორჯს უმალავსო.

— თაგვია, ჯორჯ, სხვა არაფერი.

— თაგვი? ცოცხალი თაგვი?

— უუუჰ! არა! მკვდარი თაგვია, ჯორჯ. მე არ მომიკლავს, გეფიცები! მკვდარი ვიპოვე! მკვდარი!

— ახლავე მომეცი! — დაუყვირა ჯორჯმა.

— არა, მქონდეს რა, ჯორჯ! კარგი რა, მქონდეს.

— მომეცი-მეთქი!

ნირწამხდარმა ლენიმ მუშტი ნელ-ნელა გახსნა. ჯორჯმა თაგვი გამოარ-ოვა და ვაღმა ნაპირის ბუჩქებში მოისროლა.

— რად გინდა ეგ მკვდარი თაგვი, ერთი ვამაგებინე!

— რად მინდა და თითებს ვუცაცუნებდი, ვეფერებოდი, რომ მოვდიო-დით, — უთხრა ლენიმ.

— იცი, რა გითხრა, მოფერება კი არა, თაგვის ხსენება არ იყოს, სანამ ჩემთან ერთად ივლი. ისე, გახსოვს მაინც, სად უნდა წავიდეთ?

ლენი შეშფოთდა და დაბნეულმა თავი მუხლებში ჩარგო.

— ისევ დამავიწყდა, ჯორჯ.

— ღმერთო ჩემო, — უსასოოდ თქვა ჯორჯმა. — კარგი, მისმინე, მე და შენ მივდივართ რანჩოში სამუშაოდ, ადრე რომ ვიყავით ჩრდილოეთით. ისეთში.

— ჩრდილოეთით?

— დიახ, უიდში.

— კი, როგორ არ მახსოვს, უიდში.

— ჩვენ რომ უნდა წავიდეთ, ის რანჩო აქვეა, ერთი ოთხ მილზე. იქ უნდა მივიდეთ და იქაური ბოსი ვნახოთ. ახლა კარგად მისმინე; იმ კაცს სამუშაო წიგნაკებს მივცემ და იცოდე, ხმა არ გაიღო! ისე იდექი, კრინტიც არ დაძრა. თუ მიხვდა, რა ტუტუცი ვინმეცა ხარ, სამუშაოს დავკარგავთ და მორჩა! მაგ-რამ ჯერ თუ შენი მუშაობა ნახა, მერე თუნდაც მთელი დღე იყბედე, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. გაიგე, რაც გითხარი?

— გავიგე, ჯორჯ, გავიგე, აბა რა.

— კარგი, ბატონო, მაშინ მითხარი, ბოსთან რომ შევალთ, რა უნდა ქნა?

— მე... მე... — ლენი დაფიქრდა და სახე თანდათან დაეძაბა: — მე... კრინტი არ უნდა დავძრა, ისე ვიდგე და კრინტი არ დავძრა.

— ყოჩაღ, ბიჭო, აი, მესმის. ერთი-ორჯერ გაიმეორე შენთვის და არ დაგა-ვიწყდება.

ლენი თავისთვის ჩუმად ადუდუნდა:

კრინტი არ უნდა დავძრა... კრინტი არ უნდა დავძრა... კრინტი არ უნ-და დავძრა.

ფრიდრიხ ჰოლდერლინი
(1770-1843)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუნაის სათავესთან[4]
(ნაწყვეტი)

...ენით უთქმელი სიყვარული სუფევდა
მარად,
ურთიერთისგან შორს ვართ,
მაგრამ კეთილგანწყობილთ
ერთმანეთის ბედი გვაფიქრებს;
შევტრფით ისთმოსის[5] მხიარულ
მხარეს,
კეფისოსსა[6] და ტაიგეტოსს[7],
შენზეც ვოცნებობთ
უხსოვარდროინდელო
კავკასიის დიდო ველებო,
თქვენებურ პატრიარქებზე,
წინასწარმეტყველებზე
და მანდაურ სამოთხეზე...

ფრანც გრილპარცერი
(1791-1872)

არგონავტები[8]
(ნაწყვეტი)

ბორა: სად არის ჩემი ქალიშვილი, ჩემი მედეა?
მილო: შენი ქალიშვილი?
ბორა: ამ ძუძუთი რომ გავზარდე და გავანებივრე.
ხომ დედასავით ვეპყრობოდი, სად ჩაიყლაპა?
რაკი ამბობენ, თავის ნებით აქ ჰპოვაო
თავშესაფარი, მეც დავიჯერო?
ეგ ტყუილია, სიცრუეა; ჩემი მედეას
ხასიათი ჩემზე უკეთ, აბა, ვინ იცის!
დაატყვევეთ და გადამალეთ, ახლა, არა?
ახლავე უკან დამიბრუნეთ! ნეტავ სად არის?
მილო: კეთილ განზრახვით თუ მოსულხარ, ძალიან კარგი,
მის გამორჩევა იოლია დანარჩენთ შორის, —
ამწამს ნავზე გამოიყვანენ!
ბორა: ის ბქვე გყავთ გადამალული?
მილო: მიდი-მეთქი!
მიხვალ თუ არა, მაშინათვე თვალს მოჰკრავ! მიდი!
ბორა (მიჰყავთ):
ხომალდზე არა! თვალს მიხვევთ და ალბათ მატყუებთ!
მილო (თვალს გააყოლებს):
მივერეკებით გარეულ მხეცთ საბერძნეთისკენ,
უნდა ვეცადო არ გაგვსრისონ, არ დაგვანელონ,

— არა გვაქვს საწებელი და რას იზამ. მიდი, მიდი, ფიჩხი მოიტანე. ბევრს ნუ იბოდიალებ, თორემ საცაა დაღამდება.

ლენი წამოიზლაზნა და ბუჩქებში გაუჩინარდა. ჯორჯი კი ისევ იწვა და ჩუმად რაღაცას უსტვენდა. წყლის ჭყაპუნი მოესმა, [illegible] ლენი იყო. ჯორჯმა სტვენა შეწყვიტა და მიაყურადა.

— ეგ უბედური ეგა, — ჩაიბურდღუნა და ისევ განაგრძო სტვენა.

მალე ლენიც გამოჩნდა. ლაწალუწით გამოძვრა ბუჩქებიდან. ერთი ტირიფის ტოტი დიდი ამბით მოჰქონდა. ჯორჯი წამოჯდა.

— ეგრე ხომ? — მკვახედ უთხრა მან, — აბა ერთი ეგ თაგვი მომეცი!

ლენიმ ძალზე ოსტატურად ააფარა გულუბრყვილობის ნიღაბი.

— რა თაგვი, ჯორჯ, თაგვი თვალითაც არ მინახავს.

ჯორჯმა მაინც ხელი გაუშვირა.

— მოდი აქ და მომე ეგ თაგვი, ნუ მიმალავ, შენი მოსატყუებელი კბილი დიდი ხანია მოვიცვალე.

ლენი შეყოვნდა, უკან დაიხია, დამფრთხალი თვალებით მიაჩერდა ბუჩქებს, თითქოს უნდა გაიქცეს და თავს უშველოსო. ჯორჯი არ მოეშვა:

— მომეცი თაგვი, სანამ არ დამიქექიხარ.

— რა მოგცე, ჯორჯ?

— გაგიხმეს ეგ თავი, მშვენივრად იცი, რასაც გეუბნები. მომეცი-მეთქი თაგვი!

ლენიმ უხალისოდ ჩააცურა ხელი ჯიბეში, ხმაც ოდნავ აუკანკალდა.

— ვითომ რატომ არ შეიძლება მყავდეს? სხვისი თაგვი რომ იყოს, კიდევ ჰო, არ მომიპარავს, აგერ ვიპოვე, გზასთან ეგდო.

ჯორჯს არც უფიქრია ხელის უკან გაწევა, დაჟინებით ელოდა. ურჩ ძალლს რომ პატრონთან ჯოხის მიტანა არ უნდა, სწორედ ისეთივე ზლაზვნით გადადგა ლენიმ ნაბიჯი წინ; მერე უკან დაიხია, მერე ისევ მიუახლოვდა. ჯორჯმა თითები მოუთმენლად აათამაშა და ლენიმაც, როგორც იქნა, თაგვი ხელში ჩაუდო.

— ცუდი არაფერი მიქნია, ჯორჯ. ცოტა მოვეფერე მხოლოდ.

ჯორჯი წამოდგა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თაგვი უკვე ჩაბნელებულ ბუჩქებისაკენ მოისროლა, მერე წყალთან მივიდა და ხელები დაიბანა.

— ვაი შენს პატრონს, შე უტვინო, შენა. მღინარეზე რომ გახვედი მაგის გულისთვის და ფეხები დაისველე, ვერ მივხვდებოდი, თუ რა?

ჯორჯს ლენის ზლუქუნი მოესმა და მთელი ტანით მისკენ შეტრიალდა.

— რა გაღრიალებს, ბავშვი ხომ არა ხარ? ღმერთო ჩემო! ამხელა კაცი ასე ტიროდეს, ვის გაუგია? — ლენის ნიკაპი უკანკალებდა, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

— კარგი რა, ლენი, — დაუყვავა ჯორჯმა და მხარზე ხელი დაადო. —ხომ იცი, სიბოროტით არ მომსვლია; კაი ხნის მკვდარი იყო ეგ უპატრონო, შენ კიდევ მოფერებით ძვლებიც დაუმტვრიე. არა უშავს, სხვას იპოვი, ცოცხალს, და გყავდეს ცოტა ხანს, რა გაეწყობა.

ლენი მიწაზე დაჯდა და დამწუხრებულმა თავი ჩაქინდრა.

— აბა სხვა თაგვი სად უნდა ვიპოვო. ერთი ქალი მაძლევდა ხოლმე თაგვებს. როგორც კი დაიჭერდა, მე მაძლევდა. ახლა ის ქალი აქ რომ არ არის?

ჯორჯმა ჩაიცინა:

— ის ქალიო, იძახი? კი მაგრამ, არ გახსოვს, ის ქალი ვინ იყო? ის ხომ შენი საკუთარი დეიდა იყო, ლენი, დეიდა კლარა. მერე უკვე აღარ ვაძლევდა თაგვებს, ხელში გაკვდებოდა ყველა და იმიტომ.

ლენიმ დაღონებით შეხედა ჯორჯს.

— ისეთი პაწაწუნები იყვნენ, — დამნაშავესავით თქვა [illegible] ვეფერებოდი, ჯორჯ, მერე თითზე წამკბენდნენ ხოლმე. და მეც [illegible] ვიჭმეტდი. აი, სულ ნელა, და უცებ კვდებოდნენ. ბევრი კი არ უნდოდათ; ალბათ ასე პაწაწუნები რომ იყვნენ, იმიტომ. როგორ მინდა კურდღლები გვყავდეს, ჯორჯ, ჩვარა მინდა გვყავდეს, ისინი ასე პატარები ხომ არ არიან.

— ჭირმა წაიღოს შენი კურდღლები; კაცმა რომ თქვას, ცოცხალი თაგვის მოცემა შენთვის არც შეიძლება. გახსოვს. დეიდა კლარამ რეზინის თაგვი რომ გაჩუქა, შენ კი არ მოინდომე.

— რეზინის თაგვი რა მოსაფერებელია, — თქვა ლენიმ.

უკანასკნელი მზის სხივები მოსწყდა მთის მწვერვალებს, ველზე ბინდი ჩამოწვა. ტირიფებსა და ნეკერჩხლებში თითქმის უკვე ბნელოდა. წყლის ზედაპირზე დიდი ჭანარი ამოცურდა, ჰაერი ჩაყლაპა და ისევ გაუჩინარდა იდუმალებით მოსილ შავ წყალში. ზედაპირზე კი ჭავლი აალივლივა. ფოთლებს ისევ ჩამოუქროლა ნიავმა. ტირიფებს თეთრი ღრუბლი მოსწყვიტა და წყლის ზედაპირს დააყარა.

— კაცო, აღარ მოიტან მაგ ფიჩხს ბოლოს და ბოლოს! — დაუცაცხანა ჯორჯმა. — აგე, იმ ნეკერჩხალს იქით ქვეყნის შუა ყრია. წყალს ჩამოუტანია. ბიდი და მოიტანე.

ლენი ხისკენ წავიდა, ტოტები და გამხმარი ფოთლები მოათრია, ნაცეცხლარზე ზვინად დაყარა და ისევ გაბრუნდა დანარჩენის მოსატანად; მერე ისევ და ისევ. დაღამდა თითქმის. ქედანმა ფრთების ფათქუნით გადაუქროლა წყალს. ჯორჯმა ფიჩხის გროვას და გამხმარ ფოთლებს ცეცხლი შეუნთო. ალმა ტკაცუნით დაურბინა ფოთლებს და ააბრიალა. ჯორჯმა თავისი ფუთა გახსნა და ლობიოს კონსერვები ამოიღო. კოცონთან ახლოს დადო, ზედ ალს მიაფიცხა, მაგრამ ისე, რომ არ მიმწვარიყო.

— იმდენია, ოთხ კაცსაც ეყოფა, — თქვა ჯორჯმა.

ლენი მოშორებით იდგა და თვალს აყოლებდა. მერე ისევ ჯიუტად თქვა:

— მე რომ საწებლიანი ლობიო მიყვარს?

— ვიცი, მაგრამ ახლა ხომ არა გვაქვს, — აღშფოთდა ჯორჯი. — რაც არა გაქვს, იმას აიჩემებ ხოლმე; ღმერთო, ეს რას გადავეკიდე! მარტო რომ ვყოფილიყავი, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. წავიდოდი, ვიშოვიდი სამუშაოს, საქმეც გამიჩნდებოდა და ვიქნებოდი ჩემთვის არხეინად; ამდენ შფოთს და დავიდარაბასაც ავცდებოდი. ავიღებდი თვის ბოლოს ორმოცდაათ დოლარს, წავიდოდი ქალაქში და, რაც მომეპრიანებოდა, იმას ვიყიდდი. ჰო, მარილა, ღამეს საროსკიპოში გავატარებდი! სადაც ხოში მექნებოდა, იქ ვისაღილებდი, გინდ სასტუმროში, გინდ სხვაგან სადმე; რაც მომეხასიათებოდა, იმას მოვითხოვდი. დიახაც, ყოველთვე გამოწერილივით მექნებოდა ეგ სიამოვნება. მერე კიდევ, ერთ გალონ ვისკის ავიღებდი, ან საბილიარდოში გავუხვევდი. კარტი გინდა, ბილიარდი გინდა, ვითამაშებდი და ვითამაშებდი, მაშ!

ლენიმ ჩაიჩოქა, კოცონს იქით მჯდარ გაბრაზებულ ჯორჯს შეხედა; სახე შიშისაგან დაელმიჭა.

— ახლა კი რა გამაჩნია? — უფრო და უფრო გაცხარდა ჯორჯი. — რა გამაჩნია და შენისთანა რეგვენი! მუშაობის ტვინი შენ ვინ მთგცა, ან ვის რაში სჭირდები, სამუშაოსაც ყოველთვის შენი გულისთვის ვკარგავ. შენი გადამკიდე სად არ დავეთრევი ამ ქვეყანაზე. მაგას ვინ ჩივის, რაიმე ხიფათში რომ არ გაყო თავი, ისე ხომ არ იქნება! უცებ რაღაცას იხიმანჯლებ და მერე მიდი, ჯორჯ, თუ ბიჭი ხარ, უშველე, —უკვე ცოფებს ყრიდა ჯორჯი. — ეჰ, შე შობელძაღლო, შენა, სულ ჯოჯოხეთში უნდა მამყოფო, როდემდის? გაგონილა, კაცო? — მერე პატარა გოგოები რომ ერთმანეთს მანჭვით გამოაჯავრებენ ხოლმე, სწორედ ისე გამოაჯავრა ლენის: — იმ გოგოს კაბას მინდოდა მოვფერებოდი, თაგვებს რომ ვეფერები, ისეთ — შენი დედა კი ვატირე, შენი, იმ გოგოს დაესიზმრებოდა, მარტო კაბა რომ გაინტერესებდა, თუ რა? გაქცევაც უნდოდა, მაგრამ რომ ჩაეჭიდე და არ გაუშვი? თაგვი ხომ არ გეგონა? იკივლებდა, აბა რას იზამდა; სარწყავ არხში არ დავმალულიყავით მთელი დღე, ვაი ჩვენი ბრალი მაშინ. დალამებამდე იქ ვისხედით და მერედა მოვუსვით იქიდან. მაინც სულ შარში როგორ ვეხვევით შენი გულისთვის. ღმერთო, ერთი შენი თავი თაგვებით გატენილ გალიაში ჩამასმევინა, რას მოილხენდი, როგორ გარღებოდი იმათი ალერსით!

ჯორჯს სიბრაზემ უცებ გადაუარა. ცეცხლს იქით ჩაჩოქილ ლენის გახედა, ტანჯული სახე ჰქონდა საცოდავს; ჯორჯს შერცხვა და თვალები ცეცხლის ალს მიაპყრო.

უკვე კარგად ბნელოდა. ცეცხლი მხოლოდ ხის ძირებსღა და კიდევ ზემოთ დაგრეხილ ტოტებს ანათებდა. ლენიმ ნელა, ფოფხვით შემოუარა ცეცხლს და ჯორჯთან მივიდა; მერე ჩაიცუცქა. ჯორჯმა კონსერვები შეატრიალა და ახლა მეორე მხრიდან მიაფიცხა კოცონს, ვითომდა ვერ ამჩნევდა გვერდით ჩაცუცქულ ლენის.

— ჯორჯ! — ძლივს გასაგონად შეჰბედა ლენიმ. პასუხი არავის გაუცია. მერე ისევ: — ჯორჯ!

— რა გინდა?

— მე ხომ ვიხუმრე, ჯორჯ, საწყებელი რა ჭირად მინდა; აი, აქ, ცხვირწინ რომ მედგას, ხელსაც არ ვახლებდი.

— რატომ, რომ ყოფილიყო. შეჭამდი კიდეც.

— არა, ჯორჯ, პირსაც არ დავაკარებდი. სულ შენ დაგიტოვებდი. ლობიოს დაასხამდი და გემრიელადაც შეჭამდი; მე წვეთსაც არ გავსინჯავდი.

ჯორჯი ისევ კუშტად ჩაშტერებოდა ცეცხლს.

— რომ გავიფიქრებ, რა ხოშიანად გავატარებდი დროს უშენოდ, ლამისაა გადავირეო. შენი გადამკიდე კი მოსვენება აღარ მაქვს!

ლენი ისევ ჩაცუცქულიყო. მდინარის გაღმა იყურებოდა — სიბნელეში.

— ჯორჯ, თუ ძალიან გინდა, წავალ, მოგშორდები!

— სად ჭირში წახვალ, ნეტა ვიცოდე!

— წავიდოდი, აი, იქ, მთებისკენ წავიდოდი. სადმე გამოქვაბულსაც ვიპოვიდი.

— მერედა, რას ჩახეთქავდი? შენ იმის ჭკუა სადა გაქვს, საჭმელი იშოვო?

— რამეს ვიპოვიდი, ჯორჯ, მაინცდამაინც საწყებლიანი შემწვარ-მოხრაკულები ხომ არ უნდა ვჭამო; ვიწვებოდი მთელი დღე მზეზე და არც არავინ შე-

მაწუხებდა. თუ სადმე თაგვს წავაწყდებოდი, დავიტოვებდი; და არც არავინ წამართმევდა.

ჯორჯმა უცებ მცდელი თვალით შეხედა ლენის.

— რა დამპალი ვარ, გაწყენინე, არა?

— შენ თუ არ გინდივარ, მთებში წავიდოდი და გამოქვაბულს ვიპოვიდე; უფრო ადვილად ახლავე წავიდოდი.

— არა, ყური დამიგდე! მე უბრალოდ ვიხუმრე, ლენი. იცი, ძალიან მინდა ჩემთან იყო. თაგვებზე კი იმიტომ გეუბნები, რომ მუდამ ხელში გაკვდებიან ხოლმე. — ჯორჯი გაჩუმდა. — იცი, რა მოვიფიქრე, ლენი? როგორც კი მოვახერხებ, ერთ ლეკვს გიყიდი. დავიჯერო, ისიც შემოგაკვდება? ძალლი მაინც ჯობია თაგვს. თანაც უფრო მაგრად შეგიძლია მოუჭირო ხელი.

ლენი ანკესს არ წამოეგო, თავპატიჟი გაიდო.

— თუ არ გინდივარ, ერთი სიტყვა თქვი და აგერ, იმ მთებში გავიქცევი, წავალ მთებში და მარტო ვიცხოვრებ. თაგვებსაც ველარავინ წამართმევს.

— რით ვერ გაიგე, ჩემთან მინდა დარჩე-მეთქი. ლენი! ღმერთო, მე რომ მიგატოვო, ვინმეს კოიოტი ეგონები და ისე მიგასიკვდილებს, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ. არა, იყავი, ბატონო, ჩემთან! დეიდაშენი კლარა ალბათ ერთი სამჯერ მაინც გადატრიალდება საფლავში, მარტო რომ დაგტოვო.

— ისევ მომიყევი რა... როგორც მაშინ, ჯორჯ, — შემპარავი ხმით უთხრა ლენიმ.

— რა მოგიყვე?

— კურდღლებზე.

— კარგი ახლა, თავი დამანებე! — შეუღრინა ჯორჯმა.

— კარგი რა, ჯორჯ, მომიყევი რა, გეხვეწები, როგორც მაშინ, — შეევედრა ლენი.

— შენს ჭიას ახარებ, ხომ? კი ბატონო, ასე იყოს, მოგიყვები და მერე კუამოთ, ხო, ლენი?

ჯორჯმა ნაზი, ღუღუნა ხმით დაიწყო მოყოლა, თანაბრად, აუღელვებლად, ეტყობოდა, მრავალჯერ ჰქონდა მოყოლილი ეს ამბავი.

— ჩვენ და ჩვენნაირები, ვინც რანჩოში მუშაობენ, მარტოდმარტო, უოვისტომოდ დაიარებიან ამ ქვეყანაზე. ოჯახი მათ არა აქვთ და სახლ-კარი. წავლენ რომელიმე რანჩოში სამუშაოდ, მიიღებენ თავის წილს და მერე, ჰაიდა, ქალაქში ჰკრავენ თავს; ფულსაც რომ გაანიავებენ, სხვა რა დარჩენიათ, ისევ რომელიმე რანჩოში გარბიან სამუშაოს საძებნელად. საზრუნავი და საფიქრალი გამოლევიათ და იმიტომ.

ლენი მოჯადოებული უგდებდა ყურს:

— აი, ასე, აი, ასე. მერე? ახლა ჩვენ როგორა ვართ?

ჯორჯმა გაჩაგრძო:

— აი, ჩვენ კი სულ სხვა ვართ. საზრუნავიც გვაქვს და საფიქრალიც. ხმის გამცემიცა გვყავს და ისეთიც, ძალლად მაინც რომ ჩაგვაგდებს. ბარებში რად უნდა ვიჯდეთ ან ფული რად უნდა ვფლანგოთ? სხვა წასასვლელი არა გვაქვს, თუ რა? სხვები კი, ღმერთმა დაიფაროს და, თუ ვინმემ ციხეში ამოყო თავი, ისე ჩალპება, კაციშვილიც ვერ გაიგებს. ჩვენ კი, ჩვენ ეგ საფრთხე არ გველის.

ლენიმ შეაწყვეტინა:

— ჩვენ კი სულ სხვა ვართ! და იცი, რატომ? იმიტომ... იმიტომ, რომ მე

მყავს ჯორჯი, შენ გყავს ლენი და ორივენი ერთმანეთს მიგხედავთ; აი, რატომ.

გაბედნიერებული ლენი იცინოდა და იცინოდა.

— მიდი, განაგრძე, განაგრძე, ჯორჯ!

— ბიჭო, ხომ ზეპირად იცი, ბარემ მიდი და თვითონ... ძოყევი.

— მე არა, შენ, ჯორჯ. მე შიგადაშიგ მავიწყდება ხოლმე. მოყევი ერთი, მერე როგორ იქნება?

— კარგი, ეგრე იყოს. ერთ მშვენიერ დღეს მაყუთს დავაგროვებთ და პატარა სახლსაც ვიყიდით თავის ეზოიანად — ერთი ორი აკრი მიწა მაინც ხომ იქნება; ძროხაც გვეყოლება, ღორებიც და...

— და ვიქნებით ასე, ამ მიწის ბატონ-პატრონნი! — წამოიყვირა ლენიმ,— და გვეყოლება კურდღლები. განაგრძე რა, ჯორჯ! თქვი, როგორი ბაღი გვექნება, კურდღლებზეც თქვი, ზამთრის წვიმაზეც, ბუხარზე; მერე ისიც, რძეს სწველი ნაღები რომ აქვს, დანით ძლივს რომ გაჭრი, ისეთი, არაფერი დაგავიწყდეს, ჯორჯ.

— კი მაგრამ, შენ თვითონ რატომ არ მოყვები? ასე კარგად იცი ყველაფერი.

— არა... შენ, რა! შენ უფრო კარგად გამოგდის, განაგრძე. ჰო, ჯორჯ. თქვი, კურდღლები ხომ მეყოლება მოსავლელი?

— კარგი, — თქვა ჯორჯმა, — დიდი ბოსტანიც გვექნება, კურდღლების გალია და წიწილები. ზამთარში კი, წვიმა რომ წამოვა, ფეხებზეც არ დავიკიდებთ სამუშაოს! ბუხარში ცეცხლს ავაგიზგიზებთ, შემოვუსხდებით და ვიქნებით ასე; სახურავზე კი იწვიმებს და იწვიმებს შხაპაშხუპით. უუუჰ! რა კაია... დალახვროს ეშმაკმა! — ჯორჯმა ჯიბიდან დანა ამოაცურა. — ალარ მცალია, თავი დამანებე! — ერთი კონსერვი აიღო, სახურავს ჯაყვა დაუსვა, გახსნა და ლენის მიაწოდა. შემდეგ მეორე გახსნა, ჰიჯაკის ჯიბიდან ორი კოვზი ამოიღო და ერთი ლენის მისცა.

მერე ორივენი ცეცხლს შემოუსხდნენ, პირში ლობიოს იტენიდნენ და მადიანად ილუკმებოდნენ. ლენის საჭმელი პირიდან უცვიოდა. ჯორჯმა კოვზით ანიშნა — მისმინეო:

— ხვალ ბოსთან რომ მივალთ, რას იტყვი, თუ რამე შეგეკითხა?

ლენი ღეჭვას შეეშვა და საჭმელი გადაყლაპა. სახე დაეძაბა.

— მე... მე... მე ხმა არ უნდა ამოვიღო.

— ყოჩაღ, ბიჭო! აი, ეს მომწონს! ჭკუა მოგემატა თუ რა მოხდა? აუცილებლად მოგაშენებინებ კურდღლებს, როცა საკუთარი მიწა გვექნება. შენ თუ ასე დამიჭკვიანდი, მაგის ნებასაც მოგცემ.

ლენის სიხარულისაგან ლამის სუნთქვა შეეკრა.

— ყველაფერს დავიმახსოვრებ, — თქვა მან.

ჯორჯმა ისევ ანიშნა კოვზით:

— კარგად მომისმინე, ლენი! აბა ერთი გაიხედ-გადმოიხედე. ამ ადგილს ხომ დაიხსომებ? მდინარის გაყოლებით რომ იარო, აქედან რანჩომდე მეოთხედი მილი იქნება.

— აბა რას ვიზამ, — თქვა ლენიმ. — მაგის დახსომებას რა უნდა. ის ხომ დავიმახსოვრე, შენ რომ მითხარი, ხმა არ ამოიღოო.

— ის კი დაიმახსოვრე. კარგი, მომისმინე, ლენი! თუკი რამეს დააშავებ, როგორც ადრე, იცოდე, მაშინვე გაგიქეცი და აქ, ამ ბუჩქებში დაიმალე.

— ამ ბუჩქებში დავიმალო, — ნელა გაიმეორა ლენიმ.

— დაიმალე და ჩემს მოსვლამდე აქ იყავი. ხომ დაიხსომებ?

— როგორ არა, ჯორჯ. შენს მოსვლამდე ბუჩქებში უნდა დავიმალო.

— მაგრამ ეცადე არაფერი მიჰქარო, თუ არადა, იცოდე, კურდღლების მოვლის ნებას არ მოგცემ. — ჯორჯმა ცარიელი კონსერვის ქილები ბუჩქებში მოისროლა.

— არაფერს დავაშავებ, ხმასაც არ ამოვიღებ.

— კარგი, მოვრჩეთ; წადი ახლა და შენი საბანი აქ, ცეცხლთან მოათრიე, ხეების ძირში ძილს რა სჯობია. ზემოთ აიხედავ და ფოთლების ცქერით დასტკბები. ცეცხლს ნუ შეუნთებ, გაუშვი, ჩაქრეს.

ორივემ საბნები სილაზე გაშალა და მოკალათდნენ. ცეცხლი ნელ-ნელა იფერფლებოდა, სინათლის წრეც პატარავდებოდა. დაგრეხილი ტოტები უკვე ღამის წყვდიადში შთანთქმულიყვნენ; ბჟუტავ სინათლეზე მხოლოდ ხეების მჭრქალი ტანი მოჩანდა აქა-იქ. სიბნელეში ლენის ხმა გაისმა:

— ჯორჯ. გძინავს?

— არა, რა ვინდა?

— მოდი, სხვადასხვა ფერის კურდღლები ვიყოლიოთ?

— აბა ისე როგორ იქნება, — ნამძინარევი ხმით უპასუხა ჯორჯმა. — ჭითლები და ლურჯები და კიდევ მწვანე კურდღელი, ლენი, უამრავი კურდღელი გვეყოლება.

— ოღონდ ფაფუკები, ჯორჯ, აი, საკრამენტოში რომ ვნახე ბაზრობაზე, ისეთი.

— აბა სხვანაირად როგორ იქნება!

— იმიტომ, რომ ხომ შეიძლება წავიდე და გამოქვაბულში ვიცხოვრო, ჯორჯ?

— ჯანდაბაში და დოზანაში წასულხარ!— თქვა ჯორჯმა. — მოკეტე ახლა, ვეყოს!

ნაკვერჩხლებზე თანდათან მიჰქრა ცეცხლი. შორს, მთებში კოიოტმა დაიკივლა და გაღმა ნაპირიდან ძაღლი შეეხმიანა ყეფით. ნეკერჩხლის ფოთლები ღამის გრილ ნიავს ეჩურჩულებოდნენ.

II

ბარაკი ოთხკუთხა, წაგრძელებული შენობა იყო. შიგნით კედლები კი შეეთეთრებინათ, მაგრამ ფიცრის იატაკი შეუღებავი დარჩენოდათ. სამ კედელს პატარა კვადრატული სარკმლები ჰქონდა დატანებული, მეოთხეს კი ხისრაზიანი ვეება კარი. კედლებთან რვა ძელსკამი იდგა, აქედან ხუთი უკვე გაეშალათ, დანარჩენ სამზე კი ცარიელა ჯვალოს ლეიბები ეგდო. თითოეულ საწოლთან ლია ვაშლის ყუთები იყო მიჭედებული და საწოლის პატრონს თაროს მაგივრობას უწევდა საკუთარი ნივთების შესანახად. რა არ ეყარა შიგ: საპონიო, ტალკის პუდრიო, სამართებელი და ის კოვბოური ჟურნალები, ასე ძალიან რომ ეტანებიან ხოლმე რანჩოებზე, და თუმცა ცოტა მასხრადაც იგდებენ, გულით მაინც სწამთ დაწერილის. წამლებიც, წამლის შუშებიც, სავარცხლებიც იქ ეყარა, გვერდიდან მიჭედილ ლურსმნებზე კი აქა-იქ ეკიდა ჰალსტუხები. ერთ კუთხეში შავი თუჯის ღუმელი იდგა, საკვამური პირდაპირ ჭერიდან გა-

ლიოდა გარეთ. შუა ოთახში მდგარ დიდ ოთხკუთხა მაგიდაზე დაფლეთილი კარტი ეყარა; მაგიდის გარშემო კი სკამების მაგივრად ვაშლის ყუთები ეწყო.

ასე დილის ათი საათისთვის მზემ ერთ-ერთ სარკმელში შეიჭვრიტა, ბრდღვიალა და მტვრიანი შუქი სტყორცნა იატაკს. გახარებულ-ბუზები ნაპერწკლებივით აირბენენ სინათლის შუქზე.

ხის რაზა გაიწია, კარი გაიღო და ოთახში მაღალი, წელში მოხრილი მოხუცი შემოვიდა. ლურჯი ჯინსები ეცვა და ხელში დიდი ცოცხი ეჭირა. მოხუცს ფეხდაფეხ ჯორჯი შემოყვა, ჯორჯს კი — ლენი.

— ბოსი გუშინ საღამოს გელოდათ, — თქვა მოხუცმა. —უნდოდა დღეს დილიდან გასულიყავით სამუშაოდ. რომ არ მოხვედით, სულ ცოფები ჰყარა.— მერე მოხუცმა მარჯვენა ხელი საწოლებისკენ გაიშვირა, თუმცა ხელი კი არა — მრგვალი, მორგვივით მაჯა, ხელის მტევნის გარეშე.

— აი, ამ ორზე თქვენ დაწვებით. — თქვა მოხუცმა და ღუმელთან მდგარ საწოლებზე მიანიშნა.

ჯორჯი საწოლებს მიუახლოვდა და დახვეული საბანი ლეიბის მაგივრად დაგებულ, ჩალით გატენილ ჯვალოს ტომარაზე დააგდო, გვერდით დაკიდებული ყუთი თუ თარო შეათვალიერა და პატარა ყვითელი ქილა გამოიღო.

— ერთი აქეთ მოიხედე. ეს რა ოხრობაა?

— აბა მე რა ვიცი, — უპასუხა მოხუცმა.

— ასე სწერია: ტილებს, ტარაკანებს და სხვა საზიზღრობასაც კლავსო. კი მაგრამ, ეს რა საწოლები მოგვეცი, ეგლა გვაკლია ახლა ჭია-ღუა დაგვასიოთ.

მოხუცმა დამლაგებელმა ცოცხი იღლიაში ამოიჩარა და ქილის გამოსართმევად ხელი გასწია. შემდეგ წარწერას ჩააცქერდა.

— იცი, რა გითხრა, — ცოტა შეფიქრიანდა და მერე თქვა მოხუცმა, — სულ ბოლოს ამ საწოლზე ერთი მჭედელი ბიჭი იწვა. კაი ვინმე კი იყო, დალოცოს ღმერთმა. სუფთა, ჰეწენიკი, ავ თვალს რომ არ დაენახება, ისეთი. სულ ხელების ბანაში იყო, ჭამის შემდეგაც კი იბანდა.

— აბა ეს ოხრობა საიდან დაესია? — ჯორჯს ნელ-ნელა წაეკიდა ბრაზი.

ლენიმ თავისი საბანი საწოლზე დადო და ჩამოჯდა. პირდაღებული მისჩერებოდა ჯორჯს.

— იცი, რა გითხრა, — თქვა მოხუცმა დამლაგებელმა. — ეგ მჭედელი, გვარად უიტი, ისეთი ბიჭი იყო, საჭირო რომც არ ყოფილიყო, მაინც ყველგან ყრიდა მაგ რაღაცას, თავი რომ დაეზღვია. იმიტომ, გაიგე? გინდა გითხრა, კიდევ რას შვრებოდა? საღილზე მოხარშულ კარტოფილს ჯერ გაფცქვნიდა და მერე ყველა შავ წანწკალს, სულ ერთი ბეწოც რომ ყოფილიყო, სათითაოდ ამოაჩიჩქნიდა, ისე არ მიირთმევდა. მოხარშულ კვერცხშიც თუ საღმე წითელ წინწკალს ნახავდა, აუცილებლად ამოჭრიდა და მერე შეჭამდა. აქედანაც მაგ აზიზობისთვის წაბრძანდა, მაშ! აი, რა სუფთა ბიჭი იყო! კვირადღეს, წასასვლელიც რომ არსად ყოფილიყო, მაინც გამოიწკიპებოდა, ჰალსტუხსაც არ დაივიწყებდა და მერე ასე იჯდა ბარაკში.

— რაღაცას მიედ-მოედები, არ მჯერა. — ეჭვის თვალით შეხედა ჯორჯმა — რისთვის წაიდაო, როგორა თქვი?

მოხუცმა ყვითელი ქილა ჯიბეში ჩაიდო და ჭალარით გაჯაგრულ ლოყაზე ხელი მოისვა.

— რა ვიცი,... ადგა და წავიდა. რისთვის მიდიან ხოლმე საერთოდ? საჭმელი არ მომწონს და იმიტომო—ასე თქვა. უბრალოდ აქედან წასვლა უნდოდა და მორჩა. სხვას თითქოს არაფერს უჩიოდა, საჭმელი არ მოსწონდა მხოლოდ. ერთ მშვენიერ დღეს თქვა: ანგარიში გამისწორეთო, და წავიდა, ასე მიდიან ხოლმე საერთოდ.

ჯორჯმა ლეიბი ასწია და ახლა მეორე მხრიდან შეხედა. შემდეგ დახჩარა და გულდასმით შეათვალიერა. ლენიც იმწამსვე ადგა და ჯორჯს მიბაძა. ჯორჯი, როგორც იქნა, დამშვიდდა; საბანი გახსნა, იქიდან სამართებელი ამოიღო, კიდევ საპონი, სავარცხელი, რაღაც აბებიანი შუშა, მალამო, ტყავის ქამარი და ყველაფერი ეს თაროზე დააწყო. მერე თავისი ლოგინი კოხტად გააწყო.

მოხუცმა უთხრა:

— ბოსი ალბათ ახლავე მოვა. ძალიან კი გაბრაზდა ამ დილით, აქ რომ არ დაუხვდით. სწორედ ვსაუბობდით, რომ შემოვიდა, და პირველად ეს იკითხა: „რა ჭირი დაემართა იმ ახლებს, რატომ არ ჩამოვიდნენ?". ცხელ გულზე მეჯინიბეც კაი მაგრად შეახურა.

ჯორჯმა საბნის ნაკეცი გაასწორა და საწოლზე ჩამოჯდა.

— მეჯინიბეც შეახურაო? —იკითხა მან.

— შეახურა. მაშ! იცი, მეჯინიბე ზანგი ყავთ.

— ზანგიო?

— ჰო, ზანგი, კარგი ბიჭია. ერთხელ ცხენმა წიხლი ჰკრა და იმის მერე დაკუზიანდა. ბოსი თუ გაავებულია, მთელ ჯავრს მაგაზე იყრის ხოლმე. იმ შენს ზანგს კი ფეხებზე ჰკიდია ყველაფერი. სულ კითხულობს და კითხულობს წიგნებს. ოთახი სულ წიგნებითა აქვს გატენილი.

— ჩვენი ბოსი რა კაცია? — ჰკითხა ჯორჯმა.

— კაი კაცია, რა უჭირს. ხანდახან ისეთ ცოფებსა ყრის, შენს მტერს; მაგრამ მაინც კაი კაცია. აი, ერთს გეტყვი — შობაზე, იცი, რა ქნა? ერთი გალონი ვისკი პირდაპირ აქ შემოგვიტანა და გვითხრა: მიდით და რამდენიც გაგიხარდეთ, იმდენი დალიეთ; ეს ერთი შობა გვაქვს წელიწადშიო.

— ბიჭოს! აი, ვენაცვალე! მთელი გალონი მოიტანა?

— მთელი გალონი, მაშ! ღმერთო, რაც ჩვენ მაშინ მოვილხინეთ! ზანგიც კი შემოვუშვით ჩვენთან იმ ღამეს. მერე, ერთი ქეციანი ჯორების გამრეკი გვყავს, სმიტი ჰქვია, არ გადაეკიდა ამ შავკანიანს, კაცო? ერთი ამბავი დატრიალდა. კიდევ კარგი, ბიჭებმა წიხლებით ცემა დაუშალეს, თორემ ვაი მაგ ზანგის ბრალი. სმიტმა თქვა: რათ დამიშალეთ, წიხლებს რომ ვურტყამდი, სულსაც გავაფრთხობინებდიო. ბიჭებმა კი უთხრეს, იმიტომ დაგიშალეთ, რომ კუზიანია და მაგის წიხლებით ცემა არ იქნებაო,— მოხუცი გაჩუმდა, რაღაცას იხსენებდა თითქოს, — მერე ბიჭები სოლედადში წავიდნენ და თურმე აუკლიათ იქაურობა. მე არ წავსულვარ, რა დროს ჩემი ეგეთებია.

ლენი ამასობაში თავის ლოგინს შლიდა. ხის რაზა ისევ გაიწია და კარი გაიღო. ღია კარში ტანმორჩილი, ჩასკვნილი კაცი იდგა. ლურჯი ჯინსები, თივთიკის პერანგი, შავი, ღილებშეხსნილი ჟილეტი და შავი ქურთუკი ეცვა. ცერა თითები ქამარში ჰქონდა ჩაყოფილი, დიდი ოთხკუთხა რკინის ბალთის აქეიიქით; თავზე ყავისფერი, გაზინთული სტეტსონის ქუდი ეხურა და მაღალქუსლიანი, დეზებიანი წაღები ეცვა; — აქაოდა, უსაქმური კაცი არ გეგონოთო.

მოხუცმა დაინახა თუ არა, ამწამსვე კარისკენ წაჩოჩიალდა, თან ხელით ლოყას ისრესდა.

— ბიჭები ეს წუთია მოვიდნენ, — თქვა მოხუცმა, ბოსს გვერდით გაუძვრა და გარეთ გავიდა.

ბოსი მსუქანი კაცისთვის ჩვეული, მოკლე, სწრაფი ნაბიჯებით შეამოვიდა ოთახში.

— მარეის და რედის მივწერე, დღეს დილისთვის ორი კაცი მჭირდებამეთქი. ბარათები თანა გაქვთ?

ჯორჯმა ჯიბიდან ორივე ბარათი ამოიღო და ბოსს გადასცა.

— აბა, მარეის და რედის ბრალი არა ყოფილა. აქ წერია, რომ დღეს დილიდან სამუშაოდ უნდა გამოსულიყავით.

ჯორჯმა თავი ჩალუნა და ფეხებს დააშტერდა.

— შოფერმა გაგვიფუჭა საქმე, ფეხით მოგვიწია სიარული. შორს ჩამოვსვა, გვითხრა, აქვე ხართო; აქვე კი არა, კაი ათი მილი გამოვიარეთ, დილით კი ვერაფერს გამოვყევით.

ბოსმა თვალები მოჭუტა.

— ჰოდა, მინდვრად ორი კაცით ნაკლები გავუშვი სამუშაოდ. ახლა უკვე სადილობამდე რაღა აზრი აქვს თქვენს გასვლას. — ჯიბიდან აღრიცხვის წიგნაკი ამოიღო და, სადაც ფანქარი ჰქონდა ჩადებული, იქ გადაშალა. ჯორჯმა მრავლისმეტყველად შეხედა ლენის. ლენიმ თავი დაუქნია, ყველაფერს მივხდიო. ბოსმა ფანქარი ენით დაისველა და იკითხა:

— სახელი, გვარი?

— ჯორჯ მილტონი.

— ახლა შენი?

— ეს ლენი ნამცეცაა, — უპასუხა ჯორჯმა.

ბოსმა ორივე გვარი წიგნაკში ჩაიწერა.

— ახლა ვნახოთ: დღეს ოორმეტია, ოორმეტი რიცხვი, შუადღე. — მან წიგნაკი დახურა, — იდრეც მუშაობდით, ბიჭებო?

— უიდის ახლოს,— მიუგო ჯორჯმა.

— შენც? — ახლა ლენის შეეკითხა ბოსი.

— ჰო, ესეც. — უპასუხა ჯორჯმა.

ბოსმა დამცინავად გააქნია ლენისკენ თითი:

— ეს დიდი მოლაპარაკე არ უნდა იყოს, არა?

— მოლაპარაკე არ არის, მაგრამ სამაგიეროდ ისეთი მუშაა, ბევრი ვერ დაიკვეხნის, ხარის ძალა აქვს.

ლენიმ ჩაიღიმა.

— ჰო, ხარის ძალა მაქვს, — გაიმეორა თავისთვის.

ჯორჯმა თვალები ერთი დაუბრიალა და ლენიმაც დამნაშავესავით დახარა თავი.

— მომისმინე, ნამცეცავ. — მიუბრუნდა უცებ ბოსი. ლენიმ თავი ასწია. — რისი გაკეთება შეგიძლია?

ლენიმ შეშინებული თვალებით შეხედა ჯორჯს, მიშველე რაჰეო.

— ყველაფრის გაკეთება შეუძლია, რასაც ეტყვიან, ყველაფრის. — უპა-

სუნა ჯორჯმა. — ცხენებსაც კარგად მოუვლის, ტომრებში ხორბალსაც ჩაყრის, დახნავს და დაიკალცხავს კიდეც კულტივატორით მიწას. თუ საჭირო იქნა, ყველაფერს გააკეთებს; ვამოსცადეთ და ნახავთ.

ბოსი ჯორჯს მიუბრუნდა:

— კი მაგრამ, ხმას რად არ ალებინებ ამ კაცს? თვითონ ეთქვას, შენ-ბატონს ხომ არ კისრულობ?

ჯორჯმა ხმამაღლა შეაწყვეტინა:

— დიდი ჭკუის პატრონია-მეთქი, ხომ არ მითქვამს? ბევრი არც მოეკითხება; მაგრამ რაც კარგი აქვს, ვერ წაართმევ — ვირივით მუშაობ. ოთხფეთიან ტომარას ისე ასწევს, შენი მოწონებული.

ბოსმა წიგნაკი საგულდაგულოდ ჩაიდო ჯიბეში, ცერა თითები ისევ ქამარში ჩაყო, ცალი თვალი გამომწვევად მოწკურა და თქვა:

— შენ რაღაც ძალიან კი იჭიფხები, ვითომ რად აქებ ასე?

— რა?

— რადა, შენ ამისი საქმის რა გეკითხება, ან იქნებ ამას ფულს იჯიბავ?

— არა, რასა ბრძანებთ, ან ისეთი რა გავიჭიფხე ვითომ?

— რა ვიცი, ასეთი არაფერი მინახავს — ერთი კაცი მეორეს ასე იყოს გადაგებული. უბრალოდ მინდა ვიცოდე, რა ხეირს ხედავ ამაში?

— ეგ... ეგ ჩემი ბიძაშვილია, — მიუგო ჯორჯმა. — დეიდამისმა ამის თავი მე ჩამაბარა. ბავშვობაში ცხენმა წიხლი ჩაჰკრა თავში და იმის მერე დაჩა ასე. ძალიან კარგი ბიჭია, რა ვუყოთ, ცოტა თუ წაისულელებს. სამაგიეროდ რას არ გააკეთებს, ოღონდ ვინმემ უთხრას და...

ბოსი უკვე ოთახიდან გასვლას აპირებდა, რომ ისევ იკითხა:

— კარგი, ბატონო, ღმერთია მოწმე, ტომრებში ქერის ჩაყრას დიდი ჭკუა და გონება არა სჭირია; მაგრამ შენ არაფერი იმამაძაღლო, მილტონ! მე ვერაფერს გამომაპარებ, იცოდე! მაინც რატომ წამოხვედით უიდიდან?

— ჩვენს საქმეს მოვრჩით და იმიტომ. — მოკლედ მოუჭრა ჯორჯმა.

— რა საქმეს?

— ჩვენ... ჩვენ სანაგვე ორმოებსა ვთხრიდით.

— კეთილი, ოღონდ არაფერი იმამაძაღლო, თორემ ვაი შენი ბრალი, ვერ გადამირჩები. ბევრი მინახავს შენნაირი ჭკუის კოლოფები. მოკლედ, სადილის მერე სხვებთან ერთად გახვალთ სამუშაოდ, ტომრებში ქერს ჩაყრით, იქ, სალეწ მანქანებთან. ზორბას ჯგუფს გაყვებით.

— ზორბას?

— ჰო, ზორბას, მაღალი, ჯორების გამრეკი რომ არის. სადილზე ნახავთ ერთმანეთს.

ბოსი სწრაფად გატრიალდა კარისკენ; ოთახიდან გასვლამდე ერთხელ კიდევ მოხედა ახალმოსულებს და ერთხანს უცქირა ასე.

ფეხის ხმა სულ რომ მიჩუმდა, ჯორჯი ლენის მიუბრუნდა:

— ეს არის, კრინტს არ დაგძრავთ? ეს არის. ამ დასაწვავ პირს დავმუწავ და არ ვილაქლაქებო? მე არ უნდა მელაპარაკა შენ მაგივრად? კინაღამ სამუშაო არ დავკარგეთ, კაცო!

ლენი უმწეოდ დაშტერებოდა თავის ხელებს.

— დამავიწყდა, ჯორჯ.

— რა თქმა უნდა, დაგავიწყდა! დავიწყებაში ყოჩაღი ხარ, მერე კი მე

17769

უნდა გიშველო. — ჯორჯი თავის საწოლზე მოწყვეტით დაჯდა. — ნაღდად ამოგვიჩემა და ახლა თვალს აღარ მოგვაშორებს. ფრთხილად უნდა ვიყოთ, არაფერი შეგვეშალოს, თორემ ხომ იცი! აწი მაინც გაიჩერე ეგ შენი დასამიწებელი ენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯორჯი გაჩუმდა, მოიბღვირა.

— ჯორჯ!

— რაღა გინდა?

— მართლა დამარტყა ცხენმა წიხლი თავში. პატარა რომ ვიყავი, თუ ისე თქვი?

— ოჰ, ნეტა მართლა დაერტყა.— თქვა ბოლმით ჯორჯმა. — ამდენ დავიდარაბას ხომ ავცდებოდით ყველა.

— კიდევ რომ უთხარი, ჩემი ბიძაშვილიაო, ჯორჯ?

— ოოო! ეგ კი ნამდვილად ტყუილია. კიდევ კარგი, თორემ შენისთანა ნათესავი რომ მყავდეს, ნაღდში მივიჩლიდი ტყვიას შუბლში და ეგ არი. — ჯორჯი უცებ გაჩუმდა, წამოხტა, გაღებულ კარს მიეპარა და გაიხედა.

— შენი სული კი წაწყდეს, შენი. რას ჩამალულხარ და გვისმენ?

მოხუცი ნელა შემოვიდა ოთახში. ხელში ისევ ცოცხი ეჭირა. ფეხდაფეხ, კოჭლობ-კოჭლობით ბებერი ნაგაზი შემოყვა; გაჭალარავებული დრუნჩი ჰქონდა და სიბერისაგან ლიბრმოკიდებული, უსიცოცხლო, წირპლიანი თვალები. კედლამდე ძლივს მიფოფხდა და დაწვა; ჩუმ-ჩუმად, ღრენით რწყილებისაგან ლაჟმულ ბანჯგვლს ილოკავდა. მოხუცს თვალი არ მოუშორებია ძაღლისთვის, ვინემ არ დაწვა.

— ყურს კი არ გიგდებდით, უბრალოდ, ჩრდილს შევეფარე და ჩემს ძაღლს ვეფერებოდი. სწორედ ახლა მოვრჩი აბანოს დალაგებას.

— ჩვენს საქმეებში ცხვირს თუ არ ჩაჰყოფ, აჯობებს, — უთხრა ჯორჯმა. — ვერ ვიტან არამკითხე მოამბეებს.

შეწუხებულმა მოხუცმა ჯერ ჯორჯს შეხედა, მერე ლენის და მერე ისევ ჯორჯს.

— ეს წუთია მოვედი, — თქვა მან, — არც კი გამიგია, რას ლაპარაკობდით; რაში მენაღვლება თქვენი საქმეები. ჩვენთან, რანჩოზე ეგეთები არ მოდის.

— ძალიანაც კარგი, თუ არ მოდის. — თქვა თითქოს გულმომბალმა ჯორჯმა. — აქ ყოფნა და მუშაობა თუ გინდა, ასეც უნდა იყოს.

მერე მოხუცი ისევ მოჰყვა თავის მართლებას, სულაც არ მისმენია თქვენი ლაპარაკისთვისო.

— შემოდი და დაჯექი აქ ერთი წუთით, — უთხრა ჯორჯმა. — რა ბებერია ეგ შენი ძაღლი.

— ლეკვი რომ იყო, მაშინ ავიყვანე და მას აქეთ ვართ ასე. აფსუს, რა კარგი ნაგაზი იყო! — მოხუცმა ცოცხი კედელს მიაყუდა და ისევ მოისრისა ხელით ჯაგარა ლოყა. — მაინც როგორ მოგეწონათ ჩვენი ბოსი? — იკითხა მან.

— არა უშავს რა, კარგი ვინმე უნდა იყოს.

— კი, კარგი ბიჭია, — დაეთანხმა მოხუცი. — ერთი შეხედვითა ჩანს ასე ბრაზიანი.

ამ დროს ბარაკში ერთი ახალგაზრდა კაცი შემოვიდა. გამხდარი იყო, შავ-

გვრემანი; ცისფერი თვალები ჰქონდა და ხშირი ხუჭუჭა თმა. მარცხენა ხელზე სამუშაო ხელთათმანი ეცვა, ფეხებზე კი მაღალქუსლიანი წაღები — ბოსს, რომ ეცვა, სწორედ ისეთი.

— ჩემი ბებრუცანა არ გინახავთ? — იკითხა მან.

— აქ იყო, ხუჭუჭავ, ეს წუთია გავიდა; ალბათ სამზარეულოში ან ეზოში.

— წავალ, იქნებ ვიბოვო, — თქვა ხუჭუჭამ, შემდეგ უცნობი სახეები შეათვალიერა და შეჩერდა. ჯერ ჯორჯს შეხედა ცივად, შემდეგ ლენის. მკლავები ნელ-ნელა იდაყვებში მოხარა და მუშტები შეკრა, მოუხეშავი სხეული დაძაბა და ჩაიცუცქა. ახალმოსულები გამომწვევად აწონ-დაწონა; ლენიმ ამ მზერას ვერ გაუძლო, მოიკუნტა და ადგილზე ატოკდა. ხუჭუჭა ნელა, ფრთხილად მიუახლოვდა ლენის.

— მაშ, თქვენ გელოდებოდათ ჩემი ბებრუცანა ამ დილით?

— ჩვენ ახლახან მოვედით.

— აი, ამ აყლაყუდამ თქვას!

დაბნეული ლენი უფრო მეტად მოიკუნტა.

— არ უნდა და არ ამბობს, — უთხრა ჯორჯმა.

ხუჭუჭა აენთო და მყისვე მიტრიალდა მისკენ.

— ღმერთმანი, კაცი არ ვიყო, თუ ეს აყლაყუდა არ ავალაპარაკო. შენ კი ვითომ რას ეჩრები სხვის საქმეში?

— ჩვენ სულ ერთადა ვართ და იმიტომ, — ცივად მოუჭრა ჯორჯმა.

— ერთადა ხართ?

ჯორჯი დაძაბული, გაქვავებული იჯდა.

— დიახაც, ერთადა ვართ.

ლენი უმწეო თვალებით შეჰყურებდა ჯორჯს, ალარ იცოდა, რა ექნა.

— შენ რა, კლიტე დაადე ამ აყლაყუდას პირზე, თუ რა?

— თუ რაიმე სათქმელი აქვს, გითხრას, ვინ უშლის? — თავი გაიქნია ლენისკენ ჯორჯმა.

— ჩვენ ახლახან მოვედით, — წაილუღლუღა ლენიმ.

ხუჭუჭა თითქოს დაკმაყოფილდაო ნათქვამით და ლენის მიაშტერდა.

— მეორედ რამეს თუ გკითხავენ, კეთილინებე და ხმა ამოიღე!

მერე კარს მიაშურა და გარეთ გავიდა; ხელები ისევ იდაყვებში ჰქონდა მოხრილი.

ჯორჯმა თვალი გააყოლა და მოხუცს მიუტრიალდა:

— თუ ძმა ხარ, მითხარი, ნეტავ რა ჯანდაბა უნდა ამ კაცს? დაუშავა ლენიმ რამე, თუ რაშია საქმე?

მოხუცმა შიშით კარს გახედა, ვინმე ხომ არ მისმენსო.

— ეგ ბოსის ვაჟია, — ხმადაბლა თქვა მან. — მაგარი ჩხუბი იცის. ადრე რინგზე გამოდიოდა, მსუბუქ წონაში; ჩემმა მზემ, მაგარი მოჩხუბარია.

— მერედა, იყოს მაგარი მოჩხუბარი, — თქვა ჯორჯმა. — ლენის რალაზე ვადაეკიდა, ამ საცოდავს მისთვის არაფერი დაუშავებია. რას ერჩის?

მოხუცი ჩაფიქრდა.

— იცით, რა... რა გითხრათ, ხუჭუჭა პატარა რომაა ტანად, ბოლმა კლავს, ყველა პატარა ასეა; ჰოდა, დიდ ბიჭებს ვერ იტანს, სულ მუშტი-კრივზე იწევა; ეტყობა, თვითონ პატარა რომ არის, დიდების დანახვაზე სულ ელეთ-მელეთი

მოსდის, მათი ჯინი კლავს. შენ რა არ გინახავს ეგეთი ახირებული ჩია კაცები, სულ ჩხუბზე რომ უჭირავთ თვალი?

— კი, როგორ არა, — თქვა ჯორჯმა, — ეგეთი ლაწირაკი ბევრი მინახავს; მაგრამ ხუჭუჭას ურჩევნია ლენის თავი გაანებოს, [illegible] სულ, თავის ტყავში დაეტიოს. არაფერი შეეშალოს. ლენი დიდი მოკრივე [illegible] ყავს, მაგრამ თუ ტვინი აერია, მაგ ლაწირაკს სულ ვაი დედას აძახებინებს.

— ოო! ხუჭუჭა ისეთი მოქნილია, რომ არ ვიცი, — დაეჭვდა მოხუცი.— მე კი არ მომწონს მაგისი საქციელი და ვამტყუნებ კიდეც; აი, ვთქვათ, ამისთანა დევივით კაცს რომ ეძგეროს და კარგადაც მიეყოს, მაშინ ყველას სალაპარაკოდ ექნება,— კაცო, ეგ ხუჭუჭა რა ყოჩაღი ვინმეაო; მაგრამ, ვთქვათ, დაეძგეროს და თვითონვე გაიტყიპოს, მაშინ იმ მეორეს გაამტყუნებენ — კაცო, ამას რომ ურტყამდა, თავისი ტოლი ვერ იპოვაო; შეიძლება მერე მთელი ხროვა დაესხიოს და გახეთქონ კიდეც ცემით. მე კი არ მომწონს ეგ ამბავი და რა ვიცი; ეს კია, ხუჭუჭა გასაქანს არავის აძლევს.

ჯორჯმა კარს გახედა და დაიმუქრა:

— მაგას ურჩევნია ლენის მოერიდოს. დიდი მოჩხუბარი არა მყავს, მაგრამ ღონე ერჩის და სწრაფია; ჩემს მტერს მოხვდა მაგისი ხელი; არც მაგათი წესების გაეგება რამე. — მერე მაგიდასთან მივიდა, ერთ-ერთ ყუთზე ჩამოჯდა. დაყრილი კარტი მოკრიფა და აჭრა.

მოხუცი მეორე ყუთზე ჩამოჯდა.

— ხუჭუჭას არ უთხრათ, ამდენი რომ გელაპარაკეთ მაგაზე, თორემ ტყავს გამაძრობს. მე ვიკითხო, თორემ მაგას რა ენაღვლება, მაინც არ გააგდებენ აქედან, ბოსის შვილია და იმიტომ.

ჯორჯმა კარტი აჭრა და მერე თითო-თითოდ გადმოატრიალა; დახედავდა და მაგიდაზე ყრიდა.

— ეგ თქვენი ხუჭუჭაა თუ რა ქვია მაგას, კაი სალახანა უნდა იყოს, აბ მიყვარს ეგეთი გაბოროტებული ლაწირაკები, — დასძინა ბოლოს.

— ბოლო დროს მაინც სულ გათავხედდა. — თქვა მოხუცმა. — ამ ორი კვირის უკან ცოლი ითხოვა; ბოსის სახლში ცხოვრობს ცოლთან ერთად; რაც ცოლი მოიყვანა, მას შემდეგ სულ გადაირია და გაცოფდა.

— იქნებ უნდა ცოლის თვალში ფასი აიგდოს, — ჩაიბურღღუნა ჯორჯმა.

მოხუცს ჭორაობის საღერღელი აეშალა.

— მარცხენა ხელზე რომ ხელთათმანი ეცვა, ხომ შეამჩნიე?

— კი, ვნახე.

— ჰოდა, ის ხელთათმანი სულ ვაზელინითაა გაჟღენთილი.

— ვაზელინით? რა ჩემ ფეხებად უნდა?

— მაგასაც გეტყვი. ასე ამბობს: მაგ ხელს ჩემი ცოლისთვის ვინახავ ასე სათუთადო.

ჯორჯი ყურადღებით ათვალიერებდა კარტს.

— ეგ საზიზღრობა რა სალაპარაკოა. ფუჰ, შეურცხვეს კაცობა. — თქვა ჯორჯმა.

მოხუცი უფრო გათამამდა. რაკი ბოსის შვილზე ჯორჯს ცუდი დააცდენინა, უფრო თამამად დაიწყო ლაპარაკი.

— ცოტა მოიცადე და ხუჭუჭას ცოლსაც ისილავ.

ჯორჯმა ისევ აჭრა კარტი და ნელა, გულდასმით შეუდგა პასიანსის გაშლას.

— ლირს მაინც რამედ?

— კი, ლირს, მაგრამ...

ჯორჯი კვლავ ყურადღებით დაჰყურებდა კარტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მაგრამ?

— რადა, კაცებს თვალებს უბრაწავს

— რაო? ორი კვირაც არ გასულა, რაც გათხოვდა და უკვე თვალებსა ბრაწავს? მაგიტომაც აწვია მაგის ქმარს კუდი და ეგაა.

— ზორბას რომ თვალი ჩაუკრა, მე თვითონ დავინახე. ზორბა ჩვენი მთავარი გამრეკია; ოქრო ბიჭია. მაგას კი არ ჭირდება მაღალქუსლიანი წაღების ჩაცმა თავის გამოსაჩენად, აქაოდა მე ვარ, რაცა ვარო. ჰოდა, ზორბას რომ გაებრანჭა, მე თვითონ დავინახე-მეთქი. ხუჭუჭა აზრზეც არ არის კიდევ ქალბატონს რომ ეკურკურებოდა, არც ის გამომპარვია.

ჯორჯი ისე იჯდა, ვითომდა, სულ არ აინტერესებდა ეს ამბავი.

— გასართობი გვქონია და რადა ვვიჭირს.

მოხუცი წამოდგა.

— იცი, რას ვფიქრობ? — ჯორჯმა არ უპასუხა. — იცი, ჩემი აზრით ხუჭუჭამ ცოლი კი არა... ნამდვილი ბოზი დაისვა სახლში.

— ასეთი რამე ბევრ სხვასაც მოსვლია, — თქვა ჯორჯმა. — ეგ არ არის პირველი და უკანასკნელი.

მოხუცმა კარს მიაშურა. მისი დაფეხვილი ძაღლიც წამოიწია, მიმოიხედა, რის ვაი-ვაგლახით დადგა ფეხზე და პატრონს გაჰყვა.

— სადაცაა ბიჭები დაბრუნდებიან და საბანაოდ წყალი უნდა გავუმზადო. თქვენ ქერი უნდა ჩაყაროთ ტომრებში?

— ჰო.

— იმედია, ხუჭუჭას არაფერს ეტყვით?

— დარდი არ გქონდეს.

— ჰოდა, კარგად დააკვირდით იმ ქალბატონს და ნახავთ, რა ჩიტიც არის.

— მოხუცი გარეთ, ბრდღვიალა მზეზე გავიდა

ჯორჯი ფიქრს მისცემოდა. კარტს სამ-სამად აწყობდა. ტუჩებზე ჯვრის ოთხიანები დააწყო. მზის შუქი ახლა უკვე იატაკს ეცემოდა და ბუზებიც ნაპერწკლებივით ირეოდნენ სინათლეში. გარედან ცხენის აკაზმულობის ჟღარუნი და მძიმედ დატვირთული ფორნების ჭრიალი ისმოდა. მერე შორს ვილაცამ წკრიალა ხმით დაიძახა: „მეჯინიბევ! ჰეი, მეჯინიბევ!“ და მერე: „ნეტა სად ჯანდაბაში წავიდა ეს წყეული ზანგი?“

ჯორჯმა პასიანსს დახედა, მერე მთელი კარტი ერთიანად აჭრა და ლენისკენ მიტრიალდა. ლენი საწოლზე იწვა და ჯორჯს შესცქეროდა.

— მისმინე, ლენი! აქ რაღაც ცუდი ამბავი ტრიალებს. ცოტა არ იყოს, მეშინია კიდეც, იმ ხუჭუჭამ რაიმე ხიფათს არ გადაგვკიდოს. ეგეთი ნაძირალა ბევრი მინახავს! გასაყიდი ცხენივით არ მოგსინჯა? მიგას ჰგონია, მაგრად დაგაშინა, და ახლა დროს იხელთებს თუ არა, იმწამსვე გეექავს.

ლენის თვალები გაუფართოვდა.

— არ მინდა ხიფათში გახვევა, — შესაბრალისად აღმოხდა მას. — არ აცემინო რა ჩემი თავი, ჯორჯ!

ჯორჯი მაგიდას მოშორდა, ლენის საწოლთან მივიდა და ჩამოჯდა.

— ვერ ვიტან ეგეთ ნაბიჭვრებს, — თქვა მან. — ეგეთი ბევრი მინახავს, ვიცი, რაც არიან. მოხუცის თქმისა არ იყოს, ხუჭუჭა რას კარგავს, მაგათია ეს ქვეყანა.

ჯორჯი წუთით ჩაფიქრდა.

— ისე, ძალიან თუ გადაგეკიდა, აქედან წასვლა მოგვიწევს, წყალი არ ეაუვა. ბოსის შვილია და რას იზამ? მისმინე, ლენი! თავი შორს დაიჭირე; მაინცდამაინც თვალში ნუ შეეჩხირები; არც დაელაპარაკო; აქ თუ შემოვიდა, იმწამსვე ადექი და ოთახის ბოლოში გადი, კარგი?

— არ მინდა ხიფათში გახვევა. — აწუწუნდა ლენი. — ხომ არაფერი დაშიშავებია მისთვის?

— ხუჭუჭამ თუ საჩხუბრად აიწყვიტა, ეგ წუწუნი და თავის მართლება არ გიშველის. უბრალოდ გაეცალე, საერთო არაფერი იქონიო მასთან. ხომ დაიხსომებ?

— დავიხსომებ, ჯორჯ, ხმასაც არ ამოვიღებ. — გარედან ხმაური იხლოვდებოდა: სულ უფრო გარკვევით ისმოდა მძიმე ფლოქვების თქარუნი, თვლების ნელი ღრჭიალი, აკაზმულობის ჟღარუნი. კაცები ერთმანეთს რაღაცას გადაძახ-გადმოძახოდნენ, ჯორჯი ლენის გვერდით იჯდა საწოლზე, ფიქრისაგან სახე დაძაბვოდა. ლენიმ გაუბედავად იკითხა:

— ჩემზე ბრაზობ, ჯორჯ?

— შენზე კი არა ვბრაზობ, აი, ის ხუჭუჭა ნაბიჭვარი მაცოფებს; ვიფიქრე, აქ მაინც ვიშოვიდით ცოტა ფულს, ერთი ასიოდე დოლარს მაინც. — მერე, თითქოს თავისთვის რაღაც გადაწყვიტაო, შეცვლილი ხმით განაგრძო:— ბართლა მოერიდე მაგ ნაბიჭვარს, ლენი!

— აუცილებლად, ჯორჯ, ხმასაც არ გავცემ.

— ეცადე ჩხუბში არ ჩაგბმრიოს მაგ შობელძაღლმა, მაგრამ თუ ხელი დაგაკარა, უკან არ დაიხიო, ერთი შენებურად უჩვენე!

— რა ვუჩვენო, ჯორჯ?

— კარგი, კარგი, ეხლა მაგისი დრო არ არის. როცა საჭირო იქნება, მე თვითონ გეტყვი. ოჰ, როგორ ვერ ვიტან ეგეთ მაიმუნებს. მისმინე, ლენი, თუ მაინც რამე ხიფათში გაეხვიო, ხომ იცი, რა უნდა ქნა? გახსოვს?

ლენი იდაყვზე წამოიწია, სახე ფიქრისაგან დაეძაბა. მერე დაღონებული თვალები ჯორჯს მიაპყრო და უთხრა:

— თუ რამე ხიფათში გავეხვიე, მაშინ კურდღლების მოვლის ნებას არ მომცემ, ხომ ვიცი.

— რა დროს კურდღელია, გუშინ რომ გვეძინა, ის ადგილი ხომ გახსოვს, მდინარის პირას?

— კი, მახსოვს. ძალიან კარგად მახსოვს. ჰო... იქ გავიქცევი და ბუჩქებში დავიმალები!

— დაიმალები და ჩემს მოსვლამდე იქ იჯდები. ოღონდ არავინ დაგინახოს. მდინარესთან რომ ბუჩქებია, იქ; ახლა გაიმეორე რამდენჯერმე!

— მდინარესთან რომ ბუჩქებია. იქ უნდა დავიმალო, მდინარესთან რომ ბუჩქებია...

— თუ ხიფათში გაეხვევი.

— თუ ხიფათში გავეხვევი.

გარეთ ფორანმა დაიჭრიალა. ვილაცამ დაიძახა: „მეჯინიბე, ჰეი, მეჯინიბე!“

— რამდენჯერმე გაიმეორე შენს გულში, ლენი, და არ დაგავიწყდება, — უთხრა ჯორჯმა.

მზის შუქი უეცრად გაქრა კარზე და ორივემ ერთდროულად წამოსწია თავი. კარებში ქალი იდგა და მათ უყურებდა. ქალს ჩორციანი, დაბუშტული ტუჩები ზედმეტად წაეთხიპნა და დიდრონი თვალებიც შავად ამოეღება. ხელებზე ფრჩხილები წითლად ულაპლაპებდა; თმის კულულები მხრებზე ეყარა წვრილ-წვრილი ძეხვებივით, საშინაო ბამბის ქსოვილის წითელი კაბა და წითელი ქოშები ეცვა; ქოშებზე, შუაში, სირაქლემის წითელი ბუმბული ირიეოდა.

— ხუჭუჭას ვეძებ, — თქვა მან. ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს ცხვირში ლაპარაკობსო და თან ოდნავ ხრინწიანი.

ჯორჯმა ჯერ ზურგი შეაქცია, მერე ისევ შეხედა:

— ახლახან აქ იყო, წავიდა.

— ოჰ!— ქალმა ხელები უკან დაიწყო და მთელი ტანით ოთახისკენ გადმოიბზიკა, თან კარის ჩარჩოს ებჯინებოდა.

— თქვენა ხართ ახლები? დღეს ჩამოხვედით?

— დიახ.

ლენიმ ქალი თავით ფეხამდე შეათვალიერა; ქალს თითქოს არ მიუქცევია მისთვის ყურადღება, მაგრამ ცხვირი მაინც ოდნავ აბზიკა და მერე წითელ ფრჩხილებზე დაიხედა.

— ხუჭუჭა ხანდახან შემოდის ხოლმე აქ, — თითქოს თავი გაიმართლა ქალმა.

— ჰო, მაგრამ, ახლა არ არის, — მკვახედ მოუჭრა ჯორჯმა.

— არ არის და სადმე სხვაგან მოვძებნი, — წაიკეკლუცა ქალმა.

მოჯადოებული ლენი თვალს არ აშორებდა.

— თუ ვნახავ, ვეტყვი, რომ ეძებდით, — დაუმატა ჯორჯმა.

ქალმა ისევ კეკლუცად გაიღიმა და მთელი ტანი შეარხია.

— ვითომ რაო, არ შეიძლება ვიკითხო?

გარედან ვილაცის ფეხის ხმა მოისმა. ქალმა იქით გაიხედა და მიესალმა:

— ზორბა, შენ ხარ? გამარჯობა.

კარს იქით ზორბას ხმა გაისმა:

— გამარჯობა, ტურფავ.

— ხუჭუჭას ვეძებ.

— ეტყობა, კარგად არ გიძებნია. სწორედ ახლა ვნახე, შინ მიდიოდა.

ქალი უეცრად აფორიაქდა.

— ნახვამდის, ბიჭებო! — შესძახა მან ბარაკში მყოფთ და გაუჩინარდა.

ჯორჯმა ლენის შეხედა.

— ღმერთო, ეს რა კახპა ვინმე ყოფილა! — წამოიძახა მან. — აი, თურმე რანაირი ცოლი მოუყვანია ხუჭუჭას.

— რატომ, ეშხიანია, — გამოექომაგა ლენი.

— ჰოდა, კიდევაც გვაბამს თავისი ჭკუით, ჯერ სადა ხართ! კაი დღეში ჩააგდებს მაგ ხუჭუჭას. ნაძლავსა ვარ, თუ ოც დოლარად, ვისაც გინდა, იმას არ გაეკიდოს.

ლენი ისევ კარს მიშტერებოდა, სწორედ იმ ადგილს, წელან ქალი რომ იდგა.

— არა, მაინც რა ეშხიანია! — აღტაცებული ღიმილით თქვა მან. ჯორჯმა სწრაფად გახედა, ხელი ყურში წაავლო და ერთი მაგრად მოქაჩა.

— მისმინე, შე ჭკუათხელო, შე ნაბიჭვარო, შენა! — მკაცრად დაუყვირა ლენის. — თავი გაანებე ამაგ ძუკნას, იცოდე; ზედაც არ შეხედო, რაც არ უნდა გითხრას და გააკეთოს. მშვენივრად ვიცი მაგისთანა კახპების ამბავი, მაგრამ ასეთი წუნკალი და გათახსირებული ქალის მნახველი არა ვარ. შეეშვიძმაო! თავი გაანებე!

ლენი ყურის განთავისუფლებას ცდილობდა.

— მე არაფერი მიქნია, ჯორჯ!

— თუ არაფერი გიქნია, იმ ქალბატონმა ფეხები რომ გადმოგვიწყო, სხვა მხარეს რატომ არ გაიხედე?

— ცუდი არაფერი მიფიქრია, ჯორჯ, გეფიცები, ცუდი არაფერი.

— ერთი სიტყვით, მაგ ქალს მოერიდე; იმიტომ, რომ ეგ ისეთი ვინმეა, ლალუპავს კაცს, თუკი რამე გამეგება. გაუშვი, ხუჭუჭამ იხეთქოს თავი, რამდენიც უნდა, ახია მაგაზე! ეგ ვაზელინის ხელთათმანიანი, ეგა! — ზიზღით თქვა ჯორჯმა. — ნიძლავსა ვარ, თოხლო ვერცხლებსაც ყლაპავს დილაობით ვაჟბატონი და ნაირ-ნაირი პატენტიანი წამლებიც ექნება გამოწერილი დასალევად.

ლენამ უცებ მთელი ხმით წამოიყვირა:

— არ მომწონს ეს ადგილი, ჯორჯ, რაღაც ცუდ ადგილას მოვედით, წავიდეთ აქედან, რა, წავიდეთ!

— რას იზამ, უნდა დავრჩეთ, სანამ ჩვენს წილს არ მოგვცემენ. სხვა რა გაეწყობა, ლენი. როგორც კი შესაძლებელი იქნება, იმწამსვე წავალთ. არც მე მეხატება გულზე მაინცდამაინც აქაურობა. — ჯორჯი მაგიდას მიუბრუნდა და ისევ პასიანსი გაშალა. — არა, ნამდვილად არ მეხატება. — დასძინა მერე.— უფულობას რა ვუთხრა, თორემ მეც სიამოვნებით გავიქცეოდი აქედან. აი, სულ ასოდე დოლარი მაინც დავაგროვოთ და მერე ფეხის დამდგმელი ვინ არის აქ; ზემოთ ავუყვეთ, მისისიპის სათავისკენ და ვრეცხოთ ოქრო; იქ ალბათ დღეში რამდენიმე დოლარს გავაკეთებთ და ჯიბესაც გავისქელებთ.

გახალისებული ლენი ჯორჯისაკენ გადაიწია.

— მოდი, წავიდეთ, ჯორჯ. წავიდეთ აქედან, აქ ძალიან ცუდია.

— არა, უნდა დავრჩეთ, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩაილაპარაკა ჯორჯმა, — მოიცადე ახლა, საცაა ბიჭებიც მოვლენ.

აბანოდან წყლის ჭყაპუნი და ტაშტების რახარუხი მოისმა. ჯორჯი ისევ კარტს ჩაშტერებოდა.

— ჩვენც ხომ არ გვებანავა? — იკითხა მან. — თუმცა ისეთი რა ვიშრომეთ რო. არც კი გავსვრილვართ.

კარებში მაღალი კაცი გამოჩნდა. იღლიაში დაჭმუჭნული სტეტსონის ქუდი ჰქონდა ამოჩრილი და თან ხელით გრძელ შავ თმას უკან ივარცხნიდა. სხვებივით მასაც ლურჯი ჯინსები და მოკლე ქურთუკი ეცვა. თმის ვარცხნას რომ მორჩა, ოთახში შემოვიდა. ასე მედიდურად თვით ხელმწიფე ან ოსტატთა უსტაბაში თუ გაივლიდა. ეს კაცი ჯორების საუკეთესო გამრეკი გახლდათ — რანჩოს მეფე; ერთბაშად ათი, თექვსმეტი, ასე განსაჯეთ, ოცი პირუტყვის გაძღოლაც კი თავისუფლად შეეძლო; მაორახით ისე მოკლავდა ჯორის შუა გავაზე

მჯდარ ბუზს, პირუტყვი ვერც კი იგრძნობდა; ისეთი ამაყი და თავდაჯერებული იერი ჰქონდა, ლაპარაკს რომ დაიწყებდა — ყველა იმწამსვე გაისუსებოდა, ისეთი დიდი პატივისცემა მოეპოვებინა, ბოლო სიტყვა ყველაფერში, პოლიტიკა იყო ეს თუ სიყვარული, — მას ეკუთვნოდა. ასეთი გახლდათ ზორბა — რანჩოს საუკეთესო გამრეკი. მის მოგრძო სახეს ასაკი არ ეტყობოდა, ორმოცდათიც შეიძლებოდა მიგეცათ და ოცდათხუთმეტიც. სიტყვის დამთავრებამდე ხვდებოდა ყველაფერს, დინჯი, დარბაისლური ლაპარაკი საქმეში ღრმა ჩახედულობას მოწმობდა მისას. თხელ, გრძელ ხელებს მოცეკვავესავით მოხდენილად ამოძრავებდა.

ზორბამ თავისი დაჭმუჭნული ქუდი ხელით გაასწორა, შუაზე გაკეცა და იქვე მაგიდაზე დააგდო. მერე ახალმოსულებს მეგობრულად გახედა.

— რა უმოწყალოდ აცხუნებს მზე, — თქვა მან გულითადი ხმით. — აქ კი თვალთ დამიბნელდა, ველარაფერს ვხედავ. თქვენ ახლები ხართ, ბიჭებო?

— ახლახან მოვედით, — უპასუხა ჯორჯმა.

— ქერი უნდა ჩაყაროთ ტომრებში?

— ბოსმა ასე გვითხრა.

ზორბა ჯორჯის პირდაპირ ერთ-ერთ ყუთზე ჩამოჯდა და მისკენ უკულმაჯ გაშლილ პასიანსს შეხედა.

— ალბათ ჩემთან იმუშავებთ, — თქვა მან. რბილი ხმით ლაპარაკობდა — თორემ ერთი-ორი ისეთი ღლაპი მყავს ჯგუფში — ქერის ტომარას გასაბერი ბუშტისაგან ძლივს არჩევენ. თქვენ ჩაგიყრიათ როდესმე ქერი?

— როგორ არა, —უპასუხა ჯორჯმა. — თვითონ დიდი სატრაბახო არაფერი მაქვს, მაგრამ აი, ამ მუტრუკს ხომ უყურებთ, მარტო ამას იმდენის ჩაყრა შეუძლია, ორი-სამი მუშა მიმიქარავს.

ლენი ყურს უგდებდა, ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს; ასეთი ქებადიდება რომ გაიგო, სიხარულისაგან სახე მთლად გაებადრა. ზორბასაც ესიამოვნა ეს შექება და მოწონებით გახედა ჯორჯს, მაგიდას დაეყრდნო, განზე დაგდებულ კარტს ყურში მოკიდა ხელი და აიღო.

— თქვენ სულ ერთად

— ეს ბიჭები ახლა მოვიდნენ. — გააცნო ზორბამ ისინი სქელ კაცს.

— მოხარული ვარ, ბატონებო. —თქვა შემოსულმა. — მე ქარლსონს მეძახიან.

— მე ჯორჯ მილტონს, ეს კი ლენია, ლენი ნამცეცა.

— სასიამოვნოა, — ისევ თქვა ქარლსონმა. — რა ბატარა ყოფილა? — ჩუმად ჩაეცინა თავისივე ხუმრობაზე ქარლსონს — ნამცეცა კი არადა... ჰო, მართლა, ზორბა, იცი, რა უნდა მეკითხა? ძაღლი როგორა გყავს? დღეს ვნახე. შენი ურიკის ქვეშ იწვა.

— გუშინდამ ლეკვები დაყარა, — უთხრა ზორბამ. — ცხრა ლეკვი, ოთხი ვვრეევე დავახრჩვე. ამდენს მაინც ვერ აჭმევდა.

— მაშ, ხუთი დაგრჩენია.

— ჰო, ხუთი. უფრო დიდები დავტოვე.

— კაი ჯიშის გამოვლენ, როგორ გგონია?

— რა ვიცი, — თქვა ზორბამ. — ალბათ ნაგაზები არიან. ლულუს მძუვნობის დროს სულ მაგ ჯიშის ხვადები დაწრიალებდნენ ახლომახლო.

— მაშ, ხუთი ლეკვი გყავს? ხუთივე შენ უნდა დაიტოვო? — ისევ იკითხა ქარლსონმა.

— რა ვიცი, ჯერ დავიტოვებ, ცოტა ხანს სწოვონ ლულუს რძე.

— იცი რა, ზორბა, — საბე დაუდინჯდა ქარლსონს. — აი, რა მოვიფიქრე. ეგ ოხერი ჩამიჩას ძაღლი ისე დაბერდა, ფეხებს ძლივს დაათრევს. თანაც ისე ყარს, კაცს გული წაუვა; რამდენიც ამ ბარაკში შემოვა, ორი-სამი დღე ისეთ სუნსა სტოვებს, ლამისაა დაგვახრჩოს. იქნებ როგორმე დავიყოლიოთ ჩამიჩა. მოკლას ეგ ძაღლი, შენ ლეკვს მისცემდი, გაზრდის და მადლია; ამ ქეციანი ძაღლის სუნი კი ერთ მილზე მცემს. კბილები მაგას ალარა აქვს და ჭამა მაგას ალარ შეუძლია; თვალშიც რომ ვეღარ იყურება! ხომ ხედავთ, ჩამიჩა სულ რძეს ასმევს, საჭმელს ვეღარ ღეჭავს და აბა რა ქნას?

ჯორჯი ზორბას თვალს არ აშორებდა. უცებ გარეთ რკინის ძელს ჩამოკრეს; ჯერ ნელა, მერე თანდათან აუჩქარეს და აუჩქარეს, სანამ ერთიანი, გაბმული რეკვა არ გაისმა. მერე ისევე უცებ შეწყდა, როგორც დაიწყო.

— აბა დროა, — თქვა ქარლსონმა.

გარედან ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა, — მუშების ჯგუფმა ჩაიარა.

ზორბა ნელა, დინჯად წამოდგა.

— აბა, ბიჭებო, თქვენც წამოდით, სანამ დროა, თორემ ასე ბოთეებივით თუ იჯექით, ორ წუთში ნამცეციც არ დარჩება.

ქარლსონი უკან დაიხია, ზორბა წინ გაუშვა და ორივენი ერთად გავიდნენ. ლენი აფორიაქებული იყო, ჯორჯს თვალს არ აშორებდა. ჯორჯმა კარტი ერთიანად მოხია და იქვე დადო.

— ვიცი, მიგიხვდი, ლენი, აუცილებლად ვთხოვ.

— ოღონდ თეთრი იყოს, ყავისფერი ხალებით, — წამოიყვირა ლენიმ.

— წამო, ვისადილოთ. იქნებ არცა ჰყავს ყავისფერხალებიანი ლეკვი, ხომ არ ვიცი?

ლენი გაშეშებული იჯდა და საწოლიდან არ იძროდა.

— ახლავე თხოვე, ჯორჯ, თორემ იქნებ კიდევ დაახრჩოს საწყლები.

— აუცილებლად, ახლა კი წამოდი, მოშორდი მაგ საწოლს.

ლენი საწოლიდან გადმოკოტრიალდა, წამოხტა და ორივემ კარს მიაშურა. ჯერ კართან არ მისულიყვნენ, რომ ხუჭუჭა ოთახში შემოვარდა.

— აქ ქალს ხომ არ შემოუხედავს? — იკითხა გაოგებულმა.

— ასე ნახევარი საათის უკან იყო, — ცივად უპასუხა ჯორჯმა.

— რა ჯანდაბა უნდოდა?

ჯორჯი მშვიდად იდგა და გააფთრებულ კაცუნას შესცქეროდა. მერე უნებლად უპასუხა:

— ქმარს ვეძებო, ასე თქვა.

ხუჭუჭამ თითქოს პირველად შეამჩნიაო ჯორჯი, თვალები დაუბრიალა, ახედ-დახედა. მერე მანძილიც გაზომა, თითქოსდა მოყვანილი ტანი შეუთვალიერა.

— მერე საით წავიდა? — დასცდა მას ისევ.

— რა ვიცი,— უპასუხა ჯორჯმა. — კუდში არ გავკიდებივარ.

ხუჭუჭამ შეუბღვერა, გატრიალდა და გარეთ გავარდა.

— იცი რა, ლენი, მგონი, მე თვითონ მომიხდება ამ წუნკლის მორჯულება. მაგისი თავხედობა ძარღვებს მიშლის. ღმერთო ჩემო! წამოდი, წამოდი, თორემ ასე მშიერები დავრჩებით.

ისინი გარეთ გავიდნენ. სარკმლის ქვეშ მზის შუქი ვიწრო ზოლად გასდევდა კედელს. შორიდან ჯამების ჩხარაჩხური ისმოდა. ცოტა ხნის მერე ლია კარებში ბებერი ძაღლი შეძუნძულდა კოჭლობით. ერთგული, ბრუციანი თვალებით ირგვლივ მიმოიხედა, ჰაერი შეიყნოსა, მერე დაწვა და თავი წინა თათებში ჩარგო.

ხუჭუჭამ ისევ შემოიხედა ოთახში და იქაურობა მოათვალიერა, ძაღლი წამოიწია, მერე კი, წავიდა ხუჭუჭა თუ არა, ჭალარა, ბებერი თავი ისევ იატაკს მიასვენა.

III

ბარაკის სარკმლებს ჯერაც ეთამაშებოდა საღამოს მოწყენილი სხივები, მაგრამ შიგ ოთახში უკვე ბნელოდა. ლია კარიდან ფეხების ბაკუნი, რკინის ჭღარუნი და დროდადრო აღფრთოვანებული ან დამცინავი შეძახილები ისმოდა — ეტყობა, ნალობანას თამაშობდნენ.

ზორბა და ჯორჯი ჩაბნელებულ ბარაკში ერთად შევიდნენ. ზორბამ კარტებით მოფენილ მაგიდას ხელი გადააწვდინა და თუნუკისფარიანი ნათურა ჩართო. ბრდღვიალა შუქი ერთბაშად მოეფინა მაგიდას და ნათელ კონუსად ვაღაიღვარა იატაკზე. მაგრამ ოთახის კუთხეებამდე ვეღარ მიაღწია და ბნელში დატოვა. ზორბა ყუთზე ჩამოჯდა, ჯორჯიც მის პირდაპირ მოთავსდა.

— ეგ არაფერი, — უთხრა ზორბამ, — ალბათ დანარჩენებსაც დავახრჩობდი ცოტა ხანში, ასე რომ სამადლობელი არაფერი გაქვს.

— შენთვის შეიძლება არაფერია, მაგრამ ლენისთვის კი ნამდვილად ღვთის წყალობაა. შენ თქვი ახლა მაგის შინ შემოყვანა. ძილსაც მათთან ერთად მოინდომებს, საჯინიბოდან ვეღარ გააგდებ. ლამის შიგ ყუთში ჩაუწვეს ღეკვებს.

— ეგ არაფერია, — გაიმეორა ზორბამ, — ისე, სწორი გითქვამს, დიდი ჰკუის პატრონს არა ჰგავს, სამაგიეროდ, ასეთი გამრჯე მუშა თვალით არ მინა-

ხავს, ქერს რომ ყრიდნენ, მუშაობით კინაღამ მოკლა თავისი მეწყვილე. მაგასთან მუშაობა ბევრს გაუჭირდება. ასეთი ღონიერი ბიჭის მნახველი არა ვარ, ღმერთმანი.

ჯორჯმა ამაყად განაგრძო:

— რაც გინდა ,ის დააგალე, ოღონდ ტვინის განძრევა არ იყოს საჭირო, და ყველაფერს გააკეთებს. თავად ვერაფერს მოისაზრებს, მაგრამ, თუ მიუთითებ, მაშინ — იცოცხლე.

გარედან გარკვევით ისმოდა, როგორ ეხეთქებოდა ნალი რკინის დაფას და თან მოთამაშეების შეძახილებიც ერთვოდა.

ზორბას თვალებში სინათლე სცემდა და ცოტა უკან გაიწია.

— საოცარია მაინც, ასე ერთად რომ დადიხართ, გადაბმულებივით, — თითქოს საუბრის გაგრძელება უნდოდა ზორბას.

— მაინც რატომ არის საოცარი? — ჯიქურ ჰკითხა ჯორჯმა.

— აბა რა ვიცი, იშვიათია, ბიჭები ასე ერთად რომ დადიოდნენ. თითქმის არც მინახავს ერთმანეთს ასე გადაგებული ორი კაცი. ხომ იცი, ჩვენთან როგორი მუშახელი მოდის; მოვლენ, დაიკავებენ საწოლს, ერთი თვე იმუშავებენ... მერე ფულს აიღებენ და გაქრებიან. სხვა ყველა და ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ. ჰოდა, გასაკვირია, ამისთანა ნაგიჟარი და შენსავით ჭკვიანი ბიჭი ერთად რომ შეგყარათ.

— ნაგიჟარი სულაც არ არის, — თქვა ჯორჯმა. — მაგარი ბოთეა, ბევრი არაფერი მოეკითხება, თორემ ისე გიჟი არ არის. მეც დიდი ჭკუის პატრონი არ გახლავართ, თორემ რაღაც საცოდავი ორმოცდაათი დოლარის გულისათვის კაცი ქერის ზიდვით მოიწყვეტს წელს? ჭკუა რომ მქონდეს და ცოტა მოხერხება, პატარა მიწის ნაკვეთი მექნებოდა, პურს დავთესდი და სხვის მიწას არ შეკაკლავდი თავს. — ჯორჯი უცებ გაჩუმდა. ლაპარაკის საღერღელი აეწალა, თუმცა ზორბა არც აჩერებდა და არც აგულიანებდა, უბრალოდ იჯდა და ყურს უგდებდა. — სულაც არ არის საოცარი, მე და ლენი ერთად რომ ვართ, — წაილაპარაკა ბოლოს ჯორჯმა. — ორივენი ობერნში დავიბადეთ. მე მის დეიდას კარგად ვიცნობდი კლარა ერქვა. ლენი ჯერ ჩვილი იყო, დეიდამ რომ აიყვანა და გაზარდა. დეიდა რომ გარდაეცვალა, ლენი მე მომეკედლა და მას მერე ერთად ვართ; მალე შევეჩვიეთ ერთმანეთს.

— ჰმ! — თქვა ზორბამ.

ჯორჯმა ზორბას გახედა. ზორბა კი ისევ მშვიდი, კეთილი თვალებით შესცქეროდა.

— საოცარიაო, — განაგრძო ჯორჯმა. — რამდენჯერ ამიგდია მასხრად ეგ საცოდავი, რაღაც სასწაულებს ვახდენდი, რას არ ვმაიმუნობდი. ისეთი უსუსურია, თავს ვერც დაიცავს ეგ უბედური; ვერც კი მიხვდება, რომ ამასხარავებ. მე გავერთე, მაგრამ ძალიან კი დავიბრიყვე; მაგის გვერდით დიდი ჭკუის ოლოფი შეგონა ჩემი თავი. ის კი, რასაც ვეტყოდი, ყველაფერს მისრულებდა. რომ მეთქვა, მთის წვერზე აძკერი-მეთქი, აძკრებოდა. ცოტა ხანში მეც მომბეზრდა ეს მაიმუნობა. თანაც არასოდეს გაბრაზებულა ეგ საწყალი. ხანდახან სულ ტყუილუბრალოდ ვუზაპუნებდი ხოლმე; აკი ვიცოდი — მაგის ერთი ხელის აქნევა და ძვლებიც არ შემრჩებოდა მთელი, მაგრამ თითიც არ დაუკარებია,— ჯორჯი გულში ჩამწვდომი ხმით ყვებოდა, თითქოს აღსარებას ამბობდაო. — იცი, რატომ შევწყვიტე ლენის მასხრად აგდება? ერთ დღეს მდინა-

ოე საკრამენტოსთან ბიჭების მთელი ხროვა ვიდექით; ისე, უსაქმოდ. მე, როგორც ვთქვი, ჭკუის კოლოფად მომქონდა თავი. მივუბრუნდი ლენის და ვუბრძანე: წყალში ჩახტი-მეთქი; გადახტა ეგ სულელი; წყალში კი ქვასავით იძირება, ვერ ცურავს. კინაღამ ლაგვეხრჩო, ძლივს გამოვათრიეთ. ისეთი მადლიერი იყო ჩემი, ისეთი რომ... სულ დაავიწყდა, რომ ჩემივე წყალობით აღმოჩნდა წყალში. ამის მერე მსგავსი არაფერი ჩამიდენია.

— კარგი ბიჭი ჩანს, — უთხრა ზორბამ. — კარგ ბიჭობას კი ბევრი ჭკუა არცა სჭირია. ჩემი აზრით, ჭკუა ხანდახან ცუდ საქმესაც შვრება. რამდენია ჭკვიანი, მოხერხებული, მაგრამ კაცად არ ვარგა.

ჯორჯმა დაყრილი კარტი მოკრიფა და ისევ პასიანსის გაშლა დაიწყო. გარეთ კაცების ფეხის ხმა ისმოდა. ოთხკუთხა ფანჯრებს ისევ დასთამაშებდა საღამოს გაცრეცილი ფერები.

— მე ერთი უთვისტომო კაცი ვარ, — თქვა ჯორჯმა. — ბევრი ბიჭი მიხახავს, როგორ დაეხეტება სამუშაოდ მარტოდმარტო, რანჩოდან რანჩოში. მერედა, რა ყრია ამაში? გული რას გადააყოლონ, არ იციან. ცოტა ხანში ისე ეაბოროტდებიან ხოლმე, ლამისაა ყელი გამოლაღრონ ერთმანეთს.

— ჰო, მართლაც რომ გაბოროტდებიან და ეგაა, — დაეთანხმა ზორბა.— ადამიანურად არც დაგელაპარაკებიან.

— მართალია, ლენის გვერდით თავსატეხი არ გამოგელევა, — განაგრძო ჯორჯმა, — მაგრამ შეეჩვევი ადამიანს და მერე ძნელია უიმისოდ გაძლება.

— ლენის რას ერჩი, გაბოროტებულის რა უგავს ვითომ? — შეაწყვეტინა ზორბამ,— სულაც არ არის ბოროტი.

— მართალი ხარ, სიბოროტის ნატამალი არ გააჩნია, მაგრამ მაინც სულ რაღაც ხიფათში ეხვევა ხოლმე; ლენჩია ეგ უბედური და იმიტომ. უიდშიც ასე არ მოუვიდა? — ჯორჯმა უცებ შეწყვიტა ლაპარაკი, კარტი ნახევრად შეატრიალა ხელში და აფორიაქებული შეაშტერდა ზორბას. — ხომ არსად დაკარგულა?

— რა მოხდა უიდში? — მშვიდად ჰკითხა ზორბამ.

— არავის ეტყვი?... თუმცა რა სისულელეა. შენ მაგის კაცი არა ხარ.

— მაინც რა ქნა ასეთი უიდში? — ისევ ჰკითხა ზორბამ.

— რადა, ერთი გოგო იყო იქ, წითელი კაბა ეცვა; ლენი კი ისეთი დარტყმულია, რაც თვალში მოუვა, ყველაფერი ხელით თუ არ მოსინჯა, არ იქნება. უბრალოდ ხელს შეავლებს ხოლმე, რომ გაიგოს, როგორია. ჰოდა, დაინახა თუ არა წითელი კაბა, ხელი წაავლო; გოგომ, ასე არ უნდოო, ისეთი წივილი ატეხა... ლენის მთლად დაეფანტა გონება, ჩაეჭიდა და ხელი არ გაუშვა. სხვა ვერაფერი მოიფიქრა და იმიტომ. გოგო კი წიოდა და კიოდა. მე ცოტა მოშორებით ვიყავი. გოგოს კივილი და ჩემი იქ გაჩენა ერთი იყო. ლენი სულ გამოშტერდა, ჩაევლო ხელი და არ უშვებდა — მეტი ტვინი არ ეყო. მესერს ფიცარი ავაგლიჯე და ერთი მაგრად ჩავცხე იმ შტერ თავში, იქნებ როგორმე ხელი გაუშვას-მეთქი. შენც არ მომიკვდე, ისე დამფრთხალიყო, ვერა და ვერ გავაშვებინე. რა ჯანის პატრონიცაა — შენც კარგად იცი.

ზორბა ისე მშვიდად უსმენდა, თვალიც არ დაუხამხამებია, მხოლოდ ნელა დაუქნია თავი.

— მერე რა მოხდა?

ჯორჯმა გულდასმით ჩაამწკრივა პასიანსის რიგი.

— რადა, ის გოგო მოსამართლესთან წაცანცარდა და, გამაუპატიურესო, ასე უთხრა. უიდში რაც ბიჭები იყო, ყველა ლენის დასაჭერად შეეყარა, ლინჩი უნდა მოეწყოთ. ჩვენც სხვა რა გზა გვქონდა, მთელი დღე სარწყავ არხში ვიწალებოდით ჩაყურყუმალავებულები; მარტო თავები გვქონდა ამოყოფილი ლელიანში და არ ვჩანდით. ღამით კი თავს ვუშველეთ და გავეცალეთ იქაურობას.

ზორბა ცოტა ხანს ჩუმად იჯდა.

— ისე, მაინც რამე ხომ არ უქნა იმ გოგოს, ჰა? — ჰკითხა ბოლოს.

— არა, ბოზიშვილი ვიყო. უბრალოდ შეაშინა და მორჩა. ჩემთვის რო ჩაევლო ასე ხელი, ალბათ მეც შემეშინდებოდა; არა, არაფერი უქნია იმ გოგოსთვის. წითელი კაბისთვის უნდოდა ხელი წაევლო, ეს იყო და ეს. ვერა ხედავ, როგორ ეფერება იმ ლეკვებს წამდაუწუმ, სხვა კი არაფერი უნდა.

— ბოროტი ნამდვილად არაა, — თქვა ზორბამ. — ბოროტს ერთ მილზე ეცნობ.

— რა თქმა უნდა, არაა, რამეს თუ თხოვ, ნაღდად...

კარი ლენიმ შემოაღო. ლურჯი ჯვალოს კურტაკი მოსასხამივით ჰქონდა მოკიდებული მხრებზე, ოდნავ მოხრილი შემოვიდა.

— აბა ლენი, როგორ მოგწონს შენი ლეკვი?

— თეთრია და ყავისფერი ხალებით... — სულმოუთქმელად უპასუხა ლენიმ. — მე რომ მინდოდა, ისეთი, — მერე პირდაპირ საწოლისკენ გაეშურა. წამოწვა, სახე კედლისკენ მიატრიალა და მუხლები მოკეცა.

ჯორჯმა კარტი მაგიდაზე ნელა დადო.

— ლენი! — დაუძახა მკაცრად.

ლენიმ კისერი მისკენ მიღრიცა და მხარს ზემოდან გახედა.

— რა იყო? რა გინდა, ჯორჯ?

— ხომ გითხარი, ლეკვი აქ არ მოიყვანო-მეთქი!

— რა ლეკვი, ჯორჯ? ლეკვი აქ არ არის.

ჯორჯი სწრაფად მივიდა ლენისთან, მხარში ხელი წაავლო და ძალით შემოატრიალა. მერე ხელი გადასწია და უბიდან დამალული ლეკვი ამოუძვრინა.

ლენი მყისვე წამოჯდა.

— მომეცი ლეკვი, ჯორჯ!

— ახლავე აეთრიე და ეს ლეკვი თავის ყუთში ჩასვი. ამას ჯერ დედამისთან უნდა ეძინოს. ხომ არ გინდა მოკლა? ჯერ არ დაბადებულა და უკვე დედას მოაშორე? ახლავე წაიყვანე, თორემ ზორბას ვეტყვი, სულაც წაგართვას.

ლენიმ მუდარით გაუშვირა ხელები.

— მომე რა, მომე, ჯორჯ. უკან წავიყვან, ცუდი არაფერი მიქნია, ჯორჯ, გეფიცები, ცუდი არაფერი მიქნია. ვიფიქრე, ცოტას მოვეფერები-მეთქი.

ჯორჯმა ლეკვი გადასცა.

— მაშ კარგი, ლეკვი სასწრაფოდ უკანვე წაიყვანე და მეორედ არ გაბედო აქ მოყვანა, თორემ ეგრევე შემოგაკვდება. ჯერაც არ მოგსვლია, აი!

ლენი სასწრაფოდ გავიდა ოთახიდან.

ზორბა არ განძრეულა, მშვიდი თვალებით გააცილა ლენი.

— ღმერთო ჩემო, სულ ბალღივით არაა?

— კი, სულ ბალღივითაა. ბალღივით უწყინარიცაა. ხარის ძალა კი აქვს.

დაგენიძლავები, თუ ეგ ამალამ მოვიდეს დასაძინებლად. საჯინიბოში დარჩება და ლეკვებს მიუწვება. ცუდს არაფერს იზამს, იყოს, რა ვუყო.

გარეთ უკვე თითქმის ბნელოდა. ჩამიჩა — მოხუცი დამლაგებელი — ბარაკში შევიდა და თავის საწოლს მიაშურა, უკან მისი ბებრუცახა ძაღლი მოძუნძულებდა.

— სალამი, ზორბავ, სალამი, ჯორჯ! თქვენ რა, ნალობანას არ თამაშობთ?

— ყოველლამე ხომ არ ვითამაშებ. მომბეზრდა, —უთხრა ზორბამ.

— ერთი ყლუპი ვისკი გექნებათ, ბიჭებო. რალაც მუცელი მიწრიალებს.

— არა მაქვს, — უთხრა ზორბამ, — რომ მქონდეს, მუცლის ტკივილი რად მინდა, ისედაც სიამოვნებით გადავკრავდი.

— მაგრა მტკივა ეს ოხერი, — თქვა ჩამიჩამ. — სულ იმ წყეული თალგამის ბრალია, ისე მიწრიალებს, რომ... რამდენი შევჭამე, იმდენი გამამწარა, ვერ ვისწავლე ჭკუა.

ღამის ბინდბუნდიდან ოთახში სქელ-სქელი ჭარლსონი შემოიჭრა. თავის საწოლთან მივიდა ოთახის ბოლოში და მეორე ნათურა აანთო.

— ეგ ოხერი ზანგი რა კარგად თამაშობს ნალობანას!

— კი, მაგაში მაგარია, — დაეთანხმა ზორბა.

— მაგარია და მერე როგორი, — განაგრძო ჭარლსონმა. — არავის მოაგებინებს.

მერე გაჩუმდა, ჰაერი მაგრად შეისუნთქა. ისევ შეისუნთქა, მერე ძაღლისკენ მიტრიალდა და მიაჩერდა.

— თუ ღმერთი გწამთ, ერთი მოდით და ნახეთ, როგორ ყარს ეს შეჩვენებული. გააგდე რა გარეთ, ჩამიჩა! ამყრალებულ ბებერ ძაღლზე საშინელი რა არის? გააგდე-მეთქი, გეუბნები!

ჩამიჩა საწოლის კიდემდე მიჩოჩდა, ხელი გადასწია, ბებერ ძაღლს მიუალერსა და თითქოს თავი გაიმართლა:

— მე და ჩემი ძაღლი რამდენი ხანია ერთად ვართ და ამის სუნს არასოდეს შევუწუხებივარ.

— ველარ ვიტან ამ ძაღლს, ხალხი არა ხართ? — თქვა ჭარლსონმა. — გავა ოთახიდან და მაინც კაი ხანს ყარს აქაურობა. — მერე მძიმე ნაბიჯებით მივიდა ძაღლთან და დახედა. — კბილები ამას არა აქვს, — განაგრძო ისევ,— რევმატიზმისაგან ველარ ინძრევა, რალად გინდა ასეთი ძაღლი, ჩამიჩა? არც შენთვის ვარგა და არც თავისთვის ,ადექი და ესროლე, არა სჯობია?

მოხუცი უსიამოდ შეიშმუშნა.

— ვერ მოგართვით! რამდენი ხანია ეგ ძაღლი მყავს; ლეკვი იყო,' რომ ავიყვანე, ცხვარშიც ერთად ვიყავით — ამაყად თქვა ჩამიჩამ. — ამის შემყურე ახლა ვერც კი დაიჯერებ, ისეთი ნაგაზი იყო, უკეთესს ვერ ნახავდი.

— უიდიში ერთ კაცს ვიცნობდი, ერდელ-ტერიერი ყავდა და მშვენივრად მწყემსავდა ცხვრებს, სხვა ძაღლებისგან უსწავლია, — თქვა ჯორჯმა. მაგრამ ჭარლსონს ასე ადვილად ვერ დააწყნარებდი.

— მისმინე, ჩამიჩავ! ვერა ხედავ, ეგ საცოდავი ძუკნა თვითონაც როგორ წვალობს? რომ წაიყვანო სადმე და პირდაპირ კეფაში ესროლო, უკნიდან?— მერე დაიხარა და ხელით აჩვენა: — პირდაპირ აქ, აი, მადლი არ იქნება? ვერც კი გაიგებს, რა მოხდა.

ჩამიჩას თვალები დაუნაღვლიანდა.

— არა, — წყნარად ალმოხდა მას, —არ შემიძლია. ვერ მოვკლავ, ძალიან შევეჩვიე და ეგ როგორ ვქნა?

— აბა რაღაა ამის სიცოცხლე? — არ ეშვებოდა ჭარლსონი. — თანაც ასე აუტანლად ყარს. იცი, რას გეტყვი, თუ გინდა, მე თვითონ ვაკვრი. შენც ხელს არ გაისვრი.

ჩამიჩამ ფეხები საწოლიდან ჩამოწია. შეწუხებული ისრესდა თეთრ ჯაგარა წვერს.

— ძალიან შევეჩვიე ამ ძაღლს, — თქვა მან წყნარად. — ლეკვი რომ იყო, მაშინ ავიყვანე.

— კი მაგრამ, შენ რა გული გიძლებს, ამის ტანჯვას რომ უყურებ? არ ჯობია მოკლა? — ჰკითხა ჭარლსონმა. — მისმინე, ზორბას ძაღლმა სწორედ ახლა დაყარა ლეკვები. ზორბა უარს არ გეტყვის, ერთი ლეკვი გამოართვი და გაზარდე, არა, ზორბა?

ზორბა მშვიდად აკვირდებოდა ბებერ ძაღლს.

— აბა რა,— თქვა მან. — ერთი ლეკვი შენი იყოს, თუ გინდა. — მერე თითქოს გამოცოცხლდაო, ალაპარაკდა: — ეგ კაცი სწორს ამბობს, ჩამიჩა... თვითონაც წვალობს ალბათ საწყალი. მე რომ ასე დავბერდე და დავჩაჩანაკდე, ნამდვილად გამეხარდება, თუ მომკლავენ.

ჩამიჩამ უმწეო თვალებით შეხედა ზორბას, მისი ნათქვამი ხომ კანონი იყო.

— რომ ეტკინოს? — შეჰბედა მან. — იქნებ ჯობდეს ცოტა ხანს კიდევ მოვუარო, სულაც არ მიჭირს.

— მე ისე ვესვრი, ვერაფერსაც ვერ გაიგებს, — უთხრა ჭარლსონმა. — პირდაპირ აი, აქ დავუმიზნებ. — და ფეხით აჩვენა. — ზედ კეფაში და მორჩა, განძრევასაც ვერ მოასწრებს.

ჩამიჩა ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს — თითქოს შველას ითხოვდა. ვარეთ უკვე კარგად ბნელოდა. ოთახში ბიჭი შემოვიდა. ისევდაც ოდნავ მოხრილი მხრები წინ წამოეწია, მშიმედ მოალაჯებდა, თითქოს ახლაც ხორბლიან ტომარაა მოათრევსო. თავის საწოლთან მივიდა და ქუდი თაროზე დადო. შემდეგ თაროდან დაჭმუჭნული ჟურნალი აიღო და მაგიდას მიუახლოვდა, სადაც მეტი სინათლე იყო.

— შენთვის არ მიჩვენებია, ზორბა? — შეეკითხა იგი.

— რა არი რო?

ბიჭმა ჟურნალი გადაფურცლა, მაგიდაზე დადო და თითით ანიშნა:

— აი, აგერ წაიკითხე ერთი. — ზორბა დაიხარა. — მიდი,— უთხრა ახალგაზრდამ. — ხმამაღლა წაიკითხე.

— „ძვირფასო რედაქტორო, — ნელა კითხულობდა ზორბა. — მე უკვე ექვსი წელია თქვენი ჟურნალის მკითხველი ვარ და ვთვლი, რომ ყველაზე კარგია; ძალიან მომწონს პიტერ რენდის მოთხრობები. ჩემი აზრით, ხოშიანად უბერავს. ხშირად დაგვიბეჭდეთ „შავი მხედრის“ მაგვარი რამეები. მე ბევრი წერა არ მეხერხება, უბრალოდ, ვიფიქრე, ყველამ იცოდეს-მეთქი, რომ თქვენს ჟურნალში ათი ცენტის მიცემა სულაც არ არის დასანანი“.

გაკვირვებულმა ზორბამ თავი ასწია.

— კი მაგრამ, რისთვის მაკითხებ?

— განაგრძე, გვარი წაიკითხე ბოლოს, გვარი, — უთხრა უიტმა.

ზორბამ განაგრძო:

— „თქვენი კეთილისმსურველი უილიამ ტერნერი". — მერე ისევ ახედა უიტს. — მაინც ვერ გავიგე, რისთვის წამაკითხე?

უიტმა შთამბეჭდავი სახით დახურა ჟურნალი.

— ბილ ტერნერი არ გახსოვთ, ერთი-სამი თვის უკან რომ მუშაობდა აქ?

ზორბა დაფიქრდა.

— პატარა ბიჭი რომ იყო? — იკითხა მან. — კულტივატორზე რომ იჯდა?

— ჰო, სწორედ ის, — წამოიძახა უიტმა. — სწორედ ეგ ბიჭია.

— შენ გგონია, იმან დაწერა ეს წერილი?

— მგონია კი არა, ვიცი. მე და ბილი ერთად ვისხედით. ბილს სწორედ ჟურნალის ახალი ნომერი მიეღო. კითხულობდა და ასე მითხრა: „წერილი მივწერე რედაქციას, ნეტა დაბეჭდეს თუ არა". იმ ნომერში კი არ იყო. ბილმა თქვა: იქნებ სხვა ნომერში დაბეჭდონო და აი, დაბეჭდეს კიდეც — ეს წერილია.

— მართალი ხარ, — თქვა ზორბამ. — აგერ დაუბეჭდავთ კიდეც.

ჯორჯმა ხელი გაიშვირა ჟურნალის ასაღებად.

— აბა ერთი შემახედეთ.

უიტმა ისევ გადაშალა და თითით უჩვენა, სადაც იყო დაბეჭდილი, ისე რომ ჟურნალისთვის ხელი არ გაუშვია, მერე თავის თაროსთან მივიდა, ჟურნალი გულდაგულ შეინახა.

— ნეტა ბილმა თუ იცის, — თქვა მან. — მე და ბილი მუხუდოზე ვმუშაობდით ერთად. ორივენი კულტივატორზე ვისხედით. რა კარგი ბიჭი იყო ბილი.

ქარლსონი საუბარში არ ჩარეულა. თვალმოუწყვეტლივ უყურებდა ბებერ ძაღლს. ჩამიჩა კი შეშინებული უთვალთვალებდა. ბოლოს ქარლსონმა ვეღარ მოითმინა და წამოიყვირა:

— შენ თუ გინდა, ახლავე მივასიკვდილებ ამ სულწაწყმედილს, ისე რომ არ იტანჯოს, და მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს. ასეთი რა გახდა ბოლოს და ბოლოს, ან სხვა კი რა დარჩენია ამ ძუკნას; ვერც ჭამს, ვერც იყურება, ტკივილისგანაც ძლივს დაფოფხავს.

— შენ რომ თოფი არა გაქვს? — იმედი მოეცა ჩამიჩას.

— გეგონოს, რომ არა მაქვს. ლუგერის რევოლვერი მაქვს, ბატონო, ისეთია, არც ეტკინება.

— იქნებ ხვალ ჯობდეს? ხვალამდე დავიცადოთ — თქვა ჩამიჩამ.

— რაღას ვუცადოთ? — იკითხა ქარლსონმა. თავის საწოლთან მივიდა, ჩანთა გამოათრია და იქიდან ლუგერის დამბაჩა გამოაძრო. — მოდი, მოვრჩეთ ამ ამბავს, — თქვა მან.— აბა ასეთ აყროლებულ ჰაერში ძილი ვის გაუგია?— ქარლსონმა რევოლვერი გვერდითა ჯიბეში ჩაიდო.

ჩამიჩა საცოდავად მიაჩერდა ზორბას, იქნებ ჩაერიოს და მიშველოსო. მაგრამ ზორბა არც აპირებდა ჩარევას. ბოლოს იმედგაწყვეტილმა ჩამიჩამ წყნარად თქვა:

— წაიყვანეთ, რა გაეწყობა, — ძაღლისთვის არც კი შეუხედავს, საწოლზე პირადმა წამოწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო და ჭერს მიაშტერდა.

ქარლსონმა ჯიბიდან პატარა ტყავის ქამარი ამოიღო, დაიხარა და ძაღლს კისერზე შეაბა. ჩამიჩას გარდა ყველა მას უყურებდა.

— წამოდი, საცოდავო, წამოდი! — დაუყვავა ქარლსონმა ძაღლს. მერე კი თითქოს მოუბოდიშაო, ჩამიჩას მიუბრუნდა და უთხრა: — ვერაფერს გაიგებს, დამიჯერე.

ჩამიჩა არ განძრეულა, ხმაც არ გაუღია. ქარლსონმა ლესმის მოქაჩა.

— წამოდი, შე ბებერო! — ძაღლი ძლივს წამოიზლაზნა, თასმა რომ მოქაჩეს, ნელა დაიძრა ადგილიდან.

— ქარლსონ! — დაუძახა ზორბამ.

— რა იყო?

— ხომ იცი, რაც უნდა ქნა?

— რაზე ამბობ?

— ბარი წაიყოლიე, — მოკლედ უთხრა ზორბამ.

— მივხვდი, აბა რას ვიზამ? — ქარლსონი გარეთ, სიბნელეში გავიდა და ძაღლიც ვაიყოლია.

ჯორჯი კარამდე მიჰყვა, კარი დაკეტა და ფრთხილად ჩარაზა. ჩამიჩა გაქვავებული იწვა საწოლზე და ჭერს მიშტერებოდა. ზორბამ ხმამაღლა დაიწყო:

— ჩემს ერთ ჯორს ჩლიქი გაუსკდა, კუბრი უნდა წავუსვათ, — მერე დადუმდა.

გარეთ სრული სიჩუმე იყო, ქარლსონის ფეხის ხმაც არ ისმოდა; ოთახშიც დუმილი ჩამოვარდა, კარგა ხანს გაჭიანურდა...

ჯორჯმა ჩაიცინა.

— ნიძლავსა ვარ, ლენი ახლა საჯინიბოშია, თავისი ლეკვის გვერდით. ძაღლი გაიჩინა და ჩვენთან რაღა უნდა, აწი აღარც შემოიხედავს.

— ჩამიჩა, თუ გინდა, აირჩიე ერთი ლეკვი, რომელიც გინდა, შენი იყოს,— უთხრა ზორბამ.

ჩამიჩას ხმა არ გაუღია. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა — თითქოს გარედან, ლამის წყვდიადიდან, ნისლივით შემოიპარა და ჩამოწვა ოთახში.

— ცოტა კარტი წავითამაშოთ, არ გინდათ? — იკითხა ჯორჯმა.

— მოდი, გეთამაშები, — უთხრა უიტმა.

მაგიდასთან ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ, სინათლეზე; მაგრამ ჯორჯს კარტი არ აუჭრია. თითებს აღელვებით აკაკუნებდა მაგიდის კიდეზე. კაკუნმა ყველას ყურადღება მიიპყრო და ჯორჯიც გაჩერდა. ოთახში ისევ სიჩუმემ დაისადგურა. გავიდა ერთი წუთი, ორი: ჩამიჩა ისევ გაქვავებული იწვა, ისევ ჭერს მიშტერებოდა. ზორბამ წამით შეხედა და მერე თავის ხელებს დააჩერდა, ერთმანეთზე დაიწყო. იატაკის ქვეშ რაღაც ფხაკუნი გაისმა და ყველამ ძირს დაიხედა, მარტო ჩამიჩა მიშტერებოდა ისევ ჭერს.

— ეტყობა, ვირთხაა, — თქვა ჯორჯმა. — ერთი ხაფანგი უნდა დავდგათ.

ბოლოს უიტმა ველარ მოითმინა:

— რა ჭირი დაემართა ამდენ ხანს? რასა შვრება, ნეტა ვიცოდე. მიდი, მიდი, შენ კარტი დაარიგე, თორემ ასე თუ გავაჯანჯლეთ, რაღა თამაში გამოვა?

ჯორჯმა კარტი აკრიფა და ახლა მეორე მხრიდან დაუწყო თვალიერება. ოთახში ისევ სიჩუმე გამეფდა.

მერე შორიდან სროლის ხმა გაისმა. უცებ ყველამ მოხუც კაცს შეხედა, ყველა მისკენ მიტრიალდა.

მოხუცი ერთხანს კიდევ მიშტერებოდა ჰერს, მერე კედლისკენ გადატრიალდა; ხმა არც ახლა გაუღია.

ჯორჯმა შრიალ-შრიალით აჭრა კარტი და დაარიგა. უიტმა ჭულებისა და ანგარიშის ჩამოსაწერად დაფა მიუწია. მერე ჰკითხა:

— თქვენ რა, მართლა სამუშაოდ ჩამოხვედით აქ, თუ ისე?

— მაგას რად მეკითხები? — გაუკვირდა ჯორჯს.

უიტმა ჩაიცინა.

— იმიტომ, რომ პარასკევს ჩამოხვედით; კვირამდე კიდევ ორი სამუშაო დღე გელით.

— არაფერი მესმის, — თქვა ჯორჯმა.

უიტმა ისევ ჩაიცინა.

— დიდ რანჩოებზე რომ ბევრი გემუშავა, გაიგებდი. ჩვეულებრივ შაბათ საღამოს ჩამოდიან ხოლმე, ისე, სანახავად. შაბათს ივახშმებს კაცი და კვირასაც სამჯერ შეჭამს. ორშაბათს ისევ ისაუზმებს დილით და, თუ აქაურობა თვალში არ მოუვა, დაჰკრავს ფეხს და წავა, რა ენაღვლება. თქვენ კი პარასკევს შუადღეზე ჩამოხვედით. გინდა არ გინდა, დღენახევარი უნდა იმუშაოთ.

ჯორჯმა მშვიდად გაუსწორა თვალი უიტს.

— ჩვენ ცოტა ხანს აქ დავრჩებით, ასე ვაპირებთ, — თქვა მან. — მე და ლენიმ ფული უნდა ვიშოვოთ.

კარი ჩუმად გაიღო და ოთახში მეჯინიბემ შემოჰყო თავი. გალეული, საოწარკვეთილი სახე ჰქონდა და მონასავით მორჩილი თვალები.

— ბატონო ზორბავ!

ზორბამ ჩამიჩას თვალი მოაშორა და ზანგს გახედა.

— ააა! შენა ხარ, კუზიანო! გაგიმარჯოს. რა მოხდა?

— თქვენ არ მითხარით, კუპრი გაადნე ჩლიქებზე წასასმელადო. უკვე გადადნე.

— ჰო, კარგი, კუზიანო, ახლავე მოვალ და წავუსვამ.

— თუ გნებავთ, მე წავუსვამ, ბატონო ზორბავ.

— არა, მოვალ და თვითონ წავუსვამ, — თქვა ზორბამ და წამოდგა.

კუზიანმა ისევ დაუძახა:

— ბატონო ზორბავ!

— ჰო!

— ის ახალმოსული აყლაყუდა საჯინიბოშია და თქვენს ლეკვებს არ ასვენებს.

— ნუ გეშინია. ცუდს არაფერს უზამს, ერთი ლეკვი ვაჩუქე.

— ვიფიქრე, მაინც ვეტყვი-მეთქი, — თქვა კუზიანმა. — ყუთიდან წამდაუწუმ ამოჰყავს და სულ ხელში ათამაშებს. ცოდოა ლეკვები, რამე არ მოუვიდეთ.

— არაფერს დაუშავებს, — უთხრა ზორბამ, — ახლავე მოვდივარ, ერთად წავიდეთ.

ჯორჯმა თავი ასწია:

— მაგ უტვინომ თუ ძალიან აურია, ევრევე გამოაგდე, გესმის?

ზორბა და მეჯინიბე ოთახიდან ერთად გავიდნენ.

ჯორჯმა კარტი დაარიგა, უიტმა თავისი აიღო და ჩააკვირდა.

— ახალი ჩიტი თუ ნახე?

— რა ჩიტი?

— რა ჩიტი და, ხუჭუჭას ახალი ცოლი.

— ჰოო! როგორ არა.

— რას იტყვი, ხომ ლამაზია?

— რა ვიცი, არ შემიხედავს, — უპასუხა ჯორჯმა.

უიტმა ეჭვის თვალით შეხედა და კარტი დააწყო.

— შენც დააკვირდი და, თვალს თუ კარგად გაახელ, ბევრსაც დაინახავ. ეგ ისეთი ქალია — არაფრის რიდი მაგას არა აქვს, ეგეთი ვინმე ჯერ არ მინახავს. ყველა შარვლიანს თვალებს უპრაწავს, დროს არ კარგავს. ნიძლავსა ვარ, იმ ქეციან მეჯინიბესაც უპრაწავს. რა ეშმაკი უნდა ნეტა?

— მოხდა რამე ისეთი, რაც ეგ ქალი აქ არის? — თითქოს სხვათა შორის იკითხა ჯორჯმა.

უიტს კარტის თამაში მაინცდამაინც არ აინტერესებდა და ხელები მაგიდაზე დაახეთქა. ჯორჯმა კარტი მოხია და ისევ გულდასმით დაიწყო თავისი პასიანსის გაშლა. შვიდი კარტის ზემოთ ექვსი დააწყო, მერე კიდევ ხუთი.

— მესმის, რასაც ამბობ, — უთხრა უიტმა. — არა, ჯერ არაფერი მომხდარა. ხუჭუჭა უკანალდამწვარივით დარბის ჯერჯერობით, ეს არის და ეს. მაგრამ, ბიჭები სამუშაოდან დაბრუნდებიან თუ არა, ქალიც ეგრევე აქ გაჩნდება ხოლმე. ხან ვითომ რამე დარჩა, ხან ვითომ ქმარს ეძებს და, სად არისო, გვეკითხება. ეტყობა, შარვლიანებს გულგრილად ვერ უყურებს. ხუჭუჭას კი კუდი ეწვის, გადარეულია, მაგრამ ჯერ არ იმჩნევს.

— ჯერ სადა ხართ, ნახავთ, რა ამბავი დააწიოს მაგ ქალმა, — თქვა ჯორჯმა. — დიდი ამბავი ატყდება, აგერ მე და აგერ თქვენ. ეგ ისეთი გველის წიწილაა, თვალსაც ვერ დაახამხამებ, ისე გამოგიჭერს და გალიაში ამოგაყოფინებს თავს. შავი დღე კი დაადგება მაგ თქვენს ხუჭუჭას. აბა, კაცებით გატენილ რანჩოში ქალს რა უნდა, მით უმეტეს ასეთ ქალს.

— თუ გინდა, ჩვენთან ერთად წამოდი ხვალ ქალაქში?

— რა ჩემ ფეხებად მინდა?

— არა, ისე. ერთ. ბებრუცანასთან დავდივართ ხოლმე, სიუზი ჰქვია. კარგი გასართობი ადგილი კია. ის ბებრუცანაც ისეთი მაიმუნის ერთია, სიცილით რომ არ გაგვხეთქოს, არ შეიძლება. აი, იმ შაბათს რომ მივედით, წინა შესასვლელიდან, სიუზიმ კარი გაგვიღო და უცებ თავის ქალებს დაჰკივლა: „გოგოებო! აბა ჩქარა! გაიპრანჭეთ, თვით შერიფი გვეწვია!" ისე, ბინძური ენა კი არა აქვს. ხუთი გოგო ჰყავს სულ.

— რა ჯდება ეგ სიამოვნება?

— ორნახევარი დოლარი. ცოტა ვისკისაც თუ აიღებ, კიდევ ორი ცენტი. ისეთი მოხერხებული სავარძლები აქვს... თუ სხვა არაფერი გინდა, იჯექი სავარძელში, ერთი-ორი ვისკიც გადაჰკარი და კაი გემრიელ დროსაც გაატარებ. სიუზი უარს არ გეტყვის. არც გაგაგდებს და არც არაფერი, თუ ქალი არ გინდა, შენი ნებაა.

— ერთი წამოვალ და ვნახავ, რა ხდება, — თქვა ჯორჯმა.

— წამოდი, აბა რა. ხოშიან დროს გაატარებ. მარტო სიუზის მაიმუნობა რად ღირს; ერთხელ რომ თქვა, იმისი არ იყოს: მე ისეთ ხალხსაც ვიცნობ, თითო ნოხი რომ უგდიათ იატაკზე, თითო აბაჟურიც დაუდგიათ გრამაფონთან და ჰგონიათ — არიქა, დიდებული სალონი გვაქვსო. ეს კლარას საოსკიპო-

ზე ამბობს. ისიც ვიცი, ამბობს, რისთვისაც მოსულხართ, ჩემი გოგოები სუფთები, მოვლილები არიან და ვისკიშიაც წყალს როდი ვურევთ. და თუ ზოგიერთმა აბაჟურის ყურება და უგემური დროსტარება არჩია, მშვენივრად იცის, საღ მიბრძანდესო. და კიდევ, ჰო, ასე თქვა: ვერა ხედავთ, ზოგიერთი ფეხებდაბრეცილი რომ დაიარება, აბაჟურის ყურება არჩიეს და, იმიტომაცო.

— კლარას, მაშასადამე, სხვა საბლი აქვს? — იკითხა ჯორჯმა.

— მაშ, მაშ — უთხრა უიტმა. — მაგრამ ჩვენ იქ არ დავდივართ. ჯერ ერთი, იქ ქალი სამი დოლარი ღირს, ვისკიც — ოცდათხუთმეტი ცენტი; მეორეც ერთი, არც ეგეთი მაიმუნობის ნიჭი აქვს იმ კლარას. თანაც სიუზისთან სისუფთავეცაა და კაი სავარძლებიც, არც ყველა ვიგინდარას უშვებს.

— მე და ლენიმ ცოტა ფული უნდა დავაგროვოთ, — თქვა ჯორჯმა.— ისე კი წამოვიდოდი, დავლევდი, ჩავეფლებოდი სავარძლებში, მაგრამ ორნახევარ დოლარს ვერა, ვერ დავხარჯავ.

— ღმერთო, ათასში ერთხელ კაცი ხომ უნდა გაერთოს თავის ნებაზე? — უთხრა უიტმა.

კარი გაიღო და ქარლსონთან ერთად ოთახში ლენი შემოვიდა. ლენი ჩუმად მიიპარა თავის საწოლთან, ყურადღება არავინ მომაქციოსო; ქარლსონმა კი თავის საწოლს ქვემოდან ჩანთა გამოაჩოჩა; კვლავაც კედელს მიშტერებული ჩამიჩასათვის არც შეუხედავს, ჩანთიდან თოფის ზუმბა და ზეთის ქილა ამოათრია და ორივე საწოლზე დადო. მერე რევოლვერი აიღო, სავაზნე გამოაცალა და ლულიდან ვაზნები გამოყარა. მერე ლულას ზუმბით დაუწყო წმენდა. საკეტმა რომ გაიტკაცუნა, ჩამიჩა უცებ მოტრიალდა, წამით რევოლვერს დააკვირდა, მერე ისევ კედლისკენ გადაბრუნდა და გაქვავდა.

— ხუჭუჭა ჯერ არ შემოსულა? — სხვათა შორის იკითხა ქარლსონმა.

— არა, — უპასუხა უიტმა, — რაო, რა უნდა?

ქარლსონმა ლულაში ჩაიჭვრიტა.

— თავის ტურფას ეძებს, გარეთ ვნახე, როგორ დაწრიალებდა ბარაკის გარშემო.

— რა სულ ერთმანეთის ძებნაში არიან ეგ დალოცვილები. დილიდან შუადღემდე ქმარი ეძებს ცოლს და შუადღის მერე ცოლი ქმარს, — დამცინავად შენიშნა უიტმა.

ხუჭუჭა უცებ ოთახში შემოიჭრა.

— ჩემი ცოლი ხომ არ გინახავთ, ბიჭებო? — დაიყვირა მან.

— აქ არ შემოსულა, — უთხრა უიტმა.

ხუჭუჭამ ყველას თვალებით შეუბღვირა.

— ზორბა საღლაა?

— საჯინიბოში წავიდა, — უპასუხა ჯორჯმა. — ჩლიქზე კუპრი უნდა წაესვა.

ხუჭუჭას დაჭიმული მხრები უცებ მოეშვა, მთლად მოიკუნტა.

— რა ხანია წავიდა?

— ხუთი, ათი წუთი იქნება.

ხუჭუჭა ელდანაკრავივით მოსწყდა ადგილს და საჯინიბოსკენ გაიქცა. უიტი წამოდგა.

— წავიდე ერთი, ვნახო, რა მოხდება, — თქვა მან. — ხუჭუჭას, ეტყობა, ბზიკმა უკბინა. ჩხუბი მოენატრა, თორემ ზორბას არ მოიკითხავდა. მერედა,

რა ჩხუბი იცის, ჩემს მტერს! „ოქროს ხელთათმანის“ პრიზზეც კი გამოდიოდა ფინალში. გაზეთებშიც ყოფილა, ამოუჭრია თავისთვის და შეუნახავს. — უიტი ცოტა დაფიქრდა, — მერედა რა, მაინც ურჩევნია ზორბას თავი გაანებოს. ზორბასაგან ყველაფერია მოსალოდნელი.

— ჰგონია, მისი ცოლი ზორბასთან ერთადაა? — იკითხა ჯორჯმა.

— როგორცა ჩანს, — თქვა უიტმა. — ზორბას კი მაგისთვის არა ცხელა, ვერ დავიჯერებ, რომ იმ ქალმა ზორბა გაასულელოს. მაგრამ ჩხუბის ყურება კი მინდა, თუ აქამდე მივიდა საქმე. აღე, წავიდეთ.

— არა, მე დავრჩები, არ წამოვალ, — თქვა ჯორჯმა. — არ მინდა ეგეთ საქმეებში ჩავერიო. მე და ლენი აქ ფულის საშოვნელად ჩამოვედით.

ქარლსონი რევოლვერის წმენდას მორჩა, ჩანთაში ჩადო და ჩანთა ისევ საწოლის ქვეშ შეაგდო.

— წავალ ერთი, მეც ვნახავ, რა ხდება,— თქვა ქარლსონმა.

მოხუცი ჩამიჩა გაუნძრევლად იწვა, ლენი კი თავისთვის საწოლზე გაწოლილიყო და დამფრთხალი თვალებით ჯორჯს შესცქეროდა.

უიტი და ქარლსონი ოთახიდან გავიდნენ. კარი გაიხურეს თუ არა, ჯორჯი ლენის მიუბრუნდა:

— რასაა, რომ მიმალავ?

— მე არაფერი მიქნია, ჯორჯ. ზორბამ მითხრა, ამდენს ნუ ეფერები ლეკვებსო, მერე მითხრა, ცოდვები არიან, არ მოკვდნენო. ჰოდა, მეც წამოვედი. ხომ კარგად მოვიქეცი, ჯორჯ?

— აბა არა? — თქვა ჯორჯმა.

— ლეკვებს არ ვაწვალებდი, არც არაფერი მიტკენინებია. მარტო ჩემი ლეკვი მესვა მუხლებზე და ვეფერებოდი.

— ზორბა ნახე საჯინიბოში? — ჰკითხა ჯორჯმა.

— როგორ არა, იმან არ მითხრა, ძაღლებს ამდენს ნუ ეფერები, ცოდოაო.

— ის ქალი თუ ნახე?

— ხუჭუჭას ცოლი?

— ჰო, ხუჭუჭას ცოლი. საჯინიბოში არ შემოსულა?

— არა, მე არ მინახავს და რა ვიცი.

— ზორბა ხომ არ ელაპარაკებოდა, თვალი ხომ არ მოგიკრავს?

— არა, არ ყოფილა საჯანიბოში და საიდან?

— კარგი, კარგი, — თქვა ჯორჯმა. — მაშ ბიჭები ვერაფერ სეირსაც ვერ ნახავენ. ჩხუბი თუ ატყდეს, ლენი, იცოდე, არ ჩაერიო, მოშორდი იქაურობას.

— მე ჩხუბი არ მინდა,— თქვა ლენიმ, საწოლიდან წამოდგა და მაგიდასთან მივიდა, ჯორჯის პირდაპირ დაჯდა. ჯორჯმა ჩვეულებისამებრ კარტი არია და პასიანსის გაშლას შეუდგა. გულმოდგინედ აწყობდა, ნელა, თითქოს რაღაცას ფიქრობსო.

ლენიმ ერთი კარტი აიღო, შეათვალიერა, მერე შეატრიალა და ისევ დაუწყო ყურება.

— ორივე მხრიდან ერთნაირია, — თქვა მან. — ჯორჯ, მითხარი, რატომ არის ორივე მხრიდან ერთნაირი?

— რა ვიცი, — უთხრა ჯორჯმა. — ასე ახატავენ და რა ვიცი. ზორბა რომ ნახე საჯინიბოში, რასა შვრებოდა?

— ზორბა?

— ჰო, ზორბა, საჯინიბოში არ ნახე, იმან არ გითხრა, ლეკვებს ბეგრს ნუ ეფერებით?

— აჰ, ჰო... რაღაც ეჭირა... რაღაც ქილა... კუბრიანი და საღებავი ფუნჯი. რად უნდოდა, არ ვიცი.

— ნამდვილად იცი, რომ ის ქალი არ შემოსულა... აი, გუშინ რომ შემოვიდა აქ, ისე?

— ნამდვილად ვიცი.

ჯორჯმა ამოიოხრა:

— არა, ისევ საროსკიპო ჯობია ყველაფერს, მე რომ მკითხო, — თქვა მან, — როცა მოგინდება, წახვალ, დალევ და არც სხვა რამეზე გაწყენინებენ. ოიხაც ყოველგვარი უსიამოვნების გარეშე. ისიც წინასწარ იცი, რა დაგიჯდება ეგ სიამოვნება. ასეთი წუნკლის ხელში კი გაფუჭდება კაცი, შეიძლება ციხეშიც აღმოჩნდეს.

ლენი ყურადღებით უსმენდა, ჯორჯის სიტყვებს ჩუმად იმეორებდა ტუჩების ცმაცუნით. ჯორჯი კი განაგრძობდა:

— შენ ენდი კაშმენი თუ გახსოვს, ლენი? ჩვენთან ერთად სწავლობდა სკოლაში?

— დედამისი ბავშვებისთვის ნამცხვრებს რომ აცხობდა,ისა? — ჰკითხა ლენიმ.

— ჰო, სწორედ ისა. რა თქმა უნდა, საჭმელს თუ ეხება რამე, მშვენიერად იმახსოვრებ, არა? — ჯორჯი ყურადღებით ათვალიერებდა კარტებს. დაფაზე ტუზი დადო, ზემოდან კი აგურის ორიანი, სამიანი და ოთხიანი დააწყო.— სწორედ ასეთი კახპის გულისთვის ლპება ახლა ენდი სან-ქვენტინის ციხეში, — დასძინა ჯორჯმა.

ლენიმ მაგიდაზე თითები ააკაკუნა.

— ჯორჯ!

— რა გინდა რო?

— ჯორჯ,მალე გვექნება საკუთარი სახლი და მიწა? კურდღლები როდის გვეყოლება?

— არ ვიცი, — უთხრა ჯორჯმა, — ფული უნდა დავაგროვოთ კარგა ბლომად ორივემ. ერთი რანჩო ვიცი, ცოტა იაფს ითხოვენ, მაგრამ სულ მუქთად ხომ არ მოგვცემენ?

მოხუცი ჩამიჩა ნელა შემოტრიალდა, თვალები გაუფართოვდა, მერე ჯორჯს მიაშტერდა.

— ჯორჯ, მოყევი რა, როგორია ის რანჩო?

— გუშინდამ არ მოგიყევი?

— კი მომიყევი, მაგრამ კიდევ მინდა... კიდევ მინდა რა, ჯორჯ?

— კარგი, კარგი... სულ ათი აკრია, ხომ გითხარი, — დაიწყო ჯორჯმა. — ჰოდა, პატარა ქარის წისქვილიც არის იქ, პატარა ქოხი დგას და საქათმე. სამზარეულოც და ბალიცაა იქ, ყველაფერი იზრდება: ბალი, ვაშლი, ატამი, გარგარი, კაკალი და სხვადასხვა კენკრეული. ირონჯასთვისაცაა ცოტა ადგილი და წყალიც არის მოსარწყავად, საღორეც აქვთ.. .

— და კურდღლებიც, არა, ჯორჯ?

— კურდღლებისთვის იქ ჯერ არაფერია, მაგრამ შეიძლება რამდენიმე გალიის გაკეთება და მერე იონჯას აჭმევ ხოლმე, არა, ლენი?

— ვაჭმევ, აბა რას ვიზამ, — თქვა ლენიმ. — მაგაზე ადვილი რა არის, ღმერთო ჩემო, ვაჭმევ, აბა რას ვიზამ?

ჯორჯმა პასიანსის შლას თავი ანება, ხელები ადგილზევე გააჩერა. ხმა თანდათან გაუნაზდა:

— ცოტა გოჭებიც ვიყოლიოთ, ერთი შესაბოლავიც გავაკეთოთ, ბაბუა-ჩემს რომ ჰქონდა, სწორედ ისეთი; ღორს რომ დავკლავთ, მერე შევბოლოთ ხოლმე. ბეკონიც გვექნება და ლორიც; ძეხვსაც გავაკეთებთ და ქვეყნის რა-ფეებსაც. მდინარეზე კი ორაგული რომ წამოვა, ჰო-ჰო, რა იქნება! ასობით დავიჭერთ, დავამარილებთ და შევბოლავთ; საუზმეზე მივირთმევთ ხოლმე; შებოლილ ორაგულს რა სჯობია, ბიჭო! ხილიც რომ დამწიფდება, ვაკონსერვოთ და ვაკონსერვოთ. პამიდვრის კონსერვიც კარგია, თანაც ადვილად მზადდება. კვირაობით ან წიწილას დავკლავთ ან კურდღელს; თუ საქმე კარგად წაგვივა, შეიძლება ძროხაც ვიყოლიოთ ან თუნდაც თხა. ღმერთო, რამსისქე ნაღები იცის სოფლის რძემ, დანითაც ძლივს რომ გაჭრი, ისეთი; კოვზით თუ შეჭამ მხოლოდ

ლენი თვალებგაფართოებული მისჩერებოდა ჯორჯს, მოხუცი ჩამიჩაც არ აშორებდა თვალს. ლენიმ წყნარად ჩაურთო:

— და ჩვენ თვითონ ვიქნებით ამ მიწის ბატონ-პატრონი.

— აბა რა, — განაგრძო ჯორჯმა. — ბაღჩაშიც ნაირ-ნაირი ბოსტნეული დავთესოთ, ხოლო ვისკი თუ მოგვენატრა, აგერ კვერცხი ხომ გვექნება, ან რძე ან რა ვიცი რა — ავდგეთ და გავყიდოთ. ვიცხოვრებთ ჩვენთვის არხეინად. ყველაფერი ჩვენი იქნება, რანჩოც, მიწაც. აღარ ვირბენთ ალმა-დალმა ენაგამოგდებული ძაღლებივით, აღარც ვიღაც იაპონელის მონათითხნს შევჭამთ. არა, ძმაო, ჩვენი, საკუთარი სახლი გვექნება და ბარაკებშიც არ მოგვწევს ღამისთევა.

— სახლზეც ახლა, ჯორჯ, ცოტა სახლზეც მოყევი, — ემუდარებოდა ლენი.

— ახლავე. პატარა სახლიც გვექნება და პატარა საძინებელი ოთახიც, პატარა ლიბიანი თუჯის ღუმელიც; ზამთარში რომ ავაღუღუნებთ, მარტო ის რად ღირს. მიწა პატარაა რანჩოში. ასე რომ, მაინცდამაინც თავის მოკვლა არ დაგვჭირდება. ასე, დღეში ექვსი-შვიდი საათი რომ ვიმუშაოთ, გვეყოფა. თერთმეტი საათი რომ წელს ვიწყვეტთ ქერის ტომრების ზიდვაში, აბა ესაა საქმე? ხორბალი რომ მოსამკელი გახდება, სიამოვნებით მოვკმით. როცა იცი, რისთვის შრომობ — ხალისიც მეტია.

— კურდღლებიც, ჯორჯ, — ველარ მოითმინა ლენიმ. — მერე ხომ მე მოვუვლი იმ კურდღლებს? მოყევი რა, როგორ მოვუვლი!

— როგორ და ძალიან ადვილად: წახვალ, აიღებ ტომარას და იონჯას მოთიბავ, ჩაყრი ტომარაში, შენს კურდღლებს მიურბენინებ, გალიაში ჩაუყრი და შეჭამენ.

— ისინიც პირს ააცმაცუნებენ და ნელ-ნელა შეახრამუნებენ. მე ვნახე როგორ ჭამენ, ვიცი უკვე, — თქვა ლენიმ.

— ასე, თვენახევარში, — განაგრძო ჯორჯმა. — გამრავლდებიან და უამრავი კურდღელი გვეყოლება, გვინდა გავყიდით, გვინდა შევჭამთ, მაინც გვეყოფა. კიდევ მტრედები მოვაშენოთ. იფრენენ და იფრენენ წისქვილის თავზე.

პატარაობისას, მახსოვს, ასე დაფრინავდნენ სწორედ, — მერე ჯორჯმა მეოცნებე თვალებით გაიხედა კედლისკენ, ლენის თავზემოთ — ეს ყველაფერი ჩვენი იქნება, ვერავინ გვისვრის იქიდან. ჩვენ კი, თუ ვინმე არ მოგვეწონა, ეგრევე მოვახსენებთ: „ახლავე მოგვწყდი თავიდან", — აბა ერთი არ წასულა! ხოლო თუ მეგობარი გვესტუმრა, თავისუფალი საწოლი როგორ არ გვექნება, შევიპატიჟებთ კიდეც. ასე ვეტყვით: „იქნება დარჩე ჩვენთან ლამის გასათევად-თქო". როგორ არ დარჩება? ერთი ძაღლიც დასჭირდება სახლს — სეტერი იყოს და ორი ჭრელი კატა; მაგრამ თვალი უნდა მივადევნოთ, ბაჭიები არ დაგვიხრჩონ.

ლენი ისე აღელდა, ქშინვაც დაიწყო.

— აბა ერთი გაბედონ და მიეკარონ, ისე მოვუგრიხო იმ წყეულებს კისრები, რო... იცი... იცი... კეტს ჩავცხებ თავში, კეტს! — მერე რაღაც ჩაიბურდღუნა თავისთვის, გამწარებული ემუქრებოდა არარსებულ კატებს, არარსებულ ბაჭიებს რომ გადასანსვლას უპირებდნენ.

ჯორჯი თავისი მონაყოლით თვითონვე მოხიბლული და მოჯადოებული იჯდა; და როცა უცებ ჩამიჩამ ხმა ამოიღო, მოულოდნელობისაგან ორივე ფეხზე წამოიჭრა, თითქოს რაღაც დანაშაულზე წაასწრესო.

— თქვენ რა, მართლა გეგულებათ ასეთი ადგილი? — იკითხა ჩამიჩამ.

ჯორჯი უცებ გონს მოვიდა.

— დავუშვათ, რომ გვეგულება, —უთხრა მან. — მერედა, შენ რა გესაქმება!

— მე იმას კი არ გეკითხებით სად არის-მეთქი, ეგ ჩემთვის სულერთია.

— შენთვის სწორედაც სულერთია, — უთხრა ჯორჯმა. — ასი წელი რომ ეძებო, მაინც ვერ იპოვი, იმედი ნუ გაქვს.

ჩამიჩამ აღელვებით განაგრძო:

— რამდენი უნდა მერე მაგ რანჩოში?

ჯორჯმა ეჭვის თვალით შეხედა.

— თუ წაევაჭრე, შეიძლება ექვსასადაც დათმონ. ის მოხუცები, ვისიც ეს რანჩოა, ძალიან გაკოტრდნენ. თან დედაკაცმა ოპერაცია უნდა გაიკეთოს. თუმცა შენ რაში გაინტერესებს? შენ ჩვენთან რა საქმე გაქვს?

— რა თქმა უნდა, ცალხელა კაცი ვარ, ჩემგან დიდი ხეირი არ იქნება,— თქვა მოხუცმა. — აი, ამ რანჩოს შევწირე ჩემი ხელი, იმიტომაც დამტოვეს დამლაგებლად და ორას ორმოცდაათი დოლარითაც დამასაჩუქრეს, ეს ვითომ ხელის საფასური. ერთი ორმოცდაათიც ბანკში მაქვს შენახული. — ეს, რაც დავაგროვე. ესეც შენი სამასი დოლარი; კიდევ ორმოცდაათი მეკუთვნის, თვის ბოლოსთვის. იცით, რა... — მოხუცი მთელი ტანით წინ გადმოიხარა. — დავუშვათ, მეც რომ შემოგიერთდეთ, მაშინ წილში გავიდოდი, სამას ორმოცდაათი დოლარი კი განა ცოტაა? ჩემგან აბა რა ხეირია, მაგრამ საჭმლის მოთითხნაც შემიძლია, ქათმების მოვლაც და ბოსტანში ჩიჩქნაც. ჰა, რას იტყვით?

ჯორჯმა თვალები მოწკურა.

— ცოტა უნდა ვიფიქრო. ჩვენ მარტო ორს გვინდოდა რანჩოს ყიდვა.

ჩამიჩამ შეაწყვეტინა:

— მე ანდერძს დავტოვებ, როცა დრო მოვა და თქვენს ჭირს წავიღებ, ჩემი ქონება თქვენ დაგრჩებათ. თორე არც ნათესავი მყავს და არც არავინ. თქვენ გაქვთ კი ცოტა ფული? იქნებ ახლავე გვეყიდა ის რანჩო?

ჯორჯმა ჯავრით გადააფურთხა.

— ორივეს ათიოდე დოლარი თუ გვექნება. — მერე ჩაფიქრდა და განაგრძო: — იცი, მთელი თვე ვიმუშავებთ, არაფერს დავხარჯავთ და ასი დოლარიც შეგროვდება. ესეც შენი ოთხას ორმოცდაათი. ამ ფასად კი იქნებ როგორმე დაგვითმონ ჯერჯერობით; დანარჩენს კი მერე მივცემთ. შენ და ლენი იქ მოეწყობით და საქმეს შეუდგებით. მე სამუშაოს მოვძებნი სადმე და დანარჩენს გადავიხდი. თქვენც, კვერცხი იქნება თუ სხვა რამ სახლში, გაყიდით ხოლმე.

სამივე გაისუსა. ერთმანეთს გაოცებით შეაცქერდნენ. ეს თითქოსდა დაუჯერებელი, ნანატრი ოცნება თანდათან ხორცს ისხამდა.

— ღმერთო, ნეტავი ამ ფასად კი დაგვითმონ, — თქვა სუნთქვაშეკრულმა ჯორჯმა. თვალები იმედით აევსო. — უთუოდ დაგვითმობენ, უთუოდ, — დასძინა მერე ჩუმად.

ჩამიჩა საწოლზე ჩამოჯდა. ფრჩხილებით მღელვარებით იფხოჭნიდა თავის უთითებო, მორგვივით ხელს.

— ოთხი წლის უკან დამიმახინჯდა ეს ხელი, — თქვა მან. — სულ მალე ალბათ გამაძევებენ კიდეც აქედან. ჯანი რომ გამომეცლება და ბარაკის დალაგებას ველარ შევძლებ, კინწისკვრით მისვრიან აქედან. წილში თუ გამიყვანთ და შემიკედლებთ, შეგიძლიათ ბოსტანი მაჩიჩქნინოთ; ისე როგორ დავჩაჩანაკდები, ჭურჭელი ვერ დავრეცხო ან ქათმებს ვერ მოვუარო. ასე ცოტ-ცოტას მოგეხმარებით. რაც მთავარია, ჩემი კუთხე მექნება, ჩემს სახლ-კარში ვიფუსფუსებ,— თქვა დალონებით მოხუცმა. — ვერ ნახეთ, რა უქნეს ჩემს ძაღლს ამ საღამოს? არც სხვისთვის ვარგა რამედ და არც თავისთვისო. ასე რომ ,აქედან როცა მისვრიან, მადლობელი ვიქნები, ვინმე ტყვიას თუ დამახლის. მაგრამ არა, ამ სიკეთესაც არ იზამენ. ჰოდა, არც წასასვლელი მექნება სადმე და არც სამუშაოს მომცემს ვინმე. თქვენ რომ აქ მუშაობას მორჩებით და რანჩოს ყიდვას დააპირებთ, იმ დროისთვის მე კიდევ ოცდაათ დოლარს დავაგროვებ.

ჯორჯი წამოდგა.

— უთუოდ ეგრე ვიზამთ, — თქვა მან. — ვიყიდით იმ პატარა ნაკვეთს. წავალთ და ვიცხოვრებთ იქ. — მერე ისევ დაჯდა. საძოვენი ჩუმად ისხდნენ მოჯადოებულებივით, თვალწინ ნანატრი სურათი ეხატებოდათ და ფიქრით იმ ბედნიერ მომავალს შესციცინებდნენ, როცა ეს სანუკვარი ოცნება სინამდვილედ იქცეოდა.

ჯორჯმა ჩაფიქრებით განაგრძო:

— რა კარგია, დღესასწაულებზე ცირკი თუ ჩამოვა ქალაქში ან ბეისბოლს თუ ითამაშებენ... ან რა ვიცი, რას... — მოხუცმა ჩამიჩამ მოწონების ნიშნად თავი დააქნია. — ავდგებით და წავალთ. ჩვენი ნება არ იქნება? ან ვის რა უნდა ვკითხოთ? უბრალოდ ვიტყვით: აბა ერთი წავიდეთ და წავალთ კიდეც. ჯერ ძროხას მოვწველით, მერე ქათმებს დავაპურებთ და წავალთ.

— კურდღლებს? ჯერ კურდღლებს იონჯა უნდა ვაჭამოთ, — ჩაერია ლენი. — მაგათ თავს რა დამავიწყებს; კი მაგრამ, მაინც როდის გვექნება ეს ყველაფერი, ჯორჯ?

— ერთ თვეში. ერთი თვე კიდევ მოითმინე. იცით, რას ვიზამ? იმ მო-

ხუცს მივწერ, რანჩო ვისიცაა, ყიდვას ვაპირებთ-მეთქი. ჩამიჩა კი ერთ ას დოლარს გაუგზავნის, სხვას რომ არ მიჰყიდონ.

— აბა რა, სწორია, — თქვა ჩამიჩამ. —ისე, როგორი ღუმელი აქვთ?

— ღუმელის დარდი ნუ გაქვს, მშვენიერია. გინდა ნახშირით გაათბობ, გინდა შეშას შეუნთებ.

— ჩემს ლეკვსაც წავიყვან, — თქვა ლენიმ. — ძალიან მოეწონება იქაურობა, ღმერთმანი.

გარედან ხმები მოისმა. ჯორჯმა სწრაფად წაუჩურჩულა ორივეს:

— აბა, ჩუმად იყავით, კრინტიც არსად დაგცდეთ. მარტო ჩვენ სამმა უნდა ვიცოდეთ და მორჩა. თორემ აქედან მართლა გვისვრიან და მერე ფულებსაც დაემშვიდობეთ. თავი ისე უნდა მოვაჩვენოთ, ვითომ მთელი ცხოვრება ქერის ტომრების გავსების მეტს არაფერს ვაპირებთ, მერე კი, აზრზე რომ არ იქნებიან, ისე ავიღებთ ფულს და ჩვენს ფეხსაც ვერავინ ნახავს აქ.

ლენიმ და ჩამიჩამ თავი დაუქნიეს, სახეზე ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდათ.

— კრინტიც არ უნდა დაგვცდეს, — ჩაილაპარაკა ლენიმ თავისთვის.

— ჯორჯ! — თქვა ჩამიჩამ.

— რა იყო?

— მე თვითონ უნდა მომეკლა ჩემი ძაღლი, ხომ კი? რაღა სხვას მოვაკვლევინე ის უბედური.

კარი გაიღო. ოთახში ზორბა შემოვიდა. მას ხუჭუჭა, ქარლსონი და უიტი შემოყვნენ. ზორბას ხელები კუპრით ჰქონდა გათხვრილი და იბღვირებოდა. ხუჭუჭა კი ფეხდაფეხ მოსდევდა. მერე მოუბოდიშა:

— ისეთი არაფერი მიფიქრია, უბრალოდ გკითხე, ზორბავ!

— რა ვიცი, ძალიან ხშირად კი მეკითხები, — უთხრა ზორბამ. —ღმერთმანი, ყელში ამომივიდა. შენს ცანცარა ცოლს თვითონ თუ ვერ უვლი, მე რა შუაში ვარ? თავი დამანებე, სანამ დროა!

— აკი გეუბნები, უბრალოდ გკითხე-მეთქი. — ისევ თავს იმართლებდა ხუჭუჭა. — ვიფიქრე, ხომ არ უნახავს-მეთქი სადმე.

— ვერ ეტყვი მერე, შინ დაეტიოს, მისი ადგილი სადაცაა, — უთხრა ქარლსონმა. — სულ ამ ბარაკებში რომ დაყიალობს, ერთხელ იქნება, კარგადაც დაგასაჩუქრებს და მერე იმტვრიე თავი.

ხუჭუჭა სწრაფად მიტრიალდა ქარლსონისკენ:

— შენ სხვის საქმეში ნუ ეჩრები, თორემ ტყვიასავით გავარდები აქედან!

ქარლსონს ჩაეცინა.

— შე მართლა ნაძირალავ, შენა! — თქვა მან. — ვითომ ზორბას დაშინება მოისურვე, არა? მაგრამ თვალიც რომ არ დაახამხამა? იქით შეგაშინა, მგონი, ბაყაყის მუცელივით გამწვანდი კაცი! ამ ჩემს ფეხებს, თუ კარგ მოკრივედ ითვლები, აბა ერთი გაბედე და თითი დამაკარე, კედელზე მიგასხმევინებ ტვინს!

ჩამიჩამაც აუბა მხარი ქარლსონს და გაგულიანებულმა ზიზღით მიაძახა:

— შე ვაზელინის ხელთათმანიანო, შენა!

ხუჭუჭამ თვალები დაუბრიალა, მერე განზე გაიხედა და ლენის მიაჩერდა. ლენის ისევ ნეტარი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, ისევ რანჩოზე ოცნებობდა.

— შენ რა ჯანდაბა გაციებს? — პატარა ქოფაკი ძალიანით აუყეფდა ხუჭუჭა ლენის.

ლენიმ დაბნეული თვალები მიაპყრო.

— რა იყო?

ხუჭუჭა ერთბაშად აენთო:

— უუჰ! შე ნაბიჭვარო,შენა! ერთი აეთრიე, ვნახოთ,რა აყლაყუდაცა ხარ! თქვე რეგვენებო, როგორ ბედავთ ჩემს გაბასხარავებას? ვნახოთ აბა, ვინც არის გამწვანებული!

ლენიმ უმწეო თვალებით შეხედა ჯორჯს, მერე წამოდგა. ეტყობა, ვასვლა უნდოდა, მაგრამ ხუჭუჭა ჩასაფრებულივით უცდიდა. მარცხენა ხელი მაგრად მოუჭნია ლენის და მარჯვენა კი ცხვირში სთხლიშა. ლენიმ შიშისაგან ღრიალი მორთო, ცხვირიდან სისხლი წასკდა.

— ჯორჯ! — დაიყვირა მან, — უთხარი. თავი დამანებოს, ჯორჯ!— უკან გაიჩოჩა, კედელს მიეყრდნო. ხუჭუჭამაც მისდია, თან საჩეში გამალებით ულაწუნებდა. ლენის ხელები უმწეოდ, მორებივით ეკიდა. შიშმა ისე აიტანა, თავის დაცვაც კი დაავიწყდა.

ჯორჯი წამოხტა და მთელი ხმით უყვირა:

— არ აცემინო თავი, ლენი! ჩასცხე ერთი მაგრად!

ლენიმ თავისი ტორებით სახე დაიფარა და შიშისაგან აყვირდა:

— უთხარი გაჩერდეს, ჯორჯ! — მაშინ ხუჭუჭამ მუცელში ხეთქა მუშტი, ლენის სუნთქვა შეეკრა.

ზორბა სწრაფად წამოიჭრა.

— უჰ, შენი! შე დამპალო ვირთხავ! — დაიყვირა მან. — მე თვითონ მოგიკვლი, შე ნაძირალავ, მე თვითონ!

ჯორჯმა ხელით გააჩერა ზორბა.

— შენ არ გაინძრე! — მერე ორივე ხელი პირთან მიიდო და მთელი ხმით ჩაყვირა:

— მიდი, ჩასცხე, ლენი, ჩასცხე!

ლენიმ ხელები სახიდან მოიშორა, ჯორჯს გახედა, ამასობაში კი ხუჭუჭამ შიგ თვალში სთხლიშა მუშტი. ვეებერთელა, მთვარესავით სახე სისხლით დაიფარა. ჯორჯმა ისევ უყვირა:

— ხომ გითხარი, დაარტყი-მეთქი!

ხუჭუჭას ის იყო მუშტი უნდა მოექნია, რომ ლენიმ პირდაპირ ხელში წაავლო თათი. წამიც და ხუჭუჭა თევზივით აფართხალდა, მისი მუშტი კი ლენის ვეება თათში ჩაკუჭულიყო, აღარც მოჩანდა. ჯორჯი ლენისკენ გავარდა.

— გეყო! გაუშვი! გაუშვი-მეთქი!

ლენი კი შეშინებული უყურებდა მუშტში გამოჭერილ აფართხალებულ კაცუნას. სახეზე სისხლი სდიოდა, გახეთქილი თვალი მოეჭუტა. ჯორჯი სახეში ურტყამდა და ურტყამდა ლენის, რომ როგორმე გონს მოეყვანა, მაგრამ ვერა და ვერ გააშვებინა მუშტი. ხუჭუჭას ფერი აღარ ედო, მთლად მოკუნტულიყო. ფართხალსაც უკლო, იდგა მხოლოდ და ღრიალებდა, მისი მუშტი ჯერ ისევ ლენის ვეება თათს ჩაებღუჯა.

ჯორჯი გაუჩერებლად უყვიროდა:

— ხელი გაუშვი, გაუშვი-მეთქი! ზორბა, მიშველე რამე, მომეხმარე, თორემ გადაუმტვრევს და დარჩება ეგ მაიმუნი უხელოდ!

უცებ ლენიმ მუშტი გაჰსნა, მერე თითქოს დამალვა უნდათ, კედელთან ჩაიცუცქა და მოიკუნტა.

— შენ თვითონ არ მითხარი, ჯორჯ? — თქვა მან საცოდავად.

ხუჭუჭა იატაკზე ჩაჯდა, გაკვირვებული დასცქეროდა თავის გაჭეჭყილ ხელს. ზორბა და ქარლსონი მასთან მივიდნენ და დაიხარნენ. მერე ზორბა გასწორდა და შიშით გახედა ლენის.

— ეტყობა, ექიმთან უნდა წავიყვანოთ, — თქვა მან. — მგონი, სულ ჩალეწილი აქვს ძვლები.

— მე არ მინდოდა! — დაიყვირა ლენიმ. — არ მინდოდა ასე სტკენოდა!

ზორბა არ დაიბნა:

— ქარლსონ, წადი, ცხენები შეაბი! სოლედადში მოგიწევს ამის წაყვანა, იქ უშველიან.

ქარლსონი სწრაფად გავიდა. ზორბამ კი აწუწუნებულ ლენის დაუყვავა:

— შენი რა ბრალია! ატეხალი იყო ეგ ნაძირალა და მიიღო კიდეც, მაგრამ, ღმერთო! კინალამ ცალხელა არ დატოვე ეგ უბედური? — ზორბა გარეთ გავარდა, წყლით სავსე ფინჯანით ისევ დაბრუნდა და ხუჭუჭას პირთან მიუტანა.

— რაო, ზორბა, გამოდის, გაგდება გეწიწერია? — ჰკითხა ჯორჯმა.— არადა, ეს ოხერი ფული რომ გვჭირდება? როგორ გგონია, გაგვაგდებს ხუჭუჭას მამა აქედან?

ზორბამ ცალყბად გაუცინა, მერე დაშავებულისკენ დაიხარა:

— გაქვს მაინც თავი მომისმინო? — ჰკითხა ხუჭუჭას. იმან თავი დაუქნია.

— მაშინ მისმინე, — განაგრძო ზორბამ. — მოდი ვთქვათ, რომ ხელი მანქანაში მოგყვა. თუ არავისთან არაფერი დაგცდება, ჩვენც ჩუმად ვიქნებით; თუკი ვინმესთან წამოაყრანტალებ და ამ ბიჭს აქედან გააგდებინებ, იცოდე, ყველას მოვუყვებით, რაც მოხდა, და თავი მოგეჭრება.

— არ ვიტყვი, — ამოღერღა ხუჭუჭამ, ლენისკენ არც გაუხედავს.

გარედან ბორბლების ჭრიალი მოისმა. ზორბამ ხუჭუჭა წამოაყენა.

— წამოდი ახლა, ქარლსონი ექიმთან წაგიყვანს. — მან ხუჭუჭა ოთახიდან გაიყვანა. ბორბლების ჭრიალი ნელ-ნელა მიწყდა. ზორბა ოთახში შემობრუნდა. შიშისგან ჯერაც კედელზე აკრულ ლენის შეხედა.

— აბა ერთი შენი ხელები მაჩვენე! — უთხრა მან.

ლენიმ ხელები გაუშვირა.

— ღმერთო დიდებულო! ვაი იმის ბრალი, ვინც შენ გაგაბრაზებს, — წამოიძახა მან.

ჯორჯი ჩაერია საუბარში.

— ლენის უბრალოდ შეეშინდა, — თქვა მან. — არ იცოდა, რა ექნა. ხომ გეუბნებოდი, ჩემს მტერს მოხვდეს-მეთქი მაგისი ხელი, თუმცა, მგონი, ჩამიჩასთან ვთქვი, ალარ მახსოვს.

ჩამიჩამ დინჯად დაუქნია თავი:

— ჰო, ჩემთან თქვი, დღეს დილას ხუჭუჭა რომ ეტაკა შენს მეგობარს, ასე თქვი: თუ თავის მტერი არ არის, ჯობია ლენის თავი დაანებოსო.

ჯორჯი ლენის მიუბრუნდა:

— შენი ბრალი არ არის, ლენი, რამ შეგაშინა, ბიჭო! როგორც გითხარი,

ისე მოიქეცი და მორჩა. მგონი, ჯობია წახვიდე და ეგ სიფათი მოიბანო. რომ იცოდე, რას გავხარ!

ლენის გადახეთქილი ტუჩები ღიმილმა მოუბრიცა.

— არ მინდოდა ასეთი ამბავი ამეტეხა, — დააყოლა მან. მერე კარისკენ წავიდა და, სანამ ოთახიდან გავიდოდა, ერთხელ კიდევ შემოტრიალდა. — ჯორჯ!

— რა გინდა?

— კურდღლების მოვლის ნებას ხომ მომცემ, ჯორჯ?

— რა თქმა უნდა, შენ ხომ არაფერ შუაში იყავი.

— ცუდი არაფერი მინდოდა, ჯორჯ.

— გეყოფა ახლა, დროზე გადი და ეგ სიფათი მოიბანე.

IV

ზანგ მეჯინიბეს, კუზიანს, თავისი საწოლი საჯინიბოს იმ კუნჭულში ედგა, სადაც ცხენის აკაზმულობა და სხვა რამ ხარახურა ინახებოდა; საჯინიბოდან ეს კუნჭული კედლით იყო გამოყოფილი. სენაკის ერთ მხარეს პატარა, ოთხკუთხა და ოთხმინიანი ფანჯარა ჰქონდა, მეორე მხარეს — ვიწრო, ფიცრული კარი, რომელიც საჯინიბოში გადიოდა. საწოლის მაგივრად გრძელი, ჩალით გატენილი ყუთი იდგა და ზემოდან საბნები ეწყო. ფანჯრის მხარეს, ლურსმნებზე, ახალი ტყავის ნაჭრები, კუზიანის ხელით ნახევრად შეკეთებული, დახეული ცხენის მოსართავი ეკიდა. ფანჯრის ქვემოთ პატარა სკამი იდგა და ზედ სასარაჯო იარაღი ეყარა: მოღუნული დანები, მახათები, კანაფის გორგალი და პატარა ხელის სამოქლონო დაზგა. კედელზე სხვა ბევრი წვრილმანიც ეკიდა: დახვეული ცალუღი გამოჩრილი ცხენის ძუებით, ცალუღის გატეხილი კაუჭი და ტყავგადამსკდარი ჭაბანი, თაროებიანი ყუთი ზედ საწოლზე იდო; კუზიანს შიგ სხვადასხვა წამლის შუშები ჩაელაგებინა, ზოგი თავისთვის, ზოვიც ცხენებისთვის. იქვე კუპრის საპნის ყუთები ეყარა და ფისიანი გახვრეტილი თუნუქის ქილა, შიგ ჩაჩრილი ფუნჯით. იატაკზე ყველანაირი ხარახურა იყო მოფენილი. თავის სენაკში კუზიანი არაფერს მალავდა — რანჩოში ერთადერთი მეჯინიბე იყო, თანაც კოჭლი, ხოლო რაკი აქ დიდი ხანია მუშაობდა, იმდენი ხარახურა დაგროვებოდა, ზურგზე რომ აეკიდა, ვერც კი წიკავდა.

კუზიანს რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელი გააჩნდა. ჰქონდა რეზინის ჩექმებიც, დიდი მაღვიძარა საათი და ძველი, ერთლულიანი ფილთა თოფი; კიდევ წიგნები ჰქონდა ბევრი: დაფლეთილი ლექსიკონი, 1905 წელს გამოცემული, კალიფორნიის სამოქალაქო კოდექსის დახეული ტომი, ძველი ჟურნალები და რაღაც წიგნები — რომლებიც საწოლს ზემოთ, წიგნებისთვის განკუთვნილ თაროზე საგანგებოდ დაელაგებინა. იქვე, ლურსმანზე ოქროსფერჩარჩოიანი სათვალე ეკიდა.

სენაკი ყოველთვის სუფთად იყო გამოგვილი. კუზიანი ამაყი იყო, განმარტოებით ცხოვრობდა, ახლოს არავის იკარებდა და სხვებისგანაც ამასვე ითხოვდა. კუზის გამო მთელი ტანი მარცხნივ ჰქონდა გადაბრეცილი. ღრმად ჩავარდნილი ბრჭყვიალა თვალები თითქოს ისარივით ესობოდა კაცს. შავი,

ხმელი კანი ღრმა ნაოჭებს დაეღარა და მწუხარედ მოკუმული ტუჩები სახეზე უფრო თეთრი მოუჩანდა.

შაბათი დღე მიწურულიყო. საჯინიბოში გამავალი ღია კარიდან გარკვევით ისმოდა, როგორ აბაკუნებდნენ ცხენები ჩლიქებს, როგორ აბრიალუნებდნენ თივას, როგორ ყღარუნებდა ჯაჭვები. პატარა ელექტრონათურა მბეჟუტავ ყვითელ შუქს ჰფენდა იქაურობას.

კუზიანი თავის საწოლზე იჯდა. ზურგზე პერანგი აეწია, ცალი ხელით რაღაც მალამოიანი ქილა ეჭირა და მეორეთი ზურგს იზელდა. დროდადრო მალამოს ვარდისფერ ხელისგულზე იწვეთებდა და ისევ პერანგქვეშ შეაცურებდა ზურგის დასაზელად. თან იგრიხებოდა და აჟრჟოლებდა.

ღია კარებს ლენი მოადგა შეუმჩნევლად. გაჩერდა და იქაურობა შეათვალიერა. მისმა ვეებერა სხეულმა კარის ჩარჩო თითქმის გაჭედა. კუზიანმა ჯერ ვერ შეამჩნია, მერე თავი ასწია და დაბღვერილი შეხედა დაუპატიჟებელ სტუმარს. პერანგიდან ნელა გამოაცურა ხელი.

ლენიმ კი, იქნებ შემიშვასო, დაბნეულად, მორცხვად გაუღიმა.

კუზიანმა ბრაზიანად უთხრა:

— შენ ჩემს ოთახში შემოსვლის უფლება არა გაქვს. ეს ოთახი ჩემია. ჩემს მეტი აქ ვერავინ ბედავს შემოსვლას.

ლენიმ ნერწყვი გადაყლაპა და მორჩილად გაუღიმა კუზიანს.

— მე ისე შემოვედი, — თქვა მან. — ჩემი ლეკვების სანახავად მოვედი და სინათლე დავინახე, — აუხსნა მერე.

— რაო? სინათლის ანთების უფლებაც არა მაქვს? გადი ჩემი ოთახიდან! ბარაკში ხომ არ მიშვებთ, მე კი თქვენ არ გიშვებთ აქ.

— რატომ არ გიშვებენ? — ჰკითხა ლენიმ.

— ზანგი ვარ და იმიტომ. ისინი იქ კარტის თამაშით ერთობიან, ჩემთვის კი თურმე არ შეიძლება, ზანგი ვარ და იმიტომ. ყარხარო, ასე მეუბნებიან. ერთი მე მკითხეთ, თქვენ ოვითონ როგორ ყარხართ.

ლენიმ უმწეოდ გაშალა ხელები.

— რა ვიცი, ყველანი ქალაქში წავიდნენ, — თქვა მან. — ზორბა, ჯორჯი, ყველანი. ჯორჯმა მითხრა, აქ დარჩი და არაფერი მიჰქაროო. მე კი... აქ სინათლე დავინახე და...

— კარგი, ბატონო, რა გნებავს?

— არაფერი, სინათლე დავინახე. ვიფიქრე, შევალ და დავჯდები-მეთქი.

კუზიანი ლენის მიაშტერდა, მერე ზურგს უკან, კედელზე ჩამოკიდებულ სათვალეს წვდა, ვარდისფერ ყურებზე ჩამოიცვა და ისევ ლენის მიაჩერდა.

— მაინც ვერ გავიგე, რისთვის მოსულხარ, რა გინდა საჯინიბოში? — ისევ აუბირდა იგი ლენის. — ცხენების გამრეკი შენ არა ხარ, ტომარაში ქერის ჩამყრელებს კი აქ არაფერი ესაქმებათ, თუ გამრეკი არა ხარ, ცხენებთან რა საქმე გაქვს?

— ლეკვის, — მოიბოდიშა ლენიმ. — ლეკვის სანახავად მოვედი.

— ჰოდა, წადი და შენი ლეკვი მოინახულე. სადაც საჭირო არა ხარ, იქ ნუ ეტენები.

ლენის ღიმილი ტუჩებზე შეაშრა. ოთახში ფეხი შემოდგა, მერე მიხვდა, რასაც ეუბნებოდნენ, და ისევ კარისკენ გადააბიჯა.

— მე ის უკვე ვნახე. ზორბამ მითხრა, ძალიან ბევრს ნუ ეფერებიო.

— შენ კი სულ ხელში გყავდა, ხან ამოგყავდა და ხან ჩასვამდი ხოლმე საწყლებს. საოცარია მაინც, ამდენი ხანი სხვაგან როგორ არ გადაიყვანა ძაღლმა ლეკვები?

— ოჰ, ის წყნარადაა, არ მიბრაზდება, — ლენიმ ესეც შემოდგა ფეხი ოთახში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუზიანი მოიბღვირა, მაგრამ ლენის გულუბრყვილო ღიმილმა გული მოულბო.

— ჯანდაბას, შემოდი, ცოტა ხანს ჩამოჯექი, — თქვა კუზიანმა. — რახან აღარ მეშვები, მოდი ბარემ აქ დაჯექი. — კუზიანი უკვე არ ბრაზობდა. — მაშ, ყველანი ქალაქში წავიდნენ?

— ყველანი, ჩამიჩას გარდა. ბარაკში ზის და ფანქარსა თლის; თლის და თლის და თან რაღაცას ითვლის.

კუზიანმა სათვალე გაისწორა.

— ითვლისო?! რა აქვს დასათვლელი ნეტა?

— რა აქვს და კურდღლები, — თითქმის დაიყვირა ლენიმ.

— შენ რა, გააფრინე? — ჰკითხა კუზიანმა. — მთლად შეშლილხარ, რის კურდღლები, რა კურდღლები?

— რადა, ჩვენ რომ გვეყოლება, ის კურდღლები. მე უნდა მოვუარო მერე მათ. წყალს დავალევინებ, ბალახბულახსაც ვაჭმევ და რა ვიცი, კიდევ რა..

— გაგიფრენია და ეგ არი, —უთხრა კუზიანმა. — შენს მეგობარს რა ვუთხრა, მარტო რომ გტოვებს.

ლენიმ წყნარად უპასუხა:

— არ გატყუებ, მართლა ვაპირებთ. პატარა რანჩოს ვიყიდით და ვიქნებით ჩვენი მიწის ბატონ-პატრონი.

კუზიანი უფრო მოხერხებულად მოკალათდა თავის საწოლზე.

— დაჯექი, — შესთავაზა მან ლენის. — აი, იმ ლურსმნების კასრზე დაჯექი.

ლენი ძლივს მოიკეცა პატარა, დაბალ კასრზე.

— მაინც გგონია, რომ გატყუებ, არა? — ჰკითხა ლენიმ. — სწორს ვამბობ, სულაც არ ვამეტებ, ჯორჯს ჰკითხე, თუ გინდა.

კუზიანი შავი ნიკაპით ვარდისფერ ხელისგულს დაეყრდნო.

— შენ და ჯორჯი სულ ერთადა ხართ?

— ერთად აბა, სუყველგან ერთადა ვართ.

კუზიანმა ისევ განაგრძო:

— ხანდახან რაღაცებს გიყვება, შენ კი აზრზეც ვერ მოდიხარ, რაზეა ლაპარაკი, ასეა თუ არა? — ზანგი ლენისკენ უფრო ახლოს გადაიხარა და ღრმად ჩამჯდარი თვალებით მიაჩერდა. — მითხარი, ხდება ხოლმე ასე თუ არა?

კი... რა ვიცი... ხანდახან...

— უბრალოდ გელაპარაკება და შენ კი ვერ გაგიგია, რას ამბობს.

— კი... ხანდახან, მაგრამ ყოველთვის არა.

ზანგმა ისევ მიიწია ლენისკენ, ზედ საწოლის კიდემდე მიჩოჩდა.

— მე სამხრეთიდან კი არა ვარ, — თქვა მან. — აქ დავიბადე, კალიფორნიაში, მამაჩემს პატარა რანჩო ჰქონდა. ათიოდე აკრი მიწა თუ იქნებოდა, ვათმები ჰყავდა რანჩოში; ხანდახან თეთრკანიანი ბავშვებიც მოდიოდნენ ხოლ-

მე ჩვენთან სათამაშოდ და მეც ვთამაშობდი, ზოგიერთები ძალიან კარგები იყვნენ, მამაჩემს კი არ მოსწონდა, რომ მოდიოდნენ. კარგა დიდ ხანს ვერ ვხვდებოდი, რატომ არ მოსწონდა, ახლა კი იცოცხლე, ვიცი. — ზანგი წუთით გაჩუმდა და მერე უფრო რბილად განაგრძო: — ჩვენ ირგვლივ, რამდენიმე ვილზე, სხვა ზანგის ოჯახი არც ყოფილა. აქაც ერთადერთი ზანგი ვარ მეფელ. ანჩოში და სოლედადშიც ერთადერთი ოჯახია ზანგების, — მერე ჩაეცინა — ალბათ, თუკი რამეს ვიტყვი ხოლმე, ზანგის ნაჩურჩუტევი რა მოსასმენიაო, და კაცშვილი არ მაქცევს ყურადღებას.

— როგორ გგონიათ, მალე გაიზრდებიან ლეკვები, რომ ვეფერო და ვეფერო?

ზანგმა ისევ გაიცინა.

— მაშასადამე, შენთან თავისუფლად შეიძლება ვნა მოიქავო, მაინც არ დაფქვავ. ლეკვები კი ერთ კვირაში წამოიზრდებიან. კარგად ჰქონია ჯორჯს საქმე. რალაცებს გიყვება და შენ აზრზეც ვერ მოდიხარ. — კუზიანი აღელდა და უფრო წინ წაიწია. — ეს მე, ზანგი გელაპარაკები, კუზიანი ზანგი; ასე რომ, ნუ მიაქცევ ამას ყურადღებას, გაიგე? თუმცა შენ ხომ მაინც ვერ დაიხსომებ. ქვეყნის მინახავს თქვენნაირები, რამდენიც გინდა — ერთი რალაცას ელაპარაკება მეორეს და სულაც არ აინტერესებს, ესმის იმ მეორეს რაიმე თუ არა. ასე ხდება ყოველთვის. ჩუმად ისხდებიან თუ ილაპარაკებენ, არა აქვს ამას მნიშვნელობა. — ზანგი ისე აღელდა, მთელი ძალით მუხლზე შემოირტყა ხელი. — ჯორჯს რაც მოეპრიანება, იმას მოგიჩმახავს; მთავარია, ილაპარაკოს, ელაპარაკოს ვილაცას და ჰყავდეს გვერდით ვილაც! მეტი რა უნდა კაცს! — კუზიანი უცებ გაჩუმდა.

მერე ისევ განაგრძო წყნარად და დამაჯერებლად:

— ისე, ჯორჯი რომ აღარ დაბრუნდეს, რას იზამ? წაიღო იქნებ მთელი თქვენი ავლადიდება და არც აპირებს დაბრუნებას, მაშინ რა?

ლენი ძლივს მიხვდა, რას ეკითხებოდნენ.

— რაო? რა თქვი? — ჩაეკითხა ეგი.

— რაო და, იქნებ შენი ჯორჯი წაბრძანდა ქალაქში და აღარ დაგიბრუნდეს-მეთქი, გამოეკიდები თუ რა?— კუზიანი კმაყოფილებით აღივსო, თითქოს პირად გამარჯვებას ზეიმობდა. — აბა ერთი თქვი, — ისევ გაიმეორა მან.

— ჯორჯი მაგას არ იზამს!— წამოიყვირა ლენიმ. — ხომ გეუბნები, ჯორჯი-მაგას არ იზამს-მეთქი, არაფრით არ იზამს! მე და ჯორჯი რამდენი ხანია ერთადა ვართ. ღამე დაბრუნდება, აი ნახავ! — ეჭვმა, ეტყობა, მაინც გაჰკრა ლენის. — შენ როგორ გგონია, ხომ დაბრუნდება?

ლენის სასოწარკვეთილებით გახარებულ კუზიანს სახე გაებადრა.

— ვის რა ეშმაკი უზის ტვინში, უცებ არ მიხვდე! — თქვა ზანგმა გამალიზიანებლად. — რა იცი, იქნებ ძალიანაც უნდოდეს წამოსვლა, მაგრამ ვერ შეძლოს. იქნებ მოკლა ვინმემ, ან დაჭრა? ცოტა შემთხვევაა თუ რა?

ლენიმ თავს ძალა დაატანა, გაეგო, რას ეუბნებოდნენ.

— არა, ჯორჯი მაგას არ იზამს, — გაიმეორა მან. — ჯორჯი ისეთი ფრთხილია, მაგას ვერ დაჭრიან. ჯერაც არავის დაუჭრია, ფრთხილი რომაა, იმიტომ.

— არა, იქნებ დაიქცა ქვეყანა და აღარ დაბრუნდა შენი ჯორჯი. მაინც რას იზამ?

ლენის დაბნეულობისაგან სახე მოებრიცა.

— რა ვიცი, რას ვიზამ, კარგი ერთი, რასაა რომ იგონებ? — იყვირა მან. — რატომ მატყუებ? არაფერიც არ დაუჭრიათ ჯორჯი!

— გინდა გითხრა, რა მოხდება მაშინ? — არ ისვენებდა კუზიანი. — დაგიჭერენ, გაგკოჭავენ და გიჟებში გიკრავენ თავს. საყელოსაც მოგაბამენ ძალლივით და იყავი მერე ასე.

უცებ ლენის თვალებში სიშმაგემ იელვა, გუგები ნელ-ნელა გაუფართოვდა. სწრაფად წამოდგა და გააფთრებული კუზიანს მივარდა.

— ვინ დაჭრა ჯორჯი? — დაიყვირა მან.

კუზიანი მიხვდა, სახუმროდ არ იყო საქმე, და შეუმჩნევლად უკან გაჩოჩდა, ხიფათს რომ გარიდებოდა.

— გაგეხუმრე, ბიჭო, — უთხრა მან. — ისე ვთქვი, იქნებ დაჭრეს-მეთქი.— არავისაც არ დაუჭრია, მშვენივრადაა და დაბრუნდება კიდეც. აბა რას იზამს?

ლენი თავზე დაადგა.

— ეგ რა ხუმრობაა? იქნებ ასე, იქნებ ისეო? აბა ერთი ვინმემ გაბედოს და ხელი ახლოს ჯორჯს!

კუზიანმა სათვალე მოიხსნა და თვალები თითით ამოიწმინდა.

— შენ მოდი, აქ დაჯექი, — უთხრა ლენის. — შენი ჯორჯი არავის დაუჭრია.

ლენი ბუზღუნით მივიდა კასრთან და ისევ ჩამოჯდა.

— აბა ერთი ვინმემ გაბედოს და ჯორჯს ხელი ,ახლოს! — დაიღრინა მან.

კუზიანმა წყნარად განაგრძო:

— იქნებ ახლა მაინც მიხვდე რამეს. შენ გყავს ჯორჯი და იცი, რომ აუცილებლად დაგიბრუნდება. რომ არავინ გყავდეს, მაშინ? წარმოიდგინე, რომ არავინ გყავს! წარმოიდგინე, ვერც ბარაკში შეხვალ და ვერც კარტს ითამაშებ. რატომ? ზანგი ხარ და იმიტომ. კარგი იქნებოდა? წარმოიდგინე, რომ გინდა არ გინდა, ამ სოროში უნდა ამოიყუჟო და წიგნები იკითხო. ისე, დაღამებამდე კი ითამაშებდი ნალაობას, მაგრამ მერე? ისევ შენს სოროში უნდა შეძვრე და წიგნებს ჩაუჯდე. წიგნები კი... აბა რას გიშველის? კაცს ისევ კაცი აჭირდება, ცოცხალი კაცი, გვერდით რომ ჰყავდეს! — შესაბრალისად თქვა კუზიანმა. — თუკი არავინ გყავს, შეიძლება გააფრინო კიდეც; ვინც გინდა იყოს, რა მნიშვნელობა აქვს, ოღონდ კი იყოს ვიღაც! გესმის, ადამიანო?! — დაიყვირა მან. — მარტოობაზე საშინელი არაფერია ამქვეყნად — ყელში ამოგივა მაშინ ყველაფერი!!!

— ჯორჯი აუცილებლად დაბრუნდება, — დამფრთხალი ხმით აწყნარებდა თავის თავს ლენი. — იქნებ უკვე მოსულია კიდეც, იქნებ ჯობდეს წავიდე და ვნახო.

— შენი არც დაშინება მინდოდა და არც წყენა, — უთხრა კუზიანმა. — ჯორჯი აუცილებლად მოვა. მე მხოლოდ ჩემს ბედსა ვტიროდი. ზიხარ აქ საღამოობით მარტოდმარტო გამოკეტილი; ხან წიგნს წაიკითხავ, ხან ფიქრობ რამეზე, ხანაც სხვა საქმეს გაიჩენ, ზიხარ ასე მარტო, გამოკეტილი და ფიქრობ რაღაცას, მაგრამ ვაი რომ ვერავის ჰკითხავ, სწორად ფიქრობ თუ არა. დაინახავ რამეს და არ იცი, მართლა ხედავ თუ არა. არადა, სულიერი არა გყავს გვერდით, რომ შეეკითხო, მანაც დაინახა თუ არა. ვერაფერს გაიგებ და ვერც ვერავინ გეტყვის. რა ხანია აქა ვცხოვრობ და რა არ მინახავს; მთვრალი არა

ვყოფილვარ, მაგრამ მეეჭვება კიდეც, ძილში ხომ არ ვნახე-მეთქი ყველაფერი. აი, ვინმე რომ მყავდეს, ის მეტყოდა, სიზმარში ვიყავი თუ ცხადში. ჰოდა, მაშინ ყველაფერი გაირკვეოდა. მაგრამ მარტო ვარ და ვერაფერი გამიგია, ვერაფერი! — კუზიანი სადღაც იქით, ფანჯრისკენ იყურებოდა.

— ჯორჯი მე არასოდეს მიმატოვებს. ვიცი მე, ჯორჯი ამას არაფერით არ იზამს, — საცოდავად წაიდუდუნა ლენიმ.

მეჯინიბე ჩაფიქრებულიყო, მერე ისევ ოცნებით განაგრძო:

— მახსოვს, პატარაობისას, მამაჩემთან რომ ვცხოვრობდი რანჩოში, მამას ქათმები ჰყავდა. სამი ძმა ვიყავით. ერთად გავიზარდეთ ჩვენს რანჩოში. ერთ ოთახში გვეძინა. ერთ ლოგინში ვიწექით სამივე. ბაღში ხენდრო იზრდებოდა, გვერდით კი იონჯა. მახსოვს, სისხამ დილით, ინათებდა თუ არა, როგორ გამოვუშვებდით ხოლმე ქათმებს იონჯას საჭმელად. ჩემი ძმები რკინის ღობეზე წამოჯდებოდნენ და იქიდან უთვალთვალებდნენ ქათმებს. სულ თეთრი, ფუმფულა ქათმები გვყავდა.

ლენი თანდათან გაიტაცა საუბარმა.

— ჯორჯმა თქვა, იონჯა უნდა დავთესოთ კურდღლებისთვისო.

— რომელი კურდღლებისთვის?

— ჩვენ კურდღლებიც გვეყოლება და ხენდროც გვექნება ნაკვეთზე.

— გაგიფრენია და ეგ არის.

— კურდღლებიც და ხენდროც, აი, ჰკითხე ჯორჯს.

— გეუბნები, გაგიფრენია-მეთქი, — ისევ აგდებით უთხრა კუზიანმა.— ასობით მინახავს გზაზე თუ რანჩოში ზურგზე ფუთამოკიდებული მეოცნებეები, ასეთი სისულელეებით რომ ჰქონიათ გამოტენილი თავი. ასობით-მეთქი, ხომ გეუბნები, ასე მიწის ნაკვეთზე ოცნებით გამოსულელებულები მოსულან და წასულან კიდეც. ოცნება ოცნებად შერჩათ და მიწის ნაკვეთი კი არავის ღირსებია. როგორც ცაში არ აფრენილა არავინ, ისე საკუთარი მიწაც არავის ღირსებია... ეგ მხოლოდ ოცნებაა და სხვა არაფერი! განა სულ მაგაზე არ ლაპარაკობენ გამწარებულები, მაგრამ ოცნება ოცნებად რჩებათ.— კუზიანი გაჩუმდა და ღია კარისკენ გაიხედა. აღვირები აეღარუნდა, ცხენებს მოუსვენრობა დაეტყოთ და ჭიხვინი დაიწყეს. — ალბათ ვიღაც მოდის, — თქვა კუზიანმა. — ზორბა ხომ არაა? ღამით ხანდახან შემოივლის ხოლმე. კარგი გამრეკია. გადაყოლილია თავის ცხენებზე. — კუზიანი ძლივს წამოდგა და კარისკენ წავიდა. — თქვენა ხართ, ზორბა? — დაიძახა მან.

პასუხი ჩამიჩამ გასცა.

— ზორბა ქალაქში წავიდა. ლენი ხომ არ გინახავს შემთხვევით?

— შენ იმ აყლაყუდაზე მეკითხები?

— ჰო, იმაზე. ხომ არ გინახავს?

— აქ არის, — მოკლედ უპასუხა კუზიანმა. შემდეგ ოთახში შებრუნდა და თავის საწოლზე წამოწვა.

ჩამიჩა კარებში იდგა, მორგვივით ხელს იფხანდა და მბეჟუტავ სინათლეზე თვალებს ჭუტავდა. შემოსვლა არც უფიქრია.

— იცი რა, ლენი? რამდენი ხანია სულ იმ კურდღლებზე ვფიქრობ.

— თუ გინდა შემობრძანდი, — ჩაიბურდღუნა კუზიანმა.

ჩამიჩა ცოტა არ იყოს, დაიბნა.

— რა ვიცი... თუ მიშვებ, შემოვალ.

— შემოდი რაღა, სხვა თუ შემოვიდა, შენც შეგიძლია.— კუზიანის დაბღვერილი სახე ძლივს მალავდა სიხარულს.

ჩამიჩა დარცხვენით შევიდა სენაკში.

— პატარა, მაგრამ მყუდრო ოთახი გქონია, — თქვა მან. — ეჰ, კარგია არა, საკუთარი ოთახი რომ გაქვს?

— კარგია, ჩემმა მზემ, ფანჯრების ქვეშ ნეხვის მთელი ზვინი რომ მიდგას... ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს?

— კურდღლებზე თქვი, — ჩაერია ლენი.

ჩამიჩა იქვე ჩამოკიდებული ცალულას გვერდით კედელს მიეყრდნო, მერე ისევ თავისი მორგვივით ხელი მოიფხანა.

— რა ხანია აქა ვცხოვრობ, — დაიწყო მან. — შენც ასე არა ხარ, კუზიანო? ჰოდა, ამ სოროში კი პირველად მოვხვდი.

— აბა შავკანიანის ოთახში შემოსვლა როგორ იქნება?— თქვა მოლუშვით ზანგმა. — ზორბას გარდა აქ არავინ შემოდის. ზორბა და ბოსი თუ შემოვლენ ხანდახან, სხვა არავინ.

ჩამიჩამ უცებ შეცვალა საუბარი:

— ზორბასნაირი კარგი გამრეკი ჯერაც არ მინახავს.

ლენი მოხუცი დამლაგებლისკენ დაიხარა.

— კურდღლებზე რატომ არაფერს ამბობ? — ჩააჯინდა იგი.

ჩამიჩამ გაუღიმა.

— ჰო, ბევრი ვიფიქრე და იცი, რა მოვიფიქრე? კარგა თუ მოვკიდებთ ამ საქმეს ხელს, კურდღლებით ფულის გაკეთებაც კი შეიძლება.

— კი მაგრამ, მათ ხომ მე უნდა მოვუარო? — შეაწყვეტინა ლენიმ. — ჯორჯმა ასე თქვა, შენ მოუვლიო, დამპირდა კიდეც.

კუზიანი თამამად ჩაერია.

— თქვენ, მგონი, თავს ისულელებთ და ეგაა. გაუთავებლივ მაგაზე ლაყბობთ, მაგრამ, დამიჯერეთ, მიწას თვალითაც ვერ ნახავთ. შენი დღე და მოსწრება დამლაგებელი იქნები აქ, ჩამიჩავ, სანამ ყუთში არ ამოგეჭედავენ. ეჰ! ცოტა მინახავს აქ ასეთები? ლენი კი, ერთი-ორი კვირაც და, მორჩება თავის საქმეს თუ არა, ისევ გზას დაადგება სამუშაოს საძებრად. აი, ნახავთ. კაცი არ მინახავს, საკუთარ მიწაზე რომ არ ოცნებობდეს.

ბრაზმორეულმა ჩამიჩამ ლოყა მოისრისა.

— ოჰ, გამიხმეს ეს თავი, თუ ეგ საქმე არ გავაკეთოთ. ჯორჯმა თქვა, აუცილებლად ვიზამთო. ფულიც კი გვაქვს გადანახული.

— ჯორჯმა თქვაო? — იკითხა კუზიანმა. — მერედა, სადა ბრძანდება თქვენი ჯორჯი, თუ იცით? სადა და ქალაქში — ბოზებთან; აი, რაში მიდის თქვენი ფულები. ბევრჯერ ვარ ასეთი ამბის მომსწრე, ღმერთია მოწმე. თქვენნაირი ხალხი ბევრი მინახავს, საკუთარ მიწაზე ოცნებით რომ ჰქონიათ გამოტენილი თავი. ოცნებით, ბატონო, თორემ მიწა არც ერთს არ ღირსებია.

— რა თქმა უნდა, ყველა ოცნებობს მაგაზე!— შესძახა ჩამიჩამ. — ყველას უნდა საკუთარი მიწა ჰქონდეს, თუნდაც ერთი მტკაველი! ოღონდ საკუთარი კი ერქვას. ყველას უნდა საკუთარ ჭერქვეშ ცხოვრება, რომ არავინ გააგდოს უპატრონო ძაღლივით. წესიერი ცხოვრება არასოდეს მღირსებია. ამ შტატში ვისთვის არ მითესია პური და თავიც მომიკლავს. მოსავალიც მე ამიღია, მაგრამ რა დამრჩენია იქიდან — არაფერი. სხვისი იყო ეგ მოსავალი. სხვი-

სი! ახლა კი საკუთარი მიწა გვექნება, ეჭვიც არ შეგეპაროს, აი, ნახავ. ჯორჯს ქალაქში ფული არ წაუღია. ფული ჩვენ ბანკში გვაქვს, მე, ლენის და ჯორჯს. სახლი უნდა ვიყიდოთ. ძაღლი გვეყოლება და კურდღლები და კიდევ ქათმები. სიმინდიც გვექნება დათესილი. შეიძლება ძროხაც კი გვყავდეს, ან, თხა, — ჩამიჩა ისე გაიტაცა, ამ თავისმა მონაგონმა, რომ უცებ გაჩერდა.

— ესე იგი, ფული შენახული გაქვთ? —იკითხა კუზიანმა.

დიახაც გვაქვს. სულ ცოტაღა აკლია და იმ ცოტასაც მალე ვიშოვით, სულ ერთ თვეში. ჯორჯმა ადგილიც კი შეარჩია უკვე.

კუზიანმა ხელი გაწია და ზურგი მაგრად მოიფხანა.

— მაგ საქმის ბოლომდე მიმყვანი ჯერ კაცი არ მინახავს, —თქვა მან.— რამდენი ვიცი, კინაღამ ჭკუაც არ დაკარგეს საკუთარ მიწაზე ფიქრით, მაგრამ საროსკიპოებში წანწალმა და კარტის თამაშმა ჩაუფუშათ ეგ ოცნებები. — კუზიანმა წამით იყუჩა.— თქვენ თუ... ბიჭებო... ერთი მუქთა ხელი თუ გეჭირდებათ, მარტო თუ შემინახავთ, მეტი არაფერი მინდა... სიამოვნებით წამოვალ თქვენთან ერთად. არც ისეთი საპყარი ვარ, თუ მოვინდომე, ვირივით ვიმუშავებ.

— ბიჭებო, ხუჭუჭა ხომ არ გინახავთ ვინმეს?

მოსაუბრეებმა უცებ კარისკენ გაიხედეს. კარებში ხუჭუჭას ცოლი იდგა. სახე უსაშველოდ გაეთხიპნა ფერუმარილით. პირი ოდნავ გაეღო. ნარბენი ძაღლივით ქშინავდა.

— ხუჭუჭა აქ არ შემოსულა. — ამრეზით უთხრა ჩამიჩამ.

ქალი ისევ კარებში იდგა, ოდნავ ულიმოდა მამაკაცებს და თან თითებით თავის წითელ ფრჩხილებს ეალერსებოდა. თამამად შეათვალიერა სამივე.

— ყოვლად უხეირო და უვარგისები აქ დაუტოვებიათ, — გამოაცხადა მან ბოლოს. — ძნელი მისახვედრი არაა, ხუჭუჭა და სხვებიც სად გაქრნენ, ვიცი, სადაც ბრძანდებიან.

აღტაცებული ლენი ქალს თვალს არ აშორებდა; კუზიანი და ჩამიჩა კი ცდილობდნენ არ შეეხედათ და დაბღვერილები იატაკს დაშტერებოდნენ. ბოლოს ჩამიჩამ დაარღვია სიჩუმე:

— თუ ასეთი გულთმისანი ხარ, ჩვენ რაღას გვეკითხები, ხუჭუჭა სად არისო?

— საოცარია პირდაპირ, — დაშცინავი ღიმილით თქვა ქალმა. — რომელიმე თქვენგანი მარტო თუ შემხვდით, მშვენივრად ვუგებთ ერთმანეთს. საკმარისია ორნი მაინც იყოთ და იმწამსვე პირს შეკრავთ ხოლმე. — მერე თავის ფრჩხილებს მოეშვა და ხელები თეძოებზე შემოიწყო. — გეშინიათ ერთმანეთის და იმიტომ. ყველას გეშინიათ, ვინმემ რამე ზედმეტი არ გაიფიქროსო.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. მერე კუზიანმა თქვა:

— მე მგონი, აქედან დროზე რომ მოუსვა, ისა ჯობს. ასატკივებელი თავი სადა გვაქვს?

— კი მაგრამ, რა ისეთი თავის ამატკივებელი მე მნახეთ. არ შეიძლება ვინმეს რომ დაველაპარაკო, თუ რა? ყელში ამომდგომია სულ შინ ჯდომა.

ჩამიჩამ მორგვივით ხელი მუხლზე ჩამოიდო და მეორეთი ფრთხილად დაიზილა.

— შენ ქმარი გყავს თუ არა? ჰოდა თუ გყავს, დაეტიე შენს სახლში. რა-

საა, რომ ალმა-დალმა დადიხარ და ყველა შარვლიანს თვალებს ტკრაწავ? აი, ნახავ, ვინმე ხიფათში თუ არ ჩააგდე.

ქალი მთლად გაკაპასდა.

— კი, ქმარი მყავს, როგორ არა. თქვენც მშვენივრად იცნობთ. ხოშიანი ბიჭია, არა? რას იტყვით? თუკი ვინმეს ვერ იტანს, დადგს წინ და უკან და სულ იმის ფიქრშია, რითი დაემუქროს. სიყვარულით მაგას არავინ უყვარს გგონიათ, ძალიან მეხალისება იმ დამპალ სახლში ყოფნა? მთელი დღეები მხოლოდ მაგის ტრაბახს უნდა უსმინო — როგორ გაუქანებს ჯერ მარცხენა ხელს ორჯერ, მერე თავის უტყუარ მარჯვენას როგორ მიაყოლებს და... „ერთი-ორს გავუქანებ, — ასე ამბობს, — ჩემებურად, და ბოლოსაც მოვუღებ“.— ქალი უცებ გაჩერდა და სახე გამოუცოცხლდა, ოღონაც ინტერესმა გაუელვა თვალებში: — ერთი მითხარით, რა დაემართა ხუჭუჭას ხელზე?

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ჩამიჩამ მალულად ლენის გახედა, მერე ჩაახველა.

— ხელი?.. ხუჭუჭას... ხელი მანქანაში მოუყვა და... იტკინა.

ქალმა გამომცდელად შეხედა და მერე ვისკისი აუტყდა.

— რას მიედ-მოედებით? ჩემი მოტყუება ასე ადვილი ხომ არ გგონიათ? განა არ ვიცი, თვითონ ატეხდა აყალმაყალს და მერე თვითონვე გაება მახეში ალბათ. თქვენ კი — მანქანაში მოუყვათ. სისულელეა! რაც ის ხელი დაემტვრა, მაგისი „ერთი-ორს გავუქანებ“ ალარც გამიგია. მაინც ასე ვინ გააღლამაზა, არ მეტყვით?

მოღუშულმა ჩამიჩამ ჯიუტად გაიმეორა:

— მანქანაში მოუყვა ხელი.

— ეგრე იყოს, — ზიზღით თქვა ქალმა. — ეგრე იყოს. ასე ძალიან თუ გინდათ, დამალეთ, რა მენაღვლება. ძალიან კი მოგაქვთ თავი, თქვე უნიფხოებო! მე რა, ბავშვი ხომ არ გგონივართ? იცით რა, თავისუფლად შემეძლო მიმეტოვებინა აქაურობა და სცენაზე მეთამაშა. ცოტა შესაძლებლობა კი არ მქონდა. ერთი დამპირდა კიდეც, კინოში გათამაშებო, — აღელვებისაგან ქალს სუნთქვა შეეკრა, — აბა ესაა საქმე? შაბათია და ყველა თავის ნებაზე ატარებს დროს, ყველა უკლებლივ; მე კი რას ვაკეთებ? ვდგავარ აქ და ამ სამ უნიფხოსთან: ზანგთან, გამოლენჩებულსა და ერთ ამყრალებულ ძაღლთან ერთად ენას ვიქავებ და მიხარია იმიტომ, რომ სხვა ხმის გამცემი არავინა მყავს!

ლენი პირდაფჩენილი მიშტერებოდა ქალს. კუზიანმა ზანგი კაცისთვის ჩვეული — საკუთარი ღირსების ცივი, საზარელი. მაგრამ თავდასაცავი ნიღაბი ჩამოიცვა. მოხუცი ჩამიჩა კი თითქოს მთლად შეცვალესო — მხნედ წამოდგა და, ზედ რომ იჯდა, იმ სკამს ფეხი მთელი ძალით გაჰკრა.

— საკმარისია! — დაიყვირა ვაავებულმა. — აქ არავის დაუპატიჟებიხართ. მე მგონი, თავიდანვე გითხარით. და იცით რა, ძალზედ მცდარი აზრისა კი ყოფილხართ ჩვენზე. თუმცა თქვენისთანა ქათმისტვინას მეტი რა მოეკითხება; ჩვენ არც ისეთი უნიფხოები და უსაქმურები გახლავართ. ვთქვათ და, გაგვაგდეთ აქედან. არა, ვთქვათ და გაგვაგდეთ! თქვენ გგონიათ, მათხოვრებივით გზას გავუდგებით ამისთანა ორპენსიანი სამუშაოს საძებრად? ჩვენ საკუთარი რანჩოცა გვაქვს და სახლიც. ასეა, დიახ, საქმე! ჩვენ აქ გაჩერება არ გვინდა. საკუთარი სახლი გვაქვს და ბაღი; ქათმებიც გვყავს, აქაურობას თუ არა სჯობდეს — თავს მოვიჭრი, მეგობრებიც გვყავს. მეტი რაა საჭირო? ადრე

იქნებ ძალიანაც გვეშინოდა აქედან გაგდების, მაგრამ ახლა კი რა მოგახსენო, სულაც არ გვადარდებს. საკუთარი მიწა გვაქვს და არავინ შეგვეცილება. ახლავე შეგვიძლია იქ გადასვლა.

ხუჭუჭას ცოლს სიცილი აუტყდა.

— რა სისულელეა! კაცების მეტი რა მინახავს! ორად-ორ პუნსს გაიჩენო თუ არა, გამოხდილ არაყს იმოვით და სულ გამოლოკავთ. არ ვიცი თქვენი ამბავი?

ჩამიჩას თანდათან აუჭარხლდა სახე და, სანამ ქალი დაამთავრებდა, ძლივს მოახერხა თავის შეკავება. მოხუცს ახლა ალარაფრის ეშინოდა და გათამამებულმა წყნარად უთხრა ქალს:

— ეგრეც ვიცოდი, ახლა კი გირჩევნია წაბრძანდე აქედან. ჩვენ თქვენთან არაფერი გვაქვს საერთო. ჩვენი საქმე ჩვენ ვიცით და სულაც არ გვაინტერესებს, რა აზრისა ბრძანდებით ჩვენზე. ასე რომ, სანამ დროა, მოუსვით აქედან, თორემ ქმარმა რომ გნახოს, არა მგონია, ძალიან გაუხარდეს, ჩვენისთანა უნიფხოებთან ენას რომ იქავებ.

ქალმა სათითაოდ ჩაათვალიერა ისინი. ყველა დაბღვერილი იჯდა, თითქოს პირი შეკრესო. ყველაზე დიდხანს ლენის დააკვირდა, სანამ შეშფოთებულმა ბიჭმა თვალები არ დახარა, მერე ქალმა უცებ ჰკითხა:

—სახე რომ დაგჩეჩქვია, საიდან?

ლენიმ დამნაშავესავით ასწია თავი.

— ვის? მე?

— დიახ, შენ.

ლენიმ ჩამიჩას საწყალობელი თვალებით გახედა და მერე ისევ თავის თათებს დააშტერდა.

— იმან ხელი მანქანაში მოიყოლია,— წამოროშა მან.

ხუჭუჭას ცოლმა გადაიკისკისა.

— კი ბატონო, მანქანა იყოს, შენ კიდევ გნახავ და მაშინ მოგელაპარაკები. ძალიან კი მიყვარს ეგ მანქანები, — თქვა მან.

— მაგას თავი დაანებეთ, — ჩაერია ჩამიჩა, — რამე ხათაბალაში არ გახვიოთ! ყველაფერს ვეტყვი ჯორჯს, აქ რაც იქაქანეთ. ლენის რომ ეკურკურო, იმის ნებას არ მოგცემს.

— ჯორჯი ვინღაა? — ჰკითხა ქალმა ლენის. — ის პატარა ხომ არა, შენ რომ მოგყვა?

ლენის სახე გაებადრა.

— სწორედ ისაა, — თქვა მან.— ის დამპირდა, კურდღლების მოვლის ნებას მოგცემო.

— ამის მეტი თუ არაფერი გინდა, ერთ-ორ კურდღელს მეც გიშოვი სადმე

კუზიანი საწოლიდან წამოიჭრა და ქალს მიუბრუნდა.

— ეხლა კი გეყოთ! — მკვახედ უთხრა მან. — ან კი რა უფლება გაქვთ, შავკანიანის ოთახში რომ შემოდიხართ და ერთ ამბავს მიტეხთ აქ? აქედან მიბრძანდით ჩქარა! თუ არა და ბოსს ვეტყვი, რომ საჯინიბოში ცხვირიც არ შემოგაყოფინოთ!

ქალმა ზიზღით გახედა.

— იცი, რას გეტყვი, შავდრუნჩავ! — დაუყვირა მან. — კიდევ თუ გაბედე და ხმა ამოიღე, ხომ იცი, რისი გაკეთებაც შემიძლია?

კუზიანმა ერთი საცოდავად გახედა, ისევ თავის საწოლზე ჩამოჯდა და მიჩუმდა.

ქალი არ ეშვებოდა:

— არა, ხომ იცი, რისი გაკეთებაც შემიძლია?

კუზიანი მოიკუნტა, თითქოს დაპატარავდა კიდეც, ზურგით ცოდელს მიეყრდნო.

— ვიცი, ქალბატონო.

— თუ იცი, შენს ტყავში დაეტიე, შავკანიანო მაიმუნო! ისე ადვილად შემიძლია შენი თავი ჩამოვაკონწიალებინო, სალაპარაკოდაც არ ღირს.

კუზიანი სულ ჩაჭრა, ადამიანის აღარაფერი შერჩა, აღარც ზიზღს იწვევდა და აღარც სიყვარულს.

— დიახ, ქალბატონო, — ისევ წაილუღლუღა მან; ხმაც კი დაჰკარგვოდა.

ერთხანს ქალი ჩასაფრებულივით თავს დაჰყურებდა ზანგს, აბა ერთი კიდევ გაინძრეს, შავი დღე დავაყაროო, მაგრამ კუზიანი გაქვავებულიყო, თვალს არიდებდა, თითქოს რაც კი სატკივარი ჰქონდა, ყველა გულში ჩაეკლა და გულგრილობის ნიღაბი ჩამოეცვა. მერე ქალი დანარჩენი ორისკენ მიბრუნდა.

მოხუცი ჩამიჩა გაოგნებული უყურებდა.

— თქვენ თუ მაგას გაბედავთ, არ გეგონოთ, გავჩუმდეთ, —უთხრა ქალს წყნარად. — ვიტყვით, ცილს რომ სწამებთ კაცს.

— იტყვით და ჭირსაც წაუღიხართ! — დაიყვირა ქალმა.— მაინც არ დაგიჯერებენ, ყურსაც არავინ დაგიგდებს, ვითომ არ იცი! ყურსაც არავინ დაგიგდებს!

ჩამიჩა ჩაჩუმდა.

— ჰო, — დაეთანხმა იგი ქალს. — სწორია, ყურსაც არავინ დაგვიგდებს!

— ჯორჯთან მინდა, ვაიმე, ჯორჯთან მინდა! — აწუწუნდა ლენი.

ჩამიჩა ლენის მიუახლოვდა.

— კარგი, დაწყნარდი, —უთხრა მან. — აგერ, ბიჭებიც მოდიან, ხმა მესმის. შენი ჯორჯი უკვე ბარაკშია ალბათ. — მერე ხუჭუჭას ცოლს მიუბრუნდა. — ახლა კი გირჩევნიათ წახვიდეთ აქედან. — უთხრა დინჯად. — თუ ახლავე წახვალთ, ხუჭუჭას არ ვეტყვით, აქ რომ იყავით.

ქალმა ცივად ახედ-დახედა ჩამიჩას.

— მოდიან და ფეხის ხმაც გაიგე? დაგიჯერო ვითომ?

— სიფრთხილეს თავი არ სტკივა, —უთხრა ჩამიჩამ. — გჯერათ თუ არა, მაინც ჯობია დროზე გაასწროთ.

ქალი ახლა ლენის მიუბრუნდა.

— ძალიან კარგი, ცოტა ჭკუა რომ ასწავლე იმ ჩემს ქმარს. თვითონ ატეხა ალბათ ჩხუბი, ახია მაგაზე! ხანდახან მეც ისე მინდა ჭკუა ვასწავლო. — მერე კარებში გასხლტა და ჩაბნელებულ საჯინიბოში გაუჩინარდა. სწორედ ამ დროს გაისმა აღვირების ჟღარუნი, აფრუტუნდნენ ცხენები და ფლოქვები აათქარუნეს.

კუზიანს ბორკილები თითქოს მოეხსნა, თითქოს თანდათან განთავისუფლდა იმ თავდასაცავი ნიღაბისაგან, აქამდე რომ ბოჭავდა.

— მართლა მოგესმა ბიჭების ფეხის ხმა?

— ჰო, მართლა მომესმა.

— მე კი არაფერი გამიგია.

— ჭიშკარმა გაიჭრიალა, — თქვა ჩამიჩამ. — ღმერთო, კიდევ კარგი, იმ ქალმა ისე ჩუმად იცის გასრიალება, ვერც შეამჩნევდნენ, შეჩვეულია ალბათ.

კუზიანს აღარ სიამოვნებდა ქალზე საუბარი.

— თქვენც რომ წახვიდეთ, აჯობებს, — თქვა მან. — არ მინდა აქ იყოთ. შავკანიანსაც ხომ უნდა ჰქონდეს ამ ქვეყანაზე რაღაც უფლებები, თუნდაც თვითონ არ მოსწონდეს.

— იმ ბოზანკალას მაინც არ უნდა გაებედა შენთან ასე ლაპარაკი, — უთხრა ჩამიჩამ.

— რა მნიშვნელობა აქვს,— გულგრილად თქვა კუზიანმა. — თქვენმა აქ შემოსვლამ, აქ ყოფნამ დამავიწყა, ვინცა ვარ, თორემ იმ ქალმა რაც თქვა, ყველაფერი მართალია.

ცხენები ისევ აფრუტუნდნენ საჯინიბოში, ისევ აქლარუნდა აღვირები, მერე ვილაცამ ხმამაღლა დაიძახა:

— ლენი, ბიჭო, აქა ხარ?

— ჯორჯია! — წამოიყვირა ლენიმ და სიხარულით გასძახა: — აქა ვარ, ჯორჯ, აქა!

ჯორჯი იმწამსვე ღია კარებში გამოჩნდა და უკმაყოფილოდ შეათვალიერა სენაკი.

— კუზიანის ოთახში რა გინდა? აქ შემოსვლა არ შეიძლება.

კუზიანმა თავი დაუქნია.

— ვეუბნებოდი, მაგრამ არ დამიჯერა.

— მერე და, რატომ არ გამოაგდე?

— მეც არ ვიყავი მაინცდამაინც უარს, — უპასუხა კუზიანმა. — ლენი კარგი ბიჭია.

ჩამიჩა ერთბაშად აფორიაქდა.

— იცი, ჯორჯ! დიდხანს ვიფიქრე და მოვიფიქრე კიდეც; იცი, რა იოლად შეგვიძლია კურდღლებზე ფულის გაკეთება?

ჯორჯი გაბრაზდა:

— აკი ორივეს გითხარით, კრინტიც არსად დაძრათ-მეთქი.

ჩამიჩა შეკრთა.

— ჩვენ არავისთვის არ გვითქვამს, მარტო კუზიანს ვუთხარით.

— გეყოთ ახლა, ახლავე წამოდით. ღმერთო, ერთი წუთითაც არ შეიძლება თქვენი დატოვება.

ჩამიჩა და ლენი წამოდგნენ და კარს მიაშურეს. კუზიანმა დაუძახა:

— ჩამიჩა!

— ჰო!

— ხომ გახსოვს ბოსტანზე და სხვა შავ საქმეებზე რომ გითხარი?

— კი, როგორ არა, მახსოვს.

— ჰოდა, დაივიწყე, — უთხრა კუზიანმა. — მე ისე ვთქვი, ვიხუმრე, არ მინდა და არც მომინდება თქვენს რანჩოში ყოფნა.

— ეგრე იყოს, შენი საქმისა შენ იცი. ძილი ნებისა.

სამივენი ოთახიდან გავიდნენ. საჯინიბოში ისევ აფრუტუნდნენ ცხენები და ისევ აქლარუნდა აღვირები.

კუზიანი საწოლზე ჩამოჯდა, ერთხანს მიმავალთ გაჰყურებდა, მერე თავის მალამოიან ქილას სწვდა, ზურგზე პერანგი აიწია, მალამო ხელისგულზე დაიწვეთა და ნელა დაიწყო ზურგის ზელა.

V

ვეებერთელა საჯინიბოს ერთ მხარეს ნედლი თივის ზვინი იდგა, თითქმის ჭერამდე აღწევდა; იქვე ოთხკბილა ფიწალი ეკიდა. ზვინი მთის-კალთასავით ეშვებოდა საჯინიბოს მეორე მხარისკენ და მოსწორებულად გასდევდა კედელს, თითქოს თივის დასაყრელად დაეტოვებინათ ადგილი. ორივე მხრიდან ცხენის ბაგეები ჩამწკრივებულიყო, ტიხრებს შუა ცხენებს გამოეყოთ თავი.

კვირა დღე იყო. ცხენები ისვენებდნენ; თივის ნარჩენებში დრუნჩით იქექებოდნენ, ხის ტიხრებს წიხლებს სცემდნენ და აღვირებს აჟღარუნებდნენ. ბუჭრუტანებში გამოღწეული მზის შუქი ზოლებად ეფინებოდა თივას. ბუზები ტვინისწამღებად ირეოდნენ ნაშუადღევის დახუთულ ჰაერში.

გარედან გარკვევით ისმოდა ნალების ხათქახუთქი სათამაშო რკინის დაფაზე, რასაც გამამხნევებელი ან დამცინავი შეძახილები მოსდევდა. საჯინიბოში კი სიმშვიდე სუფევდა. მომქანცავ სიცხეში ზანტად დაბზუოდნენ ბუზები.

თავლაში მხოლოდ ლენი დარჩენილიყო, თივაზე იჯდა ლეკვების ყუთის გვერდით, სწორედ იმ ადგილას, სადაც თივის ზვინი ჭერამდე არ იყო ასული. იჯდა და მის წინ დაგდებულ მკვდარ ლეკვს დაჰყურებდა. დიდხანს უყურა, მერე ვეება ხელი გაწია და ალერსიანად გადაუსვა ლეკვს თავიდან კუდამდე. შემდეგ კი ჩუმი, ნაზი ხმით ჩაეკითხა:

— ნეტავ რამ მოგკლა, შე საცოდავო? შენ ხომ თაგვივით პაწაწუნა არ იყავი? განა ისე მაგრად მოგიჭირე ხელი? — მერე ლეკვს თავი ცოტა აუწია, დრუნჩში ჩააცქერდა და ისევ უთხრა: — ახლა კი ჯორჯი ნამდვილად აღარ მომაშენებინებს კურდღლებს, თუ გაიგებს, რომ შემომაკვდი.

პატარა ორმო ამოთხარა, შიგ ლეკვი ჩააწვინა და ზემოდან თივა დააყარა. დიდხანს დაჰყურებდა მიყრილ თივას. მერე ისევ წაილაპარაკა:

— მე მგონი, ისეთი არაფერი დამიშავებია, წავიდე და ბუჩქებში დავიმალო, ოჰ, არა! ისეთი არაფერი, ჯორჯს ვეტყვი, ლეკვი მკვდარი ვნახე-მეთქი.

შემდეგ ისევ ამოთხარა ლეკვი, შეათვალიერა და ისევ თავიდან კუდამდე მიუალერსა ხელით.

— სულერთია, მაინც მიხვდება, — ამოთქვა მწუხარედ, — ჯორჯი ყოველთვის ყველაფერს ხვდება ხოლმე. ასე მეტყვის: „შენ მოჰკალი, ტყუილად ტვინს ნუ მირევ“, მერე კიდევ მეტყვის: „რახან მიჰქარე, კურდღლების მოვლის ნებას არ მოგცემ“. — და უცებ აენთო: — ჯანდაბას შენი თავი! — წამოიყვირა მან. — კი მაგრამ, მაინც რამ მოგკლა, ვერ გავიგე? შენც ხომ თაგვივით პატარა არ იყავი? — ლეკვი აიყვანა და განზე მოისროლა, ზურგიც კი შეაქცია. მერე ჩაიცუცქა, მუხლებს იდაყვებით დაეყრდნო და წაიჩურჩულა: — ახლა კი ნამდვილად აღარ მომაშენებინებს კურდღლებს. ახლა კი ნამდვილად ნებას არ მომცემს. — მწუხარებისაგან ხან წინ გადაიხრებოდა, ხან უკან.

გარეთ ნალებს აჟღარუნებდნენ რკინის დაფაზე, თან შეძახილებიც ისმოდა. ლენი წამოდგა და ლეკვი ისევ მოათრია. თივაზე დადო და იქვე ჩამოჯდა, ისევ მოეფერა ლეკვს.

— შენ ჯერ კიდევ პაწაწუნა იყავი, — ამოიოხრა მან. — ხომ მეუბნებოდნენ, პატარა არისო. მე კი არ მეგონა, თუ ასე ადვილად შემომაკვდებოდი. — მერე ლეკვის ფაფუკ ყურს თითებით შეეთამაშა. — იქნებ არც კი გამიბრაზდეს

ჯორჯი, — ჩაიბურდღუნა თავისთვის. —აგერ, იმ ნაბიჭვარზე ხომ მითხრა, ეგ არაფერიაო.

განაპირა სადგომიდან ხუჭუჭას ცოლი გამოჩნდა. ისე ნელა მიეპარა, ლენის არც გაუგია. ქალს ისევ ის ბრდღვიალა კოტონის კაბა და სირაქლემის ბუმბულით გაწყობილი რბილი ქოშები ეცვა. სახეზე ფერუმარილი სქელად ედო და ძეხვივით კულულები სახელდახელოდ დაელაგებინა მხრებზე. ახლოს რომ მივიდა, მაშინღა ასწია ლენიმ თავი და დაინახა ქალი. შეშინებულმა სწრაფად დააყარა ლეკვს თივა; მერე საოცრად მტრული მზერა ესროლა ქალს.

— აქ რას აკეთებ, გენაცვალე? — ჰკითხა ქალმა.

ლენიმ თვალები დაუბრიალა.

— ჯორჯმა ასე მითხრა, იმ ქალთან საერთო არაფერი იქონიოო — არც დაელაპარაკო და არც არაფერიო.

ქალმა გაიცინა:

— შენ რა, სულ ჯორჯის ჭკუით დადიხარ?

ლენი თივას ჩააცქერდა.

— ასე მითხრა, კურდღლების მოვლის ნებას არ მოგცემო, თუ დაელაპარაკე ან რამეო.

— ჯორჯს იმის შიში აქვს, ხუჭუჭა არ გაუცოფდეს, — წყნარად უთხრა ქალმა. — მაგრამ ახლა ხომ ხუჭუჭას ხელი შეხვეული აქვს, ხოლო თუ მაინც აგიხირდა, მეორე ხელსაც მოამტვრევ და მორჩა. ოღონდ რაღაც სისულელეებს ნუ ჩმახავ, ვითომდა ხუჭუჭას ხელი მანქანაში მოყვაო და რა ვიცი...

ქალმა ლენი მაინც ვერ აიყოლია.

— არა. ბატონო, არ გელაპარაკებით და არც არაფერი.

ქალი იქვე ლენის გვერდით ჩაცუცქდა თივაზე.

— გამიგონე! — უთხრა მან. — ახლა ყველანი ნალობანას თამაშობენ. ჯერ ოთხი საათიც არ არის. ასე რომ, კონის დამთავრებამდე თამაშს ცოცხალი თავით არავინ მოეშვება. მაშ რატომ არ შეიძლება გელაპარაკო? ხმის გამცემიც არავინა მყავს. ალარ შემიძლია ეს სიმარტოვე.

— კი მაგრამ, მე რომ არ უნდა გაგცე ხმა და არც არაფერი?

— მომკლა ამ სიმარტოვემ, — გაიმეორა ქალმა. — შენ ვისაც გინდა, იმას დაელაპარაკები, მე კი ხუჭუჭას გარდა არავის. თუ არადა, ცოფებს ყრის; როგორ გგონია, შენ გაძლებდი ასე, არავის რომ არ დაელაპარაკო?

— კი მაგრამ, მე ხომ ხმაც არ უნდა გაგცეთ. ჯორჯს ეშინია, რამე ხიფათში არ გავეხვიო.

ქალმა უცებ შეცვალა საუბარი.

— მანდ რა გაქვს დამალული, თივის ქვეშ?

ლენის ისევ დაეთუთქა გული.

— ჩემი ლეკვია, — თქვა მან ნაღვლიანად. — ჩემი პაწაწინა ლეკვი, —და მერე ლეკვს მიყრილი თივა მოაშორა.

— ეგ ხომ მკვდარია! — წამოიძახა ქალმა.

— ისეთი პაწაწუნა იყო, — თქვა ლენიმ. — მე მხოლოდ ვეთამაშებოდი.... მერე თითქოს კბენა დამიპირა.. და მეც... მინდოდა... ცოტა მიმეტყიპა... და მივტყიპე.. .ის კი.. .ის კი მოკვდა.

— მერე რა გადარდებს? — დაამშვიდა ქალმა. — ლეკვი იყო მხოლოდ, დიდი ამბავი. მეორეს აიყვან. ლეკვების მეტი რაა ქვეყანაზე?

— მაგას კი არ ვჩივი, — უთხრა ლენიმ შესაბრალისად. — კურდღლები რომ ვიყოლიო, იმის ნებას ალარ მომცემს ჯორჯი.

— რატომ არ მოგცემს?

— ასე მითხრა: კიდევ თუ რამეს დააშავებ, ალარ მოგცემო.

ქალი სულ ახლოს მიიწია ლენისკენ და დაწყნარებით დაუწყო:

— შენ ნუ გეშინია, ვითომ რა მოხდა, რომ დამელაპარაკო? გესმის, რა ღრიანცელი აქვთ გარეთ? ოთხდოლარიან კონს თამაშობენ. ფეხსაც არავინ მოიცვლის იქიდან, სანამ თამაშს არ მორჩებიან.

— ჯორჯმა თუ დამინახა, რომ გელაპარაკებით, შავ დღეს დამაყრის, — უთხრა შიშით ლენიმ.—სწორედ ასე მითხრა.

ქალი გაბრაზდა.

— კი მაგრამ, რა მჭირს ასეთი? — შეჰყვირა მან. — ვითომ და რატომ არ შეიძლება ჩემთან ლაპარაკი? ვინა ვგონივარ ამ ხალხს, ვერ გამიგია. შენ კარგი ბიჭი ჩანხარ. ვითომ რატომ არ შეიძლება დაგელაპარაკო? არ ვიცი, ღმერთმანი. მე ხომ არაფერს გიშავებ?

— ჯორჯი ამბობს, რომ თქვენი გულისთვის ხიფათში გავეხვევი.

— რა სისულელეა! — აღშფოთდა ქალი. — ვითომ რას გიშავებ ახლა ასეთს? თვითონ რა ენაღვლებათ, მე აქ რა ცხოვრება მაქვს! ფეხებზედაც არა ჰკიდიათ? მე კი იცი, რას გეტყვი, არა ვარ ასეთ ცხოვრებას შეჩვეული. სხვანაირად რომ მეცხოვრა, ალბათ რაღაცას მივაღწევდი. იქნებ აწი მივაღწიო კიდეც. — პირქუშად დააბოლოვა მან. მერე ისევ სხაპასხუპით დაიწყო, გატაცებით, თითქოს უნდოდა, სანამ უსმენდნენ, ყველაფრის თქმა მოესწრო.

— შიგ სალინასში ვცხოვრობდი, პატარა გოგო ვიყავი, იქ რომ ჩამიყვანეს. ერთხელ თეატრი ჩამოვიდა ჩვენთან საგასტროლოდ და იქ ერთი მსახიობი გავიცანი. იმ ბიჭმა მითხრა, წამოდი, თუ გინდა, ჩვენს თეატრს წამოჰყევიო. მაგრამ დედამ არ გამიშვა — ჯერ თხუთმეტი წლისა არა ხარ და სად გაგიშვაო. ის მსახიობი ბიჭი კი სულ მეპატიჟებოდა, რომ წავყოლოდი. მაშინ ასე კი არ ვიცხოვრებდი, დღეს რომ ვარ, არა რო?

ლენი ლეკვს ეალერსებოდა, ხან აუსვამდა, ხან დაუსვამდა ხელს.

— ჩვენ პატარა რანჩო გვექნება და კურდღლებიც გვეყოლება, — წამოროშა უცებ მან.

ქალი ისევ ჩქარობდა, უნდოდა ყველაფრის მოყოლა მოესწრო, სანამ შეაწყვეტინებდნენ.

— მეორედ კიდევ ერთი ბიჭი გავიცანი, კინოში მუშაობდა. „რივერსაიდის დანსინგ ჰოლში“ დავყვებოდი ხოლმე საცეკვაოდ. სულ მეუბნებოდა, — სადმე კინოში უნდა მოგაწყოო. ძალიან უშუალო ხარო, მეუბნებოდა. ჩავალ თუ არა ჰოლივუდში, აუცილებლად მოგწერ და შეგატყობინებო ყველაფერს. — მერე გამომცდელად ჩააკვირდა ლენის, რამე შთაბეჭდილება მოვახდინე თუ არაო. — წერილის კი რა მოგახსენოთ, არ მიმიღია, — განაგრძო ქალმა. — მე კი მგონია, დედაჩემმა დამიმალა ის წერილი. ჰოდა, ალარც მინდოდა ამის მერე იქ გაჩერება, ან რატომ უნდა მდომოდა — არც გასაქანს მაძლევდნენ, ასე ვერც ვერაფერს მივაღწევდი ცხოვრებაში, წერილებსაც კი მპარავდნენ. რამდენჯერმე ვკითხე დედას, ხომ არ მოგიპარავს-მეთქი, და არაო, მეუბნებოდა. მერე კი ხუჭუჭას გავყევი ცოლად. სწორედ იმ ღამეს გავიცანი „რივერსაიდის დანსინგ ჰოლში“.

მერე ლენის მიუბრუნდა:

— შენ რა, არ მისმენ?

— მე? როგორ არა.

— ახლა კი ისეთი რამე უნდა გითხრა, ჯერ რომ არავისთვის გამიგია ქვეყანაზე, მაგრამ შენ კი გამოგიტყდები. იქნებ არც იყოს საჭირო, მაგრამ მაინც გეტყვი. მე ხუჭუჭა არ მიყვარს. ძალიან ცუდი კაცია. — ამ ალსარების შემდეგ ქალი უფრო ახლოს მიიწია ლენისკენ, თითქმის მიეკრო, ისე ახლო მიუჯდა. — ის რომ არა, კინოში ვითამაშებდი, ლამაზი კაბებიც მექნებოდა,, იმათ რომ აცვიათ, ისეთი ლამაზი კაბები. საუცხოო სასტუმროებში ვიცხოვრებდი, ფოტოგრაფებიც აღარ მომასვენებდნენ. მერე კინოების გასინჯვებსაც დავესწრებოდი და რადიოშიც გამოვიდოდი. ერთი ფუნტიც არ დამიჯდებოდა ეს ყველაფერი, იმიტომ რომ კინომსახიობი ვიქნებოდი. ლამაზი კაბები მექნებოდა, იმათ რომ აცვიათ, ისეთი, აბა ტყუილად ხომ არ მეუბნებოდა ის ბიჭი, უშუალო ხარო.

ქალმა უცებ ლენის შეხედა და ხელი მომხიბლავად ააცეკვა ლენის ცხვირწინ, აი, რა ოსტატურად შემიძლია თამაშიო. მერე თითებით ჰაერში თითქოს კამარა შეკრა, ნეკი კი კეკლუცად გასწია განზე.

ლენიმ ღრმად ამოიოხრა. გარეთ რკინაზე ნალის ჟღარუნი მოისმა და გამამხნევებელი შეძახილებიც მოჰყვა.

— ვილაცამ ნიშანში მოახვედრა, — თქვა ხუჭუჭას ცოლმა.

მზეს ძალა ეცლებოდა და ნელ-ნელა ემშვიდობებოდა არემარეს. საჯინიბოს კედლებზე სხივები ზოლებად მიცურავდნენ სადგომებსა და ცხენისთავებს ზემოთ.

— იქნებ ეს ლეკვი ამელო და სადმე გადამეგდო, მაშინ ხომ ჯორჯი ვერაფერს გაიგებდა, — თქვა ლენიმ. — მაშინ კურდღლების მოვლის ნებასაც მომცემდა.

— შენ რა, კურდღლების გარდა არაფერზე ფიქრობ? — მწყრალად ჰკითხა ხუჭუჭას ცოლმა.

— ჩვენ პატარა რანჩო გვექნება, — განაგრძო ლენიმ ჯიუტად, — სახლი გვექნება და ბაღი, ინჯას დავთესავთ, ინჯას ხომ კურდღლებისთვის თესავენ, ავიღებ ტომარას, სულ ინჯათი გავავსებ და კურდღლებს ვაჭმევ.

— ასე ძალიან რამ შეგაყვარა ეს კურდღლები? — ჩაეკითხა ქალი.

ლენი ერთხანს დაფიქრდა, რა ეპასუხა, მერე ქალს ფრთხილად, ნელა მიუჩოჩდა და მის პირისპირ აღმოჩნდა.

— ძალიან მიყვარს ფაფუკი რაღაცების მოფერება. ერთხელ ბაზრობაზე ფუმფულა, გრძელბეწვა კურდღლები ვნახე, წარმომიდგენია — რა სასიამოვნო იქნება მათი მოფერება. ხანდახან თაგვებსაც ვეფერებოდი ხოლმე, მაგრამ ეს ისე, უკეთესი თუ არაფერი შემხვდებოდა.

ხუჭუჭას ცოლი დაფრთხა და უკან გაიწია.

— შენ რა, ცოტას ხომ არ აფრენ? — ჰკითხა მან.

— არა, არ ვაფრენ, — გულახდილად უთხრა ლენიმ. — ჯორჯი მეუბნება, არ აფრენო. უბრალოდ ძალიან მიყვარს ლამაზი, ფაფუკი რაღაცების მოფერება, თითებს ვუცაცუნებ და ასე ვეფერები ხოლმე.

— ეს ვის არ უყვარს? — თითქოს დამშვიდდაო ქალი. — ყველას უყ-

ვარს, მე რომ მკითხო. აი, მე აბრეშუმსა და ხავერდზე ხელს რომ ვუსვამ, ძალიან მსიამოვნებს. ხავერდი მაინც რა სასიამოვნოა, არა?

ლენიმ მხიარულად ჩაიხითხითა.

— სასიამოვნო კი არ, გადასარევია, — წამოიყვირა აღტაცებულმა ლენიმ.— მეც მქონდა ერთხელ ხავერდი, ერთმა ქალმა მომცა. ჰო მართლა, ერთმა ქალმა კი არა, დეიდაჩემმა კლარამ. სულ მთლიანად მომცა, აი, ამოდენა ნაჭერი. ნეტავი ახლა აქ მქონდეს, — ოდნავ მოეღუშა სახე ლენის. — მაგრამ დამეკარგა. — თქვა მან. — დიდი ხანია არ მინახავს.

ხუჭუჭას ცოლმა სიცილი ატეხა.

— არა, შენ ნამდვილად აფრენ, — თქვა მან. — მაგრამ მაინც კარგი ბიჭი ჩანხარ. ბავშვივითა ხარ ამოდენა კაცი. ისე მე მშვენივრად მესმის შენი. აი, თმას რომ ვივარცხნი, დიდხანს ვზივარ და ხელს ვუსვამ ხოლმე, ვეფერები. ძალიან რბილია, ფაფუკი და იმიტომ. — ქალმა საჩვენებლად თმაზე ხელი ნაზად გადაისვა. — ზოგს კი ისეთი უხეში თმა აქვს, — თავმომწონედ განაგრძო ქალმა. — აი, ხუჭუჭა აიღე, თმა კი არადა, მავთულები აქვს დაგრეხილი. ჩემი თმა კი რბილია და ფაფუკი. ბევრს ვივარცხნი და იმიტომ. რომ ვივარცხნი, უფრო რბილდება. აი, ნახე, მოკიდე ხელი, — ქალმა ლენის ხელი თავისკენ მიიწია და თმაზე მოაკიდებინა. — აი, მოკიდე, ნახე, რა კარგია.

ლენის ზორბა თითები ქალის თმას შემოეხვია.

— ოღონდ არ გამწეწო, — უთხრა ქალმა.

— ღმერთო, რა კარგია! — ესიამოვნა ლენის. — ღმერთო, რა კარგია, — კიდევ გაიმეორა და უფრო გაბედულად, მაგრად მოუსვა ხელი.

— ოღონდ ფრთხილად, ასე მთლად ნუ გავიწეწები, — აყვირდა უკვე ბრაზმორეული ქალი. — გეყოფა! გაჩერდი! გავიწეწე და ეგაა!

ქალი თავს აქნევდა, ლენის თითები კი სულ უფრო ღრმად და ღრმად ჩადიოდნენ ფაფუკ თმაში და ბოლოს ჩაებღუჯნენ კიდეც.

— ხელი გამიშვი! — ყვიროდა ქალი. — ხელი გამიშვი-მეთქი!

ლენი აფორიაქდა, მთლად გადაირია, სახე დაემანჭა. ქალმა დაიწივლა და მაშინ ლენიმ მეორე ხელი ცხვირპირზე დააფარა.

— ნუ ყვირით! — შეემუდარა ლენი. — გეხვეწებით, ნუ ყვირით. ჯორჯი გამიჯავრდება.

ქალი თევზივით ფართხალებდა ლენის ხელებში, ფეხებს თივას ურტყამდა, იკლაკნებოდა, რომ როგორმე გაენთავისუფლებინა თავი. ლენის პირზე აფარებული ხელიდან გაგუდული ხმები ისმოდა. ლენიმ შიშისაგან ტირილი მორთო.

— ძალიან გთხოვთ, ნუ ყვირით! — ემუდარებოდა იგი. — ჯორჯი მეტყვის. ცუდი საქმე გიქნიაო, და კურდღლების მოვლის ნებას არ მომცემს. — მერე ლენიმ ოდნავ უშვა სახეზე ხელი და ქალი იმწამსვე საშინელი, ხრიწინა ხმით აყვირდა. ლენი ყვირილმა გააცოფა.

— გაჩუმდით! ნუ ყვირით! თქვენი გულისთვის რამე ხიფათში გავეხვევი. ჯორჯმაც ასე არ მითხრა? ახლავე გაჩუმდით! — ქალი მაინც ხელიდან გასხლტომას ლამობდა, თვალებში საშინელი შიში შეყინოდა. მაშინ ლენიმ მთელი ძალით შეანჯღრია სასოწარკვეთილი ქალი.

— ნუ ყვირით-მეთქი! — დაუყვირა ისევ ლენიმ და კვლავ შეანჯღრია.

ქალი თევზივით აფართხალდა და მერე უცებ მიწყნარდა, მიჩუმდა. ლენიმ კისერი გადაუმტვრია.

ლენიმ ქალს დახედა და ფრთხილად მოაშორა ხელი პირიდან. ქალი ჯაუნარევლად იწვა.

— მე არ მინდოდა, ასე გტკენოდა, არ მინდოდა, — უთხრა მან. — მაგრამ ჯორჯი გამიბრაზდება, თუ იყვირებ.

ქალი აღარ შეეპასუხა, არც განძრეულა — მაშინ ლენი მისკენ დაიხარა, ხელი აუწია და დაუშვა. გაოგნებული იდგა ერთხანს. მერე შეშინებულმა წაიჩურჩულა:

— მგონი, რაღაც დავაშავე! ისევ რაღაც დავაშავე!

მერე თივა სწრაფად დააყარა და დააყარა, სანამ ცოტათი არ დაფარა სხეული.

გარედან ისევ შეძახილები და რკინაზე ნალის ყლარუნი ისმოდა. ორ-ორჯერ აგდებდნენ. ლენიმ მხოლოდ ახლა გაიაზრა, რა ხდებოდა გარეთ. თივაზე ჩაიცუცქა და ყური მიუგდო.

— მართლაც ცუდი რამ ვქენი, — თქვა თავისთვის. — არ უნდა მექნა. ჯორჯი გამიჯავრდება.. .ხომ... ხომ ასე მითხრა... ბუჩქებში დაიმალე... და ჩემს მოსვლამდე იქ იყავით. გაგიჟდება ჯორჯი, ბუჩქებში... და ჩემს მოსვლამდე იქ იყავით, სწორედ ასე მითხრა. — ლენი მიბრუნდა და მკვდარ ქალს დახედა. ლეკვიც იქვე ეგდო, ქალის გვერდით. ლენიმ ლეკვი აიყვანა.

— ამას კი გადავაგდებ, — ჩაილაპარაკა მან. — ეს ერთი ჭირიც მეყოფა. — ლეკვი უბეში ამოიდო, საჯინიბოს ფიცრულ კედელთან ოთხით მიფოფხდა და ჭუჭრუტანიდან გაიჭვრიტა — მოთამაშეებს გახედა. მერე ფოფხვით განაპირა ბაგას შემოუარა და გაუჩინარდა.

უკანასკნელი მზის სხივები ჭერისკენ ზოლებად აპარულიყო და ნელნელა სტოვებდა საჯინიბოს კედლებს. თბილი ბინდისფერი ჩაწოლილიყო უკვე თავლაში. ხუჭუჭას ცოლი პირიდმა იწვა, თივა უფარავდა სხეულს.

სიჩუმემ დაისადგურა საჯინიბოში და მთელი რანჩოც მწუხრის მოლოდინში გარინდულიყო. თითქოს ნალების ყლარუნიც და კაცების ღრიანცელიც ყრუდ იფანტებოდა ამ სიჩუმეში. სევდანარევ საღამოს ბინდში იძირებოდა საჯინიბო, თუმცა ვარეთ ჯერ კიდევ სინათლე იყო. ღია კარში ქედანი შემოფრინდა, ერთხანს ჭერქვეშ იტრიალა და მერე გაფრინდა. ბოლო ბაგადან გრძელი, გამხდარი ნაგაზი გამოძვრა, ძუძუს კერტები ჩამოჰკიდებოდა. სანამ ლეკვებიან ყუთთან მივიდოდა, მკვდრის სუნი ეცა და ქეჩოზე ბალანი ყალყზე დაუდგა. შემდეგ ყუთამდე მიფოფხდა და შიგ ჩახტა.

ოქროსფერი თივა ნახევრად უფარავდა ქალს სხეულს. სახეზე აღარ აჩნდა აღარც სიბრაზე, აღარც დაუკმაყოფილებლობა. აღარც თავმომწონეობის სურვილი. ლამაზი და უბრალო ჩანდა ახლა, სახეც ნორჩი ჰქონდა და უმანკო. გადამეტებული ფერუმარილი და სქლად გათხიპნილი ტუჩები ისე უცოცხლებდნენ სახეს, იფიქრებდით, ეს წუთია ჩაეძინაო. ბატარა ძეხვისმაგვარი კულულები თივაზე სხივებად გაფანტულიყვნენ, პირი ოდნავ ღია დარჩენოდა.

როგორც ხანდახან ხდება ხოლმე, დრო თითქოს რაღაც წამით შეწყდა და გაირინდა. ყლარუნიც, ხმაურიც და მოძრაობაც შეჩერდა რამდენიმე წამს და დიდხანს, დიდხანს გაგრძელდა ასე.

მერე თითქოს დრო ისევ გამოცოცხლდა და ნელა, მძიმედ განაგრძო

სვლა. ცხენებმა ჩლიქები ააბაკუნეს და რკინის ალვირები აჟღარუნეს თავიანთ სადგომებში; გარეთ უფრო მკვეთრად და ხმამაღლა გაისმა შეძახილები.

განაპირა სადგომიდან ჩამიჩას ხმა მოისმა.

— ლენი! —დაიძახა მან. — ჰეი, ლენი! აქა ხარ? იცი, კიდევ რა მოვიფიქრე? იცი, კიდევ რა შეგვიძლია, ლენი?.. — მერე სადგომის ბოლოდან თვითონ ჩამიჩაც გამოჩნდა. — ჰეი, ლენი! — ისევ დაუძახა მან და უცბად ელდანაკრავივით გაშეშდა. ჭალარა ჯაგარი მორგვისმაგვარი ხელით მოისრისა ლოყაზე. — არ მეგონა, თუ აქ იყავით. — უთხრა მან ხუჭუჭას ცოლს.

ქალმა რომ არ უპასუხა, მიუახლოვდა.

— თქვენი აქ ძილი არ ივარგებს, — უსაყვედურა მან. მერე უფრო ახლოს მივიდა და... —ოჰ! ღმერთო ჩემო! — უმწეოდ მიმოიხედა მან, ისევ მოისრისა ლოყაზე ჯაგარი, მერე სწრაფად გატრიალდა და გარეთ გავარდა.

საჯინიბო რა ხანია უკვე გამოცოცხლებულიყო. ცხენები ისევ ფლოქვებს სცემდნენ, ფრუტუნებდნენ, თივის საგებს ღეჭავდნენ და ალვირებს აჟღარუნებდნენ. ჩამიჩა მალე დაბრუნდა. ჯორჯი ფეხდაფეხ მოჰყვა.

— მაინც რა უნდა გეთქვა ასეთი?

ჩამიჩამ ხუჭუჭას ცოლზე მიუთითა. ჯორჯი შეცბა და გაქვავდა.

— ამას რაღა დაემართა? — იკითხა მან. მერე ახლოს მივიდა და „ოჰ, ღმერთო!“ აღმოხდა მასაც ჩამიჩასავით, მერე მკვდართან ჩაიჩოქა და ხელი მკერდზე დაადო. ნელა, ძლივძლივობით წამოდგა, გაქვავებული სახე ჰქონდა, კრიჭა შეკვროდა, მზერა გაყინვოდა.

— ვინ იზამდა ამას? — ჰკითხა ჩამიჩამ.

ჯორჯმა გაოცებული მზერა მიაპყრო.

— დავიჯერო, ვერ ხვდები? — მიუგო მან. ჩამიჩა მყის გაყუჩდა.— გული მიგრძნობდა, — საცოდავად თქვა ჯორჯმა. — არ მიფიქრია, გული კი სულ მიგრძნობდა.

— ახლა რა უნდა ვქნათ, ჯორჯ? რაღა უნდა ვქნათ? — აზუზუნდა ჩამიჩა.

ჯორჯი კარგა ხანს ჩუმად იყო.

— იცი რა... უნდა ვუთხრათ... ბიჭებს უნდა ვუთხრათ.. ბიჭებს უნდა ვუთხრათ. მე მგონი, უნდა დავიჭიროთ და ჩავკეტოთ. არ უნდა გაგვეპაროს. თორემ მარტო ხომ შიმშილით მოკვდა ეგ უბედური.—მერე თითქოს თავის მოსატყუებლად თუ დასამშვიდებლად დაამატა: — იქნებ არც ახლონ ხელი, ციხეში ჩასვან, სასიკვდილოდ კი არ გაიმეტონ.

— მე კი მგონია უნდა მოვეხმაროთ, გავაქციოთ, მოვაშოროთ აქაურობას, — წამოიყვირა აღელვებულმა ჩამიჩამ. — შენ ხუჭუჭას კარგად არ იცნობ. ლინჩი, ლინჩიო, აიჩემებს და წამებით გააფრთხობინებს სულს.

ჯორჯი მხოლოდ ჩამიჩას ტუჩების მოძრაობას აკვირდებოდა.

— ჰო! — უთხრა მან. — სწორი ხარ, ხუჭუჭა უთუოდ ასე იზამს. სხვა ბიჭებიც. — მერე ისევ ხუჭუჭას ცოლს გახედა.

ჩამიჩამ კვლავ იმაზე დაიწყო ლაპარაკი, რაც ყველაზე მეტად აინტერესებდა:

— მე და შენ ხომ შეგვიძლია პატარა მიწა ვიყიდოთ, ჯორჯ? წავიდოდით და ვიცხოვრებდით იქ წყნარად. ხომ შეგვიძლია?

პასუხისთვის არც დაუცდია, თავი ჩაქინდრა და თივას მიაშტერდა, თვითონვე მიხვდა ყველაფერს.

ჯორჯმა წყნარი ხმით თქვა:

— მე მგონი, თავიდანვე, სულ თავიდანვე ვგრძნობდი, რაც მოხდებოდა. ვგრძნობდი, რომ ვერასდროს ვეღირსებოდით ყველაფერ ამასა. ლენის ძალიან უყვარდა ჩემი ზღაპრების მოსმენა, მეც დავიჯერე, იქნებ მართლა გვეღირსოს-მეთქი რამე.

— ესე იგი... მორჩა ყველაფერი? — ნაღვლიანარევი ხმით ჰკითხა ჩამიჩამ.

ჯორჯმა ამაზე აღარაფერი უპასუხა.

— ერთ თვეს წავიმუშავებ, — თქვა ცოტა ხნის მერე, — რაღაც ორმოცდაათ დოლარს ავიღებ და გადავიკარგები მთელი ღამით ქალებში, ან საბილიარდოში ჩავიკლავ ჟინს. მანამ ვიქნები, სანამ ყველა არ გაიხიკება იქიდან. მერე ისევ დავბრუნდები, ერთ თვეს კიდევ წავიმუშავებ და ისევ ავიღებ ორმოცდაათ დოლარს.

— რა კარგი ბიჭია, არ მეგონა, ასეთ ამბავს თუ დაათევდა, — თქვა ჩამიჩამ.

ჯორჯი ისევ ხუჭუჭას ცოლს მიშტერებოდა.

— საბოროტით არ მოსვლია ეს ლენის, — თქვა მან. — ასეა ყოველთვის, რაზეს დააშავებს ხოლმე, მაგრამ ისე, განუზრახველად, სიბოროტით კი არასდროს. — მერე წამოდგა და ჩამიჩას შეხედა.

— ეხლა მისმინე, ბიჭებს უნდა ვუთხრათ. ეგენი მიწიდან ამოაძვრენენ და ყურით მოიყვანენ ლენის აქ, ვიცი მე; სხვა გზა არ არის. ოღონდ იქნებ როგორმე არ აწამონ საცოდავი. — მერე სიძულვილით განაგრძო: — მე მაგათ ლენის თავს არ დავანებებ. ეხლა მისმინე, ბიჭებმა შეიძლება იფიქრონ, რომ მეც ვურევივარ ამ საქმეში. ამიტომ, ბარაკში წავალ, შენ ცოტა ხანს აქ მოიცადე და მერე მოუყევი ბიჭებს. მეც აქ გავჩნდები, ვითომ არც ვიცი, რა მოხდა. იზამ ამას? ბიჭებმა რომ არ იფიქრონ, რომ მეც მირევია ამაში ხელი.

— რა თქმა უნდა, ჯორჯ, რა საკითხავია, — უთხრა ჩამიჩამ.

— მაშ კარგი, ცოტა მოიცადე, მერე გარეთ გადი და ისე მოიქეცი, ვითომ ეს წუთია ნახე. მე კი ბარაკში წავალ.

ჯორჯი გატრიალდა და სწრაფად გავიდა საჯინიბოდან.

ჩამიჩამ თვალი გააყოლა, მერე საბრალო თვალებით დახედა მკვდარს და მთელი ნაღველი გადმოანთხია:

— შე წყეულო, შე ბოზო მაიმუნო, შენა, — თქვა გაბოროტებულმა. — ეს გინდოდა, ხომ? ხარ ახლა კმაყოფილი? ყველამ იცოდა, რა უბედურების მომტანიც იყავი. რა ხეირი იყო შენგან? ან ახლა კი რა ხეირია? შე მართლა ეაბპა. შენა... — ჩამიჩა ლამის აზლუქუნდა, ხმა აუკანკალდა, — შენ რომ არა, მე ბოსტანში ვიმუშავებდი, ჭურჭელს დავრეცხავდი ჩემი მეგობრებისთვის — მერე ცოტა ხანს გაჩუმდა. და ისევ განაგრძო დუდუნით, თითქოს დაზეპირებულ სიტყვებს იმეორებდა: — ცირკი თუ ჩამოვა ქალაქში, ან ბეისბოლი თუ ითამაშეს... ჩვენ აუცილებლად წავალთ, ფეხებზეც არ დავიკიდებთ სამუშაოს! და არც არავის შევეკითხებით.. .და ჩვენ გვეყოლება გოჭები და ქათმები... ზამთარში კი... პატარა ლიპიანი ლუმელი... წვიმის დროს... ლუმელთან ვისხდებით. — თვალები ცრემლით აევსო მოხუცს, მერე სწრაფად გაეცალა იმ ადგილს, ჯაგარა წვერს დაშავებული ხელით ისრესდა.

გარეთ თამაშის ხმა შეწყდა. მერე რამდენიმე გაკვირვებული წამოყვირება და ფეხების ბრაგაბრუგი მოისმა. საჯინიბოში ზორბა, ქარლსონი, ახალგაზრდა უიტი და ხუჭუჭა შემოვარდნენ, ყველაზე უკან კუზიანი მორბოდა. მერე ჩამიჩა შემოვიდა, სულ ბოლოს კი — ჯორჯი. ჯორჯს თავისი ლურჯი ჯინსის ქურთუკი ჩაეცვა, ღილები საგულდაგულოდ შეეკრა, შავი ქუდი თითქმის თვალებამდე ჩამოეფხატა.

კაცებმა სწრაფად შემოურბინეს განაპირა სადგომს. ჩაბნელებულ კუთხეში ხუჭუჭას ცოლი შეამჩნიეს, იქვე შეჩერდნენ და ხმაგაკმენდილნი მიაშტერდნენ.

ზორბა ნელა მიუახლოვდა, დაიხარა და მაჯა მოუსინჯა. თითებით ლოყას ოდნავ შეეხო, მერე მოგრეხილი კისრის ქვეშ ხელი ნელა შეაცურა. წამოდგა თუ არა, ყველა გარს შემოეხვია და... ყველასათვის ყველაფერი ნათელი გახდა.

ხუჭუჭა უცებ აფეთქდა.

— ვიცი, ვინც იზამდა ამას, — დაიყვირა მან. — ეგ იმ აყლაყუდამ, იმ შობელძალლმა ქნა ალბათ, მეტი ვინ იზამდა! ყველანი გარეთ ვიყავით სათამაშოდ. — ხუჭუჭას თანდათან მოერია ცოფი. — ვერსად გამექცევა. წავიდე, თოფი ავიღო! ჩემი ხელით უნდა მოვკლა ეგ რეგვენი, ჩემი ხელით. ნაწლავებს დავაყრევინებ! მომყევით, ბიჭებო! — გააფთრებული გავარდა საჯინიბოდან.

— წავალ, ჩემს ლუგერს მოვიტან, — თქვა ქარლსონმა და ისიც გარეთ გავიდა.

ზორბა დინჯად მიტრიალდა ჯორჯისკენ.

— მართლაც რომ ლენის მეტი არავინ იზამდა ამას, — თქვა მან. — კისერი აქვს მოტეხილი. მხოლოდ ლენის თუ შეეძლო ასე.

ჯორჯს ხმა არ გაუცია, მხოლოდ ნელა დაუქნია თავი. ქუდი ისე ჩამოეფხატა ცხვირზე, თვალები თითქმის აღარ უჩანდა. ზორბამ ისევ განაგრძო:

— იქნებ სწორედ ისე მოუვიდა, როგორც მაშინ, უიდში, გახსოვს, რომ მიყვებოდი.

ჯორჯმა ისევ დაუქნია თავი.

ზორბამ ამოიოხრა.

— მგონი, უნდა დავიჭიროთ, სხვანაირად არ იქნება. საით წავიდოდა, არ იცი?

ჯორჯი ერთხანს ჩუმად იყო, მერე ძლივს ამოღერღა:

— ალბათ სამხრეთისაკენ, ჩვენ ხომ ჩრდილოეთიდან მოვედით, ალბათ სამხრეთისაკენ თუ წავიდოდა.

— უნდა დავიჭიროთ, სხვანაირად არ იქნება, — გაიმეორა ზორბამ.

ჯორჯი ზორბას მიუახლოვდა.

— იქნებ მოგვეყვანა და მხოლოდ ჩაგვეკეტა სადმე? ეგ ხომ ჭკუაზე ვერ არის, ზორბა. ყოველთვის დაუფიქრებლად მოსდის ხოლმე, სიბოროტით კი არა.

ზორბამ თავი დაუქნია.

— ეგ კი შეიძლება,— თქვა მან. — ხუჭუჭას თუ დავაშოშმინებთ. მაგრამ ხუჭუჭა უთუოდ მძახვრიტავს. დღესაც ვერ მოუნელებია თავისი ხელის ამბავი. მაგრამ რომც დაიჭირონ, კარგად მიბეგვავენ და ციხეში უკრავენ თავს. არა მგონია, ესეც კარგი იყოს.

— ვიცი, — უთხრა ჯორჯმა, — ვიცი.

ქარლსონი ბარაკში შემოვარდა.

— იმ ნაბიჭვარს ჩემი ლუგერი წაუღია! — დაიყვირა მან. — ჩანთაში აღარ დევს! — ხუჭუჭა ფეხდაფეხ შემოყვა. სალ ხელში თოფი ეჭირა. უკვე აღარ ბობოქრობდა, მშვიდად იყო.

— არა უშავს, ბიჭებო, — თქვა მან. — ზანგს ხომ აქვს თოფი! [illegible] წამოიღე, ქარლსონ. რაწამს დაინახავ, მაშინვე ესროლე, შიგ ფაშვში! ეგრევე მოელება ბოლო!

— მე რომ არა მაქვს თოფი. — სინანულით წამოიყვირა უიტმა.

— შენ სოლედადში წადი და პოლიციელი მოიყვანე, — უთხრა ხუჭუჭამ. — უოლ უიტსი მოიყვანე აქ, — შერიფის თანაშემწეა. აბა წავიდეთ! — მერე ჯორჯს ეჭვის თვალით შეხედა. — შენც ჩვენთან წამობრძანდები!

— წამოვალ, — უთხრა ჯორჯმა. — მე კი წამოვალ, მაგრამ ჯერ ყური დამიგდეთ: ჭკუანაკლებია ეგ უბედური და ნუ მოკლავთ. განზრახ არ უქნია, არც იცოდა, რასა შვრებოდა.

— ნუ მოკლავთო! — იღრიალა ხუჭუჭამ. — როგორ, ქარლსონს რომ მოპარა რევოლვერი? მოვკლავთ და მორჩა!

— იქნებ დაკარგა ქარლსონმა თავისი რევოლვერი? — გაუბედავად წამოსცდა ჯორჯს.

— როგორ? დღეს დილას ვნახე, — თქვა ქარლსონმა, — არა, ნაღდში წაიღო.

ზორბა იდგა და ხუჭუჭას ცოლს დაჰყურებდა.

— ხუჭუჭა, შენ იქნებ დარჩე აქ, შენს ცოლთან.

ხუჭუჭას სახე აელეწა.

— არა, მე მოვდივარ, — თქვა მან. —ცალი ხელი კი არ მივარგა, მაგრამ მაინც მე უნდა დავიჭირო, მე უნდა დავაყრევინო ნაწლავები იმ აყლაყუდას, ნაბიჭვარს იმას!

ზორბა ახლა ჩამიჩას მიუბრუნდა:

— მაშინ შენ დარჩი აქ, ჩამიჩა, ჩვენ ყველანი წავალთ, ასე აჯობებს.

ყველანი გავიდნენ. ჯორჯი წამით ჩამიჩას გვერდით შეჩერდა. ორივენი მკვდარ ქალს დაჰყურებდნენ, სანამ ხუჭუჭას ღრიალმა არ გამოაფხიზლათ.

— ჯორჯ! იცოდე, არ ჩამოგვრჩე, თორემ შენზეც რამეს ვიფიქრებთ!

ჯორჯი ნელა გაჰყვა მათ. ფეხებს ძლივს მიათრევდა.

როცა ყველა წავიდა, ჩამიჩა მკვდარ ქალთან ჩაიჩოქა და სახეს დაეკვირდა.

— ვაი შე უბედურო! — ჩაიჩურჩულა მან.

ფეხის ხმა თანდათან მიწყდა. საჯინიბო ნელ-ნელა ბნელით აივსო. ცხენები თავიანთ სადგომებში ფლოქვებს სცემდნენ და აღვირებს აჟღარუნებდნენ. მოხუცი ჩამიჩა თივაზე წამოწვა და თვალებზე ხელები მიიფარა.

VI

ამ გვიან ბინდისპირს მდინარე სალინასის ღრმა და მწვანე წყალი მთლად გარინდულიყო. მინდორში უკვე ბნელოდა. უკანასკნელი მზის სხივები ახლა მხოლოდ ვაბილენის ფერდობებს ეთამაშებოდა და თბილი ვარდისფერით ანა-

ითებდა მწვერვალებს. ქვემოთ, ტბორთან კი, ტანჭრელა ნეკერჩხლებში საამო სიბნელე გამეფებულიყო.

ანკარამ ჩუმად გაისრიალა წყლის ზედაპირზე, პერისკოპივით წამოყოფილ თავს აქეთ-იქით ატრიალებდა; ტბორი გადასცურა და იქვე, რიყეზე გაუნძრევლად მდგარ, ჩასაფრებულ ყანჩას ფეხებში შეუსრიალდა. გაშეშებული ნისკარტი და თავი უცებ გამოცოცხლდა, ელვის სისწრაფით სწვდა თავში გამწარებით დაკლაკნილ პატარა გველს და გადასანსლა.

უცებ საღღაც შორიდან ძლიერი ქარი მოვარდა და ტალღასავით გადაუქროლა ხის კენწეროებს. ნეკერჩხლებზე ფოთლებმა ვერცხლისფერი ზურგები აუფრიალეს ქარს; ჩამოყრილი, გახუნებული ფოთლების კორიანტელი კარგა მანძილზე გაშრიალდა წინ. ტბორის მწვანე ზედაპირი ჭავლებმა აალივლივა.

როგორც უცებ მოაწყდა, ისევ უცებ მიწყნარდა ქარი. არემარე ისევ გაირინდა. ჩასაფრებული ყანჩა ისევ რაღაცის მოლოდინში გაქვავდა რიყეზე. ისევ გაისრიალა პატარა ანკარამ წყლის ზედაპირზე, ისიც პერისკოპივით თავს იქით-აქეთ ატრიალებდა.

უცებ ბუჩქებიდან ლენი გამოჩნდა. ჩუმად, ფრთხილად — დათვი რომ მიეპარება სკას — ისე მოდიოდა. სიჩუმე ყანჩამ დაარღვია, ფრთები აატყლაშუნა, მძიმედ, ზანტად აფრინდა და დაღმა დაუყვა მდინარეს. პატარა ანკარა იქვე, ნაპირზე მოშრიალე ლერწამში გაუჩინარდა.

ლენი ფრთხილად მიუახლოვდა ტბორს, ჩაიჩოქა და წყალს დაეწაფა. მის უკან, გამხმარ ფოთლებში პატარა ჩიტმა გაიფართხალა. ლენი დაფრთხა, თავი წამოყო, დაძაბულმა თვალით და ყურით ხმაურს გასდია. ჩიტი რომ დაინახა, ისევ დასწია თავი და წყალს დაეწაფა.

სმას რომ მორჩა, ნაპირზე ჩამოჯდა გვერდულად — ასე ბილიკი კარგად მოჩანდა. მერე მუხლებს ხელები შემოხვია და ნიკაპით ზედ დაეყრდნო.

დღის სინათლე ნელ-ნელა ტოვებდა ველს, თითქოს უფრო და უფრო აბრყჭვიალდა მთის მწვერვალები.

ლენიმ ჩუმად წაიჩურჩულა:

— მე განა დამავიწყდა, ღმერთმანი, განა დამავიწყდა. ბუჩქებში უნდა დავიმალო და ჯორჯს დაველოდო. — მერე ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა.

— მაგრად კი მომხვდება ჯორჯისგან, — ჩაიბურდღუნა, მან. — ეჰ, ჯორჯს ურჩევნია ალბათ მე არა ვყავდე აკიდებული, მარტო, თავისთვის იყოს . — მერე მოტრიალდა და გასხივოსნებულ, მოციმციმე მთის მწვერვალებს მიაშტერდა. — წავალ უთუოდ და იქ საღმე გამოქვაბულს ვიპოვი, — თქვა მან და ცოტა ხნის მერე სევდანარევი ხმით განაგრძო: — და არც... და არც.. საწებელს შევჭამ არასოდეს. თუმცა სულერთია, თუკი ჯორჯს არ ვუნდივარ... არა, წავალ, უთუოდ წავალ.

მერე ლენის ისე მოეჩვენა, თითქოს მისი თავიდან მოხუცი ქალი ამოძვრა, სქელი და პატარა. ცხვირზე სქელშუშიანი სათვალე ჩამოეფხატა, წელზე უჯრედებიანი წინსაფარი ეკეთა, დიდი ჯიბეებით. სუფთა, გახამებული ეცვა ყველაფერი. ლენის პირდაპირ დადგა, დოინჯი შემოირტყა და გამკიცხავი მზერა მიაპყრო. უცებ მოხუცი ლენის ხმით ალაპარაკდა:

— რამდენჯერ გითხარი, დაგარიგე, ჯორჯს ყური დაუგდე-მეთქი. ჯორჯი

ისეთი კეთილია და ისე კარგად გეჭცევა. შენ კი ყურიც არ გააბარტყუნე. სულ ცუდისკენ გეჭირა თვალი.

— განა არ ვეცადე, ქალბატონო დეიდა კლარა, განა არ ვეცადე, მაგრამ რომ არაფერი გამომივიდა, — უპასუხა ლენიმ.

— შენ ჯორჯზე არასოდეს ფიქრობ, — განაგრძო დეიდა კლარამ ლენის ხმით. — იმას კი შენთვის რამდენი კარგი გაუკეთებია. თუკი ნამცხვრის ნაჭერი ჩაუვარდებოდა ხელში, ნახევარს ან მეტსაც აუცილებლად შენ გაგიყოფდა. საწებელს ხომ მთლიანად შენ გითმობდა

— ვიცი, — თქვა ლენიმ საცოდავად. —ქალბატონო დეიდა კლარა, განა არ ვეცადე, მერე და როგორ ვეცადე, რომ იცოდეთ.

დეიდა კლარამ შეაწყვეტინა:

— შენ რომ არა ჰყოლოდი აკიდებული, კარგად და ბედნიერად იცხოვრებდა, ხომ იცი. აიღებდა გასამრჯელოს და გემოზედაც მოილხენდა საროსკიპოში, ან საბილიარდოში წავიდოდა სათამაშოდ. მაგრამ შენ ხომ ასე ბედის ანაბარა არ მიგატოვებდა.

ლენიმ მწრედ ამოიკვნესა.

— ვიცი, ვიცი, ქალბატონო დეიდა კლარა. დავადებ თავს და პირდაპირ მთებში წავალ. გამოქვაბულს ვიპოვი და ვიცხოვრებ როგორმე. ჯორჯსაც აღარ გავაწვალებ.

— ცარიელა ლაპარაკს რა აზრი აქვს, — უთხრა დეიდამ მკაცრად, — სულ ასე იძახი, შე ნაბიჭვარო მაიმუნო, შენა. მშვენივრად კი იცი, რომ მაგის კაცი არა ხარ. ასე იგლახავებ მთელი შენი ცხოვრება და სისხლსაც გაუშრობ იმ საცოდავ ჯორჯს.

— არა, მთებში წავალ ბოლოს და ბოლოს, ჯორჯი მაინც აღარ მომცემს კურდღლების მოვლის ნებას.

დეიდა კლარა გაუჩინარდა და ახლა ლენის თავიდან ვეებერთელა კურდღელი გამოხტა. ლენის წინ უკანა თათებზე დასკუპდა და ტუჩი თითქოს ააცმაცუნა. კურდღელიც ლენის ხმით ალაპარაკდა.

— კურდღლების მოვლაო? — დაიწყო მან ზიზღიანი ხმით. — კიდევ რას მოინდომებ, შე შეშლილო და უტვინოვ! ჩვენი თათების ლოკვის ღირსიც არა ხარ. ერთხელაც იქნება დაგავიწყდებით და დაგვტოვებ მშივრებს. შენგან მეტს რას უნდა მოველოდეთ. მერედა ჯორჯი რას იტყვის, როგორ გგონია?

— არა, არ დამავიწყდებით! — წამოიძახა ლენიმ.

— გეგონოს, არ დაგავიწყდებით! — უთხრა კურდღელმა. — შენ იმ ჟანგიანი ლურსმნების ღირსიც არა ხარ, ჯოჯოხეთში ეშმაკები ჯვარზე რომ მიგაკრავენ. ღმერთია მოწმე, რა არ ილონა საწყალმა ჯორჯმა, როგორმე წუმპედან ამოეთრიე, მაგრამ წყალში რომ ჩაუყარე ყველაფერი? თუ იმის იმედი გაქვს, ამის მერე ჯორჯი კურდღლების მოვლის ნებას მოგცემს, მაშინ სულელი კი არა. მთლად დარტყმული ყოფილხარ და ეგაა. ტყუილად გაქვს იმედი. მოვა ახლა და იმდენს გირტყამს ქეტით, სანამ მაგ სიშტერეს თავიდან არ გამოგირეკავს— აი, რას იზამს ჯორჯი!

ლენიმ გამომწვევად შეუტია:

— არა, მაგას როგორ იზამს? არა, ეგ არც არასოდეს უქნია. იცი, რამდენი ხანია ჯორჯს ვიცნობ? მთელი... დამავიწყდა, რამდენი ხანია... ჯოხი აი-

ღოს და ჩემზე ხელი ასწიოს? ეს არც არასოდეს დაუპირებია! იცი, როგორ ვუყვარვარ? ის ისეთი კეთილია.

— შეიძლება, მაგრამ ყელში რომ ამოუვიდა შენი თავი? — ჰკითხა კურდღელმა. — იმდენს გირტყამს, რომ მაგ ეშმაკებს თავიდან გაგიგერეკავს, მერე კი წავა და დაგტოვებს.

— არა, არა, მაგას არ იზამს, — სასოწარკვეთით შეჰყვირა ლენიმ. — არც არასდროს დაუპირებია. კარგად ვიცი, როგორიცაა ჯორჯი. მე და ის ერთად დავიარებით რა ხანია.

მაგრამ კურდღელი თავისას არ იშლიდა, მშვიდად იმეორებდა და იმეორებდა:

— ჯორჯი მიგატოვებს, მიგაგდებს, შე უტვინო, ყეყეჩო შენა! ჯორჯი მარტოდმარტო დაგტოვებს, ჯორჯი მიგატოვებს, მიგაგდებს, შე ნაბიჭვარო, მაიმუნო, შენა...

ლენიმ ხელები ყურებზე აიფარა.

— არა, არა, მაგას არ იზამს! ხომ გითხარი, არ იზამს-მეთქი.— და მერე თითქმის შელმუვლა: — ჯორჯ! ჯორჯ! სადა ხარ, ჯორჯ!?

ჯორჯი ნელა გამოვიდა ბუჩქებიდან და ვეება კურდღელმაც იმწამსვე, ისევ ლენის თავში ისკუპა.

— რა გაღრიალებს? რა გინდა? — წყნარად ჰკითხა ჯორჯმა.

ლენი ფეხზე წამოიჭრა.

— ხომ არ მიმატოვებ, ჯორჯ? ხომ არა? ვიცი, რომ არ მიმატოვებ!

ჯორჯი ნელა მიუახლოვდა და დაჯდა.

— არა.

— ასეც ვიცოდი! — დაიყვირა ლენიმ. — შენ ხომ ისეთი არა ხარ?!

ჯორჯი ჩუმად იყო.

— ჯორჯ! — ისევ დაუძახა ლენიმ.

— ჰო?

— მე ისევ მივქარე...

— რა მნიშვნელობა აქვს, — თქვა ჯორჯმა და ისევ გაჩუმდა.

ახლა მხოლოდ მთის კენწეროები დნებოდნენ თბილი მზის სხივთა ალერსით. ველზე კი ხავერდოვანი ბინდისფერი მეფობდა. შორიდან ყვირილი და შეძახილები მოისმა. ჯორჯმა იქითკენ გაიხედა, მიაყურადა.

— ჯორჯ! — დაუძახა ლენიმ.

— რა იყო?

— დღეს ალბათ შავ დღეს დამაყრი, არა?

— შავ დღეს დაგაყრი?

— ჰო, ადრე რომ იცოდი ხოლმე, ისე. აი, რომ დაიწყებ ხოლმე, „შენ რომ არ ყოფილიყავი, ავიღებდი ჩემს ორმოცდაათ დოლარს...“ და ასეთები...

— ღმერთო ჩემო, ლენი! ყველაფერს უცებ ივიწყებ, თუკი რამე მოხდა, ჩემი ნათქვამი კი სიტყვასიტყვით გახსოვს?

— მაშ არ მოყვები, შენ რომ იცი, ისე?

ჯორჯს შეაძაგძაგა, მაგრამ თავი შეიკავა. უსიცოცხლო ხმით დაიწყო:

— მარტო რომ ვიყო, არხეინად ვიცხოვრებდი, სამუშაოს ვიშოვიდი და ყოველგვარ დავიდარაბასაც ავცდებოდი, — მერე გაჩუმდა.

— მადი რა, გააგრძელე, — თქვა ლენიმ. — მერე, თვის ბოლოს რას იზამდი?

— თვის ბოლოს ავიღებდი ჩემს ორმოცდაათ დოლარს და წავიღებდი... საროსკიპოში... — ისევ გაჩუმდა.

ლენი მოუთმენლად ელოდა გაგრძელებას.

— განაგრძე რა, ჯორჯ. მაშ, შავ დღეს არ დამაყრი ამ სალამოს?

— არა, — უპასუხა ჯორჯმა.

— მე.. .მე ხომ შემიძლია წავიდე, — თქვა ლენიმ. — წავალ მთებში, მთებს შევეხიზნები და სადმე გამოქვაბულს ვიპოვი, თუ შენ აღარ გინდივარ.

ჯორჯმა ისევ შეიკავა თავი.

— არა, — თქვა მან. — მე მინდა ჩემთან იყო.

ლენიმ ეშმაკურად შეაპარა:

— მაშინ მომიყევი, შენ რომ მიყვები ხოლმე, ისე.

— რა მოგიყვე?

— რადა, სხვა ბიჭებზე, მერე ჩვენზე...

— ჩვენ და ჩვენნაირები უთვისტომოდ დაიარებიან. ცოტას წაიმუშავებენ, აიღებენ გასამრჯელოს და ეგრევე დაანიავებენ ყველაფერს. არც საფიქრალი გააჩნიათ და არც საზრუნავი. არც ისეთი ვინმე, ძაღლად მაინც რომ ჩააგდოს.

— ჩვენ კი სხვანი ვართ, — წამოიყვირა გახარებულმა ლენიმ. — ახლა ჩვენზე მოყევი რა.

ჯორჯი წამით გაჩუმდა.

— ჩვენ კი სხვანი ვართ, — თქვა მან. — იმიტომ რომ, იმიტომ რომ, მე მყავს ლენი, შენ გყავს...

— მე მყავხარ შენ, ჯორჯ, ჩვენ ყოველთვის ერთად ვართ, ესე იგი, ისეთი ვინმე გვყავს, ძაღლად მაინც რომ ჩაგვაგდებს, — ლენის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, ისე ყვიროდა.

სალამოს გრილმა ნიავმა დაუბერა, ხის ფოთლები ააშრიალა და ჭავლებად აალივლივა წყლის ზედაპირი. ისევ მოისმა შეძახილები, მხოლოდ ახლა უფრო ახლოდან.

ჯორჯმა ქუდი მოიხადა, ხმა აუთრთოლდა.

— შენც მოიხადე ქუდი, ლენი, ისედაც მაგრა ცხელა. — ლენიმ ქუდი მოიხადა და წინ, მიწაზე დაიდო.

სილუეტი შერეოდა უკვე ბინდისფერს, სწრაფად ღამდებოდა. ქარმა ბუჩქების ლაწალუწის და შრიალის ხმა მოიტანა.

— მოყევი, მერე როგორ იქნება, — შეეხვეწა ლენი.

ჯორჯმა ყური მიუგდო მოახლოებულ ხმებს. დაძაბული, საქმიანი სახე გაუხდა:

— ლენი, აბა ერთი მდინარეს გახედე. აი, იქით. მე მოგიყვები და შენც ისე მოგეჩვენება, თითქოს ყველაფერს მართლა ხედავ, ლენი.

ლენიმ თავი მიატრიალა და ტბორს გახედა, მერე უკვე ბნელს ჩახუტებულ ფერდობებს ააყოლა თვალი.

— ჩვენ პატარა რანჩოს ვიყიდით, — განაგრძო ჯორჯმა, მერე ჯიბეში ხელი ჩაიყო და ქარლსონის ლუგერი ამოიღო. ჩახმახი შეაყენა, რევოლვერი ლენის ზურგს უკან მიწაზე დადო, ხელი არ გაუშვია და მის კეფას მიაშტერდა, სწორედ იმ ადგილას, სადაც ესვრიან ხოლმე.

მდინარის მხრიდან ვილაცამ დაიძახა და ვილაც მაშინვე გაეხმიანა.

— მერე, ჯორჯ, მერე, — თქვა ლენიმ.

ჯორჯმა რევოლვერი ასწია, ხელი უკანკალებდა, ისევ ძირს დაუშვა.

— მერე, მერე, —უთხრა ლენიმ, — მერე როგორ იქნება? ჩვენ ვიყიდით პატარა რანჩოს...

— ძრომა გვეყოლება და ალბათ ქათმებიც... და იქვე, სახლთან იონჯას დავთესავთ...

— კურდღლებისთვის! — დაიყვირა ლენიმ.

— კურდღლებისთვის, — გაიმეორა ჯორჯმა.

— და მე კურდღლებს მოვუვლი.

— და შენ კურდღლებს მოუვლი.

ლენიმ სიხარულისგან ჩაიხითხითა.

— და ვიქნებით ასე, ამ მიწის ბატონ-პატრონნი.

— ჰო.

ლენიმ თავი მოაბრუნა.

— არა, ლენი, იქით იყურე, მდინარისკენ და ისე მოგეჩვენება, თითქოს მართლა ხედავ ყველაფერს.

ლენი დაემორჩილა. ჯორჯმა რევოლვერს დახედა.

ბუჩქებში, უკვე ძალიან ახლოს, ფეხის ხმა გაისმა. ჯორჯი ბუჩქებისკენ მიტრიალდა, ყური მიუგდო.

— განაგრძე რა, ჯორჯ. როდის გვექნება ეს ყველაფერი?

— სულ მალე.

— და ჩვენ ერთად ვიქნებით.

— ჰო, მე... და შენ... აღარავინ გაწყენინებს. ხიფათისგანაც შორს იქნები. იქ არავინ არავის არაფერს აწყენინებს, არც არავის არაფერს წაართმევს.

— მე კი მეგონა, შავ დღეს დამაყრიდი, ჯორჯ, — თქვა ლენიმ.

— არა, — უპასუხა ჯორჯმა — არა, ლენი, არ დაგაყრი, არასოდეს გავცოფებულვარ შენზე და ახლა რა მომივიდოდა? არასოდეს ლენი, მინდა ეს კარგად იცოდე.

ხმები უკვე სულ ახლოდან ისმოდა. ჯორჯმა რევოლვერი ასწია და ისევ ბუჩქებისკენ გაიხედა, მიაყურადა.

— მოდი, ახლავე ვიყიდოთ, ჩქარა, ახლავე ვიყიდოთ!

— ახლავე ვიყიდით ,აბა რა! ახლავე ვიყიდით... —და ჯორჯმა რევოლვერი ლენის კეფაში დაუმიზნა. ხელი ისევე უკანკალებდა. მაგრამ მტკიცე, შეუპოვარი სახე ჰქონდა და მერე ხელიც დაიმორჩილა; სასხლეტს თითი დააჭირა. გასროლის ხმა მთელ ხეობას მოეფინა და ექოდ იქუხა მთებში. ლენი შეტოკდა, მერე ნელა ჩაიკეცა და ქვიშაში პირქვე ჩაემხო. აღარც განძრეულა.

ჯორჯს გააჟრჟოლა, რევოლვერს დახედა და იქვე, მოქუჩულ ნაცარში მოისროლა.

ყვირილმა და ფეხების მძიმე ბრაგაბრუგმა შესძრა იქაურობა. ზორბას ხმა გაისმა:

— ჯორჯ, სადა ხარ? ჯორჯ?

ჯორჯი კი გაქვავებული იჯდა ნაპირზე და თავის მარჯვენას დაჰყურებდა, წუთის წინ რომ რევოლვერი ნაცარში მოისროლა. ხალხი მინდორზე გამოცვივდა; ხუჭუჭა პირველი დაიხარა და ქვიშაზე ლენი დაინახა.

— ფეხებიც გაუჭიმია, — დაიძახა და მკვდარს მიუახლოვდა, კარგად შეათვალიერა. მერე ჯორჯს შეხედა. — ზუსტად მოგირტყამს, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა მან.

ზორბა ჯორჯთან მივიდა და გვერდით, სულ ახლოს მიუჯდა.

— რას იზამ, — ჩაილაპარაკა, —ასეც ხდება ხოლმე.

ქარლსონი თავზე წამოადგა ჯორჯს.

— როგორ მოახერხე? — ჰკითხა მან.

— მოვახერხე და მორჩა, — ძლივს ამოღერღა ჯორჯმა.

— ამას ჰქონდა ჩემი რევოლვერი?

— ჰო, ამას ჰქონდა.

— ჰოდა, წაართვი და მერე მოკალი?

— ჰო, ამითვე მოვკალი, — ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა ჯორჯმა. ისევ თავის ხელს დახედა, ამ ცოტა ხნის წინ რევოლვერი რომ ეჭირა, იმ ხელს.

ზორბამ მხარზე ხელი დაადო ჯორჯს.

— წამო, ჯორჯ, წამოდი. დავლიოთ რამე.

ჯორჯი ზორბას დახმარებით წამოდგა.

— ჰო, დავლიოთ.

— შაგის ბოლო ეგ იყო, ჯორჯ, მერწმუნე, უნდა მოგეკლა, — ანუგეშა ზორბამ.

მერე ჯორჯი ბილიკამდე მიიყვანა და გზატკეცილისკენ წაიყვანა.

ხუჭუჭამ და ქარლსონმა თვალი გააყოლეს.

— ნეტა რა ჭია ჭრავს ამ ბიჭებს, ვერ გამიგია, — თქვა ქარლსონმა ბოლოს.

□

ფეოდორ დოსტოევსკი

უგვანო ანეკდოტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

თარგმნა რუსუდან ძებულაძემ

•

ეს უგვანო ანეკდოტი სწორედ იმ ხანებში მოხდა, როს ეგზომ შეუკავებელი ძალითა და ეგზომ გულის ამაჩუყებელი, მიამიტი აღმაფრენით დაიწყო ჩვენი საყვარელი მამულის აღორძინება, როს ქველ და სახელოვან ვაჟიშვილთ მისთა დიდი მისწრაფებანი და იმედები აღეძრათ ახალი მომავლისა. იმხანად, ზამთრის ერთ ულრუბლო სუსხიან ღამეს, თუმცა თორმეტი უკვე დაწყებული იყო, სამი ფრიად დარბაისელი კაცი პეტერბურგის მხარეზე მდებარე ერთი მშვენიერი ორსართულიანი სახლის კეთილშობილ კიბრადა, დიახაც მდიდრულად მორთულ ოთახში დარბაისლურად საუბრობდნენ ფრიად საგულისხმო საგანზე. სამთავეს გენერლის ეპოლეტები ამშვენებდათ, სამივენი ბატარა, მრგვალ მაგიდას უსხდნენ მშვენიერ რბილ საავარძლებში და შიგადაშიგ დინჯად, ნება-ნება წრუპავდნენ შამპანურს. შამპანურის ბოლიც იქვე, მაგიდაზე იდგა, ვერცხლის ლარნაკში ჩაცივებული. საქმე ის გახლდათ, რომ მასპინძელი, საიდუმლო მრჩეველი სტეფან ნიკიფოროვიჩ ნიკიფოროვი, სამოცდახუთი წლის უცოლო კაცი, ახლად ნაყიდ სახლში მუმბარაქსა და ამ ზეიმს დამთხვეულ თავის დაბადების დღეს იხდიდა, რაიც აქამდე არაოდეს გადაუხდია. თუმცა ზეიმის დარქმევა ცოტა მეტისმეტი იქნებოდა. როგორც ვნახეთ, სტუმარი ორად ორი ჰყავდა, ორივე ბატონ ნიკიფოროვის ყოფილი თანამშრომელი და მისივე ყოფილი ხელქვეითი. სახელდობრ: ერთი ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი სემონ ივანოვიჩ შიპულენკო და მეორე ივან ილიჩ პრალინსკი, ისიც აგრეთვე ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი. სტუმრები დაახლოებით ცხრა საათზე მობრძანდნენ, ჩაი მიირთვეს და ახლა შამპანურს შეექცეოდნენ. ორივემ კარგად იცოდა, რომ ზუსტად თორმეტის ნახევარზე მასპინძელს უნდა დაემშვიდობონ, რამეთუ მასპინძელი მისი დღე და მოსწრება სიზუსტის მიმდევარი ბრძანდებოდა. ბარემ ორ სიტყვას მასზეც მოგახსენებთ: კარიერის დასაწყისში იგი ერთი წვრილფეხა მოხელე გახლდათ, მთელი ორმოცდახუთი წელი უშფოთველად ეწეოდა ერთფეროვანი სამსახურის ჭაპანს, მშვენივრად უწყოდა, რა ჩინსაც მიაღწევდა, ჭირივით სძულდა, როცა კაცი

ვარსკვლავებს ეპოტინებოდა ცაში, თუმცა ორი ვარსკვლავი თვითონ უკვე მოეწყვიტა. მეტადრე არ უყვარდა, რა საქმეც უნდა ყოფილიყო, საკუთარი აზრი გამოეთქვა. ბუნებითაც პატიოსანი იყო, ანუ დიდად საძრახისი საქმე არასოდეს ჩაედინა; უცოლოდაც საკუთარმა თავკერძობამ დააბერა, ჭკუა კარგად უჭრიდა, მაგრამ ჭკუის გამოჩენა დიახაც ეჯავრებოდა. მეტადრე არ სწყალობდა ფეოხუმსა და აღტაცებული ბუნების ხალხს, ეს თვისება სულიერ ბელადობად მიაჩნდა. ცხოვრების მიწურულს საბოლოოდ ჩაითრია კეთილშობილი ცხოვრების ტკბილმა, მომადუნებელმა ტალღებმა და მარტოობა შეიყვარა. მერე რა, რომ დროდადრო თვითონ მშვენივრად დაბრძანდებოდა თავისზე უკეთეს ოჯახებში სტუმრად, საკუთარ სახლში სხვების მოწვევა ახალგაზრდობითვე სძულდა. ამ ბოლო ხანს თუ გრანპასიანსს არ უჯდა, სიამოვნებით ჯერდებოდა თავისი სასადილო საათის საზოგადოებას და, საავარძელში მთვლემარე, აღუშფოთველად უსმენდა ხოლმე საღამოობით ბუხრის თავზე შუშის ხუფის ქვეშ მდგარ ამ საათის წიკწიკს. შესახედაობა ფრიად რიგიანი ჰქონდა, სახე ნიადაგ გაპარსული, კარგად შენახული კაცის პირობაზე ასაკთან შედარებითაც ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, იმედი იყო, კიდევ დიდხანს იცოცხლებდა. ჯენტლმენურ წესებსაც ფრიად იცავდა. სადღაც საკმაოდ თბილ ადგილზე იჯდა და რაღაცას ხელს აწერდა. ერთი სიტყვით. ყველას ჩინებულზე ჩინებულ ადამიანად მიაჩნდა. მისი წუთისოფელი მხოლოდ ერთი ოცნება — ანუ სანუკვარი სურვილი ჰქონდა: ბატონკაცური, და არა ფულიანი კაცის გემოვნებით ნაგები სახლი ეყიდა. ბოლოს ეს სურვილიც აისრულა: პეტერბურგის მხარეზე ერთი სახლი შეარჩია და იყიდა კიდეც, მართალია, მოშორებით მდებარე, მაგრამ კოხტა და თანაც ბაღით. სახლის ახალი პატრონის აზრით სიშორე უკეთესიც იყო: სტუმრები მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა. ხოლო სადარბაზოდ წასასვლელად მშვენიერი ორადგილიანი შოკოლადისფერი ეტლი ჰქონდა, კიდევ ორი ტანმორჩილი, მაგრამ ფეხმარდის ლამაზი ცხენი და მეეტლე მიხეი ჰყავდა. ორმოცი წლის მანძილზე მომჭირნეობით შეძენილი ეს ქონება ძალიან ახარებდა. იმიტომაც, როცა ახალი სახლი იყიდა და იქ გადავიდა, ნიადაგ უშფოთველი გული ესოდენი სიამოვნებით აევსო, სტუმრებიც კი დაპატიჟა თავის დაბადების დღეზე, თუმცა ამ დღეს აქამდე გულდაგულ უმალავდა ახლო ნაცნობებს. ერთ-ერთი სტუმარი გარკვეული მიზნითაც დაჰპატიჟა. ახალ სახლში მან ზემო სართული დაიკავა, ხოლო ქვემოთ, ზუსტად ისეთივე წყობით განლაგებული ბინის გაქირავება კი განიზრახა. ბატონ ნიკიფოროვს სწორედ სემიონ ივანოვიჩ შიპულენკოს იმედი ჰქონდა, მდგმურად ტამიდგებაო, და იმ საღამოს ერთი-ორჯერ კიდევაც ჩამოუგდო ამ საკითხზე საუბარი. მაგრამ ბ-ნ შიპულენკოს გარკვევით ვერაფერი წამოაცდენინა. ამ ბატონსაც დიდი ჭაპანწყვეტით მოუხდა ცხოვრებაში გზის გაკაფვა. ეს შავთმიანი და შავქილვაშებიანი კაცი ნიადაგ ჩაყვითლებული იყო ნაღველის გადასვლის გამო, ბუსავით სულ შინ იჯდა და მთელ ოჯახს მისი შიშით აკანკალებდა. სამსახურშიც თავდაჯერებული გახლდათ, მშვენივრად იცოდა, რისი მიღწევა შეეძლო, კიდევ უკეთ, რასაც ვერასოდეს მიაღწევდა. კარგი ადგილი ჰქონდა და მაგრად იჯდა კიდევაც იმ თავის სკამზე. ახალ წესებს, მართალია, ბოლმის თვალით უცქეროდა, მაგრამ არც მაინცდამაინც აშფოთებდა: ძალზე დიდი რწმენა ჰქონდა საკუთარი თავისა და ცოტა არ იყოს დამცინავი ღვარძლით უსმენდა ახალ თემებზე ივან ილიჩ პრალინსკის ლაქლაქს. შეჭიკჭიკებულნი მეტნაკლებად ყველანი იყვნენ. თვით ბ-ნმა

ნიკიფოროვმაც იკადრა ბ-ნ პრალინსკის ახალ წესებზე შედავებოდა. აქ მის ალმატებულება პრალინსკიზედაც მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ, მეტადრე, რომ სწორედ ის გახლავთ ჩემი მოთხრობის მთავარი გმირი.

ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი ივან ილიჩ პრალინსკი ეს—ოთხი თვეა, რაც მისი ალმატებულება ანუ ახალგაზრდა გენერალი გახდა. ასაკითაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი იყო, ორმოცდასამი წლისა, მეტის არამც და არამც. არადა, შესახედავად უფრო ახალგაზრდა ჩანდა და უყვარდა კიდეც ახალგაზრდულად თავის მოჩვენება. იცვამდა კოხტად და დარბაისულად. ტანად მაღალი და ლამაზი კაცი, ფრიად ღირსებით ატარებდა საკმაოდ დიდ ორდენს ყელზე. პატარაობიდანვე ჰქონდა შეთვისებული რამდენიმე დიდკაცური ქცევა: ცოლი არ ჰყავდა და მდიდარი, დიდგვაროვანი ოჯახიშვილის შერთვაზე ოცნებობდა. საოცნებო ჯერაც ბევრი ჰქონდა, თუმცა ჭკუა არ აკლდა. შიგადაშიგ ლაპარაკი უყვარდა და სახელმწიფო მოღვაწის პოზებსაც იღებდა. თავად კარგი ოჯახიშვილი იყო, მამა გენერალი ჰყავდა, პატარაობითვე ხავერდ-ბატისტებში იზრდებოდა, სწავლობდა დიდკაცურ სასწავლებლებში. და თუმცა იქიდან ბევრი ვერაფერი ცოდნა გამოიტანა, მაინც იმარჯვა და გენერლობას მიაღწია. უფროსებს ნიჭიერ კაცად მიაჩნდათ და დიდ იმედებსაც ამყარებდნენ. ბ-ნ ნიკიფოროვს, ვისი ხელმძღვანელობითაც დაიწყო და თითქმის გენერლობამდე განაგრძობდა სამსახურს, თავის დღეში საქმიან კაცად არ მიუჩნევია და არც იმედები დაუმყარებია მასზე. მაგრამ ის კი მოსწონდა, რომ ბ-ნი პრალინსკი კარგი ოჯახიშვილი და შეძლებული კაცი იყო, ანუ დიდი სახლი ჰქონდა, მკვიდრად ნაგები, ჰყავდა სახლის მმართველი, ენათესავებოდა არცთუ პატარა ხალხს და გარდა ამისა, ჩინებული თავდაჭერა სჩვეოდა. ოღონდაც გულში მეტისმეტად დიდი წარმოდგენისა და ქერქეტობისთვის ძრახავდა. თავად ბ-ნი პრალინსკიც გრძნობდა ხოლმე ხანდახან, რომ მეტისმეტი თავმოყვარე იყო და ბევრ ისეთ რასმე თაკილობდა, რაც არ უნდა ეთაკილა. საკვირველია, და ზოგჯერ საოცარი სინდისის ქეჯნა და რაღაც სინანულიც კი აიტანდა. გულში მწარედ გაჰკრავდა ფიქრი, რომ არც ისე მაღლა-მაღლა დაფრენს, როგორც თვითონ ჰგონია. ამისთანა წუთებში, ასე განსაჯეთ, რაღაც ჭმუნვა ეძალებოდა, მეტადრე თუ ბუასილი შემოუტევდა. თავის ცხოვრებას une existense manquée[1]-ად თვლიდა. აღარც თავისი სახელმწიფო მოღვაწის ნიჭი სწამდა, ცხადია, მხოლოდ გულში, საკუთარ თავს პარლერს ანუ ყბედს ეძახდა, რაც დიახაც სასახელო იყო მისთვის, მაგრამ ხელს სულაც არ უშლიდა ნახევარი საათის შემდეგ კვლავ ამაყად აეწია თავი და ჯიუტად და მედიდურად ერწმუნა, რომ კიდევ მოასწრებს საკუთარი ნიჭის გამოვლენას და არათუ წარჩინებული მოხელე, სახელმწიფო მოღვაწეც გახდება, ვის სახელს დიდხანს არ დაივიწყებს რუსეთი. შიგადაშიგ დიდების კვარცხლბეკებიც ელანდებოდა. აქედან ჩანს, თუ რაზომ შეუძლებელს ეპოტინებოდა, თუმცაღა გულში ღრმად და ცოტა არ იყოს შიშითაც მალავდა ამ გაურკვეველ ოცნებებსა და იმედებს. რაღა ბევრი გავაგრძელო და, ეს გახლდათ პატიოსანი და ,ასე ვთქვათ, პოეტური სულის კაცი. ბოლო წლებში უფრო და უფრო გაუხშირდა იმედგაცრუების მტკივნეული წუთები, მეტისმეტი ბღიზიანობა და ეჭვიანობა დასჩემდა და ყოველი შესიტყვე-

[1] იმედგაუმართლებელი (ფრანგ.)

ბა სწყინდა, მაგრამ განახლებულმა რუსეთმა უეცრივ დიდი იმედები აღუძრა, ხოლო გენერლობამ ყველაფერი დააგვირგვინა. კაცს სიმხნევე მოეზიტა, წელში გაიმართა, თავი ასწია კაცმა. ერთბაშად ენამჭევრობის ტრფიალმა აიტანა, გასაოცარი სისწრაფითა და გზნებით ათვისებულ ახალ იდეებზე გაუთავებლივ ლაპარაკობდა. მთელ ქალაქს შემოუვლიდა, ოღონდ კი ქადაგების საშუალება მისცემოდა და ბევრ ოჯახში მისდა სასიამოვნოდ თავზეხელაღებული ლიბერალის სახელი გაითქვა. ამ სალამოს ოთხმა ჭიქა შამპანურმა მეტისმეტად აუშალა ლაპარაკის საღერღელი. გადაწყვიტა თავის რწმენაზე მოექცია ბ-ნი ნიკიფოროვი, რომელსაც დიდი ხანია აღარ შეხვედრია, მაგრამ მუდამ პატივსა სცემდა და უჯერებდა კიდევაც ყველაფერს. ეს კი, რატომღაც ძველი აზრების კაცად მიაჩნდა და ამიტომ გასაოცარი სიფიცხით შეუტია. ბ-ნი ნიკიფოროვი თითქმის არაფერში შედავებია, მხოლოდ მზაკვრულად უსმენდა, თუმცა საუბრის საგანი მართლა აინტერესებდა. გაფიცხებული ბ-ნი პრალინსკი, რომელსაც ეგონა, ცხარე კამათი გვაქვსო, იმაზე ხშირად ეწაფებოდა სასმისს, ვინემ საჭირო იყო. ბ-ნი ნიკიფოროვიც უმალ ბოთლს დაავლებდა ხელს და სასმისს უვსებდა. ეს კი უკვე რატომღაც ძალიან სწყინდა ბ-ნ პრალინსკის, მეტადრე, რომ მის გვერდით მჯდომი ბ-ნი შიპულენკო, ვისაც იგი განსაკუთრებული ზიზღით უცქერდა, უფრო მეტიც, მისი გესლისა და ღვარძლის გამო კიდეც უფრთხოდა, მეტისმეტად ვერაგულად სდუმდა და უფრო ხშირად იკრიჭებოდა, ვიდრე საჭირო იყო. „ესენი, ვგონებ, ლაწირაკად მთვლიან“, თავში გაჰკრა ივან ილიჩს.

— არა, ბატონებო, დროა, რა ხანია, უკვე დროა, — განაგრძობდა ეშხში შესული გენერალი, — კიდეც დაგვაგვიანდა. ჩემი აზრით, ჰუმანურობა, ხელქვეითებთან ჰუმანურობა უპირველესი საქმეა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისინიც ადამიანები არიან. ჰუმანურობა ყოვლის მხსნელი და ყოვლის გადამრჩენია...

— ხი-ხი-ხი-ხი! — გაისმა სემიონ ივანოვიჩის სავარძლიდან.

— ვერ გამიგია, ეგრე რატომ გვიწყრებით, — თავაზიანი ღიმილით შეესიტყვა ბოლოს სტეფან ნიკიფოროვიჩი, — გამოგიტყდებით, ივან ილიჩ, და აქამდე ვერ გავიგე, რას გვიხსნით. თქვენ ჰუმანურობას ანიჭებთ პირველ ადგილს. მაშასადამე, კაცთმოყვარეობას, არა?

— დიახ, თუნდაც კაცთმოყვარეობას. მე...

— მომითმინეთ ცოტა. რამდენადაც მესმის, საქმე მარტო ეს როდი გახლავთ. კაცთმოყვარეობა ყოველთვის მართებს ადამიანს. რეფორმა კი მარტო ამით არ ისაზღვრება. მან წამოჭრა უამრავი საკითხი, რაც გლეხობას, სასამართლოებს, მეურნეობას, მოიჯარადეებს, ზნეობას თუ... სხვასა და სხვას შეეხება. ისე რომ, ყველაფერმა ერთად შეიძლება წარმოქმნას, ასე ვთქვათ, დიდი მერყეობა. აი, რა გვაშინებს ჩვენ, და არა მარტო ჰუმანურობა...

— ამ საქმეს უფრო ღრმად უნდა ჩახედვა, ბატონო ჩემო, დიახ, — ჩაურთო ბ-მა შიპულენკომ.

— დიახაც მესმის და ნურც ის გეწყინებათ, სემიონ ივანოვიჩ, თუ საგნების ღრმად ჩაწვდომაში არ ჩამოგრჩებით, — გესლიანად და მეტისმეტად მკვახედ მიუგო ივან ილიჩმა, — ოღონდ მაინც გავბედავ და შევნიშნავ, სტეფან ნიკიფოროვიჩ, რომ ვერც თქვენ გამიგეთ...

— ვერ გაგიგეთ, ბატონო ჩემო.

— მე კი მწამს და მუდამ იმ აზრს ვადგავარ, რომ ჰუმანურობა და სწორედ ხელქვეითთან ჰუმანურობა, მოხელე იქნება იგი, მწერალი, ქმა თუ გლეხი, შეიძლება, ასე ვთქვათ მოსალოდნელ რეფორმათა თუ საერთოდ განახლების ქვაკუთხედად გამოდგეს. რატომ? იმიტომ, აი, მაგალითისათვის სილოგიზმი: მე ჰუმანური ვარ, მაშასადამე, ხალხს ვუყვარვარ. ხალხს ვუყვარვარ. მაშასადამე, მენდობიან, მენდობიან, სწამთ ჩემი, მაშასადამე, ვუყვარვარ. თუმცა არა, მე მინდა ვთქვა, რომ თუ სწამთ, მაშასადამე, რეფორმასაც იწამებენ, ასე ვთქვათ, საქმის არსს ჩასწვდებიან, ასე ვთქვათ, ერთმანეთს ზნეობრივად გადაეხვევიან და მეგობრულად, საფუძვლიანად გადაწყვეტენ ყველაფერს. რა გაცინებთ, სემიონ ივანოვიჩ? გაუგებარია?

ბ-მა ნიკიფოროვმა უხმოდ აზიდა წარბები; გაკვირვებული ბრძანდებოდა.

— მე მგონი, ზედმეტი დავლიე, — გესლიანად ჩაურთო ბ-მა შიპულენკომ. — ამიტომაც ცოტა დავჩლუნგდი. ასე ვთქვათ, გონება დამიბნელდა, დიახ.

ბ-ნ პრალინსკის შეაჟრჟოლა.

— ვერ გავუძლებთ, — უეცრივ წარმოთქვა მცირეოდენი ჩაფიქრების შემდეგ ბ-მა ნიკიფოროვმა.

— როგორ თუ ვერ გავუძლებთ? — ჩაეკითხა ამ უეცარი და მოკლე შენიშვნით სახტად დარჩენილმა ივან ილიჩმა.

— დიახ, ვერ გავუძლებთ. —ბ-ნმა ნიკიფოროვმა ალარ ისურვა უფრო ვრცლად განემარტა.

— ღვინო ახალი თხიერთა ახალთა შთააესხითო, ამას ხომ არ გულისხმობთ? — ცოტა არ იყოს დაცინვით შეესიტყვა ივან ილიჩი. — არა, ბატონო, ჩემს თავზე პასუხს მე ვაგებ.

იმავ წუთს საათმა თორმეტის ნახევარი ჩამოჰკრა.

— ყველაფერს თავისი დრო აქვს, — თქვა ბ-მა შიპულენკომ და ასადგომად წამოიწია, მაგრამ ბ-მა პრალინსკიმ დაასწრო, წამოდგა და ბუხარზე ჩამოდებული თავისი სიასამურის ქუდი აიღო. ნაწყენი იყურებოდა.

— მაშ, მოიფიქრებთ, სემიონ ივანიჩ? — უთხრა გაცილებისას ბ-მა ნიკიფოროვმა.

— ბინაზე ბრძანებთ? მოვიფიქრე, მოვიფიქრებ.

— თუ მოიფიქრებთ, მაშინვე მაცნობეთ.

— სულ საქმეებზე წუხხართ? — თავაზიანად და ოდნავ პირფერულად შენიშნა ბ-მა პრალინსკიმ და ქუდი აათამაშა. ისე ეჩვენა, თითქოს მისი აქ ყოფნა ალარავის ახსოვდა.

ბ-მა ნიკიფოროვმა წარბები აზიდა და ალარაფერი თქვა, აქაოდა, სტუმრებს არ გაკავებთო. სემიონ ივანიჩი საჩქაროდ დაემშვიდობა.

„კი ბატონო... რახან უბრალო თავაზიანობისა არაფერი გესმით... თქვენი ნებაა," — გადაწყვიტა გუნებაში ბ-მა პრალინსკიმ და თითქმის დაუდევრად გაუწოდა ხელი ბ-ნ ნიკიფოროვს.

შემოსასვლელში ძვირფას, მსუბუქ ქურქში რომ გაეხვია, რატომღაც თვალი აარიდა სემიონ ივანიჩის გაქუცულ ენოტს. ორივე კიბეზე დაეშვა.

— მგონი, გაგვინაწყენდა ბებერი, — ჩაილაპარაკა ბ-მა პრალინსკიმ დადუმებულ სემიონ ივანიჩს.

— არა მგონია, ვითომ რა მიზეზით? — მიუგო იმან დინჯად და ცივად.

„ყურმოჭრილი ყმა!" — გაივლო გულში ივან ილიჩმა.

პარმაღზე სემიონ ივანიჩს მისი მარხილი მოჰგვარეს, შიგ შეუხედავი ტრედანა ცხენი ება.

— ეს რა უბედურება! სად ეშმაკში წაიყვანა ტრიფონმა ჩემი ეტლი! — შესძახა ივან ილიჩმა, როცა თავისი ეტლი ვერ დაინახა.

აქეთ ეცა, იქით ეცა, — ეტლი არა და არ ჩანდა. სტეფან ნიკიფოროვიჩის მსახურმა არაფერი იცოდა, ჰკითხეს სემიონ ივანიჩის მეეტლე ვარლამს, იმან უპასუხა, სულ აქ ტრიალებდა, ეტლიც აქ იდგა, ახლა კი სადღაც გაჰქრაო.

— უმსგავსობაა! — ბრძანა ბ-მა შიპულენკომ, — გნებავთ მიგიყვანთ?

— ეს რა გათახსირებული ხალხია! — გაცოფებით შეჰყვირა ბ-მა პრალინსკიმ. — აკი მთხოვა მაგ წუპაკმა, ქორწილში გამიშვიო. აქ, პეტერბურგის მხარეს ვიღაც მაგისი ნათლიდედა თხოვდება თურმე, ჯანდაბას მისი თავი. სასტიკად ავუკრძალე, ფეხი არ მოიცვალო-მეთქი. სანაძლეოს ჩამოვალ, თუ იქ არ წაეთრა!

— მართლაც იქ წავიდა, — ჩაურთო ვარლამმა, — თქვა კი, ერთ წამში აქ გავჩნდებიო, ანუ დროზე მოვალო.

— აბა, აბა! თითქოს გული მიგრძნობდა! დამაცადოს ერთი!

— ერთი-ორჯერ პოლიციაში გააწკეპლინეთ, მაშინ ისწავლის ჭკუას.— თქვა სემიონ ივანიჩმა და ეტლის კალთა გადაიფარა.

— მაგაზე ნუ სწუხხარ, სემიონ ივანიჩ!

— თუ გნებავთ, მართლა მიგიყვანთ.

— ბედნიერად იმგზავრეთ, merci.

სემიონ ივანიჩი წავიდა, ივან ილიჩი ფეხით გაუყვა ხეფენილს. ძალიან გაბრაზებულ გუნებაზე იყო.

„ახლა კი მორჩა, ახლა მე ვიცი შენი ამბავი, არამზადავ! ჯიბრზე ფეხით წავალ, რომ შეგრცხვეს და შეგეშინდეს! მოეთრევი და გაიგებ, ბატონი ფეხით წავიდაო... უნამუსო!“

ბ-ნ პრალინსკის თავის დღეში ასე არავინ ულანძღია, მაგრამ გულზე გახეთქილი და თანაც შეზარხოშებული იყო, რაკი სმა არ უყვარდა, რაღაც ხუთი-ექვსი ჭიქა შამპანური უკვე თავში აუვარდა. ისე კი მშვენიერი საღამო იდგა. ყინავდა, მაგრამ ქარი არ ქროდა და საოცარი სიწყნარე სუფევდა. ცა ვარსკვლავებს მოეჭედა. სავსე მთვარე ნაზ ვერცხლისფერ შუქში ხვევდა მიდამოს. ივან ილიჩს ორმოცდაათიოდე ნაბიჯის გავლის შემდეგ სულ დაავიწყდა თავისი გასაჭირი, ისე იმოქმედა ამ მშვენიერმა საღამომ. საოცრად სასიამოვნო გრძნობამ შეიპყრო. შექეიფიანებულ ადამიანს ხომ გუნება სწრაფად ეცვლება. უკაცრიელ ქუჩაში უშნო ხის სახლებიც კი მოეწონა.

„კარგია, ფეხით რომ წამოვედი, — ფიქრობდა გუნებაში, — ტრიფონისათვისაც კარგი გაკვეთილია და მეც ვისიამოვნე. რა ვუყოთ მერე? დიდ პროსპექტზე ხელად ვიშოვი ეტლს. მშვენიერი ღამეა! რა პატარა სახლებია აქ. ეტყობა, წვრილი მოხელეები ცხოვრობენ... ვაჭრებიც ალბათ... ოჰოჰო, სტეფან ნიკიფოროვიჩ! მერედა, რა დამყაყებული ხალხია ეს ბებრუცუნები! დიახ, დიახ, ბებრუცუნები, c'est le mot.[1] თუმცა ჭკუას ვერ წაართმევ, bon sens[2] აქვს,

1. კარგი თქმა (ფრანგ.)

2. საღი აზრი (ფრანგ.)

საგნების ფხიზელი, პრაქტიკული გაგება; მაგრამ დაბერდნენ, დაბერდნენ კია! აღარა აქვთ... მოიცა, რა ჰქვია! ერთი სიტყვით, რაღაც აკლიათ... ვერ გავუძლებთო! ნეტა რა იგულისხმა? დაფიქრდა კიდეც ამის თქმისას. თუმცა მე კი სრულებით ვერ გამიგო. ან რა იყო გაუგებარი? უფრო ძნელია ვერ გაიგო, ვინემ გაიგო, რაც მთავარია, გულითა მწამს. ჰუმანურობა... ეგოცენტრიზმი... ადამიანმა თავისი ძალა იგრძნოს... აღუდგინო საკუთარი ღირსება და მაშინ... მზა მასალით შეუდგე საქმეს. მგონი, ნათელია! დიახ, ბატონო! ნუ გეწყინებათ, თქვენო აღმატებულებავ, და სილოგიზმი აიღეთ; მაგალითად, შევხვდით ერთ მოხელეს, ღარიბს, დაბჭჩავებულს. „აბა... ვინ ხარ?" „მოხელე". ძალიან კარგი, მოხელე. შემდეგ: „რა მოხელე ხარ?" ესა და ეს. „მსახურობ?" „ვმსახურობ!" „გინდა ბედნიერი იყო?" „მინდა". „რა არის საჭირო ბედნიერებისათვის?" ეს, ეს და ეს. „რატომ?" იმიტომ... ჰოდა, ამ კაცს ჩემი ორი სიტყვიდან ესმის: ის უკვე ჩემია, ასე ვთქვათ, უკვე გავაბი ბადეში, როგორც მინდა, ისე ვატრიალებ, ესე იგი, მისივე სიკეთისთვის. დიდი წუპაკი ვინმეა ეს სემიონ ივანიჩი! ან რა წუპაკი სიფათი აქვს... პოლიციაში გააწკეპლინეო, — განგებ მითხრა. — არა, ძმაო, თუ გინდა შენ გააწკეპლინე, მე ვერ გავწკეპლავ ტრიფონს სიტყვით მოვუელი, საყვედურებით მოვიყვან ჭკუაზე, მაშინ იგრძნობს. წკეპლას რაც შეეხება, ჰმ... ეს საკითხი გადაუწყვეტელი რჩება. ჰმ... ემერანსთან ხომ არ შემევლო? ეს ოხერი წანწალები! — შესძახა მან, ფეხი რომ დაუცდა. — სატახტო ქალაქიც ამას ჰქვია! განათლებაც ამას ჰქვია. კაცი ფეხს მოიტეხ. ჰმ, უჰ, უჰ, როგორ მძულს ეს სემიონ ივანიჩი, დიდი წუნკალი სიფათი აქვს. ჩაიხითხითა, წელან რომ ვთქვი: ერთმანეთს გადაეხვევიან-მეთქი. დიახაც გადაეხვევიან, რა შენი საქმეა? ნუ გეშინია, შენ მაინც არ გადაგეხვევი; გლეხს უფრო გადავეხვევი... გლეხი თუ შემხვდა, დაველაპარაკები კიდეც. თუმცა მთვრალი ვიყავი და იქნებ ისე ვერა ვთქვი. მგონი, ახლაც ისე ვერ ვამბობ... ჰმ. თავის დღეში აღარ დავლევ. იყბედებ, იყბედებ საღამოს და მეორე დღეს ნანობ. მერე რა, ხომ არ ვბანცალებ.... თუმცა ყველა კაი არამზადაა!"

ასე არეულად, უთავბოლოდ მსჯელობდა ივან ილიჩი და ხეფენილს მიჰყვებოდა. სუფთა ჰაერმა იმოქმედა და, ასე ვთქვათ, გუნება აუშალა. ხუთიოდ წუთის შემდეგ დამშვიდდებოდა და ძილი მოუნდებოდა. მაგრამ უცბად დიდი პროსპექტიდან თითქმის ორ ნაბიჯზე მუსიკის ხმა მოესმა. მიიხედ-მოიხედა, ქუჩის მეორე მხარეზე ერთ ძველ, ერთსართულიან გრძელ ხის სახლში დიდი ქეიფი იყო. წრიპინებდნენ ვიოლინოები და კონტრაბასი, აჭყვიტინებდა ფლეიტა კადრილის მხიარულ ჰანგს, ფანჯრებთან მაყურებლები მიმდგარიყვნენ, მეტწილად დაბამბულსალოპიანი და თავსაფრიანი დედაკაცები და დარაბის ჭუჭრუტანებში იჭყიტებოდნენ, რამე დაეინახოთო. შიგ ალბათ დიდი მხიარულება სუფევდა, მოცეკვავეთა ფეხების ბრაგუნს მეორე მხარეს გაიგონებდი. ივან ილიჩმა შორიახლოს უბნის პოლიციელს ჰკიდა თვალი და მისკენ წავიდა.

— ეს ვისი სახლია, ძმაო? — ჰკითხა და ზუსტად იმდენზე გადაიღელა ძვირფასი ქურქი, პოლიციელს ყელზე დაკიდებული საკმაოდ დიდი ორდენი დაენახა.

— მოხელე ფსელდონიმოვისა გახლავთ, ლეგისტრატორის, ბატონო, — ბიუგო პოლიციელმა და წინ გაეჭიმა. ორდენი უმალ შეამჩნია.

— ფსელდონიმოვისა? ჰმ! ფსელდონიმოვის... ვითომ რა? ცოლს თხოულობს?

— თხოულობს, თქვენო მაღალშობილებავ, ტიტულარული მრჩევლის ქალს თხოულობს. გვარად მლეკოპიტაევისა... გამგეობაში მსახურობდა. ამ სახლს მზითევში აძლევს თავის ქალს.

— მაშ ეს უკვე ფსელდონიმოვის სახლია და არა მლეკოპიტაევისა?

— ფსელდონიმოვისა, თქვენო მაღალკეთილშობილებავ. მლეკოპიტაევის იყო, ახლა ფსელდონიმოვისა გახლავთ.

— ჰმ, იმიტომ გეკითხები, ძმაო, რომ მისი უფროსი ვარ იმ უწყების გენერალი, სადაც ფსელდონიმოვი მსახურობს.

— ეგრე გახლავთ, თქვენო აღმატებულებავ. — პოლიციელი კიდევ უფრო გაიჯგიმა. ივან ილიჩი კი ჩაფიქრდა. რაღაცას საზრობდა...

ჰო, ჰო, ფსელდონიმოვი მართლა მის უწყებაში მუშაობდა, სწორედ მისსავე კანცელარიაში, იმ პატარა მოხელეთაგანი იყო, ვისი ჯამაგირი თვეში ათ მანეთს არ აღემატებოდა: ბ-მა პრალინსკიმ დიდი ხანი არაა, რაც კანცელარია ჩაიბარა. ამიტომ ყველა თავისი ხელქვეითი შეიძლება არც ხსომებოდა, მაგრამ ფსელდონიმოვი კი დაამახსოვრდა და ისიც მისი გვარის წყალობით. მაშინვე თვალში ეცა და დაინტერესდა ამ გვარის პატრონისთვის კარგად შეეხედა. ახლა მოაგონდა, რომ ჯერ სულ ახალგაზრდა ბიჭი იყო, ჰქონდა გრძელი კეხიანი ცხვირი, ღია ქერა ბურძგი თმა, გამჭლეყული, ნაშიმშილევი სახე, ეცვა უბადრუკი ვიცმუნდრი და კიდევ უფრო სამარცხვინო შარვალი. გაახსენდა, მაშინვე რომ გაიფიქრა: რა იქნება, თუმნით მეტი მივცეთ ამ საცოდავ, უქმეზე მაინც გამოძღესო? მაგრამ რახან ამ საცოდავს თავ-პირი ჩამოსტიროდა და გამოხედვაც უსიამო, ზიზღისმომგვრელი ჰქონდა, ეს კეთილი ზრახვა თავისთავად გაქრა და ფსელდონიმოვიც უჯილდოოდ დარჩა. ჰოდა, კიდევაც გაუკვირდა, როცა ამ ფსელდონიმოვმა ერთი კვირის წინათ თხოვნა შემოიტანა, ცოლს ვთხოულობო. ივან ილიჩს გაახსენდა, რომ რატომღაც ვერ მოიცალა ამ საქმის დაწვრილებით გასარჩევად, და ქორწილის საქმე ზერელედ, ხელდახელ გადაწყდა. მაგრამ ის კი კარგად ახსოვდა, რომ ფსელდონიმოვი მზითევად ხის სახლს და ორმოც თუმან ნაღდ ფულს იღებდა. ამ გარემოებამ მაშინაც გააოცა. ისიც ახსოვდა, რომ ფსელდონიმოვისა და მლეკოპიტაევის გვარების შეერთებაზე კიდევაც წაიოხუნჯა.

მოიგონა ეს ყველაფერი და უფრო მეტად ჩაფიქრდა. მოგეხსენებათ, თავში ზოგჯერ უამრავი ფიქრი გაგირბენს კაცს თვალის დახამხამებაში რაღაც შეგრძნებების მსგავსად, რაც ადამიანისა და მით უმეტეს ლიტერატურის ენაზე ძნელად გადმოითარგმნება. მაგრამ მაინც შევეცდებით ჩვენი გმირის ეს შეგრძნებანი გადმოვთარგმნოთ და მკითხველს თუნდაც ამ შეგრძნებათა არსი მივაწოდოთ, ასე ვთქვათ, რაც მთავარია და თან სიმართლესაც ჰგავს. რამეთუ ჩვეულებრივ ენაზე გადმოთარგმნილი ჩვენი ბევრი შეგრძნება დაუჯერებელი შეიძლება ეჩვენოს კაცს. ამიტომაც უჩინარნი რჩებიან ისინი ქვეყნისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ჩვენგანს აქვს. რაღა თქმა უნდა, ბ-ნ პრალინსკის შეგრძნებანი და ფიქრები ცოტა არეული გახლდათ, თუმცა კარგად მოგეხსენებათ, რატომაც.

„ეეჰ! კაცმა რომ თქვას, ლაპარაკში ვერავინ გვაჯობებს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, კაბიკია ჩვენი ფასი. აი, მაგალითად, თუნდაც ეს ფსე-

ლდონიმოვი ავიღოთ: კაცმა ჯვარი დაიწერა. ეკლესიიდან გულაჩუყებული მოვიდა, იმედით, მოლოდინით აფორიაქებული... ეს მისი ცხოვრების უნეტარესი დღეა.. ახლა სტუმრებს დაჰფუსფუსებს, ქეიფს მართავს — მართალია უბრალოსა და ღარიბულს, სამაგიეროდ მხიარულსა და [illegible]. ნეტა რა მოუვა, რომ გაიგოს, მე, მისი უფროსი, მისი ყველაზე [illegible] ამ წუთს მის სახლთან ვდგავარ და მუსიკას ვუსმენ! მართლა რა მოუვა, ჰა? არა, მართლა რა დაემართება, რომ უცებ ავდგე და შევიდე? ჰმ... ცხადია, ჯერ დაფრთხება, დაბნეულობისაგან ენა ჩაუვარდება. ჩემი მისვლა ხელს შეუშლის, იქნებ ყველაფერი ჩაუშალოს... დიახ, დიახ, სწორედ ასე მოხდება, ვინმე სხვა გენერალი რომ შევიდეს, მხოლოდ მე არა... საქმეც ისაა, ვინც გინდა ჩემ გარდა...

დიახ, სტეფან ნიკიფოროვიჩ! წელან თქვენ ვერ გამიგეთ. მაგრამ აჰა, ბატონო, უტყუარი მაგალითიც.

დიახ, ბატონო, ჩვენ ყველანი ბევრს გავყვირით ჰუმანიზმზე, გმირობის ჩადენა კი არავის ძალგვიძს.

რა გმირობის? რა და ასეთის. აბა განსაჯეთ: საზოგადოების ახლანდელი ვითარებისას ჩემი შესვლა, დიახ, დიახ, ჩემი შესვლა ღამის პირველ საათზე ჩემი ხელქვეითის, ათმანეთიან რეგისტრატორის ქორწილზე — ეს ხომ არეულობას გამოიწვევს, ეს ხომ იდეათა შეტრიალებაა, პომპეის უკანასკნელი დღე. ღომხალი! ამას ვერავინ გამიგებს. სტეფან ნიკიფოროვიჩი მოკვდება და ვერ გაიგებს. აკი თქვა: ვერ გავუძლებთო. დიახ, თქვენ ვერ გაუძლებთ, იმიტომ რომ დაბერდით, იმიტომ რომ დამბლადაცემულები ხართ, იმიტომ რომ დამყაყდით ხალხი, მე კი გა-ვუ-ძლებ! მე გადავაქცევ პომპეის უკანასკნელ დღეს ჩემი ხელქვეითისათვის უნეტარეს დღედ, გაუგონარ საქციელს — ჩვეულებრივ, პატრიარქალურ, მაღალი ზნეობის საქმედ. როგორ? როგორ და ასე. აბა ყური მიგდეთ...

დიახ... ვთქვათ და, შევედი: — ყველა სახტად რჩება, ცეკვები წყდება, დაფეთებული მიცქერიან. უკან-უკან იხევენ. ასე, ბატონო, მაგრამ აქ ჩემს თავს ვაჩენ: პირდაპირ მივადგები შეშინებულ ფსელდონიმოვს და ალერსიანი ღიმილით უბრალოდ ვეტყვი: „ასეა და ასე-მეთქი, მის აღმატებულება სტეფან ნიკიფოროვიჩთან გახლდით, ვგონებ, იცი. აქ მეზობლად ცხოვრობს...“ შემდეგ ისე, ხუმრობით ვყვები ტრიფონის ამბავს. მერე იმაზე ვყვები, როგორ წამოვედი ფეხით: „ჰოდა, — მუსიკა გავიგონე, პოლიციელს ვკითხე და შევიტყვე, თურმე ცოლს თხოულობ, ძმაო, ვიფიქრე, მოდი, ჩემს ხელქვეითთან შევალ, დავხედავ, ჩემი მოხელეები როგორ ილხენენ და... ქორწილდებიან. მე მგონი, არ გამაგდებ!“ გამაგდებო! როგორ მოსასმენია, ჰა, ხელქვეითისათვის. რის გაგდება, რა გაგდება! მგონი, ჭკუაზე შეცდება კაცი, აცახცახდება. პირველ წუთს გონზეც ვერ მოვა!..

განა რა უნდა იყოს ამ საქციელზე უბრალო და მოხდენილი! რისთვის შევედი? ეს სხვა საკითხია! ეს უკვე, ასე ვთქვათ, საქმის ზნეობრივი მხარეა. აქ მარხია ძალლის თავი!

ჰმ... რაზე ვფიქრობდი? ჰოო!

რა თქმა უნდა, ყველაზე საპატიო სტუმართან დამსვამენ, ვინმე ტიტულარულ მრჩეველისა თუ გადამდგარი შტაბ-კაპიტნის გვერდით, მათ წითელცხვირა ნათესავთან... დიდებულად აქვს აღწერილი ეს თავისებური ხალხი გოგოლს... რასაკვირველია, პატარძალსაც გამაცნობენ. მეც შევაქებ, სტუმრებს

გავამხნევებ. ვთხოვ, არ მოგერიდოთ, იმჩიარულეთ, იცეკვეთ-მეთქი, ვიოხუნჯებ, ვიცინებ, მოკლედ — თავაზიანად და საამურად მოვიქცევი, როგორც ყოველთვის, თუ ჩემი თავის კმაყოფილი ვარ... ჰმ... საქმეც ისაა, რომ, ძგონი, ცოტა კიდევ... არა, მთვრალი კი არა, ასე ვთქვათ...

...რასაკვირველია, ჯენტლმენის პირობაზე, ყველას ისე ვექცევი, როგორც ჩემს ტოლსა და ყადრს, განსაკუთრებულ პატივს არ ვითხოვ. მაგრამ რაც შეეხება ზნეობრივ მხარეს, ეს სხვა საქმეა: ისინი მიხვდებიან და დააფასებენ... ჩემი საქციელი გაუღვიძებთ ყველა კეთილშობილურ გრძნობას... ჰოდა, დავრჩები ნახევარი საათი... ჰა, ერთი საათი. ცხადია, ვახშამამდე წამოვალ. ჰო,ჰო, როგორ დაბზრიალდებიან, რას არ შესწვავენ და გამოაცხობენ, წელში გადატყდებიან ხვეწნით, მე კი მხოლოდ ერთ სასმისს დავლევ, დავლოცავ, ხოლო ვახშამზე უარს ვიტყვი. საქმეები მაქვს-მეთქი, მოვიმიზეზებ. „საქმეს" რომ ვიტყვი, ყველას სახე დაუგრძელდება და მოწიწება გადაეფინება. ეს ჩემგან თავაზიანი შეხსენება იქნება, თუ რა სხვაობაა ჩვენ შორის. ცა და დედამიწა. არა, კი არ მინდა ვაგრძნობინო, მაგრამ ხომ მაინც საჭიროა... რაც არ უნდა თქვა, ზნეობრივადაც აუცილებელია, თუმცა მაშინვე გავიღიმებ, გავიცინებ კიდევაც და ყველანიც გამხნევდებიან.. პატარძალსაც ისევე გავეხუმრები; ჰმ... იმასაც გადავუკრავ, ზუსტად ცხრა თვის თავზე ნათლიად გესტუმრებით-მეთქი. ჰე-ჰე! ის ალბათ ამ დროისთვის მოილოგინებს, ჩვენი ხომ კურდღელებივით მრავლდებიან. ყველა გადაიხარხარებს, პატარძალი გაწითლდება. მე გრძნობით ვაკოცებ შუბლზე, დავლოცავ... და მეორე დღეს ჩემი გმირობის ამბავი მთელ კანცელარიას მოეფინება. მეორე დღეს კვლავ მკაცრი გავხდები, მეორე დღეს კვლავ მომთხოვნი ვიქნები, შეუბრალებელიც კი, მაგრამ ჩემი გულის ამბავი უკვე ყველას ეცოდინება. გაიგებენ, ვინცა ვარ და რაცა ვარ; „უფროსის კვალობაზე სასტიკია, როგორც ადამიანი კი ანგელოზი!" და გავიმარჯვებ კიდეც. დიდი არაფერია, მაგრამ ამ საქციელით, თქვენ რომ თავშიც არ მოგივათ, ეგენი უკვე ბადეში გავხვიე, ეგენი უკვე ჩემები გავხადე, მე—მამა, ისინი — შვილები... აბა, თუ ვაჟკაცი ხართ, მობრძანდით და ასე მოიქეცით, თქვენო აღმატებულებავ, სტეფან ნიკიფოროვიჩ...

...იცით კი, ან გესმით კი, რომ ფსელდონიმოვი თავის შვილებს მოუყვება და გადასცემს ამბად, თვით გენერალმა იქეიფა ჩემს ქორწილზეო! მისი შვილები თავიანთ შვილებს მოუყვებიან,ისინი შვილიშვილებს და წმიდათაწმიდა ანეკდოტად დარჩება ის ამბავი, წარჩინებულმა სახელმწიფო მოღვაწემ (იმხნისთვის კი ერთიც ვიქნები და მეორეც), როგორ გახადა ისინი ღირსად... და ა. შ. ა. შ. მე ხომ ამით დაბეჩავებულს ზნეობრივად წელში გავმართავ, მე ხომ მას თავის თავის რწმენას დავუბრუნებ... ის ხომ თვეში ერთ თუმანს იღებს!.. მე რომ ხუთჯერ ან ათჯერ ასე რიგად მოვიქცე, საქვეყნოდ ცნობილი გავხდები... ყველას გულზე დავეხატები. ამისთანა ცნობილი სახელით კი, ღმერთმა იცის, რას არ მოიხვეჭს კაცი!.."

ასე თუ ამდაგვარად მსჯელობდა ბ-ნი პრალინსკი (ბატონებო, განა ამისთანებს იტყვის ადამიანი თავის გულში, მეტადრე ესოდენ უცნაურ გარემოებაში). ამ ფიქრებმა გაურბინა რაღაც ნახევარი წუთის მანძილზე თავში და იქნებ მართლა ამ ოცნებებით დაკმაყოფილებულიყო, იქნებ მხოლოდ გულში შეერცხვინა სტეფან ნიკიფოროვიჩი, შემდეგ კი არხეინად წასულიყო შინ და მშვიდ-

ად დაეძინა. მერედა, რა კარგად მოიქცეოდა! მაგრამ ვაი, რომ ეს მხოლოდ წუთი იყო, უცნაური წუთი...

თითქოს ჯიბრზე, სწორედ ამ წუთს მოჩახჩახებულმა წარმოსახვამ უეცრივ სტეფან ნიკიფოროვიჩისა და სემიონ ივანოვიჩის გაბღენძილი სახეები დაუხატა.

— ვერ გავუძლებთ! — გაიმეორა სტეფან ნიკიფოროვიჩმა და ქედმაღლურად გაიღიმა.

— ხი-ხი-ხი! — ბანი მისცა სემიონ ივანოვიჩმა ბილწზე ბილწი ღიმილით.

— აბა ვნახოთ, თუ ვერ გავუძლებთ! — გადაწყვეტით თქვა ივან ილიჩმა და სახეზე სისხლი მოაწვა. მერე წანწალიდან ჩამოვიდა, მტკიცედ გადასჭრა ქუჩა და თავისი ხელქვეითის, რეგისტრატორ ფსელდონიმოვის სახლს მიაშურა.

იგი წერას აეტანა, მას ბედისწერა მიაქროლებდა. მხნედ შევიდა ღია ჭიშკარში და ზიზღით ჰკრა ფეხი პატარა, გაბანჯგლულ ფინიას, რომელიც უფრო თავის გამოსაჩენად, ვინემ საქმისათვის, ჩახრინწული ყეფით შეუვარდა ფეხებში. გადახურულ პარმაღამდე ფიცარნაგით მიაღწია. შემდეგ აიარა დაძველებული კიბე და პაწაწკინტელა წინკარში ამოჰყო თავი. იქ, სადღაც კუთხეში სანთლის ნამწვი თუ სანათი ბეუტავდა, მაგრამ ივან ილიჩმა მარცხენა კალოში მაინც ჩატუცა გასაცივებლად გამოდგმულ ვალანტირში, რომ დაიხედა, იქ კიდევ ორი ლანგარი დაინახა რაღაც ლაბიანი კერძით და ორი თასიც, მგონი, ბლანმანჟეთი. გაჭყლეტილმა გალანტირმა, ცოტა არ იყოს, შეაცბუნა და წამით თავში გაუელვა: ხომ არა სჯობს გავიპაროო? მაგრამ ეს აზრი მეტისმეტად ლაჩრობად მიიჩნია. იფიქრა, მაინც არავის დავუნახივარ, ჩემზე ვერც ვერავინ იფიქრებსო, საჩქაროდ გაიწმინდა კვალის დასაფარავად კალოში, ქეჩით აკრული კარი ხელით მონახა, შეაღო და პაწაწკინტელა დერეფანში აღმოჩნდა. მისი ერთი ნახევარი შინელებს, ბეკეშებს, სალოფეებს, კაპორებს, შარფებსა და კალოშებს გაეტენა. მეორეში მუსიკოსები დასკუპებულიყვნენ. ორი ვიოლინო, ფლეიტა და კონტრაბასი — სულ ოთხი კაცი — რა თქმა, უნდა, ქუჩიდან მოყვანილნი, შეუღებავ ხის მაგიდას მისხდომოდნენ, წინ ერთი ქონის სანთელი ედგათ და გამყივანად, თავაწყვეტით აწრიპინებდნენ კადრილის ბოლო ცეკვას. დარბაზის ღია კარიდან, მტვრის ბულსა, თამბაქოს კვამლსა და ოხშივარში მოცეკვავენი მოჩანდნენ. იდგა ერთი ხორხოცი, ყიჟინა, ისმოდა ქალების კივილი. კავალრები ისე აბრაგუნებდნენ ფეხებს, ცხენების ესკადრონი გეგონებოდა. იმ სოდომში ცეკვების გამრიგეს ხმა ისმოდა, როგორც ჩანს, დიდი უტიფარი და წრეგადასული კაცისა: „კავალრები წინ, შენ დე დამ, ბალანსე!“ და სხვა ცოტა არ იყოს აღელვებულმა ივან ილიჩმა ქურქი და კალოშები გაიძრო და ქუდით ხელში ოთახში შევიდა. უკვე განსჯის თავიც არ ჰქონდა...

პირველ წუთს ვერავინ შეამჩნია: ცეკვა მთავრდებოდა და ყველა ამით იყო გართული. ივან ილიჩი დარეტიანებულივით იდგა, ამ დომხალში ვერაფერი გაერჩია. თვალწინ უკრთოდა მანდილოსანთა კაბები, პაპიროსგაჩრილი კავალრები. ვიღაც ქალბატონის ღია ცისფერი შარფი ცხვირის წვერზე მოხვდა. ამ ქალს გახელებული აღტაცებით მიჰყვა თმაგაჩეჩილი სტუდენტი და საკმაოდ მაგარი მუჯლუგუნი უთავაზა. თვალწინ გაუელვა კიდევ სავერსე ბოძივით აყუდებულმა რომელიღაც პოლკის ოფიცერმა. ბრაგუნ-ბრაგუნით ჩაუქროლა ვიღაცამ და არაბუნებრივი ხმით დასჭყივლა: „ეჰეი, ფსელდონიმუშკა!“ ივან ილიჩს ფე-

ხები ეწებებოდა იატაკზე, ალბათ სანთელი თუ წაესვათ. ოთახი პატარა არ იყო, სტუმარი ოცდაათამდე იქნებოდა.

მაგრამ ერთი წუთის შემდეგ კადრილი დამთავრდა. დამთავრდა და თითქმის მაშინვე ის მოხდა, რაზეც წანწალაზე ოცნებობდა. სტუმრებსა და მოცეკვავეებს შორის, რომლებმაც სულის მოთქმა და ოფლის მოწმენდა ვერ მოასწრეს, რაღაც უჩვეულო დუდუნი და ჩურჩული ატყდა. ყველას თვალი და ყველას მზერა შემოსულმა სტუმარმა მიიჯაჭვა. შემდეგ ნელ-ნელა უკან-უკან დაიხიეს. ვისაც კი ივან ილიჩი ჯერ ვერ შეემჩნია, იმათ ტანსაცმელზე ექაჩებოდნენ და გონს მოჰყავდათ. ისინიც მოიხედავდნენ და მაშინვე სხვებთან ერთად უკან იხევდნენ. ივან ილიჩი ზღურბლზე იდგა გაუნძრევლად. მასსა და სტუმრებს შორის თანდათან დიდდებოდა მანძილი. ცარიელი სივრცე კი იატაკზე დაყრილი კანფეტების ქაღალდებით, ბილეთებითა და პაპიროსის ნამწვავებით იყო მოფენილი. უცებ ამ ცარიელ სივრცეში გაუბედავად შემოვიდა ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ეიცმუნდირი ეცვა, ბუძგა ქერა თქმა და კეხიანი ცხვირი ჰქონდა. ისე მობღუნძული მოდიოდა ბ-ნ პრალინსკისაკენ და ისე შეჰყურებდა მოულოდნელ სტუმარს, როგორც ძაღლი თავის პატრონს, რომელიც წიხლის ჩასაზელად ეძახის.

— გამარჯობა, ფსელდონიმოვ. ვერ მიცანი?... — უთხრა ივან ილიჩმა და იმწამსვე იგრძნო, რა უხერხულად გამოუვიდა ნათქვამი და რა დიდ სისულელეს სჩადიოდა ამ წუთს.

— თ-თ-თქვენო აღმატებულებავ!.. — ამოილუღლუღა ფსელდონიმოვმა.

— მაშ, მაშ, ძმაო, სრულიად შემთხვევით შემოგიარე, თვითონაც მიხვდებით ალბათ...

მაგრამ ფსელდონიმოვს არაფრის მიხვედრის თავი არ ჰქონდა. თვალებდაჭყეტილი, გაოგნებული იდგა.

— მე მგონი, არ გამაგდებ... ხომ იცი, სტუმარი ღვთისაა!.. — განაგრძო ივან ილიჩმა და იგრძნო, როგორ იწურება სირცხვილის ოფლში, გაღიმება უნდა და ვერ ახერხებს, სტეფან ნიკიფოროვიჩსა და ტრიფონზე გახუმრებაც გაუჭირდება ახლა და არც გამოუვა. არადა, ფსელდონიმოვი, თითქოს ჯიბრზე, ისევ გაშეშებული დგას და გამოლენჩებული შეჰყურებს. ივან ილიჩი შეტოკდა, მიხვდა, ცოტა კიდევ და რაღაც წარმოუდგენელი დომხალი მოხდება.

— ხელი თუ შეგიშალეთ... მე წავალ! — ძლივს ამოღერღა მან და ტუჩის მარჯვენა კუთხესთან რაღაც ძარღვი აუთამაშდა...

მაგრამ ფსელდონიმოვი უკვე გონს მოეგო...

— რას ბრძანებთ, თქვენო აღმატებულებავ... როგორ გეკადრებათ... ესოდენი პატივი... — ლუღლუღებდა და წელში ოთხად იკეცებოდა, — წყალობა დაგედეთ და დაბრძანდით... — საბოლოოდ გამორკვეულ ფსელდონიმოვს ორივე ხელი დივნისკენ გაეშვირა, საიდანაც ცეკვების დროს მაგიდა გაეწიათ...

ივან ილიჩმა სული მოითქვა და დივანზე დაჯდა; ვიღაცამ საჩქაროდ მაგიდა მოუჩოჩა. ბ-მა პრალინსკიმ მიმოიხედა და ნახა, მის გარდა ყველა ფეხზე იდგა, ქალებიც კი. ეს ცუდი ნიშანი იყო. მაგრამ ახლა არც რამის თქმა და არც გამხნევება არ ივარგებდა. სტუმრები ისევ უკან-უკან იხევდნენ. წინ მხოლოდ წელში მოკაკული, გაოგნებული ფსელდონიმოვი იდგა, რომლის სახეს ღიმილის ნატამალი არ ეტყობოდა. რაღა ბევრი გავაგრძელო, ისეთი საძაგელი ვითარება შეიქმნა და ჩვენი გმირი იმ წუთს ისეთმა საშინელმა განცდებმა შე-

იპყრო. მისი ჰარუნ-ალ-რაშიდული შემოჭრა მხოლოდ და მხოლოდ პრინციპის გამო ხელქვეითის ოჯახში დასტურ დიდ გმირობად ჩაეთვლებოდა. უცებ ფსელდონიმოვს ვიღაც კაცი ამოუდგა გვერდით და ბ-ნ პრალინსკის თავი დაუკრა. ივან ილიჩმა ენით აუწერელი სიხარული და ბედნიერება იგრძნო, როცა თავისი კანცელარიის პალატის უფროსი აკიმ პეტროვიჩი ზუბკოვი იცნო, ვისაც, მართალია, კარგად არ იცნობდა, მაგრამ საქმიანი და უენო მოხელე რომ იყო, ეს კი იცოდა. ბ-ნი პრალინსკი სასწრაფოდ წამოდგა და აკიმ პეტროვიჩს ხელი გაუწოდა, დიახ, დიახ, ხელი და არა ორი თითი. გენერალი ალტაცებამ მოიცვა. ხსნა მოევლინა, კაცი გადარჩა.

მართლაც ფსელდონიმოვი უკვე მეორე კი არა, ასე ვთქვათ, მესამე პირად იქცა. ბ-ნ პრალინსკის ახლა შეეძლო პირდაპირ პალატის უფროსისათვის ეამბნა, რისი მოყოლაც სურდა და ამ გასაჭირში ნაცნობად და ახლო ნაცნობადაც მიეჩნია. ფსელდონიმოვს კი თუნდაც სულ ნუ ამოელო ხმა და მხოლოდ მოწიწებით ეცახცახა, წესი და რიგი მაინც დაცული იქნებოდა. ისე კი რაღაც მართლა უნდა ეამბნა; ივან ილიჩი გრძნობდა და ხედავდა, რომ სტუმრები რაღაცას მოელიან, რომ ორივე კარი ოჯახის წევრებით გაიჭედა და ლამის ზედახორას გადადიან მის დასანახად და მოსასმენად. მაგრამ ეს ხეპრე პალატის უფროსი რომ არ ჯდება, ეს კი ცუდია.

— რაღას უცდით! — ჩაილაპარაკა ივან ილიჩმა და უხერხულად მიუთითა თავის გვერდზე ადგილი.

— რას ბრძანებთ... მე აქაც, ბატონო ჩემო... — აკიმ პეტროვიჩი სასწრაფოდ დაჯდა სკამზე, რომელიც ჯიუტად ფეხზე მდგარმა ფსელდონიმოვმა ხელდახელ მიუსრიალა.

— წარმოიდგინეთ, რა ამბავი მოხდა, — მხოლოდ და მხოლოდ აკიმ პეტროვიჩის მისამართით თამამად დაიწყო ივან ილიჩმა. თუმცა ხმა ოდნავ უკანკალებდა, სიტყვები გაჭიანურებითა და დაყოფით გამოსდიოდა, ა-ს ნაცვლად რატომღაც ე-ს გამოთქვამდა, მოკლედ, თვითონვე გრძნობდა, რომ იპრანჭებოდა, მაგრამ თავს ვეღარ ფიქრეობდა; რაღაც გარეშე ძალა ამოქმედებდა. იმ წუთს საოცრად ბევრ რასმე შეიგრძნიბდა და ამ შეგრძნებით მტანჯველად განიცდიდა.

— წარმოიდგინეთ, ეს წუთია სტეფან ნიკიფოროვიჩ ნიკიფოროვისაგან მოვდივარ. ალბათ გსმენიათ, საიდუმლო მრჩეველი რომაა. ჰმ... იმ კომისიისა...

აკიმ პეტროვიჩი მოწიწებით გადმოიხარა წინ: აქაოდა, როგორ არ გვსმენიაო.

— ახლა შენ მეზობლად ცხოვრობს. — ზრდილობის გამოწამით ფსელდონიმოვისაკენ მიაბრუნა თავი ივან ილიჩმა, მაგრამ თვალებზე რომ შეატყო, ფსელდონიმოვისათვის ეს სულ ერთი იყო, უმალ ისევ მოტრიალდა.

— ბებერს მთელი სიცოცხლე აბოდებდა სახლის ყიდვა... ჰოდა,, იყიდა კიდეც. ძალიან კოხტა სახლია. დიახ... თანაც დღეს მისი დაბადების დღე ყოფილა. თუმცა წინათ არასოდეს უზეიმია, გვიმალავდა და არ გვიმხელდა, ხარჯს ერიდებოდა, ხე-ხე! ახალმა სახლმა კი ისე გაახარა, მე და სემიონ ივანოვიჩი დაგვპატიჟა. იცნობთ ალბათ შიპულენკოს.

აკიმ პეტროვიჩი ისევ გადმოიხარა და დიდი მოწიწებითაც გადმოიხარა! ივან ილიჩს ცოტა გულზე ეფონა. თორემ ლამის იყო იფიქრა, ხომ არ მიხვდა

პალატის უფროსი, მისი აღმატებულებისთვის ამ წუთას ერთადერთი ხსნა ვარო. ეს კი ყველაზე უარესი იქნებოდა.

— ჰოდა, დავსხედით სამივე, შამპანური გამოიტანა, საქმეებზე ვიმუსაიფეთ... ხომ იცით, აქითურზე, იქითურზე... სხვადასხვა საკითხებზე... კიდევაც ვიკამათეთ.., ხე-ხე!

აკიმ პეტროვიჩმა მოწიწებით ასწია წარბები.

— მაგრამ საქმე ეს არაა. ბოლოს გამოვეთხოვე, მოგეხსენებათ მოხუცის ამბავი, თავის წესების კაცია, ადრე წვება. გამოვედი... სადაა ჩემი ტრიფონი! შევშფოთდი, ვიკითხე: „ტრიფონმა სად წაიყვანა-მეთქი ეტლი?" თურმე იმ იმედით, დააგვიანდებაო, ვიღაც თავისი ნათლიდედის ქორწილზე წაბრძანებულა... ღმერთმა იცის მისი თავი. აქვე, პეტერბურგის მხარეს ყოფილა. ეტლიც თან წაუყვანია. — გენერალმა ზრდილობის ხათრით ისევ ახედა ფსელდონიმოვს. ისიც უმალ მოიბღუნძა, თუმცა ისე არა, ვითარც გენერალს ეგებოდა. „ეს რა უსულგულო ვინმე ყოფილა",— გაუელვა თავში.

— რასა ბრძანებთ! — მიატანა დიდად განცვიფრებულმა აკიმ პეტროვიჩმა. გაკვირვების ბუბუნი აღმოხდა სხვებსაც.

— აბა განსაჯეთ ჩემი მდგომარეობა... (ივან ილიჩმა ყველას მოავლო თვალი) რა გზა მქონდა, ფეხით წამოვედი. ვიფიქრე, დიდ პროსპექტამდე მივალ და რომელიმე ვანკას ავიყვან-მეთქი.. ხე-ხე!

— ხი-ხი-ხი! — მოწიწებით ჩაიხითხითა აკიმ პეტროვიჩმაც. ხალხში ისევ გუგუნი გაისმა, მაგრამ ამჯერად უფრო მხიარული. ამ დროს ლაწანით გასკდა კედელზე დაკიდებული ლამპის შუშა. ვიღაცა ფიცხად ეცა გასასწორებლად. ფსელდონიმოვი შეკრთა და წყრომით გახედა ლამპას. მაგრამ გენერალს არაფერი შეუმჩნევია და ყველა დამშვიდდა.

— მივდივარ... მშვენიერი წყნარი ღამეა. უცებ მუსიკის ხმა და ბრაგაბრუგი მესმის, სადღაც ცეკვავდნენ. პოლიციელს ვკითხე. იმან მითხრა, ფსელდონიმოვი ცოლს თხოულობსო. შენ თურმე, ძმაო, მთელი პეტერბურგის მხარეს პატიჟებ და მეჯლისებს მართავ, ჰა? ხა-ხა!— უცებ ისევ ფსელდონიმოვს მიუტოიალდა გენერალი.

— ხი-ხი-ხი! დიახ, ბატონო ჩემო... — გაეხმიანა აკიმ პეტროვიჩი. სტუმრები ისევ შეჩოჩქოლდნენ. მაგრამ ყველაზე სულელური ის იყო, რომ ფსელდონიმოვს არც ახლა გაუღიმია, ეს კია, თავი დახარა, თითქოსდა ხე ყოფილიყო. „ბრიყვია თუ რა არის!— გაიფიქრა ივან ილიჩმა.— ახლა უნდა გაეღიმა მაგ მუტრუკს და ყველაფერი ჩინებულად იქნებოდა". გული მოუთმენლობით აევსო. — ვიფიქრე, მოდი, ჩემს ხელოვნებითთან შევალ. მართლა და მართლა ხომ არ გამაგდებს... უნდა არ უნდა, სტუმარი უნდა მიიღოს. შენთან უკაცრავად, ძმაო, თუ ხელი შეგიშალე რამეში, წავალ... მე ხომ სანახავად შემოვედი მხოლოდ...

ამასობაში ყველანი ნელ-ნელა ამოძრავდნენ. აკიმ პეტროვიჩი დათაფლული იყურებოდა: აქაოდა, თქვენი აღმატებულება ხელს ვის შეუშლისო? სტუმრებს სითამამის პირველი ნიშნები დაეტყოთ. თითქმის ყველა ქალი იჯდა, ეს უკვე კარგის მომასწავებელი იყო. უფრო გამბედავნი ცხვირსახოცებს ინიავებდნენ. გაქუცული ხავერდისკაბიანი ერთი მანდილოსანი განზრახ ხმამაღლა ელაპარაკებოდა ვიღაც ოფიცერს. მანაც ასევე ხმამაღლა მოინდომა ეპასუხნა, მაგრამ რახან მარტო ორნი იყვნენ ხმამაღლა მოლაპარაკენი, ველარ გა-

ბედა. მამაკაცების მეტ წილს კანცელარიის მოხელენი და ორი-სამი სტუდენტი შეადგენდა. თან ახველებდნენ და თან ერთმანეთს ისე უყურებდნენ, თითქოს უბიძგებდნენ, მიდი, მიდი, ნუ გეშინია, გაბედეო. ორ-ორი ნაბიჯიც კი გადადგეს აქეთ-იქით. თუმცა დიდი მორიდება არავის ეტყობოდა. ოლონდაც ავი და ბოროტი თვალით უყურებდნენ ამ ვაჟბატონს, აქ რომ შემოეხეტა და მხიარულება ჩაუფუშათ. ოფიცერს შერცხვა თავისი სულმოკლეობისა და ნელ-ნელა მიუახლოვდა მაგიდას.

— გამიგონე, ძმაო, შენს სახელსა და მამის სახელს ვერ მეტყვი? — ჰკითხა ივან ილიჩმა ფსელდონიმოვს.

— პორფირი პეტროვიჩი, თქვენო აღმატებულებავ,— თითქოს ჯარში იყო, ისე გადმოქაჩა მან თვალები.

— ჰოდა, გამაცანი შენი ახალგაზრდა ცოლი, პორფირი პეტროვიჩ... მიბიყვანე... და...

გენერალმა წამოდგომა დააპირა. მაგრამ ფსელდონიმოვი კისრისტეხით გავარდა სასტუმროსკენ. პატარძალი იქვე, კარებში იდგა, მაგრამ რომ გაიგონა, ჩემზეა ლაპარაკი, მაშინვე დაიმალა. ერთი წუთის შემდეგ ფსელდონიმოვმა ხელჩაკიდებული გამოიყვანა იგი. აქეთ-იქიდან გზა დაუთმეს. ივან ილიჩი დიდი ამბით წამოდგა და ქალს თავაზიანად გაუღიმა.

— ფრიად მიხარია თქვენი გაცნობა, — უთხრა და დიდკაცურად დაუკრა თავი, — მეტადრე ამისთანა დღეს...

გენერალმა ცბიერულად გაიღიმა. მანდილოსნები აღტაცებით შეჩოჩქოლდნენ.

— შარმე,[1] — თითქმის გასაგონად წაილაპარაკა ხავერდისკაბიანმა ქალმა.

პატარძალი მართლაც შესაფერისი წყვილი აღმოჩნდა ფსელდონიმოვისთვის. ჩვიდმეტიოდე წლის გამხდარი ქალი იყო, პატარა და ფერმკრთალ სახეს წაწინწილებული ცხვირი უმშვენებდა. წვრილ თვალებს სწრაფად ასრიალებდა აქეთ-იქით, დარცხვენა არ ეტყობოდა, პირიქით, დაჟინებით და რაღაც ღვარძლითაც იმზირებოდა. აშკარა იყო, ფსელდონიმოვი სიტურფისთვის არ თბოულობდა. ეცვა ვარდისფერსარჩულიანი თეთრი მარმაშის კაბა, კაბიდან გამხდარი კისერი, გალეული ტანი და გამოჩრილი ძვლები უჩანდა. გენერლის მისალმებაზე ხმაც არ გაუღია.

— ძალიან ლამაზი ცოლი კი გყოლია, — განაგრძო გენერალმა ხმადაბლა, თუმცა ისე კი, პატარძალსაც გაეგონა. მაგრამ ფსელდონიმოვს არც ახლა დასცდენია კრინტი და, ასე განსაჯეთ, არც შეტოკებულა. ივან ილიჩმა მის თვალებში რაღაც ცივი ფარული ნაპერწკალი შეამჩნია, უცნაური და მავნე. და მაინც გენერალს უსათუოდ გრძნობიერება უნდა გაეღვიძებინა ამ კაცში. ის ხომ ამისთვის იყო მოსული.

„ფერი ფერსო, მადლი ღმერთსო! — გაიფიქრა გუნებაში — თუმცაღა...“

გენერალი ისევ გამოელაპარაკა მის გვერდით დასკუპულ დედოფალს. მაგრამ „ჰო“ თუ „არას“ მეტი ვერაფერი წამოაცდენინა, ისიც ყველა კითხვაზე არც კი.

„დაირცხვინოს მაინც, მაშინ გავიხუმრებდი, — გაურბინა ისევ გუნებაში.

[1] (ფრანგ. — charme) — რა საუცხოოა.

თორემ აღარ ვიცი, რა ვქნა". აკიმ პეტროვიჩსაც, თითქოს ჯიბრზე, პირში წყალი ჩაეგუბებინა, მაგრამ თუნდაც სიბრიყვით, მაინც არ ეპატიებოდა.

— ბატონებო! იქნებ მართლა ჩაგიშალეთ მხიარულება? — ახლა ყველას მიმართა გენერალმა და იგრძნო, ხელისგულებიც რომ გაუოფლიანდა.

— ნუ წუხხართ, თქვენო აღმატებულებავ, ახლავე დავიწყებთ, ჯერ ჯერობით ვისვენებთ, — მიუგო ოფიცერმა. პატარძალმა კმაყოფილებით შეხედა ამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ოფიცერს, რომელიღაც პოლკის მუნდირი რომ ეცვა. ფსელდონიმოვიც იქვე იდგა, მთელი ტანით წინ გადმოხრილი. კეხიანი ცხვირი ახლა უფრო მეტად დამჩნეოდა სახეზე. ისე იდგა და იმზირებოდა, ლაქია გეგონებოდა ქურქით ხელში, თავისი ბატონების დამშვიდობებას რომ ელის. ასე გაიფიქრა თავად ივან ილიჩმა, რომელმაც აღარ იცოდა, რა წყალში ჩავარდნილიყო, თავს საოცრად უხერხულად გრძნობდა, თითქოს ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა, თითქოს სადღაც ბნელში მოხვედრილიყო და იქიდან ველარ გამოეღწია.

უცებ სტუმრების ბრბო ორად გაიპო და დაბალი, ჩასუქებული, უკვე ხნიერი ქალი გამოატარეს. ემოსა უბრალოდ, თუმცა სიკოხტავისთვის მხრებზე დიდი შალი მოესხა, ყელთან ქინძისთავით შეკრული და, თავსაბურავიც წამოეცვა, რომლის ხმარებას ნაჩვევი არ უნდა ყოფილიყო. ხელში პატარა მრგვალი ლანგარი ეკავა. ლანგარზე ეს წუთია გახსნილი შამპანურის სავსე ბოთლი და ორად-ორი ჭიქა იდგა. მხოლოდ ორი სტუმრისთვის განკუთვნილი.

ხნიერი ქალი ჯიქურ გენერალს მიეახლა და თავი დაუკრა.

— ნუ დაგვძრახავთ, თქვენო აღმატებულებავ, მაგრამ რახან გვიკადრეთ და ჩემი ვაჟიშვილის ქორწილზე გვეწვიეთ, წყალობა მოიღეთ და ნეფე-დედოფალი დამილოცეთ. ხათრს ნუ გაგვიტეხთ, პატივი დაგვდეთ, ჩემო ბატონო.

ივან ილიჩს მისი მოსვლა ხსნად მოეჩვენა. ეს ქალი ორმოცდახუთსა თუ ექვსზე მეტის არ იქნებოდა, მაგრამ ისეთი კეთილი, ღაჟღაჟა, გაშლილი, ჭეშმარიტად პირმრგვალი რუსული სახე ჰქონდა, ისე კეთილად იღიმებოდა, ისე უბრალოდ უკრავდა თავს, გენერალს თითქმის გულზე მოეშვა და იმედი მოეცა.

— მაშ თქვენ დედა ბრძანდებით თქვენი ვაჟისა? — წამოიწია დივნიდან იგი.

— დედა გახლავთ, თქვენი აღმატებულებავ, — წაილუღლუღა ფსელდონიმოვმა, გრძელი კისერი წამოსჭიმა და ცხვირი კიდევ უფრო წინ წამოჩარა.

— ოჰო! ფრიად, ფრიად მოხარული ვარ თქვენი გაცნობის.

— მაშ ნუ გვითაკილებთ, თქვენო აღმატებულებავ.

— დიდი სიამოვნებით გიახლებით.

ლანგარი მაგიდაზე დადგეს, ფსელდონიმოვი წინ გამოიჭრა და ღვინო დაასხა. კვლავ ზეზე მდგარმა ივან ილიჩმა სასმისი აიღო.

— მეტადრე, მეტადრე იმიტომ მიხარია ეს შემთხვევა... რომ შემიძლია... გამოვთქვა ჩემი... ერთი სიტყვით, ვითარც უფროსი... გისურვებთ, ქალბატონო (მიუბრუნდა იგი პატარძალს) და შენც, ჩემო კარგო პორფირი — დიდსა და ხანგრძლივ ბედნიერებას.

გენერალმა გრძნობით დასცალა ეს უკვე მეშვიდე სასმისი ამ საღამოს.

ფსელდონიმოვი დინჯად, კუშტადაც კი შესცქეროდა. გენერალს იგი უკვე მთელი არსებით სძულდა.

— თქვენც მიირთვით, აკიმ პეტროვიჩ, თქვენც დამილოცეთ შვილები, — ახლა პალატის უფროსს მიუბრუნდა მოხუცი ქალი. — თქვენ, უფროსი ბრძანდებით, ის თქვენი ხელქვეითი. ყურადღება მიმიქცეთ [illegible] დედა გთხოვთ, ამას იქითაც ნუ დაგვივიწყებთ, თქვენ გენაცვალეთ, აკიმ პეტროვიჩ, თქვენი კეთილი გულის ჭირიმე.

„რა საუცხოები არიან ეს რუსი მოხუცი ქალები! — გაიფიქრა ივან ილიჩმა. — ყველა არ გამოაცოცხლა? იმიტომაც მუდამ მიყვარდა ხალხი..."

ამ წუთს კიდევ ერთი ლანგარი შემოუმატა სუფრას მოახლე ქალმა, რომლის ჯერ გაურეცხავ ჩითის კაბასა და ხაბარდას შარიშური გაჰქონდა. ვეებერთელა ლანგრისთვის ორი ხელი ძლივს შემოეწვდინა. ზეგ უამრავი პატარა თეფში ეწყო ვაშლებით, კანფეტებით, მარმელადებით, კაკლითა თუ სხვა ნუგბარით სავსე. ეს ლანგარი აქამდე სასტუმროში იდგა ყველა სტუმრისა და მეტწილად მანდილოსანთა პირის ჩასატკბარუნებლად. ახლა კი მარტო გენერალს მოართვეს.

— ნუ დაგვძრახავთ ნუგბარზე, თქვენო აღმატებულებავ, მოგეხსენებათ, კეთილი გულით მორთმეულია, — იმეორებდა და თავს უკრავდა მოხუცი ქალი.

— რასა ბრძანებთ... — ივან ილიჩმა სიამოვნებითაც აიღო და თითებშუა გატეხა ერთი კაკალი. გადაწყვეტილი ჰქონდა სახელის მოხვეჭის ხათრით უკან არ დაეხია.

უეცრივ პატარძალმა ჩაიხითხითა.

— რა იყო? — ღიმილით ჩაჰკითხა ივან ილიჩმა, რომელსაც სიცოცხლის ამ პატარა ნიშანმაც სიხარული მოჰგვარა.

— აი, ივან კოსტენკინიჩი მაცინებს, ბატონო ჩემო, — მიუგო ქალმა და თავი დახარა.

გენერალმა მართლა დაინახა ერთი ქერათმიანი ლამაზი ყმაწვილი, რომელიც დივნის მეორე მხარეს სკამზე ჩამალულიყო და რაღაცას უჩურჩულებდა m-me ფსელდონიმოვას. ყმაწვილი წამოდგა. ძალზე ახალგაზრდა და მორცხვი ჩანდა.

—„სიზმრების წიგნის" ამბავს ვეუბნები, თქვენო აღმატებულებავ, — მობოდიშებით ჩაილაპარაკა მან.

— რა სიზმრების წიგნისა? — მოწყალედ ჰკითხა ივან ილიჩმა.

— სიზმრების ახალი წიგნი გამოვიდა, ლიტერატურული. ვეუბნებოდი, ბატონი პანაევი რომ დაგესიზმროს, მეორე დღეს გულისპირზე ყავას გადაისხამ-მეთქი..

„რა აჯამი ყოფილა",— გაწყრა გულში ივან ილიჩი. ყმაწვილი უზომოდ გახარებული ჩანდა, ბ-ნ პანაევზე რომ მოჰყვა, თუმცა ყურებამდე კი გაწითლდა.

— დიახ, დიახ, გამიგონია...— — გაეხმიანა მისი აღმატებულება.

— არა, მაგაზე უკეთესს გეტყვით. — ზედ ყურთან ჩაულაპარაკა მეორე ხმამ, — ამბობენ, ახალი ლექსიკონი გამოვაო, ბატონი კრაევსკი წერილებს დაწერს, ალფერიკიცო. სამხილებული ლიტერატურა იქნებაო...

ეს ხმა უკვე საკმაოდ მოურიდებელ ყმაწვილს ეკუთვნოდა, ვისაც თეთრი ჟილეტი, ხელთათმანები ეცვა და ქუდი ხელში ეჭირა. იგი არ ცეკვავდა, ყველას

ქედმაღლურად უყურებდა, ვინაიდან სატირულ ჟურნალ „მუგუზლის“ თანამშრომელი იყო. ამ ქორწილზე შემთხვევით ამოეყო თავი. ფსელდონიმოვს მოეწვია, ვითარც საპატიო სტუმარი. ისა და ფსელდონიმოვი „შენობით“ ლაპარაკობდნენ. გასულ წელს ერთად ცხოვრობდნენ თურმე რომელიღაც გერმანელ ქალთან ნაქირავებ„კუთხეში“ და დიდი გასაჭირიც გადაეტანათ. თუმცა არაყს კი გემოზე ყლურწავდა და რამდენჯერმე მიაკითხა კიდეც იმ ერთ პატარა ოთახს, საითაც ყველა სტუმარს უკვე გაეკვლია გზა.

— იცით, სასაცილო იმიტომაც არის, თქვენო აღმატებულებავ, —აღტაცებით გააწყვეტინა უცებ ქერა ყმაწვილმა, გულისპირის ამბავი რომ მოჰყვა და ამის გამო თეთრჟილეტიანის სიძულვილით სავსე მზერა დაიმსახურა, — სასაცილო იმიტომ არის, რომ დამწერს მიაჩნია, ვითომ ბატონმა კრაევსკიმ მართლწერა არ იცის და ჰგონია, „სამხილებელი ლიტერატურა“, „სამხილებულად“ უნდა დაიწეროსო....

საწყალმა ბიჭმა ძლივს დააბოლოვა სიტყვა. თვალებზე შეატყო, რომ გენერალმა დიდი ხანია უკვე იცის ეს ამბავი და ალბათ იმიტომაც შეიშმუშნა ახლა. უზომოდ დარცხვენილი ბიჭი საჩქაროდ გაეცალა იქაურობას და დანარჩენი ხანი სულ დაღვრემილი იყო. სამაგიეროდ „მუგუზლის“ უტიფარმა თანამშრომელმა უფრო ახლოს მიიწია გენერლისკენ და გვერდით დაჯდომაც დაუპირა. მისი ეს უტიფრობა ცოტა არ იყოს ეხამუშა ბ-ნ პრალინსკის.

— ჰოო! ერთი ეს მითხარი, პორფირი, — დაიწყო მან, რამე რომ თქვა.— სულ მინდოდა მეკითხა, რატომ გეძახიან ფსელდონიმოვს და არა ფსევდონიმოვს? შენ ხომ სინამდვილეში ფსევდონიმოვი იქნები.

— დანამდვილებით ვერაფერს მოგახსენებთ, თქვენო აღმატებულებავ, — მიუგო ფსელდონიმოვმა.

— ალბათ ჯერ კიდევ მაშინ, მამამისმა რომ დაიწყო სამსახური, შეცდომით ჩაუწერეს ასე საბუთებში და ესეც ფსელდონიმოვი დარჩა. ასეთი რამ ხშირად ხდება ხოლმე, ბატონო ჩემო, — ჩაურთო აკიმ პეტროვიჩმა.

— უთუოდ ევრე იქნება, — ფიცხად ჩამოართვა სიტყვა გენერალმა,— უ-თუ-ოდ. აბა თავად განსაჯეთ. ფსელდონიმოვი ხომ ლიტერატურულ სიტყვა „ფსევდონიმისაგან“ წარმოსდგება, ფსელდონიმოვი კი არაფერსაც არ ნიშნავს.

— სიბრიყვე, ბატონო, — დაატანა აკიმ პეტროვიჩმა.

— როგორ თუ სიბრიყვე?

— რუსი ხალხის სიბრიყვე, ბატონო. სიბრიყვით ეშლებათ ხოლმე ლიტერები და თავისებურად გამოთქვამენ. მაგალითად, ინვალიდის მაგივრად ილვანიდს ამბობენ, დიახ.

— ოჰოჰო... ილვანიდიო, ხე-ხე-ხე...

— ნუმერსაც ამბობენ, თქვენო აღმატებულებავ. — წამოაყრანტალა ზორბა ოფიცერმა, რომელსაც თავის გამოჩენის სურვილი დიდი ხანია ულიტინებდა.

— ნუმერი რაღას ნიშნავს?

— ნომერს, თქვენო აღმატებულებავ.

— ჰოო, ნუმერი ნომერის ნაცვლად... დიახ, დიახ... ხე-ხე-ხე-ხე! — ივან ილიჩი იძულებული იყო ახლა ოფიცრის ხათრით ჩაეხითხითა.

ოფიცერმა ჰალსტუხი გაისწორა.

— კიდევ გვედრითსაც ამბობენ, — ჩაერია ახლა „მუგუზლის“ თანამშრ-

ომელიც. მაგრამ მისმა ალმატებულებამ მას უკვე წაუყრია — აბა ყველას ხათრით ხომ არ იხითხითებდა.

— გვედრითო გვერდითის ნაცვლად, — არ ეშვებოდა უკვე გულმოსული „თანამშრომელი“.

ივან ილიჩმა გოროზად შეავლო თვალი.

— ნეტა რას ჩააცივდი? — წაუჩურჩულა ფსელდონიმოვმა „თანამშრომელს“.

— ჩავაცივდი კი არა, ვესაუბრები. განა საუბარიც არ შეიძლება, — შეეკამათა იგი ჩურჩულით, მაგრამ მაინც დადუმდა და დაბოლმილი გავიდა ოთახიდან.

„თანამშრომელმა“ პირდაპირ იმ მიმზიდველ უკანა ოთახს მიაშურა, სადაც მოცეკვავე კავალრებისთვის საღამოს დასაწყისშივე ორნაირი არაყი, ქაშაყი, ხიზილალიანი პურის პაწია ნაჭრები და ეროვნული სარდაფიდან წამოღებული მაგარი ხერესი ეწყო პატარა მაგიდაზე, რომელსაც იაროსლავური სუფრა ეფარა. გულზე გახეთქილს ის იყო უნდა დაესხა, რომ უცებ ფსელდონიმოვის მეჯლისის საუკეთესო მოცეკვავე და კანკანერი, სამედიცინოს თმაგაჩეჩილი სტუდენტი შემოვარდა და ისიც არაყს ეცა.

— სადაცაა დაიწყებენ! — თქვა და საჩქაროდ გადაყლურწა არაყი. — მოდი და ნახე: სოლოს ხელებზე ვიცეკვებ, ვახშმის შემდეგ კი გავბედავ და თევზაურსაც ჩამოვუვლი. ქორწილს კიდევაც ეგების. ფსელდონიმოვისათვის, ასე ვთქვათ, მეგობრული ქარაგმა იქნება... კაი ქალი ყოფილა ეს კლეოპატრა სემიონოვნა, მაგასთან არაფრის მოგერიდება.

— დამყაყებული ვიღაც ბრძანდება, — კუშტად მიუგო თანამშრომელმა და არაყი გადაჭარა.

— ვინაა დამყაყებული?

— ვინა და, ის, ვისაც მთელი პასტილა წინ დაუდგეს. მერწმუნე! დამყაყებული ვიღაცაა.

— შენც იტყვი რაღა!— წაიბურტყუნა სტუდენტმა და, როგორც კი მოესმა, კადრილს იწყებენო, ოთახიდან გავარდა.

თანამშრომელმა გულის გასამაგრებლად კიდევ ერთი ჭიქა დაისხა, გადაჭარა და დასაყოლებელი მიატანა. ნამდვილ სახელმწიფო მრჩეველს ივან ილიჩს მის სიცოცხლეში არ ჰყოლია „მუგუზლის“ თანამშრომლისთანა მძვინვარე და მოსისხლე მტერი, მეტადრე იმის შემდეგ, რაც ორი ჭიქა არაყი დალია. ვაი რომ გენერალს ამაზე წარმოდგენა არ ჰქონდა. არ იცოდა აგრეთვე ერთი დიდად მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომელმაც ესოდენი დიდი გავლენა იქონია სტუმრების შემდგომ დამოკიდებულებაზე მისი ალმატებულებისადმი. საქმე ის გახლდათ, რომ თუმცა თავაზიანად და დაწვრილებით ახსნა, რატომაც მობრძანდა ხელქვეითის ქორწილზე, სინამდვილეში ამ განმარტებამ ვერავინ დააკმაყოფილა, სტუმრები მაინც იშმუშნებოდნენ. მაგრამ უცებ სასწაულებრივი გარდაქმნა მოხდა: ყველა დაწყნარდა, ყველა გამხიარულდა და ყველა მზად იყო ისე ეხარხარა, ეწივლა და ეცეკვა, თითქოსდა მოულოდნელი სტუმარი იქ არც ყოფილიყო. ამის მიზეზი ვიღაცის მიერ მოტანილი ამბავი იყო, სტუმარი ცოტა... გადაკრულში გახლავსო. მერე რა, რომ ერთი შეხედვით ეს დიდზე დიდ ცილისწამებას ჰგავდა, მაგრამ ჭორი თითქოს თანდათან გამართლდა და ყველასათვის ყველაფერი გასაგები გახადა. უფრო მეტიც, ყველამ საოცრად

ლადად იგრძნო თავი. სწორედ ამ წუთს დაიწყო კიდეც კადრილი, რასაც ვახშამი უნდა მოჰყოლოდა და რაზედაც ასე ეშურებოდა სამედიცინოს სტუდენტი.

ის იყო ივან ილიჩს პატარძლისთვის რაღაც კალამბური უნდა ეთქვა, რა არის ამით მაინც გამოეცოცხლებინა, რომ უცებ ზორბა ოფიცერი მოეჭრა და პატარძლის წინ ცალ მუხლზე დაეცა. ქალიც მყისვე წამოხტა და მოკადრილეთა რიგებში დასადგომად გაცქრიალდა. ოფიცერს ბოდიშიც არ მოუხდია, პატარძალს კი ზედაც არ შეუხედავს გენერლისთვის, გეგონებოდა, კიდევაც გაუხარდა, თავი რომ იხსნაო.

„რას იზამ, მისდათავად მართალიც არის, — გაიფიქრა ივან ილიჩმა, — ვერც ზრდილობას მოსთხოვ ამ ხალხს".

— ჰმ... შენ, ძმაო პორფირი, მე ნუ მომერიდები, — მიუტრიალდა უცებ გენერალი ფსელდონიმოვს. — ეგების რამე საქმე გაქვს... ან თადარიგი გინდა დაიჭირო... ჩემი არ მოგეხათროს, გეთაყვა. — გულში კი გაიფიქრა: „ნეტა ვიცოდე, რას დამდგომიხარ ყარაულივით?"

გენერალს უკვე ჭირივით სძულდა ფსელდონიმოვი, სძულდა მისი გრძელი კისერი და მოშტერებული თვალები. მოკლედ, ყველაფერი სულ სხვანაირად, დიახ, სულ სხვანაირად დატრიალდა, თუმცა ივან ილიჩი ჯერ მაინც არ უტყდებოდა ამ ამბავში თავს.

•

კადრილი დაიწყო.

— ხომ არ გვიბრძანებთ, თქვენო აღმატებულებავ? — ჰკითხა აკიმ პეტროვიჩმა, რომელსაც მოწიწებით ეკავა ბოთლი და მისი აღმატებულების სასმისში ღვინის დასხმას აპირებდა.

— მე... აღარ ვიცი, რა ვთქვა... თუკი...

მაგრამ აკიმ პეტროვიჩი სახეგაბრწყინებული უსხამდა უკვე შამპანურს. მერე თავისთვისაც დაისხა თითქოსდა მალულად, თითქოსდა ქურდულად, წელში ლამის გადატეხილმა, ეს კია, მოწიწების ნიშნად თავის ჭიქას ერთი თითის დადება დააკლო. მშობიარე ქალივით ლამის კრუნჩხვები უვლიდა, თავის უახლოეს უფროსთან რომ იჯდა. აბა რაზე უნდა ელაპარაკა მართლა? არადა, მოვალეც იყო მისი აღმატებულება გაერთო, რამეთუ ღმერთმა მისი ამფსონობის ღირსი გახადა. ხოლო შამპანურზე უკეთეს გასართობს რას ნახავდა. მის აღმატებულებასაც ეამა, რომ აკიმ პეტროვიჩმა ღვინო დაუსხა — განა იმიტომ, ეს თბილი და მართლა საზიზღარი შამპანური შეესვა, უბრალოდ სულიერი სიამოვნება იგრძნო.

„მოხუცს დალევა უნდა, უჩემოდ კი ვერ გაუბედავს, — გაიფიქრა გენერალმა გუნებაში, — ხომ ვერ დავუშლი... სასაცილოც იქნება, სავსე ბოთლი წინ გვედგას და არ დავლიოთ".

გენერალმა შამპანური მოსვა. უქმად ჯდომას უქმად შრომა სჯობიაო, მოგეხსენებათ.

— მე ხომ აქ, ასე ვთქვათ, შემთხვევით მოვხვდი, — დაიწყო მან მძიმე-მძიმედ, ხაზგასმით, — შესაძლოა ზოგს ჩემი ამ... ამ შეკრებაზე მოსვლა... ასე ვთქვათ, უკადრისად ეჩვენოს.

აკიმ პეტროვიჩი მოკრძალებული ცნობისმოყვარეობით უსმენდა.

— მაგრამ იმედია, თქვენ კი გამიგებთ, აქ რატომ მოვედი... მართლა და მართლა ღვინის სასმელად ხომ არ მოვსულვარ. ხე-ხე!

აკიმ პეტროვიჩმა ერთი პირობა გადაწყვიტა თვითონაც ჩაეხითხითა, მაგრამ რატომღაც ხმა ჩაუწყდა და სანუგეშო კვლავაც ვერაფერი თქვა.

— აქ იმიტომ მოვედი, რომ... ასე ვთქვათ, გავამხნევო... ასე ვთქვათ, ზნეობრივი მაგალითი მივცე, — განაგრძობდა ივან ილიჩი და თან გულში ბრაზობდა აკიმ პეტროვიჩის უტვინობაზე. მაგრამ უეცრივ თვითონაც დადუმდა, რადგან შეამჩნია, საწყალ აკიმ პეტროვიჩს ისე ჩაელუნა თავი, გეგონება, რამე დაეშავებინოს. გენერალი ამის დანახვამ ცოტა არ იყოს დააბნია და სასწრაფოდ ისევ მოწრუპა სასმელი. აკიმ პეტროვიჩმა კი კვლავ ბოთლს დასტაცა ხელი და ჭიქა შეუვსო, თითქოსდა ერთადერთი ხსნა ეს იყო მისთვის.

„ბევრი ვერაფერი სახსარი გაგაჩნია", — გაივლო გულში ივან ილიჩმა და გოროზად შეავლო თვალი საწყალ აკიმ პეტროვიჩს. იმან კი გენერლის ეს გოროზი მზერა რომ იგრძნო, გადაწყვიტა არამც და არამც არც ხმა ამოეღო და არც თავი აეწია. ორიოდე წუთს ასე ისხდნენ ერთმანეთის პირდაპირ. ეს ორი წუთი აკიმ პეტროვიჩისათვის წამება იყო.

რამდენიმე სიტყვა მინდა აკიმ პეტროვიჩზეც მოგახსენოთ. ეს გახლდათ ერთი მორჩილი და თვინიერი კაცი, ძველ ყაიდაზე აღზრდილი, უფროსების შიშსა და კრძალვას ნაჩვევი, ამავე დროს ბუნებით კეთილი და, წარმოიდგინეთ, კეთილშობილიც. აკიმ პეტროვიჩი წარმოშობით პეტერბურგელი რუსი იყო, მისი მამა და მამის მამაც პეტერბურგში დაიბადნენ, პეტერბურგში დაიწყეს სამსახური და იქიდან ფეხი არ მოუცვლიათ. ისინი სრულიად განსხვავდებიან სხვა რუს კაცთაგან. თითქმის არაფერი იციან რუსეთზე და არც ადარდებთ ეს ამბავი. მათთვის ყველაფერი პეტერბურგითა და, რაც მთავარია, სამსახურით შემოფარგლულა. მათი ერთადერთი საზრუნავი კაპიკიანი პრეფერანსი, დუქანი და თვიური ხელფასია. არ იციან არც ერთი რუსული ადათი, არც ერთი რუსული სიმღერა „ლუჩინუშკას" გარდა, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ არღნებზე უკრავენ. თუმცა პეტერბურგელი რუსის გამორჩევა ორი არსებითი ნიშნით შეგიძლიათ, პირველი ნიშანი ის გახლავთ, რომ უკლებლივ ყველა პეტერბურგელი რუსი „პეტერბურგსკიე ვედომოსტის" „აკადემიურ ვედომოსტის" ეძახის. მეორე ასევე არსებით ნიშანს წარმოადგენს, რომ პეტერბურგელი რუსი თავს დღეში სიტყვა „საუზმეს" არ იხმარს, უთუოდ „ფრიშტიკს" იტყვის და „ფრი" მარცვალზე გააკეთებს მახვილს. აი, ამ ორი ძირითადი და განსხვავებული ნიშნით, თუ გნებავთ, მუდამ გამოარჩევთ მათ. ერთი სიტყვით, ეს იმ თვინიერ ადამიანთა ტიპი გახლავთ, რომელიც ამ ბოლო ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე ჩამოყალიბდა საბოლოოდ. აკიმ პეტროვიჩი არცთუ უჭკუო კაცი იყო. გენერალს რომ მისთვის რაიმე შესაფერისი ეკითხა, აკიმ პეტროვიჩი კიდევაც უპასუხებდა და კიდევაც მხარს აუბამდა საუბარში. მაგრამ ამისთანა კითხვებზე ხელქვეითს არც ეგებოდა პასუხი; თუმცაღა აკიმ პეტროვიჩს ცნობისწადილი კლავდა დაწვრილებით გაეგო მისი აღმატებულების ნამდვილი ზრახვანი....

ამასობაში ივან ილიჩს უფრო და უფრო ეძალებოდა ფიქრი, ათასნაირი რამ უტრიალებდა თავში. გულისყურდაკარგული მისდა შეუმჩნევლად წარამარა ყლურწავდა ღვინოს. აკიმ პეტროვიჩიც მაშინვე გულმოდგინედ უვსებდა ჭიქას. ორივე დუმდა. ივან ილიჩმა მოცეკვავეთ დაუწყო ცქერა. ცეკვებმა რამდენადმე მიიქცია მისი ყურადღება, ერთმა ამბავმა კიდევაც გააკვირვა...

მოცეკვავენი მართლა მხიარული სანახავი იყვნენ. აქ ყველა გულწრფე-

ლად, თავის გასართობად და მოსაგიჟიანებლად ცეკვავდა. კარგი მოცეკვავეაო, ბევრზე ვერ იტყოდი, მაგრამ ეს უკანასკნელნიც ისე გულმოდგინედ აბრაგუნებდნენ ფეხებს, სხვებს ტოლს არ უდებდნენ. მოცეკვავეებში, პირველ ყოვლისა, ოფიცერი გამოირჩეოდა. მეტადრე იქ, სადაც მარტოდ ანუ სოლოდ უნდა ეცეკვა. იმ დროს ისე გასაოცრად გადიხრებოდა ერთ მხარეს ეს ხვეულუ ბოძივით გაჯგიმული კაცი, გეგონებოდა, ეს-ესაა წაიქცევაო. მაგრამ ერთი ნაბიჯის შემდეგ ზუსტად ისეთივე კუთხით გადაქანდებოდა ახლა უკვე მეორე მხარეს. პირისახეზე ამ დროს დიდზე დიდი სიდინჯე ეხატა და ღრმად სწამდა, ყველა განცვიფრებული შემომყურებსო. ერთ კავალერს მეორე ილეთზევე ჩასძინებოდა თავისი წყვილის გვერდით, რამეთუ კადრილამდე მოესწრო კარგა მაგრად გამობრუჟვა და ქალი იძულებული იყო მარტო ეცეკვა. ცისფერშარფიან მანდილოსანთან მოცეკვავე ახალგაზრდა რეგისტრატორი იმ საღამოს შესრულებულ ყველა ხუთივე კადრილის დროს სულ ერთი და იგივე ოინს იმეორებდა: ჩამორჩებოდა თავის წყვილს, თითებში მოიმწყვდევდა ქალის შარფის წკვერტს და წყვილების შეცვლის დროს ბარე ოცჯერ მაინც ჩაკოცნიდა. მისი მეწყვილე კი წინ მისრიალებდა და ვითომც ვერაფერს ამჩნევდა. სამედიცინოს სტუდენტი მართლაც ყირაზე დადგა ცეკვის დროს და დიდი აღფრთოვანებული ყიჟინა და სიამოვნების წივილ-კივილი გამოიწვია. ერთი სიტყვით, ყველას ფრიად ლაღად ეკავა თავი. შეჭიკჭიკებულ ივან ილიჩს ერთი პირობა ღიმილიც მოერია. მაგრამ ნელ-ნელა რაღაც მწარე ეჭვი შეეპარა გულში; რა თქმა უნდა, გენერალს ძალიან მოსწონდა სითამამეცა და თავისუფალი თავდაჭერაც, გულში ნატრობდა კიდეც ამ სითამამეს, როცა დამფრთხალი სტუმრები უკან-უკან იხევდნენ. ახლა კი სითამამემ საზღვარსაც გადააჭარბა. მაგალითად, ერთმა ქალმა, ვისაც მეოთხე ხელიდან ნაყიდი გაქექილი ლურჯი ხავერდის კაბა ეცვა, მეექვსე ილეთის შესრულებისას კაბა ქინძისთავებით აიკრა, ისე რომ, გეგონებოდა, გრძელი შარვლით ცეკვავსო. სწორედ ეს გახლდათ კლეოპატრა სემიონოვნა, ვისაც, მისი კავალრის — სამედიცინოს სტუდენტის თქმისა არ იყოს, ყველაფერს ადვილად გაუბედავდი. სამედიცინოს სტუდენტზე ხომ ლაბარაკი ზედმეტი იყო. პირწავარდნილი ფოკინი გახლდათ! არა, თუ წელან ყველა უკან-უკან იხევდა, ახლა ნეტავ რა ძალამ გაათამამათ ასე უცბად! ხომ თითქოს არაფერია, მაგრამ ეს გარდატეხა ცოტა არ იყოს უცნაური ჩანდა და დიახაც რაღაცას მოასწავებდა.

ივან ილიჩის არსებობა თითქოს აღარც კი ახსოვდათ. რასაკვირველია, გენერალი პირველი ხარხარებდა და ტაშიც შემოჰკრა. აკიმ პეტროვიჩი ბანს აძლევდა და მოწიწებით ხითხითებდა, თუმცა, ეტყობა, მართლა სიამოვნებდა. რა იცოდა, თუ მისი აღმატებულების გულში ახალი ეჭვის ჭია იღვიძებდა.

— მშვენივრად კი ცეკვავთ, ყმაწვილო, — ძალისძალად უთხრა ივან ილიჩმა სტუდენტს, რომელმაც კადრილის დამთავრების შემდეგ გვერდით ჩაუარა.

სტუდენტი მთელი ტანით შემოტრიალდა, დაიღრიჯა, სახე უზრდელად ლამის ცხვირთან მიუტანა მის აღმატებულებას და მამალივით მიაყივლა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. ივან ილიჩი მაგიდიდან წამოდგა. მაგრამ სხვებმა კი ხარხარი ატეხეს, ისე ბუნებრივად გამოუვიდა ეს ყივილი სტუდენტს და ისე მოულოდნელად დაღრიჯა სახე. ივან ილიჩი გაოგნებული იდგა. უეცრივ ფსელდონი-

მოვი მიუახლოვდა, თავი დაუკრა და ვახშამზე წამობრძანება სთხოვა. ფეხდაფეხ დედა მოსდევდა.

— თქვენო აღმატებულებავ, დედაშვილობას, პატივი დაგვდეთ. სილარიბით ნუ დაგვიწუნებთ... — თავს უკრავდა ქალი ყოველ სიტყვაზე.

— აღარ ვიცი მართლა... — დაიწყო ივან ილიჩმა, — მე ხომ იმიტომ არა... მე... მე უკვე წასვლა მინდოდა...

გენერალს მართლაც ქუდი ეჭირა ხელში. კიდევ მეტი: იქვე, იმ წამს თავის თავს აღთქმა მისცა, არამც და არამც არ დავრჩებიო... და მაინც დარჩა. ერთი წუთის შემდეგ პირველი იგი მიუძღოდა სტუმრებს სუფრისკენ. ფსელდონიმოვი და დედამისი გზას უკაფავდნენ. გენერალი ყველაზე საპატიო ადგილას დასვეს და წინ კვლავ შამპანურის გაუხსნელი ბოთლი დაუდგეს. საუზმედ ქაშაყი და არაყი იყო. გენერალმა ხელი არყისკენ წაიღო, ვეება სასმისი გაივსო და გადაჰკრა. არაყი კი არასოდეს დაულევია. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მაღალი მთიდან მოგორავს, მოგორავს, უნდა გაჩერდეს, უნდა რაღაცას მოეჭიდოს, მაგრამ ვერ კი ახერხებს.

მის თავს მართლაც უფრო და უფრო საოცარი ამბავი ხდებოდა. კიდევ მეტი: ეს ბედის დაცინვა იყო. ღმერთმა უწყის, რა დაემართა ამ ერთ საათში. აქ შემოსვლისას, ასე ვთქვათ, მზად იყო მთელი კაცობრიობა თუ ყველა თავისი ხელქვეითი გულში ჩაეკრა; მაგრამ არ გასულა ერთი საათი, რომ გამწარებულმა იგრძნო, რა ჭირივით სძულს ფსელდონიმოვი, წყევლის მას, მის ცოლს, მის ქორწილსაც. კიდევ მეტი: ფსელდონიმოვის სახესა და თვალებში რაიხანია ამოიკითხა, რომ იმასაც სძულს, რომ ისე უყურებს, თითქოს უნდა უთხრას: „ჯანდაბას შენი თავი და ტანი! ეს რა ჭირად გადამეკიდე, შე წყეულო!“

თუმცა ივან ილიჩი ახლაც კი, ამ სუფრაზეც კი, უმალ მარჯვენას მოიჭრიდა, ვინემ არათუ სხვას, არამედ თავის თავს გულწრფელად გამოუტყდებოდა, მართლა ასე არისო. ჯერაც საამისო ჟამს არ დაეკრა, ჯერაც მხოლოდ სულიერ ჭიდილში იყო. მაგრამ გული, გული კი... უკვნესდა! გული გარეთ, ჰაერზე გასვლას, მოსვენებას თხოვდა. ივან ილიჩს ხომ მეტისმეტად კეთილი გული ჰქონდა.

განა არ იცოდა, რომ აქამდე უნდა წასულიყო კი არადა, გაქცეულიყო, რომ ყველაფერი სულ სხვანაირად შეტრიალდა, დიახ, დიახ, სულ სხვანაირად მოხდა, ვინემ წანწალზე ოცნებებმა დაუსურათა.

„ნეტა რატომ მოვედი? განა იმიტომ, მესვა და მეჭამა?“ — ეკითხებოდა თავის თავს და თან ქაშაყს მიირთმევდა. საკუთარ თავს თვითონვე ჰგმობდა და საკუთარ გმირობას ზოგჯერ თვითონვე დასცინოდა. თავადაც ველარ გაეგო, მართლა რა ძალამ მოიყვანა აქ?

მაგრამ როგორ უნდა წასულიყო, თუკი საქმეს ბოლომდე არ მიიყვანდა. „რას იტყვიან? ასე იტყვიან, უწესო ადგილებში დაეთრევაო. თუ არ დავასრულე, მართლაც ასე გამოვა. რას იტყვის, მაგალითად (ამ ამბავს ხომ ხვალვე გაიგებს ყველა), სტეფან ნიკიფოროვიჩი, სემიონ ივანიჩი, რას იტყვიან კანცელარიებში, შემბელებთან, შუბინებთან? არა, ისე უნდა წავიდე, ყველა მიხვდეს და გაიგოს, რად მოვედი, ზნეობრივი მიზანი სამზეუროზე გამოვიტანო... — არადა, ეს ამაღელვებელი წუთი ვერა და ვერ მოეხელთა. — პატივსაც კი არ მცემენ. ნეტა რა აცინებთ? ისე უტიფრად იქცევიან, თითქოს გული არ ჰქო-

ნდეთ... კი, კი, დიდი ხანია ეჭვი მქონდა, ახალგაზრდა თაობას გული არა აქვს-მეთქი! არა, უნდა დავრჩე, რადაც არ უნდა დამიჯდეს.... აქამდე ცეკვავდნენ, სუფრაზე კი ყველა ერთად შეიყრის თავს... ჩამოვაგდებ სიტყვას სხვადასხვა საკითხებზე, რეფორმებზე, ვილაპარაკებ რუსეთის დიდებაზე... ყველას აღვაფრთოვანებ. დიახ! იქნებ კიდევ გამოვასწორო ყველაფერი.... ... ხდება ხოლმე სინამდვილეში. მაინც რა გთქვა ისეთი, რომ ყურადღება მიგიპყრო: რა ისეთი ხერხი ვიხმარო? აღარ ვიცი, ვერაფერი მომიფიქრებია... ნეტა რა უნდათ, რას თხოულობენ?.. უყურე, იქ, მგონი, ხითხითებენ... ღმერთო ჩემო, ჩემზე ხომ არა! ან ნეტა რა მინდა, აქ რისთვის ვარ, რად არ მივდივარ, რას ველი?".. ასე ფიქრობდა ივან ილიჩი და აუტანელი სირცხვილის გრძნობა თანდათან უფრო გულს უთუთქავდა. მაგრამ ვაჰმე, რომ ყველაფერი ერთმანეთს წაეწყო.

სუფრაზე დაჯდომის ზუსტად ორი წუთის შემდეგ ერთმა ფიქრმა მოიცვა მთლიანად და შეკზარა. ანაზდად იგრძნო, თუ რა უბედურად მთვრალია, წინანდელივით შეჭიკჭიკებული კი არა, — გალეშილი მთვრალი. ამის მიზეზი ერთი ჭიქა არაყი იყო, შამპანურს რომ დააყოლა და მაშინვე მოერია. მთელი არსებით გრძნობდა, ნელ-ნელა როგორ ეცლება ძალა. რა თქმა უნდა, სითამამე კი მოემატა, მაგრამ შეგნებამ არ უღალატა და უკიჟინებდა: „არ ვარგა, არა, არც შეგფერის და არც გეკადრება!" ცხადია, მთვრალის მერყეულ ფიქრებს ერთ წერტილზე რა გააჩერებდა. თვითონაც გრძნობდა, რომ მის სულში თითქოს ორი ძალა შეჭიდებოდა ერთმანეთს: ერთი ჩასძახოდა: თავი გამოიჩინე, გაიმარჯვე, დაბრკოლებები გადალახე. შენს მიზანს უთუოდ მიაღწევო. მეორე კი მწარედ ღრღნიდა და გულს უწიწკნიდა: „რას იტყვიან? რით დამთავრდება? ხვალ, ხვალ რა იქნება!.."

ადრევეც ყრუდ უთქვამდა გული, რომ სტუმრებს შორის უკვე ბევრი მტერი ჰყავს. „წელანაც მთვრალი ვიყავი და ალბათ იმიტომ",— გაიფიქრა მწარე ეჭვით. მაგრამ თავზარი დაეცა, როცა უტყუარი ნიშნებით დარწმუნდა, რომ მართლა მტრები ჰყავდა და ამაზე თვალის დახუჭვა აღარ შეიძლებოდა. „რატომ! რა დავაშავე!" — ფიქრობდა იგი.

სუფრაზე მხოლოდ ოცდაათამდე სტუმარი იჯდა, მეტი ვერ დაეტია. ზოგი უკვე საბოლოოდ მიეღო უფალს. სხვებს დაუდევრად ეჭირათ თავი, ბოროტი სითამამით გაჰყურებდნენ, ხმამაღლა ყაყანებდნენ, სადღეგრძელოებს ნაადრევად იძახდნენ, მანდილოსნებს დასორსოლებულ პურს ესროდნენ. ერთი ჩია კაცი, გაქონილი სერთუკის ამარა, სუფრაზე დაჯდომის უმალ სკამიდან გადმოვარდა და ვახშმის დამთავრებამდე ძირს ეგდო, მეორემ სუფრაზე მოინდომა აძრომა და იქიდან სადღეგრძელოს თქმა, მაგრამ ოფიცერი კალთებში ჩააფრინდა და მისი უდრო აღტაცება დააცხრო. ვახშამი ფრიად მდაბიური გამოვიდა, თუმცაღა მზარეულად ვიღაცა გენერლის ყმა მოეწვიათ: იყო გალანტირი, კარტოფილებით შემოწყობილი ენა, კატლეტები მწვანე მუხუდოს მისატანებლით, ბატი და ბოლოს ბლანმანჟე, სასმელებიდან ლუდი, არაყი და ხერესი. შამპანური მხოლოდ გენერალს მიართვეს და ისიც თავის მხრივ აკიმ პეტროვიჩს გაუმასპინძლდა, რომელმაც ვახშამზე უკვე ვეღარ გაბედა თვითონ ეთავა შამპანურის დასხმა. სადღეგრძელოები სხვა სტუმრებს კავკასიური ღვინითა ან რაც მოხვდებოდათ, იმით უნდა შეესვათ. სუფრა რამდენიმე მაგიდის-

გან შედგებოდა, ასე გასინჯეთ, ბანქოს მაგიდაც კი მიედგათ. ეფარა ნაირ-ნაირი სუფრები, მათ შორის იაროსლავური ფერადი სუფრაც. ყოველ მანდილოსანს მამაკაცი ეჯდა გვერდით. ფსელდონიმოვის დედა სუფრასთან არ დამჯდარა, დაფუსფუსებდა და თადარიგს იძლეოდა. სამაგიეროდ, ერთი მავნე არსება მოევლინა სუფრას, აქამდე რომ არ გამოჩენილა. ეცვა რაღაც მოწითალო აბრეშუმის კაბა, ეხურა წოპწოპა ჩაჩი, ყბა კი ახვეული ჰქონდა. ეს თურმე პატარძლის დედა იყო, რომელიც ძლივს დაითანხმეს ვახშამზე მაინც გამოსულიყო უკანა ოთახიდან — ფსელდონიმოვის დედასთან დიდი ქიშპი ჰქონდა და აქამდე იმიტომ არ გამოდიოდა. თუმცა ამაზე მერმე იყოს. ეს მანდილოსანი გენერალს ღვარძლითა და დაცინვით უყურებდა, როგორც ჩანს, არც ნებავდა მისი გაცნობა. ივან ილიჩს მეტისმეტად საეჭვოდ ეჩვენა იგი. თუმცა მის გარდა ბევრი სხვაც საეჭვო ჩანდა და უნებლიე შიშსა და შფოთს უნერგავდა, თითქოსდა ერთმანეთთან პირი შეეკრათ სწორედ ივან ილიჩის წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში, მას ასე ეჩვენა, ხოლო ვახშმის დამთავრებამდე საბოლოოდ დარწმუნდა. მაგალითად, ერთმა მავნე წვეროსანმა ვაჟბატონმა, თურმე თავისნება მხატვარმა, რამდენჯერმე შეხედა ივან ილიჩს, მერე მიტრიალდა და მეზობელს რაღაც გადაუჩურჩულა, რომელიც უკვე კარგა გამობრუჟული ბრძანდებოდა. ეს ყმაწვილიც თურმე სადღაც სწავლობდა, მაგრამ ზოგიერთი ნიშნებით ისიც საეჭვო ჩანდა. ავი რამ იყო მოსალოდნელი სამედიცინო სტუდენტისგანაც. თვით ოფიცერსაც მაინცდამაინც საიმედო პირი არ უჩანდა. მაგრამ ყველაზე მეტ სიძულვილს მაინც „მუგუზლის“ თანამშრომელი ამჟღავნებდა. უნდა გენახათ, რა ამბით გადაეხლაშულიყო სკამზე, რა დიდგულად იმზირებოდა, თან თავისთვის ფრუტუნებდა! მართალია, სტუმრებიდან დიდ ყურადღებას არავინ აქცევდა, რამეთუ „მუგუზალში“ რაღაც ოთხი ლექსი დაებეჭდა და ამიტომ ლიბერალად მოჰქონდა თავი, და არც გულზე ეხატებოდათ, მაგრამ როცა ივან ილიჩის გვერდით პურის სორსალი დაგორდა, აშკარად მის მხარეს გამოსროლილი, ივან ილიჩი თავს დადებდა, თუ ამ სორსალის მსროლელი „მუგუზლის“ თანამშრომელი არ იყო.

რა ლაპარაკი უნდა, რომ ეს ყველაფერი დიახაც საგალალოდ მოქმედებდა გენერალზე.

მეტადრე იმის აღმოჩენამ შეაწუხა ფრიად და ფრიად, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სიტყვების მკაფიო გამოთქმა უჭირს, რომ ბევრის თქმა უნდა, ოღონდ ენა არ ემორჩილება, შიგადაშიგ თითქოს გონიც ეკარგება, რაც მთავარია, ისეთ დროს ჩაიფრუტუნებს და გაიცინებს, როცა სასაცილო არაფერია. ამ განწყობილებამ მალე გაუარა კიდევ ერთი ჭიქა შამპანურის წყალობით, რომელიც ივან ილიჩმა დაისხა კიბ, მაგრამ დალევა არ უნდოდა, უცებ კი მისდაუნებურად გადაჭრა. ამ ჭიქის შემდეგ ლამის ტირილი მოუნდა, უცნაური გულჩვილობა მოერია: ანაზდად ხელახლა შეუყვარდა ყველა, ასე განსაჯეთ, ფსელდონიმოვიც და „მუგუზლის“ თანამშრომელიც. მოეწადინა ყველას გადახვეოდა, ყველაფერი დაევიწყებინა და ყველას შერიგებოდა. კიდევ მეტიც—დაუფარავად ეამბნა მათთვის, რა კეთილი და კაი კაცია თვითონ, რა დიდებული ნიჭისა და უნარის პატრონი, რარიგ გამოადგება იგი მამულს, რა ხუნარა ვინმეა, რა მარჯვედ სჩვევია ქალების გამხიარულება, რაც მთავარია, რაოდენ მოწინავე აზრების კაცია, რა ჭუჭანური გული აქვს, როგორ უნდა ყველას, სულ პატარა კაცსაც დაუახლოვდეს. ბოლოს კი გულღიად მოჰყვეს, რამ

მოიყვანა დაუპატიჟებლად ფსელდონიმოვთან, რამ დაალევინა ორი ბოთლი შამპანური და თვისი მოსვლით რად გააბედნიერა ეს კაცი.

„თავდათავი არის სიმართლე, წმიდათაწმიდა სიმართლე და გულღიაობა! მხოლოდ გულღიაობით მოვთოკავ ამათ. ვიცი, ჩემსას იწამებენ: ახლა მტრული თვალით მიცქერიან, მაგრამ როცა ყველაფერს ვეტყვი, უმალ მოვიგებ მათ გულს. ყველა შეივსებს სასმისს და ჩემს სადღეგრძელოს შესვამს. დარწმუნებული ვარ, ოფიცერი თავის ჭიქას დეზზე დაიმსხვრევს. ურიგო არ იქნება ვაშაც დასძახონ! ბაერში რომ ამისროლონ, როგორც ჰუსარებს სჩვევიათ, უარს არ ვეტყვი, კიდევაც ძალიან გამიხარდება, პატარძალს შუბლზე ვეამბორები; სანდომიანი ქალია. აკიმ პეტროვიჩიც მშვენიერი ადამიანია. რა თქმა უნდა, ფსელდონიმოვი შემდეგში გამოსწორდება. რა ვუყოთ მერე, თუ, ასე ვთქვათ, დიდა

სწორედ წელან ვეუბნებოდი სტეფან ნი-კი-ფოროვიჩს... დიახ... რომ, ასე ვთქვათ, საგანთა განახლება...

— თქვენო აღმატებულებავ!— შეაწყვეტინა ვიღაცამ სუფრის ბოლოდან.

— რას მიბრძანებთ? — მოუგო ივან ილიჩმა და შეეცადა [illegible] მთქმელი დაენახა.

— არაფერს, თქვენო აღმატებულებავ, წამომცდა მხოლოდ, განაგრძეთ! გა-ნა-გრძეთ-მეთქი! — გაისმა ისევ ის ხმა.

ივან ილიჩი უსიამოდ შეიშმუშნა.

— ასე ვთქვათ, ამ საგანთა განახლება...

— თქვენო აღმატებულებავ! — დაიძახა ისევ ვიღაცამ.

— რა გნებავთ?

— თქვენი გამარჯვება!

ეს კი ველარ მოითმინა გენერალმა, სიტყვა გაწყვიტა და წესის დამრღვევისა და შეურაცხმყოფელისკენ მიაბრუნა თავი. ეს იყო თითქმის პირტიტველა მოწაფე ბიჭი, უკვე ძალზე მთვრალი და დიდად საეჭვო. რა ხანია ღრიალებდა და ჭიქა და ორი თეფშიც მიამსხვრია, აქაოდა, ქორწილში ასე იციანო. იმ წუთას, როცა გენერალი მისკენ მიტრიალდა, ოფიცერი მკაცრად ტუქსავდა მყვირალას:

— რა იყო, რ გაღრიალებს? აქედან უნდა გაგაგდოს კაცმა!

— თქვენზე არა, თქვენო აღმატებულებავ, თქვენზე არა! განაგრძეთ! — ყვიროდა სკამზე გადათხლაშული შექეიფიანებული მოწაფე, — განაგრძეთ, ვისმენთ და ძა-ლიანაც, ძა-ლიანაც კმაყოფილი ვარ თქვენი! მა-სა-წონია, მასაწონი.

— მთვრალია ეს ლაწირაკი! — ჩაიჩურჩულა ფსელდომინოვმა.

— ვხედავ, რომ მთვრალია, ოღონდაც...

— ეს წუთია ერთი სასაცილო ანეკდოტი მოვყევი, თქვენო აღმატებულებავ! — ჩაერია ოფიცერი, — ჩვენ ერთი პორუჩიკი გვყავდა და ზუსტად ასე ელაპარაკებოდა უფროსებს; ჰოდა, ესეც ახლა იმას ბაძავს. უფროსის ყოველ სიტყვაზე მა-საწონია, მა-საწონიაო, აყოლებდა! ჯერ ერთი წლის წინათ გააგდეს ამის გულისთვის სამსახურიდან.

— ვინ, რომელი პორუჩიკი?

— ჩვენს პოლკში იყო, თქვენო აღმატებულებავ, პირდაპირ შეშლილი გახლდათ ამ სიტყვაზე. ჯერ დაუყვავეს, ჭკუაში ჩავიგდებთო, მერე კი საკანში ჩააყუდეს... უფროსი რომ მამაშვილურად არიგებდა, ის მა-საწონია, მა-საწონიაო, იძახდა. არადა, მამაცი ოფიცერი იყო, ცხრა გოჯი სიმაღლისა. დააპირეს სამართალში მიეცათ, მაგრამ ნახეს, რომ შეშლილი იყო.

— მაშასადამე... ტუტუცი ყოფილა, ტუტუცობისთვის კი ეს მეტისმეტია... აე, მაგალითად, ვაპატიებდი...

— მედიცინამაც დაამოწმა, თქვენო აღმატებულებავ.

— როგორ! გა-გაკვეთეს?

— რას ბრძანებთ, კაცი ცოცხალი გახლდათ.

სტუმრებმა ერთხმად გადაიხარხარეს, თუმცა მანამდე დინჯად ეკავათ თავი. გენერალი გაცოფდა.

— ბატონებო, ბატონებო! — შეჰყვირა და ამჯერად ენაც ალარ დაბმია, — ნუ გგონიათ იმის გარჩევა არ შემეძლოს, რომ ცოცხალს არავინ გაკვეთს. მე

მეგონა, რომ შეიშალა და ცოცხალი აღარ იყო... ანუ მოკვდა... ესე იგი, მინდა ვთქვა... რომ თქვენ არ გიყვარვართ... არადა, მე ყველა მიყვარხართ... დიახ, პორ... პორფირიც მიყვარს... ვიცი. რომ ამის თქმით თავს ვიმცირებ...

ამ დროს ვეებერთელა სალივი[1] პირიდან გამოუხტა გენერალს და სუფრის გამოსაჩენ ადგილზე დაეცა. ფსელდონიმოვი უმალ ხელსახოცით ეცა გასაწმენდად. ამ უკანასკნელმა მარცხმა საბოლოოდ გაანადგურა გენერალი.

— ბატონებო, ეს უკვე მეტისმეტია! — სასოწარკვეთით შესძახა მან.

— მთვრალია, თქვენო აღმატებულებავ, — ჩაუჩურჩულა ისევ ფსელდონიმოვმა.

— ვხედავ, პორფირი, რომ ყველა... დიახ! მე ვამბობ, რომ იმედი მაქვს... დიახ, გთხოვთ მითხრათ: რით დავიმცირე თავი?

ივან ილიჩი ლამის ტიროდა.

— რას ბრძანებთ, თქვენო აღმატებულებავ!

— პორფირი, მე შენ გეუბნები... თქვი, მე თუ მოვედი... დიახ... დიახ, ქორწილზე თუ მოვედი, მიზანიც მქონდა. მე მსურდა სულით ამემაღლებინეთ... მე მსურდა ყველას გეგრძნოთ. მე თქვენ მოგმართავთ: ძალიან დავმცირდი თქვენს თვალში თუ არა?

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. საქმეც სწორედ ის იყო, რომ მისთანა პირდაპირ კითხვას სამარისებური სიჩუმით შეხვდნენ. „ღმერთო, რა იქნებოდა ამ წუთს მაინც დაეძახათ ვაშა!“ — გაუელვა თავში მის აღმატებულებას. მაგრამ სტუმრები მხოლოდ ერთმანეთს უყურებდნენ. აკიმ პეტროვიჩი ცოცხალმკვდარი იჯდა. შიშით ენაჩავარდნილი ფსელდონიმოვი გულში ამ მეხდამცემ კითხვას იმეორებდა, რომელიც დიდი ხანია უკვე თავში უტრიალებდა: „ხვალ რა დღეს დამაყრიან ამისთვის?“

უკვე კარგა მაგრად გამობრუჟული „მუგუზლის“ თანამშრომელი, აქამდე მოჟამული და დადუმებული, უცებ პირდაპირ გენერალს მიუბრუნდა და თვალების ბრიალით მთელი საზოგადოების სახელით მეხივით დასჭექა:

— დიახაც, ბატონო ჩემო, დიახაც, დაიმცირეთ თავი! დიახ, ბატონო ჩემო, დამყაყებული აზრების კაცი ბრძანდებით... დიახ, დამყაყებული აზრებისა!

— გონს მოდით, ყმაწვილო! თუ იცით, ასე ვთქვათ, ვის ელაპარაკებით!— გაშმაგებით უყვირა გენერალმა და ხელახლა წამოიჭრა ადგილიდან.

— ვისა და თქვენ, ბატონო ჩემო, და მეორეც, მე ყმაწვილი არ გახლავართ.. .აქ თავმოსაწონებლად და სახელის მოსახვეჭად მობრძანდით.

— ეს რას ჰგავს, ფსელდონიმოვ! — შესძახა გენერალმა.

ზეზე წამომხტარი ფსელდონიმოვი ისეთი ზარდაცემული გაშეშებულიყო ერთ ადგილზე, აღარ იცოდა, რა ექნა. სტუმრებსაც ენა ჩავარდნოდათ. მხატვარი და მოწაფე ტაშს უკრავდნენ და ვაშა, ვაშაო, იძახდნენ.

თანამშრომელი კვლავ გაცოფებული ყვიროდა:

— დიახ, ჰუმანურობით დატრაბახება მოისურვეთ და იმიტომ მობრძანდით! ყველას ჩაუშხამეთ მხიარულება. ყლურწავთ შამპანურს და იმას არ ფიქრობთ, რა ძვირი ხილიც გახლავთ შამპანური იმ მოხელის ჯიბისთვის, ვინც თვეში ათ მანეთს იღებს. მე მგონი, თქვენც იმ უფროსთაგანი უნდა იყოთ, თავიანთი ხელ-

[1] salive — (ფრანგ.) — ღორბლი.

ქვეითების ყმაწვილი ცოლები დიახაც გემრიელ ლუკმად რომ მიაჩნიათ. უფრო მეტი, დარწმუნებული ვარ, იჯარებსაც ხელს აფარებთ... დიახ, დიახ!

— ფსელდონიმოვ! ფსელდონიმოვ! — ყვიროდა გენერალი და მისკენ იწვდიდა ხელებს. თანამშრომლის ყოველი სიტყვა ხანჯლად ესობოდა გულზე,

— ახლავე, თქვენო აღმატებულებავ, თუ შეიძლება, ნუ აღელდებით! — მთელი ძალით მიაძახა ფსელდონიმოვმა, თანამშრომელს ეცა, ქეჩოში ხელი დააგლო და სუფრიდან გამოათრია. საკვირველიც იყო, რამ მისცა ასეთი ძალა ამ ჩია ფსელდონიმოვს. მაგრამ თანამშრომელი მთვრალი ბრძანდებოდა, ფსელდონიმოვს კი წვეთი ღვინო არ დაელია. შემდეგ რამდენიმე მუჯლუგუნიც მიაყოლა ზურგში და გარეთ გააგდო.

— ყველანი არამზადები ხართ! ხვალვე ყველას „მუგუზალში" გამოგაჭენებთ!.. — ღრიალებდა თანამშრომელი.

ყველანი ადგილიდან წამოხტნენ.

— თქვენო აღმატებულებავ, თქვენო აღმატებულებავ! დაწყნარდით, თქვენო აღმატებულებავ! — ეხვეოდნენ გენერალს ფსელდონიმოვი, მისი დედა და რამდენიმე სტუმარი.

— არა და არა! — ყვიროდა გენერალი, — მიწასთან გამასწორეს... მე... მე, ასე ვთქვათ, მონათვლა მინდოდა. სანაცვლოდ კი რა, რა მივიღე!

გენერალი თითქმის უგონოდ დაეშვა სკამზე, მკლავები მაგიდაზე დააწყო და თავი პირდაპირ ბლანმანჟეს თეფშში ჩარგო. თუ რა თავზარი დაეცა ყველას, მგონი, აწერა საჭირო აღარცაა, წუთიც და გენერალი ისევ წამოდგა, ალბათ წასვლა უნდოდა, მაგრამ წაბარბაცდა, სკამის ფეხს წამოედო, იატაკზე ზღარბანი მოადინა და ხვრინვა ამოუშვა.

ასე ემართება ხოლმე ადამიანს, რომელიც სმას არაა ნაჩვევი და შემთხვევით დათვრება. უკანასკნელ წუთამდე, უკანასკნელ წამამდე არ ღალატობს გონი, მერე კი უეცრივ მოცელილივით ეცემა. გენერალი უგონოდ იწვა იატაკზე. ფსელდონიმოვს თმაში წაევლო ხელები და გაშეშებულიყო. სტუმრები საჩქაროდ დაიფანტნენ. ყველა თავისებურად ხსნიდა მომხდარ ამბავს. დაახლოებით ნაშუალამევის სამი საათი იქნებოდა.

უნდა ითქვას, რომ ამ უსიამო ამბის გარეშეც ფსელდონიმოვს არც ისე კარგად ჰქონდა საქმე, როგორც კაცს შეიძლება ჰგონებოდა. ვინემ გენერალი იატაკზეა გაშხლართული, ხოლო ფსელდონიმოვი თავზე ადგას და სასოწარკვეთილი თმას იგლეჯს, შევწყვიტოთ ჩვენი ამბის მსვლელობა და რამდენიმე სიტყვა ვთქვათ თავად პორფირი პეტროვიჩ ფსელდონიმოვზე.

ქორწინებამდე ჯერ ერთი თვით ადრე კაცი უიმედოდ იღუპებოდა, იგი გუბერნიიდან იყო ჩამოსული, სადაც ერთ დროს მამამისი მსახურობდა და სადაც ციხეში დაასრულა სიცოცხლე. ჯვრისწერამდე ხუთი თვით ადრე პეტერბურგში უსახსროდ დარჩენილმა ფსელდონიმოვმა, როგორც იყო, იშოვა ათმანეთიანი ადგილი და კაცი ხელახლა დაიბადა. მაგრამ მალე ისევ დაჯაბნა წუთისოფელმა. ამქვეყნად ფსელდონიმოვს დედის მეტი არავინ ჰყავდა. ქმრის სიკვდილის შემდეგ დედამაც დატოვა გუბერნია. დედა-შვილს სიცივით და შიმშილით ძვრებოდა სული პეტერბურგში. ბევრჯერ ყოფილა ისეთი დღეები, როცა ფსელდონიმოვი თავისი ფეხით წასულა ფონტანკაზე, რა არის, იქ წყალი დაელია . სამსახურში მოწყობის შემდეგ დედამ და შვილმა რის ვაინაჩრობით დაიქირავეს საცხოვრებელი კუთხე. დედამ მრეცხაობას მიჰყო ხელი, შვი-

ლი კი მთელი ოთხი თვე კაპიკს კაპიკზე ადებდა, რომ ჩექმა და შინელი ეყიდა. ვინ მოსთვლის, რამდენი დამცირება იწვნია მან კანცელარიაში, რამდენჯერ უკითხავთ მისთვის უფროსებს, ამბანოში თუ იყავით? ხმაც გაუვრცელეს, ფსელდონიმოვს ვიცმუნდირის საყელოში ბაღლინჯოების ბუდე ჰყავსო! მაგრამ ეს შესახედად თვინიერი და წყნარი კაცი მაგარი ხასიათის გამოდგა. განათლებით ვერ დაიკვეხნიდა და არც მისი ლაპარაკი გაუგია თითქმის ვისმე. ვერც იმას ვიტყვი დანამდვილებით, რამეზე თუ ფიქრობდა ან ოცნებობდა როდესმე. სამაგიეროდ რაღაც ქვეშეცნეული, ანგარიშმიუცემელი სწრაფვა გაუჩნდა, ამ გაჭირვებულ ყოფიდან თავი დაეღწია და გზას სწეოდა. ჭიანჭველას ჰგავდა თავისი სიჯიუტით: ჭიანჭველას თუ ბუდეს დაუნგრევ, იმავ წუთს შეუდგება ახალი ბუდის შენებას. დაუნგრევ მეორედ — მეორედაც ააშენებს და ასე იქნება გაუთავებლად. ფსელდონიმოვიც მუყაითი და მეოჯახე კაცი იყო. შუბლზე ეწერა, უთუოდ მიაღწევდა თავისას, ბუდეს მოიწყობდა და ვინძლო ფულიც გადაენახა შავი დღისათვის. ამქვეყნად მხოლოდ დედას უყვარდა, ამ მტკიცე ნების, მშრომელ, გამრჯე და ამავე დროს კეთილი გულის დედაკაცს, და თავდავიწყებითაც უყვარდა, იქნებ ასე ეჯახირათ დაქირავებულ კუთხეში ბარე ხუთი-ექვსი წელი მდგომარეობის გამოკეთებამდე, რომ ბედის განგებით გადამდგარ ტიტულარულ მრჩეველ მლეკოპიტაევს არ გადაყროდნენ. მლეკოპიტაევი ყოფილი ხაზინადარი გახლდათ და ოდესღაც გუბერნიაში მუშაობდა, ახლა კი პეტერბურგში გადმოსახლებულიყო თავისი ჯალაბით. ფსელდონიმოვის მამას თურმე რაღაც სიკეთე გაეკეთებინა მისთვის. მართალია, დიდი შეძლება არ ჰქონდა, მაგრამ ცოტა ფული მაინც ებადა, თუმცა რამდენი, ეს არც მისმა ცოლა იცოდა, არც უფროსმა ქალიშვილმა, არც ნათესავებმა და არც არავინ ქვეყნად. მლეკოპიტაევს ორი ქალი ჰყავდა, იყო უჯიათი და ახირებული კაცი, ლოთი, შინაურების სულთამხუთავი და თანაც ავადმყოფი. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა თავისი ერთ-ერთი ქალი ფსელდონიმოვისთვის მიეთხოვებინა: აქოდა, მამა კარგი ჰყავდა და შვილიც კარგი იქნება, ვიცით. მლეკოპიტაევს მუდამ თავისი გაჰქონდა. თუ რაღაცას აიხირებდა, გაიტანდა კიდეც. მართლა დიდი ხუშტურიანი ვიღაც იყო. მეტწილად სავარძელში იჯდა ხოლმე, რაღაც ავადმყოფობის გამო ფეხები წართმეოდა. მაგრამ ეს როდი უშლიდა ხელს არაყი ესვა, მთელი დღეები ელოთა და ელანძღა ყველა. ბოროტი იყო და უსათუოდ ვინმე უნდა ეწვალებინა. საამისოდ რამდენიმე შორეული ნათესავი ქალი შემოიკედლა სახლში: თავისი ავადმყოფი და კაპასი და, კიდევ ორი ცოლისდა, ისინიც ავები და ენაჭარტლები, შემდეგ ერთი თავისი მოხუცი მამიდა, რაღაც შემთხვევის გამო ნეკნჩამტვრეული. კიდევ ერთი გარუსებული გერმანელი ქალი, რომელიც „ათას ერთი ღამის ზღაპრებს“ ოსტატურად უყვებოდა და ართობდა. დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა ამ მისი ლუკმის შემყურე გაუბედურებული ქალების გაპამპულება და ყოველ წუთს ლანძღვა-გინება, მიუხედავად იმისა, რომ ვერც ერთი ქალი, მისი ცოლის ჩათვლით, რომელსაც თავისი დღე და მოსწრება კბილები სტკიოდა, სიტყვის შებრუნებას ვერ უბედავდა. მლეკოპიტაევი ნიადაგ ერთმანეთს აჩხუბებდა მათ, ჭორებსა და შუღლს თესავდა და, როცა ისინი ერთმანეთს ღამის თმით დაითრევდნენ, სიცილით კვდებოდა და სიხარულით ცას ეწეოდა, უფროსი ქალის დაბრუნებამ, ვიღაც ოფიცერთან მთელი ათი წელი

გაჭირვებული ცხოვრების შემდეგ რომ დაქვრივდა და მამას მოადგა თავისი სამი ჭიანი შვილით, მლეკოპიტაევი დიდად გაახარა. მართალია, შვილიშვილები სძულდა, მაგრამ რახან მათი ჩამოსახლებით ყოველდღიური ცდებისთვის მეტი გასაქანი მიეცა, ფრიად კმაყოფილი გახლდათ. [illegible] ქალებისა და სნეული ბავშვების მთელი ეს ხროვა, თავის [illegible] ერთად პეტერბურგის მხარეზე ერთ პატარა ხის სახლში შეყუჟული, ნახევრად მშივრები ეყარნენ, ვინაიდან ძუნწი მოხუცი კაპიკობით იძლეოდა საჭმლის ფულს, თუმცა არაყზე ფული არ ენანებოდა; აკლდათ ძილიც, იმიტომ რომ ბერიკაცს უძილობა სჭირდა და გართობას თხოულობდა. მოკლედ, ყველანი შავ დღეში იყვნენ და დაბადების დღეს იწყევლიდნენ. სწორედ ამ დროს დაადგა თვალი მლეკოპიტაევმა ფსელდონიმოვს. დიდად გააკვირვა მისმა გრძელმა ცხვირმა და მორჩილმა იერმა. მისი გალეული და შეუხედავი უმცროსი ქალი იმხანად ჩვიდმეტისა გახდა. ოდესღაც გერმანულ შულეში[1] დადიოდა, მაგრამ ანაბანას მეტი ვერაფერი ისწავლა. შემდეგ შინ იზრდებოდა, უფეხო და ლოთი მამის ზედამხედველობის ქვეშ, ვისი წყალობითაც მათ ოჯახში აყალმაყალი, ჭორები, ენატანიობა და ცილისწამება არ ილეოდა. ის ერთი გაწრიპული გოგო იყო, სისხლნაკლული და სურავანდიანი. ამხანაგ-მეგობრები არასოდეს ჰყოლია, არც ჭაუა მიეცა ღმერთს. გათხოვება რა ხანია ნატვრად გადაქცეოდა. ხალხში მისი ნმა-არავის გაეგონა, შინ კი, დედისა და მამის მუქთამჭამელებთან ავი და ანჩხლი იყო. მეტადრე არაფერი ერჩივნა დისშვილების ჩქმეტასა და ცემა-ტყეპას, მუდამ აბეზღებდა, თუკი შაქარს ან პურს მოიპარავდნენ და ამიტომაც ისა და მისი უფროსი და გაუთავებლივ ჩხუბობდნენ და კინკლაობდნენ. ბერიკაცმა თვითონ შესთავაზა ფსელდონიმოვს თავისი ქალი ცოლად. ხომ ასე გაჭირვებული იყო, ფსელდონიმოვმა მაინც დაფიქრების დრო ითხოვა. დედა-შვილი დიდხანს ბჭობდა. მაგრამ პატარძალს მზითვში სახლი მოჰყვებოდა, მართალია, ერთსართულიანი ხის უბადრუკი სახლი, მაგრამ მაინც ხომ რაღაც ღირდა. გარდა ამისა, ორმოც თუმანს აძლევდნენ. ამდენ ფულს კი აბა როდის მოინაგრებდი! — თუ იცით, რატომ შემომყავს სიძე? — ღრიალებდა ლოთი და უჯიათი ოჯახის მამა, — ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამდენმა დედაკაცმა თავი მომაბეზრეთ და მინდა მაგ ფსელდონიმოვმაც ჩემს დუდუკზე იცეკვოს, რამეთუ მისი მწყალობელი ვარ. მეორე მიზეზი ისაა, რომ არ გინდათ მისი შემოსვლა და ბრაზით სკდებით. ამიტომაც თქვენს ჯიბრზე შემომყავს. ჩემი სიტყვა—სიტყვაა! შენ კი, პორფირკა, იცოდე, ცოლად რომ ითხოვ, კარგად ბრიგე; დაბადებიდან ცხრა ეშმაკი უზის გვამში. გამოუდევნე ეგ ეშმაკები და იმათგან ყავარჯნებს გავიკეთებ...“

ფსელდონიმოვი არაფერს ამბობდა, მაგრამ გულში უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა თანხმობა. დედა-შვილი ჯვრისწერამდე შემოიყვანეს ოჯახში, დაბანეს, თავით ფეხამდე შემოსეს, ქორწილის ფული მისცეს. ბერიკაცი დედა-შვილს წყალობდა, ალბათ იმიტომ, რომ მთელ ოჯახს ჭირივით სძულდა. ფსელდონიმოვის დედა ისე მოეწონა ბერიკაცს, მასთან თავს იკავებდა და არ გესლავდა. თუმცა თვითონ ფსელდონიმოვს კი ქორწინებამდე ერთი კვირით ადრე თავის ოვალწინ კაზაკური აცეკვა. „ახლა კი გეყოფა, მხოლოდ იმის ნახვა მინდოდა, თავს ხომ არ გაგივიდა ჩემთან“, — უთხრა კაზაკურის დამთავრების შემდეგ.

[1] (გერმ. Schule) — სკოლა.

ქორწილის ფული ძალიან ცოტა მისცა და ყველა თავისი ნათესავ-ნაცნობი დაპატიჟა. ფსელდონიმოვის მხრიდან მარტოოდენ „მუგუზლის“ თანამშრომელი და საპატიო სტუმარი აკიმ პეტროვიჩი იყვნენ. ფსელდონიმოვმა ძალიან კარგად იცოდა, პატარძალს რომ ეზიზღებოდა და ოფიცრის ცოლობაზე ოცნებობდა. მაგრამ ყველაფერზე თვალს ხუჭავდა. ასე იყო დედასთან შეთანხმებული. ქორწილის დღეს დილიდან დაწყებული საღამომდე ბერიკაცი უმსგავსოდ იგინებოდა და უბედურად სვამდა. შინაურები უკანა ოთახებში შეყუჟულიყვნენ და იქ იხუთებოდნენ. წინა ოთახებში მეჯლისი და ვახშამი უნდა გამართულიყო. როცა არყით გალეშილმა ბერიკაცმა, როგორც იქნა, ღამის თერთმეტ საათზე დაიძინა, მთელი ის დღე თავის მძახალზე გასისინებულმა პატარძლის დედამ გადაწყვიტა რისხვა წყალობით შეეცვალა და მეჯლისსა და ვახშამზე გამოსულიყო. ივან ილიჩის მობრძანებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ქ-ნი მლეკოპიტაევა შეცბა, განაწყენდა და ლანძღვა დაიწყო, თუ გენერალი გყავდათ დაპატიჟებული, რატომ არ გამაფრთხილეთო. ბევრი უმტკიცეს, თვითონ მოვიდაო დაუპატიჟებლად, მაგრამ ისეთი უტვინო იყო, ვერა და ვერ დააჯერეს. საჭირო გახდა შამპანურის ყიდვა. ფსელდონიმოვის დედას მხოლოდ ერთი ვერცხლის მანეთიანი აღმოაჩნდა, ვაჟს კაპიკი არ ჰქონდა, ისევ როკაპ დედაბერ მლეკოპიტაევას უნდა შეხვეწნოდნენ, ჯერ ერთი და მერე მეორე ბოთლი შამპანურის ფული მოეცა. გინუმარტეს, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას მომავალი სამსახურებრივი დაწინაურებისთვის, სინდის-ნამსუსში ჩაგდეს. ბოლოს დედაბერმა თავის ჯიბიდან მისცა ფული, სამაგიეროდ, ისეთი ძმრითა და ნაღვლით შეზავებული ფიალა შეასვა ფსელდონიმოვს, ვინ მოთვლის, რამდენჯერ შევარდა იგი იმ ოთახში, სადაც საქორწინო სარეცელი იყო გაშლილი, უხმოდ იგლეჯდა თმას და ულონო ბრაზით აცახცახებული დაემხობოდა ხოლმე სამოთხის ნეტარებისათვის განკუთვნილ სარეცელზე. დიახ! რა იცოდა გენერალმა, რაზომ ძვირად დაუჯდა ფსელდონიმოვს მისთვის მორთმეული ჯაკსონის ორი ბოთლი შამპანური. ჰოდა, წარმოიდგინეთ ფსელდონიმოვის სასოწარკვეთა, როცა ივან ილიჩის ამბავი ეგზომ მოულოდნელად დამთავრდა. მთელი ღამე ისევ დავიდარაბა ელოდა. მთელი ღამე, ვინ იცის, ჟინიანი პატარძლის წუწუნი და ტირილი, მისი უტვინო სანათესაოს საყვედურები ესმინა, არადა, ისედაც თავი სტკიოდა, ისედაც თვალთ უბნელდებოდა, თან გენერალს დახმარება სჭირდებოდა, ღამის სამ საათზე მისთვის ან ექიმი უნდა მოეყვანა, ან ეტლი ეშოვა და შინ წაეყვანა. დიახ, უთუოდ ეტლი, ვინაიდან უბრალო ოთხთვალათი ხომ არ შეიძლებოდა მართლა და მართლა ამისთანა პიროვნების და ისიც ამისთანა დღეში მყოფის შინ გადაყვანა. მაგრამ ან ეტლისთვის საიდან ეშოვა ფული? მლეკოპიტაევის გაცოფებულმა ცოლმა, აქაოდა, გენერალმა ზედაც არ შემომხედა და ორი სიტყვაც არ გაიმეტა ვახშამზე ჩემთვისო, განაცხადა, კაპიკი აღარ დამრჩაო. იქნებ მართლაც არ დარჩა ფული. მაშ, სად იშოვოს? რა წყალში ჩავარდეს? დიახაც რომ თმის საგლეჯად ჰქონდა საქმე.

ამასობაში ივან ილიჩი დროებით იქვე, სასადილო ოთახში პატარა ტყავის დივანზე დააწვინეს. ვინემ სუფრას აალაგებდნენ და მაგიდებს დაშლიდნენ, ფსელდონიმოვმა ყველას ჩამოუარა ფულის სასესხებლად, მსახურებსაც კი სთხოვა, მაგრამ ფული არავის აღმოაჩნდა. აკიმ პეტროვიჩსაც კი შეჰკადრა,

რომელიც ყველაზე ბოლოს დარჩენილიყო, მაგრამ ეს კეთილი კაცი ფულის სესხებაზე ისე გაოგნდა და დაფრთხა, რაღაც სისულელეები დაიბოლა.

— სხვა დროს სიამოვნებით, ახლა კი... უკაცრავად, მაგრამ... — წაილუღლუღა, ქუდს ხელი დაავლო და ოთახიდან სასწრაფოდ გავარდა. მხოლოდ სიზმრის წიგნზე მოლაპარაკე კეთილი ყმაწვილი გამოადგა ფსელდონიმოვს, თუმცა სულ ტყუილად კი გაისარჯა. იგი გვიანობამდე დარჩა და ფსელდონიმოვის გასაჭირი ერთგულად გაიზიარა. ბოლოს ფსელდონიმოვმა, დედამისმა და ამ ყმაწყვილმა გადაწყვიტეს საერთო ბჭობაზე, რომ ექიმის მაგივრად ისევ ეტლი დაექირავებინათ და ავადმყოფი შინ წაეყვანათ, მანამდე კი შინაური საშუალებანი ეხმარათ: საფეთქლებსა და შუბლზე ცივი ტილო დაედოთ, კეფაზე კი ყინული და სხვა რამე. ეს უკვე ფსელდონიმოვის დედამ ითავა. ყმაწვილი ეტლის საშოვნელად გაქანდა. რახან ეს ამბავი პეტერბურგის მხარეზე ხდებოდა, ასეთ დროს კი იქ მეეტლეებსაც ვერავინ ნახავდა, კარგა შორს, სასტუმრო ბაკში წავიდა და მეეტლეები გააღვიძა. შეიქმნა ვაჭრობა. პირველად ხუთი მანეთი თხოვეს, ძალიან გვიან არისო. ბოლოს სამზე შეთანხმდნენ. ღამის ოთხი საათი იქნებოდა, როცა ყმაწვილმა დაქირავებული ეტლი ფსელდონიმოვის სახლს მოაყენა. მაგრამ იქ უკვე შეეცვალათ გადაწყვეტილება. ჯერ ისევ გონმიხდილი ივან ილიჩი ისე ცუდად გამხდარიყო, ისე კვნესოდა და ბორგავდა, მისი შინ წაყვანა შეუძლებელი და სახიფათოც კი იქნებოდა. „ვინ იცის, კიდევ რა შეემთხვევა გზაში!?“ — იძახდა სულ მთლად დამფრთხალი ფსელდონიმოვი. რა უნდა ექნათ? ავადმყოფი რომ აქ დაეტოვებინათ, სად დაეწვინათ? აი, რა იყო ისევ თავსამტვრევი. მთელ სახლში მხოლოდ ორი საწოლი იდგა: ერთ უზარმაზარ ორსაწოლიან ლოგინზე ბებერ მლეკოპიტაევსა და მის ცოლს ეძინათ ხოლმე, ახლად ნაყიდი მეორე კაკლის ხის ორსაწოლიანი ლოგინი ნეფე-დედოფლისთვის იყო განკუთვნილი. დანარჩენი ბინადარნი, უფრო სწორედ, ბინადარი ქალები იატაკზე ეყარნენ, აშმორებულ და ამყრალებულ, ყოვლად საჯაყ პუმბულის ლეიბებზე. და არც ისინი იყო სამყოფი. მაშ ავადმყოფი სად დაეწვინათ? ბუმბულის ლეიბი კიდევ მოინახებოდა—გაჭირვების შემთხვევაში ვიღაცას გამოაცლიდნენ, მაგრამ სად და რაზე დაეგოთ? რახან დარბაზი მოცილებული იყო ჯალაბის სამყოფელს და თანაც ცალკე გასასვლელი ჰქონდა, ჯობდა იქ გაეშალათ. ოღონდ რაზე გაეშალათ? ნუთუ სკამებზე? მაგრამ სკამებზე, მოგეხსენებათ, მხოლოდ შაბათ-კვირას შინ მისული გიმნაზიელებს უშლიან ლოგინს, ივან ილიჩისთანა კაცისთვის კი ასეთი რამ დიდი უპატივცემლობა იქნებოდა. რას იტყოდა, როცა მეორე დღეს გაიღვიძებდა და ნახავდა, სკამებზე დამაწვინესო? ფსელდონიმოვს ამის გაგონებაც არ სურდა. გზა ერთი იყო: საქორწინო სარეცელზე გადაეყვანათ. როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს საქორწინო სარეცელი საბადოლოს გვერდით პაწაწკინტელა ოთახში იდგა. ლოგინზე ორსაწოლიანი ახალი ლეიბი ეგო, სუფთა თეთრეული ეფარა. ვარდისფერი ყალამქრის ოთხი ბალიშისთვის ფურჩალით გაწყობილი მარმაშის საპირე ჩამოეცვათ. ვარდისფერი ატლასის საბანი ლამაზად იყო ნაკერი. ზემოთ ოქროს რგოლი ეკიდა და იქიდან მარმაშის ფარდები ეშვებოდა. ერთი სიტყვით, დიახაც საკადრისად იყო მორთული. თითქმის ყველა სტუმარმა მოინახულა საწოლი და ყველამ ძალიან შეაქო. პატარძალს, მართალია, ჭირივით სძულდა ფსელდონიმოვი, მაგრამ იმ საღამოს რამდენჯერმე მალულად შეირბინა და დაათვალიერა იქაურობა. ჰოდა, სულ ცოფები ჰყარა, როცა გაიგო, მის საქორწილო სარეცელზე, ვინ იცის,

რა ჭირიანი კაცი გადმოჰყავდათ! პატარძლის დედიკო თავის შვილს გამოესარჩლა, იჩხუბა და დაემუქრა, ხვალვე ქმარს ვეტყვიო. მაგრამ ფსელდონიმოვმა თავისი გაიტანა: ივან ილიჩი საქორწინო სარეცელზე გადააბრძანეს, ნეფე-დედოფალს კი დარბაზში სკამებზე გაუშალეს ლოგინი. პატარძალი ფშლუკუნებდა, ლამის ყველა დაჩქმიტა, მაგრამ ურჩობა მაინც ვერ გაბედა: კარგად იცოდა მამამისის ყავარჯნის ძალა და ის ამბავიც, რომ მისი მამიკო ხვალ უთუოდ მოითხოვდა რალაც-რალაცების დაწვრილებით ანგარიშს. მის სანუგეშოდ დარბაზში ვარდისფერი საბანი და მარმაშიანი ბალიშები გადმოიტანეს. სწორედ ამ დროს მოიყვანა ყმაწვილმა ეტლი. მაგრამ რომ გაიგო, ეტლი საჭირო აღარაა, პირკატა ეცა. ფული თავისი ჯიბიდან უნდა მიეცა, თვითონ კი თავის დღეში ორშაურიანიც არ უჭყაოდა, არც ფსელდონიმოვს გააჩნდა კაპიკი. ერთი პირობა მეეტლის სინდისში ჩაგდება სცადეს. მაგრამ იმან ერთი ალიაქოთი ატეხა და დარაბებს მუშტები დაუშინა. ზუსტად არ ვიცი, რით დამთავრდა ეს ამბავი. თუ არ ვცდები, — ყმაწვილი ამ ეტლით პესკიზე გაემართა, მეოთხე როჟდესტვენკაიას ქუჩაზე, სადაც მისი ნაცნობი სტუდენტი თავის ახლობლებთან ღამეს ათევდა, იმ იმედით, გავაღვიძებ და ვცდი, იქნებ ფული ჰქონდესო. დილის ხუთი საათი იქნებოდა, როცა ნეფე-დედოფალი მარტო ჩაკეტეს დარბაზში. გენერლის საწოლთან ფსელდონიმოვის დედა დარჩა, ძირს გაგებულ პატარა ნოხზე მოიკუნტა და ქურქი წაიფარა. მაგრამ ძილი არ დასცალდა; წარამარა ზეზე უნდა წამომხტარიყო. ივან ილიჩს კუჭი აშლოდა. ფსელდონიმოვის დედა ვაჟკაცური გულის, დიდსულოვანი ქალი იყო. თავისი ხელით გახადა გენერალს ტანსაცმელი, მთელი ღამე, როგორც საკუთარ შვილს, ისე დასტრიალებდა თავს. საწოლიდან პატარა დერეფანში წინ და უკან დაჰქონდა საჭირო ჭურჭელი, მაგრამ ვაი, რომ იმ ღამის ვაი-ვაგლახი ამით არ დამთავრებულა.

არ გასულა ათი წუთი, რაც ნეფე-დედოფალი დარბაზში ჩაკეტეს, რომ გულშემზარავმა კივილმა შესძრა იქაურობა. ეს გაავებული ხმა სულ არ ჰგავდა სიხარულის კივილს. შემდეგ გაისმა ხრიგინი, ჭახანი, თითქოს სკამები წაიქცაო. წუთიცა და ბნელი დარბაზი შეშინებულ და მოვიშვიშე ქალებით გაიჭედა. რა ეცვათ და როგორ გამოიყურებოდნენ, ამის აღწერა არ შეიძლება. ესენი იყვნენ: პატარძლის დედა, უფროსი და, თავისი სნეული ბავშვები რომ მიეყარა, სამი დეიდა, მათ შორის ნეკნჩამტვრეულიც, იქ გაჩნდა მზარეული ქალი, მოცუხცუხდა მეზღაპრე გერმანელი ქალი, ვისთვისაც მისი ერთადერთი ავლა-დიდება ბუმბულის ლეიბი გამოეცალათ ძალით ნეფე-პატარძლისათვის დასაგებად, რადგან მთელ სახლში ამაზე უკეთესი ლეიბი არავის ჰქონდა. ეს დარბაისელი, გამჭრიახი არსებანი უკვე თხუთმეტი წუთია სამზარეულოდან დერეფანში ფეხაკრეფით გამოსულიყვნენ და დიდზე დიდი ცნობისწადილით აყურადებდნენ დარბაზის კარს. ამასობაში ვიღაცამ ჰაიჰარად აანთო სანთელი. სურათი მართლაც მოულოდნელი აღმოჩნდა. განიერი ბუმბულის ლეიბის ქვეშ შემდგარ სკამებს ვერ გაეძლოთ ორი ადამიანის სიმძიმისთვის, გაცურებულიყო და ლეიბი იატაკზე დავარდნილიყო. ამჯერად გულის სიღრმემდე შეურაცხყოფილი პატარძალი გაანჩხლებული სლუკუნებდა. ცოცხალმკვდარი ფსელდონიმოვი ავ საქმეზე წასწრებულ დამნაშავესავით იდგა. თავის მართლება არც უცდია. იყო ერთი ვიშვიში და წივილ-კივილი. ხმაურზე ფსელდონიმოვის დედამაც მოირბინა, მაგრამ პატარძლის დედიკომ ამჯერად ყველას აჯობა. ჯერ სი-

ძეს უცნაური და მეტწილად უსამართლო საყვედურები დააყარა: „ამის მერე რა ქმარი ხარ, გეთაყვა? ეს რა სირცხვილი გვაჭამე, ქმრად როგორ ივარგებ?“ და სხვა და სხვა. შემდეგ თავის ქალს ხელი დაავლო, თავისთან წაიყვანა და პასუხისმგებლობაც მრისხანე ქმრის წინაშე თვითონ იკისრა. დანარჩენები თავის ქნევითა და ვიშვიშით უკან მიჰყვნენ. ფსელდონიმოვთან მარტო დედა დარჩა. მაგრამ როცა დედამ ნუგეშისცემა დაუწყო, ვაჟმა თავიდან ისიც გააგდო.

ფსელდონიმოვს ნუგეშისათვის როდი ცხელოდა. ტახტამდე მილასლასდა და, როგორც იყო, ფეხშიშველი და საცვლების ამარა ჩამოჯდა მოღუშული. ტვინი ერეოდა, შიგადაშიგ ანგარიშმიუცემლად თვალს შეავლებდა ხოლმე დარბაზს, სადაც ამ ცოტა ხნის წინ გახელებით როკავდნენ სტუმრები და საიდანაც თამბაქოს კვამლი ჯერ კიდევ არ გასულიყო, დათხვრილ იატაკზე კვლავ ეყარა პაპიროსის ნამწვავები და კანფეტის ქაღალდები. გადაყირავებული სკამები და ანგრეული საქორწინო სარეცელი უტკბეს მიწიურ ოცნებათა ამაოებაზე ღაღადებდა. ასე დაჰყო თითქმის ერთი საათი. თავში სულ ბნელი ფიქრები უტრიალებდა, რომ სამსახური უთუოდ უნდა შეიცვალოს, რომ ძველ ადგილზე ვერამც და ვერამც ვერ დარჩება ამ საღამოს მომხდარი ამბების წყალობით. აგონდებოდა მლეკოპიტაევიც, რომელიც ხვალ ალბათ ისევ აცეკვებს კაზაკურს მისი მორჩილების გამოსაცდელად. ისიც მოისაზრა, რომ მლეკოპიტაევმა, მართალია, ხუთი თუმანი მისცა ქორწილისათვის, რაიც მთლიანად დაიხარჯა, მაგრამ მზითევის ორმოცი თუმნის მიცემა ჯერ არ უფიქრია და კრინტიც არ დაუძრავს ამაზე. არც სახლი იყო მის სახელზე მთლიანად გადმოტანილი. აფიქრებდა ცოლის ამბავიც, რომელმაც მისი ცხოვრების ყველაზე დიდი გასაჭირის ხანს მიატოვა. არც ის მაღალი ოფიცერი გამოპარვია, მისი ცოლის წინ ცალ მუხლზე რომ იჩოქებდა. ფიქრობდა იმ ცხრა ეშმაკზე, მშობლისვე მოწმობით მისი ცოლის გვამში რომ ჩამძვრალიყო, და ყავარჯნებზეც, რომლითაც უნდა განედევნა ისინი... რა თქმა უნდა, ფსელდონიმოვს ბევრის ატანა და მოთმენა შეეძლო, მაგრამ ბედი ისეთ მოულოდნელ წკიპურტებს სთავაზობდა, ადამიანს საკუთარ ძალაში დააეჭვებდა.

მწარე იყო ფსელდონიმოვის ფიქრები. ამასობაში სანთელის ნამწვი თითქმის მიილია. მისი მოციმციმე შუქი ფსელდონიმოვს გვერდიდან სცემდა, და კედელზე უზარმაზარ ჩრდილად აჩენდა წაგრძელებულ კისერს, კეხიან ცხვირს და ბუძგა თმას შუბლსა და კეფაზე. ბოლოს, როცა ალიონის სიგრილემ დაჰკრა, სულით და ხორცით გაყინული წამოდგა ადგილიდან, ძლივს მიათრია ტანი სკამებს შუა დაგდებულ ლეიბამდე, მუხლებით აფოფხდა ქვეშაგებზე და ისე მიეგდო, რომ არც ლოგინი გაუსწორებია, არც სანთელი ჩაუქრია და არც ბალიში ამოუდვია თავქვეშ. მალე მკვდარივით ჩაეძინა. ალბათ ასე სძინავთ ხოლმე მსჯავრდადებულთ, რომელთაც მეორე დღეს სიკვდილით დასჯა ელით.

ასეთივე და შეიძლება უფრო ტანჯული ღამე გათია ბ-მა პრასლინსკიმაც ბედუკულმართი ფსელდონიმოვის საქორწინო სარეცელზე! თავის ტკივილი, გულის რევა თუ მისთანა უსიამო ამბები წამით არ აძლევდა სულის მოთქმის საშუალებას. ეს იყო ჯოჯოხეთური წამება. როცა ხანდახან გონს მოვიდოდა, იმისთანა საშინელი და საზიზღარი სურათები გაუელვებდა თვალში, ერჩივნა კიდეც, გონს არ მოსულიყო. თავში კვლავ დომხალივით ერეოდა ყველაფერი. მაგალითად, იცოდა, რომ თავზე ფსელდონიმოვის დედა დასტრიალებდა, ჩაე-

სმოდა მისი მშვიდი დარიგება: „მოითმინე გენაცვალე, მოითმინე, დედაშვილობას, მოითმინე და მალე მოგეშვება“, მაგრამ თუ რატომ იყო ეს ქალი მის გვერდით, ვერა და ვერ გაერკვია. სულ რაღაც საშინელებანი ელანდებოდა: ყველაზე ხშირად სემიონ ივანიჩი ედგა თვალწინ, მაგრამ როცა კარგად დააკვირდებოდა, სემიონ ივანიჩის ნაცვლად ფსელდონიმოვის ცხვირს ხედავდა. ელანდებოდა მხატვარი, ოფიცერი, ყბააკრული დედაბერი. ყველაზე შეტად მის ყურადღებას ზემოთ დაკიდებული ოქროს რგოლი იტაცებდა, რომელშიც ფარდები იყო გაყრილი. სანთლის ნამწვის მბჟუტავ შუქზე ნათლად ხედავდა ამ რგოლს და თავის თავს გონებაში ეკითხებოდა: რისთვისაა საჭირო, აქ რატომ არის ან რას ნიშნავსო? რამდენჯერმე ჰკითხა მოხუც ქალსაც. მაგრამ ეტყობა, გასაგებად ვერ უთხრა სათქმელი და ვერც ის მიუხვდა ნათქვამს. ბოლოს გათენებისას ტკივილებმა უკლო და მაგრად ჩაეძინა. დაახლოებით ერთი საათი ეძინა. გამოეღვიძა თითქმის სრულ გონზე. ეს კია, თავი აუტანლად სტკიოდა, პირი გამწარებოდა, ენაც დაბუჟებოდა, გენერალმა თავი წამოსწია, მიმოიხედა და ჩაფიქრდა. დარაბების ჭუჭრუტანებიდან ალიონის ცრიალი სინათლე ვიწრო ზოლებად შემოჭრილიყო და კედელზე ციმციმებდა. შვიდი საათი იქნებოდა. ივან ილიჩს უეცრად გაახსენდა ყველაფერი, რაც იმ საღამოს გადახდა თავს; გაახსენდა ვახშამი, მისი მანკირებული[1] გმირობა, სუფრაზე ნათქვამი სიტყვა. თვალწინ წარმოუდგა საშინელი სიცხადით, რა მოჰყვებოდა ყოველივე ამას, რას იტყოდნენ და იფიქრებდნენ მასზე. როცა მიიხედ-მოიხედა და დაინახა, როგორ წაებილწა და რას დაემსგავსებინა თავისი ხელქვეითის საქორწილო სარეცელი — საშინელი სირცხვილის გრძნობამ ისე გაუწურა გული, შეჰყვირა, პირზე ხელები აიფარა და სასოწარკვეთილი ჩაემხო ბალიშში. წუთიც და ფეხზე იყო. იქვე სკამზე კოხტად ელაგა მისი გაწმენდილი ტანსაცმელი.. გენერალმა ჰაიჰარად ჩაიცვა. თან აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს რაღაცის ეშინიაო. ზეორე სკამზე მისი ქურქი და ქუდი ეწყო, ქუდში კი ყვითელი ხელთათმანები ჩანდა. ივან ილიჩს უჩუმრად უნდოდა გაპარვა. მაგრამ უცებ კარი გაიღო და თიხის ტაშტით და ხელსაბნით ფსელდონიმოვის დედა შემოვიდა. მხარზე პირსახოცი ეკიდა. ქალმა ხელსაბანი ძირს დადგა და პირდაპირ უთხრა, პირი უთუოდ უნდა დაიბანოო.

— დედაშვილობას, დაუბანლობა არ იქნება...

გენერალმა იგრძნო, რომ ამქვეყნად მხოლოდ ამ ერთადერთ არსების, ამ მოხუცი ქალის არ უნდა შერცხვენოდა და შეშინებოდა. მან პირი დაიბანა. ცხოვრების მძიმე წუთებში, როცა სინდისის ქენჯნა შემოუტევდა, არაერთხელ გახსენებია ის დილა, თიხის თასი და ცივი წყლით სავსე ქაშანურის ხელსაბანი, სადაც ყინულები ისევ ცურავდა, გახსენებია ვარდისფერ ქაღალდში შეხვეული თხუთმეტკაპიკიანი მომრგვალო საპონი ზედ ამოტვიფრული რაღაც ასოებით, ალბათ ნეფე-პატარძლისთვის ნაყიდი, პირველად რომ მან იხმარა და მის წინ მდგარი მოხუცი ქალი მარცხენა მხარზე გადაკიდებული პირსახოცით. ცივმა წყალმა გამოაცოცხლა გენერალი, პირი შეიმშრალა, მერე დასტაცა ხელი ქუდს, ფსელდონიმოვის დედის მოწოდებული ქურქი მხრებზე მოიგდო და ოთახიდან ისე გავარდა, მადლობაც არ უთქვამს თავისი მომვლელისათვის. გაიარა დერეფანი, მერე სამზარეულო, სადაც უკვე კნაოდა კატა და ქვეშაგებიდან თავ-

[1] მანკირებული (ფრანგ. — manqué) — მარცხით დამთავრებული.

წამოწეული მზარეული ქალი ხარბი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა, გამოვიდა ეზოში და იმ წუთას ჩავლილ ეტლისკენ გაქანდა. სუსხიანი დილა იყო, ცივი, მოყვითალო ნისლი ჯერ კიდევ ფარავდა სახლებსა თუ სხვა საგნებს. გენერალმა საყელო აიწია. ასე ეგონა, ყველა მე მიყურებს, ყველამ იცის ჩემი ამბავი და ყველა მცნობსო...

რვა დღე არ გამოსულა ბ-ნი პრალინსკი სახლიდან და რვა დღე არ გამოცხადებულა სამსახურში, ისე უქმეიფოდ შეიქნა, მაგრამ უფრო სულიერად, ვინემ ხორციელად. ამ რვა დღეში ისეთი ჯოჯოხეთი გამოიარა, იმქვეყნად უთუოდ ჩაეთვლებოდა. ხანდახან იქამდეც მიდიოდა, ბერად აღკვეცას ფიქრობდა. დიახ. ნამდვილად ფიქრობდა. ამ დროს წარმოსახვა ფრიად და ფრიად გაიტაცებდა. თვალწინ დაუდგებოდა ღია კუბო, განმარტოებული სენაკი, ტყეები და მღვიმეები, ესმოდა ჩუმი გალობა მიწისქვეშა თაღებში, მაგრამ გამოფხიზლების უმალ გრძნობდა, რომ ეს ყველაფერი საშინელი აბდაუბდა იყო და კიდეც რცხვენოდა ამ აბდაუბდისა. მერე სინდისის ქენჯნა შემოუტევდა მისი existence manquée-ს თაობაზე. მერე ისევ სირცხვილი დაეუფლებოდა, შანთივით დალავდა და ტკივილს უმწვავებდა. ლამის კრუნჩხვები მოსდიოდა, როცა წარმოიდგენდა, რას იტყვიან ან იფიქრებენ, კანცელარიაში რომ შევა, რა ჩურჩული ატყდება, იგი რომ ჩაივლის, ალბათ სულ ასე იქნება ერთი წლის, ათი წლისა თუ მთელი სიცოცხლის მანძილზე. მის თავზე მომხდარი ეს ანეკდოტი შთამომავლობასაც გადაეცემა. ხანდახან ისეთი სულმოკლეობა დაეუფლებოდა, მზად იყო იმავ წუთს სემიონ ივანოვიჩთან წასულიყო და პატიება და მეგობრობა ეთხოვა მისთვის. თავის თავს ყველაფერში კიცხავდა: საკუთარი საქციელისთვის გამართლება ვერ მოენახა და რცხვენოდა კიდეც ამისა.

დროდადრო იმასაც ფიქრობდა, სამსახურს თავს დავანებებ, განვმარტოვდები და კაცობრიობის ბედნიერებას შევწირავ სიცოცხლესო. ყოველ შემთხვევაში, ნაცნობთა წრე უნდა გამოიცვალოს, თანაც ისე, რომ თავი აღარავის გაახსენოს. შემდეგ ესეც აბდაუბდად მიაჩნდა და ფიქრობდა, თუ ხელქვეითებს დიდი სიმკაცრით მოექცევა, კიდევ შეიძლება ყველაფერი გამოასწოროს. მაშინ ისევ მოეცემოდა იმედი და მხნეობა. ბოლოს, მთელი რვა დღის წამებისა და ტანჯვის შემდეგ, იგრძნო, რომ გაურკვევლობის ატანა მეტი აღარ ძალუძს და un beaumatin[1] კანცელარიაში გადაწყვიტა წასვლა.

შინ ყოფნისას ათასჯერ მაინც წარმოიდგინა ის სურათი, როგორ შევიდოდა თავის კანცელარიაში, და გული ეწურებოდა. თავზარდაცემული რწმუნდებოდა, რომ უთუოდ გაიგონებს ორაზროვან ჩურჩულს, დაინახავს ორაზროვნად მზირალ სახეებს, მოიმკის ღვარძლიან ლიმილს. მაგრამ რარიგ გაოცდა, როცა მსგავსი არაფერი მომხდარა. გენერალს მოწიწებით შეხვდნენ, მოწიწებით მიესალმნენ, ყველა დინჯად იყურებოდა, ყველა საქმით იყო გართული. გული სიხარულით აევსო, როცა თავის კაბინეტს მიაღწია.

ბ-ნი პრალინსკი მაშინვე ჩაუჯდა საქმეებს, მოისმინა რამდენიმე მოხსენება და განმარტება, გამოიტანა რამდენიმე გადაწყვეტილება. გრძნობდა, რომ ასე ჭკვიანად არასოდეს უმსჯელია და ასეთი გონივრული გადაწყვეტილებანი არასოდეს გამოუტანია. ხედავდა, რომ ყველა კმაყოფილი იყო, ყველა მოწი-

[1] ერთ მშვენიერ დღეს (ფრანგ.).

წებით უცქეროდა, ყველა პატივისცემით ეჭცეოდა. ყველაზე ეტვიანი თვალიც კი ვერაფერს შეამჩნევდა. საქმე დიდებულად მიდიოდა.

ბოლოს აკიმ პეტროვიჩიც ეახლა რაღაც ქაღალდებით. მის შემოსვლაზე ივან ილიჩს გულმა ოდნავ რეჩხი უყო, თუმცა მხოლოდ წამიერ-ჩიუჯდა. აკიმ პეტროვიჩის შემოტანილ საქმეებს, მედიდურად ელაპარაკა, მიუთითა, რა გაეკეთებინა, ისიც აუხსნა, როგორ. ოღონდ ეს კი შეამჩნია, რომ აკიმ პეტროვიჩს თითქოს თვალს ვერ უსწორებს, უფრო სწორედ, აკიმ პეტროვიჩი გაურბის მის მზერას.

მაგრამ აგერ აკიმ პეტროვიჩმა მოათავა თავისი საქმენი და ქაღალდების აკრეფა დაიწყო.

— კიდევ ერთი თხოვნა გახლავთ შემოსული, — მეტისმეტად თავშეკავებით თქვა მან, — მოხელე ფსელდონიმოვი დეპარტამენტში გადაყვანას ითხოვს... მისი აღმატებულება სემიონ ივანოვიჩი ადგილს შეჰპირებია. გთხოვთ წყალობა მიიღოთ და დაეხმაროთ, თქვენი აღმატებულებავ.

— ოჰო, მაშ გადადის, — გენერალს თითქოს დიდი ლოდი მოსწყდა გულიდან და აკიმ პეტროვიჩს შეხედა. წამიერად მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა.

— მერედა რა, ჩემი მხრივ... შევეცდები, — ბრძანა მან, — დავეხმარები.

აკიმ პეტროვიჩს უნდოდა საჩქაროდ განცლოდა იქაურობას. მაგრამ გენერალი უცებ კეთილშობილმა გულისთქმამ გაიტაცა და გადაწყვიტა ეს საქმე საბოლოოდ მოეთავებინა, როგორც ჩანს, კვლავ ზეშთაგონება დაეუფლა.

— გადაეცით ფსელდონიმოვს, — დაიწყო მან და აკიმ პეტროვიჩს მრავლისმეტყველი მზერა მიაპყრო, — გადაეცით, რომ ცუდს მაინც არ ვუსურვებ; დიახ, არ ვუსურვებ!.. პირიქით, მზადა ვარ ყველაფერი დავივიწყო, დიახ, დიახ, დავივიწყო...

ივან ილიჩს უცებ სიტყვა გაუწყდა და განცვიფრებით მიაჩერდა აკიმ პეტროვიჩს. მისი საქციელი ეუცნაურა. ეს გონიერი კაცი დიდი ბრიყვი ვინმე გამოდგა. ნაცვლად იმისა, გენერლისთვის ბოლომდე მოესმინა, უცებ სულელივით გაწითლდა, გამომშვიდობების ნიშნად თავის კანტურს მოჰყვა, რაც უზრდელობაც კი იყო, და კარისაკენ უკან-უკან დაიხია. სახეზე ეწერა, რარიგ ნატრობდა ამ წუთს მიწა გასკდომოდა, უფრო სწორად, თავის მაგიდასთან გაჩენილიყო. მარტოდ დარჩენილი გენერალი დაბნეული წამოდგა სკამიდან, სარკეში ჩაიხედა, მაგრამ თავისი სახე ვერ დაინახა.

— არა, მხოლოდ სიმკაცრე, სიმკაცრე და სიმკაცრე უშველის საქმეს! — თავისდაუნებურად ჩურჩულებდა იგი. მაგრამ უცებ სისხლი მოაწვა სახეზე. ისე შერცხვა და ისე დაუმძიმდა გული, ამ რვა დღის მანძილზე ყველაზე აუტანელ წუთებშიაც მსგავსი რამ არ უგრძვნია, „ვერა, ვერ გავუძელ!“ წამოსცდა თავისთვის და ულონოდ დაეშვა სკამზე.

□

საქართველო გერმანულენოვან პოეტთა შემოქმედებაში

გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა

ოსვალდ ფონ ვოლკენშტაინი

(1377-1445)

სიმღერა

(ნაწყვეტი)

ბერბერების[1] სამეფოდან
ჯერ არაბეთს მივაღწიე,
ჯოჯოხეთში გამოვლილმა
სპარსთ მიწაზეც დავდგი ფეხი,

არც ლიტველნი დამვიწყნია,
არც პრუსია და რუსეთი,
იურქნიც მოვინახულე და
ივერიას[2] მივადექი...

ანდრეას გრიფიუსი

(1616-1664)

კათარინა ქართველი ანუ ნაცადი სიმტკიცე

(ნაწყვეტი)

ცას სწვდება მწვავე ცეცხლის ენები
და საქართველო ალში ინთქმება,
შტო, ფოთოლი და ფესვნი ხეების
სულ მალე ფერფლად გარდაიქმნება.

საუბედუროდ, არ ცხრება, იწვის,
ღა ყველაფერი იმსხვრევა, ხრჩოლავს,
მეხდაცემული ქვეყანა, თითქმის
ჭვარტლადქცეული ჰაერში ბოლავს.

ალმოდებული ხანძრების ენებს
ცოდვილთა სისხლით აქრობენ ომში,
და ჩამოქცეულ კერიის კედლებს
შიშხინი გააქვთ მეწამულ ტბორში.

ნახევრად გახრწნილ მოკლულთა
გვამებს
სამარხებიდან გლეჯდნენ უგულოდ,
ღა პატარების სხეულს ნაწამებს
თვალწინ უგდებდნენ დედას უსულოდ.

ეტყობა, უფალს ასე სდომია,
ღვთის რისხვა თავზე რომ
დაგვტყდომია[3].

ფრიდრიხ ჰოლდერლინი
(1770-1843)

დუნაის სათავესთან[4]
(ნაწყვეტი)

...ენით უთქმელი სიყვარული სუფევდა
მარად,
ურთიერთისგან შორს ვართ,
მაგრამ კეთილგანწყობილთ
ერთმანეთის ბედი გვაფიქრებს;
შევტრფით ისთმოსის[5] მხიარულ
მხარეს,
კეფისოსსა[6] და ტაიგეტოსს[7],
შენზეც ვოცნებობთ
უხსოვარდროინდელო
კავკასიის დიდო ველებო,
თქვენებურ პატრიარქებზე,
წინასწარმეტყველებზე
და მანდაურ სამოთხეზე...

ფრანც გრილპარცერი
(1791-1872)

არგონავტები[8]
(ნაწყვეტი)

ბორა: სად არის ჩემი ქალიშვილი, ჩემი მედეა?
მილო: შენი ქალიშვილი?
ბორა: ამ ძუძუთი რომ გავზარდე და გავანებივრე.
ხომ დედასავით ვეპყრობოდი, სად ჩაიყლაპა?
რაკი ამბობენ, თავის ნებით აქ ჰპოვაო
თავშესაფარი, მეც დავიჯერო?
ეგ ტყუილია, სიცრუეა; ჩემი მედეას
ხასიათი ჩემზე უკეთ, აბა, ვინ იცის!
დაატყვევეთ და გადამალეთ, ახეა, არა?
ახლავე უკან დამიბრუნეთ! ნეტავ სად არის?
მილო: კეთილ განზრახვით თუ მოსულხარ, ძალიან კარგი,
მის გამორჩევა იოლია დანარჩენთ შორის, —
ამწამს ნავზე გამოიყვანენ!
ბორა: ის აქვე გყავთ გადამალული?
მილო: მიდი-მეთქი!
მიხვალ თუ არა, მაშინათვე თვალს მოჰკრავ! მიდი!
ბორა (მიჰყავთ):
ხომალდზე არა! თვალს მიხვევთ და ალბათ მატყუებთ!
მილო (თვალს გააყოლებს):
მივერეკებით გარეულ მხეცთ საბერძნეთისკენ,
უნდა ვეცადო არ გაგვსრისონ, არ დაგვანელონ,

მაგრამ ის არ ჩანს, არსად არ ჩანს, მე რა ვიღონო!
(მიწისქვეშეთიდან რაღაცნაირი ყრუ გუგუნი მოისმის).
ყური მიუგდე! ეს რა ხდება? სასწაულია!
მიწიდან რაღაც ამოიფრქვა, ამოიტყორცნა.
ხომ არაფერს გვიპირებს მტერი?
(მეომრებს მიმართავს):
ყური მომაპყართ! იარაღი აისხით ყველამ!
(მეომრები თავ-თავიანთ შუბებსა და ხმლებს იმარჯვებენ).

მილო: მიწა არ ცხრება, ყოველივე რას მოასწავებს?
(თითქოს დედამიწა გაირღვაო, უცებ მედეა გამოჩნდება).

მედეა: აქ დღე ყოფილა.
(როცა ნათლად გამოიკვეთება მისი სახე):
შენიანებიც აქ არიან.
რასაც შეგპირდი, შევასრულე კიდეც ბოლომდე.
(იაზონს ხელში საწმისაცმული ბაირაღი უჭირავს).

მილო (ხელებგაწვდილი მისკენ გაეშურება):
იაზონი ხარ?
მართლა შენ ხარ, არ გვეჩვენება?!

იაზონი (მის წინ დახრილ თავს დახედავს):
იაზონი ვარ! დიახ, დიახ, ნამდვილად მე ვარ!
(მარცხენა ხელს გაუწვდის, მარჯვენაში ბაირაღი უკავია).
იაზონი ვარ, მეგობარო!

მილო (წინ დაუდგება):
საწმისიც თან მოგიტანია?

იაზონი (შეშინებული მიმოიხედავს ირგვლივ):
რაო, რა თქვი, საწმისიო?!
(ერთ ადგილას გაქანებული):
საწმისიც თან გამოვიყოლე!
(ერთხელ კიდევ მიმოავლებს თვალს გარშემო):
ეს ვიღა არის, თავ-პირი რომ მოუჩანს მხოლოდ
და ნაცრისფერი მოსასხამი წამოუბურავს?
(მას მიუახლოვდება).
ვერ გაიმეტებ მეგობარო მაგ წამოსასხამს?
(მეომარი უთქმელად უწვდის მოსასხამს).
მე კარგად გიცნობ,
კორინთოელი[9] არხიტასი არა ხარ შენა,
სულით ხორცამდე ახირებულ-შექანებული?
(მხარზე ხელს მოუთათუნებს).
თხემით ტერფამდე თავქარიანი.
(შემზარავად გადაიხარხარებს).
დიდი მადლობა, მეგობარო, დიდი მადლობა!

მილო: ასე თავს რად იმასხარავებს?

იაზონი (საწმისს მოსასხამში ახვევს):
საგულდაგულოდ შევახვიოთ და ვუდარაჯოთ,
სანამ გვჭირდება ფხიზლად ყოფნა, ვიფხიზლოთ კიდეც.

(იაზონი ოქროს საწმისს იმ კლდის ქვეშ ამოსდებს,
რომელზედაც ჩაფიქრებული მედეა ზის).
რაო, მედეა, ასე ძლიერ რამ ჩაგაფიქრა?
ნება გვიბოძე, მოზღვავებულ ფიქრებს გზა მივცეთ,
ხანგრძლივ მგზავრობას გავაყოლოთ რამენაირად.
მომიახლოვდი ჩემო კარგო, ჩემო საუნჯევ,
რომ სიკვდილის წინ ჩვენი ტრფობა დავაგვირგვინოთ.

მილო (მედეასკენ შეტრიალდება):
ნავი აქვეა, შენი ფეხი კეთილი იყოს.
ამ ჩვენს ხომალდზე ერთი ქალიც ამოვიყვანეთ,
გეცოდინებათ, მე მედეას ძიძა მქვიანო.

მედეა: გორა იქნება. უსათუოდ გამიძეხ იქით!

იაზონი (მკაცრი, ჩახლეჩილი ხმით):
არსაით არ გაადგა ფეხი!
(გაოგნებული მედეა უცებ შედგება და გულზე ხელებს დაიკრეფს).

იაზონი (დაყვავებით):
გთხოვ, რომ აქ დარჩე.
(როცა მედეა მისკენ რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს):
არ გაადგა არსაით ფეხი!
(მედეა შემკრთალი და გაოგნებული შეაცქერდება იაზონს):
ამიერიდან ამ ველურებს გადაეჩვიე
და შენი ბედი ჩვენ მოგვანდე, დაგვიკავშირე!
რაკი ერთნი ვართ ამ წუთიდან, მაშასადამე,
ვალდებულნი ვართ, ერთნაირად ვიფიქროთ კიდეც.

მილო: ნავში ჩაჯექით, უკვე დროა, მეფის ასულო!

იაზონი: ჰო, მართალს ამბობს, დაუჯერე, მომყე, მედეა!
ეს რა გულგრილი, უდარდელი მტერი გვყოლია!
მე კი მწადია შევებრძოლო, ხმალში შევება,
მაგრამ, როგორც ჩანს, არ უნდათ რომ დაიფრთხონ ძილი!

აბსირტუსი (სცენის უკან):
აქეთ, აქეთ!

მილო: არ სძინებიათ.

იაზონი: ასე სჯობია!
სუყველას გირჩევთ, არ შემოდგათ ხომალდზე ფეხი.
გამოთხოვება ამ მიწასთან გვინდა ისეთი,
რომ ჩვენი თავი სამუდამოდ დაგამახსოვროთ.
(ხელს სტაცებს შეხვეულ საწმისს).
ფხიზლად, მედეა! აბა მითხარ, რა გაკანკალებს?
(კოლხთა თანხლებით სცენაზე შემოდის, აბსირტუსი).

აბსირტუსი: აქა ყოფილა! მოდი ჩემთან, ჩემო დაიკო!

მედეა (თვალს მოჰკრავს თუ არა ძმას, მისდა უნებურად მისკენ გაქანდება,
მაგრამ უცებ შედგება):
შენი და კი ვარ, მაგრამ მედეა
ველარასოდეს დაგიბრუნდებათ!

იაზონი: მანდ რას აკეთებ? ჩვენთან ერთად არ გიჯობს ყოფნა!

აბსირტუსი (თანაგრძნობით შეეგებება):
უტყუარია, ნუთუ რასაც შენზე ამბობენ?
ახლაც არ მჯერა! მართალია? როგორ ვირწმუნო!
საშობლოს მიწა მიატოვო უნდა მარადის?
სახლ-კარი, მამა და ძმა დათმო სამარადამოდ,
ასე იოლად შეელიო შენს საყვარელ ძმას,
ვისაც ერჩიე მთელ ქვეყანას, ნაინანატრო.
აბა დაფიქრდი, დაუკვირდი, საბრალო დაო!

მედეა (კისერზე ჩამოეკიდება):
ო, ძმაო, ძმაო!
(გულაჩვილებული ხმით):
ერთგულო ძმაო!

აბსირტუსი: არა, არ მჯერა! მაშ, ცრემლებით თავს რაღად იხრჩობ!
მეც გული ისე ამომიჯდა და ამიჩუყდა,
რომ ცრემლად დაცლის, მეგობრებო, არა მრცხვენია.
ბრძოლაში მინდა დაგიმტკიცოთ, რაც შემიძლია.
შენ გულამოსკვნით მოთქმა-ტირილს თავი ანებე
და ჩემთან მოდი, მხარი მომეც, ძვირფასო დაო!

მედეა (ძლივგასაგონად):
წამიყვანე, სადაც გენებოს!

იაზონი (მიუახლოვდება):
ნუთუ მათთან ყოფნა გწადია?

მედეა (შეშინებული):
მე?

იაზონი ასე არ თქვი!

მედეა: მითხარ, ძმაო, ხმა გამიღია?
არა, კრინტიც არ დამიძრავს!

აბსირტუსი: ხომ დამეთანხმე, მაშ წამოდი, რაღად აყოვნებ,
მამა შეგინდობს დანაშაულს და გაპატიებს!
ჩემმა მუდარამ მშობელს უკვე მოულბო გული;
მერწმუნე, დაო, შეგიწყალებს, რადგან საწმისი
ამ გადამთიელთ ჯერაც ხელში არ ჩაუგდიათ.

მედეა (მკლავებიდან გაუსხლტება შეძრწუნებული):
როგორ თუ არა?
(აცახცახებული):
მათ ხელთაა უკვე საწმისი.

იაზონი (საწმისი მაღლა აღუმართავს და ყველას დასანახად საგანგებოდ აქნევს):
დიახ, აქ არის!

აბსირტუსი: ოქროს საწმისი!
(მედას მიმართავს):
ასე გაგვეცი და გვიღალატე?
ბნელ-უკუნეთშიც წასულხარ და მოუსავლეთშიც!
(ახლა იაზონს მიუბრუნდება):
ჰეი, შეჩერდი, დამიბრუნე საწმისი უკან!

იაზონი: ამაოდ ფიქრობ და ოცნებობ, ქარიფანტიავ!
წადი, ჭაბუკო, და მოუთხრე მაშას ყოველი,
რაც საკუთარი თვალით ნახე, ის გირჩევნია;
მე ამ ქალიშვილს მალე ვაჟით დავასაჩუქრებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბსირტუსი: ოქროს საწმისი!

იაზონი: არ მსურს, შენი სისხლი დავღვარო!
ხმა გაიკმიდე, კრინტს ნუ დასძრავ და გზა განაგრძე!
ურჩხულთან ბრძოლას მივაჩვიე ჩემი მარჯვენა,
მაგრამ შენნაირ ჩერჩეტებთან არას ვაპირებ.
ჩამომეცალე, წადი-მეთქი, რომ გეუბნები!

აბსირტუსი (გულში ჩამწვდომი ხმით):
ოქროს საწმისი.

იაზონი (ორჭოფულად):
ჩემთან შებმა სახიფათოა,
რადგან მრისხანე ლომივით მეც შმაგი ვარ მუდამ.

აბსირტუსი: ოქროს საწმისი!

იაზონი: ჩემს ხელთაა!
(იაზონი ხმალს იშიშვლებს, მძვინვარად მოიქნევს და აბსირტუსს მარცხენა მხარში მისწვდება; მას მუზარადი და ფარ-ხმალი დაუვარდება; მართალია, აბსირტუსი არ დაიჭრება, მაგრამ წაბარბაცდება და იატაკზე დაეცემა).

მედეა (დაცემულთან მიიჭრება, დაიჩოქებს, ძმის თავს კალთაში ჩაიდებს და ზედ გადაეფარება):
ახლავ შეჩერდი!

იაზონი: მე მის მოკვლას არც ვაპირებდი,
მაგრამ კი უნდა მომისმინოს და დამიჯეროს!

მედეა (აბსირტუსს თავს წამოუწევს):
წამოდექ ზეზე!
(აბსირტუსი წამოდგება და გაოგნებული დას ზურგზე მიეყრდნობა).

მედეა: ხომ არ დაჭრილხარ?

აბსირტუსი (შესაბრალისად):
შუბლი მტკივა.

მედეა (შუბლზე ტუჩებით შეეხება):
ძვირფასო ძმაო!

მილო (სათვალთვალოდან ჩქარი ნაბიჯით შემოვარდება):
სმენა იყოს და გაგონება! მტერს სათავეში
ჩადგომია მორჭმული მეფე და დიდძალ ჯარით
ჩვენკენ მოდის, გვიახლოვდება!

მედეა (ძმას სიყვარულით ეკვრის):
ჰა, მამაჩემი!

აბსირტუსი (ბეჩავად):
მამაჩვენი!

იაზონი (ორივეს მიმართავს):
დაიწით უკან!

მილო (აბსირტუსზე ათითებს):
ახლავე ნავზე აიყვანეთ, ნულარ აყოვნებთ,
კარგი მძევალი გვეყოლება, ასე აჯობებს!
აბსირტუსი (როცა ხელს წაავლებენ, საწყალობელი ხმით იტყვის):
მატყვევებთ კიდეც?
მედეა: დავემორჩილოთ, წავიდეთ, ძმაო!
(პატარა ალმართს შეუყვებიან).
იაზონი: ყველანი ნავზე! აბა, სწრაფად აუშვით აფრა!
(შეიარაღებული კოლხებითურთ აიეტი სცენაზე შემოიჭრება).
აიეტი (აქეთ-იქით აწყდება):
შეჩერდით უმალ! ჩემი ბიჭი! ჩემი ქალ-ვაჟი!
აბსირტუსი (ცდილობს ხელიდან გაუსხლტეს):
ეჰეი, მამა!
იაზონი (ბორცვიდან გადმოიძახებს):
შეჩერდით წამით!
(აიეტს მიმართავს):
შენი ვაჟი ჩემთან იქნება,
მძევლად ვიგულვებ და საწინდრად გამომადგება,
საკმარისია, კარჭაპიც რომ გამოგვედევნოს,
ზღვის ტალღებს მივცეთ მისი თავი დასალუპავად;
თუ უზიანოდ გადავცურავთ კოლხთა სამეფოს,
მაშინ ვაჟკაცი უვნებელი დაგიბრუნდება.
რატომ მიბიძგებ, ბარბაროსო, რომ შეგებრძოლო?!
აიეტი: ჩაგიგდეს ხელში, ჩემო ბიჭო, სალახანებმა?
აბსირტუსი (ცდილობს თავი გაითავისუფლოს):
დამეხსენით, გამიშვიდთ ხელი!
მედეა: ძმაო და მამავ!
იაზონი: არსად გაუშვათ!
აიეტი: ჩემკენ, აბსირტუს!
იაზონი: ამაოდ ცდილობ!
აიეტი: მაშინ ერთიღა დამრჩენია, უნდა ვისწრაფო!
თავიანთ მეფეს გაჰყვებიან შენი კოლხებიც!
იაზონი: დაიწით უკან!
აიეტი (წინ წამოდგება):
ნუთუ გგონია, ოდნავ მაინც რომ დამაშინებ?
იაზონი: უკან-მეთქი!
ასეთი ხერხით შენს ვაჟს მაინც ვერ გამოიხსნი.
ხომ შემოგფიცე, არაფერი დაუშავდება!
აიყვანეთ ახლავე ნავზე!
აბსირტუსი (ცდილობს გათავისუფლებას):
რას ჰქვია, ნავზე ამიყვანონ და არ გამიშვან?
აიეტი: რით განუგეშო, ჩემო ძეო?
აბსირტუსი: თავს დაესხი და დაიხსენი ამათგან შვილი!
აიეტი: თავს რომ დავესხა, მაშინათვე მოვკლავენ მკვლელნი!
აბსირტუსი: არ სჯობს, სიცოცხლივ დატყვევებულმა,

ოღონდ ესენი დამაჩოქინა,
დაე, დავეცე, მეც ბრძოლის ველზე
და ასე მოვკვდე თავისუფალი?!

ИАЗОНИ: ნავზე-მეთქი!

АИЕТИ: ჩემკენ გამოსწი, ჩემო ბიჭო!

АБСИРТУСИ (ხელიდან გაუსხლტება):
მოვდივარ, მამავ!
მე სიკვდილამდე სულ ვიქნები თავისუფალი!
სიკვდილს მერე კი ვისაც უნდა იძიოს შური!
(ფრიალო კლდიდან ზღვაში გადაეშვება).

МЕДЕА: ო, ძმაო, ძმაო! ნეტავი მეც თან წამიყვანო!
(ქალიშვილს აკავებენ).

АИЕТИ: ჩემო ვაჟკაცო!

ИАЗОНИ: აღარაფერი ეშველება, რადგანაც კვდება!
ციდან ღმერთები გამოვიხმე, რათა ეხილათ,
რომ შენი შვილი შენ მოკალი, შენა ხარ მკვლელი.
მე კი ღმერთმანი არაფერში არ მიდევს ბრალი!

АИЕТИ: ეჰ, ჩემი შვილი მე მოვკალი! შურისძიება!
(იაზონისკენ გაიჭრება):
მაშ, შენც მოკვდი!

ИАЗОНИ: დამეხსენ-მეთქი!
მაიძულებ, შენც გაგისტუმრო?

АИЕТИ: მოკვდი, მკვლელო!

ИАЗОНИ: მკვლელი მე ვარ?
შენა ხარ მკვლელი!
(გვერდით მდგომს საწმისს გამოსტაცებს):
ხომ არ გეცნობა?

АИЕТИ (დაინახავს თუ არა დაიღრიალებს, დაბარბაცდება და ნელ-ნელა უკან დაიხევს):
ოქროს საწმისი!

ИАЗОНИ (გამომწვევად უჭირავს):
ნუთუ შეიცან?
სისხლიც გეცნობა, რომელიც მას ლაქად ატყვია?
ეგ ხომ ფრიქსუსის სისხლი სცხია, ხედავ? შვილისაც!
ფრიქსუსის მკვლელო, საკუთარი ვაჟიც შენ მოჰკალ!

АИЕТИ: მეც მიმიბარე, ჩამიკარი უძღებო მიწავ!
მესაფლავენო, გამითხარეთ სამარე აქვე.
(მიწაზე დაენარცხება).

ИАЗОНИ: დაგაგვიანდა, მაგ ცოდო-ბრალს ვერვინ დაფარავს,
შენს წინაშე დგას უძლეველი ადამიანი;
მართალი გითხრა, შენს სიცოცხლეს არ დავკანკალებ,
მაგრამ ამჟამად არად მიღირს შენი სიკვდილი.
დიახ, სიკვდილს ხომ მაინც ვერსად დაემალები,
მოგვიანებით გაემგზავრე, სად გეჩქარება,
შვილიშვილებმაც მოისმინონ შენი სახელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამავ მიწამ გაზღვევინოს დანაშაული.
აბა, აჩქარდით და აფრები გაშალეთ სწრაფად,
სამშობლოსაკენ გავეშუროთ!

ანიეტი (მიწაზე გართხმული):
ვაიმე, ვაი,
შეუბრალებლად ჩამაყოლეთ ჩემს შვილს საფლავში!
(კოლხები რომ მეფეს გარშემო ერტყმიან და იასონი მხლებლებითურთ ნავზე ავა, ამ დროს ფარდა ეშვება).

ფრიდრიხ ბოდენშტედტი
(1819-1892)

დამშვიდობება კავკასიასთან

ელვარებენ მყინვარები,
ცაზე მთვარე კრთის,
თვალებიდან ცრემლი მცვივა
და ლოყებზე მდის.
სივსივებენ თოლიები,
ქარაშოტი ქრის,
ზღვა ბორგავს და ვერ ველევი
კარგო, შენზე ფიქრს!

ქვეყნის კიდე აღარ მოჩანს,
ვერ ვიმშვიდებ სულს,
შენ დაგეძებ, შენკენ ვილტვი,
შენთან უნდა გულს,
მინდა, სევდა განვიქარვო,
მაგრამ ენა დუმს,
შენთვის ვმღერი და სიმღერით
შენზე ფიქრი მსურს[10]!

იოჰანეს რობერტ ბეჰერი
(1891-1958)

სუფრული

დაღონებულნი ვუსხედვართ სუფრას
და ქართულ ღვინოს ვანდეთ გულები,
ვართ გერმანიას მონატრულები
და ღრმა ფიქრებში ჩაძირულები.
აქედან ვხედავთ ბორცვებს მაინის[11],
მის გარეშემო მწვანე მთებია,
შტრალზუნდის[12] ზღვასთან ხმა რომ
გაისმის
ძველ წისქვილების მძლავრი ფრთებია.
ოითქოს სამღერად ვემზადებითო,
თუმცა ყველანი ვისხედით წყნარად,
ჭიქებს მალიმალ ვუჭახუნებდით
და ქართულ ღვინოს ვაქებდით მარად.
ნიავმა ამაოდ დაქროლა მთებში,
ზაფხულის თბილი ღამეა წყნარი,
ძმებო, ჭიქები ავიღოთ ხელში
და ვთქვათ დაღუპულთ შესანდობარი!
ჭიქებში მოჩანს ვარსკვლავთ ციალი,
ეს სადღეგრძელოც ღმერთმა ინება,
თქვენ გაგიმარჯოთ ხალხო ძლიერო
და იმ ბედნიერ დღის გათენებას!

(1898-1956)

ბერტოლტ ბრეხტი

გირჩევნია, ქვედაკაბა რომ ატარო კოჭებამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გირჩევნია, ქვედაკაბა გრძელი იყოს, განიერი,
ეშმაკური აზრით ვამბობ: იოლია მოსახმარად,
აწევას რომ მოინდომებ, ჩვენი თვალის გასახარად,
ბარძაყების დანახვაზე შეგეცვლება კაცს იერი.

ტახტზე ნაზად ჩამოგაჯენ, მოვიგონოთ რამე-რუმე,
ჩვენებურად, ახლებურად სიგარეტიც გავაბოლოთ,
ვიბაასოთ, ვიპაექროთ, ვიტლიკინოთ უთავბოლოდ,
შენმა ტანმა, მიხვრა-მოხვრამ გამახსენოს ღამე მრუმე.

ნუთუ მარტო ქვედა გრძნობა მიკარნახებს? არა, ვგონებ,
ასეთ კაბის მოსურნე ვარ, მიტომ ვამბობ სიტყვას ალალს,
სულ დაგხატავს, ვით მედეას ძველ კოლხეთის გზებზე მავალს
შავი ზღვისკენ მორონინეს, როგორც მთიდან დილის სიოს,
სხვა მიზეზიც რომ არ გქონდეს, გიჩიჩინებ-მოგაგონებ,
ქვედა ტანზე ქვედაკაბა რომ ასეთი აირჩიო!

ჰუგო ჰუპერტი

(1902-1982)

ერთ კინომსახიობს[14]

სტალინური პრემიის ლაურეატის, მარად მოსაგონებელი ნატო ეაჩნაძის თვითმფრინავით დაღუპვის გამო.

მუშები ამბობდნენ: ჩვენთვის თამაშობსო,
გლეხები გაიძახოდნენ: შეხეთ, ჩვენნაირად ცეკვავსო,
ქალები ალაპარაკდნენ: ყველაზე საყვარელი არსებაარ,
ახალგაზრდებიც აჰყვნენ: სიმართლე და მომხიბვლელობა
მისგან უნდა ვისწავლოთო.
ერთხელ ვეებერთელა დარბაზში შევაბიჯე.
სადა? ერთ დიდ ფაბრიკაში,
სადაც ათასობით ფეიქარი ტრიალებდა;
ისინი აბრეშუმს ქსოვდნენ გატაცებით.

შესვენებისას გარშემო შემოგეხვივნენ
და შუაში მოგიქციეს ძვირფასი სტუმარი,
მშვიდობის მაცნე და მახარობელი
ყვავილივით ჩანდი გოგონებში;
ქალიშვილები გულისყურით გისმენდნენ,
მერე მშვიდობის მოწოდებას მოაწერეს ხელი;
უცებ ერთმა ფანქარი მოიმარჯვა,
ტუჩებთან მიიტანა, დაასველა,
თვალები ქალალდს მიაშტერა,
ერთ წამს ჩაფიქრდა და დაწერა:
„სამშვიდობო ტანსაცმელი სასიხარულოა!“

შენი სახლი მთაწმინდის შუაგულში დგას.
გადაჯვარედინებული პალმის ტოტები მარაოსავით ირხევიან.
ყურებში ჩამესმის საზარელი ჭექა-ქუხილი.
თითქოს იმერეთის მთებს უგუნურად
თვითმფრინავი ფრთებით შეეჯახაო.
როცა ქალაქი უკანასკნელ გ'საზე მიგაცილებდა,
იმ ბედკრულ წუთებში კარვად ჩანდა შენი დიდება[14].
მოწიწებით და სიყვარულით მოჰყვებოდა
ხალხი შენს კუბოს.
დამწუხრებული იყო ყველა ადამიანი,
მაგრამ იმ ფაბრიკაში, სადაც ახლახან
მუშები გულღიად შეგხვდნენ,
ყველაზე მეტად განიცდიდნენ შენს დაკარგვას.
რა იქნებოდა, კვლავ ამ ფართო ქუჩებში
რომ მიაბიჯებდე; თუმცა ეკრანზე
ხშირად ვიხილავთ შენს სახეს
და არასოდეს დაგვავიწყდები.
აგერ, გლეხის გოგოდ გადაქცეულხარ
და ნინო დაურქმევიათ,
ოქროსფერ მინდვრიდან შენფერი ნანი მოაბიჯებს,
მართალი ნუნუ სამარცხვინო ბოძზე გაუკრავთ.
და მკერდზე დანაშული მიუწერიათ,
მშვენიერი ელისო ჩვეულებრივ გვიღიმის,
ბოშა ქალის – მაშას უსულო სხეულის
დანახვაზე ლაღ და უდარდელ გოგონებსაც
ლამაზი თვალები უწყლიანდებათ...

პუშკინი ალბათ მინერვას[15] შეგარქმევდა,
თუმცა მოჯადოებულ ბნელ დარბაზში
არასოდეს მჯდარა ფილმების საყურებლად.
თუმცა შენს ნაზ და სათუთ ხელზე არ უკოცნია.
ჭკვიანურ შუბლზე ნაოჭები არ დაუნახავს
და წარბ-წამწამთა ჩრდილიც კი არ შეუმჩნევია.

ჩვენ კი მუდამდღე ვხედავდით
შენს საოცარ თავგადასავლს,
უმძიმეს შრომას, თავდადებას
და იდუმალი ხელოვნებით გატაცებას.
საქმეც ეგ არის: მშვენიერი და გამოჩენილი იყო
შენი მომხიბვლელობა ყველგან იგრძნობოდა.
დილის ცვარივით მოგვალანდე შემოქმედება;
დიდებული გქონდა მეტყველება;
ასეთნაირად გადიოდა დღეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მეთქმის კიდევ, მადლობის მეტი?
გწამდეს, არასდროს არ დაგივიწყებთ!
შენს სათნოებას მოიგონებს ახალგაზრდობა,
რადგან წარსული წამალია სუყველასათვის;
იყავ შემწყალე ტანჯულთა და გაწამებულთა;
მხიარულება მარადიული მშვიდობის საწინდარია!

შენიშვნები

„საუნჯის" ამ ნომერში მოთავსებული „**საქართველო გერმანულენოვან პოეტთა შემოქმედებაში**" გაგრძელებაა ციკლისა — საქართველოს თემა ჯერმანულენოვან მწერალთა შემოქმედებაში, რომელიც ბოლო წლებში ალმანახ „საუნჯის" (№ 5, 1979, გვ. 232-240; № 3, 1981, გვ. 267-280; № 2, 1983, გვ. 244-261) ფურცლებზე დაიბეჭდა.

[1] **ბერბერები** ჩრდილოეთ აფრიკის უძველესი მოსახლეობაა. ლაპარაკობენ სემიტურ-ჰამიტურ ენათა ოჯახში შემავალი ბერბერული ენის დიალექტებზე. 1975 წლის მონაცემებით ბერბერების რაოდენობა (მავრიტანია, მაროკო, ალჟირი, ტუნისი, ლიბია, ეგვიპტე და სხვ.) ცხრა მილიონი კაცია.

[2] შუა საუკუნეების დიდი გერმანელი ლირიკოსის **ოსვალდ ფონ ვოლკენშტაინის** ბიოგრაფები და შემოქმედების მკვლევრები ურთიერთსაწინააღმდეგო აზრს გამოთქვამენ პოეტის სავადასტვა ქვეყნებში მოგზაურობის თაობაზე. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ულრიხ მიულერისა და შოთა რევიშვილის მოსაზრებას, რომელთა ვარაუდით ავსტრიელი მინეზინგერის ლექსში მოხსენიებული ქვეყანა „იბერნია" სხვა არა არის რა, თუ არა ივერია, საქართველო. თვით ლექსის შინაარსიც იმაზე მიგვითითებს, რომ თურქეთსა და სპარსეთში ნამყოფი პოეტი, რა თქმა უნდა, „გეოგრაფიულად" უფრო იოლად მოხვდებოდა საქართველოში, ვინემ ირლანდიასა და იბერიის ნახევარკუნძულზე, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს.

[3] სამშობლოს ბედუკულმართობით დამწუხრებული და ცხოვრებით გულგატეხილი XVII საუკუნის გამოჩენილი პოეტი და დრამატურგი **ანდრეას გრიფიუსი** თანადროული საქართველოს თავზარდამცემი სურათებისა და ქვეყნისთვის თავდადებული დედოფლის სახის დახატვით ოცდაათწლიანი ომით გაწამებულ და გაპარტახებულ გერმანელ ხალხს, განსაკუთრებით კი მის თანამედროვეებს მომავლის იმედს უნერგავდა და შეუპოვარი ბრძოლისკენ მოუწოდებდა.

[4] უდიდესი გერმანელი პოეტის **ფრიდრიხ ჰოლდერლინის** ეს ლექსი, როგორც ჩვენს მიერ ადრე გამოქვეყნებული „მოგზაურობა", ისტორიული და პოეტური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ქართველი მკითხველისათვის, სადაც კოლხეთსა და კავკასიაზეა ლაპარაკი.

[5] **ისთმოსში**, ამჟამინდელ კორინთოს ყელზე, ორ წელიწადში ერთხელ პოსეიდონის პატივსაცემად იმართებოდა შეჯიბრება-თამაშობანი პოეზიაში, მუსიკაში, ცხენოსნობასა და ტანვარჯიშში, ეს შეჯიბრება-თამაშობანი ბერძენთა დიდ სახალხო დღესასწაულად ითვლებოდა.

[6] **კეფისოსი** — ათენში გამავალი მდინარე.

[7] **ტაიგეტოსი** — მთა, რომლის ძირში მდებარეობდა ქალაქი სპარტა.

[8] დიდი ავსტრიელი პოეტისა და დრამატურგის ფრანც გრილპარცერის „არგონავტები" ტრილოგია „ოქროს საწმისის" მეორე ნაწილია. პირველი ნაწილის — „ქეთილი სტუმარი"— ჩვენეული თარგმანი დაიბეჭდა ალმანახ „საუნჯის" 1983 წლის მეორე ნომერში.

[9] **კორინთო** — პელოპონესის ნახევარკუნძულზე ორ ზღვას შუა მდებარე მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქი, — სახელმწიფო, რომელიც დორიელებმა დააარსეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე X საუკუნეში. ძველი ბერძნული მიითოლოგიის მიხედვით მედეა კორინთოში ცხოვრობდა.

[10] ასეთი გრძნობით გამოეთხოვა კავკასიასა და საქართველოს XIX საუკუნის ცნობილი პოეტი და მთარგმნელი, რომელიც წელიწადნახევარს ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობდა.

[11] **მაინი** — მდინარე რაინის მარჯვენა შენაკადი, რომელიც ამჟამად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიედინება.

[12] **შტრალზუნდი** — აღმოსავლეთი ზღვის სანაპიროზე გაშენებული ქალაქი, რომლის სახელწოდება XIII საუკუნიდან მომდინარეობს და რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს.

[13] როგორც **ბრეჰტის** ბიოგრაფები ვარაუდობენ, ეს ლექსი დაწერილი უნდა იყოს 1944 წელს.

[14] 1979 წელს გამოცემულ ავტობიოგრაფიულ წიგნში — „ქიში ორეულს" **ჰუგო ჰუპერტი** წერს: „როცა ერის ნამდვილი კერპი ნატო 1953 წელს ავიაკატასტროფის დროს დაიღუპა, გულდაკოდილი დავბორიალებდი მთაწმინდის უბნის ქუჩაბანდებში და აღელვებულ-აცრემლებული უბის წიგნაკში ვწერდი ლექს-ნეკროლოგს, რომელიც შემდეგ ჩემი ლექსების კრებულის — „მოგზაურის ქართული კვერთხის" ერთ-ერთ ციკლში შევიდა".

[15] **მინერვა** — პოეზიის, მუსიკის, საერთოდ, ხელოვნებისა და შემოქმედების მფარველი იტალიური ღვთაება.

□

ხულიო კორტასარი

მოთხრობები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა მედეა ზუბადალაშვილმა

ჯიბეში ნაპოვნი უბის წიგნაკიდან

ის, რაზეც ახლა ვწერ, კაცს შეიძლება რაღაცით რულეტსა და ტოტალიზატორზე გაგიჟებული მოთამაშის აკვიატებად მოეჩვენოს; ეს კი ფული სულაც არ მჭირდებოდა. უცებ ვიგრძენი — ან გადავწყვიტე — რომ მეტროს ვაგონის ჩაბნელებულ ფანჯარას შეეძლო დამხმარებოდა. ბედნიერება მეპოვა სწორედ აქ, მიწის ქვეშ, სადაც განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობა ადამიანთა გათიშულობა, დრო კი ჩვენს თვალწინ აშკარად ქუცმაცდება მოკლე-მოკლე გადარბენებად, და მისი თვალნათლივ დასანახი მონაკვეთები — თითოეულ სადგურთან ერთად — უკან რჩება გვირაბის სიბნელეში. ვლაპარაკობ „გათიშულობაზე“, რათა უკეთ გავიგო (მე კი მას შემდეგ, რაც ეს თამაში დავიწყე, ბევრი რამ გავიგე), რას ემყარებოდა ჩემი იმედი, როცა ვფიქრობდი, რომ არსებობდა „სრული თანხვედრა“ და ის შეგრძნება, რაც, ასე მეგონა, ჩემთან მოვიდოდა ვაგონის ფანჯრის მინაზე არეკლილი სამყაროდან, მოვიდოდა და ბოლოს მოუღებდა გათიშულობას, რომელიც, ეტყობა, ხალხს სულაც არ ადარდებს, თუმცა, ვინ იცის, რა სადარდებელი აქვს გაჩენილი ასეთ ჯგლერთაში ვაგონებში შემსვლელ-გამომსვლელთ. „შინ როგორმე მალე მისვლის მეტი“ რა შეიძლება აღელვებდეს ხალხს, რომელიც, აქ იქნება თუ იქ, შედის იმისათვის, რათა გამოვიდეს იქ იქნება თუ აქ, და რომელსაც რაღაც საერთო აკავშირებს მხოლოდ და მხოლოდ ამ ერთ ადგილზე — ვაგონში, სადაც მათი მომავალი — ყველასი ხელაღებით — ზუსტად არის განსაზღვრული, თუმცაღა სულ რამდენიმე წუთით, და არავინ უწყის, გადავა თუ არა ყველა ერთად, ან პირველი შენ გადახვალ თუ აი, ის აწოწილი კაცი, ხელში რაღაც შეკვრა რომ უჭირავს, ანდა გაჰყვება თუ არა მატარებელს ბოლომდე მწვანეებში გამოწყობილი მოხუცი ქალი, ჩავლენ თუ არა ეს ახალგაზრდები ამ გაჩერებაზე... ჰო, ეტყობა, ჩავლენ, რადგან ჩანთებსა და სახაზავებს მოავლეს ხელი და ხორხოცითა და მუჯლუგუნებით მიაწყდნენ კარს, კუთხეში მოკალათებულ აიმ ქალიშვილს აშკარად ეტყობა, დიდი ხნით, რამდენიმე გაჩერებით მაინც დაიკავა სასურველი ადგილი, ეს, მეორე კი, ბოლომდე გამოცანასავით დამრჩება.

ჰო, ანაც ნამდვილ გამოცანად მექცა. ის ფანჯარასთან იჯდა, წელში გამართული სკამის საზურგულს ოდნავ ეხებოდა, „ეტიენ მარსელის“ სადგურზე ვაგონში რომ შევედი, ის უკვე იქ დამხვდა, მის მოპირდაპირედ მჯდომი ზანგი ჩემი შესვლისთანავე წამოდგა, განთავისუფლებულ ადგილს არავინ მისტანე-

ბია და მეც შემეძლო ბოდიშების ბუტბუტით ნაპირზე მჯდომი ორი მგზავრის მუხლებშუა გამეღწია და ანას პირდაპირ დავმჯდარიყავ. იმავე წამს — ვინაიდან მეტროში სწორედ იმისთვის ჩავედი, რათა ერთხელ კიდევ გამომეცადა ჩემი თამაში ბედნიერებაზე, — ფანჯარაზე მარგრიტის პროფილის ანარეკლი მოვძებნე და მივხვდი, რომ იგი ძალზე მომხიბვლელი იყო, რომ მომეწონა შუბლზე ალმაცერად ჩამოშლილი მისი შავი თმა.

არა, სახელები — მარგრიტი და ანა — გვიანდელი გამოგონილი არ არის, და ახლა, როცა უბის წიგნაკში ჩანაწერს ვაკეთებ, ამ სახელებს ერთიმეორისაგან გასარჩევად არა ვხმარობ; სახელები, როგორც ამას თამაშის წესები მოითხოვდა, თავში უმალ, სრულიად უყოყმანოდ მომდიოდა... მაგალითად, იმ ქალიშვილის გამოსახულებას, ფანჯარაში რომ მოჩანდა, შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მარგრიტი რქმეოდა, ჩემს მოპირდაპირედ მჯდომ ქალიშვილს კი მხოლოდ და მხოლოდ ანა, რომელიც მე ვერ მამჩნევდა და თავისი გაურკვეველი მზერა მცირეოდენი ხნით თავმოყრილი ხალხისთვის მიეშტერებინა, იმ ხალხისათვის, რომელთაგან თითოეული თვალის ვასართობად ირჩევს იმას, რაც მოეპრიანება, გარდა იმისა, ღმერთმა დაიფაროს იმისაგან, რაც მასთან ყველაზე ახლოს იმყოფება. პირდაპირ და მოურიდებლად თვალებში მხოლოდ ბავშვები გიცქერენ, სანამ მათაც არ ასწავლიან სადღაც შორიახლოს მზერას, მზერას ისე, რომ ამგვარი საზოგადოებრივი იგნორირებით, ვერ ამჩნევდნენ ვერც რომელიმე მეზობელსა და ვერც რაიმე სულიერ კონტაქტებს, როდესაც ყველა იმის ცდაშია, საკუთარ ნაჭუჭში მოექცეს, განერიდოს ყველას და ყველაფერს, მილიმეტრიანი ჰაერის ტიხარით გულმოდგინედ გაემიჯნოს უცნობის იდაყვებსა და მუხლებს, ანდა წიგნსა თუ „ფრანს სუარში“ ჩარგოს თავი, უფრო ხშირად კი ანასავით მზერა სიცარიელეს მიაპყროს, იხედებოდეს ადამიანის მიღმა და უყურებდეს იმ იდიოტურ „საარვისო ზონას“, რომელიც ჩემსა და „ფიგაროში“ თავჩარგული მამაკაცის სახეებს შუა გადის. თუმცა სწორედ ამის გამო მარგრიტს (და თუ მე ნამდვილად მართალი ვარ, რომელიღაც მომენტში ანასაც) დაბნეული მზერა ფანჯრისათვის უნდოდა მიეპყრო... დიახ, მარგრიტმა ფანჯარაში გაიხედა, ჩემი ანარეკლი შეამჩნია და ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა მინის მიღმა მხარეს, რომელზედაც გვირაბის სიბნელეს ვერცხლის წყლის მსუბუქი ფენა გადაეკრა და შავად მოლივლივე ხავერდი გადაეფარებინა. ამ ეფემერულ სარკეში სახეები სულ სხვანაირ სიცოცხლეს იძენენ, ვაგონთა ნათურების მჭრეალი სინათლისაგან ისინი ალარ ჰგვანან თაბაშირის საძაგელ ტვიფარებს და მათ შეუძლიათ, — ვერც შენ უარყოფ ამას, მარგრიტ, — გულღიად და პატიოსნად უყურონ ერთმანეთს, ვინაიდან რაღაც წამის განმავლობაში გამოხედვები თავისუფლდებიან თვითცენზურისაგან. მე იქ, მინის მიღმა არ ვიყავი ის მამაკაცი, რომელიც ანას პირდაპირ იჯდა და რომლისთვისაც მას ვერ გაებედნა მეტროს ვაგონში აშკარა ცქერა, მაგრამ ანამ სულ ცოტა ხანს შეაჩერა მზერა ჩემს ანარეკლზე, ორიოდე წამით უფრო ცოტა ხანს ვიდრე მარგრიტმა, ვინაიდან, როცა ანამ მზერა აარიდა მის წინ მჯდომ მამაკაცს,—ხომ უსაქციელობაა მეტროში მამაკაცისადმი ყურება — და თავი ფანჯრის მინისკენ მიაბრუნა, თითქმის იმავე წამს მოაშორა თვალი ჩემს ანარეკლს, იმიტომ, რომ მე ველოდი ამ მომენტს, რათა ოდნავ შესამჩნევად გამეღიმა — არამც და არამც არც თავხედურად და არც გამომწვევად — ველოდი მას შემდეგ, როგორც კი ფანჯარაში მარგრიტის

ეზერა ჩემს მზერას შეეფეთა. ყოველივე ეს გაგრძელდა სულ ერთი წუთის განმავლობაში, მაგრამ მე თვალი მაინც შევასწარი, რომ მარგრიტმა ჩემი ლიმილი შეამჩნია და რომ ანა გაოგნებული იყო აშკარად, თუმცა მან მხოლოდ თავი დახარა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს თავისი წითელი ტყავის ჩანთის საკეტს ათვალიერებდა. მე ნამდვილად ერთხელ კიდევ მინდოდა გაღიმება, თუმცა მარგრიტი აღარ მიყურებდა, რადგან ანამ თვალი შეასწრო ჩემს ღიმილს და ცუდად ჩამომართვა. ამიტომაც აუცილებელი აღარ იყო, ანას ან მარგრიტს ემზირათ ჩემი „მილმური" გამოსახულებისათვის; ამას არც ისინი აპირებდნენ, რადგან ანას წითელი ხელჩანთის საკეტით გართულიყვნენ.

ახლაც ისევე, როგორც ადრე ხდებოდა ხოლმე, როცა კი შევხვედრიერ პაულას (ოფელიას) და ყველა იმათ, ვისაც მოჩვენებითი ინტერესით უთვალიერებია ჩანთის საკეტი, ღილი თუ ჟურნალი, ჩემს არსებაში თითქოს კვლავ განიხვნა უფსკრული, სადაც გორგალივით იგრაგნებოდა შიში და იმედი, რომელნიც ქილაში მომწყვდეული ობობებივით ცდილობდნენ სასიკვდილო გაბრძოლებას, დროს კი თამაშის ჰულსს აყოლებული გულისცემის სიხშირით ვითვლიდი და მეტროს თითოეული სადგური ჩემი ცხოვრების ახალი, უცნობი სიუჟეტის დასაწყისად მეჩვენოდა, ვინაიდან ასეთი იყო თვითონ თამაში. მარგრიტის შემოხედვა და ჩემი ღიმილი, თავის ხელჩანთას ჩაკირკიტებული ანას წამიერი რეაქცია გახლდათ საზეიმო გახსნა ცერემონიისა, რომელიც, ზოგ შემთხვევაში, იწყებოდა გონიერების ყველა კანონის საწინააღმდეგოდ, რაც მაიძულებდა ჩავჭიდებოდი ყოველდღიური შემთხვევითობის უაზრო ჯაჭვის ყველაზე სუსტ რგოლს. თამაშის პირობა არ იყო რთული, მაგრამ თვით თამაში ჰგავდა რაღაც ბრმა ბრძოლას, შუაგულ ქაოსში უმწეო ფართხალს, სადაც ყოველ მხრივ, საითაც არ უნდა გაიხედოთ, თვალწინ დაგიდგებათ გაბარჯღული ხე მიუწვდომელი გზებით. პარიზის მეტროპოლიტენს, მთელ თავის ეგზოტიკურ კარკასზე, თავის წითელ, ყვითელ, ლურჯსა და შავ ტოტებზე გაბნეული აქვს უამრავი, მაგრამ განსაზღვრული რაოდენობის სადგურების უცნაური გეომეტრიული ფიგურები. და ეს ხე ყოველი ოცდათხი საათიდან ოც საათს ცხოვრობს, ივსება ბობოქარი, მჩქეფარე წვენით, რომლის წვეთები მიჰყვებიან თავთავიანთ განტოტებას, მერე ერთნი „შატლზე" გადადიან, მეორენი „ვოჟირარზე" შემოდიან, მესამენი „ოდეონზე" გადასხდებიან, რათა გაჰყვნენ „ლა მოტ-პიკეზე". ვინ მოთვლის, გადასაჯდომისა და გადასასვლელის რამდენი ასეული და ათასეული ვარიანტია კოდირებული და პროგრამირებული ყველა ცოცხალი ნაწილაკისათვის, რომლებიც ამ ხეში შთაინთქმებიან აგერ აი, აქ და ამოიჭრებიან სადღაც იქ. მერე მოედებიან ლაფაიტის გალერეას, რათა გეი-ლიუსაკის ქუჩის მახლობლად მაღაზიის მესამე სართულზე მოიმარაგონ ერთი შეკვრა ქაღალდის ხელსახოცი ან ორიოდე ნათურა.

ჩემი თამაშის წესები იყო საოცრად მარტივი, რაღაც საუცხოო, უგუნური და დესპოტური. თუ ქალი შემეწონებოდა, თუკი ჩემს პირდაპირ მჯდომი ქალი მომეწონებოდა, თუ ქალის თვალები ფანჯარაში ჩემ თვალებს შეხვდებოდნენ, თუ ჩემი ფანჯრისეული ანარეკლის ღიმილი ქალის ანარეკლს დაამორცხვებდა, გაახარებდა ან გააბრაზებდა, თუ მარგრიტმა დაინახა ჩემი ღიმილი და ანამაც მაშინვე დახარა თავი და გულმოდგინედ დაუწყო თვალიე-

რება თავისი წითელი ხელჩანთის საკეტს, მაშასადამე, თამაში დაწყებულად უნდა მიჩნეულიყო, მიუხედავად იმისა, როგორ უპასუხებდნენ ლიმილს — გაბრაზებით, სიამოვნებით თუ აშკარა გულგრილობით, ცერემონიის პირველი ნაწილი ამით მთავრდებოდა: ლიმილი უკვე შეამჩნია [illegible] იგი ეკუთვნოდა. მერე კი იწყებოდა ბრძოლა ქვესკნელში, კუჭში [illegible] ბებრის მტანჯველი ალიაქოთი და აფორიაქებული მაჯისცემა — სადგურიდან სადგურამდე — იმედის წამებისა თუ წუთების მოლოდინი.

ახლა მახსენდება როგორ დაიწყო ის დღე: მაშინ თამაშში შემოვიდა მარგრიტი (და ანა), ერთი კვირით ადრე კი პაულა (და ოფელია); ქერათმიანი ქალიშვილი ერთ-ერთ ყველაზე სადავიდარაბო სადგურზე — „მონპარნას-ბიენვენზე" ჩავიდა, რომელიც, მრავალთავიანი, საძაგელი გველეშაპისა არ იყოს, წარმატების თითქმის არავითარ შანსს არა ტოვებს. მე გუნებაში არჩევანი „პორტ-დე-ვანვის" ხაზისკენ მიმავალ გადასასვლელზე შევაჩერე და უმალ პირველი მიწისქვეშა განტოტებისთანავე, მიგხვდი, რომ პაულა (რომ ოფელია), „მერი დ' ისის" სადგურის გასასვლელისკენ წავიდოდა. რაკ იზამ, ისლა დამრჩენოდა, დერეფნების გადაკვეთაზე, უკანასკნელად შემეხედა მისთვის, თვალი გამეყოლებინა, როგორ მშორდებოდა, როგორ შთანთქავდა ძირს ჩაბავალი კიბე. თამაშის პირობა ასეთი იყო: ვაგონის ფანჯარაზე შემჩნეული ლიმილი უფლებას მაძლევდა ქალს ავდევნებოდი და თავი თითქმის ბრმად დამეიმედებინა, რომ მეტროში მისი მარშრუტი დაემთხვეოდა ჯერ კიდევ მიწისქვეშ ჩასვლამდე ამორჩეულ ჩემს მარშრუტს; მერე კი, დღევანდლამდე — სულ ასე ხდებოდა — უნდა მეცქირა, თვალს როგორ ეფარებოდა ქალი სხვა გასასვლელში და უკან ადევნებაზე ხელჩაქნეული, გულდამძიმებული დავბრუნებულიყავ მიწის ზემოთა სამყაროში, რათა რომელიმე კაფეში მივცემოდი ფიქრს, და კვლავ მეცხოვრა, როგორც მეცხოვრებოდა, სანამ თანდათანობით, რამდენიმე საათის, რამდენიმე დღისა თუ კვირის შემდეგ კვლავ არ მომივლიდა ჟინი, მეცადა[illegible]ბედი, და თავი იმედით მენუგეშებინა, რომ ყველაფერი დაემთხვეოდა — ქალი და მინის ბრანეკლი, სიხარულით შემოფეთებული თუ უარყოფილი ღიმილი და მატარებელთა მიმართულებები — მაშინ, ბოლოს და ბოლოს, დიახ, ბოლოს და ბოლოს, სრული უფლება მომეცემოდა, მივახლოვებოდი ქალს და მეთქვა ძნელად სათქმელი პირველი სიტყვები, რომლებიც გაარღვევდა უმოძრაო დროის შრეებსა თუ უფსკრულში მოფუტფუტე ობობათა გროვას.

„სენ-სიულპისის" სადგურს რომ მივუახლოვდით, ჩემს გვერდით ვილაც ადგა და გასასვლელისკენ წავიდა, ანას მეზობელიც ადგა, ახლა იგი მარტოდმარტოდ იჯდა ჩემს პირდაპირ და თავის ხელჩანთას კი აღარ ათვალიერებდა, დაბნეული მარიდებდა თვალს და ვაგონის ოთხივე კუთხეში გაკრულ მინერალური ცხელი წყლების რეკლამებს მისჩერებოდა. ჩემს დასანახად მარგრიტს მინისკენ აღარ მიუბრუნებია თავი, მაგრამ სწორედ ეს მეტყველებდა ჩვენს შორის დამყარებულ კონტაქტზე და მის უხმო მაჯისცემაზე; ანა, ეტყობა, მეტისმეტად მფრთხალი იყო, ან შეიძლება, სულელურ ახირებად ეჩვენებოდა, ეცქირა სახის ანარეკლისათვის, რომელიც უშურველად უღიმოდა მარგრიტს. „სენ-სიულპისის" სადგურს ჩემთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა იმიტომ ჰქონდა, რომ თუმცა „პორტ-დ'ორლეანის" ბოლო სადგურამდე კიდევ რვა სადგური იყო დარჩენილი, აქედან გადასაჯდომი კვანძი მხოლოდ სამსა ჰქონდა,

და თუ ანა ამ სამიდან ერთ რომელიმეზე ჩავიდოდა, დამთხვევის შესაძლებლობის შანსი მიჩნდებოდა. „სენ-პლასიდთან“ მიახლოვებისას მატარებელმა სვლას რომ უკლო, მე გატრუნული ფანჯარაში იმედით შევჩერებოდი მარგრიტს, იქნებ ჩვენი მზერა ერთმანეთს კიდევ შეხვდეს-მეთქი, ანა ამ დროს ისე არხეინად ათვალიერებდა ვაგონს, თითქოს დარწმუნებული ყოფილიყოს, მარგრიტი მეტს აღარ შემომხედავდა, ამიტომ აღარც ფიქრობდა იმ ანარეკლზე, რომელიც მარგრიტს ელოდა, რათა მზოლოდ მისთვის გაელიმა.

ანა „სენ-პლასიდზე“ არ ჩასულა. სანამ მატარებელი სვლას შეანელებდა, მე უკვე ვიცოდი, ასეც მოხდებოდა, ვინაიდან ჩამსვლელები, ჩვეულებრივ, მოუსვენრობას იჩენენ, განსაკუთრებით ქალები, რომლებიც ნერვიულად შეიგრძნობენ რაიმე შეკვრების მიკარებას, იწყებენ პალტოების შემოკვალთვას ანდა გასასვლელს ადგომამდე ესვრიან ხოლმე მზერას, რათა სიჩქარის ანაზრეული შენელებისას, როცა სხეული დაუმორჩილებელ საგნად იქცევა, არ დაეჯახონ უცხო ადამიანთა მუხლებს. ანა გულგრილად ათვალიერებდა გაკრულ რეკლამებს, მარგრიტის სახე კი გარედან შემოსული ნათურების სინათლეს გადაეშალა, ამიტომ არ შემეძლო მივმხვდარიყავი, შემომხედა თუ არა მარგრიტმა, მასთან ჩემი ანარეკლიც ნეონის ცეცხლისა და სარეკლამო აფიშების ათინათში, მერე კი — შემსვლელ-გამსვლელთა რიაღში დანთქმულიყო. თუ ანა „მონპარნას-ბიენვენუზე“ გადავიდოდა, მინიმალურამდე შემცირდებოდა ჩემი შანსები. როგორ არ უნდა გამხსენებოდა ამ დროს პაულა (ოფელია), როცა სადგურის ოთხმა გადამკვეთმა ბაზმა ქალის არჩევანის ამოცნობის ჩემი შესაძლებლობა თითქმის ნულამდე დაიყვანა, და მაინც პაულასთან (ოფელიასთან) შეხვედრის დღეს აბსურდულობამდე ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩვენი გზები ერთმანეთს დაემთხვეოდა. მე სამოდე მეტრის დაშორებით მივდევდი უკან ამ აუჩქარებელ ქალიშვილს, გრძელ ქერა თმაზე გამხდარი წიწვები რომ ჰქონდა მიმობნეული, და როცა მან მარჯვენა გადასასვლელისკენ გაუხვია, თავი გვერდზე ისე მომექცა, თითქოს ვინმეს ყბაში ეთავაზოს. არა, სულაც არ მინდოდა, ამჯერად მარგრიტთანაც იგივე დამმართოდა, არ მინდოდა, განმეცადა მაშინდელი შიში, არ მინდოდა „მონპარნას-ბიენვენუზე“ ყველაფერი ხელახლა განმეორებულიყო, ამიტომაც არას მარგებდა პაულას (ოფელიას) გახსენება და მიყურადება იმისა, როგორ დაეწყოთ ობობებს ქვესკნელში ჩემი მოკრძალებული იმედის მოშთობა, იმ იმედისა, რომ ანა (რომ მარგრიტი)... მაგრამ ვინ იტყვის უარს მიამიტურ თვითდამშვიდებაზე, რომელიც ასე გვიადვილებს ცხოვრებას? მე უმალ ჩავაგონე საკუთარ თავს, რომ შესაძლებელია, ანა (შესაძლებელია, მარგრიტი) „მონპარნას-ბიენვენუზე“ კი არა, რომელიმე მომდევნო სადგურზე ჩავიდეს-მეთქი, რომ იგი შესაძლოა არ წასულიყო იმ გასასვლელისკენ, რომელიც დაკეტილი იყო ჩემთვის. ვთქვი, რომ ანა (რომ მარგრიტი) არ ჩავიდოდა „მონპარნას-ბიენვენუზე“ (არც ჩასულა), არ ჩავიდოდა „ვავენზე“ და მართლაც არ ჩავიდა! ვთქვი, რომ ანა (რომ მარგრიტი) შეიძლება „რასპაიზე“ ჩავიდეს-მეთქი, ბოლო ორი შესაძლო სადგურიდან პირველზე... და როცა იგი არც იქ ჩავიდა, მე უკვე ვიცოდი, მხოლოდ ერთი სადგური იყო დარჩენილი, საიდანაც შემეძლო უკან გავყოლოდი, ვინაიდან მომდევნო სამ სადგურს გადასასვლელები არა ჰქონდა და არც ერთი მათგანი არ იყო ანგარიშში ჩასაგდები. მე კვლავ დავუწყე მარგრიტს ფანჯარაში ძებნა, მოვუხმობდი მდუმარე და გაქვავებული სამყაროდან, საიდანაც

უნდა მისწვდენოდა ჩემი საშველად მომზმობი ძახილი, ეგრძნო ჩემი სულის გამყინავი ღელვა; მე მას გავუღიმე და ანას არ შეიძლება, ეს არ ეაინახა, მარგრიტს კი არ შეიძლება არ ეგრძნო, თუმცა აღარ უყურებდა ჩემს ანარეკლს, რომელსაც ზედ წარამარა ეცემოდა „დანფერ როშროს“ სადგურთან შესასვლელ გვირაბში ჩამწკრივებული ნათურების სინათლის ზოლი. ნუტა ბუფერების პირველმა დაჯახებამ შეაქანა ანას მუხლებზე წითელი ხელჩანთა თუ რაღაც წყენის გრძნობამ ააწვდევინა უნებურად ხელი შუბლზე ჩამოშლილი შავი თმის ბღუჯის გადასაწევად? ვერ გავიგე ეს, მაგრამ იმ ოთხიოდე წამში, სანამ მატარებელი პლატფორმასთან იყო გარინდებული, ობობები ახალი მარცხის მოლოდინში გაუსაძლისი სისასტიკით მოედვნენ ჩემს შიგნეულობას, როდესაც ანა მსუბუქი მოძრაობით წამოიმართა, როცა მგზავრებს შორის თვალი მოვკარი მის ზურგს, მარგრიტის ანარეკლის ძებნაში უაზროდ კვლავ ფანჯრის მინას მივაშტერდი, რომელიც სინათლისა და ათინათისაგან დაბრმავებულიყო. შერე ისე წამოვდექი, თითქოს არ გამეგებოდა რას ვჩადიოდი. ვაგონიდან გამოვვარდი და მივდიოდი — პლატფორმაზე ხუსხუსით მიმავალი ფიგურის ჩრდილის განსახიერება — სანამ ანაზდად არ გამომაფხიზლა იმ აზრმა, რომ ახლა ორი გადასასვლელის შესაყართან მელოდა უკანასკნელი გამოცდა, საბოლოო და უცვლელი განაჩენის გამოტანა.

აშკარა იყო, ანა (მარგრიტი) ან თავის ჩვეულებრივი გზით უნდა წასულიყო, ან არადა, იქით გაუხვევდა, საითაც მოეხასიათებოდა, მე ხომ ვაგონში შესვლისთანავე მტკიცედ ვიცოდი: თუ ვინმე შემოვიდოდა ჩემს თამაშში და „დანფერ-როშროზე“ გადავიდოდა, ჩემს კომბინაციაში „ნასიონ-ეტუალის“ ხაზისკენ მიმავალი გადასასვლელი უნდა შემეტანა; ასევე, თუ ანა (თუ მარგრიტი) „შატლზე“ ჩავიდოდა, უფლება მეძლეოდა უკან მხოლოდ „ვენსენ-ნეისკენ“ მიმავალი გადასასვლელით გავყოლოდი. ამ გადამწყვეტ ჟამს თამაში წაგებულად ჩაითვლებოდა, თუკი ანა (თუკი მარგრიტი) „დესოს“ ხაზისკენ, ანდა ქუჩაში გასასვლელისკენ აიღებდა გეზს. ყველაფერი უცებ უნდა გადაწყვეტილიყო, ვინაიდან, სხვა სადგურებისაგან განსხვავებით, „დანფერ-როშროს“ დერეფნები ბევრი არა აქვს და კიბეს ადვილად მიჰყავს კაცი დანიშნულ ადგილამდე, ანდა რაკიღა საქმე ჩემს ბედთან თამაშს ეხება — წინასწარ დანიშნულ ადგილამდე. ვხედავდი, როგორ მიჰყვებოდა ქალიშვილი ხალხის ტალღას, როგორ თანაბრად მიაქანებდა წითელ ხელჩანთას, როგორ აბრუნებდა თავს აქეთ-იქით გზის მაჩვენებელი ცხრილების ძებნაში და მერე, წამიერი ყოყმანის შემდეგ, როგორ გაუხვია მარცხნივ, მარცხნივ კი პირდაპირ ქუჩაში გასასვლელი იყო...

არ ვიცი, სხვაგვარად როგორ გამოვთქვა — ობობებმა ლამის დამიგლიჯეს შიგნეულობა, მაგრამ პირველ ხანებში მაინც პატიოსნად მეჭირა თავი და ქალს ისე, უბრალოდ მიეყვებოდი უკან, რათა შემდეგ დავმორჩილებოდი ბედის გარდუვალობას და იქ, მაღლა მეთქვა: რას იზამ, წადი და შენს გზას ეწიე-მეთქი. მაგრამ უცებ, ზედ შუა კიბეზე მივხვდი, რომ ობობების განადგურების ერთადერთი გზა თუნდაც მხოლოდ ამ ერთადერთხელ — კანონის არად ჩაგდება და წესების დარღვევა იყო... როდესაც ანა (როდესაც მარგრიტი) აკრძალულ კიბეს აუყვა, ობობები, კუჭზე კლანჭებით რომ ჩამფრენოდნენ, უცებ ჩაწყნარდნენ და მეც დანდობილა მოვეშვი, სხეული დამიმძიმდა, თუმცა ფეხები ანგარიშმიუცემლად მაინც განაგრძობდნენ ქალის კვალდაკვალ კი-

ბის საფეხურების უკან მოტოვებას. მთელი აზრები სადღაც გამეფანტა, ერთ რამეზელა ვფიქრობდი; ჯერ კიდევ ვხედავდი მას, ვხედავდი წითელი ხელჩანთის ქნევით როგორ ადიოდა ზევით, ქუჩისკენ, შავი თმა როგორ აჰყოლოდა რიტმულად მისი ნაბიჯების ტაქტს. ჩამობნელდა. ცივმა და მძაფრმა ქარმა თოვლი და წვიმა ერთმანეთში აურია; ვიცი, ანას (მარგრიტს) არ შეშინებია, როდესაც წამოვეწიე და ვუთხარი: „შეუძლებელია ასე დავშორდეთ ერთიმეორეს, როცა ჯერ შეხვედრაც ვერ მოვასწარით".

შემდეგ, კაფეში ანამ აღიარა, მარტოდენ ანამ — ვინაიდან მარგრიტის სახე გაეფერმკრთალებინა „ჩინზანოს" რეალურობასა და წარმოთქმულ სიტყვებს — რომ ვერაფერი გაეგო, რომ მას ერქვა მარი-კლოდი, და რომ ფანჯარაში დანახულმა ჩემმა ღიმილმა თავგზა აუბნია, უნდოდა, ამდგარიყო და სხვა ადგილზე გადამჯდარიყო. რომ ზურგს უკან ჩემი ფეხის ხმა არ გაუგონია, და რომ ქუჩაში — კეთილგონიერების საწინააღმდეგოდ — სრულებითაც არ შეშინებია. ამას რომ მეუბნებოდა, „ჩინზანოს" წრუპავდა და თან გულღია ღიმილით პირდაპირ თვალებში მიყურებდა. იოტისოდენადაც არ ეტყობოდა დარცხვენა იმის გამო, რომ სადმე სხვაგან კი არა, შუა ქუჩაში, თანაც თითქმის სრულიად უყოყმანოდ, დაჰყვა ჩემს მოულოდნელ თხოვნას, შევსულიყავით კაფეში. ამ ბედნიერ წუთებში, ამ უდიდესი ნეტარების წამს მე არ შემეძლო მეამბნა მისთვის რაც მას სიგიჟედ ან მანიად შეიძლება მოსჩვენებოდა, ობივატელის გაგებით — სინამდვილეში ოღონდაც რომ იყო სიგიჟე. ველაპარაკებოდი მის ურჩ თმაზე, წითელ ხელჩანთაზე, ცხელი წყლების ავარაკების რეკლამებით მის გატაცებაზე, იმაზე, რომ იმიტომ კი არ ვუღიმოდი, რათა მწუხარე სახის უიღბლო კაცად ანდა დონ ჟუანად ვიყავი დაბადებული, უბრალოდ მინდოდა, მისთვის ყვავილები მებოძებინა, მენიშნებინა, რომ მომწონდა, რომ მასთან მგზავრობა მსიამოვნებდა, თავს დიდებულად ვგრძნობდი, და ურიგო არ იქნებოდა, კიდევ ერთი სიგარეტი, კიდევ ერთი სირჩა „ჩინზანო"... ერთი წამითაც არ გვიგვრძნია ნაძალადევობა, ისე ვსაუბრობდით, თითქოს ძველი ნაცნობები ვყოფილიყავით, თითქოს ყველაფერი ასეც უნდა მომხდარიყო, ერთმანეთს ისე შევცქეროდით, უხერხულობის ნატამალი არ გვეტყობოდა. მე მგონია, მარი-კლოდივით არც მარგრიტი დაიმორცხვებდა, ვაგონის ფანჯარაში ჩემი ღიმილისთვის რომ ეპასუხა და ტყუილუბრალოდ იმდენი არ ეფიქრა პირობითობაზე და რაღაც წინასწარ აკვიატებულზე: „არ უპასუხო" — ვინმე ქუჩაში თუ გამოგელაპარაკა, კანფეტი შემოგთავაზა, ან კინოში დაგბატიჟა. მარი-კლოდს ამასობაში სულ დავიწყებოდა „მხოლოდ მარგრიტისათვის" განკუთვნილი ჩემი ღიმილის მთელი აზრი. მარი-კლოდი ქუჩაშიც და კაფეშიც იმასაც კი ვარაუდობდა, რომ ეს კარგი ღიმილი იყო, რომ მეტროში უცნობი მარგრიტს იმისთვის სულაც არ უღიმოდა, ანკესი სხვის ოჩხში ესროლა, და რომ გაცნობის ჩემი უცნაური ხერხი იყო ერთადერთი სწორი და გონივრული, ამასთან სავსებით იმსახურებდა — ეპასუხათ „დიახ" — დიახ, შეიძლება კაფეში თითო სირჩა დავლიოთ ერთად და წავისაუბროთო.

აღარ მახსოვს რას ვუყვებოდი საკუთარ თავზე, უეჭველია, ყველაფერს, გარდა ჩემი თამაშისა, მაშასადამე, სინამდვილეში, არც თუ ისე ბევრ რამეს. ერთ მშვენიერ წამს ორივეს ერთად გაგვეცინა, ჩვენგან რომელიღაცამ პირველმა იხუმრა, მერე აღმოჩნდა, რომ ორივეს ერთი და იგივე სიგარეტი და

ქეთრინ დენიოვი გვყვარებია. მან ნება დამრთო, სახლამდე მიმეცილებინა, ყოველგვარი პრანჭვა-გრეხის გარეშე გამომიწოდა ხელი და დამთანხმდა ისევ იმ დროს და იმავე კაფეში მოსულიყო ორშაბათს. მე ტაქსი დავიჭირე და შინ დავბრუნდი, პირველად ჩავიძირე საკუთარ ანაბეჭდში, როგორც რაღაც უცნობსა და ზღაპრულ ქვეყანაში, თან ჩემთვის ვიმეორებდი: „დიახ", „მარი-კლოდი", „დანფერ-როშრო" და წარბებს მაგრად ვჭმუხნიდი, რათა კვალდაკვალ დამელანდა ქალის შავი თმა. საუბრისას მისი თავის სასაცილო რხევა და ღიმილი. ჩვენ არასოდეს არ ვაგვიანებდით, დაწვრილებით ვმსჯელობდით ფილმებზე, ვსაუბრობდით ჩვენს სამუშაოზე, ვიკვლევდით ზოგიერთ ჩვენს იდეოლოგიურ შეხედულებათა სხვადასხვაობის მიზეზებს. მას ჩემი თანდასწრებით თავი კვლავ ისე ეჭირა, თითქოს რაღაც საოცრად, სასწაულად მოსდიოდა ჭკუაში ჩვენი ამგვარი ურთიერთობა — მოკლებული ყოველგვარ ზედმეტ გულის გადახსნასა და ზედმეტ ჩაძიებას. თითქოს არც ეწადლებოდა, რომ ვილაც უგვანოს შეიძლება მსუბუქი ყოფაქცევა და თავქარიანობა დაებრალებინა მისთვის. მაგრამ, უეჭველია, უკვირდა მაინც, რომ კაფეში არა ვცდილობდი, დივანზე გვერდით მივჯდომოდი, რომ მთელი ფუადევოს ქუჩაზე მისთვის მხრებზე ერთხელაც არ გადამიხვევია ხელი, რაკიღა გავურბოდი ინტიმურობის ამ პირველ ნაბიჯს და რომ თუმცა ვიცოდი მისი საბინაო პირობები— ის მარტო ცხოვრობდა, რადგან მისი უმცროსი და მის ბინაში (მეოთხე სართულზე) არც თუ ისე ხშირად დადიოდა —არ მითხოვია ნება დაერთო, მასთან ავსულიყავ. ვაი რომ, იმას ფიქრადაც არ მოსდიოდა ობობათა არსებობა. პირველი სამი თუ ოთხი შეხვედრისას ისინი არაფერს არ მიშავებდნენ, ჭვესკნელს გაყუჩებულნი იცდიდნენ, როდის შევიცნობდი ყოველივეს, თითქოსდა ადრეც არა მქონოდა შეცნობილი ჩემი „შეცოდება", მაგრამ არსებობდა სამშაბათები, არსებობდა კაფე და არსებობდა სიხარული, რომ მარი-კლოდი უკვე იქ იყო, ან არადა, სადაც იყო, გაიღებოდა კარი და შემოიჭრებოდა ეს თავკერძა ქალიშვილი, რომელსაც წარმოდგენა არა ჰქონდა, ისე შებრძოლებოდა კვლავ გამოდვიძებულ ობობებს, თამაშის ყოველგვარი წესის დაცვას (სულ მცირე გამონაკლისის გარეშე) და მიფარავდა მარტოოდენ ხელის ოდნავი მოკარებით, წარამარა შუბლზე ჩამოშლილი თავისი ურჩი თმის კულულით. ერთხანს თითქოს რაღაცას მიხვდა, დადუმდა და მოლოდინით დამაცქერდა. მე, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მიჭირდა საკუთარი თავისთვის ძალა დამეტანებინა, რათა როგორმე სული მომეთქვა, შემეჩერებინა ობობების ხელახლა წამოწყებული ამბოხი მარი-კლოდის წინააღმდეგ, რომელიც ვერაფერს მიმხვდარიყო, იჯდა და დუმდა მოლოდინში. არა, — ისევ სჯობდა სარჩების შევსება, სიგარეტების გაბოლება და მარი-კლოდთან საუბარი, სანამ საბოლოოდ დაემკვიდრებოდა ობობათა უმეფობის ხანა; სჯობდა გამომეკითხა მარი-კლოდისათვის მისი უბრალო ცხოვრების წვრილმანი, ყოველდღიური საზრუნავი. გამომეკითხა მისი სტუდენტი დის ამბები, და ათასი სხვა რამ. ამასობაში ისე მომსურვილდებოდა ხოლმე შუბლზე ჩამოყრილი მისი შავი თმის კულული, ისე მომწყურდებოდა თვით მარი კლოდი, როგორც რაღაცის დასასრული, როგორც ცხოვრების უკანასკნელ დღეთა ჭეშმარიტად უკანასკნელი გაჩერება. მაგრამ არსებობდა ქვესკნელი, არსებობდა ნაპრალი ჩემს სკამსა და იმ დივანს შორის, სადაც შეგვეძლო ერთმანეთისათვის გვეკოცნა, სადაც ჩემს ბაგეებს შეეძლო პირველად ეგემნათ მარი-

კლოდის ტუჩების სიტკბო მანამ, სანამ ხელიხელგადახვეულები დავადგებოდით გზას მისი სახლისკენ, ავუყვებოდით კიბეს, და მხრებიდან მივაშორებდით ამ საშინელ მძიმე ტახსაცმელსა და ასეთი მტანჯველი ლოდინის ტვირთს.

და მე ყველაფერი ვუამბე მას. როგორც ახლა მახსოვს: მეტროს ვესტიბიულ-აკლდამაში მარი-კლოდი კედელს არის მიყრდნობილი, მე კი ვლაპარაკობ და ვლაპარაკობ, სახე მისი პალტოს ცხელ ღუნღლში მაქვს ჩარგული და ვერასდიდებით ვერ დამიჯერებია, რომ ჩემი მონაყოლი სიტყვა-სიტყვით ესმის, და რომ შეუძლია მიმიხვდეს რაიმეს. მე ყველაფერი გავანდე, დაწვრილებით ავუხსენი თამაში, გავუმხილე ბედნიერების ის უმნიშვნელო შანსი, რომელიც უმალ ქრებოდა, როგორც კი შევხვდებოდი პაულებს (შევხვდებოდი ოფელიებს), ვინაიდან ისინი სულ სხვა გზას ირჩევდნენ, მოვუყევი ობობების ამბავი, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, მაინც მიბრუნდებოდნენ. მარი-კლოდი ატირდა, ვგრძნობდი, როგორ აეტანა ცახცახს. მაგრამ თითქოს მაინც ცდილობდა დაევეფარე და ცივსა და უგრძნობელ კედელზე მიყრდნობილისათვის მხარი შემომეშველებინა. არაფერი უკითხავს, არ მოუნდომებია შეეტყო „რატომ" და „როდის აქეთაა"; ფიქრადაც არ მოსვლია გაეფუჭებინა ერთხელ და სამუდამოდ მომართული მექანიზმი, წასულიყო საკუთარი თავის წინააღმდეგ, წასულიყო ქალაქისა და ყველა მისი ტაბუს წინააღმდეგ. მხოლოდ ჩუმი, პატარა დაჭრილი მხეცის წკმუტუნს მიმსგავსებული ტირილი ისმოდა ობობათა მიერ ქვესკნელში გამართული ველური ბუქნაობის საწინააღმდეგო უძლური პროტესტად.

მისი სახლის სადარბაზოსთან ვუთხარი, რომ ჯერჯერობით ყველაფერი დაკარგული არ არის-მეთქი, რომ ჩვენ ორზე იყო დამოკიდებული, შედგებოდა თუ არა ჩვენი „ნამდვილი" შეხვედრა. ახლა იმანაც იცოდა თამაშის წესები და ეს წესები უკვე მარტივი ხდებოდა, ვინაიდან დღეის ამას იქით, ჩვენ მხოლოდ ერთმანეთის ძებნაში ვიქნებოდით. მან მითხრა, რომ ორ კვირას ითხოვდა შვებულებას, მეტროში თან წიგნს წამოიღებდა და მიწისქვეშა სამყაროში უფრო სწრაფად გაირბენდა საშინელი დრო; რომ მოიგონებდა ათასგვარ ხერხს და წიგნის კითხვასა თუ აფიშების თვალიერებაში გართული დამელოდებოდა. ფიქრადაც არ გვსურდა გაგვევლო აუხდენლობა სურვილისა, არ გვსურდა გვეფიქრა იმაზე, რომ ერთ ვაგონში მოხვედრა მაინცდამაინც ბევრს არაფერს ნიშნავდა; რომ ახლა უკვე არამც და არამც აღარ შეიძლებოდა თავის მოტყუება. მე ვთხოვე — არ ეღელვა, მშვიდად ემგზავრა და ტირილი არ გაებედა ამ ორი კვირის მანძილზე, სანამ ვიპოვიდი. ის უსიტყვოდ მიმიხვდა, რომ თუ ჩვენ ამ ორ კვირაში ვერ შევხვდებოდით, ანდა შევხვდებოდით, მაგრამ დერეფნები სხვადასხვა მხარეს წაგვიყვანდნენ, აღარ ექნებოდა აზრი კაფეში დაბრუნებას და მისი სახლის სადარბაზოსთან ერთმანეთისათვის ლოდინს.

ზედ ქუჩასთან გამომავალ კიბესთან, რომელიც ნათურის ყვითელ შუქს ზევით აეტყორცნა, თავის ბინაში, თავის ლოგინში მწოლიარე წარმოსახვითი მარი-კლოდის ფანჯრამდე, მე ქალს თმაზე ვაკოცე და ხელიდან ფრთხილად გავუშვი მისი თბილი ხელი. მას არ დაუწყია ჩემი ტუჩების ძებნა, ჩუმად გადგა განზე, შეტრიალდა და აუყვა კიბეს, ერთ-ერთს იმ უამრავ კიბეთაგანს, რომელიც მაშორებდა მარი-კლოდებს და მათ კვალზე ერთი ნაბიჯის გადადგმის ნებასაც არ მაძლევდა.

შინ ფეხით დავბრუნდი, ერთიანად განადგურებული და მაინც თითქოს ახალი იმედებით აღვსილი. ობობები სადღაც გამქრალიყვნენ, ისინი უკვე აღარ მაშინებდნენ, რადგან თამაშს თავიდან ვიწყებდი, როგორც დღემდე არაერთხელ დამიწყია, მაგრამ ამჯერად მარტო მარი-კლოდთან ორშაბათს დილაადრიან ჩავედი სადგურ „კურონში" და გვიან საღამოს ავბრუნდი „მაქსს დორმუაზე", სამშაბათს „კრიმერში" ჩავედი, ოთხშაბათს — „ფილიპ-ოგიუსტში", თამაშის წესებს ზუსტად ვიცავდი, თხუთმეტსადგურიან ხაზს ვირჩევდი, რომელთაგან ოთხს გადასაჯდომი სადგური ჰქონდა; პირველ მათგანზე გადასვლისას ვიცოდი, რომ „სევერ-მონრეის" ხაზისკენ უნდა წავსულიყავ, მეორეზე გადმოსვლისას კი — გეზი „კლიშ-პორტ-დოფინისკენ" უნდა ამეღო. მარშრუტის არჩევისას არ ვემორჩილებოდი არავითარ ლოგიკას, ვინაიდან ამ დროს არც შეიძლება არსებობდეს რაიმე ლოგიკა, თუმცა მარი-კლოდი, უეჭველია, სადმე თავისი სახლის იახლოსახლო, „დანფერ-როშროზე" ანდა „კორვიზარზე" გადმოვიდოდა, შეიძლება „პასტერზეც" გადმოსულიყო, რომ მერე „ფალგიერისკენ" გაჰყოლოდა მატარებელს. ჯადოქრული ხე კვლავინდებურად შლიდა თავის უხსენებლისმაგვარ ტოტებს, ხლართავდა წითელი, ლურჯი, თეთრი პუნქტირების საცთურებს. ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი... ვდგავარ, ვიცდი ბაქანზე და ვუცქერი, როგორ შემოდის მატარებელი, შვიდი თუ რვა ვაგონი, ვუყურებ როგორ ანელებენ ვაგონები სვლას, სირბილით მიეყვები მატარებელს და ძლივძლივობით ვეტენები ბოლო ვაგონში. მაგრამ მარი-კლოდი იქ არა მხვდება; გადმოვდივარ მომდევნო სადგურზე და ველოდები შემდგომ მატარებელს, ერთ გაჩერებას კიდევ გავივლი და ახლა სხვა ხაზზე გადავდივარ, მივჩერებივარ უმარიკლოდოდ ჩაქროლილ ვაგონებს, ისევ გავუშვებ ერთ-ორ მატარებელს და ვჯდები მესამეში, მივყვები ბოლო გაჩერებამდე, ვბრუნდები ერთ-ერთ სადგურში, რომელსაც გადასაჯდომი კვანძი აქვს და თავს ვირწმუნებ, რომ მხოლოდ მეოთხე მატარებელში შეიძლება ჩაჯდომა, მერე ძებნას დროებით ვწყვეტ, ავდივარ მაღლა, რათა ვისადილო, ორ-სამჯერ მაინც დავარტყა მწარე კვამლის ნაფაზი და კვლავ დავბრუნდე ძირს, ჩამოვჯდე სკამზე და დაველოდო მეორე ან მეხუთე მატარებელს. გავიდა ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, ობობები თავს აღარ მახსენებენ, ვინაიდან იმედი ჯერ არ დამიკარგავს, ვინაიდან ჯერ მაინც „შმენ-ვერის" სადგურის სკამზე ვზივარ და ვიცდი, ვიცდი ამ უბის წიგნაკით, რომელშიც ხელი უნებურად წერს მხოლოდ იმიტომ, რომ გამოვიგონო რაღაც სხვა დრო, შევაჩერო ის გრიგალი, შაბათისკენ რომ მიმაქროლებს, როცა, უეჭველია, ყველაფერი დასრულდება, როდესაც შინ მარტო დავბრუნდები, ობობები კი კვლავ გაიღვიძებენ და დამიწყებენ გააფთრებულ ღრღნას, ჩხვლეტას თუ კბენას, მომთხოვენ თამაშის განახლებას, სხვა მარი-კლოდებს, სხვა პაულებს, — ყოველი კრახისა და საბედისწერო რეციდივის შემდგომ გარდუვალ პროლოგს.

მაგრამ დღეს ჯერჯერობით ხუთშაბათია, ვიმყოფები „შმენ-ვერის" სადგურზე, ზევით, მიწაზე, ალბათ, უკვე ბინდი წვება, ჯერ კიდევ შემეძლო თავი მენუგეშებინა არცთუ ისეთი აბსურდული აზრით, რომ მეორე მატარებლის მეოთხე ვაგონში აღმოჩნდებოდა მარი-კლოდი, ის ფანჯარასთან უნდა იჯდეს, აი, მან დამინახა, წამოდგა და კივილი აღმოხდა, რომელსაც ვერავინ გაიგონებს ჩემს გარდა, — მე ეს კივილი დავინახე — და ვახტები და-

საკეტად გამზადებულ კარს, რომ რამენაირად შეეტენო გაჭედილ ვაგონში, აქეთ-იქით მივწი-მოვწიო მობუზღუნე მგზავრები, მოვყვე ბოდიშების ბურტყუნს, რომელსაც არც არავინ ელის და არც არავის სჭირდება, და ბოლოს და ბოლოს გავჩერდე ჩანთებით, ქოლგებითა და ფეხებით დაბუნძულ სკამთან. მარი-კლოდი ზედ ფანჯარასთან ზის, ნაცრისფერი პალტო აცვია, ვაგონის მკვეთრი გაქანებისაგან შავი თმის ბღუჯა ოდნავ შეუტოკდა, მუხლზე დაწყობილი ხელები კი ძლივს შესამჩნევად აუკანკალდა ნიშნად ძახილისა, რომელსაც სახელს ვერ დაარქმევ, რომელსაც, მეგონა, უმალ გავიგონებდი, უსათუოდ გავიგონებდი. არაფრის თქმა არ იყო საჭირო, ანკი რისი თქმა შეიძლებოდა ჩემსა და მარი-კლოდს შორის აღმართული გაუცხოებული სახეებისა და შავი ქოლგების კედლის აქედან. სამი გადასაჯდომი სადგურიღა დარჩა, მარი-კლოდმა ერთ-ერთი უნდა ამოირჩიოს, გაიაროს პლატფორმა, და ან რომელიმე გადასასვლელისკენ წავიდეს, ან ქუჩაში გამავალი კიბისკენ. მან არ იცის, მე რომელი გზა მაქვს არჩეული, რომელსაც ამჯერად ვერასდიდებით ველარ გადაეუხვევ. მატარებელი სადგურ „ბასტილიას" უახლოვდება, მაგრამ მარი-კლოდი მაინც ზის, ხალხი შედის და გადის, მის გვერდით თავისუფლდება ადგილი, მე ფეხს არ ვიცვლი, არ შემიძლია მის გვერდით დაჯდომა, არ შემიძლია ვიმღელვარო, ამ ქალთან ერთად მუხლების ცახცახმა ამიტანოს, ის, რასაკვირველია, საშინლად ღელავს; აი, უკან მოვიტოვეთ „ლედრიუ-როლენიც" და „ფრუადებრ-შალინიც"; მარი-კლოდმა იცის, რომ ამ უგადასასვლელებო სადგურებზე მე არ შემიძლია უკან გავყვე და განძრევისა ეშინია; თამაშში მთავარი არჩევანი „როლი-დიდროს" ანდა „დომენილის" სადგურებზე უნდა მოვახდინოთ. აი, მატარებელი უახლოვდება „რეი-დიდროს" და მე განზე ვიხედები, არ მინდა იცოდეს იმანაც, არ მიწდა მიხვდეს, რომ აქ არ ვაპირებ ჩასვლას. მატარებელი დაიძრა და ვხედავ, იგი იქვე ზის; დავერჩა უკანასკნელი იმედი: „დომენილის" მხოლოდ და მხოლოდ ერთი გადასასვლელი და ქუჩაში ერთი გასასვლელი აქვს — საქმე ან ავად წაგვივა ან კარგად, ან ჰო, ან არა.

აი, მაშინ კი შევხედეთ ერთმანეთს, მარი-კლოდი თავს მაღლა სწევს და პირდაპირ სახეში მიყურებს, შესცქერის იმ კაცის გაფითრებულ სახეს, გამწარებით რომ ჩასჭიდებია სახელურს და თვალს არ აშორებს ქალის სისხლისაგან დაწრეტილ სახეს, თვალს არ აშორებს მარი-კლოდს, წითელი ხელჩანთა რომ ჩაუხუტებია და მატარებელი „დომენილის" პლატფორმას გაუსწორდება თუ არა, უმალ წამოდგება...

კვალზე მიყოლა

საკმაოდ ჩვეულებრივი ამბავი გადმოცემული უფრო ვარჯიშის სტილით, ვიდრე სტილში ვარჯიშით, ვთქვათ, ვინმე ჰენრი ჯეიმსის[1] მიერ, ვინც შესაძლოა, ოციანი წლების ბუენოს-აირესის ან ლა-პლატის პატიოში ნება-ნება წრუპავდა მატეს.

ხორხე ფრაგა უკვე ორმოცს იყო გადაცილებული, პოეტ კლაუდიო რომეროს ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა საბოლოოდ რომ გადაწყვიტა.

[1] ჯ. ჯეიმსი (1853-1916) — ამერიკელი მწერალი.

ფრაგას ეს აზრი კაფეში დაებადა, მეგობრებთან ერთ-ერთი საუბრის დროს, როცა ყველამ ერთხმად აღიარა, დღემდე რომეროს პიროვნებაზე, მართლაც არაფერიაო ცნობილი: პოეტი რომერო, ავტორი სამი წიგნისა, ახლაც შურსა და აღფრთოვანებას რომ იწვევდა, ავტორისათვის კი ჩვენი საუკუნის დასაწყისში ხანმოკლე, მაგრამ ხმაურიანი წარმატება მოერტანა, თითქოს შენივთოდა საკუთარ პოეტურ სახეებს და არ დაეტოვებინა რაიმე ამკარა კვალი თავისი ეპოქის ლიტერატურათმცოდნეობითსა და მით უფრო, იკონოგრაფიულ შრომებში. იმდროინდელ ჟურნალებში გამოქვეყნებული სახოტბო რეცენზიებისა და სანტა-ფეს პროვინციელი ვიღაც ენთუზიასტი მასწავლებლის პაწია წიგნის გარდა, რომელიც ისე მისცემოდა ლირიკით ტკბობას, რომ ადგილი აღარ რჩებოდა ფხიზელი განსჯისათვის, არაფერი დაწერილიყო პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. თითო-ოროლა არასრულ ცნობასა და ბუნდოვან ფოტოსურათს თუ არად ჩავაგდებთ, სხვა ყველაფერი — ლიტერატურულ საღამოებზე შეთხზული ჭორები და შემთხვევითი გამომცემლების მიერ ანთოლოგიებში მოთავსებული მოკლე პანეგირიკები იყო. მაგრამ ფრაგას ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ ახლაც ბევრნი რომეროს ლექსებს ისეთივე თავდავიწყებითა და გატაცებით კითხულობდნენ, როგორც კარიეგოსა და ალფონსინ სტორნის ლექსებს. თვითონ ფრაგამ რომერო ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას აღმოაჩინა და მიუხედავად ეპიგონთა ძალისხმევისა, მათი ჭკუის დამრიგებლური კილოსი და მოძველებული სახეებისა, „რიო-პლატის მომღერლის" პოემები მას ახალგაზრდობისდროინდელ ისეთსავე დაუვიწყარ შთაბეჭდილებად ჰქცეოდა, როგორც ალმა-ფუერტე ანდა კარლოს დე ლა პუა[1]. და მაინც, ფრაგა საკმაოდ ცნობილი კრიტიკოსი და ნარკვევისტი რომ გახდა, სერიოზულად მაშინღა დაინტერესდა რომეროს შემოქმედებით და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თითქმის არაფერი იცოდა მის ადამიანურ განცდებზე, რაც გაცილებით ღრმა და ფაქიზიც კი შეიძლება ყოფილიყო, ვიდრე მისი ქმნილებები. საუკუნის გარიჟრაჟის სხვა კარგი პოეტების ლექსებისაგან კლაუდიო რომეროს ლექსები გამოირჩეოდა უშუალობით და გულითადობით, ეს კი უმალ ინადირებდა ამაო ყბედობითა და ენაწყლიანობით თავგაბეზრებული ახალგაზრდების გულს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მეგობრებთან და მოსწავლეებთან რომეროს პოემებზე საუბრისას, ფრაგას არაერთხელ დაბადებია კითხვა — პოეტის პიროვნების გარემომცველი იდუმალება ხომ არ აზვიადებს ამ პოეზიის მაგიას, რომლის იდეალები ბუნდოვანია, სათაგეები კი უცნობიო? შემდეგ, ყოველთვის სინანულით რწმუნდებოდა, რომ, მართლაც, ეს იდუმალება და პიროვნების შეუცნობლობა გაცილებით უცხოველებდა ინტერესს რომეროს თაყვანისმცემლებს, თუმცა, მისი პოეზია თავისთავად მაინც იმდენად კარგი იყო, რომ ფესვების გაშიშვლება პოეტის ღირსებას ვერაფერს დააკლებდა.

ერთხელ, როდესაც სწორედ ამგვარი შეკრების შემდეგ გამოდიოდა კაფედან, სადაც თანამოსაუბრეებმა კვლავინდებურად ზოგადი ქება-დიდება

---

[1] ე. კარიეგო და ა. სტორნი, ალმა-ფუერტე (პედრო პალასიოსი) და კ. დე ლა პუა — ჩვენი საუკუნის პირველი ათწლეულის არგენტინელი პოსტმოდერნისტული პოეზიისა და პროზის წარმომადგენლები.

მიუძღვნეს რომეროს, ფრაგამ იგრძნო ამ პოეტის აუცილებლად შესწავლის დაკონებული მოთხოვნა, მაგრამ იმასაც მიხვდა, რომ ამჯერად არ შეეძლო მარტოოდენ წმინდა ფილოლოგიური ძიებით შემოფარგლულიყო, მისთვის უმალ ნათელი შეიქნა, რომ — უნდა აღედგინა ბიოგრაფია ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით: პიროვნება, წრე, შემოქმედება მათ — განუყოფელ მთლიანობაში; თუმცაღა ამოცანა ძნელად გადასაწყვეტი ეჩვენებოდა, რადგან დროს წარსული პუნდოვანების სქელი საბურველით დაეფარა. თავდაპირველად საჭირო იყო დაწვრილებით კარტოთეკების შედგენა, მერე კი, პოეტის კვალზე მავალს თავიდან ბოლომდე მის მდევრად ქცეულს, უნდა ეცადა მთელი მასალის სინთეზირება. მხოლოდ აი, ასეთი გზით შეეძლო გაეხსნა რომეროს შემოქმედების ჭეშმარიტი აზრი.

ამ საქმისათვის ხელის მოკიდება რომ გადაწყვიტა, ფრაგა თავისი ცხოვრების კრიტიკულ ხანაში იმყოფებოდა. უკვე მოეპოვებინა ცნობილი მეცნიერის ავტორიტეტი და დოცენტის წოდება, პატივს სცემდნენ კოლეგები და სტუდენტები. იმავე დროს ცოტა ხნის წინანდელი მისი ცდა, მიეღწია ოფიციალური მხარდაჭერისათვის ევროპაში გასამგზავრებლად — იქაურ ბიბლიოთეკებში სამუშაოდ, ბიუროკრატიულ დაბრკოლებებს წააწყდა და სავალალოდაც დასრულდა. მისი პუბლიკაციები ისეთი არ გახლდათ, ფართოდ რომ უღებენ კარს სამინისტროები. მოდაში მყოფ რომანისტსა და საგაზეთო სვეტის მასშტაბის კრიტიკოსს შეეძლოთ გაცილებით მეტის იმედი ჰქონოდათ, ვიდრე მას. ფრაგას მშვენივრად ესმოდა, რომ თუკი რომეროზე დაწერილი მისი წიგნი წარმატებას მოიპოვებდა, ბევრი რთული საკითხი თავისთავად გადაიჭრებოდა. ის არ ყოფილა დიდების უზომო მოყვარული, მაგრამ აღშფოთებისაგან გულს ასკდებოდა, როცა ხედავდა, რა იოლად იტოვებდნენ უკან მარჯვე მჯღაბნელები. თავის დროზე თვითონ კლაუდიო რომეროც მწარედ განიცდიდა, „მაღალი წრის მოლექსეებისათვის" ხელმისაწვდომი რომ ხდებოდა ისეთი დიპლომატიური პოსტი, რაზედაც მას, რომეროს, უარს ეუბნებოდნენ.

ორწელიწადნახევარს ავროვებდა ფრაგა წიგნისათვის მასალას. სამუშაო არ გასძნელებია, თუმცა საჯახირო და შიგადაშიგ მომქანცველი გამოდგა. ხშირად უხდებოდა გამგზავრება პერგამინოში, სანტა-კრუსსა და მენდოსში; უხდებოდა ბიბლიოთეკარებთან და არქივარიუსებთან მიწერ-მოწერა, გაზეთებისა და ჟურნალების ქექვა, აუცილებელი რამეების ამოწერა, და ამასთან იმდროინდელი ეპოქის ლიტერატურულ მიმდინარეობათა შესწავლა. 1954 წლის ბოლოს უკვე მკაფიოდ გამოიკვეთა მომავალი წიგნის ძირითადი მიმართულება, თუმცა ფრაგას ჯერჯერობით ერთი ფრაზა, ერთი სიტყვაც არ დაეწერა.

სექტემბრის ერთ საღამოს ბარათების შავ ყუთში ახალ ბარათს რომ დებდა, უნებურად ჰკითხა საკუთარ თავს; ხომ არ აღემატებაო ჩემს შესაძლებლობას ეს ამოცანა? სიძნელეები არ აღელვებდა, უფრო პირიქით იყო— აღელვებდა სიადვილე, როგორც გატკეპნილ გზაზე სიარული. ყველა მონაცემი შეეგროვებინა და აღარაფერი საინტერესოს მიგნება აღარ იყო მოსალოდნელი, არც არგენტინის წიგნსაცავებში და არც თანამედროვეთა მოგონებებში.

მას შეეკრიბა მანამდე უცნობი თითქმის ყველა ცნობა, რასაც შეეძლო რითიმე ნათელი მოეფინა რომეროს ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის. მთავარი ახლა ის იყო, შეუცდომლად, სწორად მოეხაზა ოხრობის თანმიმდევრობა და მომავალი წიგნის კომპოზიცია.

„მაგრამ რომეროს სახე... არის თუ არა იგი ჩემთვის საკმაოდ ნათელი? — ეკითხებოდა საკუთარ თავს დაფერფლილი სიგარეტის ბოლოს მიშტერებული ფრაგა, — ჰო, ჩვენს მსოფლმხედველობათა შორის არსებობს მსგავსება. ჩვენს ესთეტიკურსა და პოეტურ გემოვნებათა შორისაც შეინიშნება გარკვეული ერთობა, არსებობს ყველაფერი, რაც აუცილებლად განაპირობებს ბიოგრაფის არჩევანს, მაგრამ სათქმელს ხომ არ ჩამომაშორებს ეს და ფაქტიურად ხომ არ მიბიძგებს საკუთარი ბიოგრაფიის შესაქმნელად?". მას უფლება ჰქონდა გამოტყდომოდა საკუთარ თავს, რომ თვითონ არასოდეს გაეჩნდა პოეტური ნიჭი, თავად პოეტი კი არა, პოეზიის მოყვარული იყო მხოლოდ და რომ მისი საკუთარი შესაძლებლობა შემოიფარგლებოდა ლიტერატურული კრიტიკით, იმ ტკბობით, რომელიც ცოდნას მოაქვს, ოღონდ, ფხიზლად უნდა ყოფილიყო, რათა პოეტის შემოქმედებითი პროცესის ანალიზისას შემთხვევით არ გაეთავისებინა სხვისი როლი. არა, არავითარი მიზეზი არ გააჩნდა, შიში გაევლო გულში რომეროსადმი სიმპათიისა და მისი პოემებით გატაცების გამო. საჭირო იყო მხოლოდ, როგორც ფოტოსურათის გადაღებისას ხდება ხოლმე, აპარატი ისე მიემარჯვებინა, რომ ჩარჩოს ობიექტისათვის ფეხები არ გადაეჭრა.

მაგრამ, როცა უკვე მის წინაშე სუფთა ქაღალდის ფურცელი იდო — იმ კარივით, რომელიც კარგა ხანია ელის გაღებას, ფრაგა კვლავ ეჭვმა შეიპყრო: გამოუვიდოდა თუ არა წიგნი ისეთი, როგორიც სურდა. პოეზიაში კრიტიკული ექსკურსიებით ცხოვრების ჩვეულებრივი აღწერა ავტორს მსუბუქ თავშემაქცევრობამდე დაშვებით ემუქრება, თუკი ისეთი ყაიდის მკითხველზე აიღებდა ორიენტაციას, რომელიც ყველა წიგნისაგან მორუსეულ კინოტრიუკებსა და სენტენციებს ელის. მეორეს მხრივ, არაფრით არ შეიძლებოდა ამ უსახელო მასობრივი მომხმარებლის დაკარგვა, რომელსაც მეგობარი სოციალისტები „ხალხს" ეძახიან; არ შეიძლებოდა მათი არად ჩაგდება თავისი ერთი მუჭა კოლეგა-ერუდიტების საამებლად. აუცილებელი იყო მასალის იმგვარად გადმოცემა, რომ წიგნს ფართო ინტერესი გამოეწვია, მაგრამ ბანალურ ბესტსელერადაც არა ქცეულიყო; ერთდროულად მოეპოვებინა სამეცნიერო საამყაროს აღიარებაც და შაბათ საღამოს სავარძელში მყუდროდ მოკალათებული ობივატელის სიყვარულიც.

დიახ, თითქოსდა ფაუსტის განცდები, გარიგების წუთები ყოფილიყოს. ფანჯრის მილმა რიჟრაჟი იდგა, მაგიდაზე — ნამწვთა გროვა, ულონოდ მოწყვეტილ ხელში ღვინის ბაკალი შერჩენოდა. „ღვინოვ, ხელთათმანივით შენც დროს ფარავ", — წერდა სადღაც კლაუდიო რომერო.

„რატომაც არა, — უთხრა საკუთარ თავს ფრაგამ და სიგარეტი გააბოლა, — ახლა რომეროზე ჩემდენი თითქმის არავინ იცის და უდიდესი სისულელე იქნებოდა, ჩვეულებრივი, რაღაც სამას ეგზემპლარიანი ტირაჟით გამოსაცემი მოთხრობის დასაწერად შემეწუხებინა თავი; მაგისთანა რამეებს არც ხუარესი და რიკარდო გამოაცხობენ ჩემზე ურიგოდ. სუსანა მარკესზე კი ძეხორციელს დღემდე არაფერი არა სმენია".

კლაუდიო რომეროს გარდაცვლილი მეგობრის უმცროსი ძმის, ბრაგადოელი მომრიგებელი მოსამართლის უნებურად წამოცდენილმა სიტყვამ ფრაგა საგულისხმო კვალზე დააყენა. ქ. ლა-პლატის მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო ბიუროს ჩინოვნიკმა კარგა ხნის ძებნის შემდეგ მოუნახა მას პილარეში სასურველი მისამართი. სუსანა მარკესის ქალიშვილი ოცდაათიოდე წლის ჩაფუნთუშებული, პატარა ტანის ქალი აღმოჩნდა; თავდაპირველად მოუცლელობის მოსაბაბებით (მწვანილეულობის დუქანში ვაჭრობდა), იგი შეეცადა თავი აერიდებინა ფრაგასთან საუბრისათვის, მაგრამ მერე ოთახში შეიპატიჟა, მტვრიან სავარძელზე მიუთითა და საუბარზე დათანხმდა. პირველი შეკითხვის შემდეგ ქალი ერთხანს დუმილით მიაშტერდა ფრაგას, მერე გულამოსკვნილი ასლუკუნდა და ცრემლების წმენდით დაიწყო თავისი საბრალო დედის ამბის თხრობა. ფრაგამ შეცბუნება დასძლია და გადაკვრით უთხრა, კლაუდიო რომეროსა და სუსანას ურთიერთობის ამბავი ყურმოკრულად მსმენიაო, მერე კი, სათანადო დელიკატურობით, ცოტაოდენი წაიფილოსოფა კიდეც იმის თაობაზე, რომ პოეტის სიყვარული ხშირად გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ქორწინების მოწმობა. კიდევ რამდენიმე ამგვარი ქათინაურის შემდეგ ქალმა ირწმუნა მისი სიტყვები და გულჩუყებულმა საიდუმლოც გაანდო. ცოტა ხნის შემდეგ ქალს ხელში ეჭირა ორი ფოტოსურათი — ერთი რომეროს იშვიათი, გამოუქვეყნებელი სურათი, მეორე გაყვითლებული ფოტოსურათი, სადაც რომეროს გვერდით იჯდა თავისი ქალიშვილივით ჩაფუნთუშებული, სანდომიანი ქალი.

— წერილებიც მაქვს, ეგენ გამოგადგეთ, თუკი, როგორც ბრძანეთ, მართლაც აპირებთ რაიმეს დაწერას... — თქვა რაქელ მარკესმა.

ის დიდხანს იქექებოდა ნოტების თაროებზე დახვავებულ ქაღალდებში, ბოლოს ფრაგას სამი წერილი გაუწოდა. ფრაგა დარწმუნდა თუ არა, ხელნაწერი ნამდვილად რომეროსიაო, წერილები უმალ პორთფელში შეინახა. საუბრისას უკვე მიხვდა, რაქელი არ იყო პოეტის ქალიშვილი, რადგან პირველსავე წინდახედულ შეკითხვაზე ქალმა, ვითომცდა ჩაფიქრებულმა, თავი ძირს დახარა და დუმილი ირჩია. მერე თქვა, რომ დედამისი ცოლად გაჰყვა ერთ ბალიკარსელ ოფიცერს (ფანხიოს[1] თანამემამულეს, თითქოს ნათქვამის დასადასტურებლად დაუმატა მან), რომ ორივენი მაშინ დაიხოცნენ, როცა თვითონ რვა წლისა იყო, და რომ დედა კარგად ახსოვდა, მამა კი — თითქმის არა, სიმკაცრით კი ნამდვილად მკაცრი იყო.

ფრაგამ ბუენოს-აირესში დაბრუნებისთანავე წაიკითხა სუსანასადმი მიწერილი კლაუდიო რომეროს წერილები — და მოზაიკური სურათის ბოლო ნაწილში ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დალაგდა; მას მოულოდნელად ხელთ შერჩა სრულიად დასრულებული კომპოზიცია, გაიხსნა დრამა, დრამა, რომელიც პოეტის უმეცარსა და ფარისეველ თაობას ფიქრადაც არ მოუვიდოდა. 1917 წელს რომეროს გამოაქვეყნა ირენი პასისადმი მიძღვნილი რამდენიმე პოემა, მათ შორის ცნობილი „ოდა შენს ორმაგ სახელს"[2], რომელიც კრიტიკამ სიყვარულის ყველაზე მშვენიერ პოემად აღიარა არგენტინაში მანამდე დაწერილ პოემათა შორის. ამავე დროს ამ პოემის გამოჩენამდე ერთი

---

[1] ცნობილი არგენტინელი ავტომსრბოლელი 50-იან წლებში.

[2] Paz — მშვიდობა, მყუდროება (ესპ.).

წლით ადრე მეორე ქალი ღებულობს რომეროს საუკეთესო პოეტურ ქმნილებათა სულისკვეთებით გამსჭვალულ, ეგზალტაციითა და თავგანწირულობით აღსავსე სამ წერილს, სადაც ავტორს, ბერძნული გუნდის მთავარი გმირივით, ერთდროულად საკუთარი სულიც გაეშიშვლებინა და თავისი ბედ-იღბლის გადაწყვეტაც ედვა თავს. წერილების წაკითხვამდე ფრაგა-ვარაუდობდა, რომ ეს იქნებოდა ინტიმური გრძნობების სარკისებურად ამრეკლავი, ჩვეულებრივი სასიყვარულო მიმოწერა, რომელსაც მარტოოდენ ორი ადამიანისათვის აქვს პოლმე მნიშვნელობა, სინამდვილე სხვაგვარი გამოდგა — ის ყოველ ფრაზაში პოულობდა დიდი პოეტისათვის ნიშანდობლივ სულიერ სამყაროს, სიყვარულის ყოვლისმომცველი აღქმის ძალმოსილებას. სუსანა მარკესისადმი რომეროს ვნება პოეტს სრულებითაც არა სწყვეტდა დედამიწისაგან, პირიქით, ყოველ სტრიქონში იგრძნობოდა ზოგადკაცობრიული მღელვარება — რაც კიდევ უფრო ამაღლებდა საყვარელ ქალს — იგრძნობოდა ცხოვრებისეული, მებრძოლი პოეზიის თვითდამკვიდრება და გამართლება.

ამბავს თავისთავად რთული არ ეთქმოდა. რომეროს სუსანა გაუცვნია ლა-პლატის ერთ, არც თუ საჩინო ლიტერატურულ სალონში და მათი რომანი ემთხვეოდა პოეტის თითქმის სრულ დუმილს. დუმილს, რომელსაც მისი ვიწროშუბლა ბიოგრაფები ვერაფრით ხსნიდნენ, ანდა იმას აბრალებდნენ, რომ ჭლექის პირველი ნიშნები იმ ხანებში გამოაჩნდაო, რამაც ორი წლის შემდეგ სამარეშიც ჩაიყვანა. საშუალო სკოლის უმუშევარი მასწავლებლის, მოხუცი და ღარიბი მშობლების ერთადერთი ქალიშვილის, თაყვანისმცემელ მამაკაცთა წრეს მოკლებული სუსანა მარკესის არსებობის შესახებ არავინ არაფერი არ იცოდა — თითქოსდა იგი მაშინაც, როგორც შემდეგში, მხოლოდ და მხოლოდ ბუნდოვანი გამოსახულება ყოფილიყოს ფერგადასულ ფოტოსურათზე, სურათიდან კი მარტოოდენ ვეება, შეშინებული თვალები იცქირებოდნენ. პოეტის მოღვაწეობის ხანა, როდესაც იგი აღარ მონაწილეობდა ლა-პლატის ლიტერატურულ საღამოზე, დაემთხვა ევროპის ომის მეტად დრამატულ პერიოდს, ახალი საზოგადოებრივი ინტერესების ჯამოღვიძებას, ახალი პოეტური ხმების გამოჩენას. ამიტომაც ფრაგას შეეძლო თავი ბედნიერად ჩაეთვალა, პროვინციის მომრიგებელი მოსამართლის მიერ გაკვრით ნათქვამი სიტყვების გამო. ჩაავლო თუ არა ხელი ამ უწვრილეს ძაფს, ფრაგამ მიაკვლია ბურაკოს ერთ პირქუშ სახლს, სადაც რომეროსა და სუსანას თითქმის ორი წელი გაეტარებინათ; რაქელის მიერ მისთვის გადაცემული წერილები ამ ორწლიანი პერიოდის ბოლო ხანებს ეკუთვნოდა. ლა-პლატის შტამპელიანი პირველი ბარათი გაგრძელება ჩანდა ადრე გაგზავნილი წერილისა, სადაც, ეტყობა, პოეტისა და სუსანას შესაძლო ქორწინებაზე უნდა ყოფილიყო საუბარი. ახლა პოეტი დიდ სინანულს გამოთქვამდა თავისი ავადმყოფობის გამო და ფიქრადაც არ სურდა გაევლო სუსანაზე დაქორწინება, ვისაც, ვაი რომ, მესასთუმლის ბედი უფრო ელოდა, ვიდრე მეუღლისა. მეორე წერილმა ის პირდაპირ აღაფრთოვანა: მგზნებარე ფიცი ადგილს უთმობდა რაღაც არაჩვეულებრივ, ამაღელვებელ, გულწრფელ მუდარას, თითქოსდა რომერო ცდილობდა, როგორმე ჩაეგონებინა თავისი მიჯნურისათვის, რათა მასსავით შეგნებულად შეგუებოდა ტრაგედიას და მედგრად გადაეტანა სულიერი ტკივილი. ერთ პატარა ნაწყვეტში ყველაფერი იყო ნათქვამი: „ჩვენს ცხოვრებასთან არავის ესაქმება, გირჩევ, თავისუფლება ამჯობინო და დუმილი დაიცვა.

მაშინ ჩვენ, ქორწინების უღლისაგან თავისუფალი, კიდევ უფრო ძლიერი და სამარადჟამო კავშირი შეგვაერთებს. კანონით შეუღლებისას მე მუდამ შენს ჯალათად ვიგრძნობდი თავს, როგორც კი ჩემს სავანეში ვარდებით ხელდამშვენებულს დაგინახავდი", მერე იქვე მკაცრად დასძენდა: „მე არა მსურს პირში გახველო, არა მსურს ოფლსა მწმენდდე, შენ სხვა სხეულის მოწამე იყავი, მეც სხვა ყვავილებს გთავაზობდი. ღამე მხოლოდ მე ერთს მჭირდება და ნებას არ მოგცემ მიყურებდე, როგორა ვტირი". მესამე წერილი გაცილებით მშვიდ კილოზე იყო დაწერილი. ჩანს, სუსანა უკვე დათანხმდა, მიეღო პოეტის მსხვერპლი. ერთ ადგილას ნათქვამი იყო: „შენ ირწმუნები, მოგაჯადოვე ღა გაიძულებ, დაჰყვე ჩემს ნებას... მაგრამ ეს ნება — მომავალია შენი და უფლება მომეცი, დავთესო ეს თესლი, რაც სამაგიერო ჯილდოს მომაგებს უაზრო სიკვდილისთვის".

ფრაგას მიერ დადგენილი ქრონოლოგიის მიხედვით მონოტონურ-მშვიდ კალაპოტში მოქცეული კლაუდიო რომეროს ცხოვრება ამ ხანებში უშფოთველად მიედინებოდა მშობლიური სახლის კედლებს შორის. აღარაფერი ამქვეყნებდა სუსანა მარკესთან მის შემდგომ შეხვედრებს, მაგრამ საწინააღმდეგოს მტკიცებაც ძნელი იყო. თუმცა იმის საუკეთესო საბუთად, რომ შედგა რომეროს თავგანწირვა და სუსანამ, ბოლოს და ბოლოს, ავადმყოფ ადამიანთან ცხოვრების დაკავშირებას თავისუფლება არჩია, რომეროს პოეტური ცის კაბადონზე ახალი, საოცრად კაშკაშა ვარსკვლავის გამოჩენაც იკმარებდა. ამ მიმოწერისა და სუსანასთან განშორებიდან ერთი წლის შემდეგ ბუენოს-აირესის ერთ-ერთ ჟურნალში გამოჩნდა ირენი პასისადმი მიძღვნილი „ოდა შენს ორმაგ სახელს". რომეროს, ეტყობოდა, ჯანმრთელობა გაუუმჯობესდა და პოემამ, რომელსაც პოეტი თავად კითხულობდა სხვადასხვა სალონში, იგი უეცრად დიდების მწვერვალზე აიყვანა, იმ დიდებისა, რომელიც თანდათანობით იჭედებოდა პოეტის მთელი ადრეული შემოქმედებით. ბაირონის მსგავსად, მასაც შეეძლო ერთ მშვენიერ დილას ეთქვა, რომ სახელგანთქმულს გამოეღვიძა, — და აკი თქვა კიდეც სინიდისის უქენჯნელად. მიუხედავად ამისა ირენი პასისადმი აღძრული პოეტის ვნება უპასუხო დარჩენილა და ამიტომაც, მალალი საზოგადოების ურთიერთგამომრიცხველი ზოგიერთი ჭორის მიხედვით, რასაც იმდროინდელ ღირსეულ ადამიანთა თადარიგიანობის წყალობით მოეღწია შთამომავლობამდე, პოეტის პრესტიჟი სერიოზულად შელახულა, თვითონ კი, მეგობრებისა და თაყვანისმცემლებისაგან მიტოვებული, კვლავ მშობლიურ ჭერქვეშ განმარტოებულა. მალე გამოდის პოეტ რომეროს უკანასკნელი კრებული. რამდენიმე თვის შემდეგ მას პირდაპირ ქუჩაში ულებინებია სისხლი და სამ კვირაში კიდეც გარდაცვლილა. დაკრძალვაზე ბევრ მწერალს მოუყრია თავი, მაგრამ როგორც ნეკროლოგები და ქრონიკები იუწყებიან, იმ სამყაროს, რომელსაც ირენი პასი ეკუთვნოდა, არ გაუცილებია პოეტი თავის უკანასკნელ გზაზე და მისი ხსოვნისათვის არ უცია პატივი, რაც, ასე თუ ისე, მაინც მოსალოდნელი იყო.

ფრაგას არ გასჭირვებია იმის წარმოდგენა, რომ ირენი პასისადმი რომეროს სიყვარულს შეეძლება ერთნაირად პატივისცემაც გამოეწვია ბუენოს-აირესისა და ლა-პლატის არისტოკრატიაში და სირცხვილშიც ჩაეგდო. თვითონ ირენზე კი ვერა და ვერ შეიქმნა ნათელი წარმოდგენა. ფოტოსურათს თუ დაუჯერებდა, ღამაზი უნდა ყოფილიყო ოცი წლის ასაკში, დანარჩენ

ცნობების ამოკრეფა მხოლოდ მაღალი საზოგადოების საგაზეთო ქრონიკებიდან შეიძლება მოეხერხებინა. ძნელი წარმოსადგენი მაინც არ იყო, როგორ უნდა დამყარებულიყო ურთიერთობა რომეროსა და პასების ოჯახის ტრადიციების თავგამოდებულ დამცველ ქალიშვილს შორის; ქალი, უეჭველია, პოეტს რომელიმე იმ საღამოზე შეხვდებოდა, რომელსაც დრო და დრო მისი მშობლები აწყობდნენ ხოლმე, რათა მოესმინათ, როგორც თავად იტყოდნენ, მოდური „მგოსნებისა“ და „არტისტებისათვის“, თანაც წინწკლებში ჩასმული სიტყვების წარმოთქმისას ხმას ალბათ გამომწვევად მიმოაქცევდნენ. მოიხიბლა თუ არა ქალიშვილი „ოდით“, აიძულა თუ არა მშვენიერმა სათაურმა, ერწმუნა ჭეშმარიტება დამაბრმავებელი ვნებისა, „ამქვეყნიური ცხოვრების უამურობის“ არაფრად ჩაგდებისკენ რომ მოუხმობდა, — ამაზე პასუხის გაცემა ალბათ მხოლოდ რომეროს შეეძლო, თანაც სათუოა, რომ ეს პასუხი დადებითი იქნებოდა. მაგრამ ფრაგა თვითონვე მიხვდა, აქ თავსამტვრევი არაფერი იყო, და რომ ამ თემას არ ჭირდებოდა შემდგომი განვითარება. კლაუდიო რომერო საკმაოდ ჭკვიანი გახლდათ საიმისოდ, რათა თუნდაც წუთით ერწმუნა საპასუხო გრძნობის შესაძლებლობა. მათ შორის არსებული სოციალური უფსკრული და ათასგვარი დაბრკოლება, თავისი კასტის ერთგული დამცველის — თვით ირენისა და მისი არისტოკრატიული ოჯახის მიერ აღმართული ორმაგკედლიანი საპყრობილე, სადაც ირენი იყო გამომწყვდეული, ქალს იმთავითვე მიუწვდომელს ხდიდა ფრაგასათვის. „ოდის“ კილოც არა ტოვებდა საამისოდ ეჭვს, მის ზეიმურ ამაღლებულობას არავითარი საერთო არა ჰქონდა პოეტის სასიყვარულო ლირიკასთან. რომერო პოემაში თავის თავს „თოვლისებრ ქათქათას ფეხითით დაცემულ იკაროსს“ უწოდებს — აქ რომერო ჟურნალ „კარასა და კარეტას“ ერთ-ერთი კორიფეს მიერ მისთვის შერქმეულ სახუმარო მეტსახელს იყენებს, თვითონ პოემა კი სხვა არაფერს მოასწავებდა, თუ არა მიუწვდომელი იდეალისადმი წარმოუდგენლად უზომო სწრაფვას, რის გამოც მოიპოვა არაჩვეულებრივი მშვენიერება: პოეზიით ფრთაშესხმული ადამიანის სასოწარკვეთილმა სწრაფვამ მზისაკენ, რომელმაც იგი დაწვა და დაფერფლა. პოეტის სიკვდილისწინა განმარტოება და დუმილი დამაგვირგვინებელი ტრაგიკული ეტაპი იყო მისი თავგანწირულობისა და დედამიწაზე სავალალო დაბრუნებისა, რომლისგანაც მოწყვეტას ცდილობდა რეალობისაგან დაშორებულ თავის ოცნებებში.

„დიახ, — გაიფიქრა ფრაგამ და ღვინო დაისხა, — ყველაფერი ერთმანეთს ემთხვევა, ყველაფერი თავის რიგზეა. ისღა დამრჩენია, წერას შევუდგე“.

„ერთი არგენტინელი პოეტის ცხოვრების“ წარმატებამ, როგორც ავტორის, ისე გამომცემელთა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პირველ ორ კვირაში თითქმის არავითარი კომენტარი არ დაბეჭდილა, მაგრამ შემდეგ გაზეთ „ლა როსინის“ ფურცლებზე უცებ გამოჩნდა ქების რეცენზია და გამოცოცხლდა დედაქალაქის ფლეგმატური და აზრის გამოთქმაში წინდახედული საზოგადოება: უმნიშვნელო უმცირესობის გამოკლებით, ყველა ამ წიგნზე ლაპარაკობდა. ჟურნალი „სური“, გაზეთი „ლა ნასიონი“, გავლენიანი პროვინციული პრესა ენთუზიაზმით მსჯელობდნენ სენსაციურ სიახლეზე, რაც ანაზდეულად ქცეულიყო ყოველი თავშეყრის საუბრის თემად. გამოქვეყნე-

ბულმა ორმა ცხარე დისკუსიამ (რომეროზე დარიოს[1] გავლენასა და ქრონოლოგიის უტყუარობას რომ შეეხებოდა) კიდევ უფრო გააცხოველა საზოგადოების ინტერესი. პოეტის ცხოვრების პირველი გამოცემა ორ თვეში გასაღდა, მეორე — თვე-ნახევარში. ფრაგამ ვერ გაუძლო ოქროს კერპის ცდუნებას, ანგარიში გაუწია ვითარებას და შექმნა „პოეტის ცხოვრების" სასცენო რედაქცია და რადიოკომპოზიცია. ეტყობა, დგებოდა მომენტი, როცა ხაწარმოების გარშემო ატეხილი ხმაური და ვნებათა ქარტეხილი პიკს აღწევს ხოლმე —ანდა, თუ გნებავთ, აღწევს იმ სახიფათო მწვერვალს, საიდანაც ამოტივტივებას იწყებს საზოგადოების მორიგი რჩეული. ამ არასასიამოვნო აუცილებლობის გამო თითქოსდა ამის კომპენსაციისათვის ფრაგას ეროვნული პრემია მიანიჭეს; თუმცა ეს არ მომხდარა მისი ორი მეგობრის დაუხმარებლად, რომლებმაც დაასწრეს ტელეფონის პირველ წკრიალს, დაასწრეს უამრავ მომლოცველს და ყველაზე ადრე ახარეს ახალი ამბავი. ფრაგამ სიცილით თქვა, ანდრე ჟიდისთვის ნობელის პრემიის მინიჭებას ხელი სულაც არ შეუშლია, იმავე სალამოს წასულიყო და ფერ'ანდელის მონაწილეობით ფილმი ენახაო. შესაძლოა სწორედ ამიტომაც დაიმალა სასწრაფოდ მეგობრის სახლში და იქიდან ისეთი გულგრილობით ადევნებდა თვალყურს, როგორ იგრაგნებოდა საზოგადოების აღფრთოვანების მეცხრე ტალღა, რომ თვით სტუმარი-მოყვარე „სატუსალის ზემდეგს" არაბუნებრივად და ლამის ფარისეველურად მოეჩვენა ასეთი საქციელი. მაგრამ ფრაგას იმ დღეებში ფიქრისათვის თავი ვერ დაეღწია. მას თანდათან ეძალებოდა გაფრქვეველი სურვილი, განცალკევებულიყო ხალხისაგან და გამიჯნოდა პოპულარულ საკუთარ „მეს", რომლის შესახებ გაჰკიოდნენ გაზეთები თუ რადიო, გამიჯნოდა სახელგანთქმულობას, რომელსაც გადაელახა ბუენოს-აირესის საზღვრები, მიეღწია პროვინციულ ინტელიგენციამდე და ლამის სამამულო კულტურის სფეროს ფარგლებსაც კი გასცდენოდა. ეროვნული პრემია თითქოს ცით მოვლენილი მადლი კი არა, რაღაც სატისფაქცია ყოფილიყოს. ახლა აღარც სხვა რამ დარჩებოდა ცხრა მთას იქით — ის, რაც, სიმართლე რომ ითქვას, ყველაზე მეტად შთააგონებდა მას „პოეტის ცხოვრების" წერის დროს. არც შემცდარა: ერთი კვირის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრმა შინ მიიწვია („ჩვენ, დიპლომატებმა, ვიცითო, რომ კარგ მწერლებს არ იზიდავთ ოფიციალური მიღება") და ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში კულტურის ატაშეს პოსტი შესთავაზა.

ფრაგას თავი სიზმარში ეგონა და ისე დარღვეოდა ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი, რომ თავს ძალას ატანდა დიდების კიბის მომდევნო საფეხურზე ასასვლელად. პირველი ინტერვიუს, გამომცემელთა პირველი გაღიმებისა და მოფერების შემდეგ, ლიტერატურულ წრეებსა და საზოგადოებებში პირველი მიწვევის შემდეგ მან, ბოლოს და ბოლოს, კიბის იმ მოედნამდე მიაღწია, საიდანაც თითქმის თავდაუდრეკლად შეეძლო თვალი მოევლო მაღალი საზოგადოების ლიტერატურული სამყაროსათვის, ლამის მის მბრძანებლად ეგრძნო თავი და ძირიძირობამდე, თოვლივით ქათქათა გულისპირებიანად და შინშილის ტახტრევანდებიანად განეჩხრიკა ლიტერატურის მეცენატი კაცები თუ

---

[1] ლაპარაკია XX საუკუნის დასაწყისის ლათინური ამერიკის უდიდეს პოეტზე, რუბენ დარიოზე.

ქალები, ბატის ღვიძლის პაშტეტიან ბუტერბროდებს რომ ლოღნიან და ისე მსჯელობენ დილან ტომასზე. სადღაც შორს კი —ან იქვე ახლოს, რაც დამოკიდებული იყო იმჟამინდელ თვალსაზრისსა თუ განწყობილებაზე — ის ხედავდა გაზეთის მშთანთქმელთა, ტელემაყურებელთა თუ რადიომსმენელთა გამოყეყეჩებულსა და მორჩილ ბრბოს, რომელთა უმრავლესობასაც არ გაეგება რისთვის ან რატომ ემორჩილება მოთხოვნილებას — იყიდოს სარეცხის ძანქანა, ანდა დიდტანიანი რომანი — ორმოცდაათი კუბური სანტიმეტრის მოცულობის ან სამას ოცდარვაფურცლიანი საგანი — და მაინც ყიდულობს, დაუყოვნებლივ იტაცებს, ზოგჯერ არსობის პურსაც სწირავს, და მიარბენინებს შინ, სადაც მეუღლეცა და ბავშვებიც სულმოუთქმელად ელიან „ამას“, იმიტომ, რომ „ეს“ უკვე აქვს მეზობელს, იმიტომ, რომ დედაქალაქის რადიოსადგურ „ელ მუნდოს“ პოპულარულმა მიმომხილველმა თავის გამოსვლაში, ზუსტად თერთმეტ საათსა და ორმოცდათხუთმეტ წუთზე „ის“ კვლავ ცამდე აიყვანა. ყველაზე საოცარი ის იყო, რომ მისი წიგნი მოხვდა შესაძენად და წასაკითხად რეკომენდირებულ ნაწარმოებთა კატალოგში, თუმცა მანამდე კლაუდიო რომეროს ცხოვრება და შემოქმედება მარტოოდენ ინტელექტუალებს, ესე იგი, პრაქტიკულად ძალზე ცოტა ვინმეს აინტერესებდა. როდესაც ფრაგა კვლავ იგრძნობდა ხოლმე საკუთარ თავთან განცალკევების აუცილებლობას, ე.ი., გარშემო დატრიალებული ამბების გასააზრებლად (ახლა ჯერი კინოპროდიუსერებთან მოლაპარაკებაზე მიმდგარიყო) თავდაპირველი გაოცება თანდათანობით ადგილს უთმობდა რაღაც საგანგაშო მოლოდინს, თუმცა შეუძლებელი იყო, წინ სხვა რამ დახვედროდა, გარდა დიდების კიბის მომდევნო საფეხურისა; თუკი ანგარიშში არ ჩავაგდებთ იმ გარდუვალ დღეს, როდესაც, როგორც ბალის პატარა ხიდებზე ხდება ხოლმე, აღმართის უკანასკნელ საფეხურს, მოჰყვებოდა პირველი საფეხური — ღირსეული სვლა ქვემოთ, მოყირჭებული საზოგადოებისაკენ, რომელიც ახალი ემოციების ძიებაში, პირს იბრუნებდა მისგან. იმ ხანებში, როდესაც ეროვნული პრემიის გადაცემის ცერემონიალზე გამოსასვლელი სიტყვის დასაწერად განცალკევებას აპირებდა, მთელი მისი შეგრძნება, უკანასკნელ კვირათა განმავლობაში მიღწეული თავბრუდამხვევი წარმატებიდან მოკიდებული, ერწყმოდა რაღაც ირონიულ თვითკმაყოფილებას, რის გამოც ტრიუმფიც თავისებურ ანგარიშგებად ეჩვენებოდა, ამასთან ერთად, კიდევ უფრო აღონებდა მოძალებული შეუცნობელი მღელვარება, ანაზდეულად სულით-ხორცამდე რომ მოიცავდა ხოლმე და იმ ნაპირისკენ გაქანებით ემუქრებოდა, საითკენაც გეზის აღებას გადაჭრით ეურჩებოდა საღი აზრი და თავდაცვის გუმანი. მას იმედი ჰქონდა, რომ გამოსასვლელი ტექსტის მომზადება დაუბრუნებდა შრომის სიხარულს და სამუშაოდ ოფელია ფერნანდესის მამულში გაემგზავრა, სადაც თავს მუდამ კარგად და უდარდელად გრძნობდა.

ზაფხულის მიწურული იდგა, პარკი შემოდგომის ფერებით მორთულიყო, ფრაგა აივნიდან ტკბებოდა მისი მზერით, თანაც ოფელიასთან გაება საუბარი და ძაღლს ეფერებოდა. კარტოთეკებით სავსე მისი სამუშაო მაგიდა პირველ სართულზე იდგა. ფრაგამ თავისკენ მიიცურა მთავარი ყუთი და პიანისტის მსგავსად, დასაკრავად რომ ცდილობს განაწყოს თავი, თითებით დაბნეულად ისე გადასინჯა მოშარიშურე ბარათები, თან იმეორებდა, რომ ყველაფერი რიგზეა, რომ მიუხედავად ვულგარული პრაქტიციზმისა, გარდუვალი იყო

მიღწეული დიდი ლიტერატურული წარმატება, რომ „პოეტის ცხოვრება“ ღირსეულ ნაღვაწს, სამშობლოსა და ერისათვის მიძღვნას წარმოადგენდა და შეეძლო გულარხეინად შესდგომოდა გამოსასვლელი სიტყვის წერას. მიეღო პრემია და თადარიგი დაეჭირა ევროპაში გასამგზავრებლად. თარიღები და ციფრები ხელშეკრულების პარაგრაფებთან და სადილზე მიწვევის საათებთან დომხალივით ერეოდა თავში. სადაცაა მოვიდოდა ოფელიაც, მოიტანდა ერთ ბოთლ ხერესს, უსიტყვოდ დაჯდებოდა მოშორებით და მის მუშაობას ინტერესით დაუწყებდა ყურებას. ყველაფერი მშვენივრად აეწყო, ისღა დარჩენია, აიღოს ქაღალდის ფურცელი, ახლოს მიიცუროს ლამპა და მოუკიდოს სიგარეტს; თან ყური მიუგდოს, როგორ ჭყივის სადღაც ჩიტი ტერო.

შემდეგ მას ვერასდიდებით ვეღარ გაეხსენებინა — სწორედ იმ წამს შეიცნო ჭეშმარიტება თუ უფრო გვიან, როდესაც ოფელიასთან ერთად იწვა ლოგინში, ტკბებოდნენ სიყვარულით, სიგარეტს აბოლებდნენ და ფანჯრიდან შესცქეროდნენ პატარა მწვანე ვარსკვლავს. ათვალწუნების გრძნობამ, ასე დავარქვათ მას (თუმცაღა, შეგრძნების ზუსტ სახელდებას, ანდა მის არსს არა ჰქონია მნიშვნელობა), შეიძლება თავი იჩინა გამოსასვლელი ტექსტის პირველი ფრაზის დაწერისთანავე, რომელიც დაწყებით ოთლად დაიწყო, მაგრამ შეფერხდა იმ ადგილას, საიდანაც ყველაფერი ჯანდაბას იქით გაუდგა გზას და აზრი დაკარგა, თითქოსდა ჭარს გაეყოლებინოს. შემდეგ შეწყდა კალმის წრიპინი და მკვდრულმა სიჩუმემ დაისადგურა — დიახ, ეტყობა, ასეა: იმ პატარა სასტუმრო ოთახიდან გამოსვლისთანავე იცოდა უკვე ყველაფერი, იცოდა, მაგრამ არა სურდა თავს გამოტყდომოდა, და ეს სიჩუმე საფეთქლებზე ისე აწვებოდა, როგორც შაკიკის შემოტევისას ანდა გრიპის შეყრის წინ იცის.

ანაზდეულად, სულიერი შეჭირვების რაღაც მოუხელთებელ წამს, ბუნდოვანების ბნელი საბურველი სადღაც გაქრა და რწმენად იქცა: „პოეტის ცხოვრება“ თავიდან ბოლომდე გამოგონილია, კლაუდიო რომეროს ამბავს არაფერი აქვს საერთო მთელ მის ნაჯღაბნთან. არ არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება, არ არსებობს პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი, და მაინც ბიოგრაფია — გამოგონილია თავიდან ბოლომდე; კლაუდიო რომეროს არ გაუწირავს თავი სუსანა მარკესის გულისათვის, თავგანწირვის ფასად არ დაუბრუნებია მისთვის თავისუფლება და არც იკაროსი ყოფილა ირენი პასის თოვლივით ქათქათა ფეხთით დაცემული. ის კი, ბიოგრაფი, დინების წყალქვეშ თითქოს აღმა მიჰყვებოდა, თავის ამოყოფის ძალა არ შესწევდა, რადგან არ სურდა, ტალღებს პირდაპირ სახეში ერტყა, — და მან იცოდა სიმართლე. მაგრამ წამება ამით არ დამთავრებულა: უკან, დინების ქვემოთ მღვრიე და ჭუჭყიანი ყურის ფსკერზე დალექილიყო რწმენა იმისა, რომ მან იმთავითვე იცოდა სიმართლე.

უსარგებლოდ მოეჩვენა მეორე სიგარეტის მოწევა, ატრუებული ნერვების დადანაშაულება, სიბნელეში ოფელიას თხელი, დამყოლი ტუჩების კოცნა. უსარგებლოდ მოეჩვენა საკუთარი თავისათვის იმის თქმა, რომ თავისი გმირით მეტისმეტად გატაცებისაგან აგზნებულს ვონება დაუბნელდა, რომ მისი ულონობა შეიძლება გამართლებულიყო თავდაუზოგავად დახარჯული ენერ-

გიით. ოფელიას ხელი ნაზად ესათუთებოდა ჩკერდზე, მისი ცხელი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი სუნთქვა ზედ ყურის ძირთან ულიტინებდა, მას კი მაინც ჩაეძინა.

დილით კარტოთეკების ღია ყუთსა და ქაღალდებს, რომ ქოჰგრა თვალი, ყოველივე ეს გაცილებით უფრო უცხოდ მოეჩვენა, ვიდრე დამეული განცდები. ქვემოთ მატარებლების განრიგის გასაგებად ოფელია სადგურში რეკავდა. პილარამდე თორმეტის ნახევრამდე მიაღწია და პირდაპირ ბოსტნეულის ფარდულისკენ აიღო გეზი. სუსანას ქალიშვილი ნაცემი ძალლივით მორჩილად და ყურებდაცქვეტილი შესცქეროდა. ფრაგამ სთხოვა, ხუთიოდე წუთი დაეთმო მისთვის; ფრაგა კვლავ შევიდა მტვრიან სასტუმრო ოთახში და ჩაჯდა იმავე თეთრშალითიან სავარძელში. დიდხანს ლაპარაკი არ დასჭირვებია, ვინაიდან სუსანას ქალიშვილმა, ცრემლების წმენდით, მისი სიტყვების დასტურად უმალ დაიწყო თავის კანტური და ბოლოს სულ ჩაქინდრა.

— დიახ, დიახ, სენიორ, სწორედ ასე იყო, სენიორ.

— მაშ, თავიდან რატომ არ მითხარით?

ძნელია იმის თქმა, რატომ თავიდანვე არა თქვა ყველაფერი, დედამ დაიფიცა, რალაც-რალაცები არასოდეს და არავისთან არ დასცდენოდა, მით უფრო მას შემდეგ, რაც დედა ბალიკარსელ ოფიცერზე დაქორწინდა... მაგრამ ახლა, როცა ფრაგას წიგნზე ასეთი ხმაური ატყდა, ძალიან, ძალიან უნდოდა წერილი მიეწერა, იმიტომ, რომ...

ქალი შეშინებული მისჩერებოდა, თან ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

— თქვენ რანაირადღა გიგეთ? — ჰკითხა ბოლოს ქალმა.

— მაგაზე ნუ დარდობთ, გაუგებარი არაფერი რჩება.

— წიგნში სულ სხვაგვარადა წერთ, მე უკვე წავიკითხე, თავიდან ბოლომდე წავიკითხე.

— სწორედ თქვენს გამო ვწერ სხვაგვარად. ვიცი, დედათქვენთან მოწერილი რომეროს სხვა წერილებიც გაქვთ, თქვენ კი მხოლოდ ისინი მომეცით, რისი მოცემაც გსურდათ, რაც საუკეთესოდ გამოაჩენდა რომეროსაც და, მასთან ერთად, დედათქვენსაც. მე მჭირდება და დაუყოვნებლივ მომცემთ დანარჩენ წერილებს.

— მარტო ერთი წერილია, მაგრამ დედამ დამაფიცა, სენიორ, — თქვა რაქელ მარკესმა.

— თუკი დედათქვენს არ დაუწვავს, მაშასადამე, არაფერია მასში ისეთი საშინელება. მომეცით, მე მას ვყიდულობ.

— სენიორ ფრაგა, მაგიტომ სულაც არ ვაპირებდი, არ მომეცა...

— აჰა, ფული, — მკაცრად უთხრა ფრაგამ, — მაგდენს შენს გოგრაშიც ვერ იშოვი.

ფრაგა უყურებდა, როგორ იქექებოდა ქალი სანოტო თაროებზე და ფიქრობდა, რომ ის, რაც მან ახლა გაიგო, ადრეც იცოდა (შეიძლება რალაც სხვაგვარად, მაგრამ მაინც იცოდა) რაქელ მარკესის პირველი ნახვისთანავე. ესეესაა გამოაშკარავებული ჭეშმარიტება სულაც არ დასტეხია თავს ანაზდეულად და ახლა შეეძლო უკან მიეხედა და როგორც სურდა ისე დაედანაშაულებინა თავი, ჩაჰკითხებოდა საკუთარ თავს, რატომ დაამთავრა სუსანას ქალიშვილთან ასე ჰაიჰარად თავისი პირველი პაემანი; რატომ გაახარა ასე სამმა

წერილმა, თითქოსდა ამქვეყნად მარტო ეს წერილები ყოფილიყო. წერილების სამაგიეროდ რატომ არ შესთავაზა რაქელს ფული, რატომ არ გამოჰკითხა ყველაფერი, დიახ, ყველაფერი გამოწვლილვით, რაც მან იცოდა, მაგრამ დუმდა. „სისულელეა, — გაიფიქრა უმალ, — არ შეიძლება იმ წუთში მცოდნოდა, რომ სუსანა რომეროს გამო იქცა მეძავად". აბა, შუაზე რატომ გაწყვიტა რაქელთან მაშინდელი საუბარი, რატომ დაკმაყოფილდა ფოტოსურათებითა და სამი წერილით: „ეჰ, ვიცოდი, ღმერთმა უწყის, საიდან, მაგრამ, ვიცოდი და მაინც დავწერე წიგნი; შესაძლოა მკითხველმაც იცის, იცის კრიტიკამაც და ირგვლივ სიცრუის ორომტრიალია, რომელშიც უკლებლივ ყველანი ყელამდე ჩავფლულვართ..." მაგრამ იოლზე იოლი იყო განზოგადების გზას დასდგომოდა და მხოლოდ ნაწილობრივ დეადანაშაულებინა საკუთარი თავი. ესეც სიცრუედ მოეჩვენა. დამნაშავე ის იყო, მხოლოდ და მხოლოდ ის.

უკანასკნელი წერილი ფრაგას ვარაუდის სიტყვიერი დადასტურება გამოდგა, თუმცა ოდნავ შეცვლილი სახით და კამათის შემთხვევაში ფრაგას შეეძლო წერილი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, როგორც „ნივთიერი მტკიცებანი". მას შემდეგ, რაც უკვე ჩამოგლეჯილ იქნა ნიღაბი, ვიღაც, კლაუდიო რომეროს სახელით, ულმობელ ლოგიკას რომ ფლობდა, მხეცურად აღჭრიალებდა კბილებს უკანასკნელ ფრაზებში. სინამდვილეში სუსანასათვის თავზე მას მოეხვია ურცხვი ხელობა, რომელსაც ქალი იმ დღიდან მოკიდებული სიცოცხლის ბოლომდე მისდევდა. — ეს თითქმის პირდაპირ იყო მინიშნებული ორ დიდებულ პასაჟში — რომეროს ქალს ურჩევდა: „ხმა არ ამოიღო, თავი არ მომაბეზრო, და, საერთოდ, ჯანდაბას იქით გქონიაო გზა". აბუჩად აგდებითა და დაშინებით უბიძგებდა ქალს იმ უფსკრულისკენ, რომელსაც მთელი ორი წლის განმავლობაში თავად უთხრიდა, როდესაც აუჩქარებლად, თანდათანობით რყვნიდა მიამიტ არსებას. კაცი, რომელიც რამდენიმე კვირის წინათ სწერდა: „ღამე მხოლოდ მე ერთს მჭირდება და ნებას არ მოგცემ, მიყურებდე, როგორა ვტირიო", ახლა თავის უკანასკნელ წერილს უხამსზე უხამსი რჩევით აბოლოვებდა, რომლის შესრულებაზეც, ეტყობა, მას თავისი ანგარიში ჰქონდა, ამას ზედ მოაყოლებდა ბილწ რეკომენდაციას და დამცინავ ჰკუის სწავლებას, გამოსამშვიდობებელი სიტყვების ნაცვლად კი უსურვებდა „წარმატებას დროსტარების სარბიელზე", თან პოლიციით ემუქრებოდა, თუ ვინიცობაა, სუსანა გაბედავდა და თვალით კიდევ დაენახვებოდა.

წაკითხულიდან ფრაგას ალარაფერი აკვირვებდა, მაგრამ ვაგონის ფანჯრის წირთხლზე მხრით ულონოდ მიყრდნობილი კიდევ დიდხანს იჯდა წერილით ხელში, თითქოსდა მის არსებაში ვიღაც ცდილობდა თავი დაეღწია კოშმარული, აუტანლად გაჭიანურებული სიზმრისათვის. „ეს ნათელსა ჰფენს დანარჩენსაც", — მოესმა გახმიანებული საკუთარი ფიქრი, დანარჩენი კი იყო ირონი პასი და „ოდა შენს ორმაგ სახელს" — კლაუდიო რომეროს ფინალური კრახი. რიღას მაქნისი იყო საფუძვლიანი მოსაზრებანი და აშკარა დამამტკიცებელი საბუთები, თუკი მოვლენათა სხვაგვარი ვითარების დიდი ხნის წინანდელ ღრმა რწმენას, არც წერილებსა და არც ვინმეს დამოწმებას რომ არ საჭიროებდა, ახლა თვითონვე ჩაემწკრივებინა რომეროს ცხოვრების ბოლო დღეები იმ კაცის აზრის თვალსაწიერზე (მისი სახელი კი, საერთოდ, არა თამაშობს რაიმე როლს), ვინც ახლა პილარიდან მატარებლით მოდიოდა და

სენიორ მგზავრებს ცოტა ვერმუტგადაკრული ეჩვენებოდათ. თავის სადგურზე რომ ჩავიდა იქნებოდა ასე ნაშუადღევის ოთხი საათი. ყინწღლავდა. შარაბანში, რომელმაც იგი ოფელიას კარმიდამომდე მიიყვანა, ცოდა, ამასთან იდგა დანოტიებული ტყავის სუნი. რაოდენ წინდახედული იყო ამპარტავანი ირენი პასი, რაოდენ ძლიერი იყო ზნე-ჩვეულებანი არისტოკრატიისა, რომელიც მომაკვდინებელ ზიზღს მიაგებდა ყველას, ვინც მათ წრეში შელწევას მოიწადინებდა. რომერო ფლობდა ხიბლს, რითაც შეეძლო თავგზა აებნია საბრალო ქალისთვის, მაგრამ სულაც არ ყოფილა იკაროსი და თავისი მშვენიერი პოემაც არ შეიძლება ფრთებად ჰქცეოდა. ირენი, ან ის კი არა, დედამისი, ანდა მისი ძმები ტალანტის გამობრწყინების მიღმა უმალ შეიცნობდნენ კარიერისტის სწრაფვას, გაიძვერის ქვებუდანობას, რომელიც იწყებს იმით, რომ თაკილობს თავისი წრის ადამიანებს, მერე კი მზადაა, თუკი დასჭირდა, დაწიხლოს და მიწასთან გაასწოროს ისინი (ასეთ დანაშაულთან იყო საოქმელი დანაშაული სკოლის მასწავლებელ სუსანა მარკესთან), ფრაგასაგან თავის დასალწევად არისტოკრატებს — ყელამდე ფულებში ჩაფლულებს და ალღოიანი ლაქიებით გარშემორტყმულებს — მისთვის ცალყბად გაღიმება, მიწვევაზე უარის თქმა და თავიანთ მამულებში გამგზავრებაც ეყოფოდათ. მათ პოეტის დაკრძალვაზე დასწრებითაც კი არ შეუწუხებიათ თავი.

ოფელია მას კარებში უცდიდა. ფრაგამ უთხრა, დაუყოვნებლივ უნდა დავჯდეთ სამუშაოდ. როცა საშინლად გადაქანცულმა სიგარეტი კბილებშუა მოიქცია და თვალი მოავლო წინა საღამოს დაწერილ პირველ სტრიქონებს, საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ მის გარდა არავინ არაფერი არ იცოდა... ის თითქოს ხელახლა აპირებდა „პოეტის ცხოვრების" წერას და კვლავ ქცეულიყო ერთადერთი წყაროს ბატონ-პატრონად. ფრაგას ჩუმად ჩაეცინა და შეუდგა საპასუხო სიტყვის წერას. კარგა მოგვიანებით, როდესაც რომეროს წერილი გააცხენდა, მიხვდა, სადღაც დაჰკარგოდა — ეტყობა, მატარებელშივე დარჩა.

*

ყველას, ვისაც სურს, შეუძლია გადაქექოს არქივი და წაიკითხოს იმ წლების ბუენოს-აირესის გაზეთებში ცნობა ეროვნული პრემიის გადაცემის თაობაზე, იმის თაობაზე, რომ ხორხე ფრაგამ მოულოდნელად, სრულიად უმიზეზოდ, დააბნია და განარისხა ქეთილგონიერი ხალხი, როცა ტრიბუნიდან წამოაყენა თავისი ახალი, პოეტ კლაუდიო რომეროს ცხოვრების სრულიად უცხო ვერსია. ერთ-ერთი ქრონიკის ავტორი წერს, ფრაგას აშკარად ეტყობოდა, მაინცდამაინც ჯანმრთელად ვერ უნდა ყოფილიყო (სრულიად ნათელი ევფემიზმია!), ვინაიდან, სხვას რომ თავი დავანებოთ, ლაპარაკში გართული, ზოგჯერ რომეროს პირით მეტყველებდაო; მართალია, ორატორი თავის შეცდომას ამჩნევდა, მაგრამ იმავე წამს უარეს დღეში ვარდებოდაო. მეორე კორესპონდენტი აღნიშნავს — ფრაგას ხელში ეჭირა ორი თუ სამი ნაწერით გაჭედილი ფურცელი, მაგრამ შიგ ერთხელაც არ ჩაუხედავს, და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს იგი თავის თავს ელაპარაკებოდა, ხან მხარს უჭერდა, ხან უგულვებელყოფდა ეს-ესაა გამოთქმულ საკუთარ მოსაზრებას, რითაც სულ უფრო მეტად აღიზიანებდა — მერე კი თანდათან აღშფოთებდა კიდეც მრავალრიცხოვან აუდიტორიას, რომელსაც თავი მოეყარა ერთი განკ-

ზრახვით, გამოეხატა ავტორის მიმართ თავისი გულწრფელი აღტაცება. ერთ-ერთი გაზეთი იტყობინება, რომ სიტყვის დამთავრების შემდეგ ფრაგას და დოქტორ ხოველიანოსის შორის ცხარე კამათი გაიმართა. ბევრნი თურმე ხმამაღლა გამოთქვამდნენ თავიანთ აღშფოთებას და დარბაზს ტოვებდნენ; იქვე ნიშნისმოგებით ისიცაა ნათქვამი, რომ დოქტორ ხოველიანოსის მეთხოვნაზე, — წარედგინა უტყუარი საბუთები იმ მერყევი ბრალდებულისა, ერეთაც ჩირქსა სცხებდა კლაუდიო რომეროს წმიდათაწმიდა ხსოვნას, ლაურეატს მარტო მხრები აუჩეჩია და შუბლი ჭოუსრეესია, ამით გეგონება, იმისი თქმა სურდა, რომ ეს ყველაფერი პირადი რწმენა იყო, მერე კი, პოსტრაციაში ჩავარდნილი, ველარ ამჩნევდა თურმე ველარც დასაშლელად გამზადებული ხალხის დრტვინვას და ველარც იმ რამდენიმე ყმაწვილი კაცისა და იუმორის მოყვარულთა მხურვალე ტაშს, რომლებიც, ეტყობა, აღფრთოვანებულნი იყვნენ ეროვნული პრემიის მინიჭების გამო ასეთი ორიგინალური პასუხით.

საზეიმო ცერემონიიდან ორი საათის შემდეგ ოფელიას კარმიდამოში დაბრუნებულ ფრაგას ქალმა ხმაამოუღებლივ გაუწოდა ტელეფონით მოძლოცველთა კარგა გრძელი სია — ვიღა არ იყო აქ — საგარეო საქმეთა მინისტრიდან მოკიდებული, ფრაგას ერთ-ერთი ძველი ძმით დამთავრებული, რომელსაც ადრე არასოდეს არ დაურეკავს. ის დაბნეული დაჰყურებდა გულმოდგინედ გამოყვანილსა თუ დაუდევრად მიფხაჭნილ გვარების რიგს... მერე ფურცელი ხელიდან გაუვარდა და ნოხს დაეცა, ფრაგა გაოგნებული აუყვა კიბეს კაბინეტისაკენ.

კარგა დრომ განვლო, სანამ ოფელია გაიგონებდა თავის კაბინეტში წინ და უკან მოსიარულე ფრაგას ფეხის ხმას. ქალი დაწვა და თავი აიძულა, ალარაფერზე ალარ ეფიქრა. ნაბიჯების ხმა ხან უახლოვდებოდა, ხან სცილდებოდა, ხანდახან კი სულ წყდებოდა; საწერ მაგიდასთან შეჩერებული ფრაგა, ეტყობა, რაღაცას ფიქრობდა. ერთი საათის შემდეგ ქალს კიბის ჭრიალი და საძინებელი ოთახის კართან მოახლოებული ნაბიჯების ხმა მოესმა. მას თვალი არ გაუხელია ისე იგრძნო სხეულის სიმძიმისაგან როგორ დაიწია საწოლის ზამბარამ და როგორ გაიშოტა ფრაგა გულაღმა მის გვერდით. ფრაგას ცივი ხელი ქალის ხელს შემოეჭდო, ოფელიამ სიბნელეში ლოყაზე აკოცა.

— მარტო ის ვერ გამიგია... — თქვა ფრაგამ და თითქოს ქალს კი არა, სიცარიელეს მიმართავდა, — რატომ ამდენ ხანს ვერ მოვისაზრე, რომ ყველაფერი ადრევე ვიცოდი. სისულელე იქნებოდა იმაზე ფიქრი, თითქოს მეტიუმი ვიყო. მე არაფერი მაქვს მასთან საერთო. დღემდე მაინც არაფერი მქონია საერთო.

— კარგი იქნებოდა, ცოტა დაგეძინა, — უთხრა ოფელიამ.

— არა, როგორმე უნდა გავერკვე. ორი რამ შეიძლება არსებობდეს: ის, რაც არ ძალმიძს ჩავწვდე, და ის, რაც ხვალ უნდა დაიწყოს, უფრო სწორად, რაც უკვე დაიწყო დღეს საღამოს. ჩემი საქმე წასულია, გესმის? არასოდეს არ მაპატიებენ, რომ ჯერ კერპი შევუქმენი მათ, მერე კი ხელიდან გამოვტაცე და ნამსხვრევებად ვაქციე. ვერ წარმოიდგენ, რა საოცარია და სასაცილო ყოველივე ეს: რომეროს მაინც დარჩება მეოცე საუკუნის პოემების ავტორად. კერპს კი არ შეიძლება ჰქონდეს თიხის ფეხები; და ამას ასეთივე ცინიზმით ხვალვე მომახლიან პირში ჩემი ძვირფასი კოლეგები.

— მაგრამ შენ თუ შენს მოვალეობად მიიჩნევდი სიმართლის თქმას...

— მე არაფერს არ მივიჩნევდი, ოფელია. ვთქვი და გათავდა. ანდა ჩემს მავივრად ვილაც სხვამა თქვა. იმ ღამეს მომეჩვენა, რომ ეს ერთადერთი გზა იყო, სხვანაირად არ შემეძლო მოვქცეულიყავი.

— იქნებ ჯობდა, ცოტა მოგეცადა, — მოკრძალებით შეეხვეწა ოფელიამ, — თორემ ასე უეცრად პირში მიხლა....

ქალს სურდა ეთქვა „მინისტრისთვისო“ და ფრაგამ ეს სიტყვა ისევე მკაფიოდ გაიგონა, თითქოს წარმოთქმულიყოს. ფრაგას გაეცინა და ქალს ხელზე მიეფერა, თანდათან დაშოშმინდა —რაღაც ბურუსით მოსილს ბინდი ნელ-ნელა ჩამოსცილდა და უფრო სათლად გამოიკვეთა. ოფელიას ნაღვლიანი, გაბმული დუმილი ფრაგას შველოდა, გონება მოეკრიბა და ყური მიეგდო საკუთარი თავისთვის, და იგი სიბნელეს გახელილი თვალებით შესცქეროდა. არა, მისთვის ალბათ სამუდამოდ გაუგებარი დარჩებოდა, რატომ ადრე ვერ შეიცნო ის, რაც დღესავით ნათელი იყო, ვერ შეიცნო მანამდე, სანამ საბოლოოდ თავს არ გამოუტყდა, რომ თვითონაც ისეთივე გაქნილი და მუდრეგი იყო, როგორც რომერო. თვით აზრი ამ წიგნის დაწერისა გულისხმობდა სურვილს, რევანში აეღო საზოგადოებაზე, მიეღწია იოლი წარმატებისათვის, დაებრუნებინა ის, რაც სამართლიანად ერგებოდა და, რაც მომხვეჭელობაზე გამეცადინებულებს წაერთვათ მისთვის. გარეგნულად წუნდაუდებლად ზუსტი, ყველა საჭირო ატრიბუტით შემკული „პოეტის ცხოვრება“ დაიბადა იმისათვის, რათა გზა გაეკაფა წიგნის დახლისაკენ: „ცხოვრების“ ტრიუმფალური სვლის ყველა ეტაპი წინასწარ იყო მოსალოდნელი და ყოველი თავით, ყოველი ფრაზით, საგანგებოდ, სკრუპულოზურად მზადდებოდა. აქედან იღებდა სათავეს მისი ირონიული დამოკიდებულება და მზარდი ქედმაღლური გულგრილობა ამ ტრიუმფალური ეტაპების მიმართ, რაც ასევე არ სცილდებოდა მთელი ამ ბინძური განზრახვის ჩარჩოებს. „ცხოვრების“ ბრწყინვალე ყდის ქვეშ უმალ დაიწყეს ბუდის კეთება რადიოგადაცემებმა და ტელეფილმებმა, ევროპაში დიპლომატურმა პოსტმა და ეროვნულმა პრემიამ, სიმდიდრემ და დიდებამ. მარტო ზედ ფინიშთან ელოდა რაღაც გაუთვალისწინებელი, რათა დაფუშულიყო გულმოდგინედ აწყობილი მექანიზმი და ნამსხვრევების გროვად ქცეულიყო. ამაო იყო ახლა ფიქრი იმ „გაუთვალისწინებელზე“, ამაო იყო გულის ხეთქვა და გაგიჟება საქმის წახდენის გამო.

— მე არაფერი მაქვს მასთან საერთო, — გაიმეორა ფრაგამ და თვალები დახუჭა, — არ ვიცი როგორ მოხდა ეს, ოფელია, ჩვენ სრულიად სხვადასხვანი ვართ.

ფრაგამ იგრძნო, ქალი უხმოდ ტიროდა.

— მაგრამ მაშინ მით უარესი, ისე გამოდის, თითქოს ერთი და იგივე ვირუსით ვყოფილიყოთ დაავადებულნი, ოღონდ ჩემი დაავადება ფარულად მიმდინარეობდა, მერე კი უეცრად იჩინა თავი და მთელი სისაძაგლე აშკარა გახდა. ყოველთვის, როდესაც ამ კაცის გულისათვის რაიმის არჩევანი ან გადაწყვეტილების მიღება მიხდებოდა, ყველაფერს ზუსტად ისევე ვაკეთებდი და ისე ვწყვეტდი, როგორც თვითონ ისურვებდა სიცოცხლეში. სახის ჩემეული გადაწყვეტა არ სცილდებოდა მისეულს და არავის აზრად არ მოუვიდოდა, ეძებნა მისი ცხოვრების, მისი წერილების, თვით მისი ბოლო წლების სხვაგვარი სიმართლე, როდესაც სიკვდილის სიახლოვემ გააშიშვლა და გამოამჟღავნა მთელი მისი არსი. მე არ მინდოდა არაფერში ეჭვის შეტანა, არა მსურ-

და. მიმელწია ჭეშმარიტებისათვის. ვინაიდან მაშინ, ოფელია, მაშინ რომეო ალარ იქნებოდა ის პერსონაჟი, რომელიც მჭირდებოდა მე, რომელიც ეხაჭიროებოდა თავად მას, რათა შექმნილიყო ლეგენდა, რათა...

ის დადუმდა, მაგრამ ყველაფერი მაინც თავისთავად დალაგდა და დასრულდა ლოგიკურად. ახლა მან სავარაუდებლად მიიჩნია, რომ ისა და რომეო იმთავითვე იყვნენ გაიგივებულნი და ამას არამც და არამც არა ჰქონია არავითარი საერთო სპირიტიზმთან. ისინი თანამოძმენი იყვნენ ფარსსა და სიცრუეში, თავბრუდამხვევი ალმაფრენისადმი სწრაფვაში, თანამოძმეები იყვნენ უბედურებაში, რამაც ორივე გაანადგურა და ფერფლად აქცია. ფრაგამ ნათლად და უბრალოდ წარმოიდგინა, რომ ისეთი ხალხი, როგორიც თავად იყო, შუდამ იქცევიან კლაუდიო რომეროებად. გუშინდელი და ხვალინდელი რომეროები კი ყოველთვის ხორხე ფრაგებად გადაიქცევიან. მოხდა სწორედ ის, რისიც ასე ეშინოდა იმ შორეული სექტემბრის საღამოს: მან მაინც დაწერა „საკუთარი" ბიოგრაფია; უცებ მოუნდა ხმამაღლა გადაეხარხარა, მაგრამ იმავე დროს საწერ მაგიდაში შენახული რევოლვერი გაახსენდა.

მას ვერა და ვერ გაეხსენებინა, ოფელიამ იმ წუთში უთხრა თუ უფრო გვიან: „მთავარი ისაა, რომ შენ დღეს იმათ სიწმართლე უთხარიო", ამაზე მაშინ არც ფიქრობდა, ალარ უნდოდა ხელახლა განეცადა თითქმის დაუჯერებელი წუთები, როდესაც ის ლაპარაკობდა და პირდაპირ თვალებში შესცქეროდა მათ, ვის სახეზეც აღფრთოვანებული თუ თავაზიანი ღიმილი თანდათანობით ადგილს უთმობდა გაბოროტებულსა და ზიზღნარევ გრიმასებს, იმათ, ვისაც გულისწყრომის ნიშნად ხელები მაღლა აღემართათ. მაგრამ ეს ერთადერთი რამ იყო, რასაც ფასი ჰქონდა, ერთადერთი ჭეშმარიტი და წარუვალი მთელს ამ ამბავში. არავის არ შეეძლო, წაერთვა მისთვის ის წუთები, წუთები მისი ნამდვილი ტრიუმფისა, რომელსაც, ოღონდაც რომ, არა ჰქონია არაფერი საერთო არც ფარისეველურ განზრახვასთან და არც დიდების ძიებასთან. როდესაც ოფელიასკენ დაიხარა და ნაზად მოეფერა, ერთი წამით მოეჩვენა, რომ ის სუსანა მარკესი იყო, და რომ ფრაგას მგრძნობიარება ქალს გადააარჩენდა, მის გვერდით დააკავებდა. იმავე დროს, ეროვნული პრემია, დიპლომატის პოსტი ევროპაში და ყველა სხვა სიკეთე იყო ირონი პასი, რაღაც ისეთი რამ, რაც არაფრად არ უნდა ჩაეგდო და უარეყო, თუკი არა სურდა საბოლოოდ დამსგავსებოდა რომეროს და კვალზე მიჰყოლოდა წიგნისა თუ რადიოდადგმების ამ ცრუ გმირს.

შემდეგ — იმავე ღამით, რომელიც მშვიდად აბრუნებდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცარგვალს, ათასნაირი ვარაუდი გაისიგრძეგანა ძილგამკრთალი ქალის უსაზღვრო მარტოობამ. დილას თან მოჰყვებოდა ტელეფონების ზარი. გაზეთები, ორ სვეტზე გაჭიმული სკანდალი, მას უაზრო სისულელედ მოეჩვენა ეფიქრა იმაზე, რომ ყველაფერი დაკარგული იყო, როცა სულ ცოტაოდენი სიყოჩაღისა და გერგილიანობის გამოჩენაც კმაროდა, რათა თამაში საბოლოოდ მოეგო. ყველაფერი დამოკიდებული იყო მოქმედების სისწრაფესა და რამდენიმე ვიზიტზე. თუკი მოისურვებდა, ჯერ კიდევ არ იყო გვიან, შეეჩვრებინა პრემიის გაუქმებაც და მის კანდიდატურაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს უარიც, კვლავ შემობრუნებულიყო ასოთხმოცი გრადუსით უკან — და კვლავ აღმოჩენილიყო მასობრივი ტირაჟების, მთარგმნელობითი გამომცემლობებისა და საერთაშორისო ალიარების წინაშე. მაგრამ მას შეეძ-

ლო, რაღა თქმა უნდა, განეგრძო ლოგინში წოლა, შეეწყვიტა ყოველგვარი ვიზიტი, თვეობით ეცხოვრა ამ მყუდრო კარმიდამოში. განეახლებინა და გაეგრძელებინა თავისი ფილოლოგიური ძიებანი, აღედგინა ძველი, კეთილი, უკვე შეწყვეტილი ნაცნობობა. ნახევარი წლის შემდეგ [illegible] ეწყებდა, როდესაც ფორტუნა აფიშაზე მას, სრულიად უმტკივნეულოდ, შეცვლიდა ვინმე მორიგი, გაცილებით უილბლო ცრუპენტელათი.

ორივე გზა ერთნაირად მარტივი და ერთნაირად საიმედო იყო. ისღა დარჩენოდა, გადაწყვეტილება მიეღო, და თუმცა ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონდა უკვე, ფიქრს მაინც განაგრძობდა, ფიქრობდა მხოლოდ იმისათვის, რათა ეფიქრა, ყოველმხრივ განესაჯა, აეწონ-დაეწონა, საკუთარი თავისთვის დაემტკიცებინა არჩევანის სისწორე, სანამ განთიადის სხივები ჯერ არ დაღვრილიყო სარკმელსა და მძინარე ოფელიას თმაზე, სანამ ბალში სეიბის[1] ბუნდოვანი სილუეტი თვალდათვალ არ შემჭიდროებულიყო მომავალივით, რომელიც ნივთდება აწმყოში, თანდათან მყარდება, ღებულობს თავის ჩვეულებრივ ფორმებს, ეგუება მათ და ახალი დღის შუქზე განსჯის იმათ ავსა თუ კარგს.

□

[1] სეიბა — ტოტებგაბარჯღული ტროპიკული ხე.

ბი დე მოპასანი

მოთხრობები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დები რონდოლები

ფრანგულიდან თარგმნა ია ნასვლიშვილმა

ვუძღვნი ჟორჟ დე პორტო-რიშს

I

ერა, — თქვა პიერ ჟუნევემ, — იტალიას სრულებით არ ვიცნობ. ბარე ორჯერ ვცადე გამგზავრება, მაგრამ ორივეჯერ საზღვარზე შემაჩერეს და გზის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. და მაინც ამ ორმა ცდამ რაღაც უცხო, მომხიბლავი შარავანდედიანი შემოსა ეს მშვენიერი ქვეყანა, ისე რომ დასათვალიერებელი მაქვს ქალაქები, მუზეუმები, ხელოვნების შედევრები, რომლებითაც პირდაპირ მოფენილია ეს მიწა. მომავალში, როგორც კი შემთხვევა მომეცემა, გავბედავ და ისევ ვეცდები ამ მიუწვდომელ, საოცნებო ქვეყანაში შეღწევას.

ვერ გამიგეთ? ახლავე აგიხსნით.

1874 წელს ვენეციის, ფლორენციის, რომისა და ნეაპოლის დათვალიერების მძაფრმა სურვილმა შემიპყრო. პირველად ეს აზრი ივნისის შუა რიცხვებში დამებადა, როდესაც გაზაფხულის ამაფორიაქებელი სუნთქვა გულს მოგზაურობისა და სიყვარულის სურვილით უნთებს კაცს.

მაინცდამაინც მოგზაურობის დიდი ტრფიალი არა ვარ. ჩემი აზრით, ადგილის გამოცვლა უსარგებლო და დამღლელი რამ არის. მატარებელში გატარებული ღამეები, ვაგონის ნჯღრევით გატეხილი ძილი, თავის ტკივილი და ტეხა კიდურებში, მთელ ტანში, მძიმე გუნებაზე გამოღვიძება ამ მოჯანჯღარე კოლოფში, ჰუჰყის შეგრძნება ტანზე, მტვრით გავსებული თვალები და თმა, ქვანახშირის სუნი, რომელსაც ძალაუნებურად ასუნთქავთ, გულისამრევი სადილები სადგურების ფარლალალა ბუფეტებში — ჩემი აზრით. ეს ყველაფერი ამაზრზენი დასაწყისია მომავალი სასიამოვნო მოგზაურობისათვის.

ახლა ამ სარკინიგზო შესავალს, დავუმატოთ სასტუმროს მოწყენილობა, უზარმაზარი, ხალხით გაჭედილი და ამავე დროს ესოდენ ცარიელი სასტუმროსი! უცნობი, სევდის მომგვრელი ოთახი და საეჭვო საწოლი! ჩემთვის საწოლი მეტად მნიშვნელოვანი რამ არის, წმიდათაწმიდაა, მას ხომ შიშველ, დაღლილ სხეულებს ანდობენ, რათა დაასვენოს და გამოაცოცხლოს ქათქათა ზეწრებსა და ბუმბულის სითბოში.

ჩვენ ხომ სწორედ მასში ვატარებთ არსებობის ყველაზე ტკბილ წუთებს — ძილის და სიყვარულის წუთებს. საწოლი წმინდაა. იგი უნდა ვადიდოთ, პატივი ვცეთ, უნდა გვიყვარდეს, როგორც ყველაზე ძვირფასი და სიხარულის

მომგვრელი რამ დედამიწის ზურგზე. მე არასოდეს გადამიწევია სასტუმროს საწოლის ზეწარი ზიზღნარევი გრძნობის გარეშე. ვინ იწვა ამ ლოგინში წუხელ? ვინ იცის, როგორ უსუფთაო, საძაგელ ადამიანებს ეძინათ ამ ლეიბზე, და მე ვფიქრობ ყველა იმ ზიზღის მომგვრელ ქმნილებაზე, რომელთანაც ყოველდღე გვიხდება შეხვედრა, საზარელ კუზიანებზე, დამუწეკებულ სხეულებზე, ჭუჭყისაგან ჩაშავებულ ხელებსა და ფეხებზე. მე ვფიქრობ ადამიანებზე, რომელთა შეხვედრისასაც ცხვირში ნივრისა და სხეულის გულისამრევი სუნი გეცემათ. ვფიქრობ ადამიანების ჩირქიან იარებსა და ოფლზე, ადამიანების ყველა სისაძაგლესა და სიბინძურეზე.

და ყველაფერი ეს შეხებია ლოგინს, რომელშიც მე უნდა დავიძინო. ამიტომ, როგორც კი ფეხს საბანში შევაცურებ, გული მერევა.

ახლა სასტუმროში სადილობას აღარ იტყვით, ხანგრძლივ სადილობას საერთო მაგიდასთან, აუტანელსა და სასაცილო, უცხაურ საზოგადოებაში, ანდა უბრალოდ სადილობას რესტორანში, როცა მარტოდმარტო უზიხარ ერთი ბეწო მაგიდას და წინ საცოდავად მბჟუტავი სანთელი გიდგას.

ახლა კიდევ მოსაწყენი სალამოები უცნობ ქალაქში. რა უნდა იყოს უცხო ქალაქში შემოღამებაზე უფრო სევდიანი! მიდიხარ უაზროდ, ბრბოს დინებას მიჰყვები, რომლის ზუზუნი და მუჯლუგუნები სიზმრადმყოფივით გაკრთობს და გაშინებს.

უყურებ სახეებს, რომლებიც არასოდეს გინახავს და ველარც ნახავ ოდესმე. ისმენ საუბარს, რომელიც სრულიად არ გაინტერესებს, თანაც იმ ენაზე, რომლისაც არაფერი გაგეგება და მიუსაფრობასა და უთვისტომობას გრძნობ. გული გეკუმშება, ხელ-ფეხი გიდუნდება, სული გიკვნესის. ისე დადიხარ, თითქოს რაღაცას უფრთხი, გაურბიხარ, დადიხარ, მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ სასტუმროში არ დაბრუნდე, სადაც თავს უფრო დაკარგულად იგრძნობ, რადგან იქ თითქოს „სახლში" ხარ, მაგრამ ეს ხომ ყველას „სახლია", ვინც კი ფულს გადაიხდის. და ბოლოს ქანცგამოცლილი დაეგდები საკამზე რომელიმე გაჩირაღდნებულ კაფეში, რომლის ატმოსფერი ვარაყები და სინათლე უფრო მეტად გთრგუნავს, ვიდრე ქუჩაში გამეფებული წყვდიადი. ჰოდა როცა წებოვან ლუდის კათხას დაგიდგამს წინ ოფიციანტი, რომელიც მუდამ ციბრუტივით ტრიალებს, ისეთი სიმარტოვე გეუფლება, ლამისაა გაიქცე, სულ-ერთია სად, ოღონდ კი მოშორდე აქაურობას, ოღონდ აღარ იყოფ მარმარილოს მაგიდასთან, გაჩახჩახებული ჭაღის ქვეშ და მხოლოდ ახლა მიხვდები უეცრად, რომ სინამდვილეში ყველგან და ყოველთვის მარტო იყავი, ოღონდ ყოველდღიური შეხვედრები, და ისიც ნაცნობ ადგილებში, გიქმნიდა ილუზიას ადამიანთა ძმობაზე. უცხო ქალაქში, სადაც თავს სრულიად უთვისტომოდ თვლი და უსიამო სიმარტოვეს განიცდი, გონება უფრო თავისუფლად, ნათლად და ღრმად მუშაობს. თვალს გადააგლებ მთელ განვლილ ცხოვრებას და მას ძველებურად მარადიული ოცნებების ვარდისფერი სათვალიდან კი აღარ ხედავ, არამედ განძარცულს ყველაფერ მოჩვენებითისაგან, რასაც წლების განმავლობაში შეძენილი ჩვევები ქმნის, შეულამაზებელს ნალოლიავები ბედნიერების მოლოდინით.

როცა სადმე შორს გაემგზავრები, მხოლოდ მაშინ თუ მიხვდები, რომ ყოველივე ერთი ხელის გაწვდენაზეა, შეზღუდულია, არაარაობაა. მხოლოდ შეუცნობლის ძიებისას თუ შეამჩნევ, როგორი ჩვეულებრივი და სწრაფწარმავალია

ყველაფერი. თუ მთელ დედამიწას შემოივლი, მხოლოდ მაშინ თუ დაინახავ, რა პატარა და ერთფეროვანია ეს ქვეყანა.

ოჰ, ეს პირქუში საღამოები და უმიზნო ხეტიალი უცნობ ქუჩებში! გამომიცდია და ამიტომაც ყველაზე მეტად ქვეყანაზე ამ საღამოებისა მეშინია. და რადგანაც არაფრის გულისათვის არ მინდოდა იტალიაში მარტო გამგზავრება, ჩემი მეგობარი პოლ პავილი დავითანხმე წამომყოლოდა.

ხომ იცნობთ პოლს. მისთვის მთელი სამყარო, მთელი სიცოცხლე ქალით შემოიფარგლება. არცთუ იშვიათად შეხვდებით მსგავს მამაკაცებს. სიცოცხლეს მისთვის მხოლოდ იმიტომ აქვს აზრი, რომ ქალები არსებობენ, მხოლოდ ქალების ეშხითაა ამქვეყნიური ცხოვრება გაცისკროვნებული. დედამიწაზე ცხოვრება მხოლოდ ქალების გულისთვის ღირს. მზე იმიტომ ბრწყინავს და გვათბობს, რომ მათ ჭნათებთ. ჰაერსაც იმიტომ ვისუნთქავთ სიამოვნებით, რომ ჯერ მათ ნაზ კანს შეეხო, მსუბუქად შეუთამაშა პატარა კულულები საფეთქლებთან. მთვარეც იმიტომაა ასე წარმტაცი, რომ მათ ოცნების სურვილს აღუძრავს და სიყვარულსაც მიბნედილი მომხიბვლელობით ავსებს. ასე რომ, პოლის ყოველი მოქმედების შთამაგონებელნი ქალები არიან, მისი ფიქრები მათკენ მიილტვის, მის იმედსა და სწრაფვას ისინი ასაზრდოებენ.

ერთმა პოეტმა ასე შეამკო პოლის მსგავსნი:

პატივს არა ვცემ მე იმ პოეტს, ვინც კი ვარსკვლავსაც
ხმობს ქალის სახელს, რა მოხიბლა მისმა კაშკაშმა,
გვერდით კი ვილაც ნინონი ჰყავს, ანდა ლიზეტა,
რადგან უმისოდ ცის მშვენება აღარ იზიდავს...
მისთვის ცხოვრებაც მოსაწყენი არის უმისოდ...
და ხალხს ბუნების სიყვარული რომ გაუღვიძოს, —
ხან მწვანე ბორცვზე ქვეშ დიაცის მანდილს გაიფენს,
ხან კი ქვედატანს ჰკიდებს ხეზე ტკბილ მუსაიფით...

ჰოი, ბუნებავ! მარადიულ შენს საგალობლებს
ველარ მოისმენს და მადლობას ვერ გიწყალობებს, —
ვინც უკაცრიელ ტრამალებზე მარტო, ეულად,
ქარის სტვენაზე ნაზ გრძნობებად არ დანთხეულა,
ან არ ჰფენია ნახნავების ორთქლი თვალებზე,
ან ფაფუკ მდელოს ვინც ადარებს ზიარ სარეცელს,
და ტყის შრიალიც ვისაც ქალის სუნთქვად ჩაესმის,—
ის ვერ იწამებს, რომ შენშია უზენაესი*.

პოლს იტალიაში გამგზავრებაზე რომ ჩამოვუგდე ლაპარაკი, თაედაპირველად სასტიკად იუარა, პარიზიდან ფეხსაც არ მოვიცვლიო, მაგრამ არ მოვასვენე, ვეჩიჩინებოდი, გზაში მრავალი თავგადასავალი გველის, ხოლო იტალიელი ქალები სილამაზით განთქმულნი არიან-მეთქი. როდესაც აღვუთქვი, რომ ნეაპოლში საუცხოო სიამოვნებანი გველოდა და ის სარეკომენდაციო წერილიც ვახსენე, რომელსაც ვინმე სინიორ მიქელ ამოროზოსთან მატანდნენ, ვისი ნაცნობობაც დიდად გამოგვადგებოდა, იგი დამთანხმდა.

* თარგმნა ბათუ დინელიამ.

II

ხუთშაბათ საღამოს, 26 ივნისს, ჩქარ მატარებელში ჩავსხედით. წელიწადის ამ დროს სამხრეთში მოგზაურობის მსურველი მაინცდამაინც ბევრი არ არის, ასე რომ, ვაგონში მარტონი აღმოვჩნდით. ორივენი [illegible] გუნებაზე ვიყავით, ვდარდობდით, პარიზს რომ ვტოვებდით. მაინც რა ეშმაკად აგვეკვიატა ეს მოგზაურობა. მივტირიდით დაჩრდილულ მარლის, კოხტა ნაპირებიან სენას, იმ მშვენიერ დაუვიწყარ დღეებს, როცა ნავით დავსეირნობდით, მშვენიერ საღამოებს, დაღამების მოლოდინში სანაპიროზე ტკბილ თვლემაში რომ გაგვიტარებია.

პოლი თავის კუთხეში მიიკუნჭა და, როგორც კი მატარებელი დაიძრა, განაცხადა, რა სისულელეა ჩვენი იქ გამგზავრებაო, და რაკი გადაწყვეტილების შეცვლა უკვე გვიანი იყო, ვუთხარი:

— მაშ რაღას მოდიოდი.

არაფერი მიპასუხა. ისეთი გაბრაზებული და დაბღვერილი იყო, მის შემყურეს სიცილი მახრჩობდა.. პოლი, უეჭველია, ძალიან წააგავს ციყვს. ყოველი ჩვენგანის სახის ნაკვთებს ადამიანურის გარდა რაღაც ცხოველური იერიც დაჰკრავს, რაც მემკვიდრეობით მიუღია თავისი პირველადელი მოდგმისგან.

რამდენ ადამიანს აქვს ბულდოგის, ვაცის, კურდღლის, ცხენის, ხარისებური ცხვირ-პირი! აი, პოლი ადამიანად ქცეული ციყვია. ამ ცხოველივით ცოცხალი თვალები, წითური ბალანი, წვეტიანი ცხვირი და პატარა ტანი აქვს, ერთი ბეწო, მოქნილი და მოუსვენარი. საერთოდ პოლის მთელ გარეგნობაში ჩანს რაღაცნაირი მსგავსება ამ ცხოველთან. როგორ ვითხრათ, მსგავსება ქცევაში, მოძრაობებში, ჩვევებში, თითქოს თავდაპირველი არსებობის ბუნდოვანი გამოძახილიაო.

როგორც იქნა, ორივეს ჩაგვეძინა, მაგრამ მატარებელი ისე ხმაურობდა და თან ისე უეცრად ჩერდებოდა ხოლმე, რომ მალიმალ გვეღვიძებოდა, კესერსა და მკლავებშიც საშინლად გვტეხდა.

დილით რომ გამოგვეღვიძა, უკვე რონას ნაპირს მივუყვებოდით. ფანჯარაში შემოიჭრა კუტკალიების გაბმული ჭრიჭინი, თითქოს გახურებული მიწის ხმა არისო — ნამდვილი პროვანსული სიმღერა. ამ სიმღერამ აგვივსო გული და სული, გვაგრძნობინა სამხრეთის სიახლოვე, გადაბუგული გვალვიანი მიწის მძაფრი სუნთქვა — მომწვანო-მონაცრისფროდ შეფოთლილი ზეთისხილის ხეების მზიური და ქვიანი სამშობლოს სუნთქვა.

მატარებელი სადგურში გაჩერდა. ერთმა რკინიგზელმა ვაგონებს ჩაურბინა ყვირილით: ვალანსი, ვალანსიო, და ნამდვილი სამხრეთული კილოთი წარმოთქმულმა ამ სიტყვამ კუტკალიების ყურისწამღები ჭრიჭინის მსგავსად კვლავ გვაგრძნობინა პროვანსის სურნელი.

მარსელამდე არაფერი საინტერესო არ მომხდარა. მარსელში სასაუზმოდ ბუფეტში წავედით. როდესაც ვაგონში დავბრუნდით, იქ ვილაც ქალი დავიხვდა. პოლმა აღფრთოვანებული მზერა მესროლა. ჩვეული მოძრაობით თავისი მოკლე ულვაშები აიპრიხა, შემდეგ თითქოს საკარცხელიაო, ხუთი თითით ძილის დროს საშინლად აწეწილი თმა გაისწორა და უცნობ ქალს პირისპირ დაუჯდა.

ყოველთვის, როდესაც ახალ სახეს ვხედავ, გზაში იქნება ეს თუ სადმე თავშეყრის ადგილას, მძაფრი სურვილი მიპყრობს. ამოვიცნო, როგორ სული, გონება და ხასიათი იმალება ამ ნაკვთებს მიღმა.

ჩვენი თანამგზავრი — საქართველოს ჭეშმარიტი შვილი, ძალიან ლამაზი ყმაწვილი ქალი იყო. მას არაჩვეულებრივი თვალები და ისეთი საოცარი, ტალღოვანი ხშირი და გრძელი თმა ჰქონდა, რომ თვალის ერთი შევლებითაც კი იგრძნობდით მის სიმძიმეს. თავით ფეხამდე მორთულ-მოკაზმულს საქართველისათვის დამახასიათებელი უგემოვნება ეტყობოდა და საკმაოდ ვულგარულადაც გამოიყურებოდა. მის სწორ სახის ნაკვთებს არ ჰქონდათ ის სიტკბილეც, ის სიმსუბუქე და სინატიფე, რაც, როგორც კეთილშობილი სისხლის ნიშანი, არისტოკრატთა შვილებს მუცლიდანვე დაჰყვებათ.

სამაჯურები ძალზე ფართო იყო საიმისოდ, რომ ოქრო ეგონებოდათ, საყურეები კი ისეთი დიდი, გამჭვირვალე ქვებით იყო შემკული, რომ ბრილიანტებად ვერც ისინი გასაღდებოდნენ. საერთოდ მთელ მის გარეგნობაში იყო რაღაც უბრალო და მდაბიური. ეტყობოდა, ხმამაღლა ლაპარაკი ეყვარებოდა და შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ არ აყვირებულიყო და ხელები არ ექნია.

მატარებელი დაიძრა.

კუპეში ერთი ქალი უძრავად იჯდა, თვალები ერთი წერტილისათვის მიეშტერებინა. რატომღაც განაწყენებული და იმედგაცრუებული ჩანდა. მას ერთხელაც არ შემოუხედავს ჩვენთვის.

პოლმა საუბარი გაბიბა, ისეთ რამეებს ყვებოდა, რომ არ შეიძლებოდა მსმენელი გულგრილი დარჩენილიყო. ისეთ ღიმაზ-ლამაზ სიტყვებს აფრქვევდა, ვაჭარი მომაგონა, მუშტრის მოსაზიდად საუკეთესო საქონელს რომ გამოფენს ხოლმე დახლზე.

მაგრამ ქალს თითქოს არაფერი ესმოდა.

— ტულონი! გაჩერება ათი წუთი! ბუფეტი! — დაიყვირა გამცილებელმა.

პოლმა მანიშნა. ვაგონიდან ჩავიდეთო, და როგორც კი ბაქანზე აღმოვჩნდით, მკითხა:

— შენი აზრით, ვინ უნდა იყოს ეს ქალი?

სიცილი ამიტყდა.

— მე რა ვიცი, ან რა ჩემი საქმეა.

პოლი აეწთო.

— რა უღვთოდ ლამაზი და ქორფაა ეს საძაგელი! რა თვალები აქვს! მაგრამ რაღაცით უკმაყოფილო უნდა იყოს! ალბათ რაიმე უსიამოვნება შეემთხვა, არაფრის გული არა აქვს.

ტყუილად ირჯები-მეთქი, — წავიბურტყუნე.

პოლი გაბრაზდა.

— სულაც არ ვირჯები, ჩემო ძვირფასო, უბრალოდ ეს ქალი ძალიან მომწონს, მორჩა და გათავდა. გამოლაპარაკება რომ ვცადოთ? მაგრამ რითი დავიწყოთ? შენ მაინც მოიფიქრე რამე. როგორ გგონია, ვინ უნდა იყოს?

— ზუსტად არ ვიცი, მე მგონი, ვინმე უბრალო მსახიობი უნდა იყოს, რომელიც ზორიგი სასიყვარულო თავგადასავლის შემდეგ თავის დასს უბრუნდება.

პოლი ამ სიტყვებმა ისე შეურაცხყო, თითქოს მისთვის ძალზე საწყენი რამ მეთქვას, და შემომედავა:

— საიდან მოიგონე, ვითომ რაზე ემჩნევა? ჩემი აზრით, ძალზე წესიერი ქალის გარეგნობა აქვს.

მე ვუპასუხე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძვირფასო, ერთი მაგის სამაჯურებს შეხედე, საყურეებს, მთელ ჩაცმულობას დააკვირდი. სულაც არ გამიკვირდება, ჩვენი ლამაზი ასული მოცეკვავე რომ აღმოჩნდეს. ანდა სულაც ცირკის მოჯირითე. არა, არა უფრო მოცეკვავე უნდა იყოს. მის გარეგნობაში არის რაღაც ისეთი, რაც თეატრზე მიგვანიშნებს.

ამ აზრმა აშკარად შეაწუხა პოლი.

— კი მაგრამ, ძვირფასო, ის ხომ ძალიან ახალგაზრდაა, ოცი წლის ძლივს იქნება.

— მაგრამ, განა ცოტაა, ჩემო კარგო, ისეთი რამ, რასაც ადამიანმა ოცი წლის ასაკამდეც შეიძლება მოჰკიდოს ხელი. მაგალითად, ცეკვა, დეკლამაცია; სხვა რაღაც-რაღაცებზე რომ არაფერი ვთქვათ, რასაც ალბათ მისდევს ჩვენი გოგო.

— ნიცა-ვენტიმილის ექსპრესის მგზავრებო, დაიკავეთ ადგილები! — დაიყვირა გამყოლმა.

ვაგონებში დაბრუნება მოგვიხდა. ჩვენი მეზობელი ფორთოხალს შეექცეოდა. მის ქცევას მართლაც არ ეთქმოდა ნატიფი და დახვეწილი. რომ გენახათ, როგორ აცლიდა ნაყოფს ოქროსფერ კანს, როგორ აღებდა პირს და წინ სწევდა ტუჩებს ფორთოხლის შესაჭმელად, ან როგორ აფურთხებდა კურკებს ფანჯრიდან, მიხვდებოდით, რა აღზრდაც მიეღო.

თითქოს უწინდელზე უფრო მოღუშული იყო და ფორთოხალს ისე გააცთრებით ნთქავდა, კაცს გაეცინებოდა.

პოლი ქალს პირდაპირ თვალებით ჭამდა, აღარ იცოდა რითი მიექცია მისი ყურადღება, როგორ გაელვიძებინა მისი ცნობისმოყვარეობა, და კვლავ გამიბა მაღალფარდოვანი საუბარი. ცნობილი ადამიანების გვარებს შინაურულად ასახელებდა, მაგრამ მის ცდას არც ახლა გამოუღია ნაყოფი.

ამასობაში გავიარეთ ფრეიუსი, სენ-რაფაელი. მატარებელი ახლა აყვავებულ ბაღებს შორის მიქროდა, მიქროდა სამოთხისებურ ვარდნარში, ფორთოხლისა და ლიმონის ჭალებს შორის, რომლებიც ერთდროულად თეთრი ყვავილებითაც იყვნენ შემკულნი და ოქროსფერი ნაყოფითაც, მიქროდა სურნელოვანი ყვავილების სამეფოში, თვალწარმტაცი სანაპიროს გასწვრივ, რომელიც მარსელიდან გენუამდეა გადაჭიმული.

ამ მხარეს სწორედ ივნისის თვეში უნდა ესტუმროთ, როდესაც მთელი არემარე, ვიწრო ხეობები თუ გორაკები ულამაზეს ველურ ყვავილებს დაუმშვენებია. საითაც არ გაიხედავ, ყველგან ვარდები მოჩანს: ვარდების მინდვრები და ჭალები, ვარდები აცოცებულან კედლებზე, გადაშლილან სახურავებზე, ხეებს ჩახვეულიან და ფოთლებიდან თეთრად, წითლად, ყვითლად ანათებენ დიდები თუ პატარები, წვრილები თუ მოზრდილები. ზოგი ნაზია,მორცხვი, ზოგიც ხავერდოვანი, მდიდრული სამოსელით დამძიმებული.

ვარდების დამათრობელი სურნელით გაჟღენთილი ჰაერი ნაზია და ყნოს-

ვას საამოდ აღიზიანებს, ხოლო ფორთობლის ყვავილის მძაფრი სუნი თითქოს უფრო ატკბობს მას.

გარინდებული ხმელთაშუა ზღვა ნაზად ელამუნება ჩამუქებულ ალდოვან სანაპიროს. ზაფხულის მცხუნვარე მზე გავარვარებულ საბურველს ჰფენს მთებს, ქვიშოვან ნაპირს და მუქლურჯად მოლივლივე ზღვას. მატარებელი კი მიქრის, ხან გვირაბში გაუჩინარდება, ხან გორაკებზე მისრიალებს, ხანაც ზედ ზღვაზე დაკიდულ კლდეზე გადაიქროლებს. გამხმარი წყალმცენარეების ნაზი, ოდნავ მარილიანი სუნი დროდადრო ყვავილების მძაფრსა და ამაფორიაქებელ სურნელს ერევა.

მაგრამ პოლს აღარაფერი ესმოდა, ვეღარაფერს ხედავდა და გრძნობდა. ჩვენს მშვენიერ თანამგზავრს დაეპყრო მთელი მისი ყურადღება.

კანში რომ შევიდა მატარებელი, ისევ მანიშნა, ძირს ჩავიდეთო, რადგან ჩემთან დალაპარაკება უნდოდა.

როგორც კი ვაგონიდან ჩავედით, ხელკავი გამიყარა.

— ოჰ, რა მომხიბლავია! რა თვალები აქვს, რა თმა! ასეთი თმა ჯერ არ მინახავს!

მე ვუთხარი:

— კარგი, დაწყნარდი, ან თუ რამეს ეპირები, რაღას უცდი, ჩემი აზრით, არც ისე უკარება უნდა იყოს, თუმცა დიდი ჯეჯლუნა ვინმე კი ჩანს.

— შენ ხომ ვერ გაუბამდი საუბარს? მე ვერაფერი მომიფიქრებია. თავდაპირველად საშინელი უხერხულობა შემიპყრობს ხოლმე. ძალიანაც რომ მინდოდეს, ქუჩაში ქალს ვერ ავეკიდები, განა არა, უკან მივდევ, შორიახლო ვუტრიალებ, მივუახლოვდები კიდეც, საჭირო სიტყვებს კი ვერ ვპოულობ. მხოლოდ ერთხელ ვცადე გამოლაპარაკება, რადგან აშკარად ვატყობდი, ჩემგან საუბრის დაწყებას ელოდნენ და რაღაც უნდა მეთქვა. ესღა მოვახერხე — წავიბურტყუნე: „როგორ ბრძანდებით, ქალბატონო?“ ამაზე ქალს სიცილი აუტყდა, მე კი გაქცევით ვუშველე თავს.

პოლს შევპირდი, რომ ლაპარაკის გასაბმელად ყოველ ღონეს ვიხმარდი, და ადგილზე დავბრუნდით თუ არა, ჩვენს მეზობელს თავაზიანად ვკითხე:

— ქალბატონო, თამბაქოს კვამლი ხომ არ გაწუხებთ?

მან მიპასუხა :

— Non capisco[1].

მაშ იტალიელი ყოფილა! აი, სეირი! პოლს ხომ იტალიურის არაფერი გაეგებოდა. თარჯიმნის როლი უნდა მეკისრა. მეც დავიწყე ამ როლის შესრულება და ქალს უკვე იტალიურად გავუმეორე:

— მე გკითხეთ, ქალბატონო, თამბაქოს ბოლი ხომ არ გაწუხებთ-მეთქი.

გაჯავრებულმა მომაძახა:

Che mi fa!

ჩემთვის არც კი შემოუხედავს. მე კი აღარ ვიცოდი რა მექნა, ეს „ჩემთვის სულერთია“ თანხმობად მიმელო თუ უარად, გულგრილობის ნიშნად თუ უბრალო სიტყვებად: თავი დამანებეთო.

მე ისევ დავიწყე:

[1] არ მესმის (იტალ.).

— ქალბატონო, თუ კვამლი ოდნავ მაინც გაწუხებთ...

მაშინ ქალმა მომაძახა: „Mica“.[1] ეს ისეთი კილოთი იყო წოქვამი, აშკარად გვაგრძნობინა, თავი დამანებეთო, მაგრამ მაინც ეს უკვე ნებართვა იყო და პოლს ვუთხარი, შეგიძლია მოსწიო-მეთქი.

პოლმა ისეთი ცნობისმოყვარეობით სავსე მზერა მომაპყრო, უცხო, გაუგებარ ენაზე საუბრის მოსმენისას რომ აქვთ ხოლმე ადამიანებს.

— რა უთხარი? — მკითხა მან.

— ვკითხე, მოწევა თუ შეიძლება-მეთქი.

— სულ არ იცის ფრანგული?

— არც ერთი სიტყვა.

— რა გიპასუხა?

— რაც გინდათ, ის ჰქენითო.

სიგარა გავაბოლე.

პოლმა ისევ მკითხა:

— მეტი არაფერი უთქვამს?

— ძვირფასო, შენ რომ მისი სიტყვები დაგეთვალა, შეამჩნევდი, ექვსი სიტყვის მეტი არ უთქვამს. აქედან ორით გამაგებინა, რომ ფრანგულის არაფერი გაეგება, დაგვრჩა მხოლოდ ოთხი სიტყვა და არა მგონია, ამ ოთხი სიტყვით დიდი რამის თქმა შეიძლებოდეს.

პოლს მთლად გაუბედურებული, იმედგაცრუებული და მოტყუებული კაცის სახე ჰქონდა.

მაგრამ უეცრად იტალიელმა ქალმა ისევ იმ უკმაყოფილო კილოთი მკითხა, რაც ალბათ მისთვის ბუნებრივი უნდა ყოფილიყო:

— ხომ არ იცით, რომელ საათზე ვიქნებით გენუაში?

— საღამოს თერთმეტ საათზე, ქალბატონო, — ვუპასუხე მე.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ განვაგრძე:

— მე და ჩემი მეგობარიც გენუაში მივდივართ და თუ რამეში გამოგადგებით, დიდად მოხარულნი ვიქნებით.

და რაკი არაფერი მიპასუხა, ისევ მე მივმართე:

— თქვენ მარტო მგზავრობთ და თუ ჩვენი დახმარება გჭირდებათ...

მან ისევ გამოსცრა კბილებშუა «mica» და თანაც ისეთი «mica» რომ მაშინვე გავჩერდი.

პოლმა მკითხა:

— რა გითხრა?

— შენზე მითხრა, ძალიან მომწონსო.

მაგრამ მას არ ეხუმრებოდა და ცივად მითხრა, ნუ დამცინეო. მაშინ გადავუთარგმნე ჩვენი მეზობლის კითხვა და ჩემი ოავაზიანი წინადადება, რომელიც ასე მკაცრად უარყვეს.

პოლი გალიაში გამომწყვდეული ცოყვივით აფორიაქდა:

— რომ ვიცოდეთ, რომელ სასტუმროში გაჩერდება, ჩვენც იქ ჩამოვხდებოდით. იქნებ როგორმე დასტყუო. რაიმე მიზეზი გამონახე, რომ კვლავ დაელაპარაკო.

ეს მართლაც რომ ადვილი არ იყო და ალარ ვიცოდი, რა მომეფიქრებინა,

[1] სრულებითაც არა (იტალ.).

მით უმეტეს, რომ მეც მომინდა ამ ჯიუტი და უცხვირპირო არსების გაცნობა.

გავიარეთ ნიცა, მონაკო, მენტონა და მატარებელი გაჩერდა საზღვარზე, სადაც ბარგი უნდა შეეშოწმებინათ.

თუმცა ვერ ვიტან ცუდად აღზრდილ ადამიანებს, რომლებიც ვაგონში საუზმობენ და სადილობენ, მაინც უამრავი სანოვაგე ვიყიდე, რათა უკანასკნელი საშუალება მეცადა —ჩვენი თანამგზავრის მადაზე ვამყარებდი იმედს. ვგრძნობდი, რომ ეს გოგო ჩვეულებრივ გარემოში არცთუ ისე სიტყვაძვირი იქნებოდა. რაღაც უსიამოვნება შეხვედროდა და გაგულისებული იყო, მაგრამ სულ მცირე რამ იკმარებდა — მისი სურვილის გამოცნობა, ერთი უბრალო სიტყვა ან დროულად შეთავაზებული წინადადება, რომ მისი გული მოგვეგო და გაგვემხიარულებინა.

მატარებელი დაიძრა. ვაგონში ისევ სამნი ვისხედით. მე მთელი ხორაგი სკამზე გავშალე. დავჭერი ქათამი, შაშხის ნაჭრები ქაღალდზე ლამაზად დავალაგე, ქალის მახლობლად კი განგებ ტკბილეული დავაწყე: მარწყვი, ქლიავი, ალუბალი, ნამცხვარი და კანფეტები.

როდესაც ქალმა დაინახა, რომ ჭამას ვაპირებდით, თვითონაც შოკოლადი და ორი ფუნთუშა ამოიღო პატარა ჩანთიდან და თავისი ლამაზი, ბასრი კბილებით ღრღნა დაუწყო.

პოლმა ხმადაბლა მითხრა;

— რაიმე მაინც შესთავაზე.

— მეც სწორედ მაგას ვაპირებ. მაგრამ როგორ დავიწყო, არ ვიცი.

ამასობაში ქალი შიგადაშიგ ისე ცერად გადმოხედავდა ხოლმე ჩვენს სანოვაგეს, რომ მიეხვდი, ის ორი ფუნთუშა ვერ დაანაყრებდა. მაინც დავაცადე, სანამ თავის უბრალო სადილს მოათავებდა და ვუთხარი:

— ქალბატონო, ნუთუ პატივს არ დაგვდებთ და ამ ხილს არ გასინჯავთ.

მან ისევ მესროლა «mica», მაგრამ ხმაში ისეთი გაბოროტება აღარ ემჩნეოდა. არ მოვეშვი:

— მაშინ ნება მიბოძეთ, ცოტა ღვინო შემოგთავაზოთ, თქვენ ხომ არაფერი დაგილევიათ. ეს თქვენებური ღვინოა, იტალიური და რაკი ამჟამად თქვენი სტუმრები ვართ, ძალზე გვასიამოვნებთ, თუ მოსვამთ თქვენი მეზობლების— ფრანგების მიერ შემოთავაზებულ ღვინოს თქვენი ლამაზი იტალიური ტუჩებით.

უარის ნიშნად თავს ნაზად აქნევდა, მაგრამ, ეტყობოდა, დიდი პატიჟი აღარ დასჭირდებოდა. მან ერთხელ კიდევ თქვა «mica», მაგრამ ეს «mica» უკვე თავაზიანად იყო ნათქვამი. იტალიურ ყაიდაზე ჩალით მოწნული ბოთლი ავიღე, ჭიქები შევავსე და ერთი მას მივაწოდე.

— დალიეთ, სასიამოვნო მოგზაურობა გვისურვეთ თქვენს ქვეყანაში.

მან ჭიქა უკმაყოფილოდ გამომართვა, თითქოს წყურვილი კლავსო, სულმოუთქმელად გამოცალა და მადლობის მოუხდელად უკანვე დამიბრუნა.

ახლა ალუბალი მივაწოდე.

— მიირთვით, ქალბატონო. ძალიან გვასიამოვნებთ, თუ უარს არ გვეტყვით.

მან ერთხელ კიდევ გამოხედა ცერად სკამზე გაფენილ ხილს და ისე სწრაფად წარმოთქვა, რომ ძლივს გავარჩიე:

– Ame non piaciono ne le ciliegie, ne le susine, amo soltanto le fragole.

— რას ამბობს? — მკითხა მაშინვე პოლმა.

— რა და არც ალუბალი მიყვარს, არც ქლიავი, მარტო მარწყვი, — და ქალს მუხლებზე მარწყვით სავსე გაზეთი დავუდე. იგი მაშინვე შეუდგა ჭამას. ელვის სისწრაფით ჭამდა. თითის წვერებით იღებდა ნაჯოფს და იყრიდა პირში, რომელსაც ძალზე კეკლუცად და მომხიბვლელად ალებდა. მისი თითების სწრაფი მოძრაობის წყალობით ჩვენ თვალწინ თანდათან ილეოდა მარწყვის წითელი გროვა და რამდენიმე წუთში გაქრა კიდეც.

— კიდევ რა შემოგთავაზოთ? — ვკითხე.

ქალმა მიპასუხა.

— ცოტა ქათმის ხორცს შევჭამდი.

და მან ხელად გაანადგურა თითქმის ნახევარი ქათამი. ისე ლონივრად იქნევდა ყბებს, მტაცებელი ცხოველი მოგაგონდებოდათ. ქალმა ბოლოს გადაწყვიტა გაესინჯა ალუბალიც, რომელიც არ უყვარდა, შემდეგ კი ქლიავი და ნამცხვარიც. მერე თქვა, საკმარისიაო, და ისევ თავის კუთხეში მიიკუნჭა. ქალის საქციელმა ძალიან გამართო, ვიფიქრე, მოდი ვცდი, იქნებ კვლავ შევაჭამო-მეთქი რამე. არ დავაკელი თავაზიანი თხოვნა და ქათინაურები, რომ დამეთანხმებინა, მაგრამ უეცრად ქალმა ისევ მძვინვარე სახე მიიღო და ისეთი მრისხანე «mica» მესროლა, რომ მაშინვე გამიქრო სურვილი მისთვის საჭმლის მონელებაში ხელი შემეშალა.

ჩემს მეგობარს მივუბრუნდი:

— საწყალო პოლ, მგონი, სულ ტყუილად ვირჯებით.

ღამდებოდა. ნელა წვებოდა ზაფხულის თბილი ბინდი გახურებულ და ნოქანცულ დედამიწაზე. შორს, კონცხებსა და კლდოვანი სანაპიროს ჭიშებზე სინათლეები აინთო, ჩამუქებულ ცის დისიალიერზე კი ვარსკვლავები აკიაფდნენ, რომლებსაც ხანდახან შუქურების შუქისგან ვერ ვარჩევდი.

თანდათან მატულობდა ფორთოხლის ყვავილების სურნელიც. ხარბად, რაც შეიძლება ღრმად ვსუნთქავდით, რათა ფილტვები ამ დამათრობელი სუნით გაეღენთილიყო. ჰაერში საოცრად ნაზი, ღვთაებრივი კეთილსურნელება ტრიალებდა.

უცბად რკინიგზის გასწვრივ ჩამწკრივებულ, ჩამუქებულ ხეებში ვარსკვლავების წვიმისმაგვარი რამ შევამჩნიე. თითქოს ნაპერწკლები დახტიან და ციმციმებენო ფოთლებში, თითქოს პატარა ვარსკვლავები ჩამოცვენილანო ციდან. ეს ციცინათელები იყვნენ, მოკიაფე მწერები, რომლებიც სურნელოვან ჰაერში უცნაურ ცეცხლოვან ცეკვას ასრულებდნენ. ერთი ციცინათელა შემთხვევით ჩვენს ვაგონშიც შემოფრინდა. იგი ფარფატებდა, თავის მოციმციმე შუქს აფრქვევდა, ხან ძლიერ აციმციმებდა, ხანაც ჩაქრებოდა. ლამპას ცისფერი ფარდა ჩამოვაფარე, რომ უფრო დავმტკბარიყავი ამ ფანტასტიკური მწერის ცქერით, რომელიც აქეთ-იქით აწყდებოდა. უცბად ჩვენი მეზობლის შავთმაზე დასკუპდა, რომელმაც სადილის შემდეგ ჩათვლიმა. პოლი აღფრთოვანებული შეჰყურებდა ჩაძინებული ქალის თავზე ცოცხალ სამკაულად მოელვარე კაშკაშა წერტილს.

იტალიელმა ქალმა დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე გამოიღვიძა. გამოღვიძებული რომ დავინახე, ვუთხარი:

— ქალბატონო, გენუაში შევდივართ.

ქალს ჩემთვის არ უპასუხია, თავისთვის ჩაილაპარაკა, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო:

— ახლა რაღა ვქნა?

და უცებ მითხრა:

— თუ გინდათ, თქვენთან ერთად წამოვალ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავოცდი, ვერაფერი გავიგე.

— როგორ თუ ჩვენთან ერთად? მაგითი რისი თქმა გნებავთ?

მან გაბრაზებულმა გამიმეორა:

— თუ გინდათ, თქვენთან წამოვალ.

— დიდი სიამოვნებით, მაგრამ სად ისურვებდით წასვლას? სად მიგიყვანოთ, სად მიგაცილოთ?

მან გულგრილად აიჩეჩა მხრები.

— საცა გენებოთ, ჩემთვის სულერთია.

და ორჯერ გამიმეორა:

Che mi fa!

— კი მაგრამ, ჩვენ ხომ სასტუმროში მივდივართ.

ქალმა ზიზღით მითხრა:

— ჰოდა, წავიდეთ სასტუმროში.

პოლს მივუბრუნდი და ვუთხარი:

— გვეკითხება. თქვენთან წამოსვლა თუ შეიძლებაო.

ჩემი მეგობრის უსაზღვრო გაოცებამ სიმშვიდე დამიბრუნა.

მან წაიდუდუნა:

— ჩვენთან? სად? რატომ? როგორ?

— არაფერი არ ვიცი! ხომ გესმოდა, როგორი გაცხარებული მელაპარაკებოდა. ვუთხარი, სასტუმროში მივდივართ-მეთქი. მან კი განაცხადა, ძალიანაც კარგი, წავიდეთ სასტუმროშიო. მგონი, ჯიბეში ერთი სუკ არ უჭყავის. გაცნობის ძალზე უცნაური წესი კი ჰქონია.

ათრთოლებულმა პოლმა შეჰყვირა:

— რა თქმა უნდა, თანახმა ვარ! უთხარი, სადაც მოინდომებს, იქ წავიყვანთ!

მერე გაჩუმდა და ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ მითხრა:

— ოღონდ ის მაინც გავიგოთ, ვისთან წამოვა, შენთან თუ ჩემთან?

მე ქალს გადავხედე, რომელსაც ჩვეული გულგრილობა დაბრუნებოდა და, ეტყობოდა, საუბარი სრულიადაც არ აინტერესებდა.

— ძალიან ბედნიერი ვიქნებით, ჩვენთან წამოსვლას თუ ინებებთ, ოღონდ ჩემს მეგობარს აინტერესებს, დასაყრდნობად ჩემს მკლავს ინებებთ თუ მისას?

იგი თავისი ფართოდ გახელილი დიდრონი შავი თვალებით შემომაჩერდა და გაოცებულმა მითხრა:

Che mi fa!

ავუხსენი:

— მე მგონი, იმ კაცს, რომელიც ქალის ყოველი სურვილის ასრულებას თავის თავზე იღებს და ყველა მის ჭირსა და ახირებას აკმაყოფილებს, იტალიაში patito-ს ეძახიან. რომელ ჩვენგანს აირჩევდით თქვენს patito-დ?

მან უყოყმანოდ მიპასუხა:

— თქვენ.

პოლს მივუბრუნდი და ვუთხარი.

— ძვირფასო, ბედი არ გქონია, მე ამომირჩია.

დადარდიანებულმა პოლმა თქვა:

— მით უკეთესი შენთვის.

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ კი დაუმატა:

— ნუთუ მართლა ფიქრობ ამ კახპის წამოყვანას? მთელ მოგზაურობას ჩაგვიმწარებს, რა უნდა ვუყოთ. ღმერთმა ღასწყევლოს, რასა ჰგავს. მაგასთან ერთად არც ერთ წესიერ სასტუმროში არ მიგვიღებენ.

მაგრამ, თითქოს განგებ, სწორედ ამ დროს შევამჩნიე, რომ ქალი ბევრად უფრო ლამაზი იყო, ვიდრე თავიდან მეგონა. მტკიცედ გადავწყვიტე მისი წაყვანა და ახლა ველარავინ გადამათქმევინებდა. მთლიანად შემიპყრო ამ ფიქრმა, სხეულში უკვე ვგრძნობდი იმ მსუბუქ ჟრუანტელს, რომელიც სასიყვარულო ლამის მოლოდინში გვიპყრობს და ძარღვებში სისხლს გვიჩქროლებს.

ამიტომაც პოლს ვუთხარი:

— ჩემო ძვირფასო, ჩვენ უკვე თანხმობა განვუცხადეთ და ახლა ხომ აღარ გადავთქვამთ. თანაც პირველმა შენ არ მითხარი, თუ წამოგყვა, უარს ნუ ეტყვიო!

მან შემომილრინა:

— რა სისულელეა, რაც გინდა, ისა ქენი.

მატარებელმა დაუსტვინა და სვლა შეანელა. როგორც იქნა, ჩამოვედით.

ვაგონიდან პირველი გადმოვედი და ჩემს ახალ მეგობარს ხელი შევაშველე. იგი ბაქანზე მკვირცხლად ჩამოხტა და ზიზღით გამომდო ხელკავი. ბარგი რომ მივიღე, ქალაქში გავედით. პოლი მდუმარედ და ნერვიულად მოაბიჯებდა.

ვკითხე:

— რომელ სასტუმროში წავიდეთ? მე მგონი, „სიტე დე პარიში“ ქალთან ერთად, მით უმეტეს ამ ქალთან ერთად, მისვლა უხერხულია.

პოლმა შემაწყვეტინა:

— დიახ, უხერხულია. რადგან ქუჩის ქალს უფრო ჰგავს, ვიდრე ჰერცოგის მეუღლეს. ყოველ შემთხვევაში, ეს მე სულაც არ მეხება. როგორც გინდა, ისე მოიქეცი!

საგონებელში ჩავვარდი. „სიტე დე პარიში“ ხომ ადრევე შევუკვეთეთ ოთახები... ახლა კი... აღარ ვიცოდი, რა მექნა.

უკან ჩემოდნებით დატვირთული ორი მებარგული მოგვყვებოდა.

პოლს ვუთხარი:

— წინ მაინც წადი, სასტუმროს ჰატრონს გააფრთხილებ, რომ ჩამოვედით და მალე მოვალთ. თან სიტყვას გადაუკრავ, რომ... მეგობარი ქალი მახლავს და ცალკე ბინა გვინდა, სხვა მობინადრეებს რომ არ შევხვდეთ. იგი ყველაფერს მიხვდება და როგორ პასუხსაც მოგვცემს, ჩვენც ისე მოვიქცევით.

პოლმა დაიქუხა:

— დიდი მადლობა, ეგ დავალება და როლი სრულებითაც არ მეპიტნავება. აქ იმისათვის კი არ ჩამოვსულვარ, რომ ბინის საქმე მოგიგვარო, ან შენს სიამოვნებაზე ვიზრუნო.

მაგრამ მე არ ვეშვებოდი.

— კარგი, რა მოგვივიდა, ნუ ბრაზობ, ცუდ სასტუმროში ხომ არ წავალთ? რა გიჭირს, სასტუმროს პატრონს სამი განცალკევებული ოთახი სთხოვეთ საერთო სასადილოთი?

სიტყვა „სამს“ ხაზი გავუსვი და ამან გასჭრა.

პოლი დაწინაურდა და დავინახე, როგორ შევიდა ლამაზი სასტუმროს უზარმაზარ კარში. მე კი ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გავჩერდი ჩემს მუნჯ იტალიელ ქალთან ერთად და ლოდინი დავუწყე. მეგობარგულები ჩვენ უკან იდგნენ.

ბოლოს, როგორც იქნა გამოჩნდა, ისეთივე პირქუში გამომეტყველება ჰქონდა, როგორიც ჩემს თანამგზავრ ქალს.

— ცალკე ბინას გვაძლევენ, — თქვა მან, — მაგრამ ოთახი მხოლოდ ორია. ახლა, როგორც გინდა, ისე მოიქეცი.

რაღას ვიზამდი, გავყევი და ასეთ საეჭვო საზოგადოებაში ყოფნის გამო უსაზღვროდ დარცხვენილმა სასტუმროში შევაბიჯე.

ჩვენთვის გამოყოფილ ორ ოთახს პატარა სასტუმრო ჰქონდა. მოვითხოვე, ცივი ვახშამი ამოეტანათ, და ცოტა დარცხვენილი მივუბრუნდი ქალს:

— ქალბატონო, მხოლოდ ორი ოთახი გამოგვიყვეს, რომელიც გინდათ, ის ოთახი აირჩიეთ.

მან თავისი აკვიატებული „Che mi fa“ მიპასუხა. მაშინ იატაკიდან ნამდვილი მოახლე ქალის შესაფერისი ხის შავი სკივრი ავიღე და მარჯვენა ოთახში შევიტანე, რომელიც მისთვის... ჩვენთვის ავირჩიე. სკივრზე მიწებებულ ოთხკუთხა ქაღალდზე ფრანგულად ეწერა: „მადმაზელ ფრანჩესკა' რონდოლი, გენუა“.

— ფრანჩესკა გქვიათ? — ვკითხე მე.

მას არც უპასუხია, მხოლოდ თავი დამიკრა თანხმობის ნიშნად.

მე განვაგრძე:

— ვახშამს ახლავე მოგვართმევენ. იქნება გნებავთ მანამდე თავი მოიწესრიგოთ?

პასუხი კვლავ «mica» იყო, სიტყვა, რომელიც მის ბაგეთაგან ისევე ხშირად მესროდა, როგორც „Che mi fa“.

მე არ ვეშვებოდი.

— მატარებლით მგზავრობის შემდეგ ძალიან სასიამოვნოა წყლის გადაკვლება.

მერე ვიფიქრე, იქნება ქალისათვის საჭირო ტუალეტის საგნები თან არა აქვს-მეთქი, რადგან მომეჩვენა, რომ რაღაც უჭირდა და ჩემი ნესესერი მივუტანე.

ნესესერიდან ამოვალაგე ფრჩხილების ჯავრისი, უხმარი კბილის ჯაგრისი — მოგზაურობაში ყოველთვის რამდენიმე კბილის ჯაგრისი მიმაქვს, — მაკრატლები, პატარა ქლიბები, ლრუბელი, სახურავი მოვხადე სურნელოვანი ლავანდის წყლისა და „New mowa hay“-ს შუშებს, რათა არჩევა შესძლებოდა. გავხსენი აგრეთვე პუდრის კოლოფი. ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო პირსახოცი წყლიან დოქზე გადავკიდე და თასის გვერდზე ახალთახალი საპონიც დავდე.

ქალი ჩემს მოქმედებას ფართოდ გახელილი, მრისხანე თვალებით უყურებდა. ეტყობოდა, ჩემი ზრუნვა სრულებითაც არ აოცებდა, მაგრამ არც სიამოვნებდა.

ბოლოს ვუთხარი:

— ქალბატონო, აქ ყველაფერია, რაც შეიძლება დაგჭირდეთ, როდესაც ვახშამს მოიტანენ, დაგიძახებთ.

სასტუმრო ოთახში დავბრუნდი. პოლს მეორე ოთახი დასაქუთრებინა და შიგ ჩაკეტილიყო, ისე რომ მარტოს მომიხდა ლოდინი.

ლაქია განუწყვეტლივ მიდი-მოდიოდა, მოქონდა თეფშები, ჭიქები, როდესაც მოხარშული დედალიც დიდ მაგიდაზე, მომახსენა, ვახშამი მზად არისო.

მადმაზელ რონდოლის კარზე ფრთხილად დავაკაკუნე, მან დაიყვირა: შემოდითო. შევედი და მაშინვე საპარიკმახეროებისათვის დამახასიათებელმა პარფიუმერიის მძიმე და მძაფრმა სუნმა შემიკრა სუნთქვა.

ქალი ისე ჩამომჯდარიყო თავის სკივრზე, თითქოს იმედგაცრუებული მეოცნებეა ანდა დათხოვნილი მოხელე ქალიო. თვალის ერთი შევლებით მივხვდი, როგორც ესმოდა თავის წესრიგში მოყვანა. დაკეცილი პირსახოცი ისევ წყლით სავსე დოქზე იყო გადაფენილი, საპონიც ისევ ხელუხლებლად იდო ცარიელ თასთან, მაგრამ იტყოდით, ამ ახალგაზრდა ქალს ნახევარი სუნამო მაინც დაულევიაო, თუმცა ოდეკოლონი შედარებით დაენდო, მხოლოდ მესამედი თუ აკლდა, სურნელოვანი ლავანდის წყლისა და „New mowa hay"-სთვის პირდაპირ მუსრი გაევლო, სახე და კისერი ისე შეეპუდრა, რომ ჰაერში ისევ დაფარფატებდა პუდრის მსუბუქი ლრუბელი. წამწამებზე, წარბებსა და საფეთქლებზე თითქოს თოვლი შეუყრიათო, ლოყებზედაც სქლად ედო პუდრი, ცხვირზეც, ნიკაპის ფოსო და თვალის უპეებიც ამ გაჯისმაგვარი მასით ამოვსებოდა.

როდესაც ქალი წამოდგა, ისეთი მძაფრი სურნელება დაიფრქვია, რომ თავი ამტკივდა.

მაგიდას შემოვუსხედით, პოლი საშინელ გუნებაზე იყო. მხოლოდ იმისათვის თუ დაილაპარაკებდა, რომ წაებუზღუნებინა და უსიამოვნო შენიშვნები ან გესლიანი ქათინაურები წამოესროლა.

მადმაზელ ფრანჩესკა საჭმელს უძირო უფსკრულივით ნოქავდა. როგორც კი ჭამა მოათავა, სავარძელშივე ჩასთვლიმა. მე კი მოუსვენრობამ შემიპყრო, რადგან ახლოვდებოდა დრო, როდესაც დასაძინებლად უნდა წავსულიყავით. გადავწყვიტე უფრო გაბედულად მემოქმედა. ქალს გვერდით მივუჯექი და ხელზე თავაზიანად ვაკოცე. მან დაღლილი თვალები გაახილა და ოდნავ გაღებული ქუთუთოებიდან ნამშინარევი და, როგორც ყოველთვის, უკმაყოფილო მზერა მესროლა.

მე ვუთხარი:

— რადგან მხოლოდ ორი ოთახი გვაქვს, ნებას ხომ არ დამრთავთ, რომ თქვენს ოთახში დავიძინო?

მან მიპასუხა:

— როგორც გნებავთ, ისე მოიქეცით, Che mi fa.

ამ გულგრილობამ გული დამწყვიტა.

— მაშ თქვენთვის უსიამოვნო არ იქნება ჩემი იქ ყოფნა?

— ჩემთვის სულ ერთია, ისე მოიქეცით, როგორც გენებოთ.

— ახლავე ხომ არ ინებებთ დაწოლას?

— დიახ, ძალიან მეძინება.

ქალი წამოდგა, დაამთქნარა და გაგულისებულ პოლს ხელი გაუწოდა, და-

სამშვიდობებლად. მერე მე ჩვენი ოთახისაკენ გავუძეხი. მაგრამ მაინც მოუსვენრად ვიყავი.

— აი, აქ ყველაფერია, რაც გჭირდებათ, — კვლავ გავუმეორე.

მე თვითონვე ჩავუსხი თასში წყალი და პირსახოცი საპონთან ახლოს მივუწიე. შემდეგ პოლთან დავბრუნდი. შესვლისთანავე მომახალა:

— კარგი ვინმე კი მოათრიე!

გამეცინა.

—მეგობარო, სანამ გემოს არ გაუსინჯავ, ნუ იტყვი, ყურძენი მკვახეაო!

მან კი შენიღბული გესლიანობით დაუმატა:

— ფრთხილად იყავი, ჩემო ძვირფასო, მაგ ყურძენმა ავად არ გაგხადოს!

შეკრთი, უცებ შემიპყრო იმ მტანჯველმა შიშმა, საეჭვო სასიყვარულო თავგადასავლების შემდეგ ყოველთვის თან რომ გდევს, შიშმა, ყველაზე მომხიბვლელ შეხვედრებს, შემთხვევით ალერსსა და ნაპარავ კოცნას რომ გვიმწარებს. მაგრამ არ შევიმჩნიე და ვუთხარი:

— კარგი ერთი, რას ამბობ ,ეს გოგო მართლა მეძავი ხომ არ არის.

მაგრამ ახლა უკვე ხელში ვყავდი ამ გაიძვერას. არც ჩემს სახეზე გაელვებული შეკრთომა გამოჰპარვია:

— რა იცი, ვინ არის? პირდაპირ მაოცებ! მატარებელში აიკიდე ვიღაც იტალიელი ქალი, რომელიც მარტოდმარტო მოგზაურობს და რომელიც შეუდარებელი ცინიზმით სთავაზობს მასთან ღამის გატარებას ნებისმიერ სასტუმროში. შენც მოგყავს, და კიდევ მიმტკიცებ, ნათრევი არ არისო! თანაც თავს ირწმუნებ, თითქოსდა ამ საღამოს ისეთივე ხიფათი არ გელოდეს, როგორც... ვთქვათ, ყვავილით დაავადებული ქალის საწოლში!

მან ბოროტად, გამაღიზიანებლად გაიცინა. ეჭვებით აფორიაქებული იქვე ჩამოვჯექი. რა მექნა? პოლი მართალი იყო და ჩემს არსებაში დაიწყო შიშისა და სურვილის საშინელი ბრძოლა.

პოლმა განაცხადა:

— რაც გინდა, ისა ჰქენი. მე გაგაფრთხილე, მერე ჩივილი არ დაიწყო!

მაგრამ მის თვალებში ისეთი ბოროტი ირონია, შურისძიების ისეთი სიხარული დავინახე, ისე თავხედურად დამცინოდა, რომ წამითაც აღარ შევყოვნებულვარ.

— ღამე მშვიდობისა, — ვუთხარი და ხელი გავუწოდე.— ღმერთმანი გამარჯვება ღირს იმად, კაცი საფრთხეს არ მოერიდოს. საფრთხის გარეშე გამარჯვებას ჩალის ფასი აქვს!

და მტკიცე ნაბიჯით შევაბიჯე ფრანჩესკას ოთახში, ზღურბლზევე გავშეშდი, გაოცებული და აღფრთოვანებული. ქალს უკვე ეძინა, მთლად შიშველი იყო. ეტყობოდა, ძილი მაშინვე სწვეოდა, ტანსაცმელს როცა იხდიდა, და ტიციანის ქალივით წარმტაც და დიდებულ პოზაში იწვა. ალბათ ძალზე დაღლილი იყო, რადგან წინდების გახდისას საწოლზე მიწოლილიყო — წინდები იქვე ზეწარზე მიეყარა. მერე უცბად რაღაც სასიამოვნო თუ მოჰგონებია, რადგან წამოდგომა აღარ უჩქარია, რათა ბოლომდე დამტკბარიყო თავისი ზმანებით, მერე კი თვალებიც თავისით დახუჭვია და ძილისთვის მიუცია თავი. მალაზიაში ნაყიდი, საყელოდაქარგული ღამის პერანგი —ახალბედას ფუფუნების საგანი — იქვე საბანზე ეგდო.

ქალი მომაჯადოებელი იყო — ახალგაზრდა, ჩამოქნილი და ქორფა.

რა უნდა იყოს მძინარე ქალზე უფრო მშვენიერი! მისი სხეულის ყოველი ხაზი უნაზესია. ყოველი ნაკვთი ისეთი დამატყვევებელია და გულს ისე გიჩქროლებთ, თითქოს ღმერთს იმისათვის შეუქმნია, რომ აწ და მარადის ასე ფერავად განისვენებდეს სარეცელზე. ტალღოვანი ხაზი, რომელიც წელთან ღრმავდება, თეძოსთან ისევ ზევით იწევს, ხოლო შემდეგ ფეხის მთელ სიგრძეზე მსუბუქად და შნოიანად ეშვება ძირს, რათა ასე კეკლუცად დაბოლოვდეს ფეხის თითებთან, მხოლოდ ქათქათა ზეწარზე გაწოლილი თუ წარმოაჩენს მთელ თავის დახვეწილ სიტურფეს!

წამიც და მზად ვიყავი დამეივწყებინა ჩემი მეგობრის გონივრული რჩევა, მაგრამ უცბად ტუალეტის მაგიდისკენ გავიხედე, სადაც ყველაფერი ისევ ბელუხლებლად ეწყო და შეწუხებული ჩამოვჯექი, რადგან არ ვიცოდი, რა მექნა.

დიდხანს, ძალიან დიდხანს, ალბათ ერთი საათი მაინც ვიჯექი ასე. ვერაფერი მომეფიქრებინა, ვერც რამე გამებედა, ვერც გაქცევა გადამეწყვიტა, არადა, უკანდასახევი გზა ალარ მქონდა, ან ასე მჯდომარეს უნდა გამეთენებინა ღამე, ან არადა დავწოლილიყავი და განსაცდელში ჩამეგდო თავი.

მაგრამ ან საწოლზე რა დამაძინებდა, ან სავარძელში. მე ხომ გონება ძალზე აღგზნებული მქონდა, თვალები კი ძალზე დაკავებული.

სიცხიანივით მაკანკალებდა და ვწრიალებდი, ადგილს ვერ ვპოულობდი უზომოდ აღელვებული. ბოლოს თავს ჩავაგონე; დაწოლა ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, განა ლოგინში უკეთესად არ დავიძინებ, ვიდრე სკამზე-მეთქი?

და ნელ-ნელა დავიწყე გახდა, მერე ჩაძინებულ ქალს გადავაბიჯე, კედლის მხარეს დავწექი და ცდუნებას ზურგი შევაქცევ.

დიდხანს ვიწექი ასე, არაფრით არ დამეძინა. მაგრამ უეცრად ქალს გამოეღვიძა, გაახილა გაოცებული და, როგორც ყოველთვის, უკმაყოფილო თვალები და როცა შეამჩნია, რომ შიშველი იწვა, წამოდგა და ღამის პერანგი ისე გულგრილად გადაიცვა, თითქოს მე იქ არ ვყოფილიყავი.

მაშინ... ეშმაკმა დალახვროს... გარემოება გამოვიყენე, რასაც, იგი, ეტყობოდა, სრულებითაც არ შეუფასებია. თავი მარჯვენა მკლავზე დაიდო და ისევ მშვიდად დაიძინა.

მე კი დიდხანს ვფიქრობდი ადამიანის წინდაუხედაობასა და სულმოკლეობაზე. ბოლოს, როგორც იქნა, ჩამეძინა.

ქალი ადრე ადგა, თითქოს დილიდანვე ფუსფუსს არის მიჩვეულიო. ხმაურზე მეც გამომეღვიძა და ნახევრად გაღებულ ქუთუთოებიდან მალულად ვუთვალთვალებდი.

იგი ისე მიდი-მოდიოდა, თითქოს უკვირს, საქმე რომ არაფერი აქვს გასაკეთებელიო. ბოლოს გაბედა, ტუალეტის მაგიდას მიუახლოვდა და ერთ წუთში დააცარიელა, რაც კი ჩემს შუშებში სუნამო დარჩენილიყო. მართალია წყალიც ისხურა, მაგრამ ძალიან ცოტა.

საბოლოდ რომ გამოეწყო, თავის სკივრზე ჩამოჯდა, ხელები მუხლებზე შემოიხვია და ჩაფიქრდა.

ასე მოვაჩვენე თავი, თითქოს ახლა გამომეღვიძა და ვუთხარი:

— დილა მშვიდობისა, ფრანჩესკა.

მან კი (ეტყობოდა, გუშინდელს აქეთ გუნება ოდნავადაც არ გამოჰკეთებოდა) პასუხად წაიბურტყუნა:

— დილა მშვიდობისა.

მე ვკითხე:

— კარგად გეძინათ?

პასუხად მხოლოდ თავი დამიქნია. საწოლიდან წამოვხტი და საკრძნელად მივეტანე.

მან იმ ბავშვივით მოიშვირა სახე, რომელსაც არ უნდა, მაგრამ ძალად ეფერებიან. შემდეგ ნაზად მოვეხვიე (ღვინო დასხმული იყო და სულელი უნდა ვყოფილიყავი, არ დამელია, და ნელ-ნელა დავუწყე კოცნა დიდრონ თვალებს, რომლებსაც იგი გამწყრალი ხუჭავდა, ქორფა ლოყებს, სავსე ტუჩებს, სულ ერთთავად რომ გამირბოდნენ.

იძულებული ვიყავი მეკითხა:

— იქნებ ჩემი კოცნა არ გსიამოვნებთ.

— mica! — მიპასუხა მან.

მის გვერდით ჩამოვჯექი სკივრზე, წელზე ხელი მოვხვიე და ვუთხარი:

— Mica! Mica! ყველაფერზე Mica! ამიერიდან მადმუაზელ Mica-ს დაგიძახებთ!

ამ სიტყვებზე ბაგეზე პირველად დავუნახე რაღაც ღიმილისმაგვარი, მაგრამ ისე მალე გაუქრა, რომ დავეჭვდი, ხომ არ მომეჩვენა-მეთქი.

— კი მაგრამ, თუ ყველაფერზე mica მიპასუხეთ, როგორღა გავიგო რა გესიამოვნებათ, ან რითი გაგართოთ. აი, მაგალითად, დღეს რა ვქნათ?

იგი შეყოყმანდა, თითქოს თავში რაღაც აზრმა გაუელვაო, მერე კი გულგრილად თქვა:

— ჩემთვის სულერთია, რაც გინდათ.

— კარგით, მადმუაზელ Mica, ეტლი დავიქირავოთ და გავისეირნოთ.

მან ისევ წაიჩურჩულა:

— როგორც გენებოთ.

პოლი სასადილო ოთახში გვიცდიდა სასიყვარულო ამბავში გახვეული მესამე პირისათვის დამახასიათებელი გაბეზრებული გამომეტყველებით. მე აღფრთოვანებული სახე მივიღე და ჩემი საზეიმო განწყობილება ენერგიული ხელის ჩამორთმევით ვამცნე.

პოლმა მკითხა:

— დღეს რის გაკეთებას აპირებთ?

— ცოტა ხანს ქალაქში ვისეირნებთ, შემდეგ ეტლი დავიქირავოთ და გარეუბნები დავათვალიეროთ.

საუზმემ უხმოდ ჩაიარა, მერე კი მუზეუმების დასათვალიერებლად წავედით. სასახლიდან სასახლეში გადავდიოდით. ფრანჩესკას ხელს არ ვუშვებდი. მოვიარეთ სპინოლას, დორიას, მარჩელო დურაცოს, აგრეთვე თეთრი და წითელი სასახლეები. ქალი არაფრისადმი არ იჩენდა ყურადღებას, მხოლოდ იშვიათად თუ მიაპყრობდა ზანტ და უხალისო მზერას ხელოვნების რომელიმე შედევრს. გაჯავრებული პოლი უკან მოგვდევდა და იღრინებოდა. შემდეგ ეტლით ქალაქგარეთ გავისეირნეთ. გზაში არც ერთს ხმა არ ამოგვიღია.

ბოლოს სასადილოდ სასტუმროში დავბრუნდით.

იგივე განმეორდა მეორე და მესამე დღესაც.

მესამე დღეს პოლმა მითხრა:

— იცი რა, აქედან უნდა გავემგზავრო. მეტი საქმე არა მაქვს, სამი კვირა აქ ვიჯდე და შენსა და იმ კახპის სიყვარულობანას ვუყურო!

ძალიან შევწუხდი, მეუხერხულა, რადგან ჩემდა გასაოცრად ფრანჩესკამ ძალიან გამიტაცა და მივეჩვიე. ადამიანი სუსტია და სულელი, სულ პატარა რაღაც აიცუნდრუკებს, ხოლო როცა მისი გრძნობები აღგზნებულია და გული დაპყრობილი, სულმდაბლობაც კი ეუფლება.

ჩემთვის ძვირფასი გახდა ეს უტყვი, მუდამ უკმაყოფილო გოგო, რომელსაც სრულიად არ ვიცნობდი. მომწონდა მისი მოლრუბლული სახე, გაბუტული ტუჩები, მოწყენილი მზერა, მომწონდა მისი მოღლილი მოძრაობა, ზიზღით აღსავსე დაყოლა ალერსზე, თვით მისი გულცივი ალერსიც კი. რაღაც უხილავმა ძაფებმა, ხორციელი სიყვარულის საიდუმლო ძაფებმა, იმ იდუმალმა სწრაფვამ, რომელსაც უძღები სურვილი წარმოშობს, მას მიმაჯაჭვა. ეს ყველაფერი გულწრფელად ვუთხარი პოლს. მან სულელი მიწოდა და მითხრა:

— კარგი, მაშ ისიც წამოიყვანე.

მაგრამ ქალმა სასტიკი უარი თქვა გენუიდან გამგზავრებაზე, თუმცა მიზეზი არ დაუსახელებია. არც ხვეწნა-მუდარამ გაჭრა. არც დაპირებებმა.

მეც დავრჩი.

მაშინ პოლმა განაცხადა, მარტო გავემგზავრებიო, ჩემოდანიც კი ჩაალაგა, მაგრამ მაინც დარჩა.

ამასობაში გაიარა ორმა კვირამ.

ძველებურად გაჯავრებული და ჩუმი ფრანჩესკა უფრო ჩემ გვერდით ცხოვრობდა, ვიდრე ჩემთან. ყველა ჩემს თხოვნას და წინადადებას თავისი აკვიატებული «Che mi fa?» და არანაკლებ აკვიატებული „mica"-თი პასუხობდა.

ჩემი მეგობარი კი გაუთავებლად ბრაზობდა. ყოველ ბრაზიან გამოხდომაზე ასე ვეუბნებოდი:

— აქ თუ მოგბეზრდა, შეგიძლია გაემგზავრო, მე ხომ არ გიჭერ.

ამაზე პოლი წამოენთებოდა ხოლმე, მლანძღავდა და მსაყვედურობდა:

— ახლა სადღა უნდა წავიდე? დრო სამი კვირა გვქონდა და ორი უკვე გავიდა! გზის გაგრძელებას აზრი აღარ აქვს! ანდა ვენეციაში, ფლორენციასა და რომში მარტო ხომ არ გავემგზავრები. მაგრამ გაზღვევინებ იცოდე, და უფრო მეტადაც, ვიდრე შენ გგონია. გაგიგონიათ, ადამიანი პარიზიდან წამოიყვანონ და გენუის სასტუმროში იტალიელი ნათრევი ქალის გულისათვის ჩაკეტონ!

მე კი მშვიდად ვეუბნებოდი:

— რაღას იზამ, ისევ პარიზში დაბრუნდი.

ისიც აყვირდებოდა:

— მეც სწორედ მაგას ვაპირებ და ხვალვე გავემგზავრები!

მაგრამ მეორე დღესაც ისევ ისე ლანძღვა-გინებაში აღამებდა.

ქალაქში უკვე გვცნობდნენ. დილიდან საღამომდე დავეხეტებოდით გენუის ვიწრო, უტროტუარო, მიწისქვეშა გადასასვლელების მსგავსი დერეფნებით გადასერილ ქუჩებში, რომლებიც ქალაქს მოთარეშე ქარის ბინადქცეულ ქვის ლაბირინთს ამსგავსებდა. დავდიოდით შესახვევებსა და შუკებში და ცის პატარა ნაგლეჯისთვისაც კი ვერ შეგვესწრო თვალი. ხანდახან ვხვდებოდით ფრანგებს, რომლებიც გაოცებულნი შემობრუნდებოდნენ ხოლმე, თავიანთ თანამემამულეებს ჭყეტელა ტანსაცმელში გამოწყობილ მოწყენილ გოგოსთან ერთად რომ ხედავდნენ, რომლის ქცევაც იმდენად საოცარი იყო, პირდაპირ თავსა გვჭრიდა.

ჩემს ხელს დაყრდნობილი ქალი სეირნობისას ზედაც არაფერს უყურებ-

და. მაშ რატომღა რჩებოდა ჩემთან, ჩვენთან, თუკი, როგორც ვამჩნევდით, მაინცდამაინც დიდ სიამოვნებას ვერ ვანიჭებდით? ვინ არის? საღაურია? რა საქმეს ეწევა? ნეტავ აქვს გეგმები ან ჩანაფიქრი, თუ ბედს არის მინდობილი და შემთხვევითი შეხვედრებით ცხოვრობს? ამაოდ ვცდილობდი, [illegible] ვაგებას, განჭვრეტას, ახსნას. რაც უფრო ახლოს ვეცნობოდი, [illegible] მეტად მაოცებდა და გამოცანად მესახებოდა. ერთი კი ცხადი იყო, ის არ ეკუთვნოდა უნამუსო, გარყვნილი ქალების რიცხვს, რომელთაც სიყვარული შემოსავლის წყაროდ გაუხდიათ. ჩემი აზრით, უფრო ღარიბი ოჯახის ქალიშვილი უნდა ყოფილიყო, რომელიც აცდუნეს, წაიყვანეს, მოატყუეს და მიატოვეს, ახლა კი გაოგნებულმა ალარ იცის, რა გზას დაადგეს. რას აპირებდა? რას ელოდა? ის ხომ სრულიად არ ცდილობდა ჩემს მოხიბვლას, თავის მოწონებას, ანდა ჩემგან რაიმეს გამორჩენას.

ყველანაირად ვცდილობდი, რომ მისი ამბავი გამეგო. ვეკითხებოდი ბავშვობის წლებზე, ოჯახზე, მაგრამ არაფერს მპასუხობდა. და მეც ვრჩებოდი მასთან, გული თავისუფალი მქონდა, ხორცი კი დატყვევებული. მე ხომ არ მწყინდებოდა ამ პირქუში, დიდებული ძუს ხვევნა, მასთან შეერთება გრძნობამორეული, გამძვინვარებული ცხოველივით. რაღაც გრძნობიერი თილისმით ვიყავი დატყვევებული, მხიბლავდა სინორჩე და სიჯანსაღე, რომელიც გამოსჭვიოდა მისგან, მისი სურნელოვანი კანიდან, მისი ღონიერი, მკვრივი სხეულიდან.

განვლო კიდევ ერთმა კვირამ. ჩემი მოგზაურობა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, 11 ივლისს პარიზში უნდა ვყოფილიყავი. პოლიც თითქოს ბედს შეურიგდა, მაგრამ ისევ მებუზღუნებოდა, მე კი ვცდილობდი მომეგონებინა ახალ-ახალი გასართობები, სიამოვნებანი და სეირნობანი ჩემი საყვარლისა და მეგობრის გასართობად. პირდაპირ თავს არ ვზოგავდი.

ერთხელ სანტა-მარგარეტაში გასეირნება შევთავაზე ორივეს. ბაღებით გარშემორტყმული ეს პატარა ქალაქი კლდოვანი ნაპირის ძირას შეყუჟულა, რომელიც შორს, სოფელ პორტო-ფინომდე შეჭრილა ზღვაში. სამივენი გავუდექით ულამაზეს გზას, რომელიც მთის გაყოლებით მიიკლაკნებოდა. უეცრად ფრანჩესკამ მითხრა;

— ხვალ სასეირნოდ ველარ გამოგყვებით, სახლში უნდა წავიდე.

იგი გაჩუმდა. ვიცოდი, რომ პასუხს მაინც ვერ ველირსებოდი და ალარაფერი მიკითხავს.

მეორე დღეს, მართლაც ძალიან ადრე ადგა და, რაკი მე ისევ ვიწექი, ფეხთით ჩამომიჯდა და გაუბედავად მითხრა:

— საღამომდე თუ არ დავბრუნდი, არ მომაკითხავთ?

— რასაკვირველია. სად უნდა მოვიდე?

ფრანჩესკამ ამიხსნა:

— ჯერ ვიქტორ-ემანუელის ქუჩას გამოჰყვებით, შემდეგ ფალკონესა და სან-რაფაელის შესახვევებსაც გაივლით და ავეჯით მოვაჭრის სახლს დაინახავთ; ეზოს სიღრმეში, მარჯვენა ფლიგელში ქალბატონ რონდოლის იკითხავთ. მეც იქ ვიქნები.

ფრანჩესკა წავიდა. გაოცებისაგან ხმას ვერ ვიღებდი. მარტო რომ დამინახა, ჩემზე არანაკლებ გაოცებულმა პოლმა მკითხა:

— ფრანჩესკა სადღაა?

მეც ყველაფერი მოვუყევი, რაც მოხდა.

მან შეჰყვირა:

— ძალიან კარგი, მეგობარო, ვისარგებლოთ შემთხვევით და აქედან მოვუსვათ. მით უმეტეს, რომ ჩვენი გამგზავრების დროც დადგა. ორი დღე აქეთ იქნება თუ იქით, რა მნიშვნელობა აქვს. გზას გავუდგეთ, გზას! ჩაალაგე ჩემოდნები! გაეემგზავროთ!

მე არ ვეთანხმებოდი:

— კი, მაგრამ, ძვირფასო, სამი კვირა ერთად გაგვიტარებია და ამ გოგოს ასე ხომ ვერ მივატოვებ? ხომ უნდა გამოვემშვიდობო და დავითანხმო, რომ რამე გამომართვას. არა და არა! ვინმე სალახანასავით ხომ ვერ მოვიქცევი.

მაგრამ მას არაფრის გაგონება არ სურდა. მაჩქარებდა და საშველს არ მაძლევდა. მე მაინც არ ვუთმობდი.

ფრანჩესკას მოლოდინში გარეთ ფეხი არ გამიდგამს, მაგრამ იგი არ დაბრუნებულა.

საღამოს, ვახშამზე პოლი ზეიმობდა:

— თვითონ მიგატოვა, ჩემო ძვირფასო. აი, სეირი თუ გნებავთ, ნამდვილი სეირი.

უნდა გამოვტყდე, რომ გაოცებული და ცოტა ნაწყენიც ვიყავი. პოლი კი პირში დამცინოდა და მაბითურებდა.

— თუმცა ძალიან უბრალო და მარტივი საშუალებებისათვის მიუმართავს, მაგრამ ვერაფერს იტყვი, კარგად კი მოუფიქრებია: „მომიცადეთ, საღამოთი დავბრუნდები“. დიდხანს აპირებ ლოდინს? ვინ იცის, იქნება იმდენი დოყლაპიობა გამოიჩინო, რომ მაგ მისამართით წახვიდე და მიაკითხო: „აქ ცხოვრობს ქალბატონი რონდოლი?“ „აქ ასეთი არავინ ცხოვრობს, ბატონო“. სანაძლეოს ვდებ, რომ იქ წასვლას აპირებ.

მე ვიუარე:

— არა, არა, ძვირფასო, გარწმუნებ, თუ ხვალ დილით არ დაბრუნდა, რვა საათის მატარებლით მივემგზავრები. ასე რომ, ოცდაოთხ საათს მოვუცდი. ეს დრო სავსებით საკმარისია და სინდისიც დამშვიდებული მექნება.

მთელი საღამო მოწყენილი ვიყავი და ვწრიალებდი. ვნერვიულობდი. ვგრძნობდი, რომ გული მისთვის მიკვნესოდა, შუალამისას დავწექი. ძალიან ცუდად მეძინა.

ექვს საათზე უკვე ფეხზე ვიყავი. პოლი გავაღვიძე, ჩემოდანი ჩავალაგე და ორი საათის შემდეგ უკვე საფრანგეთისკენ მივქროდით.

III

ისე მოხდა, რომ მეორე წელს, ზუსტად იმავე დროს, ციებ-ცხელებასავით შემიპყრო იტალიის ნახვის ხელახალმა მძაფრმა სურვილმა. მაშინვე გადავწყვიტე გამგზავრება, რადგან განათლებული კაცისათვის ფლორენციის, ვენეციისა და რომის დათვალიერება აუცილებელია. ამას გარდა, ეს ხომ საზოგადოებაში მრავალ სასაუბრო თემას და ხელოვნებაზე ბანალური ფრაზების წარმოთქმის საშუალებასაც იძლევა, რომელნიც უჩვეულოდ ღრმააზროვანნი ჩანან.

ამჯერად მარტოკა გავემგზავრე და გენუაშიც ზუსტად იმავე დროს ჩავე-

დი, რა დროსაც ჩავედი გასულ წელს, ოღონდ გზაში არაფერი გადამხდენია. ისევ იმ სასტუმროში გავჩერდი და სრულიად შემთხვევით ოთახიც ისევ ის მერგო.

მაგრამ დავწექი თუ არა, მოგონებებმა ფრანჩესკაზე, რომლის სახეც უკვე წინადღეს ბუნდოვნად გაკრთებოდა ხოლმე ჩემს გონებაში, მძაფრად შემომიტიეს.

ნუთუ არ აგკვიატებიათ ქალზე ფიქრი, როცა დიდი ხნის შემდეგ იმ ადგილებში დაბრუნდებით, სადაც გიყვარდათ და ფლობდით მას.

ეს ერთი იმ მძაფრ და მტანჯველ გრძნობათაგანია, როგორიც კი ოდესმე განმიცდია. გელანდება, რომ ახლა შემოვა იგი, გაგიღიმებს და გადაგეხვევა. მისი ხატება ხან ბუნდოვანია, ხან კი ცხადი, ხან გამოჩნდება, ხანაც გაქრება. იგი გატყვევებს, შენს სულსა და გულს ეუფლება, აჩრდილივით დაგყვება და გრძნობებს გიფორიაქებს. ხედავ მას, თან გდევს მისი სურნელი, ტუჩებზე მის კოცნას გრძნობ, სხეულზე — მის შეხებას, შენ ახლაც მარტო ხარ, ძალიან კარგად იცი ეს, მაგრამ მაინც ენით უთქმელი მღელვარება გიპყრობს, არ გასვენებს მისი აჩრდილი. გული გიკვნესის, გეჩვენება, რომ ეს-ეს არის სამუდამოდ მიგატოვეს. ყველაფერი, რაც შენ გარშემოა, სასოწარკვეთილებას გვავრის, ფიქრობ, რომ დაგივიწყეს და მთელ შენს არსებაში სიმარტოვის საშინელი განცდა იბუდებს, ოჰ, აღარასოდეს აღარ დაბრუნდეთ იმ ქალაქში, სახლში, ოთახში, ტყეში, ბაღში, სადაც საყვარელ ქალს ეხვეოდით!

მთელ ღამეს ფრანჩესკა მედგა თვალწინ და ნელ-ნელა შემიპყრო მისი ხელახალი ნახვის სურვილმა, თავდაპირველად გაუბედავმა, შემდეგ კი ძლიერმა, მწვავე და მხურვალე სურვილმა. გადავწყვიტე, მეორე დღეც გენუაში გამეტარებინა და ფრანჩესკა მომეძებნა, ხოლო თუ ვერ ვიპოვიდი, საღამოს მატარებლით გავმგზავრებულიყავი.

ამიტომაც დილიდანვე შევუდექი ძებნას. შესანიშნავად მახსოვდა მისამართი, განშორებისას რომ მომცა: ვიქტორ-ემანუილის ქუჩა, ფალკონეს გასასვლელი, სან-რაფაელის შესახვევი, ავეჯის გამყიდველის სახლი, მარჯვენა ფლიგელი ეზოს სიღრმეში.

როგორც იქნა, გავიგენი გზა და ნახევრად დანგრეული პატარა სახლის კარზე დავკაკუნე. კარი ვიღაც სქელმა ქალმა გამიღო, რომელიც ოდესღაც საოცრად ლამაზი უნდა ყოფილიყო, ამჟამად კი მხოლოდ საოცრად ჭუჭყიანი იყო. მიუხედავად უზომო სიმსუქნისა, მის სახის ნაკვთებს მაინც შემორჩენოდა არაჩვეულებრივი სიდიადე. დაუვარცხნელი თმის კულულები შუბლსა და მხრებზე ჩამოსწეწოდა, დალაქულ საშინაო ფართო კაბაში, ფაშფაშა, დუნე სხეული უთამთამებდა. ყელზე უშველებელი მოოქროვილი ყელსაბამი ეკიდა, მაჯაზე კი შესანიშნავი გენუური ფილიგრანული სამაჯურები ეკეთა. მან მტრულად შემომიბღვირა:

— რა გნებავთ?

მე ვკითხე:

— მადმუაზელ ფრანჩესკა რონდოლი აქ ცხოვრობს?

— მერედა, რა გნებავთ?

— მე ბედნიერება მქონდა გასულ წელს გამეცნო იგი და ახლა კვლავ ვესურვებდი მის ხილვას.

მოხუცი ქალი ეჭვის თვალით მიმზერდა.

— სად გაიცანით?

— აქვე, გენუაში.

— რა გქვიათ?

წამით შევყოყმანდი და ჩემი გვარი ვუთხარი.

ქალმა ბოლომდე არც მითქმევინა, ხელები ისე გაშალა, თითქოს უნდა გადამეხვიოსო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აჰ, თქვენ ხართ ის ფრანგი! როგორ მიხარია თქვენი ნახვა! მაგრამ გაამწარეთ კია საწყალი გოგო! მთელი თვე გიცდიდათ, ბატონო, მთელი თვე. პირველ დღეს ფიქრობდა, რომ მოაკითხავდით. უნდოდა გაეგო, ნამდვილად გიყვარდათ თუ არა! აჰ, რომ გენახათ, როგორ ტიროდა, როდესაც მიხვდა, ალარ მოხვიდოდით! დიახ, ბატონო, იმდენი იტირა, ცრემლი გაუშრა პირდაპირ! მერე სასტუმროშიც წამოვიდა, მაგრამ თქვენ იქ ალარ დაუხვდით. ჯერ ფიქრობდა, რომ იტალიაში მოგზაურობდით, უკან დაბრუნებისას ისევ გამოივლიდით გენუაში და მასაც ნახავდით, რადგანაც მან ხომ არ მოინდომა თქვენთან ერთად წამოსვლა. თვეზე მეტი გიცადათ. დიახ, ბატონო! ნაღვლობდა, მერედა, როგორ ნაღვლობდა! მე დედამისი ვარ!

ცოტა არ იყოს, შევცბუნდი, მაგრამ არ შევიმჩნიე და ვკითხე:

— ახლა შინ არის?

— არა, ბატონო, პარიზშია, ერთ მხატვართან, შესანიშნავ ახალგაზრდასთან, რომელსაც ძალიან უყვარს, ბატონო, ისე უყვარს, რომ რასაც მოსთხოვს, ყველაფერს ჩუქნის. აი ნახეთ, რა გამომიგზავნა ფრანჩესკამ, ხომ ლამაზებია?

წმინდა სამხრეთული ალფრთოვანებით მიტრიალებდა თვალწინ ფართო სამაჯურებს და მძიმე ყელსაბამს.

— კიდევ მაქვს ლამაზთვლიანი საყურეები, აბრეშუმის კაბა, ბეჭდები, მაგრამ დილით რად მინდა. აი, სადმე რომ მივდივარ, მაშინ გამოვეწყობი ხოლმე. რომ იცოდეთ, როგორი ბედნიერია ახლა! ძალიან გაუხარდება, როცა მივწერ, რომ ჩვენთან იყავით! შემოდით, ბატონო, ცოტა ხანს ჩამოჯექით, რამეს მაინც დაგალევინებთ, შემოდით.

მე ვუარობდი. მინდოდა პირველივე მატარებლით გავმგზავრებულიყავი, მაგრამ ქალმა ხელი მტაცა და შინ ძალით შემიყვანა.

— შემოდით, ბატონო, ხომ უნდა მივწერო, რომ ჩვენთან იყავით, — ასე ალმოვჩნდი ნახევრად ბნელ, პატარა ოთახში, სადაც მხოლოდ მაგიდა და რამდენიმე პატარა სკამი იდგა.

ქალი ისევ ალაპარაკდა:

— ო! ჩემი შვილი ახლა ძალიან ბედნიერია, ძალიან ბედნიერი. მატარებელში როცა შეხვდით, დარდიანი იყო. მეგობარმა კაცმა მარსელში მიატოვა და საცოდავი ბავშვი შინ მარტო ბრუნდებოდა. მაშინვე ძალზე მოსწონებიხართ, მაგრამ ხომ გესმით, ნაღველი ჯერ კიდევ არ განელებოდა, ახლა კი არაფერი არ აკლია. ყველაფერსა მწერს, არაფერს მიმალავს. იმ კაცის გვარი ბელმენია: ამბობენ, თქვენში დიდი მხატვრის სახელი აქვს. ქუჩაში შეხვდა ფრანჩესკას, დიახ, ბატონო, ქუჩაში და მაშინვე შეუყვარდა. მართლა, ჭიქა სიროფს ხომ არ მიირთმევდით, ძალიან გემრიელია. წლეულს რა, მარტო ჩამოხვედით?

— დიახ, სულ მარტო, — ვუპასუხე მე.

გამიარა პირველმა იმედგაცრუებამ, რომელიც ქალბატონი რონდოლის სიტყვების შემდეგ დამეუფლა, და ახლა ერთი სურვილი მქონდა ხმამაღლა გა-

დამეხარხარა. სხვა გზა აღარ იყო და სიროფის დალევა მომიხდა. ქალი კი ისევ ლაპარაკობდა:

— მაშ, სულ მარტო ჩამოხვედით? აჰ, როგორ მწყინს, რომ ფრანჩესკა აქ არ არის: სანამ აქა ხართ, ამხანაგი გეყოლებოდათ. აბა, მარტო სეირნობა რა სასიამოვნოა; ფრანჩესკასაც გული დასწყდება.

ასადგომად წამოვიწიე თუ არა, ქალმა იყვირა:

— მოიცათ, არ გინდათ, კარლოტა გამოგაყოლოთ? სასეირნო ადგილებს შესანიშნავად იცნობს. კარლოტა, ბატონო, ჩემი მეორე ქალიშვილია.

ქალმა ჩემი გაოცება ალბათ თანხმობად ჩათვალა, წამსვე ჩაბნელებულ კიბესთან გაჩნდა და დაიძახა:

— კარლოტა! კარლოტა! ერთი აქ ჩამოდი, ჩქარა!

მინდოდა მეთქვა, ნუ ეძახით-მეთქი, მაგრამ ვინ დამაცალა. ხმა არ ამომაღებინა.

— არა, არა, კარლოტა ამხანაგობას გაგიწევთ. ფრანჩესკაზე დამყოლი და მხიარული ხასიათისაა, კარგი გოგოა, კარგი, და ძალიან მიყვარს.

ამ დროს კიბის საფეხურებზე ფოსტლების ფლასაფლუსი მოისმა და გამოჩნდა მაღალი, შავთმიანი, ლამაზი და კოხტად მოყვანილი ქალიშვილი. ისიც თმაგაწეწილი იყო. დედამისის ნაქონ ძველ კაბაში მისი ნორჩი და ჩამოქნილი სხეული იკვეთებოდა.

ქალბატონმა რონდოლიმ მაშინვე აუხსნა, როგორც იყო საქმე.

— ეს ფრანჩესკას ფრანგი მეგობარია, გასულ წელს რომ გაიცნო. ფრანჩესკას სანახავად მოვიდა. ამჯერად მარტო ჩამოსულა საბრალო. ავდექი და ვუთხარი, კარლოტა წამოგყვებათ, ცოტა გულს გადააყოლებთ-მეთქი.

კარლოტამ ლამაზი თაფლისფერი თვალები შემომანათა, გაიღიმა და წაიჩურჩულა:

— თვითონ თუ უნდა, მე თანახმა ვარ.

უარს ვინ იტყოდა.

ქალბატონმა რონდოლიმ კარლოტას ყარისკენ უბიძგა.

—წადი ჩაიცვი, ოღონდ ჩქარა, ჩქარა. ცისფერი კაბა ჩაიცვი, ყვავილებიანი ქუდიც არ დაგავიწყდეს, იცოდე, ბევრი არ გვალოდინო!

როცა კარლოტა გავიდა, ქალმა მითხრა:

— ორი ქალიშვილი კიდევ მყავს, მაგრამ ისინი ჯერ პატარები არიან. წარმოგიდგენიათ, ბატონო, რა ფული ჯდება ოთხი შვილის აღზრდა! კიდევ კარგი, უფროსი მაინც დაბინავებული მყავს.

მერე მიამბო თავის ცხოვრებაზე, გარდაცვლილ ქმარზე, რომელიც თურმე რკინიგზაზე მუშაობდა, და ძალიან მიქო თავისი მეორე ქალიშვილი კარლოტა.

კარლოტა მალე დაბრუნდა, მასაც უფროსი დის გემოვნება ჰქონდა — მასავით მყვირალა და უცნაური კაბა ეცვა.

დედამ თავით ფეხამდე შეათვალიერა და, ეტყობა, კმაყოფილი დარჩა:

— ახლა კი წადით, შვილებო!

მერე ქალიშვილის მიმართა:

— ოღონდ ათ საათს არ გადააცილო. ხომ იცი, კარი დაკეტილი იქნება.

— ნუ გეშინია, დედა! — დაამშვიდა კარლოტამ.

მან ხელკავი გამომდო და სასეირნოდ წავედით. სწორედ ასე ვსეირნობდი მის დასთან ერთად გასულ წელს.

სასადილოდ სასტუმროში დავბრუნდით, მერე კი ჩემი ახალი მეგობარი სანტა-მარგარეტაში წავიყვანე, სადაც მე და ფრანჩესკამ უკანასკნელად გავისეირნეთ.

და რადგანაც კარგად ახსოვდა, რომ კარი ათი საათის შემდეგ დაკეტილი დაუხვდებოდა, იმ საღამოს კარლოტა შინ აღარ დაბრუნებულა.

იმ ორი კვირის განმავლობაში, რომელიც ჩემს განკარგულებაში იყო, მე და კარლოტამ მოვიარეთ მთელი გენუის შემოგარენი. მის დაზე სრულიადაც აღარ მიდარდია.

გამგზავრების დღეს აცრემლებულ კარლოტას გამოვემშვიდობე და საჩუქარი დავუტოვე, ოთხი სამაჯური დედამისთანაც გავატანე.

გადაწყვეტილი მაქვს ახლო მომავალში კვლავ ვეწვიო იტალიას. ცოტა არ იყოს ვღელავ, მაგრამ მაინც იმედიანად ვარ, ქალბატონ რონდოლის ხომ ორი ქალიშვილი კიდევ ჰყავს!!

ანდრეს ავადმყოფობა

ვუძღვნი ედგარ კურტუს

ნოტარიუსის სახლის ფასადი მოედანზე გამოდიოდა. სახლს უკან ლამაზი ბაღი იყო გადაჭიმული პიკის უკაცრიელ გასასვლელამდე, რომლისგანაც მაღალი კედელი ჰყოფდა.

სწორედ ამ ბაღის განაპირას დაენიშნა მეტრ მოროს ცოლს პირველი პაემანი კაპიტან სომერივისთვის, რომელიც კარგა ხანი იყო გასაქანს აღარ აძლევდა.

ქმარი რვა დღით პარიზს გაემგზავრა და ქალი მთელი ერთი კვირა ჩიტივით თავისუფალი იყო. კაპიტანი იმდენს ეხვეწა, იმდენი ნაზი და ტკბილი სიტყვა დახარჯა, რომ ქალმა ირწმუნა, სიგიჟემდე ვუყვარვარო. თვითონ კი ისეთ სიმარტოვეს გრძნობდა, ისე უყურადღებოდ იყო მიტოვებული — ნოტარიუსი ხომ დღენიადაგ თავისი ხელშეკრულებებითა და ათასგვარი თამასუქებითა თუ ანდერძებით იყო დაკავებული — რომ კაპიტანს გული და თანაგრძნობა აღუთქვა, მაგრამ ამას რა მოჰყვებოდა, აღარ დაფიქრებულა.

რამდენიმე თვე შორით ტრფობის, ერთი-ორჯერ ხელზე ხელის მოჭერისა და კარს უკან მოპარული, ნაჩქარევი კოცნის შემდეგ კაპიტანმა განუცხადა, რომ სხვაგან გადაყვანას მოითხოვდა და სასწრაფოდ დატოვებდა ქალაქს, თუ პაემანს არ დაუნიშნავდა, ნამდვილ პაემანს ხეების ჩრდილქვეშ, ქმრის შინ არყოფნის დროს.

ქალმა დაუთმო და, მოვალო, შეჰპირდა. ახლა სწორედ მას ელოდა გულის ფანცქალით და, კედელზე აკრულს, სულ ოდნავი ჩქამიც კი აკრთობდა.

უცბად გაიგონა, რომ კედელზე ვილაც მოცოცავდა და კინაღამ გაიქცა. ის რომ არ იყოს? იქნებ ქურდია? მაგრამ არა, ყურს მისწვდა ნაზი ხმა: „მატილდა". ისიც გაეპასუხა: „ეტიენ". იმწამსვე კედლიდან კაცმა ისკუპა და ხმლის ჩხარაჩხურით ბილიკზე დახტა.

ის იყო, ის! რა მხურვალე იყო მათი კოცნა! დიდხანს იდგნენ ასე ჩაკრუ-

ლები, ტუჩებშეწებებულები. მაგრამ უეცრად ფოთლებზე წვიმის წვეთები ახმაურდა და ქალი შეკრთა კისერში ჩაცურებული წვეთები რომ იგრძნო.

კაცი ეუბნებოდა:

— მატილდა, ძვირფასო, ჩემო ანგელოზო, ავიდეთ თქვენთან, უკვე შუაღამეა, საშიში არაფერია ,წავიდეთ თქვენთან, გევედრებით.

ქალი პასუხობდა:

— არა, ჩემო სიყვარულო, მეშინია, ვინ იცის, რა განსაცდელი გველის!

მაგრამ კაცი უფრო და უფრო მაგრად იხუტებდა გულში და ყურში ჩასჩურჩულებდა:

— თქვენს მსახურს სძინავს მეოთხე სართულზე, მოედნის მხარეს, თქვენი ოთახი კი მეორე სართულზეა, ფანჯრები ბაღში გადის. ვერავინ ვერაფერს ვერ გაიგებს. მიყვარხართ, ახლა მინდა სულ ჩემი გახდეთ, თავით ფეხამდე.

და სულ უფრო და უფრო ვნებიანად კოცნიდა.

ქალს თან ეშინოდა, თან რცხვენოდა და უარზე იყო, მაგრამ კაცმა ხელში აიტაცა და გააქანა წვიმაში, რომელიც თანდათან უფრო ძლიერდებოდა.

კარი ღია დახვდათ. სიბნელეში კიბეზე ფეხაკრეფით ავიდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, საძინებელ ოთახში შევიდნენ და, სანამ კაცი ასანთს აანთებდა, მატილდამ კარი ურდულით ჩაკეტა.

ლონემიხდილი ქალი საგარძელში ჩაეშვა, კაცმა მის წინ ჩაიმუხლა და ნელა დაუწყო გახდა. პირველად ფეხსაცმელები და წინდები გახადა, სურდა მისთვის ფეხები დაეკოცნა.

სუნთქვაშეკრული ქალი ემუდარებოდა:

— ო, არა, ეტიენ, გემუდარებით, მაგას ნუ იზამთ, ნუ შემიბღალავთ პატიოსნებას, იცოდეთ, ამისათვის შეიძლება შემძულდეთ კიდეც! ფუ. რა საშინელებაა! ნუთუ არ შეიძლება მხოლოდ სულიერად გვიყვარდეს ერთმანეთი? ეტიენ!

კაცი კი პირისფარეში ქალის გაწაფულობით და მოწყურებული კაცის სულწასულობით უხსნიდა ღილებს, ბაბთებსა და ზონრებს. ქალმა წამოიწია, რათა გაქცეოდა ამ კადნიერებასა და უტიფრობას, მაგრამ როგორც კი წამოდგა, კაბა, ქვედაკაბები და საცვალი ჩასძვრა და უცბად სახელოდან გამოყოფილი ხელივით გაშიშვლდა.

თავგზააბნეული ქალი ფარდებჩამოფარებული საწოლისკენ გაიქცა, რათა სიშიშვლე დაემალა. კაციც მაშინვე უკან გაედევნა, მაგრამ ისე ჩქარობდა, რომ ხმალი დაუვარდა და იატაკზე გაიჟღარუნა.

იმწამსვე გაისმა ბავშვის ყურისწამღები, გაბმული ღრიალი, ხმა მოდიოდა მეზობელი ოთახიდან, რომლის კარიც ღია დაეტოვებინათ.

ქალმა წაიჩურჩულა:

— ოჰ, ანდრე გააღვიძეთ, ახლა რაღა დააძინებს!

წლისა და სამი თვის ვაჟს დედასთან ახლოს ეძინა, რომ, თუკი საჭირო იქნებოდა, მაშინვე მიეხედა ბავშვისათვის.

ვნებისაგან გახელებულ კაპიტანს არაფრის გაგონება არ სურდა.

— იტიროს, მერე რა მოხდა? მიყვარხარ, ჩემი ხარ, მატილდა!

ქალი კი ეწინააღმდეგებოდა, შეწუხებული და შეშინებული:

— არა, არა! გესმის, როგორ კივის? ძიძას გაეღვიძება და დავიღუპებით, რაღა გვეშველება! მისმინე, ეტიენ, როდესაც ღამე ტირილს იწყებს, მამამისს

ჩვენს საწოლში გადმოჰყავს ხოლმე დასამშვიდებლად და ისიც მაშინვე, მაშინვე იძინებს. მეტი გამოსავალი არა გვაქვს, ეტიენ, ახლავე მოვიყვან.

ბავშვი ისე ღრიალებდა, ყველაზე სქელ კედლებში ვაატანდა ძისი ხმა და, ალბათ ქუჩაში გამვლელებიც კი გაიგონებდნენ.

სხვა გამოსავალი მართლაც აღარ იყო და დადარდიანებული კაპიტანი წამოდგა. მატილდამ პირმშო გადმოიყვანა და, როგორც კი საწოლში ჩააწვინა, ბავშვი მაშინვე გაჩუმდა.

ეტიენი სკამს გადაეჯდა და პაპიროსი დაახვია. ხუთი წუთიც არ გასულა, რომ ბავშვს ჩაეძინა. დედამისმა წაიჩურჩულა: ახლა თავის ოთახში გავიყვანო, გაიყვანა და უდიდესი სიფრთხილით ჩააწვინა აკვანში.

როდესაც ოთახში დაბრუნდა, კაპიტანი უკვე მკლავებგაშლილი ელოდებოდა. ვნებით გახელებულმა კაცმა გულში მხურვალედ ჩაიკრა. ბოლოს და ბოლოს ქალი თვითონაც აენთო და მიეკრა, თან ლუღლუღებდა:

— ეტიენ, ეტიენ... ჩემო სიყვარულო! ოხ, რომ იცოდე, როგორ... როგორ...

ამ დროს კვლავ გაისმა ანდრეს ბღავილი. გაცეცხლებულმა კაპიტანმა შეიგინა:

— ეშმაკმა დასწყევლოს, ალარ გაჩუმდება ეს ცინგლიანი!

მართლაც არ ჩუმდებოდა „ეს ცინგლიანი" და, რაც ძალა და ლონე ჰქონდა, ბღაოდა.

მატილდას ზემოდან რაღაც ხმაური შემოესმა. ალბათ ძიძამ თუ გაიღვიძა. მაშინვე წამოხტა, ბავშვი აიყვანა და ისევ საწოლში ჩააწვინა. ისიც მაშინვე გაჩუმდა.

მერე კიდევ სამჯერ ამოიყვანეს და ჩააწვინეს აკვანში.

კაპიტანი სომერიელი გათენებამდე ერთი საათით ადრე წავიდა და თან ყურით გაუგონარი, უშველი სიტყვებით იგინებოდა.

ცოტა მაინც რომ დაეწყნარებინა, მატილდა შეეპირდა, ამ საღამოს ისევ მიგიღებო.

იმ საღამოსაც მოვიდა კაცი, ლოდინისაგან გამწარებული, უფრო მოუთმენელი და უფრო ანთებული.

ამჯერად ხმალი უფრო ფრთხილად შეიხსნა და სავარძლის სახელურებზე გადო, ფეხსაცმელებიც ქურდივით ფრთხილად გაიხადა, ისე ჩუმად ლაპარაკობდა, რომ მატილდას არც კი ესმოდა. დაბოლოს, როდესაც ბედნიერებისათვის, სრული ბედნიერებისათვის უნდა მიეღწია, რაღაცამ დაიჭრიალა, ალბათ იატაკმა ან კარადამ. ან შეიძლება თვით საწოლმაც. ამას ტკაცანი მოჰყვა და მაშინვე ბავშვის ტირილიც მოისმა, ჯერ ჩუმი, მერე კი ყურისწამღები. ანდრემ გაიღვიძა.

მელიასავით წკავწკაევებდა. ასე რომ გაეგრძელებინა, ალბათ მთელ სახლს ფეხზე დააყენებდა.

გამწარებულმა დედამ ბავშვი გამოიყვანა. კაპიტანი არ ამდგარა. გაცოფებული იყო. ჩუმად გაიწოდა ხელი, ორ თითშუა მოიმწყვდია პატარას ხორცი, ვერც მიხვდა, რა იყო, ბარძაყი თუ უკანალი, და უჩქმიტა. ტკივილისაგან ბავშვი ყურისწამღებად აკივლდა. მაშინ კაპიტანი მთლად გადაირია და უფრო გაბეტებით დაუწყო ჩქმეტა. რაც უფრო მეტს ყვიროდა ბავშვი, მით უფრო მეტად ერეოდა ბრაზი კაპიტანს, და სადაც კი მისწვდებოდა, ყველგან ჩქმეტდა,

სწრაფადვე უშვებდა ხელს, რომ ახლა სხვა ადგილი მოეძებნა და იქ ეჩქმიტა.

ბავშვი ხან დასაკლავი გოჭივით ჰყვიტინებდა, ხან კი ნაცემი ძაღლივით წკავწკავებდა.

აცრემლებული დედა ეფერებოდა, ჰკოცნიდა, უნდოდა კოცნით ჩაეხშო ეს საშინელი ყვირილი, მაგრამ ანდრე თითქმის მთლად გალურჯდა, ისე ხაცოდავად აფართხალებდა თავის პატარა ხელებს და ფეხებს, თითქოს სიცოცხლე კრუნჩხვამ უნდა მოუაროსო.

კაპიტანმა ქალს უთხრა:

— თავის აკვანში გადაიყვანეთ, იქნებ იქ მაინც დამშვიდდეს.

ჰოდა, მატილდამაც მეორე ოთახში გაიყვანა მკერდში ჩახუტებული ბავშვი.

როგორც კი დედის საწოლიდან ამოიყვანეს, ბავშვმა ყვირილს უკლო, ხოლო როცა თავის აკვანში ჩააწვინეს, რამდენჯერმე ამოისლუკუნა და ბოლოს სულ გაჩუმდა, დილამდე მშვიდად იყო, კაპიტანიც საწოლს ეწია.

მეორე ღამეს კაპიტანი კვლავ ეწვია მატილდას. როგორც კი ცოტა ხმამაღლა დაიწყეს ლაპარაკი, ანდრემ ისევ გაიღვიძა და ატირდა. დედამ მყისვე თავის ოთახში გამოიყვანა, მაგრამ კაპიტანი ისე მაგრად და მარჯვედ ჩქმეტდა, რომ პატარას სუნთქვა შეეკრა, თვალები ამოატრიალა და პირზე დუქი მოადგა.

ისევ თავის აკვანში რომ დააბრუნეს, მაშინვე გაჩუმდა.

ოთხი დღის შემდეგ ბავშვს აღარ მონდომებია დედის საწოლში ჩაწვენა. ნოტარიუსი შაბათ საღამოს დაბრუნდა და თავის კუთვნილი კანონიერი ადგილი დაიბრუნა კერიასთან და სარეცელზე.

მგზავრობით დაღლილი ადრე დაწვა და, როდესაც წესრიგის მოყვარული აკურატული კაცის ყველა მოვალეობა გულდასმით შეასრულა, უეცარმა ალმოჩენამ გააკვირვა:

— დახე, რატომღაც დღეს ანდრე არ ტირის, მატილდა, მოიყვანე ერთი. ბიყვარს, როდესაც შუაში ჩავიგორებთ ხოლმე.

ქალი მაშინვე წამოდგა პატარას მოსაყვანად. მაგრამ როგორც კი ბავშვი იმ საწოლში ჩააწვინეს, სადაც ძილი რამდენიმე დღის წინ ძალიან მოსწონდა, ერთიანად მოიკრუნჩხა და ისე გაშმაგებული აღრიალდა, რომ მაშინვე თავის აკვანში გადაიყვანეს. მეტრ მორო საგონებელში ჩავარდა:

— რა მოუვიდა, რა დაემართა, ავად ხომ არ არის?

ცოლმა უთხრა:

— რაც წახვედი, სულ ამ დღეშია, რამდენჯერაც ჩავიწვინე, თავი მოიკლა ტირილით.

დილით რომ გაიღვიძა, ბავშვმა კისკისი მოართო და თამაში დაიწყო, თან თავის პატარა ხელებს მხიარულად იქნევდა.

გულაჩუყებულმა ნოტარიუსმა მიირბინა, აკოცა პირმშოს და ხელში აიყვანა; უნდოდა ახლა თავისთან ჩაეწვინა.

ანდრე გულიანად იცინოდა, როგორც პატარებმა იციან ხოლმე, მაგრამ უცებ საწოლს მოჰკრა თვალი, რომელშიაც დედამისი იწვა, და გაშუქებული სახე იმწამსვე მოეკუყანა. ისეთი კივილი ატეხა, ისე აფართხალდა, თითქოს საწამებლად მიჰყავდათ.

გაკვირვებულმა მამამ ჩაილაპარაკა, ამ ბავშვს უთუოდ რაღაც უნდა სჭირდესო, და ჩვეული მოძრაობით პერანგი აუწია.

ნოტარიუსს გოცებას შეძახილი აღმოხდა. ბავშვის მთელი სხეული, ზუ-

რგი და უკანალი შაურისოდენა დალურჯებულ ადგილებს დაეფარა.

მეტრ მორომ დაიყვირა:

— მატილდა, შეხედე, რა საშინელებაა!

გულგახეთქილი დედა ბავშვს მივარდა. ყოველი დალურჯებული ადგილის შუაგულში იისფერი სისხლნაღენთი მოჩანდა. ალბათ, ასეთივე რაღაც საშინელი, კეთრისმაგვარი ავადმყოფობის დასაწყისი, რაღაც სენსახა, რომლის დროსაც ადამიანს კანი გომბეშოსავით მეჭეჭიანი უხდება, ან არადა ნიანგივით ექერცლება.

შეშინებული მშობლები ერთმანეთს შეჰყურებდნენ. მეტრ მორომ შეჰყვირა:

— ახლავე ექიმი უნდა გამოვიძახოთ!

მაგრამ მკვდარივით გაფითრებული მატილდა გაქვავებული შეჰყურებდა ავაზასავით აჭრელებულ ვაჟიშვილს. უცბად ყვირილ აღმოხდა. ასეთი ყვირილი დიდი აღშფოთებისა და შეძრწუნებისაგან ამოხდებათ ხოლმე:

— ო, საზიზღარო!

გაოცებულმა მეტრ მორომ ჰკითხა:

— საზიზღარიო? ვისზე ამბობ?

ქალი თმის ძირებამდე გაწითლდა და უთხრა:

— ისა... იცი... მე რაღაცას ვხედავ... ეს... ექიმის მოყვანა საჭირო აღარ არის... რასაკვირველია, საზიზღარი ძიძა ჩქმეტს ხოლმე ატირებულ ბავშვს, რომ გააჩუმოს.

გაფითრებული ნოტარიუსი ძიძის მოსაძებნად გაიქცა და კინაღამ არ სცემა. ძიძა ჯიუტად უარყოფდა დანაშაულს, მაგრამ მაინც დაითხოვეს.

ამ უგვანო საქციელმა, რომლის შესახებ მუნიციპალიტეტსაც კი აცნობეს, ხელი შეუშალა სხვა ადგილი ეშოვა.

ორლა

ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ეკიზაშვილმა

8 მაისი — რა შესანიშნავი დღეა! მთელი დილა ბალახზე ვიყავი გულალმა გაშოტილი ჩემი სახლის წინ, უზარმაზარი ჩინარის ძირში. სახლი ხის ჩრდილშია შეყუჟული და ხეც კრუხივით გადაფოფრებია თავს. მიყვარს ეს მხარე. აქ ცხოვრებაც მიყვარს, რადგან სწორედ აქაა ჩემი ფესვები, ღრმა და სათუთი ფესვები, რომელიც ადამიანს იმ მიწასთან აკავშირებს, სადაც ერთ დროს იშვნენ და მერე მიიცვალნენ მისი წინაპრები, აკავშირებს იმასთან, რასაც ფიქრობს ან რითაც იკვებება, ზნე-ჩვეულებათან, კუთხურ სიტყვა-პასუხთან, გლეხურ გამოთქმასთან, მიწის სურნელთან, სოფლებთან და თვით ჰაეროთან.

მე მიყვარს სახლი, სადაც დავიბადე და ფეხი ავიდგი. ფანჯრიდან სენას ვხედავ. მდინარე აქვე, ბალის გასწვრივ მიედინება; ასე მგონია, ჩემს ოთახზე გადის-მეთქი... წყალუბვი, ალმა-დალმა მოსრიალე გემებით დახუნძლული ფართო სენა, რომელიც რუანიდან ჰავრისკენ მიეშურება.

მარცხნივ, იქით, რუანია... ლურჯი სახურავები, ცად ასხლეტილი გოთური სამრეკლოები და ტაძრების ამაყად აწვერილი კოშკები. ზოგი სამრეკ-

ლო ჰაეროვანია, ზოგიც მედიდური. ურიცხვი ზარი, დილაობით ხასხასა ლურჯ ჰაერს აზანზარებს. მე ჩამესმის მათი ნაზი და შორეული ბუბუნი. ბრინჯაოს სიმღერა ნიავს მოჰყვება, თუ კარგად დაუბერა — ძლიერი, ყურისგამდენი; ზოგჯერ კი, უქარობისას, — მოგუდული და მიმქრალი.

ვიშ, რა დილაა!

თერთმეტ საათზე ჩემი ეზოს მესერთან გემების ქარავანმა ჩაიარა. ქარავანს ნეხვის ბუზივით გაბერილი ბუქსირი მიათრევდა; მეტი ჯაფისგან ხრიალებდა და ხშირ, შავ კვამლს ბოლქვებად უშვებდა.

ორ ინგლისურ კარჭაპს, რომელთა წითელ ბაირაღებს ქარი ათამაშებდა, დიდებული ბრაზილიური სამანძიანი გემი მოყვებოდა. გემი თეთრად ქათქათებდა და მზეზე ბრწყინავდა. მე ხელი ავწიე და მივესალმე. არ ვიცი კი რატომ. შეიძლება იმიტომ, რომ კარგი რამ სანახავი იყო.

12 მაისი — ეს რამდენიმე დღეა სიცხე მაქვს. თავს კარგად ვერ ვგრძნობ, უფრო ზუსტად კი კაეშმანმა დამრია ხელი. მაცოდინა მაინც, საიდან მოდის ეს იდუმალი ძალა, რომელიც ბედნიერებას უბედობად აქცევს, ნებისყოფას კი უიმედობას უნაცვლებს? კაცი იფიქრებს, თვით ჰაერია გაქღენთილი ამ შეუცნობელი ძალებით, რომელთა უჩინარი მეზობლობა ესოდენ ავბედით გავლენას ახდენს ჩვენზე. დღეს ბედნიერ ფეხზე ავდექი. ისე ამიტაცა სიხარულმა, რომ ცოტაც და ავმღერდებოდი — რატომ? წყლის პირას ჩავედი. აი, ახლა კი ხანმოკლე გასეირნების შემდეგ, ისეთი მისავათებული ვბრუნდები, თითქოსდა შინ საშინელი უბედურება მომელოდეს. რატომ? ნუთუ სიცივემ შეატანა ძვალ-რბილში და სული ამიფორიაქა? იქნებ ღრუბელთა სრბოლამ, დღის ნათელმა და საღამოთა თვალშეუვლებმა ფერისცვალებამ ამიწეწა აზრები? ისიც ხომ შეიძლება, რომ ყოველივე, რაც გარს გვარტყია, რასაც ვუყურებთ და ვერ კი დაგვინახია, ვეხებით და ვერ კი მოგვიხელთებია, ჩვენს გრძნობებზე და მერე უკვე მათი მეშვეობით ჩვენს აზრებზეც და ჩვენს გულზეც რაღაც წამიერ, საოცარ და აუხსნელ ზემოქმედებას ახდენს?

ო, რაოდენ ღრმაა უჩინარი ძალის ეს იდუმალება! როგორ გინდა ჩაწვდე ამ უძირო უფსკრულს ჩვენი უსუსური გრძნობებით? ჩვენი თვალი ხომ ვერც უმცირესს რასმე არჩევს და ვერც ერთობ დიდს, ვერც ძალზედ დაახლოებულს და ვერც ძალზედ დაშორებულს. ვერც ვარსკვლავთ ბინადართ ჭვრეტს და ვერც წყლის წვეთში მოქცეულ სამყაროს. ჩვენი ყურიც ხომ წამდაუწუმ გვაცდუნებს, რამეთუ ჰაერის უმცირეს თრთოლვასაც კი ხმამაღალ ბგერებად წარმოგვიდგენს; ზღაპრული ფერიას მსგავსად, რაღაც სასწაულით, ჰაერის რხევას ხმაურად აქცევს და ამ სახეცვლის წყალობით მუსიკას ბადებს. მუსიკა კი, თავის მხრივ, ბუნების იდუმალ ნანავს სიმღერად გარდაქმნის. ადამიანის ყნოსვაც ხომ ძალლის ყნოსვაზე გაცილებით სუსტია. გემოსაც ვერ დაენდობი! ის კი არადა, ღვინის წლოვანებაც ვერ გაგვირჩევია! რა იქნებოდა, გამჩენს სხვა გრძნობებიც მოეცა, რომლებიც, ჩვენდა საბედნიეროდ, სასწაულს მოახდენდა და ჩვენ ირგვლივ განფენილ უთვალავ საიდუმლოს ფარდას ახდიდა.

16 მაისი — ეჭვიც არ მეპარება, რომ ავად ვარ. არადა, ეს ბოლო თვე კარგად ვიყავი! ციება შემეყარა, საშინელი ციება, უფრო ზუსტად, ნერვიული ციება, რომელიც ჩემს სულსაც ისე ტანჯავს, როგორც სხეულს.

ვერსად ვემალები გარდუვალი ხიფათის საშინელ განცდას, რომელიც არ ვიცი საიდან მომიხტება. ვერც სიკვდილის შიშს, რომელიც აქვეა, სულ ახლოს, ვერც შეუცნობელ უბედურების მოლოდინს, რომელიც ჩემს სისხლსა და ხორცში თესლივით ღვივდება.

18 მაისი — ეს-ეს არის ჩემს ეჭიმს გავესინჯე და შეეჩხეკლე, ძილი გამიტყდა-მეთქი. მაჯაც აჩქარებული გაქვს და თვალიც-გუგაც გაგფართოებია, მითხრა. მაგრამ საგანგაშო ვერაფერი ნახა... მირჩია, ცივ წყალში იბანავე და კალიუმის ბრომი დალიეო.

25 მაისი — არავითარი ცვლილება! მართლაცდა, საოცრება მემართება! სალამო ჩამოწვება თუ არა, შეუცნობელი შფოთი მეუფლება, თითქოსდა ღამე საშინელ უბედურებას მიმზადებდეს. ნაძქარევად წავიხემსებ, მერე ვცდილობ წიგნი ვიკითხო, მაგრამ სიტყვების აზრს ვერ ვწვდები, ძლივს თუ ვარჩევ ასოებს. ოთახში ბოლთას ვცემ და დაუძლეველი შიში მომეძალება... ძილისა და საწოლის შიში...

ათ საათზე საწოლ ოთახში ავდივარ. შევალ თუ არა, წამსვე კარს გადავრაზავ და ურდულს ვუყრი —მეშინია... რისი? აქამდე ხომ არაფრისა მეშინოდა. კარადას ვაღებ, საწოლის ქვეშ ვიხედები, მივაყურადებ, ვუსმენ... რას? განა საოცარი არ არის, რომ რალაც სულ უბრალო სისუსტე, მცირე ნერვული გაღიზიანება, ჩვენი არცთუ ისე სრულქმნილი სხეულის ჩვეული რიტმის წამიერი დარღვევა, ლაღ და გულად კაცს მელანქოლიკად და ლაჩრად აქცევს? მერე ვწვები და ისე ველი ძილს, როგორც სიკვდილმისჯილი თავის ჯალათს— ველი და მაშინებს მისი მოსვლა, გული ყელში მებჯინება, მუხლები მიცასცახებს; მთელი სხეულით ვკანკალებ საბნის სიმხურვალეში, სანამ ერთბაშად არ დავინთქები სიმშვიდის სამეუფოში, მსგავსად იმ თვითმკვლელისა, რომელსაც ოავის დახრჩობა განუზრახავს და მორევში ვარდება. უწინდებურად ველარ ვგრძნობ, როგორ მიახლოვდება ცბიერი ძილი, აქამდე სადღაც ჩემს გვერდით მიყუჟული, რომელიც ერთხანს მითვალთვალებს, მერე ერთბაშად მომვარდება, თვალებს მიხუჭავს და არყოფნის ბნელეთში მომისვრის.

მძინავს — დიდხანს — ორი თუ სამი საათი — შემდეგ სიზმარი — არა, საშინელი ზმანება მიხუთავს სულს... კარგად ვგრძნობ, რომ ვწევარ და მძინავს... დიახ, ვგრძნობ და ვიცი... იმასაც ვგრძნობ, რომ ვიღაც მიახლოვდება, მიყურებს, ხელს მიფათურებს, საწოლზე მობობღავს, ხელებს ყელში ჩამავლებს და მიჭერს, მიჭერს მთელი ძალითა და ღონით, თითქოს ჩემს დახრჩობას ლამობსო.

მე კი ვებრძვი, თუმცა ის საშინელი უძლურება, სიზმარში რომ შევიგრძნობთ ხოლმე, ხელს-ფეხს მიბორკავს; ყვირილი მინდა — ხმა არ მომდევს, მინდა გვერდი ვიცვალო — თითსაც ვერ ვანძრევ; სუნთქვაშეკრული სხეულს ვძაბავ და მსურს გავიბრძოლო, რომ ეს საშინელი არსება მოვისროლო, რომელიც მახრჩობს და მსრესს — არაფერი გამომდის.

ერთბაშად ვიღვიძებ, ოფლში გახვითქული, გონებაარეული. სანთელს ვანთებ. მარტო ვარ.

ამ ზმანების შემდეგ, რომელიც ყოველლამ მეორდება, მშვიდად და უდრტვინველად ვიძინებ გათენებამდე.

2 ივნისი — უარესად ვარ. რა მემართება? ბრომი არაფერს მშველის, არც შხაპი. ზოგჯერ, ისედაც მისუსტებული სხეული კიდევ მეტად რომ გავ-

თანგო, რუმარის ტყეში ვსეირნობ. თავდაპირველად ისიც ვიფიქრე, ბალახისა და ფოთლების სურნელით გაჟღენთილი სუფთა და ლბილი ჰაერი ძარღვებში ახალ სისხლს ჩამისხამს, — გულს კი მაცოცხლებელ წვენს მიაწვდის-მეთქი. ჩვეულებისამებრ მონადირეთა ხეივანს დავუყევი. შემდეგ ვიწრო ბილიკით ბუისკენ გავწიე. ბილიკს ორთავე მხარეს უზარმაზარი ხეები ეფარებოდა და მათი ხშირი ფოთლები მუქ-მწვანე თაღად გადახლართულიყო ჩემსა და ზეცას შორის. უეცრად, ქრქოლამ დამიარა. არა, სიცივისა არ იყო, კაეშნის უცნაურ შემოტევას უფრო ჰგავდა.

ნაბიჯს ავუჩქარე. ტყეში მარტოობისა შემეშინდა. უმიზეზო შიში იყო, სულელური, სრული სიმარტოვისას რომ განიცდის კაცი, სწორედ ისეთი. მომეჩვენა, რომ ვილაც ფეხდაფეხ მომდევდა, სულ ახლოს, სადაცაა ხელსაც მტაცებდა. ერობაშად შემოვბრუნდი. არავინ იყო. ჩემ უკან მხოლოდ სწორ და ფართო ხეივანს ვკიდე თვალი. მაღალი ხეებით შემოსაზღვრული ხეივანი შიშისმომგვრელად ცარიელი მეჩვენა. ჩემ წინაც იგივე ხეივანი გადაჭიმულიყო, უსასრულოდ გრძელი და შიშისმომგვრელი.

თვალები დავხუჭე. რატომ? ქუსლზე ტრიალი ვიწყე. უფრო და უფრო ავუჩქარე და ჩიკორივით დავბზრიალდი. ცოტაც და მიწაზე მოვაღენდი ზლართანს. თვალები გავახილე. ჩემ გარშემო ხეები ფერხულს უვლიდნენ, ფეხქვეშ მიწა ირწეოდა. ხის ძირში ჩამოვჯექი. ახლა იმასაც ვეღარ ვიხსენებდი, როგორ აღმოვჩნდი აქ. უცნაურია, ღმერთმანი! ერთობ უცნაური! ალარაფერი მესმოდა. ხელმარჯვნივ გავუხვიე და სწორედ იმ ხეივანში ამოვყავი თავი, რომელმაც ადრე შუა ტყეში შემიტყუა.

3 ივნისი — საშინელი ღამე გავათენე! რამდენიმე კვირით სახლს გავერიდები. ხანმოკლე მოგზაურობა, იმედია, მიწამლებს.

2 ივლისი — განკურნებული ვბრუნდები შინ. სასიამოვნო მოგზაურობა კი იყო! სენ-მიშელის მთა მოვინახულე, რომელიც აქამდე არც მენახა.

ერთი გაცოდინათ რა სანახაობას გადააწყდება კაცი აი, ასე ჩემსავით, ღლის მიწურულს რომ მიადგები ავრანშს. ქალაქი დაბალ გორაკებს შეჰფენია. მე ბაღში წამიყვანეს, ქალაქის ბოლოს. გაოცების შეძახილი აღმომხდა. ჩემ წინ, თვალის გადაწვდენამდე, უზარმაზარი ყურე გადაჭიმულიყო... ორ დაშორიშორებულ ნაპირს შორის მოქცეული წყალი ნისლში ითქვიფებოდა. ამ უკიდეგანო, ყვითელი ყურეს შუაგულში კი, ოქროსფერი და მხურვალე ზეცის ქვეშ, ქვიშის კუნძულზე, პირქუში და წამახვილებული უცნაური მთა ამოზიდულიყო. ჩამავალი მზით აელვარებული ჰორიზონტის ფონზე მკვეთრად ისახებოდა ამ ფანტასტიკური კლდის პროფილი, რომელსაც თავზე ასევე ფანტასტიკური ძეგლი ედგა.

ინათა თუ არა, მთისკენ გავუყევი. ზღვა ისეთივე მშვიდი დამიხვდა, როგორც წინადღით. რაც უფრო ვუახლოვდებოდი მთას, მით უფრო მკაფიოდ იკვეთებოდა ეს გასაოცარი სააბატო. რამდენიმე საათის შემდეგ დახვავებული ქვების უზარმაზარ მთას მივაღწიე. ქალაქი მთის კალთებზეა გაშენებული. მაღლით ტაძარი დაჰყურებს. ვიწრო, დაკლაკნილი ქუჩა ავათავე და უეცრად დედამიწის ზურგზე ღმერთის სადიდებლად აგებულ ყველაზე სრულქმნილ გოთურ სამლოცველოში აღმოვჩნდი. ერთი ქალაქის ოდენა ტაძარი იყო, დაბალთაღებიანი დარბაზებითა და ჰაეროვან სვეტებზე აზიდული დერეფნებით. კრძალვით შევდგი ფეხი ამ გიგანტური გრანიტის სამკაულში.

მაქმანივით მსუბუქ ტაძარს უამრავი კოშკი და ნათელი სამრეკლო ამშვენებს. კოშკებზე ხვეული კიბეები ადის. დღეა თუ ღამე, ტაძარი ლოცვასავით აღაელენს ცისკენ უცნაური ჭიმერებით, ეშმაკებით, ზღაპრული ცხოველებით და ჯერაც უხილავი ყვავილებით მოხატულ კოშკებს, რომლებიც მოჩუქურთმებული კამარებით გადაჭდობიან ერთმანეთს.

ტაძრის ჭიმზე რომ ავედი, ჩემს მეგზურ ბერს მოვუბრუნდი: „მამაო ჩემო, რა საამო უნდა იყოს აქ ცხოვრება!“ მან მიპასუხა: „ძლიერი ქარი იცის, ბატონო ჩემო“. ჩვენ საუბარს შევუყევით და თან მღელვარე ზღვას გადავყურებდით, რომელიც ქვიშნარს ლოკავდა და სანაპიროს ტალღების აბჯარს ასხამდა.

ბერმა ამ მხარის ძველისძველი თქმულებები და არაკები მიამბო... ბევრი ლეგენდის მსმენელი გავხდი იმ დღეს.

განსაკუთრებით ერთმა მათგანმა გამაოცა. აქაურები, უმეტესად მთიელები, ირწმუნებიან, თითქოს ღამით, ქვიშიან სანაპიროზე რაღაც ხმები ესმით, ხანდახან ორი თხაც გაბმულად პეტელობს ხოლმე. ერთი უფრო ხმამაღლა გაჰყვირის, მეორეს კი სუსტი ხმა აქვს. ურწმუნონი ამტკიცებენ, ესა ზღვის ფრინველთა ხმებიაო, ზოგჯერ თხის პეტელს ემგვანება, ზოგჯერ კი — ადამიანის მოთქმასო. შეგვიანებული მეთევზეები კი იფიცებიან, ხშირად გვინახავს ქვეყნის კიდეზე გადაკარგულ ქალაქის კედლებთან, ქვიშის ბორცვებს შორის მოხეტიალე ვიღაც მოხუცი მწყემსი. თავ-პირი მოსასხამით აქვს შებურვილი. მოხუცი ორ თხას მოერეკება, ვაცს მამაკაცის სახე აქვს, ნეზვს კი ქალისა. ორთავეს გრძელი, თეთრი ბეწვი მოსავს. ისინი გაუთავებლად ლაპარაკობენ, რაღაც გაუგებარ ენაზე კამათობენ, მერე უცებ სიტყვას შეწყვეტენ და ხმამაღლა პეტელს მოჰყვებიან.

— თქვენ გჯერათ? — შევეკითხე ბერს.

— არ ვიცი, — წაიჩურჩულა მან.

მე სიტყვა გავაგრძელე: „თუკი დედამიწაზე ჩვენ გარდა კიდევ სხვა რამ სულიერნიც არსებობენ, აქამდე რატომ არაფერი გვსმენია მათზე? ან კი როგორ მოხდა, რომ არც თქვენ შეგხვედრიათ ისინი და არც მე?“ მან მიპასუხა: „ჩვენ ყოველი არსებულის ერთ მემილიონე ნაწილსაც ვერ ვხედავდით, ჩემო ბატონო. აი, თუნდაც ქარი ავიღოთ, ბუნების ყველაზე ძლიერი სტიქიონი. ქარი ადამიანებს მიწაზე სცემს, შენობებს ანგრევს, ხეებს ძირფესვიანად გლეჯს, ზღვას მთისოდენა ტალღებად ფოფრავს, კლდეებს ძირს უთხრის და დიდრონ გემებს მორევში ითრევს. ქარი ანგრევს, კვნესის, ღრიალებს — მაგრამ გინახავთ კი იგი, ან შეგიძლიათ მისი ხილვა? ჰოდა, ქარი ხომ მაინც არსებობს?“

რა უნდა მეპასუხა? ეს კაცი ან ბრძენი უნდა ყოფილიყო ან ბრიყვი. მეტს ვერაფერს მოგახსენებთ. მეც ბევრი მიფიქრია იმაზე, რასაც ახლა იგი მეუბნებოდა.

З и в л и с и — ცუდად მეძინა. აშკარაა, რაღაც სენი ტრიალებს ამ მიდამოში იმიტომ, რომ ჩემი მეეტლეც ჩემსავით წუხს. გუშინ, შინ რომ დავბრუნდი, უცნაურად ფერმკრთალი დამიხვდა. ჟან, რა დაგმართნია-მეთქი? — ჩავეძიე.

— მოსვენება დაკარგე, ბატონო ჩემო. ღამეები დამიგრძელდა. მას შემდეგ, რაც გაემგზავრეთ, თითქოს ვიღაცამ გამთვალა.

სხვა მსახურებს არაფერი ეტყობათ. მე კი მეშინია, ხელმეორედ არ მომიაროს ავადმყოფობამ.

4 ივლისი — ასეცაა, ისევ წამომიარა. ძველი ზმანებებიც დაბრუნდა. ამ ღამეს ვიგრძენი, რომ ვილაც ზემოდან მაზის, პირი პირთან მოუტანია და ჩემს სიცოცხლეს ისუნთქავს. დიახ, სწორედ რომ ასეა, წურბელასავით ისრუტავს. მერე, გული რომ იჭერა, ზეზე წამოდგა და მეც გამელვიძა. გათანგულსა და სასომიხდილს განძრევის თავიც არ მქონდა. რამდენიმე დღეს კიდევ დავახანებ, ჰოდა, თუკი ყველაფერი თავიდან დაიწყება, უეჭველად გავემგზავრები.

5 ივლისი — ნუთუ ჭკუას გადავცდი? ეს, რაც ამ ღამით მოხდა და რაც საკუთარი თვალით ვიხილე, იმდენად უცნაურია, რომ ახლაც გონზე ვერ მოვსულვარ.

ამ ბოლო დროს დამჩემდა — ძილის წინ ოთახის კარს გულდაგულ ჩავრაზავ ხოლმე. ახლაც ასე მოვიქეცი. მერე, მომწყურდა და ნახევარი ჭიქა წყალი დავლიე. სწორედ მაშინ შევამჩნიე, რომ წყლის სურა პირთამდე იყო სავსე. დავწექი თუ არა, წამსვე გადავეშვი საშინელ ზმანებაში, საიდანაც, ორი საათის შემდეგ, რალაც ბიძგმა გამომიყვანა.

წარმოიდგინეთ კაცი, რომელსაც სძინავს და რომელსაც ძილში ჰკლავენ. იგი იღვიძებს, ფილტვში დანა აქვს გაყრილი, ხროტინებს, პირიდან სისხლი სდის, ვეღარც სუნთქავს და სადაცაა სულს განუტევებს. თვითონაც არ იცის, რა მოსდის. აი, სწორედ ასე დამემართა.

გონება მოვიკრიბე და ვიგრძენი, მწყურდა. სანთელი ავანთე და მაგიდასთან მივედი, სადაც სურა მეგულებოდა. სურის ტუჩი ჭიქაზე დავხარე, მაგრამ წყალი არ გადმოიღვარა. სურა ცარიელი იყო. წვეთიც არ შერჩენილიყო ჭურჭელში. თავდაპირველად ვერაფერი ვიაზრე. მერე ერთბაშად ისე ავღელდი, რომ იქვე, სკამზე დავენარცხე. მყისვე ფეხზე წამოვხტი და მიმოვიხედე. მერე გაოცებისგან და შიშისგან რეტდასხმული ისევ სკამზე დავჯექი და გამჭვირვალე სურას მივაშტერდი. ვუყურებდი და ვცდილობდი რასმე მივმხვდარიყავი. ხელები მიცახცახებდა. გამოდის, წყალი ვილაცამ დალია! კი მაგრამ, ვინ? მე? რა თქმა უნდა, მე. აბა სხვა ვინ იქნებოდა? მაშ, მთვარეული ვყოფილიყავ და ეგაა. ეტყობა, აქამდე ისე ვცხოვრობდი, რომ ჩემი ორეულის არსებობა ეჭვადაც არ გამივლია. ორგვარი ცხოვრებით მიცხოვრია და ესაა. მეორე ცხოვრება სწორედ ის იდუმალი ყოფიერებაა, კაცს რომ გაფიქრებინებს, ჩემს არსებაში ორი პიროვნება შერწყმია ერთმანეთსო. შეიძლება ისიც იწამო, რომ ვილაც უცნობს დაუსადგურებია შენს არსებაში, ვილაც შეუცნობელს და უჩინარს. ჰოდა, როდესაც ჩვენი სული მიიძინებს, ის მეორეა, სწორედ ყველა ჩვენს ქცევას რომ განაგებს. ჩვენი სხეულიც მას ჰმორჩილებს, ვინ იცის, შეიძლება უფრო მეტადაც, ვინემ ჩვენ.

ვინ გაიგებს ჩემს გულისამრევ კოშმარს? ვინ გაუგებს კაცს, გონიერს, ეს-ესაა გამოღვიძებულს, შიშისგან გაფაროლებული თვალებით რომ მისჩერებია წყლის სურას, რომელშიც წყალი თავისთავად დაწრეტილა? გათენებამდე ასე ვიჯექი. დაწოლა ვერ გავბედე.

6 ივლისი — მგონი, ვგიჟდები. ამ ღამითაც გამომიცალეს სურა. სხვა ვინ უნდა იყოს? მართლა მე დავლიე? მე ვიყავი? ან კი სხვა ვინ უნდა იყოს? ო, ღმერთო ჩემო! ნუთუ გავგიჟდი? ვინ მიშველის?

7 ივლისი — გასაოცარი ცდები ჩავატარე.

ცხადია, გიჟი ვარ, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეთ, ამბობენ.

8 ივლისს, დაწოლის წინ, ჩემს მაგიდაზე ღვინო, რძე, წყალი, პური და მარწყვი შემოვდგი.

წყალი და ცოტაოდენი რძე შეუსვამთ. იქნებ მეკითხებოდნენ — შეესვი? არც ღვინისთვის და არც მარწყვისთვის ხელი არ უხლიათ.

9 ივლისი — ცდა გავიმეორე. შედეგი იგივე იყო.

10 ივლისი — წყალი და რძე ალარ დამიდგამს მაგიდაზე. ყველაფერი ხელუხლებელი დამხვდა.

11 ივლისი — ახლა მხოლოდ წყალი და რძე დავტოვე. ჭურჭელი თეთრ ქსოვილში შევფუთე და თავი მაგრად მოვუკარი. მერე ტუჩებზე, წვერზე და ხელებზე გრაფიტი წავისვი და დავწექი.

ღრმა ძილმა შემიპყრო. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, ისევ იმ უხეშმა ბიძგმა გამაღვიძა. ეტყობა, ძილში გვერდიც არ მიცვლია. საბანსაც არსად ეტყობოდა შავი ლაქები. მაგიდას მივვარდი. ბოთლების თეთრ შალითებს არაფერი ეტყობოდა. თოკს ვხსნიდი და თან შიშისგან ვკანკალებდი. მთელი წყალი შეუსვამთ! რძის ბოთლიც გამოუშრიათ! ო, ღმერთო დიდებულო!

ახლავე პარიზს მივემგზავრები!

12 ივლისი — აბა, პარიზიც! ამ ბოლო დღეებმა ხომ სულ მთლად ამირია გზა-კვალი. ეტყობა, საკუთარი წარმოსახვის ტყვედ ვიქეცი. თუკი, რა თქმა უნდა, მართლაც მთვარეული არა ვარ. ან იქნებ იმ აუხსნელი ძალის გავლენას განვიცდი, რომელსაც შთაგონებას უწოდებენ? ვინ იცის, შეიძლება ჩემი შიში სიგიჟეშიც კი გადაზრდილიყო, მაგრამ პარიზამდე ერთი დღე-ღამის მგზავრობამ ისევ ჩვეულ კალაპოტში ჩამაყენა.

გუშინ მთელი დღე ქალაქში სირბილსა და ვიზიტებს მოვუნდი. იმან ახალი სული შთამბერა თითქოს. საღამოს კომედი-ფრანსეზში ალექსანდრე დიუმა-უმცროსის პიესა ვნახე. დიუმას ᲫᲚᲐᲕᲠᲘ და მახვილი გონება მეც მადლად გადმომედო. ეჭვს გარეშეა, გამუდმებით ᲮᲐᲤᲐᲨᲘ მყოფი გონებისათვის მარტობა საშინელი სენია. ამიტომაა, რომ გვერდით ისეთი ადამიანებიც გვჭირდება, ვინც ფიქრობს და ნაფიქრალს სხვასაც უმხელს. როდესაც დიდი ხნის განმავლობაში მარტონი ვრჩებით, სიმარტოვეს ჩვენივე ქიმერებით ვავსებთ.

ერთობ მხიარულ გუნებაზე დავბრუნდი, ბულვარებზე გავლით, სასტუმროში.

ხალხის ტალღას მივაპობდი, გამვლელებს ვეხებოდი და ჩემი წინანდელი შიში და განცდები ახლა უკვე სასაცილოდ მეჩვენებოდა. არც ის მადარდებდა, რომ რაღაც უჩინარმა არსებამ ჩემს ჭერქვეშ დაიდო ბინა. ჩვენივე გონების სისუსტის ბრალი თუა, რომ უმნიშვნელო მოვლენა ეგრე ძალუმად აგვაფორიაქებს.

იმის ნაცვლად, რომ თავს ვუთხრათ, არ მესმის იმიტომ, რომ მიზეზი ვერ მიპოვნიაო, რას არ მოვიგონებთ და რა ზებუნებრივ ძალებს არ გამოვჩხრიკავთ ხოლმე!

14 ივლისი — რესპუბლიკის დღეა.[1] ქუჩაში გავისეირნე. მაშხალები და დროშების ფრიალი ბალღივით მართობდა. ისე, დიდი სისულელე კია, იმხიარულო ერთ რომელიმე გარკვეულ დღეს და ისიც მთავრობის განკარ-

[1] 14 ივლისი საფრანგეთის ეროვნული დღესასწაულია.

გულებით. ხალხი ბრიყვების ბრბოა, ხან მონურად მორჩილი, ხან კი პირუტყვულად აღტყინებული. „მიდი, გაერთე", — ეტყვიან და ისიც ერთობა. „შეზობელს მიუვარდი", — თუ უბრძანეს, წამსვე საომრად გაემზადება. „ხმა მიეცი იმპერატორს!" — ერთს შეუძახებენ და ისიც მზადაა. „ახლა რესპუბლიკას დაუჭირე მხარი", — ეტყვიან და ამაზეც თანხმდება.

ხალხის გამგებელნიც ბრიყვები არიან, მაგრამ ისინი [illegible] კი არა, — სულელურ, მწირ და ყალბ პრინციპებს ემორჩილებიან. პრინციპი, აბა, სხვაგვარი როგორ იქნება! ეს ხომ სწორედ ის იდეებია, რომელიც ადამიანებს უცილობელ და ურყევ კატეგორიებად დაუსახავთ, მაშინ როცა ამქვეყნად არავის არაფრისა სწამს, რამეთუ თვით სინათლეც და ხმაურიც ფუჭი ილუზიაა და სხვა არაფერი.

16 ივლისი — გუშინ ისეთი ამბის მოწმე გავხდი, რომ ახლაც გონს ვერ მოვსულვარ.

ჩემს ბიძაშვილთან, ქალბატონ საბლესთან ვსადილობდი. მისი ქმარი ლიმოჟში დაბანაკებული 76-ე მსროლელი პოლკის მეთაურია. სადილზე ჩემს გარდა, ორი ახალგაზრდა ქალიც იყო მოწვეული. ერთის ქმარი, ექიმი პატანტი ნერვულ სნეულებებს იკვლევს. ამასთან ერთად ჰიპნოზისა თუ შთაგონების დროს აღნუსხულ არაჩვეულებრივ გამოვლენებსაც სწავლობს .

ექიმი პატანტი ინგლისელი მეცნიერებისა და ნანსის სამედიცინო სკოლის ძიებათა სასწაულებრივ შედეგებზე ზეესაუბრებოდა კარგა ხანს.

ექიმის მიერ მოხმობილი ფაქტები დაუჯერებელი მეჩვენა და უნდობლობის დამალვა არც მიცდია.

„ჩვენ, — განაცხადა ექიმმა, — სადაცაა აღმოვაჩენთ ბუნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საიდუმლოს, უფრო ზუსტად ბუნების იმ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საიდუმლოს, რომელიც კი დედამიწის ზურგზე გვხვდება. ისიც უნდა ითქვას, რომ ბუნებას შეიძლება კიდევ სხვაგან სადმე ჰქონდეს საიდუმლოებანი, ვთქვათ, ვარსკვლავეთში. მას შემდეგ, რაც ადამიანმა აზროვნება იწყო და შესძლო გამოეთქვა ან დაეწერა საკუთარი აზრი, იგი გრძნობს, რომ მუდამ რაღაც საიდუმლოს ეხლება, რომელსაც თავისი უხეში და უსუსური გრძნობებით ვერ ჩაწვდომია. ჰოდა, ისიც ცდილობს გრძნობათა უკმარისობა გონების მცდელობით აინაზღაუროს. ადამიანური გონების განვითარების დაბალ საფეხურზე ამ უჩინარმა ფენომენმა საშიში და საზარელი სახე მიიღო. სწორედ აქედან იშვა ზებუნებრივი ძალების რწმენა, უმწიფარი გონების მიერ დაბადებული, ფერიებით, მოჩვენებებითა და ჯუჯებით სავსე უამრავი ლეგენდა და ზღაპარი. ცხადია, ღმერთის რწმენაც ამასვე ემყარება, რადგანაც სამყაროსა და ადამიანთა შემოქმედების ცნება, რომელ რელიგიასაც არ უნდა განეკუთვნებოდეს ის, დაშინებული ადამიანის გონების ნაყოფია და სხვა არაფერი .მოსწრებულად თქვა ვოლტერმა: „თუკი ღმერთმა საბითა თვისითა შეგვქმნა, ჩვენ სათანადო მივუზღეთ", მაგრამ აი, უკვე მთელი საუკუნეა ახალი აღმოჩენის ზღურბლთან ვდგავართ. მესმერმა და სხვებმა აქამდე უხილავ გზაზე დაგვაყენეს და ეს ოთხი თუ ხუთი წელია განსაცვიფრებელ შედეგებს მივაღწიეთ".

ჩემი ბიძაშვილი ეჭვით აქნევდა თავს და იღიმებოდა. „გნებავთ დაგაძინოთ, ქალბატონო?" — მიუბრუნდა ექიმი პატანტი ქალს. „კეთილი ინებეთ, ბატონო", — გაეპასუხა ჩემი ბიძაშვილი და სავარძელში მოხერხებულად მოკალათდა. ექიმმა თვალი თვალში გაუყარა და სეანსი დაიწყო. მე შევცბუნდი,

გული ამიძგერდა და ნერწყვი გამიშრა. კარგად ვხედავდი როგორ ჩამოუგორ-ძელდა საბე ჩემს ბიძაშვილს, მერე პირიც გვერდზე მოექცა და ძალუმად სუნ-თქვას მოჰყვა.

ათი წუთის შემდეგ მიდამ საბლეს ლრმა ძილი. ეძინა „ფუნ-ფაუჯექით", — მითხრა ექიმმა.

მე ქალის უკან დავჯექი. ექიმმა ქალს საეიზიტო ბარათი ჩაუდო ხელში: „ეს სარკეა, რას ხედავთ შიგ?!"

— ჩემს ბიძაშვილს, — უპასუხა ქალმა.

— რას აკეთებს?

— ულვაშს იწიწკნის.

— ახლა?

— ჯიბიდან ფოტოსურათს იღებს.

— რა სურათია?

— საკუთარი ფოტოა.

დიახ, რომ ასე იყო! ეს სურათი სწორედ იმ საღამოს გიდმომცეს სას-ტუმროში.

— როგორ გამოიყურება თქვენი ბიძაშვილი?

— ფეხზე დგას, ხელში ქუდი უჭირავს.

ქალი იმ თეთრ, გლუვ საეიზიტო ბარათში ისე ხედავდა, თითქოს მართლა სარკე ეკავა ხელში.

„გეყოფათ, გეყოფათ!" — აკივლდნენ შეშინებული ქალები. მაგრამ ექიმი თავისას არ იშლიდა: „ხვალ, 8 საათზე ადგებით, შემდეგ თქვენს ბიძა-შვილს ეახლებით სასტუმროში და იმ 5000 ფრანკს დაესესხებით, რომელ-საც მეუღლე გთხოვდათ თავისი მომავალი მოგზაურობისათვის".

მხოლოდ ამის შემდეგ გაალვიძა ექიმმა ქალი.

სასტუმროში რომ ვბრუნდებოდი, სულ ეს უცნაური სეანსი მედგა თვალწინ. ჩემი ბიძაშვილის გულწრფელობაში, რა თქმა უნდა, ეჭვს ვერ შე-ვიტანდი. მას ხომ ბავშვობიდან ვიცნობდი და დასავით მიყვარდა. ექიმმა თუ იცუღლუტა-მეთქი, ვფიქრობდი. შეიძლება სადმე სარკეც ჰქონდა დამალული და ჩემდა უჩინრად, მიძინებულ ქალს ბარათთან ერთად შეაჩეჩა. განა მარჩი-ელები ამაზე უარესს არ სჩადიან? სასტუმროში დავბრუნდი და დავწექი.

ამ დილით რვის ნახევარზე მოახლემ გამაღვიძა:

„ქალბატონი საბლე თქვენს ნახვას ითხოვს: გადაუდებელი საქმე მაქვ-სო — მოგახსენათ".

ნაჩქარევად ჩავიცვი და სტუმარს შევეგებე.

ქალი შეწუხებული ჩანდა: პირბადე არ აუწევია და თავდახრილი მელა-პარაკებოდა:

— ძვირფასო ძმაო, ერთი დიდი საოხოვარი მაქვს თქვენთან.

— გისმენთ.

— მრცხვენია კი ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც უნდა გავბედო. 5000 ფრანკი მჭირდება გადაუდებლად.

— თქვენ გჭირდებათ?

— დიახ, მაგრამ, სამართლე თუ გნებავთ — ფულის შოვნა ჩემმა მეუღ-ლემ დამავალა.

ისე ვიყავი გაოცებული, რომ ჰასუხად არც კი ვიცი რა წავილუღლუღე.

ისიც კი გავიფიქრე, ჩემმა ბიძაშვილმა და ექიმმა პირი ხომ არ შეკრეს და ჩემი გაცრუება ხომ არ ისურვეს-მეთქი. იდრევე შემზადებულ და ზუსტად გამიზნულ ხუმრობას ჰგავდა ეს ყველაფერი.

მაგრამ ბიძაშვილს რომ შევხედე, უკანასკნელი ეჭვიც გაქრა. ქალი მთელი სხეულით კანკალებდა. ჩანდა, ძალზე გაუჭირდა ამ მოსვლასა-ზეც ეშინოდა, რომ ყელში მობჯენილ ქვითინს ძლივს იკავებდა.

კარგად ვიცოდი, რომ ჩემი ბიძაშვილი ძალზე მდიდარი იყო.

— როგორ, —შევეკითხე მე, — განა თქვენს მეუღლეს 5000 ფრანკი გაუხდა საშოვნელი? აბა, ერთი კარგად დაფიქრდით! დარწმუნებული ხართ, რომ სწორედ მან დაგავალათ ფულის სესხება?

ქალი შეყოყმანდა, თითქოსდა რაღაცის გახსენებას ლამობსო, შემდეგ კი მიპასუხა:

— დიახ... დიახ... დარწმუნებული ვარ.

— წერილი მოგწერათ?

ქალი ისევ შეყოყმანდა და ჩაფიქრდა. მე მივხვდი, რა სატანჯველშიც იყო. რაღაც ბუნდოვანი, შეუცნობელი აზრის მოხელთებას ცდილობდა და ვერ აბერხებდა. ვერაფერი გაეგო. ერთი კი იცოდა — ჩემთან იმიტომ მოვიდა, რომ თავისი ქმრისთვის 5000 ფრანკი ესესხა. სწორედ ამიტომაც გაბედა და იცრუა.

— დიახ, წერილი მომწერა.

— როდისღა? გუშინ ამის თაობაზე არაფერი გითქვამთ?

— წერილი ამ დილით მომიტანეს.

— ხომ ვერ მაჩვენებთ?

— არა, არა... ერთობ ინტიმური ბარათია... პირად საქმეებს ეხება... მე იგი... დიახ, იცით, მე იგი დავწვი.

— გამოდის, თქვენი ქმარი ვალებს იღებს.

ქალი შეცბა, მერე კი წაიჩურჩულა:

— არ ვიცი.

— საქმე ის გახლავთ, რომ ასეთი თანხა თან არა მაქვს, — მტკიცედ განვუცხადე ქალს.

ჩემს ბიძაშვილს ტანჯვის ოხვრა ამოხდა.

— გთხოვთ, გაისარჯოთ. იქნებ სადმე მაინც მიშოვოთ.

ქალი ადგილდა, ხელები ვედრებით აღაპყრო და მუდარით შემომცქეროდა. ვიგრძენი, რარიგ შეეცვალა ხმა. ზლუქუნებდა და თან რაღაცას ბუტბუტებდა. ეტყობა, გუშინ მიღებული ბრძანების მონა-მორჩილად ქცეულიყო.

— გემუდარებით, გემუდარებით... რომ იცოდეთ, რარიგ ვიტანჯები, ფული დღესვე მჭირდება.

ქალი შეშებრალა.

— ფულს ახლავე მიიღებთ, პირობას გაძლევთ.

— ო, გმადლობთ, ეჭვიც არ მეპარებოდა თქვენს სიკეთეში! — წამოიძახა ქალმა.

მე სიტყვა გავაგრძელე:

— გახსოვთ, რა მოხდა გუშინ საღამოს?

— დიახ.

— ექიმმა პატანტმა რომ დაგაძინათ, ისიც გახსოვთ?

— დიახ.

— ჰოდა, სწორედ მაშინ გიბრძანათ, ამ დილითვე ჩემგან 5000 ფრანკი გესესხოთ. ახლა თქვენ მის ბრძანებას ასრულებთ.

ქალი წუთით ჩაფიქრდა და მიპასუხა:

— კი მაგრამ, ფულს ხომ ჩემი ქმარი მთხოვს?

მთელი საათი მოვუნდი სიმართლის მტკიცებას, მაგრამ აზრი ვერ იქნა და ვერ შევაცვლევინე.

ქალი რომ გავისტუმრე, ექიმთან გავეშურე. სულზე მივუსწარი. ლიმილით მომისმინა და მერე მითხრა:

— ახლა ხომ დარწმუნდით?

— მეტი რა ძალაა?

— თქვენს ბიძაშვილთან წავიდეთ.

არაქათგაცლილი ქალბატონი საბლე სავარძელში თვლემდა. ექიმმა მაჯა გაუსინჯა. რამდენიმე ხანი დაკვირვებით უყურა. ხელი თვალებზე ააფარა და ქალმაც ნელ-ნელა მოხუჭა თვალები. ეტყობა, მაგნიტურ ძალას ვეღარ გაუძლო.

ქალმა რომ მიიძინა, ექიმმა შეგონება დაუწყო:

— თქვენს ქმარს აღარ სჭირდება 5000 ფრანკი. დაივიწყეთ, რომ ბიძაშვილს ფული სთხოვეთ და თუკი ამაზე სიტყვა ჩამოგიგდოთ, არაფერი შეიმჩნიოთ.

მერე ექიმმა ქალი გააღვიძა. მე საფულე ამოვიღე:

— აი, ძვირფასო, დილით რომ მთხოვეთ, ის ფული მოგართვით.

ქალი ისე გაოცდა, რომ ძალის დატანება ვეღარ შევბედე. მაინც შევეცადე დილანდელი ამბავი შემეხსენებინა, მაგრამ ქალი უარზე იდგა. დამცინითო, სულ ამას იმეორებდა და ბოლოს გაგულისდა კიდეც.

კი, ასე იყო! სასტუმროში დავბრუნდი. ამ ცდამ ისე ამაფორიაქა, რომ საუზმეს პირიც ვერ დავაკარე.

19 ივლისი — ბევრმა, ვისაც ეს ამბავი მოვუყევი, სიცილი დამიყარა. აღარ ვიცი, რა ვიფიქრო! ერთ ბრძენკაცს უთქვამს: „დიადი „ვინ იცის", მოსახილველად მივდივარო".[1]

21 ივლისი — ბუჟივალში ვისადილე; საღამო კი აფროსნობის მოყვარულთა მეჯლისზე გავატარე. როგორც ჩანს, ყველაფერი ადგილსა და გარემოზეა დამოკიდებული. „ბაყაყების კუნძულზე" იყო ყაცი და რაღაც ზებუნებრივ ძალებზე ფიქრობდე? მართლაც რომ სიგიჟეა!.. მაგრამ სენ-მიშელის მთა? ინდოეთი? გარემო მართლაც რომ დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე. ერთ კვირაში შინ დავბრუნდები.

30 ივლისი — გუშინ ჩამოვედი. ყოველივე რიგზეა.

2 აგვისტო — ახალი არაფერია. ბრწყინვალე ამინდია. მთელი დღეები სენის დინებას ვადევნებ თვალს.

4 აგვისტო — ჩემი მსახურები წაკამათდნენ. იფიცებიან, ღამით ვილაც ჭიქებს ამსხვრევს კარადაშიო. მოახლე მზარეულს დებს ბრალს, მზარეული მრეცხავ ქალს ადანაშაულებს, ეს კი ორთავეს ეჭვის თვალით უყურებს. ბოლოს და ბოლოს ვინ არის დამნაშავე? გულთმისანი უნდა იყო, სიმართლე რომ დაადგინო.

---

[1] გადმოცემის თანახმად, ეს სიტყვები მომაკვდავ ფრანსუა რაბლეს ეკუთვნის.

6 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ — ამჯერად, სიგიჟეს ველარ დავიბრალებ. ჩემი თვალით ვნახე... დიახ, ვნახე! ეჭვიც აღარ მეპარება! ყოველივე ჩემ თვალწინ მოხდა. შიშმა თავით-ფეხამდე დამიარა. ახლაც კი მაკრჭოლებს. ორი საათი იყო. ბალში, ვარდის ბუჩქებითან ვსეირნობდი. შემოდგომის გვიანი ვარდები გაფურჩქვნას ეპირებოდნენ.

ის იყო „მეომარ დევგმირთან“ შევჩერდი და მის სამ მშვენიერ ყვავილს დავაკვირდი, რომ უეცრად იქვე, ჩემს ახლოს, ერთი ვარდის ღერო გადაიზნიქა და გადატყდა, თითქოსდა რაღაც უხილავმა ხელმა გადატეხაო. მერე ყვავილი იმ უხილავ ხელს აჰყვა, ჰაერში აიზიდა და გაქვავდა... ჩემგან სამიოდე ნაბიჯზე მჭვირვალე ჰაერში ხასხასა სისხლისფერ ლაქად ბრდღვიალებდა წითელი ვარდი.

გიჟივით ვეცი ყვავილს, მაგრამ ამაოდ. ისე უცებ გაუჩინარდა, თვალიც ვერ მოვატანე. თავს შევუწყერი: დინჯ და გონებადალაგებულ კაცს ასეთი მოჩვენებები არ ეკადრება-მეთქი.

ნუთუ მართლა მოჩვენება იყო? ღეროს დავუწყე ძებნა და წამსვე ვიპოვე. ეს-ეს არის გადატეხილი, ორ სხვა ვარდს შორის გაჩხერილიყო ბუჩქზე.

შეცბუნებული შევბრუნდი სახლში. ახლა უკვე დღესავით ნათელია, რომ ჩემს გვერდით რაღაც უხილავი არსება დააბიჯებს, რომელიც რძეს და წყალს ხვრეპს, საგნებს ეხება და იდგილს უცვლის. ამ არსებას, რომელიც ახლა ჩემს ჭერქვეშ ბინადრობს, ჩვენი გრძნობებისთვის შეუღწევადი ნივთიერი ბუნება გააჩნია.

7 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ — „უშფოთველად მეძინა. იმან წყალი დალია, მაგრამ ჩემთვის ძილი არ დაუფრთხია.

ხომ არ შევიშალე-მეთქი, ვფიქრობ, როდესაც მზის გულზე, მდინარის პირას ვსეირნობ. ეჭვი მიპყრობს, კიდევ გონზე ვარ თუ არა. ეს უკვე ადრეული, ბუნდოვანი ეჭვი კი არა, გამოკვეთილი და მკაფიო აზრია. მე მინახავს გიჟები. ისეთებსაც ვიცნობ, ვინც თითქმის ყველა ცხოვრებისეულ მოვლენას ერთობ საღად და გონივრულად აღიქვამს, მაგრამ რაკამს იმ ზღვარს მიუახლოვდებიან, საიდანაც მათი ავადმყოფობა იწყება, აქამდე ნათელი და ღრმა მსჯელობა ერთბაშად სახეს იცვლის, ჰოდა, მათი აზრიც აზვირთებულ, აბობოქრებულ და ნისლიან ოკეანეში დაიბოქმება, რისაც ჩვენ „სიგიჟეს“ ვუწოდებთ.

რაღა თქმა უნდა, მეც გიჟად ჩავთვლიდი თავს, მაგრამ იმასაც კარგად ვხედავ, რომ საღი მსჯელობის უნარი ჯერ კიდევ შემრჩა. ერთი სიტყვით, ჰალუცინაციებით შეპყრობილი გონიერი ადამიანი ვარ. აბა, სხვა რა ვიფიქრო?

ტვინი რაღაც უცნაურმა ღელვამ ამიფორიაქა. სწორედ ისეთმა, რომლის აღწერას ცდილობენ თანამედროვე ფიზიოლოგები. ეს შფოთი სწორედ ჩემი გონებისა, აზრების მწყობრ სვლას აღღვევს და ნაპრალს აჩენს. მსგავსი ფენომენი სიზმარში გვეევლინება უმეტესწილად და წარმოუდგენელ ფანტასმაგორიებში გადაგვისვრის, ისე რომ, არც კი გავიოცებთ, რადგანაც მოვლენათა განმსჯელი აპარატი და კონტროლის უნარიც ერთნაირად დაქვეითებული ან სულაც მიძინებულია. წარმოსახვა კი ფხიზლობს და თავის საქმეს განაგრძობს. შეიძლება ჩემი გონებრივი კლავიატურის ერთი რომელიმე კლავიშა დაზიანდა? რაიმე უბედური შემთხვევის შედეგად ადამიანები მეხსიერებას კარგავენ, ან სახელებს ივიწყებენ ან კიდევ სიტყვებს და ციფრებს, ისიც ხდება,

რომ მხოლოდ თარიღები ამოუვარდებათ მეხსიერებიდან. აზრის ყველა ნაწილაკის ლოკალიზაციის შესაძლებლობა დღეს უკვე ექვს აღარ იწვევს ჰოდა, თუკი ასეა, რაღა გასაკვირია, რომ მეც ზოგიერთი ჰალუცინაციის კონტროლის უნარი დამიქვეითდა? მდინარის ნაპირს მივყვებოდი და ამაზე ვფიქრობდი. მზე წყლის ზედაპირს ელამუნებოდა და მიწას მსუბუქ ჭავლში ახვევდა. თვალებში სხივი ჩამიდგა. სიცოცხლეც მიყვარდა, ეს მერცხლებიც, რომელთა აღმა-დაღმა სრიალი სიხარულს მგვრიდა და ნაპირზე ამოქოჩრილი ბალახიც, რომლის ჩუმი ფრთოლვა ბედნიერების ჰანგებად ჩამესმოდა.

მაგრამ თანდათან რაღაც კაეშანი შემომეძალა, რაღაც იდუმალი, მისტიური ძალა ფეხებს მიბორკავდა, სიარულს მიშლიდა და უკან მეზიდებოდი. ასეთი მწველი განცდა ადამიანს იმ დროს ეუფლება, როცა შინ სნეული საყვარელი არსება ეგულება და ერთბაშად შიში იპყრობს, ვაითუ ავადმყოფის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდესო.

ჩემდა უნებურად უკან გამოვბრუნდი. დარწმუნებული ვიყავი, სახლში უბედურების მაცნე წერილი ან დეპეშა მაინც მელოდა, მაგრამ მოვტყუვდი. ამან კიდევ უფრო მეტად გამაოცა და ამაღელვა, ვინემ ფანტასტიკური ზმანების ხილვამ.

8 აგვისტო — საშინელი სალამო გავატარე. ხედვით ვერ ვხედავ, მაგრამ ვგრძნობ კი, რომ ეგი ჩემს გვერდითაა... გამუდმებით მითვალთვალებს და სულ უფრო და უფრო მიმონებს. უჩინარი და მალული უფრო საშინელი მეჩვენება. მირჩევნია, ზებუნებრივი ხერხებით გაამჟღავნოს თავისი თვალშეუვლელი არსებობა... და მაინც კარგად მეძინა.

9 აგვისტო — არაფერი მომხდარა, მაგრამ მაინც მეშინია.

10 აგვისტო — დღესაც არაფერი შეცვლილა. რა მომელის ხვალ?

11 აგვისტო — ყველაფერი ძველებურადაა. გული არ მიდგება შინ. ერთხელ აკვიატებული შიში მოსვენებას არ მაძლევს. უნდა გავემგზავრო.

12 აგვისტო — საღამოს 10 საათია. მთელი დღე გამგზავრებას ვეპირებოდი, მაგრამ ვერ შევძელი. მსურდა თავისუფლების ეს მეტად უბრალო და მარტივი საქმე მაინც შემესრულებინა — ეტლში ჩავმჯდარიყავი და რუანისკენ ამეღო გეზი. ვერა და ვერ მოვახერხე. რატომ?

13 აგვისტო — კაცს რომ მავანი სენი შეგიპყრობს, თითქოსდა მთელი სხეული გეშლება, ენერგიისგან იცლები, ჯანი გისუსტდება, ძვალი ხორცივით დუნე გიხდება, ხორცი კი წყალივით ბლანტი. ეს განცდა მთელ ჩემს არსებას მოედო და ახლა შიგნიდან მღრღნის. იმის ძალაც აღარ შემწევს, რომ ახნეობა მოვიკრიბო და თავი მოვთოკო. ვატყობ, ნებისყოფაც მღალატობს. აღარავითარი ვნება-სურვილი არ მაღელვებს, სხვის ნებას კი ვემორჩილები.

14 აგვისტო — აღარაფერი მეშველება! ვიღაც ჩემს სულს დაეპატრონა და თავის ნებაზე მათამაშებს. ყოველ ჩემს ქმედებას, მოძრაობას თუ აზრს ის ვიღაც განაგებს. თითქოსდა საკუთარი ორსობისაგან დავიცალე და ჩემივე მოქმედებების პასიური მხილველი შევიქენი. მინდა გარეთ გავიდე. არ შემიძლია, რადგანაც მას არ სურს. ჰოდა, ვაქვავებული და თავზარდაცემული სავარძელში ვრჩები. მინდა ავდგე, წამოვიწიო მაინც, რომ საკუთარი სხეულის ბატონ-პატრონად ვიგრძნო თავი. ამასაც ვერ ვახერხებ. გეგონებათ, სავარძელს მიმაკრესო. ჩემი სავარძელიც ისე მყარადაა იატაკს დაბჯენილი, რომ ვერავითარი ძალა, ვერც ერთს და ვერც მეორეს ვერ დაგვძრავს. ერთბა-

შად ბალში გასვლისა და მარწყვის ჭამის დაუოკებელი სურვილი ამიტაცებს. ასეც ვიქცევი. მარწყვს ვკრეფ და მუჭა-მუჭა ვიყრი პირში. ო, ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! არსებობს კი ღმერთი! ჰოდა, თუკი არსებობს დამიხსნას კიდეც! ღმერთო, მიხსენი! შემიწყალე და შემიბრალე! მადლი მოისხი და განსაცდელს განმარიდე! ოო, რა სატანჯველში ვარ! რა წამებაა! რა საშინელებაა!

15 აგვისტო — ახლალა ვხვდები, რა დღეში იყო ჩემი ბიძაშვილი, ფულის სასესხებლად რომ მეწვია. იგი მისსავე არსებაში ჩაბუდებულ უცხო, პარაზიტულ და ყოვლისმომცველ ნებას ემორჩილებოდა. სამყაროს დასასრული ხომ არ ახლოვდება? ვინ არის ის უჩინარი, თავის ნებაზე რომ მათამაშებს? ეს შეუცნობელი, ზებუნებრივი წარმომავლობის მოხეტიალე ძალა რაღაა?

გამოდის, უხილავი არსებანი მართლაც არსებობენ?! თუ ასეა, სამყაროს დასაბამიდან დღემდე რატომ არ გამოამჟღავნეს თავი? რაღა ჩემთვის მოიცალეს? იმ ამბის მსგავსი, რაც ჩემს ჭერქვეშ ხდება, არც წამიკითხავს და არც მომისმენია. ო, სახლის დატოვება და საღმე გადახვეწა რომ შემეძლოს, უკანმოუხედავად მოვქუსლავდი. კიდევაც გადავრჩებოდი, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამის გაკეთება არ შემიძლია.

16 აგვისტო — დღეს, როგორც იქნა, ორი საათით გამოვიპარე სახლიდან. თითქოს პატიმარი ვყოფილიყავი და დარაჯს საკნის კარი შემთხვევით ღია დარჩენოდა. უეცრად ვიგრძენი, რომ თავისუფალი ვიყავი. ისიც ალარ იყო ჩემ გვერდით. ცხენების შებმა ვუბრძანე და რუანისკენ გავწიე, რა ბედნიერებაა, როცა შეგიძლია ვიღაცას უბრძანო: „აბა, რუანისკენ გაუყევი", და ისიც გემორჩილება.

ბიბლიოთეკასთან შევჩერდი და დოქტორ ჰერმან ჰერესტაუსის ის დიდტანიანი ნაშრომი მოვიკითხე, რომელიც ანტიკური და თანამედროვე სამყაროს უცნობ ბინადრებს ეხება.

მერე ეტლში ასვლისას, ის იყო მეეტლესთვის უნდა მეთქვა, სადგურისკენ გაუხვიე-მეთქი, რომ ჩემდა უნებურად ხმამაღლა შევძახე, არა, კი არ შევძახე, ისე ვილრიალე, სახლისკენ გაუტიე-მეთქი, რომ გაოცებული გამვლელებიც კი მომიტრიალდნენ, სუნთქვაშეკრული, ეტლის მუთაქებზე გადავესვენე. აქაც მომაგნო და დამიმონა!

17 აგვისტო — ო, რა ღამე იყო! რა ღამე! მაინც ვფიქრობ, რომ საქმე არც ისე ცუდადაა. პირველ საათამდე ვიკითხე. ფილოსოფიისა და თეოგონიის დოქტორ ჰერმან ჰერესტაუსს ადამიანების გვერდით მარადჟამს მოხეტიალე ან კიდევ ადამიანური წარმოსახვით დაბადებული, უჩინარ არსებათა მთელი ისტორია შეუქმნია. წიგნი ვრცლად მოგვითხრობს მათ წარმომავლობაზე; მათ სამეუფოსა და მათ ძლიერებასაც აღწერს. მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ მივამსგავსე იმას, ვინც ესოდენ მტანჯავს და მაწვალებს. ეტყობა, ადამიანმა აზროვნება იწყო თუ არა, რაღაც ახალი არსების მომავალი აღზევება იწამა და ერთდროულად მისდამი შიშიც შეიცნო. იგი, მომავალი მემკვიდრე, ადამიანზე მეტად ძალმოსილი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ქვეყნიერების ამ ახალი ბატონ-პატრონის ბუნება შიშით შეპყრობილმა ადამიანმა, ვერ იქნა და ზუსტად ვერ განსაზღვრა. შეიძლება ამიტომაცაა, რომ ოკულტური და ფანტასტიკური ქიმერებით დაასახლა დედამიწა.

პირველ საათზე კითხვას თავი ვანებე და ფანჯარასთან მივჯექი, რათა მრუმე ღამის ნიავით გამეგრილებინა გადახურებული ტვინი.

წყნარი ამინდი იდგა. რარიგ მიყვარდა ასეთი ღამეები! მთვარე არ ჩანდა. შავად ჩაქუფრულ ცაზე ვარსკვლავები კიაფობდნენ. ვინ ცხოვრობს ამ ვრცელ სამყაროში? რა ფორმები, რა ცოცხალი არსებები, რა ცხოველები ან რა ნარგავები? ნეტავ შორეული სამყაროს მოაზროვნე ბინადრებმა თუ იციან ჩვენზე მეტი? ჩვენზე მეტი ძალისხმევა თუ აქვთ? ხედავენ რასმე ისეთს, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ? შეიძლება, რომელიმე მათგანმა სივრცის საზღვარი გაარღვიოს და დედამიწის დასაპყრობად გამოეშუროს, როგორც ერთ დროს ნორმანებმა გადაჭრეს ზღვა უფრო სუსტი ხალხების დასამონებლად?

რაოდენ უსუსურნი, დაუცველნი, უვიცნი და მცირენი ვართ ადამიანები, ამ ტალახის გუნდაზე რომ ვცხოვრობთ, წყლის პატარა გუბეში.

ღამის სიგრილემ დამიამა და ამ ფიქრებში კიდეც ჩამთვლიმა.

ორმოციოდე წუთი თუ მეძინა. მერე თვალები გავახილე, ისე რომ არც შევნძრეულვარ. რაღაც ბუნდოვანმა შეგრძნებამ გამაღვიძა. ჯერ ვერაფერი გავარჩიე. მერე დავინახე, რომ ჩემს მაგიდაზე გადახსნილი წიგნის ფურცელი თავისით გადაიშალა. ფანჯრიდან ნიავის სუნთქვაც ვერ ატანდა. გაოცებული ველოდი, რა მოხდებოდა. ორმოცი წუთის შემდეგ საკუთარი თვალით ვიხილე, რომ მომდევნო ფურცელიც წინას მიყვა. თითქოსდა უხილავმა ხელმა გადაფურცლაო. ჩემი სავარძელი ცარიელი იყო, ყოველ შემთხვევაში ასე მეჩვენა. მაგრამ წამსვე ვიაზრე, რომ ის აქ იყო, ჩემს ადგილზე იჯდა და კითხულობდა. გონდაკარგული მხეცი რომ ეძგერება თავის მომთვინიერებელს, სწორედ ისეთი შმაგი ნახტომით გადავჭერი ოთახი, რათა ხელი მეტაცა მისთვის, მკლავებში მომეგდო და მომეხრჩო. მაგრამ ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოვასწარი, რომ სავარძელი აყირავდა, თითქოს ვილაც უხილავმა ფეხი ჰკრა და გაიქცა... მაგიდა შეინძრა, ლამპაც ჩამოვარდა და ჩაქრა. ფანჯარა ზათქით მოიხურა, იფიქრებდით, დანაშაულის ადგილზე გამოჭერილი ქურდი დარაბებს მოეჭიდა და გარეთ ისკუპაო.

გამოდის, გაქცევით უშველა თავს. შეეშინდა. დიახ, ჩემი შეეშინდა!

ამრიგად... ჰო, სწორედ რომ ასეა! ერთ მშვენიერ დღეს მოვიხელთებ და მიწაზე დავცემ. ზოგჯერ ძაღლიც ხომ კბენს და ყელსაც გამოღადრავს თავის პატრონს?

18 აგვისტო — მთელი დღე ფიქრსა და განსჯაში გავატარე. მაშ ასე, ქედს მოვიდრეკ, ყველა მის ახირებას ავყვები, ყველა მის სურვილს ავასრულებ, ლაჩრად და უნდილად მოვაჩვენებ თავს. იგი ხომ ყველაზე ძლიერია! მაგრამ, დრო მოვა და...

19 აგვისტო — მივხვდი... საიდუმლოს ფარდა აეხადა... ეს-ეს არის „სამეცნიერო სამყაროს ჟურნალში“ ამოვიკითხე: „უცნაური და ყურადსაღები ცნობა მივიღეთ რიო-დე-ჟანეიროდან. სიგიჟის ეპიდემია, მსგავსი იმ გადამდები სენისა, რომელიც შუა საუკუნეების ევროპის ერებს მოედო, მძვინვარებს სან-პაულოს პროვინციაში. აფორიაქებული და დაშინებული მოსახლეობა საცხოვრებელს ტოვებს და სოფლებს აცარიელებს. ღვთის ანაბარა რჩება მინდვრები და ბაღები. თითქოსდა პირი შეკრესო ,ლტოლვილები ერთხმად აცხადებენ, რომ უჩინარმა, მაგრამ შეგრძნებადმა არსებებმა დაიმორჩილეს მათი ნება, ფარასავით მიერეკებიან და ზღაპრული ურჩხულების

მსგავსად ძილში სისხლს წოვენ. გარდა ამისა, წყალსა და რძეს სვამენ, მაგრამ სხვა რამ საკვებს პირს არ აკარებენ.

პროფესორი დონ პედრო ენრიკესი რამდენიმე მეცნიერის თანხლებით სან-პაულოს პროვინციაში გაემგზავრა, რათა ადგილზევე გაარკვიოს ამ უცნაური სიგიჟის წარმომავლობა და ნიშნები. იგი იმპერატორს წარუდგენს თავის მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ რით და როგორ შეიძლება გონდაკარგული ხალხის დაშოშმინება".

ჰოდა, მეც იმყამინდელი ბრაზილიური სამანძიანი გემი გამახსენდა. სწორედ ის, ჩემი ფანჯრების წინ, სენის დინებას ალმა რომ მიუყვებოდა, 8 მაისის დილას. რაოდენ ლამაზი, ხალისიანი და ქათქათა მეჩვენა! ის არსებაც იმ გემზე იყო, სამშობლოდან მოეშურებოდა .ეტყობა, სწორედ მაშინ მკიდა თვალი. ჩემი თეთრი სახლიც შეამჩნია და გემიდან ნაპირზე გადმოეშვა. ო, ღმერთო ჩემო!

ახლა უკვე ყოველივე ცხადია: ადამიანის მეუფება დასრულდა... და ჰა, მოვიდა იგი, ვინც გულუბრყვილო ხალხების პირველქმნილი შიშისა და ძრწოლისაგან იშვა, ის, ვისაც კრულვას უთვლიდნენ შეშფოთებული ქურუმნი, ვისაც უკუნი ღამით იხმობდნენ ჯადოქრები, ვინც არვის ეჩვენებოდა და ვისაც ამ ქვეყნის წარმავალ მეუფეთა წინათგრძნობა ხან ჯუჯად წარმოიდგენდა, ხან კი მოჩვენებად, ხან ფერიას სამოსში ხვევდა, ხან კი უწმინდურ ძალად სახავდა. პირველყოფილ უსენ წარმოდგენას უფრო გონიერმა ადამიანებმა საღი აზრი და ნათელი ხილვა შეუნაცვლეს. მესმერმა იგი ამოიცნო, ექიმები კი აი, უკვე ათი წელია ზუსტად აღწერენ მისი ძლიერების არსსა და ხასიათს. ის დღეც არ არის შორს, როცა იგი თვითვე გამოამჟღავნებს საკუთარ ძალისხმევას. ადამიანები გაეთამაშნენ ამ ახალი ბატონის სასტიკ იარაღს, რომელიც ადამიანის სულს მაჯლაჯუნასავით აწვება და იმორჩილებს. რა სახელი არ გამოუძებნეს: მაგნეტიზმი, ჰიპნოტიზმი, შეგონებაო.. .ღა ვინ იცის კიდევ რა. უგუნური ბავშვებივით ეღლაბუცებოდნენ ამ ყოვლისმომსხვრელ ძალას. ვაგლახ ჩვენ! ვაი, შენი ცოდვის ბრალი, ადამის ძეო! იგი მოვიდა, აი, ის... რა ჰქვია? ასე მგონია, თითქოს სახელს ჩამძახის, მე კი არ მესმის. ჰო, სწორედ რომ ასეა. სახელს მეუბნება... ვაყურადებ... ვერ ვარჩევ.. .გაიმეორე... ორლა გავიგონე... ორლა... დიახ, ის არის.. ორლა... ორლა.. აჰა, მოვიდა!..

ძერამ მტრედი მოინადირა, მგელმა ცხვარი შეჭამა, ლომმა რქააპრეხილი კამეჩი დაგლიჯა, ადამიანმა ისრით, მახვილით თუ ტყვიით ლომს სული გააფრთხობინა. ორლაც ისევე მოექცევა ადამიანს, როგორც ერთ დროს ჩვენ მოვექეცით ცხენსა და ხარს: მხოლოდ საკუთარი ნებისყოფის წყალობით საკუთარ ნივთად, მსახურად და საკვებად გვაქცევს. განკითხვის ჟამი დგება!

მაგრამ ისიც ხომ ხდება, რომ ზოგჯერ ამბოხებული მხეცი თავის მომთვინიერებელს ჰკლავს. მეც მსურს... მეც ხომ შემიძლია.. .მაგრამ ამისთვის საჭიროა ვიცნობდე მას, ხელი შევახო, დავინახო! მეცნიერთა აზრით, ცხოველის თვალი ადამიანის თვალისგან განსხვავებით საგნებს ერთიმეორისაგან ვერ არჩევს, ჰოდა, აი ჩემი თვალიც იმ ახლად გამოცხადებულ არსების, რომელიც ასერიგად მტანჯავს, ვერა და ვერ ხედავს.

რატომ? სენ-მიშელის მთის ბერის სიტყვებს ვიხსენებ: „ჩვენ ყოველი

არსებულის მემილიონე ნაწილსაც ვერ ვხედავთ. აი, თუნდაც ქარი, ბუნების ყველაზე ძლიერი სტიქიონი ავიღოთ. ქარი ადამიანებს მიწაზე სცემს, შენობებს ანგრევს, ხელებს ძირფესვიანად გლეჯს, ზღვას მთისოდენა ტალღებად აფოფრავს. კლდეებს ძირს უთხრის და დიდრონ გემებს წყლის უფსკრულში ისვრის. ქარი ანგრევს, კივის, კვნესის, ღრიალებს, მაგრამ [illegible] იგი? ან კი შეგიძლიათ მისი ხილვა? მიუხედავად ამისა, ქარი არსებობს.

ჰოდა, მეც ვფიქრობ: ჩემი ხედვა ისე სუსტია, რომ შუშასავით გამჭვირვალე მყარი სხეულების გარჩევაც კი არ ძალუძს. წინ რომ უჩარჩო სარკე დამიდგინ, მერწმუნეთ, ცხვირ-პირს შევახეთქებ, მსგავსად ოთახში შემოფრენილი ჩიტისა, რომელიც ბრმად ეხლება ფანჯრის მინებს. ვინ იცის, რამდენი რამ აცდუნებს ჩვენს ხედვას? ყველაფერ ამის შემდეგ აბა რა გასაკვირია, თუკი ჩემი თვალი იმ ჰაერივით უჩინარ, ახალმოვლენილ სტუმარსაც ვერ არჩევს?

ახალი არსება! რატომაც არა? იგი უცილობლად უნდა მოსულიყო! ან კი რატომ უნდა იყოს ადამიანი დედამიწის უკანასკნელი ბინადარი? ჩვენ მას ვერ ვხედავთ, ვერც ჩვენმა წინაპრებმა შეიცნეს იგი. იმიტომ, რომ მისი ბუნება ჩვენსაზე უფრო დახვეწილია. მისი სხეული კი უფრო სრულყოფილი და დასრულებულია. რაოდენ უსუსური მეჩვენება ადამიანის სხეული, მოუქნელი, მუდმივ გადაღლილი ორგანოებით აღჭურვილი, რთული მექანიზმის ზამბარასავით მუდამ ჟამს დაჭიმული, მცენარისა და პირუტყვის არსებობის დონეზე დასული, ჰაერით, ბალახებულახითა და ხორცით რომ გააქვს თავი. ეს ხომ ცოცხალი მანქანაა, სნეული, მუდმივ ცვალებადი, ხრწნადი, ძლივსღა რომ უდგას სული, უვიცი და უცნაური, უხეშად აწყობილი, ვიღაცის გაუწაფავი აზრითა და ხელით შექმნილი, მხოლოდ და მხოლოდ მკრთალი მონახაზი იმ არსებისა, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს გონიერებისა და სრულყოფის უმაღლეს საფეხურზე უნდა ასულიყო.

ჩვენ ხომ არც ისე ბევრნი ვართ მიწაზე, ლოკოკინათი დაწყებული და ადამიანით დამთავრებული? მაშ, რატომ არ შეიძლება ერთით მეტი ვიყოთ? მით უმეტეს, თუკი იმასაც ვივარაუდებთ, რომ ახალი სახეობების წარმოშობის ჟამი დადგა?

რატომ არ შეიძლება-მეთქი, გეკითხებით? განა ძნელია იმის წარმოდგენა, რომ სადღაც ხარობს უზარმაზარი ხე, რომლის ვეება ყვავილების სურნელი მთელ გარემოს აბრუებს? ხომ შეიძლება არსებობდეს კიდევ რაიმე სხვა ნივთიერება ცეცხლის, ჰაერის, მიწისა და წყლის გარდა? ნუთუ მხოლოდ ეს ოთხია ყოველი არსებულის დედა-მშობელი? დასანანია! დაე, ოთხის ნაცვლად ყოფილიყო ორმოცი, ოთხასი, ოთხი ათასი! ყოველივე რაიგ მწირია, გასაცოდავებული და დაგლახებული! მისხალ-მისხალ მოზომილი, ზერელედ გააზრებული და ნაჩქარევად გაკეთებული! აგე, სპილოები და ჰიპოპოტამები! აი, ვისა აქვს ჭეშმარიტი ხიბლი! ან, თუ გნებავთ, აქლემების სინარნარე გაიხსენეთ! მაგრამ პეპელაზე ან ჰაერში მოფარფატე ყვავილზე რაღას იტყვით, შემეპასუხებით. ჩემს წარმოდგენაში ვხატავ უზარმაზარ, ას სამყაროსოდენა პეპელას უკიდეგანო ფრთებით, რომლის ვერც მოხაზულობას, ვერც მშვენებას, ვერც ფერებს და ვერც რხევას ვერ აგიწერთ! მაგრამ იგი ახლაც თვალწინ მიდგას. პეპელა ვარსკვლავიდან ვარსკვლავისკენ მიფრინავს და თავისი მძლავრი ფრთებით სიგრილესა და სურნელს აკმევს ციურ მნათობთ, ხოლო

მონუსხული და მოჯადოებული ზეცის მოსახდენი მისი მეფური ფრენის ცქერით ტკბებიან.

რა მემართება? ორლა... დიახ, ისაა, გონებას რომ მირევს და ამ გიჟურ ზმანებას მიხატავს. იგი ჩემს არსებაში ჩასახლდა, სულისგან დამცალა და მისი ადგილი დაისაკუთრა. მე მას... მოვაშთობ!..

19 აგვისტო — მე მას მოვკლავ! მე იგი დავინახე! გუშინ საღამოს მაგიდასთან ვიჯექი.. თავი ისე მოვიჩვენე, თითქოს წერით ვიყავი გართული. კარგად ვიცოდი, რომ ირგვლივ მიტრიალებდა, აქვე, სულ ახლოს, ხელის გაწვდენაზე. რა მოხდება, ხელში რომ მოვიგდო? იმედგადაწურული კაცის მხნეობით შევუტევ. აგე, ხელებიცა მაქვს, მუხლებიც, მკერდიც, შუბლიც... სხვა თუ არაფერი, ყელის გამოსალადრად კბილებიც ივარგებს. დავკბენ, დავახრჩობ, ნაკუწებად დავფლეთ.

ასე ძარღვებაწეწილი ველოდი...

ორი ლამპა ავანთე და რვა სანთელი შემოვდგი ბუხარზე. ვიფიქრე, ამ ბრდღვიალა სინათლეში უფრო ადვილად მოვიხელთებ-მეთქი. ჩემ წინ ჩემი ძველი, ფეხებიანი საწოლია, მარჯვნივ ბუხარი, ხელმარცხნივ ჩარაზული კარი, რომელიც კარგა ხნით ღია დავიგდე იმ იმედით, იქნებ შემოვიტყუო-მეთქი. უკან მაღალი, სარკიანი კარადაა. ამ კარადის წინ წვერს ვიპარსავ. ვიცვამ და როცა კი წინ ჩავუვლი, თხემით ფეხებამდე ავათვალ-ჩავათვალიერებ ხოლმე საკუთარ თავს.

ჰო, იმას ვამბობდი, თავი მოვიკატუნე და ვცდილობდი მეჩვენებინა, ვითომც წერით ვიყავი გატაცებული. მინდოდა შემეცდინა, რადგანაც ვიცოდი, ისიც მითვალთვალებდა. ერთბაშად ნათლად ვიგრძენი, ჩემ უკან ატუზულიყო და ნაწერს კითხულობდა. მისი სუნთქვა ყურში ჩამესმოდა.

სკამიდან წამოვხტი. ხელები წინ გავიწვდინე და ისე მკვირცხლად შემოვტრიალდი, რომ კინაღამ იატაკზე გავიშოტე. იცით, რა მოხდა? დღენათელი იყო, მაგრამ სარკეში საკუთარი გამოსახულება ვერ დავლანდე. სარკე ცარიელი იყო, პრიალა, ღრმა და სინათლით სავსე... ჩემი ორეული კი... არადა ზუსტად სარკის წინ ვიდექი. კარგად ვხედავდი სარკის გლუვ ზედაპირს. თვალები გადმოვქაჩე. ფეხიც ვერ წავდგი წინ, ხელიც ვერ გავანძრიე, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, იგი აქვე იყო. მაგრამ იმასაც ვხვდებოდი, ახლაც ხელიდან დამისხლტებოდა. სწორედ მისმა უხილავმა სხეულმა შთანთქა ჩემი ანარეკლი.

შიშმა ამიტანა. მერე, უცებ სარკეში საკუთარი ორეულიც წარმომიდგა. თითქოს ნისლიდან გამოდიოდა, სარკის სიღრმიდან, წყლის ჭავლის უკან. წყლის წვეთები მარცხნიდან მარჯვნივ ხაზავდა სარკის ზედაპირს და წუთიდან წუთზე ჩემი გამოსახულება სულ უფრო მკაფიო ხდებოდა. გონება გამინათდა. იმას, რაც აქამდე სარკეში საკუთარი თავი დანახვას მიშლიდა მკაფიოდ, კონტურები არ უნდა ჰქონოდა. ბუნდოვანი გამჭვირვალება იყო და სხვა არაფერი.

დაბოლოს მთელი ტანით გამოვჩნდი სარკეში, ისე, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე .

მე იგი დავინახე! იმდღევანდელი შიში ახლაც ტანში მაქვს გამჯდარი.

20 აგვისტო — როგორ მოვკლა? ხელში მოგდებაც რომ არ შემიძლია? საწამლავით? მაგრამ ხომ დაინახავს, წყალში რომ შევურევ? ისიც

საკითხავია, იმოქმედებს თუ არა მასზე საწამლავი? რა თქმა უნდა, არა. მაშ რა ვიღონო?

21 აგვისტო — რუანიდან ხელოსანი მოვიწვიე და ჩემი ოთახის ფანჯრებისთვის რკინის დარაბები შევუკვეთე. სწორედ ისეთი, პარიზში, ზოგიერთი კერძო სახლის პირველ სართულს რომ ააკრავენ — ხოლმე, აქაოდა, ქურდი არ შეიპაროსო. რკინის კარსაც გამიკეთებს. რა თქმა უნდა, სიმხდალეა, მაგრამ ვისაც რა უნდა, ის თქვას!

10 სექტემბერი — რუანი, ოტელი „კონტინენტალი". აღსრულდა! მაგრამ მართლა მოკვდა კი? იმ საშინელმა სურათმა სულის სიღრმემდე შემძრა...

გუშინ ხელოსანი საქმეს რომ მორჩა, ფანჯრები და კარი შუაღამემდე ღია დაეტოვე, თუმცა კი საკმაოდ გრილოდა.

უცებ ვიგრძენი, რომ აქ იყო. გიჟურმა სიჩარულმა ამიტაცა. ნელა წამოვდექი... და რომ არ დამფრთხალიყო ბოლთის ცემას მოვყევი. საწოლთან მივედი, კიდეზე ჩამოვჯექი, ფეხსაცმელები წავიძრე და ფლოსტებში წავყავი ფეხები. მერე დარაბები მივხურე და კარიც ჩავრაზე. ფანჯრებისკენ გამოვბრუნდი. საკეტები ჩავკეტე და გასაღები ჯიბეში ჩავისრიალე.

მყისვე ვიგრძენი, როგორ აწრიალდა. ეტყობა, მასაც შეეშინდა. გარშემო მიტრიალებდა, თითქოსდა მიბრძანებდა, კარი გამიღეო. ცოტაც გაწყდა და არ დავუთმე. თავი შევიკავე. კარს მივეყრდენი და ფრთხილად გამოვაღე, ისე, რომ, ღიობში გავტეულიყავი. მაღალი ტანის ვარ და კარის ძგიდეს თავით ვწვდებოდი. ახლა კი ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ თავს ვერ დაიძვრენდა. კარი გამოვიხურე და ოთახი ჩავკეტე. ო, რა შვება ვიგრძენი! გამოვიჭირე და ეგაა! კიბე სირბილით ჩავათავე. დარბაზში ორივე ლამპას ვტაცე ხელი და ნავთი ავეჯს მოვასხურე. კუთხე-კუთხეულიც არ დამიტოვებია. შემდეგ ცეცხლი წავუკიდე, შემოსასვლელი კარი გულდაგულ გადავრაზე და თავს ვუშველე.

ბაღის მივარდნილ კუთხეში შევიყუჟე, დაფნის ბუჩქებთან. დრო უსაშველოდ გაიწელა. სიბნელე და მდუმარება სუფევდა ირგვლივ. ჰაერიც არ იძროდა და ერთი ვარსკვლავიც არ ცრიალებდა ცაზე. უხილავი ღრუბლების მთელი მთა მედო გულზე და სულს მიხუთავდა.

სახლს ვუყურებდი და ველოდი. ლოდინი დაუსრულებელი მეჩვენა. ის იყო გავიფიქრე, შეიძლება ცეცხლი ჩაქრა ან თვითონ ჩააქრო-მეთქი, რომ ქვედა სართულის ფანჯარამ მოწოლილი ცეცხლისგან ზათქი მოიღო და ვეებერთელა, წითელ და ყვითელ ფერებად აბრდღვიალებული გრძელი, ნებიერი და მხურვალე ალი ლოკვით აუყვა თეთრ კედელს. რაღაც უცნაური შუქი გადაენთო ხეთა ტოტებსა და ფოთლებს... ბაღს შიშის ნიავმა გადაურბინა. ჩიტებს ძილი დაუფრთხათ... ძაღლი აყეფდა... ესაა და გათენდა-მეთქი — ვიფიქრე. კიდევ ორმა ფანჯარამ დაიზრიალა და ქვედა სართული საშინელ ნახანძრალს დაემსგავსა .უცებ გულისშემძვრელმა, განწირულმა კივილმა გაკვეთა ღამე. ქალის ხმა იყო. ზედა სართულის ფანჯრები გაიღო. მაშინღა გამახსენდა მოახლე ქალები! ახლა მათ შიშისგან საზარლად დამანჭულ სახეებს და შიშველ მკლავებს ვხედავდი, უმწეოდ რომ ასავსავებდნენ ჰაერში.

თავზარდაცემული სოფლისკენ გავქანდი, თან ვღრიალებდი: „გვიშველეთ, გვიშველეთ, ხანძარია!" გზად სახლისკენ მომავალ ხალხს გადავეყარე და მათთან ერთად უკან გამოვეშურე, რათა კიდევ ერთხელ მეხილა ჩემი ნახელავი!

სახლი ერთ დიდ საშინელ და თვალისმომჭრელ კოცონად გიზგიზებდა. მართლაც რომ არნახული სანახაობა იყო! მჩურვალე ცეცხლში იწვოდნენ ადამიანები და მათთან ერთად ისიც, ჩემი ტყვე, ახალი არსება, ახალი ბატონი, ორლა!

უცებ სახურავი გამაყრუებელი ხმაურით დაენთქა კედლებს შორის და ცეცხლის ალი ზეცად აიჭრა. ღია ფანჯრებიდან, თითქოსდა ღუმელის სარკმელებიან, მოგიზგიზე ცეცხლს ვხედავდი და ვფიქრობდი, რომ ის, უკვე მკვდარი, ამ საშინელ საკირეში იფერფლებოდა.

მაგრამ, მოკვდა კი? ვინ იცის? მერედა, მისი სხეული? შეიძლება ყოველივე ის, რაც ადამიანისთვის დამღუპველია, სრულიად უვნებელი გამომდგარიყო ამ უსახო და უხორცო სხეულისათვის, რომელიც დღის სინათლეში ითქვიფება?

ჰოდა, თუკი არ მოკვდა? შეიძლება მხოლოდ დრო იყოს ამ უჩინარი და საშინელი არსების ერთადერთი ჯალათი! მაშ, რაღად უნდა ეს გამჭვირვალე და მოუხელთებელი სხეული, თუკი ჩვენებრ ემონა ტკივილს და ჭრილობას, ან კიდევ ადრეულ სიკვდილს?

ადრეული სიკვდილი... დიახ, სწორედ ეს არის თავი და თავი ადამიანური ტრაგიზმისა .ადამიანის შემდეგ ორლა მოვა... იმას, ვისაც ყოველ წამს, ყოველ წუთს, ყოველდღე და ყოველი მხრიდან ემუქრება საბოლოო განადგურება, შეცვლის დიადი არსება, ის, ვინც მისთვის განკუთვნილ დღეს, საათსა და წამს თუ მოკვდება სწორედ მაშინ, როცა თავის არსებობის უკიდურეს ზღვარს მიაღწევს.

არა.... არა... ეჭვიც არ მეპარება!.. იგი არ მომკვდარა. ჰოდა, თუკი ასეა, ახლა ისლა დამრჩენია, თვითონ მოვიკლა თავი!..

1886 წელი

□

ვიზმა ბელშევიცა

ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლატვიურიდან თარგმნა რენე კალანდიამ

* * *

მიხსენი ზღვაო, მომეშველე,
მე ვიძირები!
ვიხრჩობი რუხ მოგონებებში,
ტყუილუბრალო მოლოდინში...
და თუნდ იმედის უმწეო ხავსსაც
აქ, ამ ნაპირზე –
არ გამომიწვდის არავინ.
ჩემს პირისახეს ეფინება, –
წალეკავს, წაშლის, –
მწარე გემო გარდასულ დღეთა ამბორის მძივის,
წყალცემა წარსულ მოფერებათა
ღრუბლად იკვრება – ჩემს თავს ზემორე.
ზღვაო,
შენსკენ მოვდივარ, რათა
ჩემი ლოყები თუ იქნება მარილიანი,
დაე, იქნეს,
ოღონდ იწვოდნენ ქაფმორეული ტალღების ჟინით,
უკეთუ კვნესა,
დაე, იქნეს ქარის მუშტისგან, –
მკერდში რომ მომხვდა უცაბედად, მოულოდნელად,
უკეთუ სევდა,
დაე, იქნეს, რადგანაც მზეს – სისხლგამოლეულს,
დაისით დაჭრილს, –
საშინლად უმძიმს გარდაცვალება.
მიშველე, ზღვაო!
შენ – ერთადერთი,
ხარ სიყვარულზე უფრო დიდი,
უფრო ვრცელი, ვინემ ნაღველი
და უფრო სადა – გამოუთქმელი უბრალოება,
ვინემ ალერსი.
მიხსენი, ზღვაო,

მომეშველე,
        მე ვიძირები!
უნდა გადავსტე,
        გადავვარდე შენს სივრცეებში,
რათა ისევ მყარ მიწად იქცეს
მოგონებებით დაღრღნილი, — სევდით დახრული ნაპირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვები სიტყვების შესახებ

სიტყვები სიზმარში მოვიდნენ. ჩემს ირგვლივ იდგნენ ბიჭუნებივით, რომელთა ცელქობის გამო დედას მილიციაში იბარებენ. ყველაზე პატარასა და საყვარელ სიტყვას ბაწაწინა, მრგვალი პირი გვერდულად მოექცა, შინდისფერი ბაგეები აუცახცახდა. მომეჩვენა, რომ ეი, საცაა იყვირებს: აწი, არ ვიზამ!..

ტყუილუბრალოდ მომეჩვენა. იგი არ იყო მყვირალა სიტყვა... და მაშინ მე ვთქვი:

ჩემო სიტყვებო, როცა ხელახლა დაგვიწყებენ გასამართლებას,
ნუ დახრით თავებს!.. საბრალდებო სკამი მხოლოდღა
ზღურბლია, რასაც მტკიცედ უნდა გადაჭაბიჯოთ,
რათა ჩვენს თვალწინ გადაიშალოს უსასრულო ქვეყნიერება —
ყოველგვარი კედლის გარეშე, —
მიწა, რომელიც ოთახს არა ჰგავს.
ჭეშმარიტება: თვითეული ჩვენთაგანი სიცოცხლის გზისთვის
კვერცხიდან უნდა გამოიჩეკოს.
ეს ცნობილია ფრინველებისთვის. იცის ყველამ.
თავად ქათამმაც.
ეს ცნობილია ფრინველებისთვის. პოეტებისთვის და სიტყვებისთვის.
ხოლო სასჯელის უმაღლესი ზომა არის თავისუფლება,
რასაც აწ უკვე ვერ წაგვგვრიან ველარასოდეს.
თვალსაწიერის უსასრულო ველად გაჭრილს აღარ სჭირდება, —
უკუმოხედვის უსუსურობა, — კედლებისკენ, ცხოვრებისაკენ.
ისევ კვდებიან ფრინველები და პოეტები. მაგრამ ნაჯახის
პრიალა ფხასაც, მწამს, რომ არ ძალუძს ამოკვეთოს აღსასრულის წინ
გამშრალ ყელიდან ამოხეთქილ სიტყვის ნათელი,
სიტყვის, რომელიც მხოლოდ ერთხელ თუ დაიღვრება,
ვით პირველქმნილი მდინარის ტალღა.
ჭეშმარიტება: სიტყვის მდინარეს ვერ ამოხაპავს ველარავინ,
ველარასდროს აწ ქვეყანაზე, —
ვითარცა მერცხალს — ლაჟვარდად აჭრილს ვერ დაეწევა ძეხორციელი.
ჩემო სიტყვებო, ნუ შემიცოდებთ,
თესლმა არც უნდა შეიბრალოს საყანურის შრიალა სივრცე,
სადაც იზრდება ოქროს თავთავი;

თვით მიწის მკერდიც გაღატაკდება — თუ დაიჟანგა სახნისი და
ამოთავთავდა აღმოცენება.
უფრო თამამად გაუხსენით მიწას საკინძე, —
ახალ აზრთა აკვირტებისთვის.
ჩემო სიტყვებო, გუნდრუკს გიკმევენ თუ საბრალდებო საკანს გიმზადებენ, —
სულაც არ არის ბედნიერება,
სულაც არ არის უბედურება;
ახალი ლექსის დამთავრებისას იკეტება ჩემი ჭიშკარი.
აწ თავად წადით შორეულ გზებით...
რადგან სიცოცხლით დაგამწყალობეთ,
ყველაფრის გამო მე ვაგებ პასუხს — სიტყვებო, ჩემო...
ჩემო სიტყვებო.

* * *

არ შემიძლია, რომ ვიფიქრო იმაზე, რაც ჩვენ ერთურთს გვაშორებს.
მთელი საღამო ვკითხულობდი ლექსებს...
ღამით კი, —
მთელი ღამე ჩემს სიზმარში ჰყვაოდნენ იაჟუჟუნები:
კენწეროებზე ივნისის ცის იისფერი ღრუბლის ფთილა წევს,
ცის ქვეშ — ყვითელი ჩირაღდნებია..
მოაშორე ერთი მეორეს —
არ იარსებებს იაჟუჟუნა.

ლატვიის ისტორიული მოტივი: ძველი რიგა

ქარები ქრიან. ქარები სწუხან. რიგა ისევ სდუმს.
სდუმს ქვის შიშველი დედაბერი და...
ჰერალდიკური მხეცები სდუმან.
სდუმან კოშკები. და კოშკების კენწეროებზე—
მამლები სდუმან.

ქართა თარეში. ღრიალი ქართა. რიგა ისევ სდუმს.
როგორც ბოქლომი ისტორიული,
როცა რკინაზე ორთქლის წვეთი აციმციმდება, —
შემატყვებარი მაჯისცემისა...
დამპყრობელთათვის დაცემაა გარდაუვალი.
და მათი სისხლი
ქვაფენილზე
სდუმს.

ქარების რისხვა. ქართა სტვენა. რიგა ისევ სდუმს.
უდარდელობა? უკმეხობა? სულმოკლეობა?
ნულარ იკითხავ. არ გიპასუხებს.
უნდა იყვირონ გარდასულებმა.
მათ თავი უნდა გაიმართლონ ყველას წინაშე.
უკვდავთათვის კი — დუმილია ნებადართული.

□

გეორგ ბიუჰნერი

ლენცი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

გერმანულიდან თარგმნა მარინა ბარამიძემ

გეორგ ბიუჰნერი (1813-1837) იმ გენიოსთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც შესძლეს თავიანთი ხანმოკლე ცხოვრების მიუხედავად წარუშლელი კვალი დაეტოვებინათ ეროვნულ და მსოფლიო ლიტერატურაში. ბიუჰნერი, ისევე როგორც XIX ს-ს დასაწყისის ყველა მოწინავე გერმანელი ახალგაზრდა, საფრანგეთის ივლისის რევოლუციის იდეებს იზიარებდა და სიტყვით თუ საქმით თავისი ქვეყნის კეთილდღეობისათვის იბრძოდა. ამის დამადასტურებელია მისი მცირერიცხოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობაც: სამი დრამა: „დანტონის სიკვდილი", „ლეონსი და ლენა", „ვოიცეკი", ერთი ნოველა „ლენცი" და ბროშურა „ჰესენელი შიკრიკი", აგრეთვე რამდენიმე ფილოსოფიური ნაშრომი, ლექსები და წერილები. როგორც დრამები, ისევე ბროშურა მეტერნიხის დროინდელ გერმანიაში არსებული პოლიტიკური, სოციალური და მორალური ხრწნადობის მხილებას წარმოადგენენ. სრულიად განსხვავებული სახის ნაწარმოებია „ლენცი".

ცნობილი გერმანელი კლასიკოსი იაკობ მიჰაელ რაინჰოლდ ლენცი (1751-1792) „შტურმისა და ქარიშხლის" (Sturm und Drang) ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წარმომადგენელია. მის კალამს ეკუთვნის ცნობილი დრამები: „აღმზრდელი", „ჯარისკაცები", „ახალი მენდოზა", აგრეთვე შტურმერების დრამატურგიული მანიფესტი: „შენიშვნები თეატრზე". ოცდაექვსი წლის არ იყო ლენცი, სულით ავადმყოფობის ნიშნები რომ გამოაჩნდა. ხანმოკლე მკურნალობის შემდეგ რუსეთს გაემგზავრა, სადაც თერთმეტი წლის შემდეგ მოსკოვში გარდაიცვალა სრულიად ეული და გატანჯული.

ცნობილია, რომ სტრასბურგში სწავლისას ბიუჰნერმა გაიცნო ლენცის მეგობარი, იმ დროისათვის უკვე ჭარმაგი, ერთობ ერუდირებული მოძღვარი ობერლინი. მოძღვარი ბიუჰნერს ხშირად ესაუბრებოდა ლენცზე, შესაძლებელია სწორედ ამან განაპირობა ბიუჰნერის ამ მეტად საინტერესო და ტრაგიკული ცხოვრების მქონე მწერლის ბედით დაინტერესება. ნოველა პირველ რიგში აშუქებს ლენცის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს და მძიმე ხენით შეპყრობილი მწერლის სულიერ სამყაროსა და განცდებს. მართალია, ამ ნაწარმოების შექმნის შემდეგ თითქმის საუკუნენახევარი გავიდა, მაგრამ იგი როგორც თემატურად, ასევე სტილისტურად ცხოველ ინტერესს იწვევს დღევანდელ ლიტერატურათმცოდნეებსა და მწერლებში, ამიტომაა, რომ მას თანამედროვე გერმანელი მწერლები არაერთგზის მიმართავენ და მასზე უშუალო დაყრდნობით ან მისი გადაშუშავებით ქმნიან ახალ ნაწარმოებებს (პ. შნაიდერი — „ლენცი", ჰ. კიფჰარდტი— „მერცი", მ. ვალზერი — „გალისტლისებური ხენი").

ბიუჰნერი უაღრესად პოპულარულია მთელს ევროპაში, განსაკუთრებით კი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. სამწუხაროდ, ქართველი მკითხველი არ იცნობს მის თხზულებებს. ჩვენი თარგმანი მიზნად ისახავს ამ ხარვეზის ნაწილობრივ ამოვსებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ოცი იანვარი იყო. ლენცი მთას მიუყვებოდა. გადასავლელი ჰქონდა თოვლიანი მწვერვალები და ქედები, რუხლორღიანი ხეობები, მწვანე მდელოები, კლდეები და ნაძვნარი.

სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა; ჭიუხებიდან მოჩქრიალე ჩანჩქერი ბილიკს ჰკვეთდა. ნესტიან ჰაერში მძიმედ იზნიქებოდნენ ნაძვის ტოტები. ცახე რუხი ღრუბლები მწკრივად მიცურავდნენ, ნისლი კი ზანტად, ტლანქად დგებოდა და ნესტით დამძიმებული ეფინებოდა ბუჩქნარს.

ლენცი გულგრილად მიუყვებოდა გზას, ხან ალმა, ხანაც დალმა, არაფერი აბრკოლებდა, არც დაღლას გრძნობდა, მხოლოდ დროდადრო თუ ინატრებდა, ნეტავი თავდაყირა სიარული შემეძლოსო.

როცა ფეხქვეშ ქვა ასხლტებოდა, დაბლა ჭალარა ტყე შეირხეოდა და ნისლი ვეება მთებს ხან შთანთქავდა, ხანაც სანახევროდ გააშიშვლებდა, მაშინ აფორიაქდებოდა ლენცი, ისე ეძებდა რაღაცას, როგორც გარდასულ სიზმრებს, თუმცა ვერას პოულობდა. ისე გალუმპული და უსუსური ესახებოდა ყოველივე, რომ სურდა გათოშილი დედამიწა ღუმელთან მიეტანა და გაეთბო. უკვირდა, რა დიდხანს უნდებოდა ერთი ფერდობის ჩალევა და შორეულ მიზნამდე მიღწევა. ასე ეგონა, ქვეყანას ორი ნაბიჯით შემოვივლიო, მაგრამ, როცა ქარიშხალი ღრუბლებს ხეობებისკენ მოისვრიდა და ტყეს ოხშივარი აუვიდოდა, როცა კლდეები აგუგუნდებოდნენ, ჯერ ყრუდ დაიქუხებდნენ, მერე კი ისე მჭექარედ, თითქოს ველური ზარ-ზეიმით დედამიწისთვის ხოტბის შესხმა სწადიათო, როცა ღრუბლები აწყვეტილი ცხენებივით მიჭიხვინებდნენ, მათ შორის კი მზის შუქი იღვრებოდა და თავის მოელვარე მახვილს თოვლიან მაღლობზე მიასრიალებდა, ისე რომ ნათელი, თვალისმომჭრელი შუქი მწვერვალებს გადალმა ხეობაში იჭრებოდა, როცა ქარიშხალი ღრუბლებს დაბლა მიელალებოდა და მათ შორის ცისფერ ტბას გამოჭრიდა, როცა ქარი დადუმდებოდა, მერე კი ღრმა უფსკრულებიდან და ნაძვების კენწეროებიდან იავნანის მსგავსად ან ზარების რეკვასავით ამოიზუზუნებდა, როცა შუქი სილურჯე ნაზი წითელით შეფერადდებოდა და მასზე ვერცხლის ფრთაშესხმული პატარა ღრუბლები გალივლივდებოდნენ, როცა ყველა მწვერვალი, წამახული და ძლიერი, მიწიდან შორს ალმართული აკიაფდებოდა და აელვარდებოდა, მაშინ ჩასწყდებოდა ლენცს რაღაც გულში, აქოშინებული შედგებოდა, წინ გადაიხრებოდა, თვალებს და პირს ისე ფართოდ გააღებდა, თითქოს ქარიშხლის შესრუტვას, ყველაფრის საკუთარ თავში მოქცევას ლამობსო. მიწას გაეკვროდა, გაიშოტებოდა, სამყაროს შეერწყმოდა და ეს სიამოვნება ტკივილს უფრო ულვივებდა; ანდა იყო მდუმარედ, ხავსში თავჩარგული, თვალებმილულული; მაშინ ლენცი სადღაც შორეთში დაჰქროდა, მის ფეხქვეშ დედამიწა იკუმშებოდა, მოძრავი ვარსკვლავივით პატარავდებოდა და იქვე მო-

ჩუხჩუხე ანკარა დინებაში იკარგებოდა. ეს მხოლოდ წამიერი ზმანება იყო; შემდეგ წამოდგებოდა სალი, ძლიერი, მშვიდი, თითქოსდა მის თვალწინ აჩრდილებმა გაიელვესო —აღარაფერი ახსოვდა.

მიმწუხრისას ქედი გადაიარა და თოვლიან ზეგანს მიაღწია; აქედან დასავლეთ დაბლობისკენ ბილიკი ეშვებოდა. დაჯდა. საღამოს პირის სიწყნარე სუფევდა; ღრუბლები უძრავად მიჰკვროდნენ ცას; თვალი მხოლოდ მწვერვალებსა და დაქანებულ განიერ ფერდობებს სწვდებოდა, ისინიც საოცრად გარინდებული, რუხი და დაბინდული ჩანდნენ. ლენცმა თავი მეტად ეულად იგრძნო; მარტო იყო, სრულიად მარტო. საკუთარ თავთან სურდა ლაპარაკი, არ კი შეეძლო, სუნთქვასაც კი ძლივს ბედავდა, საკუთარი ნაბიჯის ხმა ჭექა-ქუხილად ეჩვენებოდა, იძულებული გახდა დამჯდარიყო. ამ უკაცრიელობაში ენით აუწერელმა შიშმა აიტანა, სიცარიელემ შთანთქა. სასწრაფოდ წამოხტა და ფერდობი ჩაირბინა.

შებინდებულიყო, ცა და დედამიწა ერთმანეთს შერწყმოდნენ. მოეჩვენა, თითქოს რაღაც კვალდაკვალ მისდევდა, რაღაც საშინელი და შემაზრზენი ძალა ეწეოდა, ძალა, რომელსაც ადამიანები ვერ უმკლავდებიან; თითქოს მისკენ თავად სიგიჟე მიაჭენებდა ბედაურს.

როგორც იქნა ხმები გაიგონა, აქა-იქ შუქიც დაანდა და ცოტა გულზე მოეშვა. აქ შეიტყო, რომ ვალდბახამდე მხოლოდ ნახევარი საათის სავალილა დარჩენოდა.

სოფელს გაუყვა. ფანჯრებიდან შუქი გამოკრთოდა, შორიახლოს ჩავლისას ლენცი შიგ იჭვრიტებოდა: მაგიდას ბავშვები, მოხუცი ქალები და გოგონები უსხდნენ, მშვიდი სახეები ჰქონდათ. ასე ეგონა, შუქს ისინი ასხივებენო. თავი უკეთ იგრძნო, და სულ მალე ვალდბახის მოძღვრის სახლსაც მიაღწია.

შევიდა, მაგიდის გარშემო ხალხი იჯდა. ტანსაცმელშემოგლეჯილ ლენცს გაფითრებულ პირსახეზე ქერა კულულები ჩამოყროდა, თვალი უცემდა, ბაგის კუთხეები უთრთოდა. ობერლინს ხელოსანი ეგონა და შინ შეიპატიჟა:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ვერ კი გიცანით.

— კაუფმანის[1] მეგობარი გახლავართ, მოკითხვა დამაბარა თქვენთან.

— რა გვარი ბრძანდებით?

— ლენცი.

— ოჰო, ეს გვარი ხომ დაბეჭდილი მინახავს. ამ გვარის კაცის რამდენიმე პიესა მაქვს წაკითხული.

— შესაძლებელია, ოღონდ იმ პიესებით ნუ შემაფასებთ.

საუბარს შეუყვნენ, ლენცი სიტყვებს ეძებდა, მერე კი სხაპასხუპით, მაგრამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა; თანდათან დაწყნარდა — სიბნელიდან იდუმალი ოთახი და დედა-შვილის მშვიდი სახეები გამოიკვეთნენ; ბავშვს პირისახეზე თითქოს ნათელი დასდგომიაო, ცნობისმოყვარედ და სანდომიანად შეჰყურებდა ბნელ სილრმეში ანგელოზივით გაყუჩებულ დედას. ლენცმა მშობლიური მხარე გაიხსენა; თავისი ეროვნული ტანსაცმლის ხატვას მოჰყვა,

---

[1] კრისტოფ კაუფმანი —ექიმი, ძლიერ ბაძავდა იმ დროინდელ ელიტარულ საზოგადოებაში მიღებულსა და დაფასებულ თვალთმაქცს, კალისტროს. გოეთეს მასზე რამდენიმე ეპიგრამა აქვს დაწერილი.

ოჯახის წევრები ცნობისმოყვარეობით შემოეხვივნენ გარს; ერთბაშად თავი შინაურად იგრძნო. ფერმკრთალი ბავშვური სახე გაბადრულა, რაღაცას გატაცებით ყვებოდა. დამშვიდდა, ასე ეგონა, კვლავ ძველი ნაცნობები, მივიწყებული სახეები ამოტივტივდნენ ბნელიდან და ადრინდელმა სიმღერებმა გაიღვიძესო. ის შორს იყო, ძალიან შორს.

ბოლოს მისი წასვლის დროც დადგა. ქუჩის მეორე მხარეს გადაიყვანეს. მოძღვარს პატარა ბინა ჰქონდა, ამიტომ ოთახი სკოლის ეზოში მიუჩინეს. მაღლა ავიდა, იქ სიცივე და დიდი, ცარიელი ოთახი დახვდა. სიღრმეში მაღალი საწოლი იდგა. სანათური მაგიდაზე დადგა და ბოლთის ცემას მოჰყვა. თვალწინ გასული დღე წარმოუდგა, გაახსენდა როგორ მოეშურებოდა აქეთკენ. სინათლითა და სანდომიანი სახეებით გაცისკროვნებული მოძღვრის ოთახი ზმანებად, სიზმრად ეჩვენა და უმალ ისეთივე სიცარიელე დაეუფლა, მწვერვალზე დგომისას რომ სტანჯავდა. აუწერელმა შიშმა აიტანა. წამოხტა, ოთახიდან გავარდა, კიბე ჩაირბინა და პარმალზე შეჩერდა. ირგვლივ წყვდიადი გამეფებულიყო, სულიერიც კი არსად ჭაჭანებდა. ვერ გამორკვეულიყო, გონება დაბნელებოდა, თვითონ ქცეულიყო საკუთარი თავის ლანდად. ხარბად ჩაებღაუჭა გონებაში ამოტივტივებულ დაჭუცმაცებულ აზრებს, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს „მამაო ჩვენო“ უნად ემეორებინა, წრიალებდა, ყრუ ინსტინქტი კი გადარჩენისაკენ უბიძგებდა, ქვებზე ბორძიკობდა, ფრჩხილებით კანს იხოკავდა, ტკივილმა თანდათან დაუბრუნა ცნობიერება, ღელეში მოადინა ზღართანი და თხელი წყალი აადგაფუნა.

ხმაურზე ხალხი შეიყარა, ლენცს უხმობდნენ. ობერლინმაც მოირბინა, ლენცი ერთბაშად გამოერკვა, ნათლად წარმოიდგინა, სად იმყოფებოდა და შვებით ამოისუნთქა. შემდეგ კი დაირცხვინა და აიწურა, ეს კეთილი ხალხი როგორ დავაფეთეო, ცივ წყალში ბანაობა მჩვევიაო, ჩაიბუტბუტა და ოთახში ავიდა. არაქათგამოცლილს მაშინვე ჩაეძინა.

მომდევნო დღემ უშფოთველად ჩაიარა. ობერლინთან ერთად ცხენზე ამხედრებული ხეობას შეუყვა, თვალწინ გადაეშალათ ფართო, დაქანებული ფერდობები, ვიწრო, დაკლაკნილ ხეობაში რომ იკარგებოდნენ, ხეობაში, რომელიც ყველა მიმართულებით მიცოცავდა მწვერვალებისაკენ. ბუმბერაზი ძირგანიერი კლდეები და შეჩხერი ტყე რუხ, მკაცრ საბურველში გახვეულიყვნენ; დასავლეთით დაბლობსა და მთათა ჯაჭვზე ხედი იშლებოდა, სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით უდრტვინველად და შეუდრეკლად, დარბაისლური სიდინჯით მთის მწვერვალები აღმართულიყვნენ. ეს სურათი შეღამების სიზმარს ჰგავდა. სინათლის ფართო ჭავლები დროდადრო ოქროს ნაკადივით ამოიფრქვეოდნენ ხეობებიდან, შემდეგ კვლავ ღრუბელი გამოჩნდებოდა, ყველაზე მაღალ მწვერვალზე გართხმული, ტყეს გადასერავდა, ხეობისკენ გალივლივდებოდა და მფრინავი ვერცხლის მოჩვენებასავით მზის ელვარებაში აფარფატდებოდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა, არც ჩქამი, არც მოძრაობა, არც ჩიტის ფრთხიალი, მხოლოდ ქარი თუ დაბერავდა ხან იქვე ახლოს, ხან სადღაც შორს. აქა-იქ ქოხებსაც დაინახავდა კაცი, ჩალით დახურულ ფიცრულებს თალხი უნდილი ფერი ედოთ. მდუმარე და ნაღვლიანი მობინადრენი მხედრებს უსიტყვოდ ესალმებოდნენ, თითქოს ხეობის სიმყუდროვის დარღვევას ერიდებიანო.

ქოხებს გამოცოცხლება დაეტყო, ხალხი ერთთავად ობერლინს ეხვეოდა, მოძღვარი მათ სიკეთისკენ მოუწოდებდა, რჩევა-დარიგებას აძლევდა,

ამშვიდებდა, სტუმრები რწმენითა და ნდობით აღსავსე მზერათა გარემოცვაში იმყოფებოდნენ. ეს ადამიანები ობერლინს ჯერ თავიანთ სიზმრებსა და წინათგრძნობებს ეუზიარებდნენ, შემდეგ კვლავ ცხოვრებისეულ საკითხებს უბრუნებდნენ: გზები გაგვყავს, არხებს ვჭრით, ბავშვები სკოლაში დაგვყავს— ამბობდნენ.

ობერლინი ერთობ ენერგიული კაცი აღმოჩნდა, ლენციც მისი მუდმივი თანამგზავრი გახდა, საქმეზეც და ბუნების წიაღშიც .მუდამ თან ახლდა; ეს ყველაფერი მასზე კარგად და დამამშვიდებლად მოქმედებდა. ხშირად აშტერდებოდა ობერლინს თვალებში, რათა უფრო მეტად ეგრძნო ის უსაზღვრო სიმშვიდე, მიძინებული ბუნება ადამიანის სულს რომ მოჰფენს ხოლმე ზაფხულის მიწურულს, მთვარით განათებულ ღამეებში, უღრან ტყეში ყოფნისას; ეგრძნო სიმშვიდე, მისი წყნარი თვალებიდან და დარბაისლური, დინჯი სახიდან რომ გამოსჭვიოდა. ლენცი მოკრძალებით იყო, თუმცა კი კამათობდა და საკუთარი დასკვნებიც გამოჰქონდა. მასთან საუბარი ობერლინს დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა, მისი სათნო გამომეტყველება კი სიხალისეს ჰმატებდა.

ლენცი მხოლოდ მანამდე იყო ყოჩაღად, სანამ ხეობას მზე დაჰნათოდა. შებინდებასთან ერთად უცნაური შიშის გრძნობა ეუფლებოდა და ისე იწყებდა ცმუკვას, თითქოს სურდა, მზეს თან გაჰყოლოდა. წყვდიადი რომ ჩამოწვებოდა, გარემო გრძნეულ და შემაზრზენ სახეს იღებდა და ლენცი კრთებოდა როგორც უკუნეთ ღამეში მძინარე ბავშვი, ეჩვენებოდა, ვბრმავდებით. დიდდებოდა, იზრდებოდა სიგიჟის კოშმარი და მის ფერხთით იკალათებდა. ლენცი სასოწარკვეთილებას მიეცა, ალბათ ყველაფერი მესიზმრებაო. თითოეულ საგანს ებღაუჭებოდა, თვალწინ აცეკვებული უცხო სხეულებისკენ მიიწევდა, მერე ხვდებოდა, ჩვეულებრივი ჩრდილები მოძრაობენო, ერთბაშად ძალა გამოეცლებოდა და ხელ-ფეხი გაუშეშდებოდა, ლაპარაკობდა, მღეროდა, შექსპირს კითხულობდა, იმას ეპოტინებოდა, რაც ოდესღაც სისხლს უჩქროლებდა, რას არ ცდილობდა, მაგრამ ამაოდ — სციოდა, იყინებოდა. ხანდახან გარეთ გავარდებოდა. წყვდიადს რომ შეაჩვევდა თვალს, ღამეში გაფანტულ მკრთალ ნათელსაც დაინახავდა და ეამებოდა. მერე ღელეს მიაშურებდა, წყლის მაცოცხლებელი ძალა გამოაფხიზლებდა, თან ავად გახდომის იმედიც მიეცემოდა — ამიტომ ცდილობდა უხმაუროდ ებანავა.

აქტიურ ცხოვრებას მიჰყო ხელი. რამაც სულიერი სიმშვიდე აპოვნინა. ობერლინს ეხმარებოდა, ხატავდა, ბიბლიას კითხულობდა, ძველმა, მივიწყებულმა იმედმაც თავი იჩინა; ახალი აღთქმა სხვაგვარად წარმოესახა... ობერლინმა უამბო, ერთხელ ხიდზე უხილავმა ხელმა შემაჩერა, სივრცეში უცბო ელვარებამ თვალი მომჭრა და წყვდიადში ჩემს ყურამდე უცნობმა ხმამ მოაღწიაო; ასე გამოსცხადებია ღმერთი. ობერლინსაც, იმის გასაგებად, მომავალში როგორ ვიმოქმედო, უფლის ჯიბიდან გულუბრყვილოდ ოურმე თვისი ხვედრი ამოელო, ასე ჩაწვდა იგი წმინდა წიგნის არსს, რომელიც რწმენას, ზეცის მარადიულობასა და ღვთაების ყოვლისმომცველობას ღაღადებს. თითქოს ზეციური მისტერიით მოცული ბუნება მიუახლოვდა ადამიანს, ბუნება, რომელსაც არა მკაცრი დიდებულება, არამედ რაღაც თბილი და ნაცნობი ამკობდა.

ერთ დილას ლენცი შინიდან გამოვიდა. მოეთოვა, ველზე მზის კაშკაშა შუქი გართხმულიყო, შორს კი მთელი მიდამო ნისლს შთაენთქა. გზიდან მალე

გადაუხვია, ნაძვნარი გაიარა და რბილ მაღლობს აუყვა; ადამიანის ნაფეხური აქეთ აღარსად სჩანდა, მზე მარგალიტებს აფრქვევდა; ფაფუკ თოვლზე აქა-იქ მთისკენ მიმავალი ნადირის კვალი თუ შეიმჩნეოდა. არგელივ ყველაფერი გარინდულიყო, მხოლოდ სიოს ნელ ქროლვას ან ჩიტის გაფაჩუნებას თუ გაიგებდა კაცი. ყველაფერი განაბულიყო, შორს, ჰაერში ხეებრ თეთრ წიწვებს არხევდნენ. ლენცს იდუმალება იპყრობდა. ის ერთფეროვანი, ვეება ლაქები და ხაზები, დროდადრო გუგუნით რომ მოიწევდნენ მისკენ, ახლა მსუბუქი ნისლივით გაფანტულიყვნენ. შობის სადღესასწაულო განწყობილება ეუფლებოდა. ხანდახან ისიც ეჩვენებოდა, ერთერთ ხეს მაღალი ქალი, დედაჩემი ამოფარებია, საცაა ჩემკენ წამოვა და მეტყვის, ეს ყოველივე შენთვის მიჩუქნიაო. მთიდან რომ ეშვებოდა, შეამჩნია, მისი ჩრდილის გარშემო სხივებს ცისარტყელა შემოერკალათ. მოელანდა, თითქოს შუბლზე ვიღაცამ ხელი შეახო და გამოელაპარაკა კიდეც.

შინ დაბრუნებულს ობერლინი ოთახში დახვდა, ლენცი ხალისიანად მიეახლა და განუცხადა, ძალიან მინდა, წირვა ჩავატაროო.

— თეოლოგი ბრძანდებით?

— დიახ.

— მაშ, მომავალ კვირას სწირეთ.

გახარებულმა ლენცმა თავის ოთახს მიაშურა. ქადაგების წერას შეუდგა და ფიქრებში ჩაეფლო; რამდენიმე ღამემ უშფოთველად ჩაიარა. კვირა დილაც დადგა, ზამთრის თბილი დილა. მწკრივში ჩაწყობილ ლრუბლებს შორის სილურჯე აჭყიტებდა. საყდარი იქვე ახლოს, გორაკზე, შუაგულ სასაფლაოზე იდგა. ზარების რეკვა ატყდა, ლენცი სამრეკლოზე იდგა და იქიდან უყურებდა ბილიკებზე შეფენილ მრევლს. ყოველი მხრიდან მოედინებოდნენ შაოსანი ქალები და გოგონები, ლოცვანზე თეთრი მაქმანიანი ცხვირსახოცები და როზმარინის ტოტები ეწყოთ. ხეობას დროგამოშვებით მზის შუქი ელამუნებოდა, ნელა იძვროდა თბილი ჰაერი, გარემოს საამო სურნელი მოჰფენოდა, ზარების ხმას მოეცვა არემარე — ეს ყოველივე ერთ ჰარმონიულ ტალღად ქცეულიყო.

საყდრის ჰატარა ეზოში თოვლი დამდნარიყო, შავ ჯვრებქვეშ მუქი ხავსი მოჩანდა, გალავანს გვიანი ვარდის ბუჩქი აჰკვროდა, ხავსიდან ზამთრის ყვავილებს ამოეყოთ თავი; მზე დროდადრო გამოაჭყიტებდა, მერე ისევ ჩამობნელდებოდა. დაიწყო წირვა; ხალხის გალობა ერთიან, სუფთა, ნათელ ბგერად იქცა, ეს ბგერა კამკამა, გამჭვირვალე მთის წყაროს მოგაგონებდათ. გალობა მიწყდა და ლენცმა ქადაგება დაიწყო. გაუბედავად იყო. გალობის დროს გაქარწყლებულ შინაგან დაძაბულობას კვლავ ეჩინა თავი, ტკივილი გულ', უწიწკნიდა, მერე უსაზღვრო სიამის ტკბილი გრძნობა შეეპარა. ხალხს გასაგებად მიმართავდა; ეს ადამიანები ხომ მასავით იტანჯებოდნენ, ჰოდა, რამხელა შვებას იგრძნობდა, თუკი ზოგიერთ გამოლამებულ თვალს რულს მოჰგვრიდა, ნაწამებ გულს კი სიმშვიდეს აზიარებდა, თუკი შესძლებდა მათი ყოველდღიური სიდუხჭირით გატანჯული ყოფის და გულისგამაწვრილებელი ტკივილების ზეცის საშუალებით დაძლევას. ქადაგების დასასრულს აღმაფრენა შეემატა. და კვლავ გაისმა გალობა:

რად დამეტოვე გულში ტკივილი,
და მერე ტკივილს შემუსრვლილი საკლეტურები რატომ წაება.

რას ვესწრაფოდი, რა შემრჩა ბოლოს,
მზოლოდ ვაება*.

ლენცი შინაგანმა ღელვამ, მუსიკამ და ტკივილმა აღაგზნო. მისი წარმოდგენით, სამყარო ნაიარევი იყო. ეს აზრი ღრმა, აღუწერელ ტკივილს ჰგვრიდა. მერე სხვა სურათი აეკვიატა; ღვთაებრივი, მთრთოლვარე შაგენები იხრებოდნენ მისკენ და ტუჩებზე ეკონებოდნენ, თავის განმარტოებულ ოთახს მიაშურა. მარტო იყო, სრულიად მარტო! აი, წყარო აჩუხჩუხდა, ნაკადულებმა იდინეს თვალებიდან, მოიკუნტა, ხელ-ფეხი აუკანკალდა, ასე ეგონა, საცაა დავიშლებიო, აღარც საამო ტკივილს უჩანდა ბოლო. მერე გონება დაებინდა: უტყვი და ღრმა სიბრალულით განიმსჭვალა საკუთარი თავის მიმართ, თავის თავს გლოვობდა. მერე თავი მკერდზე ჩამოუვარდა და ჩაეძინა. ცაზე სავსე მთვარე ანათებდა. ლენცს საფეთქლებსა და პირისახეზე კულულები ჩამოყროდა, ცრემლს წამწამები დაენამა და ღაწვებზე შეშროობდა — აი ასე იწვა, მარტოდ-მარტო, გარემო კი იყო საოცრად მშვიდი, უძრავი და ციები და მთელი ღამე მთვარე დაჰნათოდა მთებს.

გათენდა თუ არა, ლენცი დაბლა ჩავიდა და ისე, სხვათა შორის უამბო ობერლინს, დედა გამომეცხადა ძილშიო: ეკლესიის ბნელი გალავნიდან გამოვიდა, თეთრი კაბა ემოსა, მკერდზე ერთი თეთრი და ერთიც წითელი ვარდი ეჭნია, შემდეგ გალავნის ერთ კუთხეში გაუჩინარდა, მის ადგილას კი ვარდები ამოვიდნენო. ნამდვილად მოკვდაო, დასძინა ბოლოს ლენცმა უშფოთველად. თავის მხრივ, ობერლინმაც უამბო, ერთხელ მინდორში უხილავმა ხმამ ჩამაგონა, მამაშენი აღარ არისო, შინ დაბრუნებულს მართლა გარდაცვლილი დამხვდაო. ასე შეჰყვნენ საუბარს. ობერლინმა სიტყვა მთიელებზე ჩამოაგდო, ის გოგონები გაიხსენა, დედამიწაში წყალსა და ლითონს რომ შეიგრძნობდნენ; იმ კაცებზე მოუთხრო, მწვერვალზე ყოფნისას მოჩვენება რომ შეფეთებიათ და ჭიდილი გაუმართავთ მასთან. ისიც უამბო, ერთხელ მთაში სუფთა, ანკარა წყაროში ცქერისას ერთგვარმა სომნამბულიზმმა შემიპყროო. ლენცმა განუმარტა, წყლის სული დაგეპატრონათ და იმ წუთს სტიქიის მუდმივ მდგომარეობას თუ შეიგრძნობდითო. შემდეგ განაგრძო: მარტივი და შეურყვნელი ბუნების ადამიანები სტიქიასთან მეტად ახლო კავშირში არიან, რამდენადაც დახვეწილია ადამიანის აზროვნება და გრძნობები, იმდენად დაჩლუნგებულია პირველადი მოვლენების განცდაო; ადამიანის ამ მდგომარეობას ლენცი განვითარების მაღალ საფეხურად არ მიიჩნევდა, რადგან მას დამოუკიდებლობას მოკლებულად სთვლიდა. ამავე დროს ამტკიცებდა, რომ სიცოცხლის ყოველ არსებულ ფორმასთან შეხება ადამიანის სულში უსაზღვრო სიამოვნებას უნდა იწვევდეს, ადამიანის სული უნდა იტევდეს ყველაფერს — ქვა იქნება ის, ლითონი, წყალი თუ მცენარე, რათა შესძლოს ბუნების ყველა მოვლენის ისე მოხდენილად აღქმა, როგორც ყვავილები ისუნთქავენ ჰაერს მთვარის ცხრომა-ავსებასთან ერთად.

მერე ლენცმა თავისთვის განაგრძო: „ირგვლივ ყოველივე ზომ ენით გამოუთქმელი ჰარმონიის და ნეტარების შემცველია. განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი არსებანი ამ თვისებებს სხვადასხვა საშუალებებით გამოამჟღავნებენ, აფეღერებენ და შეისისხლხორცებენ, ეს პროცესები კი, ორგა-

* ლექსები თარგმნა როსტომ ჩხეიძემ.

ნიზმის გალიზიანებას იწვევენ, დაბალ განვითარების არსებებში ყველაფერი დათრგუნული და შევიწროებულია, სამაგიეროდ მათში სიმშვიდე ჭარბობს..." ასე მსჯელობდა ლენცი, სანამ ობერლინმა სიტყვა არ გააწყვეტინა — თქვენს ჩვეულ სადა, სასაუბრო ენას რად ლალატობთო. ერთხელაც ობერლინმა ლენცს ფერადი დაფები უჩვენა, თან აუხსნა, თუ როგორ მიმართებაშია თითოეული ფერი ადამიანთან, თორმეტი მოციქულის მაგალითიც მოუყვანა და უთხრა, თითოეულ მათგანს სიმბოლურად ერთი გარკვეული ფერი შეესაბამებაო. ეს თემა ლენცმა ხელად აიტაცა, უფრო განავრცო, თავი მშფოთვარე ოცნებებს მისცა, შტილინგივით[1] აპოკალიფსის კითხვას მოჰყვა და ბიბლიაც სულერთავად ხელთ ჰქონდა.

ამასობაში შტაინთალში კაუფმანი ჩამოვიდა მეუღლითურთ. თავდაპირველად ლენცს მისი ჩამოსვლა არ ეპიტნავა; ეს მყუდრო კუთხე და აქ ნაპოვნი მცირედი სიმშვიდე მეტად ძვირად უღირდა, ამ ჩამოსულ კაცთან ურთიერთობა კი არ ასცდებოდა —ეს კაცი ხომ მის ცხოვრებაში კარგად იყო ჩახედული და ვინ იცის — კიდევ რამდენ მოგონებასთან დაკავშირებული! ლენცის ამ განცდებს ობერლინი რა თქმა უნდა, ვერ ხვდებოდა. მოძღვარს ლენცი ღვთის მიერ მოგზავნილად მიაჩნდა, ამიტომაც შეეკედლებინა, გულში ჩაეკრა და მთელი არსებით შეეყვარებინა ბედკრული. სხვები კი ლენცის იქ ყოფნას ჩვეულებრივ მოვლენად თვლიდნენ და ისე შესისხლხორცებოდნენ ამ კაცს, თითქოს მუდამ მათ გვერდით იყო, ამიტომ არც არავინ კითხულობდა, საიდან მოსულიყო ან მერე საით წავიდოდა.

ლენცი სუფრასთან ისევ გამოცოცხლდა: საუბარი ლიტერატურაზე ჩამოვარდა და მანაც საკუთარ სტიქიაში იგრძნო თავი. იმ დროს იდეალისტურ მსოფლმხედველობას ეყრებოდა საფუძველი, კაუფმანი იდეალიზმის ერთგული მიმდევარი აღმოჩნდა, ამიტომ ლენცი მას ცხარედ ეკამათებოდა და ამტკიცებდა, რომ მწერლებს, რომელთაც სინამდვილის გადმოცემა სწადიათ, წარმოდგენა არა აქვთ სინამდვილეზე, თუმცა ასეთ მწერლებს უფრო გაუგებს კაცი, ვიდრე იმათ, ვისაც სინამდვილის ახსნა განუზრახავთო. შემდეგ ასე განაგრძო: „მამა ღმერთმა სამყარო შექმნა ისეთი, როგორიც უნდა იყოს, და ჩვენ უკეთესი სამყაროს შეთითხნის უფლება არა გვაქვს; ჩვენი ერთადერთი მიზანი უფლის მიბაძვაშია. მე ყველაფერში მხოლოდ სიცოცხლეს და ყოფიერების უშრეტ შესაძლებლობას ვეძებ. იმის ძიება კი, ჩვენი გარემომცველი საგნები ლამაზია თუ მახინჯი, სრულიად ზედმეტია, რწმენა იმისა, რომ ადამიანის ყველა ქმნილება ცოცხალია, ამ თვისებებზე მაღლა დგას და ხელოვნების ერთადერთ საზომს უნდა წარმოადგენდეს. ჭეშმარიტი ხელოვნება იშვიათია, მას შექსპირთან ან ხალხურ სიმღერებში თუ შევხვდებით, შიგადაშიგ გოეთესთანაც თუ აღმოვაჩენთ. სხვა ყველაფერი ცეცხლს უნდა მისცეს კაცმა. ადამიანებს ხომ იმის უნარიც არ გააჩნიათ, ძაღლის ჩვეულებრივი სადგომი დახატონ. იდეალური სახეების შექმნა განუზრახავთ, მათი ქმნილებანი კი ხის თოჯინებს უფრო ემსგავსებიან. ასეთი იდეალიზმი ადამიანის ბუნების უგულებელყოფაა. ერთხელ უნდა სცადო კაცმა ყველაზე მცირე

[1] იოჰან ჰაინრიხ იუნგ-შტილინგი (1740-1817) — მისტიკოსი, რომელსაც სწამდა, რომ მას ღმერთი განსაკუთრებით მფარველობდა. დიდი პოპულარობა მოიპოვა ნაპოლეონის დაცემის შემდეგ რესტავრაციის ეპოქაში. ავტორია მრავალრიცხოვანი მისტიკურ-სამოძღვრებო ხასიათის ნაწარმოებისა.

და უმნიშვნელო არსებების სულში ჩაწვდომა, შემდეგ კი მისი ნაწილ-ნაწილ მინიშნებებით, სახის ნაკვთების ფრთხილი, ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით გადმოცემა". ლენცმა ისიც აღნიშნა, დაახლოებით ამის მიღწევა ეცადე „ალმ-ზრდელსა" და „ჯარისკაცებშიო", მერე დასძინა: „ეს ადამიანები ხომ დედამიწის ზურგზე ყველაზე პროზაული არსებანი არიან, მაგრამ გრძნობები ყველა ადამიანს თითქმის ერთნაირი აქვს, მხოლოდ გარსი, რომელშიაც ამ გრძნობებმა უნდა გამოაღწიონ, არის მეტნაკლებად მკვრივი, ხელოვანს სხვა არა უნდა, მთავარია მოსმენა და დანახვა შეეძლოს. გუშინ ხეობაში მიმავალმა ორი გოგონა დავინახე: ერთი ნაწნავს იშლიდა, მეორე ეხმარებოდა, პირველს ოქროსფერი, ჩამოშლილი თმა, მდუმარე, ფერმკრთალი, ყმაწვილური პირისახე და შავი კაბა ამშვენებდა, მეორეს — ბეჯითი და ერთგული გამომეტყველება. მსგავს სურათს ძველგერმანული სკოლის ყველაზე უნაკლო, ყველაზე გულწრფელი ტილოებიც კი ვერ გადმოგვცემენ. ბევრჯერ მინატრია, ნეტა მედუზის თავად მაქცია და ასეთი სცენის გაქვავება და მისი სხვებისთვის ჩვენება შემაძლებინა-მეთქი. გოგონების წამოშლასთან ერთად ღვთაებრივი ანსამბლიც დაიშალა; თუმცა მათი კლდე-კლდე დაბლა დაშვება უკვე სხვა სურათს წარმოადგენდა.

ასე ხდება: უმშვენიერესი სურათები და უნეტარესი ჰანგები ჯერ წარმოიქმნებიან, მერე კვლავ იშლებიან. მხოლოდ ერთი რამ არის მარადიული — უსაზღვრო სილამაზე, ერთი ფორმიდან მეორეში რომ გადადის მუდამ სახეცვალებადი და გაფურჩქნული. განა ყოველთვის შეიძლება მისი ხელყოფა, მუზეუმში დადგმა ან ნოტებზე გადატანა, რათა შემდეგ ათასი ჯურის ხალხმა მოიყაროს თავი, რომ აღფრთოვანება გამოხატოს ან სისულელეები ჩმახოს! უპირველეს ყოვლისა კაცთმოყვარე უნდა იყო, რათა ჩაწვდე ყოველი ადამიანის სულიერ სამყაროს. იმისათვის, რომ ადამიანს გაუგო, მასში მხოლოდ სიჩლუნგესა და სიმახინჯეს არ უნდა ხედავდე. უტყვ სილამაზეზე უფრო მეტად შეიძლება სულ უბრალო სახემ გაგაოცოს. ყოველ არსებას უნდა მიეცეს თავისი ჩარჩოდან გამოსვლის საშუალება ისე, რომ მისი გარეგნობა დროებით დაგვავიწყდეს და მისი სუნთქვა, ძარღვები და გულისცემა თვალში არ გვეჩხირებოდეს".

კაუფმანმა აღნიშნა, ბელვედერელი აპოლონის ან რაფაელის მადონასთანა ტიპების სინამდვილეში პოვნა შეუძლებელიაო.

— მერე რა, — სიტყვა ჩამოართვა ლენცმა, — მთელი ჩემი გრძნობა-გონების მოკრება მჭირდება ხოლმე, რათა მათი ცქერისას ცოტა გულიც ამიტოკდეს. მე ხელოვნებას იმდენად უფრო ვაფასებ, რამდენადაც უფრო ახლოსაა იგი სინამდვილესთან, ამით იგი ჩემს არსებაში ბუნების უშუალო განცდას იწვევს; სხვა დანარჩენი მხოლოდ მთრგუნავს. ამიტომაც იტალიურ მხატვრობაზე მეტად ჰოლანდიური ფერწერა მიტაცებს, ის ხომ გასაგებადაც უფრო მარტივია. სწორედ ჰოლანდიური სკოლის ორმა სურათმა მოახდინა ჩემზე თითქმის ისეთივე შთაბეჭდილება, როგორც თავის დროზე ახალმა აღთქმამ: პირველი ტილო, არც კი მახსოვს ვის ფუნჯს ეკუთვნის, წარმოგვიდგენს ქრისტესა და მის მოწაფეებს ემმაოსში. კითხულობ, როგორ ნელ-ნელა გამოდიან მოწაფეები შინიდან და თან ნათლად ხედავ რამდენიმე წინადადებაში მოქცეულ დასრულებულ სცენას. სურათი ასეთია: პირქუში ბნელი საღამო, ჰორიზონტს ერთფეროვანი წითელი ზოლი გასდევს. ქუჩაში ბინდი ჩამოწო-

ლილა. მოწაფეები მათკენ მიმავალ უცნობს მიმართავენ; უცნობი მათ პურს სთავაზობს და ისინიც ამ უბრალო ადამიანური ქცევისა და ლეთაებრივ-გატანჯული სახის შემყურე უმალ ხვდებიან ამ კაცის ვინაობას. მოწაფეებს სიბნელეში უჩვეულო გრძნობა და შიში ეუფლებათ, თუმცა ეს შიში როდია, მოჩვენების გამოჩენა რომ იწვევს ხოლმე, ასეთი შიში — შენთვის ძვირფასი, მიცვალებული ადამიანის სახეუცვლელი აჩრდილის წყვდიადში მოლანდებას მოსდევს. აი ასეთ, სადა, თალხ ფერებში გადაწყვეტილ სალამოს გვთავაზობს ეს ტილო. მეორე სურათი კი ასეთია: ოთახში ზის ქალი, ხელში ლოცვანი უჭირავს. საკვირაოდ საგულდაგულოდ დალაგებულ და დაკრიალებულ ოთახში სითბოს დაუსადგურებია, ქალი საყდარში ვერ წასულა და შინ ლოცულობს. ზის, პირისახე ღია სარკმლისკენ მიუქცევია. სარკმლისკენ, რომლიდანაც თითქოსდა ვრცელ ველებს გადაღმა სოფლიდან ზარების რეკვის ხმა იჭრება; გალობას მიყურადებული ქალი ლოცვის ტექსტს აყოლებს თვალს.

დაახლოებით ასე მსჯელობდა ლენცი, დანარჩენები სულგანაბულნი უსმენდნენ. საუბრისას წამოჭარხლებულიყო, ხან გაილიმებდა, ხანაც ჩაფიქრდებოდა, თან ქერა კულულებს არხევდა. მთელი არსებით ფიქრებს მისცემოდა.

სადილის შემდეგ კაუფმანმა ლენცი გვერდზე გაიხმო. მამამისის წერილები აჩვენა, მამა ითხოვდა, შინ დაბრუნდი და გვერდში ამომიდექიო. კაუფმანი რჩევა-დარიგებას მოჰყვა, თან დასძინა, შენი აქ ყოფნა მხოლოდ დროის ფუჭად ფლანგვაა, ხომ იცი, უმიზნო ცხოვრება არას გარგებსო. ლენცი ერთბაშად გაწიწმატდა:

— გინდა გავეცალო აქაურობას? შინ დავბრუნდე? ხომ გავგიჟდი? ხომ იცი, რომ აქაურობის გარდა ველარსად გავძლებ. დროდადრო მთაზე რომ არ ავიდე და არემარეს არ გადმოვხედო, შინ დაბრუნებისას კი, ბალზე რომ არ გავიარო და ფანჯრებში არ შევიჭვრიტო — ნამდვილად შევიშლები, ახლა, როცა მოვმჯობინდი, შემარგეთ ეს იოტისოდენა სიმშვიდე! აქედან წავიდე? კი მაგრამ, რისი გულისთვის? ეს ორი სიტყვა ხომ ყველაფერს წყალში მიყრის. ადამიანს ყოველთვის აქვს რაღაც სურვილი, ჰოდა, დაღლილმა კაცმა დასვენების მეტი სხვა რა უნდა ვინატრო? მთელ ცხოვრებას უთავბოლოჭიდილსა და სიმაღლისკენ ლტოლვაში ვატარებთ, წამიერ სიამოვნებას კი ბრმად ვუვლით გვერდს, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ ამ შეცდომას მწარედ განვიცდით. თავს მაშინ ვიკლავთ წყურვილით, როდესაც ცხვირწინ ჩუხჩუხა ნაკადული ჩამოგვიდის! აქ თავს კარგად ვგრძნობ და ამიტომაც მსურს აქ ყოფნა. რატომ? რატომ? სწორედ იმიტომ, რომ თავს კარგად ვგრძნობ. მამაჩემს რაღა უნდა? უკეთესად მამყოფებს ვითომ? არა მგონია. ჰოდა, ყველამ თავი დამანებეთ! — ასე ცხარობდა. მართალია, კაუფმანი დროზე გაეცალა, მაგრამ ლენცს უკვე წახდომოდა გუნება.

მეორე დღეს კაუფმანმა წასვლის სურვილი გამოთქვა, ობერლინსაც შესთავაზა, შვეიცარიაში გამომყევიო. ამ უკანასკნელს ლაფატერთან[1] მხოლოდ მიწერ-მოწერა აკავშირებდა, ერთბაშად სძლია მისი პირადად გაცნობის სურვილმა და თანამგზავრობაზე თანხმობა განაცხადა. სამგზავრო სამზადისს ერთი დღე

[1] იოჰან კასპარ ლაფატერი (1741-1801) — შვეიცარიელი მწერალი, თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული და ცნობილი პიროვნება, მისი ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით ცნობილია „ფიზიოგნომიკა“.

დასჭირდა. მასპინძლის წასვლა ლენცს ძლიერ სწყვეტდა გულს. ყველაფერს ებღაუჭებოდა, რათა უსაზღვრო ტანჯვისთვის თავი დაეღწია; მხოლოდ დროდადრო გონს მოსვლისასლა ამჩნევდა, რომ თავის თავს ისე ელოლიავებოდა და დაჰფოფინებდა, როგორც სნეულ ბავშვს. ზოგიერთ აკვიატებულ-ჭირსა და მოძალებულ გრძნობას შეშფოთებული იცილებდა [illegible] წვრილმანის გამო მერე ისევ აფორიაქდებოდა, აკანკალდებოდა. თმა ყალყზე დაუდგებოდა, ამ მდგომარეობაში იყო, სანამ უკიდურესად დაძაბული ერთბაშად არ განიმუხტებოდა. მხოლოდ ერთადერთი ადამიანი ედგა მუდამ თვალწინ და მხოლოდ ის ჰგვრიდა სულიერ სიმშვიდეს; ეს ადამიანი ობერლინი იყო, მოძღვრის ხმა და სახე უზომო სიამოვნებას ანიჭებდა. სწორედ ამიტომ შეშფოთებული ადევნებდა თვალს მის გამგზავრებას.

ლენცს შინ მარტო დარჩენისა ეშინოდა, კარგი ამინდი იყო და მანაც გადაწყვიტა ობერლინი გაეცილებინა. ისინი ერთმანეთს მთის გადაღმა, გავაკებულზე დაშორდნენ. უკან მარტო გამობრუნდა. გზააბნეული მთაზე რამდენჯერმე ავიდ-ჩამოვიდა. ხეობაში ჩაკარგულ განიერ ფერდობებს მეჩხერი ტყე ძლივს ჰფარავდა; ჰაერში ქარის ძლიერი ქროლვა იგრძნობოდა, არსად იყო ადამიანის ჭაჭანება, მხოლოდ აქა-იქ თუ წააწყდებოდა კაცი ფერდობზე აკრულ მიტოვებულ ქოხს, მწყემსებს საზაფხულო სადგომად რომ გადაექცეიათ. ლენცი მეოცნებე კაცივით გატრუნულიყო: მის წინაშე ყველაფერი ერთ ზოლად ქცეულიყო და ტალღასავით ირწეოდა ცასა და დედამიწას შორის; მოეჩვენა, თითქოს უკიდეგანო ზღვის პირას გაწოლილი მის ჩუმ მიმოქცევას გასცქეროდა. დროდადრო ჩამოჯდებოდა, მერე კვლავ დინჯად და მეოცნებედ აგრძელებდა გზას, სულაც არ ადარდებდა, საით მიდიოდა.

პირქუში მწუხარი ჩამოწოლილიყო, შტაინთალს იქით პირველ ფერდობზე მდგარ ქოხს რომ მიადგა. კარი ჩარაზული დახვდა; იმ სარკმელთან მივიდა, საიდანაც სინათლე გამოკრთოდა. ლამფას ოთახის ერთი წერტილი გაენათებინა, შუქი კუთხეში მიყუჟული გოგონას ფერმკრთალ სახეს ეცემოდა, გოგონას თვალები მიელულა და ბაგეებს ოდნავ შესამჩნევად ამოძრაოებდა. ოთახის სილრმეში წამოსკუპული დედაბერი ხრინწიანი ხმით ლოცვას ლიღინებდა. ლენცს კარი მხოლოდ ხანგრძლივი კაკუნის შემდეგ გაუღეს; მოხუცი თურმე ნახევრად ყრუ იყო. დედაკაცმა ლენცს ცოტაოდენი საჭმელი მიართვა და ლოგინი მიუჩინა, თან ჯიუტად აგრძელებდა გალობას. გოგონა არც კი შერხეულა. ცოტა ხნის შემდეგ ქოხში მაღალი, ხმელ-ხმელი, ჭაღარაშერეული კაცი შემოვიდა; აღელვებული და არეული გამომეტყველება ჰქონდა. გოგონა მის გამოჩენაზე შეკრთა და აფორიაქდა. კაცმა კედლიდან გამხმარი ბალახი ჩამოხსნა და გოგონას ხელზე დააფინა, ისიც დამშვიდდა და ნელა, გარკვევითა და დამარცვლით რაღაცის ლაპარაკს მოჰყვა. კაცმა უამბო, მთაში ყოფნისას რაღაც საოცარი ხმა გავიგონე, იმავე წუთას ხეობის თავზე უცნაური ელვარება გამოჩნდა, ეს მოელვარე სხეული მე მეძგერა და მეც შევები იაკობივითო. ესა თქვა, პირქვე დაემხო და ჩუმ, მგზნებარე ლოცვას მოჰყვა; ავადმყოფი კი სუსტ, მიმქრალ ხმაზე ლიღინებდა. ცოტა ხნის მერე კაცი მოსასვენებლად დაწვა.

ლენცმა ჩათვლემა ვერ მოასწრო, რომ საათის წიკწიკმა გამოაფხიზლა. გოგონას ყრუ სიმღერასა და მოხუცის ბუტბუტს ქარის ზუზუნი უერთდებოდა. ქარი თითქოს ჯერ იქვე ახლოს, მერე კი საღლაც ცხრა მთას იქით დაპარპა-

შებდა: ხან კაშკაშა და ხანაც ლრუბლებში ჩამალული მთვარე თავის ცვალებად ნათელს ეშმაკურად აპარებდა ოთახში. ხმებმა იმატეს, გოგონა გარკვევით და დამაჯერებლად ამეტყველდა. ირწმუნებოდა, მოპირდაპირე პიტალო კლდეზე ეკლესიაა აღმართულიო. ლენცი წამოიწია, გოგონა ეკეთ რომ დაენახა: მაგიდის უკან წამომჯდარს თვალები გაფართოვებოდა, მის პირისახეზე მთვარის შუქი იღვრებოდა, ბავშვის სახე შეუდარებელ[illegible] ნათელს ასხივებდა. უცბად მოხუცმა ხვრინვა ამოუშვა და სინათლის ლიცლიცსა და ბგერათა თამაშში ლენცს როგორც იქნა ჩაეძინა.

ირიჟრაჟა თუ არა, გამოეღვიძა. ყველა და ყველაფერი თვლემდა ჯერ კიდევ ბინდით მოცულ ოთახში; გოგონაც დამშვიდებულიყო, ხელები მარცხენა ლოყის ქვეშ ამოედო და ისე ეძინა. იდუმალი გამომეტყველება გაჰქრობოდა პირისახიდან, ახლა მისი ნაკვთები მხოლოდ აუტანელ ტკივილს გამოხატავდნენ. ლენცი წამოდგა და სარკმელი გამოაღო, სახეში დილის სუსხი შეეფეთა. სახლი აღმოსავლეთისკენ გადახრილი ვიწრო და ღრმა ხეობის პირას იდგა, თეთრ და მკვრივ ნისლში გახვეულ ხეობაში რუხი გარიჟრაჟიდან წითელი სხივები იღვრებოდნენ, ნაცარა ქვებზე სხლტებოდნენ და ქოხების სარკმლებს ასკდებოდნენ. კაცსაც გაეღვიძა. მისი მზერა განათებულ ხატს წაეწყდა კედელზე. დიდხანს და დაჟინებით უცქირა, მერე ტუჩები ააცმაცუნა. ჯერ ჩუმად ლოცულობდა, მერე ნელ-ნელა უმატა ხმას. მალე ქოხი ხალხით გაივსო, ყველანი უსიტყვოდ იჩოქებდნენ. გოგონა იწვა და იკრუნჩხებოდა, მოხუცი ძველებურად ღიღინებდა, თუმცა მეზობლებთან ლაყბობასაც ახერხებდა.

ლენცმა ახალმოსულებისაგან შეიტყო, ეს კაცი აქაურობას დიდი ხნის წინ მოვლენოდა, არავინ იცოდა საიდან მოსულიყო, თურმე დედამიწაში წყლის დანახვა და სულების შელოცვა შეეძლო, აქაურები მას წმინდანად მიიჩნევდნენ და მასთან სალოცავად დადიოდნენ. ლენცმა ისიც შეიტყო, შტაინთალს კარგა მანძილზე რომ დაშორებოდა და როდესაც უთხრეს, შეშის მჭრელებსაც შენი გზა აქვთ გასავლელიო, გადაწყვიტა მათ გაჰყოლოდა. უხაროდა, მარტო რომ არ იყო, იმ გრძნეული კაცის შემყურეს თავგზა აბნეოდა. მისი უსიამოვნო ხმა მოსვენებას არ აძლევდა, მარტო დარჩენილს კი საკუთარი თავიც შიშს ჰგვრიდა.

ლენცი შინ დაბრუნდა. განვლილ ღამეს მეტად ძლიერ ემოქმედა მასზე. ქვეყნიერებამ მის წინ იმ უძირო უფსკრულივით დააღო პირი, რომლისკენაც რაღაც ძალა ეწეოდა. სულერთავად ფორიაქობდა, ცოტას ჭამდა, ღამეებს ლოცვასა და ავადმყოფურ ხილვებში ატარებდა. ხანდახან გაიბრძოლებდა, მაგრამ ღონემიხდილი უმალ მიყუჩდებოდა და მდუღარე ცრემლს აფრქვევდა. მერე ისევ მიეცემოდა ძალა, ცივად და გულგრილად წამოდგებოდა და ცრემლს ღიმილით შეიშრობდა. რაც უფრო მეტად ეპოტინებოდა სიმაღლეებს, მით უფრო ღრმად ეფლობოდა მიწაში. მერე ისევ ყველაფერი გაერთიანდა, წამოიშალნენ წარსულის ხილვები და მისი გონების უდაბურ ქაოსს სხივები სტყორცნეს.

მთელ დღეს დაბლა ატარებდა, იმ ოთახში, სადაც ქალბატონი ობერლინიც ხშირად იჯდა ხოლმე; ხატავდა, კითხულობდა, დახარბებული ეტანებოდა ყველაფერს, ოღონდ კი ცოტა ხნით ფიქრები გაეფანტა. ახლა განსაკუთრებით ქალბატონ ობერლინს მიტმასნოდა, უხაროდა, ქალს ოთახის ყვავილებს შო-

რის ჩამჯდარს რომ ხედავდა, კალთაში ნაბოლარა შვილითა და ხელში ლოცვანით; ლენცი ბავშვთანაც ხალისით თამაშობდა. ერთხელ სწორედ ასე იჯდა ოთახში, მოულოდნელად შიში რომ დაეცა და ადგილიდან წამოაგდო, წინ და უკან სიარულს მოჰყვა, ოდნავ ღიად დარჩენილი კარიდან ჯერ გაურკვევლად, მერე კი უფრო ხმამაღლა მოახლის სიმღერა აღწევდა:

სატრფო შორსა მყავს, იქ მიმწედომი თვალი არ არი,
ცვეყნად სხვა ჩემებრ ნაღვლიანი არი? არ არი.

ამ სიმღერამ ააფორიაქა, ქალბატონი ობერლინი გაკვირვებული უყურებდა. ლენცმა მუშტი იცა მკერდში, ვეღარ დაფარა სათქმელი:

— ძვირფასო ქალბატონო, თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, როგორ არის ქალიშვილი,[1] ვისი ბედიც ათფუთიან ტვირთად მაწევს გულზე?

— ჩემო კარგო, მე რომ არაფერი ვიცი?

ლენცი ისევ დადუმდა და ბოლთის ცემას მოჰყვა. ცოტა ხნის მერე წამოიწყო:

— იცით რა, უნდა წავიდე; ღმერთია მოწამე, თქვენს ოჯახში ყოფნას არაფერი მირჩევნია, მაგრამ ჩემი წასვლა აუცილებელია, მასთან უნდა წავიდე. მაგრამ რა ვქნა, ეგეც რომ არ შემიძლია, მისი ნახვის უფლებაც რომ არა მაქვს. — ეს თქვა და აღელვებული გარეთ გავარდა.

შინ შელამებისას დაბრუნდა, ოთახში ბინდი ჩამოწოლილიყო, ლენცი ქალბატონ ობერლინის შორიახლოს დაჯდა და დაიწყო:

— ოთახში ლილინით რომ დადიოდა, მისი ყოველი ნაბიჯი მუსიკას ჰგავდა, თვითონ ნეტარებით აღვსილი, მეც ნეტარებით მავსებდა; მისი შემოხედვა ან მკერდზე თავის მოყრდნობა ერთბაშად სიმშვიდეს მგვრიდა... ნამდვილი ბავშვი იყო, სამყარო უკიდეგანოდ მიიჩნდა, ამიტომ საკუთარ თავში ერჩივნა დამალვა; გამოძებნიდა მთელს სახლში ყველაზე მივარდნილ კუნჭულს და ისე მიიყუჟებოდა იქ, თითქოს მთელი თავისი ბედნიერება ეოთ წერტილში მოუქცევიაო, მაშინ მეც კარგად ვგრძნობდი თავს და შემეძლო ბავშვივით მეთამაშა. ახლა კი როგორ მევიწროვება ყოველივე! იცით, ხანდახან ისიც კი მეჩვენება, თითქოს ცა თავზე ჩამომაწვა და სული მეხუთება. ამ ბოლო დროს მგონი ფიზიკურ ტკივილსაც ვგრძნობ აი აქ, მარცხენა მკლავში, მას რომ ვეხვეოდი, იმ მკლავში; ქალიშვილის ხატებაც გამირბის, მიჭირს მისი ცოცხლად წარმოდგენა, ესეც მაწამებს, მხოლოდ მაშინ ვარ კარგად, როცა მის სახეს ვხედავ.

ამაზე ქალბატონ ობერლინთან მერეც ხშირად ჩიოდა, თან თავს ძლივს უყრიდა დაუსრულებელ წინადადებებს. მართალია, ჭალი ნუგეშის ცემას ყოველთვის ვერ ახერხებდა, მაგრამ ამ საუბრების შემდეგ ლენცი მაინც გრძნობდა ერთგვარ შვებას.

ვერც თავის მორწმუნეობრივ მარტვილობას გაურბოდა. რამდენადაც დაუძლურებულად, დაცლილად და მომაკვდავად გრძნობდა თავს, იმდენად უფრო ცდილობდა შინაგანი ცეცხლის გაღვივებას; ის დრო ედგა თვალწინ,

[1] ქალიშვილი — ლენცის სატრფო ფრედერიკე ბრიონი, რომელმაც მას უარი უთხრა ცოლობაზე; ფრედერიკე ბრიონს შესტრფოდა გოეთეც, უძღვნა კიდეც მას რამდენიმე შესანიშნავი ლექსი.

ყველაფერი რომ უდუღდა, მოჭარბებულ გრძნობათა სიმძიმის ქვეშ რომ იზნიქებოდა. ნეტავ ასე რამ შეცვალა? საკუთარ თავში ეჭვი ეპარებოდა, იატაკზე ერთხმებოდა, ხელებს იგრეხდა, მაგრამ ყველაფერი გაქვავებოდა, ამაო იყო სიცოცხლის რაიმე ნიშანწყლის ძებნა. მაშინ ღმერთს შეევედრებოდა, სასწაული მომიგლინეო, ბორგავდა, მარხვითა და ლოცვით ეტანჯავდა თავს და გონმიხდილი ძირს მიეგდებოდა.

სამ თებერვალს შეიტყო, რომ ფუდეში გარდაცვლილიყო ბავშვი, სახელად ფრედერიკე; ეს ამბავი მაშინვე ხელზე დაიხვია, ოთახში ჩაიკეტა და მთელი დღე იმარხულა. ოთხ თებერვალს ქალბატონ ობერლინს ეახლა; ნაცრით მოეთხუპნა პირისახე. ტომარას ითხოვდა. ქალს შეეშინდა, მაგრამ თხოვნა უმალ შეუსრულა. ლენცი მონანიესავით გაეხვია ტომარაში და ფუდეს გზას დაადგა. ხეობის ბინადართ ლენცის საქციელი ალარ აკვირვებდათ, მას ხომ ისედაც ათასგვარ უცნაურობას მიაწერდნენ. იმ სახლში შევიდა, სადაც ბავშვი ეგულებოდა. ხალხი გულგრილად საქმიანობდა; პატარა ოთახში შეუძღვნენ, მაგიდაზე, თივაში, პერანგის ამარა ბავშვი იწვა.

ლენცი შეკრთა, როდესაც გაყინულ სხეულს შეეხო და ნახევრად ღია შუშის თვალებს წააწყდა. ბავშვიცა და საკუთარი თავიც საოცრად მიტოვებული და ეული ეჩვენა. გვამზე დაემხო. სიკვდილმა შეაძრწუნა, მწვავე ტკივილმა დაუარა თავით ფეხამდე. ნუთუ უნდა გახრწნილიყვნენ ეს ნაკვთები და ეს ნაზი სახე. მუხლებზე დაეცა. სასოწარკვეთილი კაცის თავგანწირვით ლოცულობდა, ღმერთს ნიშნის მოვლინებასა და ბავშვის გაცოცხლებას შესთხოვდა... მერე ერთბაშად საკუთარ თავში ჩაიძირა და ერთ ფიქრს მიაპყრო მთელი გულისყური. დიდხანს იჯდა გახევებული. შემდეგ წამოდგა, ბავშვის ხელებს ჩაეჭიდა და რიხიანად და მტკიცედ წარმოთქვა: „აღსდეგ და ვიდოდე!“ თითქოს დასცინიანო, ეჭო გამოსცეს კედლებმა, გვამი კი კვლავაც ცივი იყო. შეშლილივით მუხლებზე დაემხო, მერე წამოხტა და კარში გაიჭრა, მთას მისცა თავი.

მთვარე მალ-მალე იკარგებოდა ღრუბლებში. ნისლივით ცვალებად არემარეს ხან წყვდიადი ეპატრონებოდა, ხანაც მთვარის შუქი ჰფენდა ნათელს. ლენცი ალმა-დალმა დაჰქროდა. მის მკერდში ჯოჯოხეთის ტრიუმფალურ ხმებს დაესადგურებინათ. ქარის ქროლვა ტიტანთა სიმღერას აგონებდა. სწამდა, იმ წუთას შეეძლო, ვეება მუშტი ეკრა ცისთვის, ღმერთს მისწვდომოდა და ღრუბლებში ეთრია; სამყაროს კბილებით დაგლეჯა და შემოქმედის სახეში მისი მინთხევა სურდა, ილანძღებოდა, მკრეხელურად ავსიტყვაობდა. ასე მიაღწია მწვერვალამდე. დაბლა დახვავებულ ლოდებს მკრქალი შუქი ეფინებოდა; უგუნურ, ლურჯ თვალს დამსგავსებულ ციდან უსუსურად და სასაცილოდ გამოეჭყიტა მთვარეს. ლენცმა ხმამაღლა გადაიხარხარა და მის არსებაში ერთობ მშვიდად, თავდაჯერებულად და ურყევად ღვთის უარყოფამ დაისადგურა. უცბად დაავიწყდა, რა სტანჯავდა ცოტა ხნის წინ, შეამცივნა, გაიფიქრა, ნეტა ლოგინამდე მიმაღწევინაო, და გულგრილად და აუღელვებლად შეერია იდუმალებით მოცულ სიბნელეს — ახლა ყველაფერი უაზროდ და ფუყედ ესახებოდა. ფეხს აუჩქარა. როგორც იქნა შინ მივიდა და საწოლზე მიეგდო.

დილით, წინა დღის ამბავი რომ გაიხსენა, შიშმა აიტანა. თითქოს უფსკრულის პირას იდგა და შიგ ხშირ-ხშირად ჩახედვის და ტანჯვის განახლების

სურვილი არ ასვენებდა. მერე და მერე შიში გაუთმაგდა, მოსვენება დაუკარგა სულიწმინდის წინაშე შეცოდებამ.

რამდენიმე დღის შემდეგ, დათქმულ ვადაზე გაცილებით ადრე, ობერლინი ჩამოვიდა შვეიცარიიდან. ლენცმა ძალზე გაიხარა. სულგანაბული ისმენდა ობერლინისგან ელზასელი მეგობრების ამბავს. ობერლინი ბარგსა ხსნიდა, ოთახში ფუსფუსებდა და თან ფეფელზე[1] უყვებოდა, ხოტბას ასხამდა სოფლის მოძღვრის ქველმოქმედებას. მერე ლენცს მიმართა, უმჯობესი იქნება მამაშენს დაუჯერო, შინ დაბრუნდე და იმ საქმეს მოჰკიდო ხელი, რისი ნიჭიც გაგაჩნიაო. თავის რჩევას სხვა ბიბლიურ შეგონებებთან ერთად ესეც დააყოლა: „პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა"-ო. ამ საუბარმა ლენცი საგონებელში ჩააგდო, გულმოკლული ოხრავდა, ცრემლი ღაპაღუპით სდიოდა, ლუკუნებდა:

— ამას ვერ გადავიტან, ნუთუ ჩემი თავიდან მოცილება გინდათ? გზა ზეცისკენ ჩემთვის ხომ თქვენზე გადის, თუმცა მე უკვე არა მეშველება რა. დაცემული ვარ, სამუდამოდ დაწყევლილი, მარადი ურია.

ობერლინმა ანუგეშა, იესო შენისთანებისთვის ეწამა, მთელი არსებით თუ ილოცებ, შენც გახდები მისი მიტევების ღირსი.

ლენცმა თავი უკან გადააგდო და ხელების შტვრევით გამოსცრა:

— ეეჰ, უფლის ნუგეში.

მერე მორიდებით ქალიშვილის ამბავი იკითხა. ობერლინმა მიუგო, მასზე არა ვიცი რაო, მაგრამ მაშინვე ეძინა, მზადა ვარ გვერდში ამოვიდგე და დაგეხმარო, თუ იმ ქალზე ყველაფერს დალაგებით მიამბობ, ხომ უნდა ვიცოდე, სად და ვისთან ვეძებოო. ლენცმა მხოლოდ აბდაუბდა პასუხის ამოღერღვა შესძლო:

— ეეჰ, ნუთუ გარდაიცვალა? თუმცა იქნება ცოცხალიცაა? ანგელოზი! ვუყვარდი — მეც მიყვარდა, ანდა როგორ არ მეყვარებოდა ანგელოზი! ღმერთმა დალახვროს ეს ეჭვიანობა, მე გავწირე — მას სხვაც უყვარდა, მე კი მხოლოდ ის მიყვარდა. ძვირფასო დედავ, შენც ხომ გიყვარდი. მე ვარ ორიეეს მკვლელი!

ობერლინი ამ სიტყვებმა დააბნიეს და ჩააფიქრეს: შეიძლება ეს ადამიანები სულაც ცოცხლები და ბედნიერნი იყვნენ: როგორც არ უნდა ყოფილიყო, ღმერთი, თუკი მას ლენცი ლოცვა-მუდარით მიმართავდა, ათწილ სიკეთით აუნაზღაურებდა იმ ადამიანებს ლენცისგან მიყენებულ ტკივილებს. ამასობაში ლენცი დამშვიდდა და კვლავ ხატვა დაიწყო.

ნაშუადღევს ისევ გამოჩნდა. მარცხენა მხარზე ტყაპუჭი შემოეხვია, ხელში წკეპლების ის შეკვრა ეჭირა, წერილთან ერთად რომ ჩამოუტანა ობერლინმა. წკეპლები მოძღვარს გაუწოდა და დამარტყიო, დაჟინებით სთხოვა. ობერლინმა წკეპლები ჩამოართვა, რამდენჯერმე აკოცა ლოყაზე და მიუგო: ეს ამბორი ვამჯობინოთ გვემასო; ურჩია, დამშვიდდი და უფალს შუამავლის გარეშე მიმართე, არანაირ გაწკეპვლას არ ძალუძს ცოდვების გაქარწყლება, ასე დაუწესებია იესოს, ამიტომ სჯობს უშუალოდ მას მიმართოო. ესა თქვა და გასცილდა.

---

[1] ფეფელი (1736-1809) — ელზასელი მწერალი, მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან განსაკუთრებული პოპულარობა იგავ-არაკებმა ჰპოვეს.

ვახშამზე ლენცი ჩვეულებისამებრ ჩაფიქრებული ჩანდა, თუმცა მაინც ახერხებდა ათას რამეზე ლაპარაკს, მაგრამ ახლა მის ხმას ბზარი გასჩენოდა. შუალამისას ობერლინი ხმაურმა გააღვიძა. ლენცი დარბოდა ეზოში და ძლივს გასარჩევად და სხაპასხუპით იმეორებდა ბავშვის სახელს, ფრედერიკეო — ყვიროდა უხეში, ხრინწიანი ხმით. ღელეში ჩახტა, წყალი აადგაფუნა, მერე ოთახში ავარდა, ისევ ჩამოვიდა, ისევ წყალში ჩახტა, ასე იბორგა ერთხანს, ბოლოს, როგორც იქნა, მიყუჩდა. ლენცის ოთახის ქვეშ, ბავშვთა საძინებელში მოახლეებს ეძინათ, სწორედ მათ განაცხადეს, ამ ბოლო დროს, მეტადრე კი წუხელ, სტვირის ხმის მსგავსი კვნესა გვესმოდაო. ლენცი თუ მოსთქვამდა ამ დამფრთხალ, ყრუ და სასოწარკვეთილ ხმაზე.

დილით ლენცი კარგა ხანს არ ვამოჩენილა, ასე რომ, ობერლინმა გადაწყვიტა, თვითონ მიეკითხა მისთვის. ლენცი გაუნძრევლად იწვა. ობერლინი დიდხანს უძახდა, ბოლოს ძლივს ეღირსა პასუხს.

— დიახ, მამაო, ერთფეროვნებაა! ერთფეროვნება! რომ იცოდეთ, რა მოწყენილი ვარ! მეტი რაღა ვთქვა: კედელზე უკვე ათასნაირი რამ დავხატე.— ობერლინმა ურჩია, უფალს მიმართეო, ლენცს გაეცინა:

— თქვენსავით რომ მქონოდა ბედი და დროის მოკვლის ასეთი მოხერხებული საშუალების გამოძებნა რომ შემძლებოდა, ნამდვილად არ მოვიწყენდი. ყველაფერი უქმად ყოფნის ბრალია. ერთნი ხომ მოწყენილობის გამო ლოცულობენ, სხვანი იგივე მიზეზის გამო სიყვარულს ეძლევიან, ზოგი სათნოებას აფრქვევს, ზოგიც ცოდვას სჩადის, მე კი არაფერი შემიძლია, თავის მოკვლის სურვილიც კი არ გამაჩნია: გავბეზრდი!

ღმერთო, შუადღის სივარვარეში
შენს წმინდა სახელს რომ მაზიარე,
დავიზიანე ჩინი თვალისა,
ნათლის ცქერაში დავიზიანე.

ობერლინს სახეზე უკმაყოფილება დაეტყო და როდესაც წასვლა დააპირა, ლენცი საწოლიდან წამოხტა და ამღვრეული თვალებით დაჟინებით მიაშტერდა:

— ჰო, მართლა, იცით რა მემართება? სიზმარი და ცხადი ვეღარ გამირჩევია, რომ იცოდეთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამას, — ეს თქვა და კვლავ ლოგინს მიაშურა.

ობერლინს ნაშუადღევს ერთი ოჯახი უნდა მოენახულებინა. მისი მეუღლე უკვე წასულიყო. ის იყო თვითონაც შინიდან გასვლას აპირებდა, რომ ვიღაცამ კარზე დააკაკუნა; ლენცი შემოვიდა, წელში მოხრილი, თავჩაქინდრული, პირისახეზე ნაცარი წაესვა, ტანსაცმელიც ნაცარში ამოეგანგლა, მარცხენა მკლავზე ხელი ევლო. ობერლინს სთხოვა, ხელი გამიჭიმეო. თურმე ფანჯრიდან რომ გადამხტარა, მაშინ ამოვარდნოდა, არავის დავუნახივარ და ამ ამბავს ნუ გაახმაურებთო, შეეხვეწა. ობერლინს გვარიანად შეეშინდა, მაგრამ არაფერი უთქვამს, ისე შეასრულა ლენცის თხოვნა. შემდეგ ბელფოსელ სკოლის მასწავლებელს სებასტიან შაიდეკერს შეატყობინა, დაუყოვნებლივ მოდიო, თანაც აუხსნა, ასე და ასე მოიქეციო, მერე ცხენს მოახტა და გაიჭენა.

ის კაციც მოვიდა. ლენცმა მაშინვე იცნო, რადგან ადრეც ხშირად ენახა.

კაცმა მოიმიზეზა, ობერლინთან მქონდა საქმეო და წასვლა დააპირა. ლენცმა დარჩენა სთხოვა, ისიც უმალ დასთანხმდა. ლენცმა ფუდესკენ გასწორნება შესთავაზა. იმ ბავშვის საფლავთან მივიდა, ვისი მკვდრეთით აღდგომაც ასე გულით ეწადა, რამდენჯერმე დაიჩოქა, საფლავის მიწას ეამბორა, ერთობ აღგზნებული მოჰყვა ლოცვას, საფლავის გვირგვინს რაღაც მოაგლეჯა, საშახსოვროდო, ჩაიბუტბუტა, მერე ვალდბახისკენ წავიდა, მაგრამ მალე ისევ უკან გამობრუნდა, სებასტიანი გვერდიდან არ მოსცილებია. ლენცი ხან მილასლასებდა, ჩიოდა, სუსტად ვარო, ხანაც საეჭვოდ აუჩქარებდა ნაბიჯს, რაღაცნაირი ზიზღის შეგრძნებაც გასჩენოდა. მისთვის თანამგზავრსაც თავი მოებეზრებინა, მისი განზრახვის გაგება სურდა და მიზეზს ეძებდა, როგორმე თავიდან მოეშორებინა. სებასტიანი თითქოს ყველაფერს უთმობდა, ამასობაში კი უჩუმრად თავისი ძმისთვის ემცნო მოსალოდნელი საშიშროება, ასე რომ, ახლა ლენცს ერთის ნაცვლად ორი ზედამხედველი გასჩენოდა. ისიც წარბშეუხრელად იტანდა მათ თანხლებას, ბოლოს, როგორც იქნა, ვილდბახში დაბრუნება გადაწყვიტა და სწორედ მაშინ, როდესაც სოფლამდე ორიოდე ნაბიჯილა იყო დარჩენილი, ელვის სისწრაფით შემობრუნდა და უკანმოუხედავად მოკურცხლა ფუდეს მიმართულებით. კაცებიც უმალ აედევნენ. ფუდეში მისი ძებნისას ორი მეწვრილმანე შემოხვდათ და იმათ უთხრეს, ერთ სახლში უცხო კაცი გაუკოჭავთ, თავს მკვლელად ასაღებს, მაგრამ მკვლელს ნამდვილად არა ჰგავსო. ძმებმა სასწრაფოდ იმ სახლს მიაშურეს, და მაშინვე დარწმუნდნენ ამ სიტყვების სისწორეში. ლენცის დაჟინებული თხოვნა, შემბოჭეთო, ერთ, ცოტა არ იყოს დამფრთხალ ყმაწვილკაცს შეესრულებინა. თოკები შემოხსნეს და გიჟრვების გარეშე ჩაიყვანეს ვალდბახში. ობერლინი და მისი მეუღლე უკვე დაბრუნებულიყვნენ. ლენცი დარცხვენილი ჩანდა, მაგრამ მასპინძლის გულისხმიერებამ და სითბომ მალე დაუბრუნა სითამამე; სახე დაუწყნარდა, ორივე თანამგზავრს ზრდილად მადლობა გადაუხადა და იმ საღამომ უშფოთველად ჩაიარა. ობერლინმა სთხოვა, ღამე ნულარ იბანავებ, ეცადე არ ადგე და თუ დაძინება გაგიჭირდა, ღმერთს ესაუბრეო. მანაც აღუთქვა, აგრე ვიზამო და იმ ღამეს კიდეც შეასრულა დანაპირები; მოახლეებს მთელი ღამე მისი ლოცვა ესმოდათ.

დილით სახეგაბადრული ეახლა ობერლინს. ხანმოკლე ბაასის მერე ხაზგასმული მოკრძალებით წარმოთქვა:

— ძვირფასო მამაო, ის ქალიშვილი, ვისზედაც მოგახსენებდით, გარდაიცვალა, ჰო, გარდაიცვალა, — ანგელოზი!

— ეგ საიდანღა მოიგონეთ, — ჰკითხა მოძღვარმა, ლენცმა კი „ნიშანი, ნიშანი“ და ზეცას აღაპყრო მზერა, მერე განაგრძო:

— დიახ, გარდაიცვალა — ღმერთმა ნიშანი მომივლინა.

ამის მეტი ვეღარაფერი ათქმევინეს. მაგიდას მიუჯდა და რამდენიმე წერილი დაწერა, ობერლინსაც სთხოვა, ერთი-ორი სტრიქონი თქვენც მიაწერეთო.

ლენცის მდგომარეობა სრულიად უიმედო გამხდარიყო. უკვალოდ გამქრალიყო სიმშვიდე, ობერლინის სიდინჯემ და მყუდრო ხეობამ რომ შესძინეს. სამყაროს, რომლისგანაც შველას ელოდა, ბზარი გასჩენოდა; აღარაფერს შეეძლო მისი ამოძრავება, აღარც ზიზღსა და სიყვარულს, აღარც იმედს, — შემზარავი სიცარიელე დაჰპატრონებოდა და ამ სიცარიელის ამოვსების სურვილი აღარ ასვენებდა. აღარაფერი გააჩნდა. შეუგნებლად მოქმედებდა, მხოლოდ

ინსტინქტილა ამოძრავებდა. მარტო დარჩენილს, ძრწოლვა აიტანდა ხოლმე და ხმამაღლა ლაპარაკობდა. ჯერ აყვირდებოდა, მერე კი საკუთარი ხმისა შეეშინდებოდა და თავგზააბნეული ვეღარც აზრებს უყრიდა თავს, ამოიჩემებდა, წინადადების ბოლო სიტყვა უნდა დავიმახსოვრო და ხშირ-ხშირად ვიმეოროო, ამ აკვიატების დაძლევაც დიდ ჯაფად უჯდებოდა. გულკეთილი მასპინძლები ძალიან განიცდიდნენ, მათთან მშვიდად მჯდომსა და უშუალოდ მოსაუბრე ლენცს მოულოდნელად პირზე სიტყვა რომ შეაშრებოდა და შიში რომ მოუქცევდა სახეს. მაშინ თავის გვერდით მჯდომს მკლავში ჩაიფრინდებოდა და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ მოეგებოდა გონს. უფრო ცუდად იყო საქმე, თუ ასეთი შეტევის დროს მარტო იჯდა ან კითხულობდა, მაშინ მისი გონება ვერ უსხლტებოდა აკვიატებული აზრის ტყვეობას. სხვა ადამიანზე ფიქრისას, მისი ცოცხლად წარმოდგენისას, ეჩვენებოდა, თითქოს თვითონ ქცეულიყო იმ ადამიანად; გონებაარეულს ერთი დაუოკებელი სურვილი იმორჩილებდა; გარემომცველ საგნებს, ბუნებას. ადამიანებს თავის წარმოდგენაში თვითნებურად მოქცეოდა, ობერლინის გამოკლებით, ყველას და ყველაფერს ბუნდოვნად და უსიცოცხლოდ აღიქვამდა, სახლებს აყირავებდა, ადამიანებს მოსავდა და აშიშვლებდა, ათასნაირ ოხუნჯობას იგონებდა და თავს ასე ირთობდა. ხანდახან მოუნდებოდა გაეკეთებინა სწორედ ის, რაც წარმოდგენაში ჩაბეჭდვოდა, მერე კი ზიზღიანად დაიჭყანებოდა. ერთხელ ობერლინის გვერდით იჯდა, მოპირდაპირე სკამზე კატა გაშოტილიყო. ლენცს უეცრად თვალი გაუშტერდა, მზერა კატაზე გაეყინა. შემდეგ ნელ-ნელა სკამიდან ჩაცურდა, კატამაც მას მიბაძა. ცხოველი, თითქოს მისმა მზერამ მოაჯადოვაო, აიმრიზა, ბეწვი ყალყზე დაუდგა, ლენცს სახე შეეშალა და არაადამიანური ხმა ამოიღო. კაცი და კატა ფეთიანებივით ეტაკნენ ერთმანეთს — მათ გასაშველებლად ქალბატონი ობერლინი წამოხტა. ამ ამბის შემდეგ ლენცი ერთხანს დარცხვენილი დადიოდა.

იმღამინდელმა შეტევამ კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამაოდ ცდილობდა აუტანელი სიცარიელის შევსებას და ხანგრძლივი ბორგვის შემდეგ ძლივს ჩაიძინა. მტანჯველი ხილვები ძილ-ბურანშიც აღარ ასვენებდნენ: ითქოს რაღაც უშველებელსა და ამაზრზენს ეჯახებოდა, სიგიჟე ერეოდა, ოფლში გაწურული საკუთარმა ყვირილმა გამოაღვიძა, მერე ისევ გონს მოეგო. სრული გამოფხიზლებისთვის რას არ აკეთებდა, თუმცა შეგნებით როდი იქცეოდა. მას უფრო თავდაცვის ძლიერი ინსტინქტი ამოძრავებდა: თითქოს სხეული გაორებოდა და მისი ერთი ნაწილი მეორეს ეძებდა გადასარჩენად. უზომო შიშმა ლექსებიც კი ათქმევინა, ასე იბუტბუტა, სანამ მთლად არ გამოფხიზლდა.

აქამდე სინათლე მაინც იცავდა მოლანდებებისაგან, ახლა კი შეტევები დღისით უფრო მოეძალა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ამ ქვეყნად მარტო თვითონ იყო, მთელი სამყარო კი მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდა, თითქოს მის გარდა არც არაფერი არსებობდა. მტანჯველი წარმოდგენების ამარა დარჩენილს, თავი საუკუნოდ დაწყევლილ სატანად მიაჩნდა. თავისი ცხოვრების გზას ნაუცბადევად რომ გადაავლებდა თვალს, „ლოგიკურია, ლოგიკურიო", იტყოდა. სხვა ვინმე თუ ამოიღებდა ხმას, „არალოგიკურია, არალოგიკურიო", პასუხობდა. გარდაუვალი ჩანდა სიგიჟის უფსკრულის მოახლოება, სიგიჟისა, რომელიც სამუდამოდ ეპატრონებოდა.

სულიერი წონასწორობის შენარჩუნებისთვის ბრძოლამ აამოძრავა: მკლავებში ჩაუვარდა ობერლინს, ისე ჩაებღაუჭა, თითქოს მის სხეულში შეღწევას ლამობსო; თქვენა ხართ ერთადერთი არსება, ვისაც ჩემზე გული შესტკივა და ვინც ცხოვრებას მილამაზებსო. ობერლინის დაყვავებამ გონს მოიყვანა. მოძღვრის წინაშე დაჩოქილს ხელები მისი ხელებისთვის ჩაეჭიდა, ცივი ოფლით დანამული სახე მის კალთაში ჩაერგო, მთელი სხეული უთრთოდა და უცახცახებდა. ობერლინი უსაზღვრო სიბრალულს შეეპყრო, მისი ოჯახის წევრები მუხლმოდრეკილი ავედრებდნენ ღმერთს უბედურის სულს, მოახლეებს კი შეშლილად მიაჩნდათ და გაურბოდნენ. ცოტათი დამშვიდებული ლენცი პატარა ჭირვეულ ბავშვს ემსგავსებოდა: სლუკუნებდა, საკუთარი თავი ებრალებოდა; ეს მისთვის ყველაზე ნეტარი წამები იყო. როდესაც ობერლინი ღმერთზე ჩამოაგდებდა სიტყვას, ლენცი მას გატანჯულ სახეს მიაპყრობდა და ეტყოდა:

— იცით რა, მე რომ ვყოფილიყავი ყოვლისშემძლე, მის ადგილას რომ ვყოფილიყავი, ადამიანის ასეთ ტანჯვას ვერ გავუძლებდი, ვიხსნიდი, ნამდვილად ვიხსნიდი; მე ხომ სიმშვიდის გარდა არას ვითხოვ, მხოლოდ ცოტა-ოდენი სიმშვიდე მჭირდება, სიმშვიდე — ძილი რომ შევძლო.

ობერლინი მიუგებდა, ეგ მკრეხელობაოო. ლენცი კი თავს უიმედოდ გადაიქნევდა.

არც ისე საშიში იყო თავის მოკვლის ის უშედეგო ცდები, ლენცი ბოლო დროს გაუთავებლად რომ მიმართავდა. სიკვდილის სურვილი ნაკლებად ამოძრავებდა — მისთვის სიკვდილი ხომ მოსვენების იმედს არ წარმოადგენდა, — ფიზიკური ტკივილის გამოწვევა კი განსაკუთრებული სასოწარკვეთილების ან ჩლუნგი, არაფრისმთქმელი სიმშვიდის ჟამს თვითგამოფხიზლების ხერხი უფრო იყო. ის წუთები, როდესაც ლენცი ზოგიერთ ოხუნჯურ იდეას ეპოტინებოდა, შედარებით უშფოთველი იყო. მაშინ სიმშვიდე ეუფლებოდა, მისი ამღვრეული თვალები კარგავდნენ იმ შეშლილ გამომეტყველებას, მოუსვენრობასთან მუდმივი ჭიდილის დროს ან ველური შიშის გადალახვის შემდეგ რომ ჰქონდა ხოლმე. თვითგვემისთვის რას აღარ აკეთებდა, ზოგჯერ კედელსაც კი ურტყამდა თავს.

რვაში დილით არ ამდგარა, ობერლინმა ააკითხა: თითქმის დედისშობილა იწვა საწოლში, ძალზე აღელვებული ჩანდა. ობერლინმა სცადა, საბანი მაინც გადაეფარებინა მისთვის, ლენცი კი გულსაკლავად ჩიოდა, რა მძიმეა ყველაფერი, ახლაღა ვიგრძენი, ჰაერიც რა უსაშველოდ მძიმე ყოფილა, ნუთუ ოდესმე შევძლებ ადგომასო. ობერლინმა გაამხნევა. ლენცი არც კი განძრეულა, ასე იწვა თითქმის მთელი დღე, საჭმელიც არ მიიკარა.

საღამოს ობერლინი ავადმყოფთან გამოიძახეს ბელფოსში. თბილი, მთვარიანი მწუხრი იდგა. შინისკენ გამობრუნებულს გზაში ლენცი შეეფეთა. თითქოს სრულიად განკურნებული, დინჯად და მშვიდად გამოელაპარაკა ობერლინს. მოძღვარმა სთხოვა, შორს ნურსად წახვალო; ლენციც დასთანხმდა, გზა გინაგრძო, მაგრამ მოულოდნელად შემობრუნდა, ობერლინთან სულ ახლოს მივიდა და სხაპასხუპით მიახალა:

— იცით რა, მამაო, ეს ხმაური რომ არა, ჩემი საქმე ნამდვილად კარგად იქნებოდა.

— რა ხმაური, ჩემო კარგო?

— როგორ, ნუთუ არ გესმით? მართლა არ გესმით ეს ხმა, მთელ ჰორიზონტს რომ მოჰკივის? მას ხომ სიჩუმეს უწოდებენ! რაც ამ ჩუმ ხეობას შევაფარე თავი, განუწყვეტლივ ჩამესმის და ძილს მიფრთხობს. ეჰ, მამაო, ნეტა ოდესმე თუ ვეღირსები ძილს!

ვალდბაზში დაბრუნებულმა ობერლინმა ის იყო დააპირა ვინმეს უკან დავადევნებო, რომ კიბეზე თავისი ოთახისკენ მიმავალი ლენცის ფეხის ხმას მოჰკრა ყური. ერთი წუთის შემდეგ ეზოში რაღაცამ ისეთი ზღართანი მოადინა, ობერლინმა ვერც კი დაუშვა, რომ ადამიანის დაცემის ხმა შეიძლება ყოფილიყო. ოთახში გაფითრებული და აკანკალებული ძიძა შემოიჭრა...

ლენცი მორჩილად იჯდა ეტლში, რომელიც ხეობის გავლით დასავლეთისაკენ მირახრახებდა. არ აინტერესებდა, საით მიჰყავდათ. ოღროჩოღრო გზაზე ეტლი რამდენჯერმე ძლივს გადარჩა გადაბრუნებას, ის კი სრულიად გულგრილი, გაქვავებულივით იჯდა. ასე გადაიარეს მთა, შებინდებისას რაინის ხეობას მიაღწიეს. ნელ-ნელა სცილდებოდნენ დაისის სივარვარეში ამოწვერილ ლურჯი კრისტალის ტალღოვან მთებს და ამ ტალღათა თბილ ღვარში მობანავე მეწამულ სხივებს; ვაკის იქით, მთის კალთის ძირში ლურჯად მბზინავი ქარგა იშლებოდა. სტრასბურგს უახლოვდებოდნენ, ბინდიც წვებოდა. არემარეს სავსე მთვარე ანათებდა, შორი საგნები ბუნდოვნად მოჩანდნენ, მახლობელი მთის კონტურები კი გარკვევით გამოკვეთილიყვნენ, დედამიწას ოქროს თასივით პირთამდე ავსებდნენ მთვარის აქოჩრილი ოქროსფერი ჩქერები. ლენცი სიბნელეს ჩაშტერებოდა, არც სურვილი ჰქონდა რაიმესი, აღარც ინტერესი; საგნების წყვდიადში გაუჩინარებასთან ერთად შიში ერეოდა.

მოლუშულ წვიმიან დილას სტრასბურგში შევიდნენ. ლენცი სრულიად მოკეთებული ჩანდა, ხალხს ემასლაათებოდა, ისე იქცეოდა, როგორც სხვები. მარტო-ღა აუტანელი სიცარიელე დაპატრონებოდა, ვეღარც შიშს გრძნობდა, ვეღარც სურვილს, საკუთარი არსებობა მოუშორებელ ტვირთად ჰქცეოდა.

აი ასე ცხოვრობდა...

□

ვლადიმერ შორორი

მოთხრობები

ითარგმნა ბია პაპუაშვილმა

ვლადიმერ შورورის გმირები ჩვენი თანამედროვენი არიან. მწერალი განსაკუთრებული სითბოთი ხატავს მამაც, ერთგულ, დასახული მიზნისაკენ მტკიცედ მავალ, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელ ადამიანებს. თითქმის ყოველ მოთხრობაში არის ომის წლების გამოძახილი. ეს გასაგებიცაა: იმ ბობოქარ წლებში ვლადიმერ შورورი მზვერავი ჯარისკაცი იყო, შემდეგ კი არტილერიის ოფიცერი. სწორედ მაშინ დაიწერა მისი პირველი ნარკვევები და მოთხრობები, რომლებიც ფრონტულ პრესაში გამოქვეყნდა.

გთავაზობთ რამდენიმე მოთხრობას მისი ერთ-ერთი ბოლოდროინდელი კრებულიდან „მოიძებნება კეთილი გული".

ციგურებ-ციგრუნიები

ჩემი ქალიშვილი ანიუტა საციგურაოზე წასასვლელად ემზადება. დერეფანში ორი მეგობარი უცდის. კაპრონის ქურთუკები და სპორტულ ჩექმებში ჩატანებული შარვლები აცვიათ, ჩანთებში კი ციგურები ულაგიათ.

ფანჯრიდან ვხედავ — ხტუნვით გარბიან ახალ თოვლზე ავტობუსის გაჩერებისაკენ. გზადაგზა ალბათ თავიანთი მეექვსე „ა" კლასის ამბებს განსჯიან და ვარჯიში სტადიონზე, მასწავლებელთანლა გაახსენდებათ, რომელიც სპორტის ოსტატია და ციგურაობაში დიდი გულმოდგინებით ამეცადინებთ.

ანიუტა საღამოთი ბრუნდება, ჩანთას თავისი ციგურებიანად ზღურბლთანვე აგდებს და სადაზვერვო ფილმის მორიგი სერიის საყურებლად ტელევიზორისკენ გარბის. მე კი ჩანთიდან ციგურებს ვიღებ და მათი სარკესავით ლითონის ბრწყინვალებას დიდხანს დავცქერი ძველებურად მოხიბლული.

ციგურებ-ციგრუნიები... ეს იყო ჩემი პირველი ყველაზე დიდი ოცნება, გატაცება და თითქმის მიუწვდომელი სიყვარული. ეს ოცნება ჩემში მაშინ გაცოცხლდა, ხუთი წლისა როცა ვიყავი და ქურქიანი, შარფმოხვეული სასეირნოდ დავიჯაჯებოდი ნამქერით დაფარულ ჩვენს მყუდრო ეზოში. სასეირნოდ კი არა, როგორც დედა იტყოდა ხოლმე, უბრალოდ, „ჰაერის ჩასაყლაპად". სუფთა ჰაერით რომ გული ვიჯერე, ხის ჭიშკართან გავჩერდი და მარხილში შებმულ ცხენებს დავუწყე ცქერა, გატკეპნილ გზაზე რომ მიჰქროდნენ.

მერე ბლაგოვეშჩენსკის ეკლესიის ზარის გუგუნს მივაყურადე და, ის იყო, შინ წასვლა დავაპირე, რომ უეცრად დავინახე.

ეს იყო რაღაც დაუჯერებელი და გონმიუწვდომელი.

მორბოდა, მაგრამ არც სირბილი ეთქმოდა, თავისთავად მოქროდა არნახული სისწრაფით. თექის ჩექმებქვეშ დანები ბრწყინავდნენ, დანები კი არა, რაღაც ბრჭყვიალები, საოცარი სიჩქარით რომ მოაქროლებდნენ. კინაღამ თავზარი დამეცა.

— ეგ ხომ ციგურებია, — გაელიმა დედაჩემს, როცა ვუამბე, — ალბათ რომელიმე ბიჭი მისრიალებდა.

— ციგურები მინდა! დღესვე მიყიდე!

— ჯერ პატარა ხარ, როცა გაიზრდები, მაშინ გიყიდი.

ოღონდაც მალე გავზრდილიყავი და!... ვიცოდი, მოთმინება რომ კარგი იყო. დედაჩემი მეტყოდა ხოლმე, კარგი იქნება, მოთმინება რომ შეგეძლოსო. სამაგიეროდ როგორ გავიხარებ, როცა ციგურებს მიყიდიან. თექის ჩექმებზე დილიდანვე მივიკრავ და გავსრიალდები. ყველა ქუჩას მოვივლი და ანგარამდეც კი მივაღწევ. გაუკვირდებათ: ასე სწრაფად ნეტავი ვინ მოქრისო.

დაძინებამდე კიდევ ერთხელ გავიხსენე ის ბიჭი, ჩვენი სახლის გვერდით რომ ჩაიქროლა.

— ეგ ნამდვილი მოციგურავე არ არის, ნამდვილი უნდა ნახო, — დინჯად გაიცინა დედაჩემმა.

— როგორია?

— ხვალ საციგურაო მოედანზე წაგიყვან და გაჩვენებ. ახლა კი დაიძინე!

მეორე დღეს დედაჩემი სადღაც წასვლას აპირებდა, ალბათ ქუდების სახელოსნოში. ვიცოდი, რომ ქალბატონ პოკილდიკოვას სახელოსნოში ქუდებს კერავდა.

— აკი შემპირდი, მოედანზე წაგიყვანო?

— მაგასაც მოვასწრებთ, დღე დიდია.

მამაც სამსახურში წავიდა და მარტო დავრჩი. კუბიკებით სახლის აშენება დავაპირე. მე ხომ სხვადასხვანაირი კუბიკების მთელი ყუთი მქონდა, რომლებზეც ლომების, ჟირაფების, სპილოების სურათები იყო მიწებებული. ასოებიც მქონდა. მათგან სიტყვების შედგენა შეიძლებოდა. კითხვა სწორედ აქით ვისწავლე, მაგრამ ახლა უკვე აღარც სიტყვების დალაგება, აღარც წაკითხვა და აღარც რაიმეს აშენება მაინტერესებდა. ან რომელ წაკითხვაზე ვიფიქრებდი, როცა უკვე ერთადერთმა სურვილმა შემიპყრო — ის ბიჭი დამენახა, თუნდაც შორიდან.

რაფაზე მიდგმულ მაგიდაზე ავდივარ და ცივ მინაზე შუბლმიწებებული ქუჩას გავცქერი. ცოტა ხალხი დადის. ეკლესიის გალავნის იქით შიშველი ხეები, საფლავის ჯვრები და ორი-სამი ძეგლი ითოშება. ნეტავ მალე დაბრუნდებოდეს დედა! არადა არ ჩანს. ბოლოს, როგორც იყო, გამოჩნდა.

— ჩქარა! — მივვარდი მაშინვე.

— რა მოხდა?

— საციგურაო მოედანზე.

— დამასვენე, შვილო, სადილობის შემდეგ წავალთ, თუ კარგად მოიქცევი. კუბიკებით ითამაშე!

კუბიკებით თამაში სულაც არ მინდა, მაგრამ არ წამიყვანს და... ხომ გა-

იგეთ, რა მითხრა, კარგად მოიქეცი, რომ წაგიყვანოო. კუბიკებს მორჩილად ვიღებ და უეცრად მაგონდება, რომ სათამაშო ციგურების გაკეთება მე თვითონ შემიძლია. ამიტომ კუბიკებს რამდენიმე რიგად ვაწყობ, ზედ ვდგები და მინდა, იმ ბიჭივით გავსრიალდე, მაგრამ ძირს ვენარცხები. რით შეიძლება ციგურების გაკეთება? ჯოხის ნატეხსა და გატეხილ სახაზავს ვპოულობ, ყელიან ფეხსაცმელზე კანაფით ვამაგრებ და ვცდილობ, გავსრიალდე. არც ახლა გამოდის რამე. კარგად მესმის, რომ ეს ყველაფერი ციგურებისთვის შეუფერებელია, მაგრამ თუნდაც თამაშიც გამომივიდეს, თუნდაც წარმოვიდგინო რომ ციგურებზე ვდგავარ, მაინც კარგია. რით შეიძლება გავაკეთო? მეორე ოთახში გავდივარ და ვხედავ, რომ მამაჩემის მაგიდაზე საანგარიშოა. ამ საანგარიშოზე მამაჩემი კოჭებს სწრაფად აჩხაკუნებს ხოლმე, როცა საღამოობით ზეგანაკვეთურ სამუშაოს ჩაუჯდება. ზოგჯერ მეც მაძლევს „ანგარიშის“ უფლებას. საანგარიშოს იატაკზე ვდებ, შიგ ვჯდები და მარხილივით მივაგორებ. ციგურები არ არის, მაგრამ მაინც არა უშავს. ამ დროს დედა შემოდის.

— შეშინებული ვდგები და ხმას აღარ ვიღებ.

— საანგარიშო ადგილზე დადე და ხელი აღარ ახლო!

— ჩავიცვათ? — ვეკითხები ნასადილევს.

— მიდი, ჩქარა!..

თავს ბედნიერად ვგრძნობ და ტანისამოსისთვის გავრბივარ.

ძლივსძლივობით გამოვდივართ შინიდან.

ქათქათა რბილ თოვლზე მივდივართ. დედას ჩემი ხელი მაგრად უჭირავს და დარბაისლურად მივუყვებით ხის ტროტუარს. მერე დიდ ქუჩაზე გავდივართ, მთავარს რომ ეძახიან. წინათ, მეფის დროს შეურქმევიათ ასე, ჯერაც რომ გაჩენილი არ ვიყავი, თორემ ახლა კარლ მარქსის ქუჩა ჰქვია. ნახეთ, რამდენი ხალხია! ოღონდაც მალე მივიდოდე და... ქვაფენილზე ეტლები მიჰქრიან და მეეტლები გამვლელებს უყვირიან: „მო-ერ-რი-დეეთ!“

სახლები ისეთები კი არ არის, ჩვენთან, ბლაგოვეშჩენსკაიაზე რომაა. არა, აქ სამსართულიანი, ქვითკირის უზარმაზარი სახლებია. დაბლა დიდი ფანჯრები აქვთ, მაღლა კი — ფირნიშები. „ქვრივი კოპაევას ძეხვეულით სავაჭრო“, ვკითხულობ პირველზე. ფანჯარაში, ლანგარზე, მოყვითალო გოჭი მოსჩანს, თვალები მიულულავს და თითქოს იღიმის. მის მაღლა სოსისის გირლიანდები, ვარდისფერი ბარკალი და მსხვილი ძეხვი ჰკიდია. გაღიმებული გოჭის ცქერით რომ დავტკბე, უკან ვრჩები, მაგრამ მაგონდება, საციგურაოზე არ დამაგვიანდეს-მეთქი და ისევ ვეწევი დედას. იქით უფრო საინტერესოა. „ბერძნულ საკონდიტრო ლამბრიონიდში“ ათასნაირი რამ გამოუფენიათ: ტკბილღვეზელები, კრემის მილაკები, უზარმაზარი ტორტი, რომელზეც შოკოლადის დათვი შემდგარა და წინა თათებში ფირფიტა უჭირავს: „ყველაფერი თქვენთვის არის!“ ესე იგი, ჩემთვის. უმალ ტკბილღვეზელები მომინდა, მაგრამ ამ დროს რაღაცამ ბუკივით დაიყვირა. მივიხედე და შუა ქუჩაში ჰატარა თვლებზე შემდგარი ლურჯი ფურგონი, —ჩვენი ქალაქის პირველი ავტობუსი დავინახე. ყველანი გაკვირვებით მისჩერებოდნენ, ამას რას მოვესწარითო. ავტობუსს ტყავის ქურთუკიანი და ჩაფხუტიანი კაცი მართავდა. ტყავის ხელთათმანიანი ხელებით საჭეს ჩასჭიდებოდა და გაღიმებული ყველას თავს

უქნევდა. ალბათ თვითონაც უხაროდა, ფანჯარაზე რომ ეწერა: „სადგურიდან ბაზრამდე სულ ათი კაპიკი ღირს“. ნეტავი მეც გამასეირნა.

— აუტანელია! — იძვირა დედამ, — ათი კაპიკი!.. აბა, დაფიქრდი, ათი კაპიკით ათი კვერცხის ყიდვა არ სჯობია?

— აქ შევიაროთ! — თქვა დედამ აგურის გრძელ სახლთან, გარშემორტყმულ აბრაზე რომ „ცენტრალური მუშათა კოოპერატივი“ ეწერა.

თუმცა ძალიან მიმეჩქარებოდა, მაინც ცნობისმოყვარეობამ წამძლია, გამეგო, რა იყო ეს რაღაც კოოპერატივი. შევდივართ და გაკვირვებული ვრჩები, რომ ჩვეულებრივი მაღაზიაა. მაუდის, ცხვრის ტყავისა და საღებავის სუნი ტრიალებს, დახლთან კი ხალხი ირევა. სანამ დედა თითებით ყველა მატერიას გასინჯავს და გამყიდველს შეეკითხება, რა ღირსო, კედელზე გაკრულ პლაკატებს ვუყურებ. ნამგლიან გლეხსა და ჩაქუჩიან მუშას ხელიხელს ჩაუკიდიათ. ზემოთ აწერია: „გაუმარჯოს ქალაქისა და სოფლის კავშირს!“ ქვემოთ კი: „მუშავ, კერძო პირისა და ნეპმანისაგან საქონელს ნუ იყიდი, შედი კოოპერატივში!“

— რატომ არაფერი იყიდე? — ვეკითხები ქუჩაში.

— მაგდენი ფული არა მაქვს.

ვიცი, ცოტა ფული გვაქვს.მამაჩემი მეხორცე კურდასოვის სავაჭრო კანტორაში მუშაობს და ეს კურდასოვი, როგორც დედაჩემი იტყვის ხოლმე, მხოლოდ გროშებს უხდის.

ქუჩაში გავდივართ. მარხილში შებმული ცხენების გვერდით მეეტლეები ბოლთასა სცემენ და მგზავრებს ელოდებიან. მერე უკვე ქალაქის სხვა უბანში ვხვდებით. აქ უფრო სიწყნარეა. არც მაღაზიებია და გამვლელებიც ნაკლებად გვხვდებიან. ტროტუარის გასწვრივ თოვლით დაზვინული ბებერი ალვის ხეები დგანან და ქუჩას აბნელებენ. ქალაქის თეატრის წინ პატარა მოედანზე გავდივართ.

— საინტერესოა, რომელში სპექტაკლი გადის? — ამბობს დედაჩემი და აფიშას უახლოვდება. — ლუნაჩარსკის „ხავერდი და კონკები“... განათლების სახალხო კომისარი... როდის იყო, მინისტრები პიესებს წერდნენ? ახლა კი...

— იმიტომაც არის, ყველაფერი რომ ძვირია, — თქვა ვიღაც სქელთავსაფრიანმა და ქურთუკიანმა ქალმა.

ცოტა რომ გავიარეთ, რაღაც მომაჯადოებელი ხმა გავიგონე. ჩუმი შარიშურის მსგავსი ხმა იყო, შიგ რომ რბილი წკრიალიც ურევია. თითქოს მსუბუქი დარტყმით წკრიალებსო ის რაღაცა. დროშებაღმართული ხის ორი კოშკურაც გამოჩნდა, რომელთა შუა ცხავისებური ხის ჭიშკარი ება.

— აი, დაინახე! — მითხრა დედაჩემმა.

პირსახით ხის ბადეს მივეკარი, ხელებით მაგრად ჩავებღაუჭე და გავირინდე. საციგურაო მოედანზე ნამდვილი მოციგურავეები პირდაპირ ჩემკენ მოქროდნენ, თითქმის ზედ ჭიშკართან მარჯვედ უხვევდნენ და საითღაც მიექანებოდნენ. ჯერ მხოლოდ აღტაცებული ხალხის მბრუნავ ზვავს ვხედავდი და მერე და მერე კი დეტალებიც გავარჩიე. ძალიან ბევრი მოციგურავე იყო და თანაც ყველანი ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ. პლისიან კაბებსა და წითელ კოფთებში გამოწყობილმა ხელიხელჩაკიდებულმა ორმა გოგონამ დინჯად და ბეჯითად გაისრიალა იმ მხარეზე, საითაც მაღალი და თმახუჭუჭა ბიჭი მიქროდა. მას ზურგზე ხელები შემოეწყო და შარფი დროშასავით უფრიალე-

ბდა. მერე სამმა ბიჭმა გაიქროლა, დამთხვეულებივით ქურთუკები რომ გაეღელათ და ერთმანეთს ხან დაეწეოდნენ და ხან ჩამოშორდებოდნენ. ო, რა ბედნიერებაა!.. ორი შავსვიტრიანი ბიჭი წინწახრით მოფრინავდნენ და ნარნარით ეშვებოდნენ ძირს. მათი ციგურები ქვრივ კოპაევას ძეხვის საჭრელი დანებივით წვრილები და გრძელები იყო. ოქროს სათვალიანმა თეთრწვერა მოხუცმა, ექიმს რომ წააგავდა, ისე გაიარა, რომ ჯიბეებიდან ხელები არ ამრეტლია. მერე ქუდფარფლიანი ქალიშვილი გაატარეს მარხილის საფეხურებზე დადგმული სავარძლით. აი, სულელი! ციგურები აქვს და მაინც სხვებს მიჰყავთ... წრის შუაგულში კი რაღაც წარმოუდგენელი ამბავი ხდებოდა. ვიღაც ქუდპომპონიანი და შარვალგაბერილი ხან უკან-უკან მიქროდა, ხან უეცრად ჰაერში შემოტრიალდებოდა და ცალ ფეხზე სრიალებდა, ხან ბზრიალასავით ბრუნავდა წელში გამართული და ხან კი მერცხალივით ფრთებგაშლილი მიქროდა.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდექი. ალბათ დიდხანს დავრჩი, რაკი ვიგრძენი, რომ ფეხები მეყინებოდა.

— საკმარისია, — გადაჭრით მითხრა დედამ, — ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს.

უკან დაბრუნებისას ყურადღებას აღარაფერს ვაქცევდი: აღარც შოკოლადიან შაქარლამებს ლამბრიონიდის საკონდიტროში და აღარც გოჭს ქვრივ კოპაევას საძეხვეში. ძილშიც და ცხადშიც ის მომაჯადოებელი სანახაობა აღარ მშორდებოდა და არც მინდოდა, მომშორებოდა. ერთი სიტყვით, ციგურების დაავადება შემეყარა. მისი სიყვარულით დავსნეულდი. ციგურების გარდა, არაფერზე აღარ შემეძლო ფიქრი და საუბარი. თუმცა ამ დაავადებას დედა და მამა ყურადღებასაც არ აქცევდნენ.

— ცოტა კიდევ წამოიზარდე და მერე გიყიდით, — მპასუხობდნენ, როცა ვეტყოდი, მიყიდეთ-მეთქი.

ციგურების სიყვარულით ხატვა დავიწყე. ადრეც ვხატავდი, მაგრამ მაშინ სულ სხვა რამეები მაინტერესებდა. ვხატავდი სახლებს, ეკლესიებს, მგზავრებით დახუნძლულ ეტლებს, კარლ მარქსის ქუჩაზე მოსეირნე ხალხს და კიდევ სამოქალაქო ომს: წითლებს — ძაბრა ქუდებით და თეთრებს — ეპოლეტებით, ცხენებზე ამხედრებულებს შუბები რომ სწორედ ისე ეჭირათ, როგორც ეს კინოთეატრ „წითელ ბაიკალში“ მინახავს. ახლა ეს ყოველივე ერთბაშად დამავიწყდა და დაჟინებით ვხატავდი ერთსა და იგივეს, რასაც „საციგურაო მოედანი“ ერქვა და რაც მკვეთრად გამოირჩეოდა ადრინდელი ნახატებისაგან. ქაღალდზე გულმოდგინედ გადმომქონდა ის ყველაფერი, რამაც ასე ძალიან განმაცვიფრა. არ მავიწყდებოდა არც სავარძელში გამოჭიმული ქალიშვილი და არც ისინი, აქეთ-იქით რომ დაქროდნენ სიგიჟემდე.

— გადასარევ რაღაცებს ხატავს, — ამბობდა დედა, — დაე, დახატოს, იქნებ მხატვარი გამოგვივიდეს.

მხატვრობა სულაც არ მაინტერესებდა, ციგურების ყიდვა კი ვერც იმ ზამთარს, ვერც — მეორე და ვერც მესამე ზამთარს მოახერხეს, როცა უკვე მერვე წელში გადავდექი.

შემოდგომიდან უკვე სკოლაში უნდა მივსულიყავი, მაგრამ ამ სასიხარულო დღემდე ერთი წლით ადრევე შევამჩნიე, მამამ რომ ჩემთან ლაპარაკს მოუკლო. უმეტესად გაჩუმებული დადიოდა და თავის თავს ეკითხებოდა:

— რა ვქნა, რა ვუყო? როგორღა ვიცხოვრო?

ერთხელ კი, ჩვეულებრივ საღამოს რომ უნდა დაბრუნებულიყო, შუადღისას მოვიდა, როცა ისევ სასრიალოსა ვხატავდი.

— კურდასოვის საქმე საბოლოოდ დაიხურა. უმუშევარი ვარ, — ყრუდ უთხრა დედაჩემს.

დედაჩემმა ერთხანს იყუჩა და მერეღა უპასუხა:

— მიმიფურთხებია მაგ კურდასოვისათვის, გაიძვერა ექსპლოატატორია და მეტი არაფერი. მთავარია, არ ინერვიულო და როგორმე ვიცხოვრებთ.

— შრომის ბირჟაზე დადგომა მომიწევს და იქ კი უამრავი ჩემნაირია.

ეს ყველაფერი რას ნიშნავდა, კარგად არ მესმოდა, მაგრამ იმას კი ვგრძნობდი, რომ ჩვენს თავს რაღაც უბედურება იყო. ამიტომაც ჩუმად ვიჯექი და არ ვინძრეოდი. მამაჩემმა ჩვეულებისამებრ საქალაქო გაზეთი „ვლასტ ტრუდა“ დამიგდო მაგიდაზე:

— წაიკითხე, ამხანაგო!

გაზეთის კითხვა არ მიყვარდა, რადგან წვრილი ასოები მაშინებდა, უცნობი სიტყვები კი სევდას მგვრიდნენ. მხოლოდ იტალიელი პოლარელების გადარჩენა მაინტერესებდა ყინულმჭრელი „კრასინის“ მიერ. განცხადებებსაც სიამოვნებით ვკითხულობდი და კარიკატურებსაც ხალისით ვათვალიერებდი, ბურჟუა ინგლისელები და თეთრგვარდიელები რომ ეხატნენ. მაშინაც გავშალე გაზეთი და კარიკატურა ვიპოვე: სიგარაგაჩრილი, ცილინდრიანი, გალიპული ბურჟუა პისტოლეტით ემუქრებოდა მუშას, რომელსაც დროშა ეჭირა. მისი ცქერით რომ გული ვიჯერე, სხვა გვერდზე გადავშალე, რათა წამეკითხა „წითელ ბაიკალში“ რა გადიოდა, რომ მის მაღლა განცხადება დავინახე, რომელიც იუწყებოდა: „ყველაფერი სპორტისათვის, დარბაზებსა და მოედნებზე თამაშებისათვის — ისრიალეთ ციგურებით და იქროლეთ თხილამურებით! არცინოვიჩისა და ლანდორიკოვის საავჭრო ფირმა ყველა სისტემის ციგურებს, ბანდულებიან თხილამურებს, ციგებს, კრივის ხელთათმანებს, ჰანტელებს, ფეხბურთისა და ტენისის ბურთებს გთავაზობთ... კრედიტით“.

— რა არის, მამა, კრედიტი?

— კრედიტი? — გაიმეორა კითხვა და მაშინვე მიპასუხა, — სესხით საქონლის გაყიდვა. დავუშვათ, ფული არა გაქვს და ამა თუ იმ ნივთის ყიდვა გინდა, უფულოდ ყიდულობ... კრედიტით. მერე კი ფარავ ამ კრედიტს.

— როგორ თუ ფარავ?

— როცა ფულს იშოვი, მაშინ შეიტან.

ზუსტად ისე, როგორც მე მინდა!

გაზეთი კუბიკების ყუთში შევინახე.

დილით, როცა მამა შრომის ბირჟაზე წავიდა, დედა კი — ქუდების სახელოსნოში, განცხადება ხელახლა გადავიკითხე და მაღაზიის მისამართი ჩავიწერე. არც ისე შორს იყო და ვერც გამიგებდნენ, რომ წავსულიყავი. ერთხანს შემეშინდა , რადგან მაღაზიაში წასვლა ეზოში გავლა ხომ არ იყო, რომ ვერავის გაეგო. არადა, უციგურებოდ აღარ შემეძლო. მივხვდი, რომ რაღაც უნდა გამეკეთებინა. მაშინვე ჩემი ფული — მამის ნაჩუქარი ვერცხლის ორშაურიანი ავიღე. მართალია, ორი შაურით ციგურების გასაღებიც კი არ მომივიდოდა, მაგრამ დანარჩენი ხომ კრედიტით უნდა ყოფილიყო. „წავედი სუფთა ჰაერზე!“ — დავაწერე ბეჭდური ასოებით კანტორის წიგნზე, მერე მოვიფიქრე და დავამატე, — „ქუჩაში“.

სადარბაზო კარიდან მეზობლების შეუმჩნევლად გავედი და კარლ მარქსის ქუჩას გავუყევი, მერე ურიცკის ქუჩაზე შევუხვიე, წიგნის მაღაზიასა და მარგულის საპარიკმახეროს ჩავუარე და უეცრად შევჩერდი. აქა ყოფილა!

ყველანაირი ციგურებია. დადექი და უყურე, რამდენიც გინდა!

კარს მივაწექი და შევედი. იმოდენა მაღაზიაში არავინ იყო. მხოლოდ დახლთან იდგა ორი კაცი, გაკვირვებით რომ შემათვალიერეს. მაშინვე ვიცოდი, ისინი იყვნენ: მაღალი და გრძელცხვირა კაცი არცინოვიჩი, მხიარული, მრგვალი და ლაჟვარდა კი, რა თქმა უნდა, ლანდორიკოვი. ჯიბეში ორმაურიანი ჩავბღუჯე და დაბნეული გავჩერდი. ორივენი იღიმოდნენ. ჩემი დანახვა ისე გაუხარდათ, თითქოს დიდი ხანი იყო, რაც მელოდნენ.

— მობრძანდით, ახალგაზრდავ, სავაჭრო დარბაზში გაიარეთ! — მითხრა ლანდორიკოვმა.

დახლს გაუბედავად მივუახლოვდი. არცინოვიჩი ჩუმად იღიმოდა და თავს კმაყოფილებით მიქნევდა. მერე კი...

— ინოკენტ, მყიდველს ყურადღება მიაქციე! — უთხრა ამხანაგს და ვიწრო კარიდან გავიდა.

— რა გნებავს? — შემეკითხა ლანდორიკოვი.

— ციგურები, — წავილუღლუღე.

— სასიამოვნოა... რომელი სისტემისას ინებებ?

— „თოვლიები“, — წავილუღლუღე.

— ახლავე, ახალგაზრდავ, — დახლქვეშ ჩაიმალა და, როცა ამოიყურყუმელავა, პაპიროსის თხელ, გასანთლულ ქაღალდში გახვეული რაღაც ეჭირა, — აი, გაისინჯე! — შემოაცალა ქაღალდი.

გამოვართვი და ვერ ვიჯერებდი: სიხარულით მეჭირა თითქოს საგანგებოდ ჩემთვის გაკეთებული ციგურები, ხელისგულებს რომ უცნაურად მიგრილებდნენ და მათ სარკესავით ზედაპირზე კი ჩემი საოცრად დაგრძელებული სახე ირეკლებოდა.

— არ მოგწონთ? — შეშფოთდა ლანდორიკოვი.

— ა-რა... კარგია, ბრწყინვალე, — თუმცა „მბრწყინავი“ აჯობებდა, მეთქვა, რაკიღა მართლა ბრწყინავდნენ.

ქალოშები გავიხადე, დავჯექი, ციგურა ყელიან ფეხსაცმელს მივაზომე და... საიდან იცოდა ზუსტად საჩემოები?!

— აი გასაღებიც ინებეთ!.. გამომართვით!

გასაღები მოვარგე, გადავატრიალე და ციგურის საფრჩხილეებმა განზე გაიწიეს, კიდევ გადავატრიალე და მჭიდროდ მიეკრო ფეხსაცმელს. მხოლოდ ფოლადის კოპიღა უშლიდა: ქუსლს ებჯინებოდა. ლანდორიკოვი ყურადღებით მიყურებდა და მზად იყო საშველად მომვარდნოდა.

— ფირფიტა ინებეთ, ახალგაზრდავ, ქუსლში ჩაურჭეთ და ისრიალეთ!.. ეს სამაგრებიც თქვენია და ეს თასმებიც. სრული კომპლექტია, ახალგაზრდავ, ფირფიტას გაუკეთებ, თასმას მოუჭერ და თუნდაც ჩრდილოეთ პოლუსზე წადი, ყინულმჭრელ „კრასინზე“ უმბერტო ნობილეს გადასარჩენად.

გავიოფლე და ქშენით დავიწყე მეორის ჩაცმა.

— საერთოდ, ახალგაზრდავ, — დამაჯერებლად თქვა ლანდორიკოვმა, — „თოვლიების“ ყიდვას არ გირჩევთ: ფირფიტები გაგაწვალებთ, გასაღებს დაკარგავთ და ფეხზეც კარგად არ მოგერგოთ... უკეთესია, „ნურმისი“ შეიძინოთ,

ცოტა ძვირია, მაგრამ მოდაშია, — მითხრა და ყელიანი ტყავის ფეხსაცმელი დამიწყო, რომლებზეც „ნურმისი“ იყო მიკრული. ჰო, რა ციგურები იყო, რომ გენახათ! ყინულმჭრელივით ცხვირები ჰქონდათ და ხელის შეხება ვერ გავუბედე; ისეთი ლამაზები იყო. ვიდექ და ალერსით ვათვალიერებდი.

— „ჯექსონის“ დათვალიერებასაც ხომ არ ინებებთ?

ლანდორიკოვი თანდათან აზარტში შევიდა. კიბეზე ავიდა ზემო თაროდან მუყაოს ყუთი ჩამოიღო. „ჯექსონმა“ სულ გადამრია. რაღაცით თითქოს „თოვლიას“ წააგავდა, მაგრამ გაცილებით ლამაზი იყო. ისიც „ნურმისივით“ ყელიან ფეხსაცმელს ჰქონდა მორგებული.

— „ნურმისს“ მაშინ სჯობია, — ამიხსნა ლანდორიკოვმა, — როცა, ახალგაზრდავ, მოინდომებთ, ყინულზე ფიგურები გამოიყვანოთ: სამიანი, რვიანი, მერცხალი, პისტოლეტი ანდა ბზრიალასავით ტრიალს ისურვებთ...

— ბზრიალასავით ტრიალი, — წამოვიძახე თავდავიწყებით და ის შარვალგაბერილი და ქუდპომპონიანი ბიჭი გამახსენდა, მე და დედაჩემმა რომ ვნახეთ. როგორც ის ტრიალებდა ,ისე ვიტრიალებ და უცნაურ ფიგურებს გამოვიყვან.

დაუცხრომელი ლანდორიკოვი უფრო შორს მიტყუებდა, როგორც ულრან ტყეში იტყუებენ ხოლმე ჯადოქრები. მაშინ არ ვიცოდი და, როცა წამოვიზარდე, მივხვდი, რომ ლანდორიკოვი თავისი საქმის ბრწყინვალე ოსტატი ყოფილა. სახიდან ოდნავ შესამჩნევ ღიმილს არ იშორებდა და საქონელს ისე გიჩვენებდა, მთელი სილამაზით რომ დაგენახა. ალბათ უსაქმურობით იტანჯებოდა და მოხარული იყო, თავისი ოსტატობა თუნდაც ჩემთვის ეჩვენებინა.

— არ გინდათ, ახალგაზრდავ, ყინულის ფეხბურთი რომ ითამაშოთ?

ასეთ თამაშზე არაფერი არ გამეგონა და გაშტერებული მივაჩერდი.

— ყინულის ფეხბურთი არ იცი, ჰოკეის რომ ეძახიან? მშვენიერი, ვაჟკაცური თამაშია და ადამიანში ყველაფერს ავითარებს: ძალას, სიმარჯვეს, თვალზომას, სიმამაცეს...

მთელი ჩემი სიცოცხლე ამ ძვირფასი თვისებების განვითარებაზე ვოცნებობდი. სწორედ ეს მჭირდებოდა.

— მაშინ „გაგინის“ სისტემისა უნდა შეიძინოთ. ინებე, ერთი ფეხით მოასწარი. ორი წყვილიდა დამრჩა თქვენი ზომისა. —„ჯექსონის“ გვერდით ფართობაქნიანი ციგურები დამიწყო.

— ციგურები მაინც, მე თუ მკითხავ, სისწრაფესა და სისხარტეს უნდა ავითარებდეს. საუკეთესო მოციგურავენი მატარებელსა და ავტომობილსაც კი არ ჩამორჩებიან. თქვენც ხომ გინდათ, ახალგაზრდავ, ყველაზე სწრაფად ირბინოთ?

— ასეთ შემთხვევაში, „ნორვეგიული“ სისტემისა უნდა შეიძინოთ.

ჩემს მადლიერ, მინდობილ გამოხედვაში სრბოლის დაუცხრომელი სურვილი შენიშნა.

საწყენია, თქვენი ზომისები რომ აღარ გამოდის, მაგრამ, თქვენდა საბედნიეროდ, ერთადერთი წყვილი შემოგვრჩა. ერთმა ბურჟუამ შეგვიკვეთა თავისი ვაჟისთვის, მაგრამ ამასობაში ბურჟუას ტყავი გააძრეს და შეკვეთა, თქვენდა საბედნიეროდ, გამოუსყიდავი დარჩა. თუ დამიჯერებთ, მთელ ქალაქში არავის ექნება ასეთი ციგურები, ქალაქში კი არა, მთელ ციმბირში ვერ იშოვით...

მართლაც შნოიანი რამე იყო, გრძელი და მოხდენილი. ზედ დამოქლონებული წვრილზე წვრილი დანები კი.. .ნამდვილად ფრენას მიქადდა ეს ციგურები. შემხვედრი ქარი რომ სტვენით გამივლიდა, მე გრიგალივით გავქროლდებოდი.

არცინოვიჩის გამოჩენისთანავე ლანდორიკოვი ერთბაშად ჩაქრა და ... ლილივით შემეკითხა:

— რომლის ყიდვას ინებებთ?

ჩემი ყურადღება უკვე გაიფანტა. ერთბაშად ყველაფრის ყიდვა მინდოდა და არჩევანი გამიძნელდა.

— „ნორვეგიულის" შეხვევას მიბრძანებთ თუ „ნურმისისას"?

— „ნორვეგიული" შემიხვიეთ, ოღონდ... კრედიტით. ჯერჯერობით მხოლოდ ორი შაური მაქვს.

ლანდორიკოვმა გაოგნებით შეხედა გაწვდილ მონეტას, არცინოვიჩმა კი ხმამაღლა გადაიხარხარა.

— ეჰ, ახალგაზრდავ! — ამოიოხრა ლანდორიკოვმა, — განა არ იცი, რომ კრედიტით არავინ გენდობა? წადი, თუ ღმერთი გწამს!

წელიმოწყვეტილივით წავჩანჩალდი. ქვრივ ეკატერინეს სავაჭროს რომ ჩავუარე, ვიტრინაში არათუ გოჭი, ბარკალი ან ქეხვი, ერთი ცალი ბაწაწკინა სოსისიც კი აღარ იყო. რკინის ფირნიშს კი მუშები კედლიდან თოკით უშვებდნენ ძირს. აღარც ლამბრიონიდის საკონდიტროში აღმოჩნდა ტკბილეული, ყველაფრისაგან დაცარიელებულიყო.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ მე და მამაჩემი ურიცკის ქუჩაზე მივდიოდით და, როცა არცინოვიჩისა და ლანდორიკოვის მაღაზიას გავუსწორდით, კლიტედადებული დარაბები დავინახე. კლიტითვე დაკეტილ კარებზე კი ფირფიტა ეკიდა: „ფირმა გაუქმებულია. პრეტენზიები არ მიიღება." მართალია, მასთან არავითარი პრეტენზია არ მქონდა, მაგრამ ჩვენს ქალაქში ახლა უკვე, შავი ბაზრის გარდა, ციგურები ალარსად იყიდებოდა. იმ წელიწადსაც და შემდეგშიც ისევ უციგურებოდ დავრჩი.

მამაჩემი უკვე გამუდმებით ავადმყოფობდა. დილიდანვე ვდგებოდი ფურნის პურის გრძელ რიგში და სკოლაში წასვლისასლა ვბრუნდებოდი ერთი პურით, რაც ჩვენი ოჯახის საბარათო ულუფა იყო. საღამოობით დენი ირთვებოდა, მთელი ქალაქი ბნელდებოდა და ბოლო გაკვეთილებს ჭრაქის სინათლეზე გვიტარებდნენ, ციგურების დარდი ვის ექნებოდა.

და მაინც ხანდახან მოედანზე დავდიოდი. ფული, რა თქმა უნდა, არ მქონდა, მაგრამ რომელიღაც მიყრუებულ კუთხეში გადავძვრებოდი და ყინულზე ბიჭების სრბოლას შორიდან ვუყურებდი.

მაღალყელიან ფეხსაცმელებთან ერთად ციგურებიც მელირსა, როცა მეშვიდე კლასში გადავედი. იმ დროს უკვე პურის რიგები გაქრა და ქალაქის ელსადგურებზეც ახალი ტურბინები ამუშავდა. იმ სახლში, სადაც ერთხელ არცინოვიჩისა და ლანდორიკოვის სავაჭრო იყო, სპორტსაზოგადოება „დინამოს" მაღაზია გაიხსნა.

— მართლაც სხვა დრო დაგვიდგა, — კმაყოფილებით ამბობდა მამაჩემი, რომელიც ახლა მექანიკური ქარხნის საგეგმო განყოფილებაში მუშაობდა.

ბლაგოვეშჩინსკის ნაეკლესიარზე კიდევ ერთი საციგურაო მოედანი გამა-

რთეს. მეც იქ ჩამრიცხეს, „ნორჩი დინამოელის“ საზოგადოებაში. ბურთიანი ჰოკეის თამაშს გვასწავლიდნენ, შაიბიანი ჰოკეი მაშინ არც გაგვეგონა.

სამოდე წლის შემდეგ, როცა სტუდენტი გავხდი, ჩემი ინსტიტუტის პირველ ნაკრებში ვთამაშობდი. უმაღლესი სასწავლებლების პირველობაზე ჩვენი გუნდი ურიგოდ არ გამოდიოდა. შეიძლება, სპორტის ოსტატობამდეც მიმეღწია, ყოველ შემთხვევაში, ასე ვოცნებობდი, ისევ სხვაგვარი დრო რომ არ დაგვდგომოდა. ჩემი გუნდი ნალმტყორცნელ ოცეულად გადაიქცა. მძიმე და ხანგრძლივი გამოდგა ეს წლები. ომის თითო წელი სამ ჩვეულებრივ წლად გვეჩვენებოდა.

როცა ომიდან დავბრუნდი, თუმცა იაპონელი სნაიპერისგან დაჭრილი ფეხი ძალიან მტკიოდა, ჯერ ისევ ვარსკვლავიანი სამხრეებითა და ყურებიანი ქუდით, საციგურაოს მივაშურე. ახლა უკვე ფული მქონდა და საკმაოდ ბევრიც. დემობილიზაციის დროს ომის თითო წელზე თითო თვის ხელფასს იძლეოდნენ და უმცროსი ლეიტენანტის ოთხი თვის ხელფასი მივიღე. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვისურვე ბილეთის ყიდვა, მაგრამ უბილეთოდ შემიშვეს.

— მობრძანდით, ახალგაზრდავ! — მომესმა კონტროლიორის ხმა, — სამშობლოს დამცველს დიდება და პატივი ეკუთვნის, გაიარეთ!

ამ ხმამ რაღაც ძალიან მიიწყებული, მაგრამ მაინც ძალიან ნაცნობი ხმა გამახსენა, ხმამ კი არა, ინტონაციამ. დავაკვირდი და ლანდორიკოვი �iკანი. დაბერებულიყო და სახეზე წვრილი ნაოჭები გასჩენოდა, მაგრამ მთელი მისი არსებიდან ისევ ადრინდელი თავაზიანობა და ადამიანის გულის მოგების სურვილი გამოსჭვიოდა. უციგურებოდ რომ დამინახა, პოსტი სხვას გადააბარა და ტრიბუნების ქვეშ სათავსოში წამიყვანა, სადაც სტელაჟზე ყველა ტიპის ციგურები ეწყო გასაქირავებლად. როგორც შემდეგ შევიტყვე, იგი არა მხოლოდ კონტროლიორობდა, ციგურებსაც ლესავდა და არემონტებდა, მოედნის მოყინვის დიდი ოსტატიც იყო, წესრიგსაც თვალყურს ადევნებდა და ყველანაირ რჩევასაც იძლეოდა, რაც კი საციგურაო სპორტს შეეხებოდა.

მისი თქმით, ყველაზე ჯარგი ციგურები მომცა, რომელიც მრავალჭირნახულ ფარაჯაზე მივიხუტე და ყინულს გავუყევი. არ ვუთხარი, ფეხი რომ ცუდად მქონდა შეხორცებული და ციგურაობა არ შემეძლო.

ციგურებით ხელში პირველად ჰოკეის მოედანთან მივედი, მერე სარბენ ბილიკთან გადავინაცვლე, მერე — საერთო მოედანზე. თუმცა ქარი ქროდა, მოლურჯო ყინულის სუსხიანი ჰაერითა და ციგურების წკრიალით მაინც ვერ ვძღებოდი.

და, აი, ახლა თვალს ვერ ვაშორებ ჩემს ქალიშვილს, მეცადინეობაზე წასასვლელად რომ ემზადება. გავცქერი მასა და მის მეგობრებს, ავტობუსის გაჩერებისკენ რომ გარბიან: საციგურაოზე არ დაგვაგვიანდესო. გავცქერი და ჩემი ბავშვობა მაგონდება. იაპონელი სნაიპერის მიერ ხინგანზე გახვრეტილი ფეხი კი სწორედ მაშინ მტეხს.

მაიაკოვსკის სალამო

ქალაქში რამდენიმე რაიონი იყო, თვითეულს საკუთარი რაიონული ბიბლიოთეკა ჰქონდა. ზარეჩინის ბიბლიოთეკას ფასადმოჩუქურთმებული ძელუ-

რი სახლი ეკავა. ეზოში, ერთადერთ ალვის ხეზე, ცარიელი საშოშიგ ეკიდა, კართან კი ჩავლილი არჩევნებიდან დარჩენილი აგიტპუნქტის აბრა.

ბიბლიოთეკას ალექსანდრე გიორგის ძე კვანტელიონი განაგებდა. რატომღაც მიაჩნდათ, რომ დიდი, მარჯვე და თავდაჯერებული კაცი იქნებოდა, რაკიღა ასეთი ქელერადი სახელი და მყვირალა, არარუსული გვარი ჰქონდა. ამიტომ, როცა ეცნობოდნენ, ჰკვიროობდნენ, ეს როგორი კვანტელიონიაო? ეგონათ, მოგვატყუეს და ხელში სხვა ვიღაც შეგვაჩეჩესო.

იგი პატარა, კუზიანი და წყნარი კაცი იყო, აზღარბული ნაცრისფერი თმითა და წამახულ ცხვირზე დასკუპული სათვალით. ქელერადი უცხოური გვარი პეპერაიან შემორჩა, რომელიც ოდესღაც იტალიიდან ჩამოსულა შემამულეთა შვილებისათვის გალობის სასწავლებლად. მერე მომღერალი ყმა ქალი შეურთავს და სამუდამოდ აქ დასახლებულა. ალექსანდრე გიორგის ძე თავს რუსად თვლიდა და „ევგენი ონეგინში“ წაკითხულის გარდა არც ერთი იტალიური სიტყვა არ იცოდა.

იგი ბიბლიოთეკასთან ცხოვრობდა, პატარა ოთახში. ქვრივი იყო და მისი ერთადერთი ქალიშვილი ლენინგრადში სწავლობდა ოკეანოლოგიის ფაკულტეტზე.

აპრილის ერთ საღამოს ალექსანდრე გიორგის ძე თავის ქალიშვილს წერილს სწერდა. ატყობინებდა, რომ ცივი გაზაფხული დადგა. მესამე დღეა, სველი თოვლი მოდის, ქუჩაში ჭყაპია და კაცს გარეთ გასვლაც არ სწადიაო...

„ბოდიში, ტანია, წინა თვეში რომ შეპირებულზე ნაკლები ფული გამოგიგზავნე, — სწერდა ალექსანდრე გიორგის ძე, — მოგეხსენება, ზოგჯერ ხდება ხოლმე, რალაცებში შემომეხარჯა. ამ თვეში კი აუცილებლად მთლიანად გამოგიგზავნი და შენი ვალიდან ამოვალ. საღამოობით სამთო ინსტიტუტისთვის ახალ კატალოგს ვადგენდი და ცოტაოდენი გამოვიმუშავე“.

უყვარდა, ქალიშვილს რომ გრძლად და დაწვრილებით სწერდა. თუმცა ეეჭვებოდა, რომ იქ, ლენინგრადში, მისი საბიბლიოთეკო ჩალიჩი ძალიან დააინტერესებდა, მაინც მისწერა, ყველანი მაიაკოვსკისადმი მიძღვნილი დიდი ლიტერატურული საღამოსთვის ვემზადებით და გადავწყვიტეთ, საოლქო თეატრიდან ლექსების წასაკითხად დაოსტატებული მსახიობი მოვიწვიოთო.

ალექსანდრე გიორგის ძემ წერა შეწყვიტა. მაიაკოვსკის საღამომდე თითზე დასათვლელი დღეებიღა რჩებოდა და მსახიობს კი ჯერაც არ მოლაპარაკებოდა. ოთახი დაკეტა და სამკითხველო დარბაზისკენ გაემართა. მაგიდებთან თითქმის ყველა სკამი დაკავებული იყო. ღუმელს უკან, კუთხეში, მაღალყვრიმალებიანი ბურიატი ქალიშვილი „კაცობრიობის ისტორიას“ კითხულობდა. საბიბლიოთეკო წესების მუდმივი დამრღვევი გლებ ივანიცინი სკამს ისე გადასჯდომოდა, თითქოს ცხენიაო, და გასასვლელი ჩაეკეტა. ამ ივანიცინს ბიბლიოთეკიდან აქამდე გარიცხავდა, კითხვის დაუოკებელ სურვილს რომ არ ამჩნევდეს. მოუსაზრებელი ჭაბუკი ყველაფერს ერთნაირი გატაცებით კითხულობს: სათავგადასავლო ნაწარმოებებია, ლექსები თუ მემუარები. ჰეგელიც კი მოუთხოვია. ორი წელია, რაც ალექსანდრე გიორგის ძე შეურიგებელ ომს აწარმოებს მასთან. ივანიცინი ფურცლის კუთხეებს კეცავდა, წიგნებს კი, ალბათ მამისეულ, ოფიცრის ჭამარში იჩრიდა .მისი მთავარი დანაშაული მაინც არშიებზე გაკეთებული შენიშვნები იყო. მოსაწონ ადგილებს აწერდა: „მაგარია!“ ანდა „ძლიერია, შე მაწანწალავ!“ „ეგრე, მაშ!“ ზოგჯერ კითხვის ნიშნებსაც

სვამდა, მერე კი ამტკიცებდა, ეს წარწერები წიგნში იყოო. საერთოდ, ბევრი ჯახირი უხდებოდა მასთან.

მოიცათ... ეს რა ამბავია? ფანქრით ხაზავს? ალექსანდრე გიორგის ძემ ნაბიჯს აუჩქარა და დაინახა, რომ გლები „ოგონიოკიდან" კროსვორდს ხსნიდა, „ისევ გადარჩა", გაიფიქრა მოხუცმა ბიბლიოთეკარმა და მკაცრად დაუტაცანა:

— ადამიანურად დაჯექი!

გლებმა წარბებქვემოდან გამოხედა, უხალისოდ გასწორდა და ისევ კროსვორდს ჩაულრმავდა.

როცა ხალხმრავლობა იყო, ალექსანდრე გიორგის ძეს მკითხველთა დარბაზში შეხედვა უყვარდა. ახლაც მაგიდებს შუა დინჯად გაიარა, რათა დაეთვალიერებინა, ვინ რით იყო დაკავებული და ევარაუდა, რისი მოწესრიგება ან შეცვლა შეიძლებოდა. ამგვარ წუთებში ძალიან ამაყობდა ამ ულამაზო ზარეჩინის ბიბლიოთეკით, გულის სიღრმეში კი ცოტათი საკუთარი თავითაც.

ალექსანდრე გიორგის ძემ მოულოდნელად შენიშნა, რომ თაღიდან, ლერმონტოვის პორტრეტთან, ბათქაში ჩამოვარდნილიყო. ზაფხულამდე ველარ გაუძლია, სანამ შეაკეთებენ... სურათს ადგილი უნდა შეეცვალოს, ხინჯი რომ დაიფაროს, — გაიფიქრა და დახლთან მივიდა, საიდანაც დარბაზის გამგე ზინაიდა მაქსიმეს ასული წიგნებს იძლეოდა.

ალექსანდრე გიორგის ძემ გადაწყვიტა მისთვის რჩევა ეკითხა: თეატრში რა ხანია არ ყოფილა და არ იცოდა, სახელდობრ ვისი მოწვევა შეიძლებოდა. არადა, კარგი, დაოსტატებული მსახიობი სჭირდებოდა.

ზინაიდა მაქსიმეს ასულს თეატრის დიდი თაყვანისმცემლად იცნობდნენ, რაშიც, ალექსანდრე გიორგის ძის აზრით, ხელს ის უწყობდა, რომ ფილარმონიის ახლოს ცხოვრობდა. იგი პატარა, ფუნთუშა ქალი იყო, თავს ყოველთვის იახალგაზრდავებდა და ზუსტად არავინ იცოდა, რამდენი წლისა იყო. თეთრი მაქმანის საყელო, პენსნე, საფეთქლებთან დახუჭუჭებული თმა და უსაშველოდ ღაქღაჟა ლოყები მართლაც გაურკვეველი ასაკისას აჩენდა. ალექსანდრე გიორგის ძე გულში უზრახავდა გაახალგაზრდავებისაკენ სწრაფვას და თეატრალური ნაცნობების გავლენას მიაწერდა. ახლა კი მისი ეს ნაცნობობაც და თეატრალური ცხოვრების ღრმა ცოდნაც საოცრად საჭირო აღმოჩნდა.

შეკითხვაზე, ვინ აჯობებს, რომ მოვიწვიოთო, ზინაიდა მაქსიმეს ასულმა მაშინვე უპასუხა:

— რა თქმა უნდა, ზოლოტნიკოვი.

— ივარგებს? კარგია?

ზინაიდა მაქსიმეს ასულს გაუკვირდა, ბიბლიოთეკარი რომ ასეთ გამოჩენილ მსახიობს არ იცნობდა.

— მსახიობი კი არა, საოცრებაა, — თქვა თვალების წკურვით, — რა ხმა აქვს, მანერები, აღნაგობა, თანაც ლაურეატია.

— ლაურეატიც?

— მხატვრული კითხვის რესპუბლიკური კონკურსისა, — რატომღაც დარცხვენით განმარტა ზინაიდა მაქსიმეს ასულმა.

— ეგ ცოტა არ არის, — შეაფასა ალექსანდე გიორგის ძემ ზოლოტნიკოვის წარმატება.

იგი გაჩუმდა, ჩაფიქრდა, მერე ტიხარს იქით პატარა მაგიდასთან მივიდა და მსახიობს დაურეკა.

— პრინციპში სადავო არაფერი მაქვს, — უპასუხა ზოლოტნიკოვმა, — შემოიარეთ და წვრილმანებზე მოვილაპარაკოთ.

ზინაიდა მაქსიმეს ასულმა სალამოსთვის აფიშის დაწერა თვითონ ითავა.

— ზოლოტნიკოვის გვარს ოქროსფერი ასოებით დავაწერ, — შესთავაზა თავისი აღმოჩენა.

— ოღონდ ისე არ გამოგვივიდეს, თითქოს მაიაკოვსკის სალამოს კი არა, ზოლოტნიკოვის სალამოს ვაწყობდეთ, — გააფრთხილა ალექსანდრე გიორგის ძემ, — და კიდევ მკითხველ-აქტივისტებს და პენსიონერებს მოსაწვევები უნდა გავუგზავნოთ.

წიგნების გამოსაცვლელად გლებ ივანიცინი მოვიდა. ნეკრასოვის ტომი ჩაიბარა და მაინ რიდის ერთ-ერთი ნაწარმოები მოითხოვა, თუნდაც „უთავო მხედარი“ იყოსო.

„ისევ განურჩევლად კითხულობს“, — გაიფიქრა ალექსანდრე გიორგის ძემ.

„უთავო მხედარი“ არ აღმოჩნდა და ზინაიდა მაქსიმეს ასულმა „გამგზავრება დედამიწის ცენტრისკენ“ შესთავაზა.

— კარგია, — დაუთმო გლებმა, — ვნახავ, რა ხდება ჩვენი სფეროს შიგნით, — მკითხველის ბარათში ხელი მოაწერა და გასასვლელისაკენ წავიდა.

ალექსანდრე გიორგის ძემ მახვილი მზერით გააცილა. არც მოტყუებულა: გლებს უნდოდა წიგნი ჭამარში ჩაეჩარა, მაგრამ უკან რომ მოიხედა, განზე ისე ფრთხილად გასწია, თითქოს სათლით წყალი მიაქვსო.

ალექსანდრე გიორგის ძის ფიქრები ისევ მაიაკოვსკის სალამოს დაუბრუნდა: დახლიდან მისი ტომი აიღო, გვერდები შეამოწმა და მზერა პორტრეტზე შეაჩერა. პოეტი წარბებსქვემოდან პირდაპირ თვალებში უცქეროდა და ისეთი იყო, როგორიც მოსკოვში, პოლიტიკურ მუზეუმში როცა ნახა. სხვა შეხვედრაც გაახსენდა... წიგნის ბაზარზე. სწორედ აქ გამოელაპარაკა ვლადიმერ ვლადიმერის ძეს და ორიოდ სიტყვით აზრიც გაუზიარა. პოეტმა მაშინ პატარა წიგნი აჩუქა, რომელზეც იქვე წაუწერა. ყოველივე ეს მისი ახალგაზრდობის შორეულ წლებში მოხდა, საბიბლიოთეკო ტექნიკუმში მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ლიტერატურულ სალამოებზე რომ დარბოდა. მაშინ თვითონაც აპირებდა „შარვლიანი ღრუბლის“ მსგავსი პოემისა თუ „აბანოს“ მსგავსი რაღაც პიესის დაწერას. მაშინდელი ამჩატები ახლა უკვირდა კიდეც. მიხვდა, რომ ლიტერატურული ნიჭი სულაც არ ჰქონია. სამაგიეროდ მის ბიბლიოთეკაში წიგნი თაროზე არ ჩერდებოდა. იქ გამართულ მასობრივ ღონისძიებებზე დასასწრებლად კი ქალაქის ცენტრალური რაიონებიდანაც კი მოდიოდნენ ბიბლიოთეკარები. ალექსანდრე გიორგის ძე თავსამტვრევ ვიქტორინებს მართავდა, აქტივს ადგილობრივ მწერლებთან ახვედრებდა, მხატვრული კითხვის კონკურსებსა და ლიტერატურულ დისპუტებს აწყობდა.

მეორე დღეს ზოლოტნიკოვთან წასასვლელად გაემზადა. ერთხანს გაუბედავად იდგა პარმალზე. ისევ ნესტიანი ამინდი იდგა. მღვრიე ციდან დაცვენილი ფიფქები ქვაფენილზე მაშინვე დნებოდნენ. ალვის ხეს ქარი არხევდა და საშოშიესთან გათოშილი ბელურა ტოტზე თავს ძლივს იმაგრებდა.

ბოლოს ალექსანდრე გიორგის ძე პარმალიდან ჩამოვიდა, გუბეებს გვერდი უქცია და ხის სლიპ ტროტუარს დაუყვა.

ფიქრობდა, მსახიობს ფული უნდოდა და ფული კი ცოტა ჰქონდა. ეშმაკმა წაიღოს, რა ძალიან ცოტა დაუშვეს წელს მასობრივი ღონისძიებებისთვის. თუმცა მსახიობისათვის მისაცემი თანხა შიდასაბიბლიოთეკო სამუშაოს ხარჯზეც შეიძლება ანაზღაურდეს. ახალი კატალოგი რომ შეადგინეს, მცირე დანაზოგი, ზუსტად ათი მანეთი, იქიდან დარჩა. „დავუშვათ, რომ ზოლოტნიკოვის გასტუმრება მოვახერხეთ, — ფიქრობდა ალექსანდრე გიორგის ძე, — სხვა სალამოებს როგორღა მოვაწყობთ? უეჭველად კულტურის განყოფილებას უნდა დავაწვე...“ მაგრამ იქვე დააღგინა, გინდა დააწექი და გინდა არა, საეჭვოა, რაიმე გამოვიდესო. „დაწოლა“ ეუხერხულებოდა კიდეც, რადგან საერთოდ ბიბლიოთეკამ ახლა შარშანდელზე მეტი ფული მიიღო. ეს თანხა შენობის გასარემონტებლად და წიგნების შესაძენად უნდა. საგაზაფხულოდ ღუმელების გაკეთებასაც აპირებდა, იატაკის შეღებვასაც და ავეჯის ყიდვასაც.

ხიდზე გადიოდა. ძირს, მღვრიე წყალში, ყავისფერი ყინულები მიცურავდნენ, ნავში მჯდარი ვილაც თავგამოდებული მეთევზე კი რულეტს ახვევდა. „რა მტანჯავ სურვილს შეუპყრია ეს კაცი ამ სიცივეში“, — გაიფიქრა ალექსანდრე გიორგის ძემ და წიგნებით სავსე პორტფელი იღლიაში ამოიჩარა. უკან მობრუნებისას ეს წიგნები საამკინძაო საამქროს უნდა ჩააბაროს.

ხიდზე სატვირთო მანქანა ამოვიდა. ძარაზე გლებ ივანიცინი იდგა. ბეწვისაყელოიანი გალეღილი ქურთუკი და მოთხილამურის შარვალი ეცვა. პირისახე ქარისათვის მიეშვირა, ხელებით კი ბაგირზე მდგარი ცირკის მსახიობივით წონასწორობას იცავდა. მან ალექსანდრე გიორგის ძეს რაღაც დაუყვირა, მგონი, მიესალმა.

— თავხედი! — ხმამაღლა თქვა ალექსანდრე გიორგის ძემ, — ქალაქში დაქრის და სკოლას კი ალბათ აცდენს.

ალექსანდრე გიორგის ძემ ელექტროსაათს შეხედა: მსახიობთან შეხვედრამდე რამდენიმე წუთი რჩებოდა. იქვე, საათქვეშ, ჭადრაკულუჯრედებიანი ორი მსუბუქი ავტომანქანა იდგა, მოპირდაპირე ყრუ კედელზე კი პლაკატი გაეკრათ: „ტაქსი — ტრანსპორტის ყველაზე ხელსაყრელი სახე“. ალექსანდრე გიორგის ძემ ამოიოხრა და ნაბიჯს მოუმატა. გუბეებს უკვე აინუნში არ აგდებდა.

დანიშნულ დროზე მსახიობს მიუკაკუნა.

— დიახ, დიახ, გთხოვთ! — უპასუხეს შიგნიდან.

ალექსანდრე გიორგის ძე შევიდა. ხის სავარძელში აბრეშუმის პერანგსა და ჟილეტში გამოწყობილი მამაკაცი იჯდა. ბიბლიოთეკარი კართან უხერხულად შეჩერდა — ყელიანი ფეხსაცმელი დასვრილი ჰქონდა, იატაკი კი სუფთად იყო მორეცხილი.

ზოლოტნიკოვი წამოდგა. დიდი, მაღლააწეული თავი სწორად ეჭირა, ჭალარაშერეული თმის ბღუჯა შუბლზე ჩამოშლოდა. მსახიობი დარცხვენილ სტუმარს მარჯვედ დაეხმარა, პალტო გახადა და სკამიც შესთავაზა. იგი მომეტებულად თავაზიანობდა და ალექსანდრე გიორგის ძემ იფიქრა, ალბათ რომელიმე სპექტაკლიდან როლს თამაშობსო.

ძლივს მოახერხა დაჯდომა, რომ მეზობელი ოთახიდან ფლანელის ხალა-

თიანი, პირხმელი და გაპუდრული ქალი გამოჩნდა. ხელში კონსერვის ყუთი და დიდი სამზარეულო დანა ეჭირა.

— ერთი წუთით, პეტრუშა, — დაუძახა და სტუმარს ისე თავაზიანად მიესალმა, ალექსანდრე გიორგის ძე მაშინვე სიმპათიით განიმსჭვალა, იგრძნო, რომ სითამამე ემატებოდა.

— მაპატიეთ, — მოიბოდიშა ზოლოტნიკოვმა. ალექსანდრე გიორგის ძემ ოთახი მოათვალიერა. მისი ყურადღება მოდიდო კარადამ მიიპყრო, სადაც დრაიზერის, ბალზაკის, ჩეხოვის პატარა ტომების ოქროსფერი ყუები ბრწყინავდა. „ხელმოწერითაა", — გამოიცნო და ინანა, თეატრს გადაყოლილმა ზინაიდა მაქსიმეს ასულმა ბიბლიოთეკისათვის ჰიუგოს თხზულებათა გამოწერა უკვე რომ დააგვიანა. ამათ კი, ეტყობა, წიგნის ფასი იციან, და ალბათ რიგში იდგნენ, ისე გამოიტანეს.

გაქუცულმაუდგადაკრული ტახტის ზემოთ ზოლოტნიკოვის რამდენიმე პორტრეტი ეკიდა. ყოველ სურათზე იგი განსხვავებული ცხოვრებით ცხოვრობდა. ერთგან ჩალმასა და ჭრელ, აზიურ ხალათში იყო გამოწყობილი, მეორეგან კეფაზე თავმომწონედ მოეგდო შეზღვაურის ქუდი და ზოლიანი მაისური ჩაეცვა. ხან თავმდაბლურად იყურებოდა მღვდლის ანაფორამოსილი, ხანაც პატიმრის ჭურთუკში გამოწყობილი პირქუშად იღუშებოდა. ერთი სურათი კი ყველასაგან განსხვავდებოდა. ბალში, რომელშიაც დიდი სახლის წინ, მხცოვან, განთქმულ მსახიობს — ალექსანდრე გიორგის ძემ რომ მაშინვე ამოიცნო — ოცდახუთიოდე წლის ჭაბუკები და ქალიშვილები შემოხვეოდნენ და რაღაცაზე იცინოდნენ. ქვემოთ კი წარწერა მოჩანდა: „თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტი, 1938 წლის გამოშვება. ქ. მოსკოვი." ზოლოტნიკოვიც აქ იყო, ახოვანი და დაკუთხულსახიანი. ხავერდის მოკლე ჭურთუკში წვრილი ყელი მაღლა აეღირა და განმარტოებით იდგა.

ალექსანდრე გიორგის ძე ამ სურათს ათვალიერებდა, ზოლოტნიკოვი რომ შემოვიდა.

— ჩვენი ინსტიტუტია! — თქვა და თვალებში სითბო ჩაუდგა, — აი, როგორი ვიყავი... — ფრთხილად შეეხო ფოტოსურათს.

— შეცვლილხართ, — თავაზიანად მიმართა ალექსანდრე გიორგის ძემ.

— რა თქმა უნდა, —გაეღიმა ზოლოტნიკოვს, — წლები, წლები! — და როგორღაც სწრაფად გადავიდა საქმეზე: — ესე იგი, სალამო თოთხმეტშია?.. ნება მიბოძეთ, გავიგო, რა გვაქვს თოთხმეტში,— გადაფურცლა უბის წიგნაკი, — რა დროს არის? ექვსი საათისთვისო? რას ამბობთ?... ბოდიშს მოგიხდით... მხედველობიდან სულ გამომრჩა, ხუთშაბათობით რომ მექანიკურ ქარხანაში თვითმოქმედების წრე მაქვს, ახლა პარასკევისთვის გადმოიტანეს, რაკილა, მგონი, პროფკავშირის კრება აქვთ.

— არ დაგვალალატოთ! — მტკიცე ხმით მიმართა ალექსანდრე გიორგის ძემ, რასაც ზოლოტნიკოვი სრულიად არ ელოდა, — უკვე აფიშაც დავხატეთ და მოსწავლეებიც დავგზავნეთ. ნუ გაგვაწბილებთ.

ალექსანდრე გიორგის ძეს მოეჩვენა, რომ ზოლოტნიკოვმა ისეთი ყურადღებით შეათვალიერა, თითქოს წიგნებიან-პორტფელიანად შეაფასაო, მერე შეყოყმანდა და ფრთხილად მიუგო:

— ასეთი სალამოსათვის, როგორც ხედავთ, წრის გაცდენაც შემეძლო, თუ

რა თქმა უნდა, გარკვეული ანაზღაურება იქნება. მსგავს შემთხვევაში ოფიცერთა სახლმა ოცდახუთი მანეთი გადამიხადა.

ალექსანდრე გიორგის ძემ დააპირა ეთქვა, მასობრივი ღონისძიებებისათვის რომ მცირე თანხა ჰქონდათ და გასამრჯელოს ნახევრის გადახდა შეეძლოთ. მაგრამ ზოლოტნიკოვის კეთილ თვალებში სიცივე რომ გაკრთა, ხმა ვერ ამოიღო. როგორ მოიქცეს? არადა, მკითხველმა მხოლოდ ხელოვანის წაკითხული მაიაკოვსკი უნდა მოისმინოს... ალექსანდრე გიორგის ძეს შეეშინდა, დუმილი უარად არ ჩამითვალოსო და დაჰპირდა, აგინაზღაურებთო.

— ასე რომ, შევთანხმდით, — წამოდგა ზოლოტნიკოვი, — ჰო, მართლა, ზარეჩინში როგორ მოგაგნოთ? ეს ხომ არც ისე ახლოსაა და მე კი ცხრა საათზე ტელესტუდიაში უნდა ვიყო. ტრანსპორტი გაქვთ?

ალექსანდრე გიორგის ძეს მოედანზე გაკრული მაცდუნებელი პლაკატი გაახსენდა და ყოყმანით შესთავაზა:

— ტაქსი რომ შევუკვეთო?

— რა თქმა უნდა, ეგ ყველაზე ხელსაყრელია.

ერთმანეთს დაემშვიდობნენ და ალექსანდრე გიორგის ძე წავიდა.

ალექსანდრე გიორგის ძემ მსახიობს თოთხმეტი აპრილის საღამოს შეუარა. ზოლოტნიკოვი მძღოლის გვერდით დაჯდა და ზარეჩინში წავიდნენ. მრიცხველი გულგრილი კაკუნით ითვლიდა კილომეტრებს. სტუმრის ზურგიდან იგი შიშით უთვალთვალებდა თეთრ პატარა ხვრელს, რომელშიც ელვის სისწრაფით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს შავი ციფრები — ოცი კაპიკი, ოცდაათი, სამოცი...

ალექსანდრე გიორგის ძემ ბულალტერიიდან წვალებით მოახერხა ფულის ერთი ნაწილის გამოტანა. ხუთი მანეთის სესხებას ზინაიდა მაქსიმეს ასული შეჰპირდა, დანარჩენს კი საიზენაც იშოვიდა, თვითონ იცოდა.

ბიბლიოთეკას რომ მიადგნენ, გამოიამინდა. საღამოს მზე ბებერი ალვის კენწეროს ოქროსფრად აელვარებდა, საშოშიესთან მიჩვეული ბელურა მხიარულად ჭიკჭიკებდა.

— ესე იგი, ორი საათის შემდეგ დაბრუნდებით, — უთხრა ზოლოტნიკოვმა მძღოლს, — ოღონდ, გთხოვთ, არ მომატყუოთ.

მძღოლმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და შეპირდა, რომ დროზე მოვიდოდა.

— მყუდრო ბიბლიოთეკა გქონიათ, — ჩაფიქრებით თქვა ზოლოტნიკოვმა, თან კედლის ჩუქურთმებს, ცისფრად შეღებილ დარაბებსა და პარმაღს ათვალიერებდა, რომლის თავზეც მავთულებში გახლართული ფრანი ეკიდა. და იცით, თითქოს ძალიან მიამსგავსა ერთი სოფლის კლუბს. ის ალბათ ახლა აღარც არის...

ალექსანდრე გიორგის ძემ შენიშნა, რომ ზოლოტნიკოვს ისეთივე თბილი და ალერსიანი თვალები გაუხდა, როგორც მაშინ, სტუდენტობის სურათს რომ ათვალიერებდა. თუმცა ბოლო დღეებში „ანაზღაურებისათვის" საჭირო თანხის შეგროვებით რომ გაიტანჯა, მსახიობზე ისე გაგულისდა, დაადგინა, ამჯერადაც რომელიმე როლს თამაშობსო. საიდან უნდა სცოდნოდა, რომ აი, ასეთივე სახლში, შორეული იმიერბაიკალის სოფლის ყველაზე საუკეთესო

სახლში, ახლანდელმა მსახიობმა და ლაურეატმა, მაშინ კი უბრალოდ, პეტიამ, პატარა კლუბის სცენაზე თავისი პირველი როლი ითამაშა.

დერეფანში, აფიშასთან გავლისას, რომელზეც მსახიობის გვარი ოქროსფრად ეწერა, ორივენი წამით შეყოვნდნენ. მოულოდნელ მოგონებებში გართულმა ზოლოტნიკოვმა აფიშა გულგრილად ჩაათვალიერა. ალექსანდრე გიორგის ძემ კი რამდენჯერმე წაიკითხა. თუმცა მისი გვარი არც ეწერა და მოხსენება უბრალოდ იყო გამოცხადებული.

— მაინც ვინ არის მომხსენებელი? — იკითხა ზოლოტნიკოვმა.

ალექსანდრე გიორგის ძემ უპასუხა.

— ოო, სასიამოვნოა! — თავი დაუკრა, — მაშინ უნდა დაგეწერათ, რომ მომხსენებელი თქვენა ხართ.

— დიახ, რა თქმა უნდა! — აღელდა ალექსანდრე გიორგი ძე, — მაგრამ, მოგეხსენებათ, ისეთი მყვირალა გვარი მაქვს — კვან-ტე-ლი-ონი, იფიქრებდნენ, შორიდან ჩამოვიდა, საიდანმეო. საერთოდაც...

— ხარკოვში ჩემთან ერთ სეზონს ვინმე კვანტელიონი თამაშობდა. თქვენი ნათესავი ხომ არ არის?

— არა, არა, რას ბრძანებთ! — ისე იუარა ალექსანდრე გიორგის ძემ, თითქოს რალაცას აბრალებენო.

მსახიობს გაეღიმა.

ისინი სამკითხველო დარბაზში შევიდნენ. აქ უკვე ბევრ ხალხს მოეყარა თავი. ზინაიდა მაქსიმეს ასულს მკითხველი-აქტივისტები, სამთო ინსტიტუტის ზოგიერთი სტუდენტი და მეათეკლასელები სკამების დაწყობაში ეხმარებოდნენ. ახალ ქურთუკში გამოწყობილი გლებ ივანიცინი საბიბლიოთეკო ტექნიკუმელ ქალიშვილებს კედლის გაზეთის გაკვრაში ეხმარებოდა და რჩევას აძლევდა, მაიაკოვსკის პორტრეტი როგორ დაეკიდათ. წესების დამრღვევი საეჭვოდ აქტიურობდა, მაგრამ ალექსანდრე გიორგის ძეს მისი ოინები სწრაფად დაავიწყდა.

ზოლოტნიკოვის დანახვისას რიგებს წყნარმა ჩურჩულმა დაუარა.

— მსახიობი მოვიდა, მსახიობი...

ზოლოტნიკოვი შეჩერდა, დარბაზი მოათვალიერა.

— შიგნით, ეტყობა... — თქვა იმავე შემპარავი ხმით, — აგერ ბათქაშიც კია ჩამოცვენილი.

ალექსანდრე გიორგის ძეს ჯავრი მოერია, ლერმონტოვის სურათი რომ ვერ გადაადგილეს. არადა, აი, სხვებიც ამჩნევენ უწესრიგობას.

მორთულ-მოკაზმულმა ზინაიდა მაქსიმეს ასულმა, სუნამოს სურნელს რომ აფრქვევდა, ხუჭუჭები სწრაფად შეისწორა და ლიმილით გაიყვანა სტუმარი მოზრდილ ოთახში, რომელიც ალექსანდრე გიორგის ძის კაბინეტი იყო.

ზოლოტნიკოვმა ქუდი მოიხადა, პალტო და შარფი მოიძრო და მაიაკოვსკის კრებული მოითხოვა, თანაც — ერთი ჭიქა ტკბილი ჩაი თუ შეიძლება, რადგან ყელში რალაც მაწუხებსო. წიგნი მაშინვე უშოვეს, მაგრამ ჩაიზე შეყოვნდნენ. ეუხერხულათ, ვინ იცის, ჩაის გარეშე გამოსვლა უჭირს და როგორ ვერავინ მოვიფიქრეთო, თვითონ ყოვლისმცოდნე ზინაიდა მაქსიმეს ასულმაც კი ვერ გაითვალისწინაო.

ჩაისთვის მოხუცი დამლაგებელი გაგზავნეს ბიბლიოთეკარის ოთახში.

როცა დაბრუნდა, მსახიობს მოწიწებით დაუდგა მუქი ჩაი და შაქარი ბადრიჯნის ნაკონსერვალი მინის ჭილით.

— ფული მოვიტანე, — ხმამაღლა უჩურჩულა ზინაიდა მაქსიმეს ასულმა ბიბლიოთეკის გამგეს, და ჩანთაზე ხელი დაიტყაპუნა.

— სუ-უ... — მსახიობისკენ მიანიშნა ალექსანდრე გიორგის ძემ.

ზოლოტნიკოვი წიგნს ჩაღრმავებოდა და ჩაის პატარ-პატარა ყლუპებით სვამდა. ალექსანდრე გიორგის ძეს მაინც მოეჩვენა, რომ სუფლიორის ჩურჩულს მიჩვეულმა მსახიობმა ყველაფერი კარგად გაიგო და მიხვდა, რომელ ფულზეც ლაპარაკობდნენ.

დარბაზში მოუთმენელი ტაში გაისმა. ზინაიდა მაქსიმეს ასულმა კოფთის მაჯა აიწია და საათს დახედა.

— დაწყების დროა, — თქვა და ალექსანდრე გიორგის ძეს მიუბრუნდა— აქ, თქვენთან, ბიჭებმა დარეკეს მეხუთე სახელოსნო სასწავლებლიდან, მთხოვეს, შემეხსენებინა, რომ დღეს მათაც საღამო აქვთ და თქვენს ლექციას უცდიან.

ყველაფერი კარგად მახსოვსო, უპასუხა ალექსანდრე გიორგის ძემ, ჰალსტუხი გაისწორა და დარბაზისკენ ისეთივე მღელვარებით გაემართა, როგორც ოცდაათ წლის წინათ, პირველი მოხსენება რომ უნდა წაეკითხა.

საღამო ზინაიდა მაქსიმეს ასულმა გახსნა.

ალექსანდრე გიორგის ძე ფანერის შემაღლებულ ტრიბუნაზე ავიდა და მოხსენება დაიწყო. სანამ მაიაკოვსკის შემოქმედების მნიშვნელობასა და მისი ბავშვობის წლებზე საუბრობდა, დარბაზში ვიღაც ახველებდა, ჩურჩულებდა კიდეც, ვიღაცას გაზეთის შრიალით გაშლაც მაშინ მოუნდა. გლებ ივანიცინი კი, ყურადღებით მოსმენას რომ აპირებდა, მოწყენილი იჯდა, თითქოს უნდოდა წამოეძახა: ეგ ყველაფერი წავიკითხეო.

მაიაკოვსკისა და მსმენელთა შორის ჩამდგარმა ალექსანდრე გიორგის ძემ როდესაც პოეტთან თავისი შეხვედრების ამბავი დაიწყო, დარბაზი გაისუსა და ყველა წინ წაიხარა. არაფერი დავიწყებია, ისიც კი გაიხსენა, მაიაკოვსკი თუ როგორი სისწრაფით გამოვიდა სცენაზე, როგორ გადაიგდო ფართო მხრებიდან ყავისფერი პიჯაკი და მარჯვენა მუშტის ქნევით როგორ კითხულობდა ლექსებს. შემდეგ ალექსანდრე გიორგის ძემ მაიაკოვსკის ავტოგრაფიანი კრებული მაღლა ასწია და დარბაზს გადასცა, რომ მისი ნახვით ყველა დამტკბარიყო.

სანამ წარწერიან ძველ წიგნს ათვალიერებდნენ, ალექსანდრე გიორგის ძემ მოხსენება შეწყვიტა. წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა.

— არც ვიცოდი, ცოცხალ მაიაკოვსკის თუ შეხვედრიხართ, — წყენანარევი ხმით ჩაილაპარაკა ზინაიდა მაქსიმეს ასულმა, — რატომ ერთხელ მაინც არ ვითქვამთ?

— შემთხვევა არ მომცემია, —უპასუხა ალექსანდრე გიორგის ძემ.

პატარა ბიბლიოთეკის დარბაზს ასეთი ტაში არასოდეს გაუგონია, მოხსენების შემდეგ რომ გაისმა. უკანა რიგიდან ვიღაცამ, ალბათ ხუმრობით, „ბის"იც კი დაიძახა. ალექსანდრე გიორგის ძემ სათვალე გაწმინდა, დარბაზს აღელვებით გადახედა და დაინახა, რომ ბურიატი ქალიშვილი და სხვა მისი ნაცნობები ისევ ტაშს უკრავდნენ. მხოლოდ გლებ ივანიცინი არ უკრავდა:

დაწითლებული და თმააბურძგნილი ისე მისჩერებოდა, თითქოს პირველად ხედავსო.

4

მხატვრული ნაწილი დაიწყო.

— ახლა ჩვენი მკითხველი გლებ ივანიცინი, — გამოაცხადა ზიზღიდა მაქსიმეს ასულმა, — წაიკითხავს მაიაკოვსკისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსს.

დარბაზში მოწონების გუგუნი გაისმა.

აღელვებული და გაწითლებული გლები მაგიდისკენ უხერხულად წავიდა, წაიბორძიკა და ტრიბუნასთან მისვლამდე წამოიძახა:

ერთხელ მას შევხვდი
ჩვენს ზარეჩინში...

ზინაიდა მაქსიმეს ასულის გასაგულისებლად ჯიბიდან ხელის ამოღება ისევ დაავიწყდა, მაგრამ, სულ ერთია, მაყურებელმა ვერც შეამჩნია, იმდენად გახარებული იყო ზარეჩინელი პოეტის გამოჩენით.

ლექსებში საინტერესოდ იყო ნათქვამი, გლები როგორ შეხვდა პოეტს თავის ქალაქში და ქუჩებში ბოლთას როგორ სცემდნენ. როგორ ათვალიერებინებდა თავის სკოლას, მექანიკურ ქარხანას და მშენებარე ელექტროსადგურს. დამშვიდობებისას მაიაკოვსკიმ ჰკითხა, უმსგავსთა საქმე როგორ არისო, სულ გადაშენდნენ თუ კიდევ გვხვდებიანო ბიუროკრატები, მლიქვნელები და სხვა ჯურის „სუბიექტები“. გლები პასუხობს, ჯერ კიდევ გვხვდებიანო, და პირობას აძლევს, რომ მათ შეებრძოლება.

გლებს ისეთი ოვაცია გაუმართეს, ქუჩაში გამვლელნი ჩერდებოდნენ, ორი ახალგაზრდა მილიციელი კი შიგნითაც შემოვიდა: რა ხდება, ჩვენს დახმარებას ხომ არ საჭიროებთო. მერე ახალი ტუდები მოიხადეს, დარბაზში ფეხაკრეფით შეეიდნენ და საღამოს დამთავრებამდე დარჩნენ.

გლების ხარვეზიან ლექსებში პოეზიის თანდაყოლილი ნიჭი შეიმჩნეოდა, „დახმარებაა საჭირო, — გაიფიქრა ალექსანდრე გიორგის ძემ, — აუცილებლად დახმარებაა საჭირო. წიგნებს ამიერიდან მე თვითონ შევურჩევ, მწერლებთანაც წავიყვან, დაე, ისინიც დაინტერესდნენ“.

ზოლოტნიკოვი კარიდან უსმენდა, დარბაზში რაც ხდებოდა.

— ნიჭიერი ყმაწვილია! — წაიბურტყუნა და ცოტა არ იყოს, შურით გაიფიქრა, რომ ამ ახალგაზრდას ყველაფერი წინ ჰქონდა. მოსკოვიც. ინსტიტუტში სწავლაც და კიდევ მრავალი ღელვა და სიხარული. ეს ბიჭი თუნდაც პოეტი არ გახდეს, პირველი წარმატება მთელი სიცოცხლე ემახსოვრება... მისთვის კი რა მნიშვნელობა აქვს დღევანდელ დღეს? ერთი საშუალო გამოსვლაა დამატებითი შემოსავლისათვის. და უცებ გუნება წაუხდა.

ამასობაში ზოლოტნიკოვი გამოაცხადეს.

აი, გამოვიდა. ტრიბუნის გვერდით ორიოდე წამით შეყოვნდა და ჭერში აიხედა, მერე თავი მკვეთრად აიქნია და კითხვა დაიწყო. მისმა ხავერდოვანმა და მყღერმა ხმამ დარბაზი ერთბაშად დაიპყრო. ალექსანდრე გიორგის ძეს დიდბუნებოვან კაცად მოეჩვენა იგი, სწორედ ისეთად, ლექსების ავტორს რომ შეეფერება.

ზოლოტნიკოვმა საკმაოდ ბევრი წაიკითხა და თანაც მშვენიერად. როცა იმეორებდა და დარბაზს გამარჯვებული გახედავდა ხოლმე, საღამოს წარმატება და მრავალი გაბრწყინებული თვალის დანახვა აკარებდა და, როგორც სა-

ერთიოდ კარგად წაკითხული მაიაკოვსკის ლექსების მოსმენისას ემართებოდა, ეჩვენებოდა, რომ ჯერ ისევ ახალგაზრდაა, ძლიერი და ცხოვრებაში კიდევ რაღაც დიდს გააკეთებს.

ზოლოტნიკოვმა საკმაოდ ბევრი წაიკითხა და თანაც მშვენივრად. როცა დაიღალა, ჩაილაპარაკა, ყელი მტკივა და მეტი აღარ შემიძლია. აღტაცებული ზინაიდა მაქსიმეს ასული ტრიბუნასთან მივიდა და ტაშის გრიალში ხელი ჩამოართვა.

სანამ მსახიობი გარშემოხვეულ სტუდენტებს და პენსიონერებს ელაპარაკებოდა, ალექსანდრე გიორგის ძე აჩქარებით შევიდა თავის ოთახში, უცხო სიტყვათა ლექსიკონი იმ გვერდზე გადაშალა, სადაც „კავალკალდასა“ და „კვანტონას“ ახსნა იყო, ათი მანეთი მონახა, ამას ზინაიდა მაქსიმეს ასულის მოტანილი ფული დაუმატა, ჩადო სტანდარტულ კონვერტში, მარკა რომ ტყუილუბრალოდ ჰქონდა მიწებებული, ხელში ჩაბღუჯა და თავის კაბინეტში დაბრუნდა. იქ, ლურსმანზე, ზოლოტნიკოვის პალტო ეკიდა და ზინაიდა მაქსიმეს ასული ფუსფუსებდა — ღონისძიებათა ჩასაწერ რვეულს ეძებდა.

— ფულს თქვენ მისცემთ? — შეეკითხა ალექსანდრე გიორგის ძე.

— თქვენთვის უფრო ადვილია.

— ჩემთვის რატომ? თქვენ ქალი ხართ!

კარის მიღმა დერეფნიდან ფეხის ხმა მოისმა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, — წამოიძახა ზინაიდა მაქსიმეს ასულმა, — ჩქარა პალტოს ჯიბეში ჩაუდეთ!

ალექსანდრე გიორგის ძემ კონვერტი პალტოს შიგნითა ჯიბეში ჩადო და, როგორც კი ხელი ამოიღო, ზოლოტნიკოვიც შემოვიდა, მხიარული, გაცოცხლებული და სახეგაბრწყინებული. ჩაიცვა.

ალექსანდრე გიორგის ძე და ზინაიდა მაქსიმეს ასული გასაცილებლად გაედევნენ.

მანქანაში ჩაჯდომა რომ დააპირა, ზოლოტნიკოვმა, მზერა ბიბლიოთეკის ფანჯრებზე შეაჩერა, თითქოს სამუდამოდ დამახსოვრებას აპირებსო.

— ძალიან წააგავს, ეშმაკმა დალახვროს! — გაიმეორა გულაჩუყებით.

ალექსანდრე გიორგის ძემ მღელვარედ ჩაახველა, მსახიობის ბუნებას კარგად ვერ იცნობდა და ნანობდა, რომ ფული ხელში არ მისცა. გაიფიქრა თუ არა, ახლა მომთხოვსო, ზოლოტნიკოვმა ჯიბეში ხელჩაყოფილ ალექსანდრე გიორგის ძეს შეშფოთებით გადახედა და ჩუმად ჩაულაპარაკა:

— არა, დღეს ყოველგვარი ჰონორარისაგან გამათავისუფლეთ, ძალიან გთხოვთ, გამათავისუფლეთ, — ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, რადგან შეეშინდა, ალექსანდრე გიორგის ძემ ფული ძალით არ შემომაჩეჩოსო და როდესაც ტაქსში ჩაჯდა, დაამატა, — მსგავს ღონისძიებას თუ კიდევ გამართავთ, დამირეკეთ, არ მოგერიდოთ... — მანქანის კარი მკვეთრად დახურა, მაგრამ ზოლოტნიკოვმა მაშინვე მინა ჩამოუშვა: — კარგად იყავით! დარეკეთ!

მანქანა ერთბაშად მოსწყდა ადგილს. წითელმა შუქნიშნებმა ოლოჩოლრო გზაზე ერთიორჯერ გაიელვა და სიბნელეში გაუჩინარდა.

— რა უხერხულად გამომივიდა, — ჩაილაპარაკა ალექსანდრე გიორგის ძემ.

— არა უშავს, — დაამშვიდა ზინაიდა მაქსიმეს ასულმა, — ფოსტით დააბრუნებს უკან.

— დაბრუნებით კი დააბრუნებს, მაგრამ რატომ უნდა შეწუხდეს.

გლებ ივანიცინი ბიბლიოთეკის პარმაღზე იდგა. ალექსანდრე გიორგის ძეს მოეჩვენა, რალაცის კითხვას აპირებს ანდა სწადია, მახარობს, წიგნებს ალარ დავჩხაპნიო, მაგრამ...

— კარგად ბრძანდებოდეთ! — ყოყმანით დაემშვიდობა და პარმაღიდან ჩაირბინა.

ალექსანდრე გიორგის ძე თავის ოთახში შევიდა. მაგიდაზე წერილი იდო, ქალიშვილთან რომ უნდა გაეგზავნა.

„და ისევ, ძვირფასო ტანიუშა, — წაიკითხა დილით დაწერილი სტრიქონები, — სიტყვის გატეხა მიხდება: გაუთვალისწინებელი ხარჯის გამო ნაკლებ ფულს გიგზავნი. შევეცდები, მომავალ თვეში გამოვისყიდო ეს დანაშაული“.

„ყველაფერმა კარგად ჩაიარა, — გაიფიქრა, — და მგონი, სალამოც რიგიანი გამოვიდა“.

ალექსანდრე გიორგის ძე იდგა და იმაზე ფიქრობდა, წერილის ხელახლა გადაწერა რომ დასჭირდებოდა, რაკილა ორი-სამი დღის შემდეგ ფულს უკან მიიღებდა. მერე ქურთუკი ჩაიცვა, ბეწვიანი საყელო ჩვეულებისამებრ მაღლა აიწია, გარეთ გავიდა და დაცარიელებულ ქუჩას გაუყვა მეხუთე სახელოსნოს სასწავლებლისკენ, სადაც ლექცია უნდა წაეკითხა მაიაკოვსკიზე.

განცხადებით

ომის შემდგომ წელს ანტონინა ივანეს ასული მარტოდმარტო ცხოვრობდა თავის პატარა, ვიწრო ოთახში, რომლის უმეტესი ნაწილი ყავისფერ, აქაიქ აქერცლილ კარადასა და ატლასის საბანგადაფარებულ საწოლს ეკავა. ატლასი ადგილ-ადგილ გაწყალებულიყო და ნაცრისფერი ბამბა მოჩანდა. ბლუშის გახეხილი სავარძლის თავზე ტილოს უხეში ხალიჩა ეკიდა, რომელზეც დიასახლისს ჯოხზე გადამჯდარი ბიჭი, ბაფთიანი კნუტი და შხამა სოკო ამოექარგა. კარადასა და საწოლს შუა ისე ვიწრო ადგილი დარჩენილიყო, რომ ანტონინა ივანეს ასული ხორცსავსე, ჯერ ისევ მოხდენილ სხეულს, ძლივს გატევდა ხოლმე.

ოთახი მჭიდროდ დასახლებულ სახლში ჰქონდა, როცა სატელეფონო თუ ელექტროანგარიში მოჰქონდათ, სხვებზე მეტს ანა ივანეს ასული კამათობდა. ამტკიცებდა, ელექტროღუმელს სულაც არა ვრთავ და არც ტელეფონზე ვტრაბახობ ვინმესთან, რაკილა თაყვანისმცემლები არ მყავსო.

მეზობლებმა იცოდნენ, ანტონინა ივანეს ასულს ხელფასი რომ ძლივს ჰყოფნიდა საბარათო სურსათის, ბინის ქირისა და ათასში ერთხელ ოპერეტაში წასასვლელად, მაგრამ როგორც კი სამზარეულოში თავს მოიყრიდნენ, მაინც ძუნწსა და წვრილმანს უწოდებდნენ. ვიღაც გაიხსენებდა, წინათ რომ სულ სხვანაირი იყო და ჰკვირობდნენ, ადამიანის ამგვარად შეცვლა როგორ შეიძლებაო.

როდესაც ანტონინა ივანეს ასული მტვრითა და ბუღით სავსე ქუჩებით სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა, არა თუ ნაყინს, გაზიან წყალსაც კი არ ყიდულობდა, თუმცა ძალიან ენატრებოდა.

უსასრულოდ გრძელი კიბეებით მეხუთე სართულზე, თავის ოთახში ადი-

ოდა და ელექტროლუმელს ჩუმად რთავდა, კატეგორიულად რომ იკრძალებოდა. ღუმელი ნელა ხურდებოდა და კარტოფილის მოხარშვას დიდხანს უნდებოდა. თუ დერეფნიდან ფეხის ხმას გაიგონებდა, ელექტროლუმელს ქვაბიანად საწოლქვეშ მალავდა და მოხარშვას მაშინღა ამთავრებდა, როცა ყველაფერი მიჩუმდებოდა.

საღამოობით მხრებზე ძველ შალს მოიგდებდა და პლუშის სავარძელში ფეხმორთხმული, ცხვირსახოცებზე ყვავილებსა და პეპლებს ქარგავდა, კოფთებს აკერებდა ანდა ძალიან საინტერესო და ძალიან დაფლეთილ წიგნს — „ესპანეთის კარის საიდუმლოებას“ კითხულობდა.

საღამოთი მაღვიძარას ქოქავდა და რბილსა და თბილ საწოლში წვებოდა, ლეიბის რომელიღაც ზამბარა ყოველთვის რომ უწრიპინებდა. მოუსვენრად ეძინა. ხან ქუჩაში დანახული შავულვაშა კაცი ესიზმრებოდა, მისი ვარაუდით, რომ დიდხანს მიაშტერდა და ხანაც მეზობლის ქმარი, — ქერა, ნახევრად სამხედრო კოსტუმში გამოწყობილი იგორ ლეონტის ძე, განსაკუთრებული ალერსით რომ უღიმის ხოლმე. გაღვიძებოდა და დილამდე თვალგახელილი იწვა.

ოთახში ბნელოდა და სიწყნარე იყო. დერეფანში ელექტრომრიცხველი ჟიჟინებდა, სამზარეულოს ონკანიდან კი დროდადრო წვეთები ეცემოდა ბაკანში.

რითი დამთავრდება ჩემი მარტოობა, ფიქრობდა ანტონინა ივანეს ასული. უნდოდა გონიერი და წესრიგიანი კაცი შეხვედროდა და შეეყვარებინა. მაგრამ ასეთს სად შეხვდება? კაცებს ხომ საზოგადოება უყვართ და მას კი მეგობრები არა ჰყავს, რაკი ოპერეტის გარდა არსად დადის, ისიც წელიწადში ერთხელ ან ორჯერ. აი, უკვე ოცდათოთხმეტ წელს მიუკაკუნა და, შეიძლება, სულაც აღარავინ შეხვდეს. არადა, როგორ იზრუნებდა, ვინმე რომ გამოჩენილიყო. შარვალს დაუუთოებდა, პერანგებს საყელოს მალ-მალე გაუხამებდა, კვირა დღეს კი უთუოდ ქალაქგარეთ ფიჭვნარში ანდა მდინარის სანაპიროზე გავიდოდნენ. დღესასწაულზე ღვეზელებს დაუცხობდა, სუფთა ფარდებს ჩამოჰკიდებდა და სტუმრებს დაუხვდებოდა, როგორც ის საზიზღარი ქალი კლავდია ტიმოთეს ასული... ოპერეტაშიც ხშირად ივლიდნენ.

ერთხელ სანოვაგის ჩანთით მაღაზიიდან რომ ბრუნდებოდა, ბოძზე გამოკრულ განცხადებებთან შეჩერდა. ყოველი განცხადების უკან ხომ სრულიად ახალ ცხოვრებაში შესახედი ჭუჭრუტანა იხსნება და მათი წაკითხვა საინტერესოა. აი, მაგალითად, ვილაც უცნობი სადღაც გამგზავრების გამო თითქმის სულ ახალ, მარმარილოს პირსაბანს ჰყიდის. ანტონინა ივანეს ასული მარმარილოს უპირსაბნოდაც იოლას გადის, მაგრამ მაინც იფიქრა, რა ეღირებაო. თუ ძალიან დიდი არ არის, მის ოთახშიც დაიდგმება, საერთო სამზარეულოში დილაობით რიგში დგომა აღარ დასჭირდება და შინ სიამოვნებით დაიბანს პირს.

აი, გერმანული და ფრანგული ენების მცოდნე, გამოცდილი პედაგოგი, რატომღაც სკოლამდელებთან ეძებს სამუშაოს...

აქ კი მოხუცი ინტელიგენტი ოთახს ან კუთხეს აქირავებს... მოხუცი?.. მოხუცი არ უნდა იყოს... შუახნისა ემჯობინებოდა... ცოლ-ქმარი ბინას ეძებს, ეტყობა, შორიდან ჩამოვიდნენ. უკვე წასვლა დააპირა, რომ მისი ყურადღება ქალალდის მომცრო ფურცელმა მიიპყრო. მასზე გაკრული ხელით ეწერა: „მარტოხელა დემობილიზებულ ოფიცერს ოთახი ან კუთხე ესაჭიროება“.

— მარტოხელა ოფიცერს, — წამოიძახა ანტონინა ივანეს ასულმა, — განცხადება ხელახლა გადაიკითხა და მისამართი ჩაიწერა..

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.

თადარიგის ოფიცერი სერგეი ლივანოვს ბინა აღარ ჰქონდა, რაკიღა ომის დროს დედამისი გარდაიცვალა და იმ ოთახში, სადაც ჯარში წასვლამდე ცხოვრობდა, ვიღაცის ოჯახი შესახლდა. გამხდარმა, პირყვითელა მოქალაქემ, სათხილამურო კოსტუმი და დაკერებული შტიბლეტები რომ ეცვა და, ეტყობოდა, ოჯახის უფროსი იყო, ლივანოვს მოახსენა, რომ ვერსად გადასახლდებოდა, რაკი ვაჟიშვილი ფრონტზე დაეღუპა, თვითონ კი შრომის ინვალიდია. მერე აღუთქვა, თუ მაინცდამაინც გამოუვალი მდგომარეობა გაქვთ, ღამეს გაგათევინებთ და ცოტახნით ჩემოდანსაც შეგინახავთ, თრევა რომ არ გაგიძნელდეთო.

ამ ხნიერი, ავადმყოფი ბიძაკაცის უკან ლივანოვმა ორი გოგონა დაინახა, სასკოლო კაბები რომ დაპატარავებოდათ. ადვილად წარმოიდგინა მათი დაღუპული ძმა, უფრო სწორად, ისეთივე ლეიტენანტი, როგორიც თვითონ იყო, და ოთახის დაბრუნებისათვის ბრძოლის სურვილი ერთბაშად დაეკარგა.

ლივანოვი ყველგან კითხულობდა, როგორ მოქცეულიყო. სამხედრო კომისარიატშიც და რაიალმასკომშიც, საქალაქო საბჭოს საბინაო განყოფილებასაც დაუწერა განცხადება, ყველგან უსმენდნენ, ჰპირდებოდნენ, მის საქმეს გაარჩევდნენ და რა თქმა უნდა, დაეხმარებოდნენ კიდეც. ბოლოს კი, ერთი თვის შემდეგ უპასუხეს, სხვა ოთახის ორდერს მოგცემთ, ოღონდ ჯერჯერობით უნდა მოითმინო და იოლას გახვიდეო.

ლივანოვიც იოლას გადიოდა. ხან თავის დეიდასთან ათევდა, ხან კი სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, სადაც მისი თანაპოლკელი, ახლა უკვე პირველი კურსის სტუდენტი, სტეგნუხინი ცხოვრობდა. დეიდა საკუთარი ბოსტნის კარტოფილითა და უშაქრო ჩაით უმასპინძლდებოდა. შემდეგ ლივანოვი იატაკზე ორადმოკეცილ იაპონურ მომწვანო საბანს ფენდა, თავქვეშ დაფლეთილ საველე ჩანთას იდებდა და ფარაჯაწახურული ისე იძინებდა, როგორც ლაშქრობისას.

სტეგნუხინი საქმეებზე ეკითხებოდა. შემდეგ ტუმბოდან შავი პურის ნაჭერს გამოიღებდა, ზოგჯერ შაქარსაც, მოხდილ ყველს ან ძეხვს, დაჭმუჭნულ გაზეთზე დააწყობდა და ეპატიჟებოდა:

— მოდი, სერგეი, დავფქვათ!...

ლივანოვი ჯიუტობდა, მაგრამ სტეგნუხინი მაინც შეაჭმევდა ხოლმე თავისი ვახშმის ნახევარს, თან იმეორებდა:

— მოდი, მოდი, თორემ, ვინ იცის, რამდენი გირბენია აქეთ-იქით. ადამიანს კი ჭამა-სმა უნდა, ამას ვერ გაექცევი.

ვიწრო საწოლზე იძინებდნენ და ზურგებით ერთურთს მჭიდროდ ეკვროდნენ.

დილაობით, ყველა სტუდენტისაგან განსხვავებით, სტეგნუხინი ვარჯიშობდა. ჯერ ფუთიან გირს ეწეოდა, საწოლქვეშ რომ ჰქონდა, შემდეგ ქუჩაში გადიოდა და, თუმცა მეგობრები დამცინავად უცქეროდნენ, საერთო საცხოვრებელს გარშემო ურბენდა. მერე უხეშ წვერს ჩამოიფხეკდა, სამხედრო ფარაჯას ჩაიცმევდა, კეპს დაიხურავდა და ლექციებზე მიეშურებოდა. საღამოს კი, თუმ-

ცა ყველანი ეუბნებოდნენ, გამოცდებამდე ჯერ ადრეაო, სამკითხველო დარბაზში იჯდა, სანამ სინათლეს არ ჩააქრობდნენ. ყოველდღიურად ტრასნოიარსკში გრძელ-გრძელ წერილებსაც სწერდა თავის საცოლეს, ბავშვობიდანვე რომ უყვარდა.

ერთხელ ლივანოვი დარაჯმა საერთო საცხოვრებელში არ შეუშვა, დეიდასთან ეშორა, და რადგან გვიან იყო, სკოლელ ამხანაგ ვადიმთან წასვლა ამჯობინა. ომის დროს მათ ერთმანეთისა არაფერი იცოდნენ და ლივანოვის დაბრუნების შემდეგღა შეხვდნენ. ძალიან გაიხარეს, სკოლაზე დიდხანს ისაუბრეს და სამწვადეში დაცილდნენ ერთმანეთს.

ვადიმი რაღაც მიზეზით არმიაში არ ყოფილიყო. აუხსნა, რომ კომისიამ დაიწუნა. მე ხომ ჯერ კიდევ მეექვსე კლასში, ფეხბურთის თამაშისას, ფეხი მოვიტეხეო. გახეთქილი ძვალი ცუდად შემეხორცდა და, თუმცა ძალიანაც ვიხვეწებოდი, აღარ წამიყვანესო...

საინტერესოა, რამ დაავიწყა ლივანოვს, ვადიმმა თუ ფეხი მოიტეხა? ის კი ძალიან კარგად ახსოვს, შესანიშნავი ფეხბურთელი რომ იყო და „სპარტაკის" ახალგაზრდულ გუნდშიც თამაშობდა. ვადიმმა ისიც უთხრა, ომიანობისას ფიზკულტურის ინსტიტუტი დავამთავრე და ცოლიც მოვიყვანეო.

— ვინ არის შენი ცოლი? — დაინტერესდა ლივანოვი.

— უ-უუ... ძალიან საქმიანი ვინმეა, ნამეტანი საქმიანი, სასურსათო საწყობში მუშაობს დირექტორის მოადგილედ. წარმოიდგინე ოროთახიანი ბინის მოხლაფორთებაც კი მოახერხა. მეც თავისთან მომაწყო.

— ჩვენი ხნისაა და უკვე ამდენის გაკეთება შეუძლია? — გაიკვირვა ლივანოვმა.

— საერთოდ კი... ცოტა უფროსია... ასე ათიოდე წლით, მაგრამ ისეთი ენერგიულია, რომ... მოკლედ, ძალიან ენერგიული...

ასე არწმუნებდა შეზარხოშებული ვადიმი.

— გახსოვდეს, სერიოჟა, — ეუბნებოდა და მხრებზე ეხვეოდა — სიკვდილამდე შენი მეგობარი ვიქნები. თუ გაგიჭირდა, არ დამივიწყო.

ლივანოვს სწორედ ეს საუბარი გაახსენდა და ვადიმისკენ გაემართა. შეეცადა, წარმოედგინა, როგორ შეხვდებოდა და როგორ გააცნობდა თავის განსაკუთრებულ, — აქ ჩაეცინა, — საქმიან ცოლს.

— გაგიმარჯოს, შე ძველო! — მხიარულად შეეგება ვადიმი, — ბოლოს მაინც მოაგენი ჩემს ბუნაგს?! ფეხები რაც შეიძლება კარგად გაიწმინდე, დღეს პარკეტი გავაპრიალეთ და... ჰო, შემოდი!

ლივანოვი სავარძელზე ჩამოჯდა და მიმოიხედა. წითელი აბრეშუმის აბაჟურიდან სასიამოვნო, ლბილი შუქი იღვრებოდა და ოთახში განსაკუთრებულ მყუდროებას ქმნიდა. მუხის მოჩუქურთმებულ ბუფეტში ოქროსფრად მოვარაყებული ფინჯნები ლაპლაპებდნენ, მაგიდაზე ნიკელის ახალი ჩაიდანი და ლარნაკები ბრწყინავდნენ. ძაფზე, აბაჟურის ქვეშ, ყვითელ-მწვანე და ლურჯი ფერებით შეღებილი ცელულოიდის თუთიყუში ქანაობდა. კუთხეში ვადიმის პალტო და ალბათ მისი ცოლის შავი ქურქი ეკიდა.

— ახლა ცოტაოდენს გადავკრავთ! — თვალი ჩაუკრა ვადიმმა, კარი შეაღო და დაუძახა, — ვერენოჩკა! გამოხვალ ჩვენთან? უკვე დაწექი? სერიოჟა ლივანოვი მოვიდა, გახსოვს რომ გიამბე?

ოთახიდან მბრძანებლური, რაღაც სტვენისმაგვარი ხმა მოისმა.

— კარგი, კარგი! — მორჩილად უთხრა ვადიმმა, — დაიძინე, თათუნია! გუშინდელი ვახშმიდან ნახევარი ლიტრა ხომ არ გადამალე? ტიხონოვიჩმა გამოწრუპა!.. აი, ხათაბალა!.. გუშინ,—მიუბრუნდა ლივანოვს,—სპირტული საქონლიდან ერთი მოლვაწე მოგვივიდა და... მოლვაწეს ვამბობ, ბაბა, რა ეწნა, ჩემი სამსახურისაივის საჭირო კაცია და... იმის გამოა ყველაფერი. ისე მოხდა, რომ ვერაფრით გიმასპინძლდები. მარტო ჩაის თუ ვიმყოფინებთ. მოდი, ჩაი დავლიოთ, ჰა?...

— ნუ შეწუხდები! — შეაჩერა ლივანოვმა და აუხსნა, რომ ღამის გასათევი არსად ჰქონდა.

ვადიმმა გაურკვევლად ჩაიხრიტინა და ნირწამხდარი დადუმდა.

— ჩაწერილი ხარ?

— ჯერ ვერ მოვასწარი.

— მ-და-აა... ხათაბალაა, — გაჭიმა ვადიმმა, — სამწუხაროდ, გუშინ უბნის რწმუნებული მოვიდა საბუთების შესამოწმებლად, და იცი, რატომ? ერთი ჩვენი თანაშრომელი შევიკედლეთ.. მივლინებით იყო... ისეთი ალქაჯი მეზობლები გვყავს, ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ და გვაბეზღებენ. უბნის რწმუნებულმა კი გაგვაფრთხილა, დაგაჯარიმებთო, თუ კიდევ... გამიგე, სერიოჟა, დღეს ასე... უბრალოდ... ვერაფრით. ერთიც ვნახოთ, რაღაც ეშმაკად ისევ უბნის რწმუნებული წამოგვაყენოს? შენც ხომ უსიამოვნება შეგხვდება, არსად რომ არ ხარ ჩაწერილი..

ქუჩაში შემოდგომის ცივი ქარი უბერავდა. მშრალ ხორხოშელას აყრიდა. ლივანოვმა ფარაჯის საყელო აიწია და ქვითკირის სახლებშუა ვიწრო, ცარიელ ქუჩაში წალასლასდა. მონღოლეთის სტეპზე გათეული ასეთივე ქარიანი ღამე გაახსენდა. მაშინ იქ არც იურტა იყო და არც რამ მიწური თავშესაფარად, სანგრისა თუ ორმოს გათხრა კი ჭირდა, რადგან მიწა ბეტონივით გაყინულიყო და რკინასავით ელრიალებდა. გაეხვია მაშინ კარავლაბადაში და ჯარისკაცებთან ერთად კოცონს მიეფიცხა, იწვა და ფიქრობდა, შორეულ ქალაქთა თბილ ოთახებში ფუმფულა ლოგინებში რომ ეძინათ, ზოგიერთ ახირებულს კი მეტი სიმყუდროვისათვის დარაბებიც დაეკეტა. ჯარისკაცთა სახეებს კოცონის შუქი ანათებდა, სამთითა ხელთათმანებში თითები ეყინებოდა, თვალებს კი ბოლი სწვავდათ.

ლივანოვი ბულვარზე გავიდა. რკინის ოთხფეხა მოლობილში ჩაბნელებული, გაშიშვლებული ხეები ითოშებოდნენ. სკამზე ჩამოჯდა. მეხუთე სართულზე, მის მოპირდაპირე ფანჯარაში სინათლე ჩაქრა. ალბათ ამ ფანჯრის პატრონიც დასაძინებლად დაწვა. ლივანოვი ახლა ვერ გიპასუხებდათ, სად უკეთესი იყო; მონღოლეთის სტეპის ჯარისკაცურ კოცონთან თუ დიდი, თბილი სახლებით გაშენებულ მშობლიურ ქალაქში. მერე ის გაახსენდა, მზვერავებთან ერთად შემოდგომის წუმპეში რომ იწვა და გერმანელთა ცეცხლით გარშემორტყმული უკან-უკან მიხოხავდა. სტეგნუხინი ავტომატის მოკლე ჯერით იგერიებდა მტერს და ცდილობდა მტრის ყურადღება თავისკენ მიექცია, გერმანელების ჯიბრზე სამშვიდობოს მაინც გავიდნენ და დაჭრილებიც გამოათრიეს. მოგვიანებით სტეგნუხინიც უცნებლად გამოხოხდა.

„ეჰ ამაზე მეტი ხდებოდა“, — გაიფიქრა, სკამზე მიწვა და თვალები დახუჭა. და უცებ ნადავლი აკორდეონები ამღერდნენ თბილ მიწურებში. ისევ განმეორდა ორმოცდახუთი წლის რომელიღაც აპრილი. კენიგსბერგიდან შო-

რეულ აღმოსავლეთისკენ მიემგზავრებოდნენ. გაჩერებებზე ჯარისკაცები ვაგონებიდან ჩამორბიან, მედლების ელრიალითა და ულვაშის გრეხილ სიდგურელ ქალიშვილებს ეცნობიან და გერმანულ ღია ბარათებს სთავაზობენ. „იძლევი პორტატურს!" — ვაგონის კარზე აწერს ვილაც ჯარისკაცი. ... ვაგონჰაუპტვახტში გზავნიან სამხედრო საიდუმლოს გამომქვანებისთვის, როიალიც დაესიზმრა, მძიმე ტანკ KB-ს გვერდით რომ იდგა პლატფორმაზე და ვილაც პატარა სერჟანტიც, რომელიც კაკუნით ცდილობდა გამოეყვანა „სიმღერა კატიუშაზე".

ლივანოვს გარიჟრაჟამდე ეძინა, მერე ყინვამ მოუჭირა და ფეხები გაეყინა. ადგა და ხეტიალი დაიწყო. იქამდე იხეტიალა, სანამ არ გათენდა. მერე ფოსტაში შევიდა და აქ ვილაც ანტონინა ივანეს ასულ ბოგოროდსკაიას წერილი გადასცეს, რომლითაც ბინას სთავაზობდნენ.

— ხელსაყრელია, — თქვა მხიარულად და ბოგოროდსკაიასთან წასვლა გადაწყვიტა. მერე იფიქრა, ჯერ ტელეფონით გავაფრთხილებო.

3

იმ დღეს ანტონინა ივანეს ასული ოთახს დიდხანს ალაგებდა. მტვერი ყველგან გადაწმინდა, მაგიდის გახუნებული ცისფერი სუფრა გადააფარა და ზედ ხის საფანქრე ჭიქით ყვავილი დადგა. საბანს გახამებული და ცაუთოებული ზეწარი გადააფარა, რათა ნაცრისფერი ბამბა დაემალა და ტუმბოც მაკრატლით დაჭრელებული თეთრი ქაღალდით მორთო. ყოველ წუთს მაღვიძარას უყურებდა, ეშინოდა, ვაითუ ლივანოვის მოსვლამდე მომზადება ვერ მოვასწროთ.

ოთახი როცა მილაგებულად ჩათვალა, სველ ტილოში შეხვეული თმა ჩამოიშალა, კუს ბაკნის ძველი სავარცხელით დაივარცხნა და საფეიქლებთან აიხუჭუჭუა. მერე კარადა გამოაღო და ჩაფიქრდა, რა ჩაეცვა — თეთრი თუ ლურჯი კოფთა. თეთრი, რა თქმა უნდა, დაამშვენებდა, მაგრამ ლურჯი ახალია და ტანს მჭიდროდ ეტმასნება.

ანტონინა ივანეს ასულმა ლურჯი ამჯობინა. შემდეგ, თვალი რომ არ წასვლოდა, ფრთხილად ამოიჭიმა აბრეშუმის წ'ინდები და უკვე მოდიდან გაქცეული მაგრამ ჯერ ისევ ახალი, ბაფთიანი ტყავის ფეხსაცმელი ჩაიცვა. სარკესთან ბინცეტით წარბები ამოიქნა, სახე გაიბუდრა, ტუჩზე პომადა წაიცხო და ციცინათელასავით შეიზილა. სუნამოს ბოთლი იმდენი ანჯღრია, ორიოდე წვეთი მაინც წამოიდინა, მერე სავარძელში ჩაჯდა და ფრჩხილების დაქნა დაიწყო. ლაქის წასმა კი ვერ მოასწრო — კარზე დააკაკუნეს.

აღელვებული მიუახლოვდა კარს და კაუჭის ახსნა დააყოვნა. როცა გააღო, საშუალო ტანის კაცი დაინახა, ქერა წარბებზე ყურებიანი ქუდი რომ ჩამოეფხატა და შავლილებიანი გაკრიალებული ფარაჯა ეცვა. სუფთა ჰაერისა და სუნამოს სურნელება მოიტანა იმ კაცმა.

— ბოგოროდსკაია, — გაეცინა ანტონინა ივანეს ასული, ოდნავ გაიღიმა და იგრძნო, რომ მისი ხელი ძლიერ ხელში მომწყვდეულიყო.

ლივანოვმა ფარაჯა ლურსმანზე ჩამოჰკიდა, ბრტყელი ქამრის ქვეშ ნაოჭები ჩვეული მოძრაობით გაისწორა და გიმნასტერა ჩამოძგიბა. მის მკერდზე ელრიალით მიეხალნენ ერთურთს ბრინჯაოსა და ვერცხლის მედლები. მერე

ოთახი მოათვალიერა და, როგორც გაჭირვებას მიჩვეულ კაცს შეეფერება, რომელსაც ფრონტული ცხოვრების გარდა უსახლკარობაც გამოუცდია, მაშინვე იგრძნო, რომ ეს ოთახი ყველაფრით ხელსაყრელია. სავარძელში ჩაჯდომისთანავე მოქარგული ბალიშები დაათვალიერა, კედელზე დიასახლისის ნახელავი სასაცილო ხალიჩაც დაინახა და თავიც უკვე საკუთარ სახლში იგრძნო. ის კი არა, ძილიც მოერია.

ანტონინა ივანეს ასული წინ ჩამოუჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო. ლივანოვმა მისი სავსე, მრგვალი მუხლები შენიშნა, რომელთაც მჭიდროდ შემოტმასნოდა აბრეშუმის წინდები. ხელი რომ გაეწვდინა, მისწვდებოდა, ისე ახლოს იყო.

დიასახლისი ალერსიანად იღიმებოდა. მისი კულულებიც შენიშნა ლივანოვმა, სუნამოს სურნელებაც შეიგრძნო და, არა უშავს რა, სიმპათიურიაო, გაიფიქრა.

„ულამაზო არ არის, — შეაფასა ანტონინა ივანეს ასულმაც, როგორც კი ლივანოვის ბარაქიანი ნიკაპი და აბრეშუმივით მბზინავი სწორი წარბები შეამჩნია, — ულამაზო სულაც არ არის, რა თქმა უნდა, მაგრამ ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, თითქმის ბიჭია, ოცდათხუთ წლამდე თუ იქნება. სახეც სანდომიანი აქვს. სამი ორდენი... ალბათ ომში იყო და მამაცი ჭაბუკია. შემოვუშვებ და ალარც მომასვენებს. იპოვა, როგორც იტყვიან... თავისი საკბილო... სამზარეულოში ვეღარც გამოვჩნდები. არადა, საყვარელი ბიჭია, თვალებიც კარგი აქვს, ნაცრისფერი... თუმცა ბოლოს და ბოლოს ჩვენს შორის მაინც არაფერი მოხდება“.

ანტონინა ივანეს ასულს შეეკითხა, ცოლიანი ხომ არ ხართო, და უარი რომ მიიღო, გაუხარდა, სავარძლის მხარეს შენ დაგითმობ, შუაზე კი ფარდას ჩამოვაფარებო.

„მეზობლები ერთხანს იჭორავებენ და დაჩუმდებიან“, — დააღგინა ანტონინა ივანეს ასულმა.

ოთახში თბილოდა და მყუდროება იყო. ლივანოვი რაც მეტს უყურებდა, ქალს, მით უფრო სიმპათიური ეჩვენებოდა და დაეთანხმა, ხელსაყრელი წინადადებააო.

„დავსახლდები ჯერჯეროობით ამ დეიდასთან და მერე ვნახოთ, საქმე როგორ აეწყობა“, — გადაწყვიტა ლივანოვმა. ომმა და ჯარმა ასწავლა, ადამიანი მაინცდამაინც შორს რომ არ უნდა იყურებოდეს და მხოლოდ ხვალინდელ დღეზე ფიქრობდეს.

„საინტერესოა, ამაში რა აქვს?“ — გაიფიქრა ანტონინა ივანეს ასულმა, როცა ლივანოვმა სპილენძის საკეტიანი ტყავის დიდი ჩემოდანი შემოიტანა: ერთი გერმანული და ერთი იაპონური, — ნადავლი იქნება“.

საღამოს საწოლსა და კარადას შუა კედლიდან ჩამოღებული ხალიჩა ჩამოჰკიდეს და, თუმცა სავარძელი ვერ გასწვდა, ლივანოვმა მაშინვე ღრმად დაიძინა.

ანტონინა ივანეს ასულს ბირიქით დაემართა: დაძინება ვეუძნელდა და დილითაც ადრიანად წამოდგა. ადგა მისთანავე მდგმურის შიშველ ფეხებს შეეფეთა, საბნიდან რომ გამოჩრილიყო.

„ალბათ გაიყინა ბიჭუნა“, — ამოიოხრა და თავისი ძველი ზამთრის პალტო დაახურა.

ლივანოვმა თვალები გაახილა.

— გათბუნებდით, — დარცხვენით აუხსნა დიასახლისმა.

მოულოდნელმა და უჩვეულო ზრუნვამ ლივანოვს სიამოვნება მოჰგვარა. ჩაცმისას გიმნასტურაზე მიკერებული თეთრი საყელოც შეამჩნია და ამან უფრო კეთილად განაწყო.

სამზარეულოში პირის დასაბანად რომ გავიდა, სამი ქალი მაშინვე გაჩუმდა. ლივანოვი მიხვდა, მაინზე საუბრობდნენ. ალბათ ჭორავდნენ.

„ეშმაკმა წაგიღოთ", — გაიფიქრა და სამივეს თამამად შეხედა, მაგრამ მათ თვალწინ პერანგის გახდა მაინც ვერ გაბედა. დაბანის შემდეგ კი იატაკი სველი ტილოთი სუფთად მოწმინდა და ისე ფეხაკრეფით გავიდა, ჩექმების ხმა რომ არავის გაეგონა.

დიასახლისმა საუზმედ ბურღულის ფაფა და ჩაი მიართვა, მრგვალი, უგემური კამფეტით. თვითონ მხოლოდ სამი კოვზი გადაიღო, დანარჩენი კი ლივანოვს შეაჭამა.

— მიირთვით, — ჩაილაპარაკა, — მაშაკაცი ხართ, ძლიერი უნდა იყოთ. რაღაცის მომზადება კიდევ შემეძლო, მაგრამ... გამაწვალა ამ ელექტროღუმელმა...

— ეს ქურა, საერთოდ არ ვარგა, — გაიღიმა ლივანოვმა, — სხვა რაღაც უნდა მოვიფიქროთ.

ნასაუზმევს გამტარის ერთი ბოლო ორთქლის ბატარეას შეუერთა, ქურა ასე უფრო სწრაფად თბებოდა, ენერგია კი, ლივანოვმა ანტონინა ივანეს ასული მრიცხველთან მიიყვანა და აჩვენა, რომ არ ირიცხებოდა. ყველაფერი მიწაში მიდისო.

იმ თვის სინათლის შესატანზე ანტონინა ივანეს ასულს აღარ უკამათია.

— არა უშავს, — ხელისჩაქნევით მიაფუჩეჩა, ქირის ამკრეფს რომ ხურდა არ აღმოაჩნდა, — ასეთ წვრილმანზე თავის შეწუხება არ ღირს.

ქალი თანდათან მოსწონდა ლივანოვს, თუმცა ჯერ კიდევ კარგად არ იცნობდა, რადგან სახლიდან დილიადრე გადიოდა და საღამოს ბრუნდებოდა: ზოგჯერ კი უფრო გვიანაც. დიასახლისს ეუბნებოდა, თავის საქმეს რომ აგვარებდა, მაგრამ, რომელ საქმესო, ამაზე არას ამბობდა.

ანტონინა ივანეს ასული ბევრ წვრილმანსა და აუცილებელ საქმეს უკეთებდა. გაღვიძებამდე შარვალს უთოებდა, საუზმეს უმზადებდა, ოთახს ულაგებდა, საღამოთი კი სავარძელზე გამზადებულ ლოგინს ახვედრებდა და, რა თქმა უნდა, ცხელ ვახშამსაც. ლივანოვი ფეხულს აძლევდა, რომელიც ახლა უკვე კარგად ჰყოფნიდა და რაკი გაიგო, ქალს ტკბილეული უყვარდა, ხანდახან კამფეტები და ნამცხვარიც მოჰქონდა.

ანტონინა ივანეს ასული თავს ახლა უკვე მარტოხელად აღარ გრძნობდა, ფეხულიც მეტი გაუჩნდა, მაგრამ ხვაშიადის გამქლავნება და ნაზი ალერსი კვლავ ძველებურად ენატრებოდა. ლივანოვი პატიჟისცემითა და მეტისმეტი თავშეკავებით ეპყრობოდა. ანტონინა ივანეს ასული გრძნობდა, რომ ლივანოვი იმდენად უფროსად თვლიდა, სხვაგვარი დამოკიდებულება აზრადაც არ მოსდიოდა. აღარც ანტონინა ივანეს ასული ჩქარობდა. დაე, ყველაფერს თვითონ მდგმური მიხვდესო.

ქალის ასეთ ზრუნვას ლივანოვი თანდათან ისე მიეჩვია, ველარც კი გრძნობდა. ანტონინა ივანეს ასული მისმა უყურადღებობამ გაანაწყენა და ერ-

თხელაც, როდესაც ლივანოვი გვიან დაბრუნდა, სავარძელზე გაშლილი ლოგინი აღარ დაუხვდა, ჩაიდანიც ცივი იყო. მეორე დღესაც იგივე განმეორდა.

რაშია საქმე? ჩაფიქრდა ლივანოვი და გაახსენდა, ანტონინა ივანეს ასული რომ მხრით ან ხელით შეეხებოდა ხოლმე, ვითომდა შემთხვევითო, რამდენჯერმე კი სიცილით ჩაიც მოსვა მისი ჭიქიდან.

მეორე დღეს ლივანოვმა კინოში დაპატიჟა. ხელკავით მაგრად ეჭიდა და მისი მკლავის სითბოს პალტოშიც კი გრძნობდა. საღამოთი ანტონინა ივანეს ასული ისევ მზრუნველ და კეთილ დიასახლისად გადაიქცა. სავარძელზე ისხდნენ და საუბრობდნენ. ლივანოვი დაზვერვის ამბებს უყვებოდა.

ღამით ლივანოვი ანტონინა ივანეს ასულის ოხვრამ გააღვიძა, მიხვდა, რომ მას არ ეძინა.

ოთახში ცხელოდა.

ლივანოვმა ერთხანს იყოყმანა და მერეღა შეეკითხა:

— არ გძინავთ?

— არ შემიძლია, სერიოჟკა...

— რა გემართებათ?

— არ ვიცი... არ მეძინება...

საწოლიდან სავარძლამდე ორი ნაბიჯი იყო. ლივანოვი წამოდგა, ხელიჩა გასწია, ოთახს რომ ჰყოფდა, ქალისკენ დაიხარა და მხრებზე შეეხო.

— არ გინდა, სერგეი ნიკალაევიჩ, — შემკრთალი ხმით ჩაიბუტბუტა და გაუბედავად მიიზიდა თავისკენ.

დილით კი, პირისბანისას, მათი მეზობელი იგორ ლეონტის ძე, საერთო სამზარეულოში რომ ჩექმებს იწმენდდა, შეეკითხა:

— ბოდიში, ანტონინა ივანეს ასულის ნათესავი ხართ?

— დიახ, ქმარი ვარ, —უპასუხა გამომწვევად.

იგორ ლეონტის ძემ დარცხვენით ჩაახველა და ჯაგრისი ააჩქარა.

— დღეს ჩემი დაბადების დღეა, სერიოჟკა, — ახარა ანტონინა ივანეს ასულმა.

ლივანოვმა ჩემოდნიდან იაპონური ხალათი ამოიღო და სავარძელზე დააგდო. ლურჯ ხალათზე ალისფერი ყვავილები და მონავარდე სამოთხის ჩიტები ეხატა.

— შენი იყოს, — თქვა ლივანოვმა. — დაბადების დღისთვის...

ხალათი სასიამოვნოდ აშარიშურდა. თვალს ახარებდა, ფერს რომ იცვლიდა და ღია ლურჯ ფერში გადადიოდა.

ანტონინა ივანეს ასული სამზარეულოში ხალათით შევიდა, მაშინვე მეზობლები შემოეხვივნენ:

— საუცხოოა!...

— ჰაეროვანია!...

— ძვირფასი განძია, — შეაფასა კლავდია ტიმოთეს ასულმა, ვერცხლისფერ ნაქარგს თითები რომ ფრთხილად შეახო.

— თავბრუ დაახვია ახალგაზრდას... თავბრუ დაახვია, — თქვა კლავდია ტიმოთეს ასულმა, როცა ანტონინა ივანეს ასული სამზარეულოდან გავიდა.

— დაახვია და დაინარჩუნებს კიდეც, — იწინასწარმეტყველა მეორე მეზობელმა, — აი, ნახავთ თუ არ დაინარჩუნებს.

საღამოთი ლივანოვს სტეგნუხინი ეწვია, უფრო მოგვიანებით კი — ვა-

დიმი. სერგეიმ ანტონინა ივანეს ასულს გააცნო ისინი. მაგიდაზე ძეხვის, ვინეგრეტისა და ქაშაყის თეფშებთან ერთად მუქი და ღია ფერის ბოთლები გაჩნდა. სამზარეულოში ანტონინა ივანეს ასული კატლეტებს წვავდა.

— მოწყობილხარ და ეგ არის, — მიმართავდა ლივანოვს ვადიმი, — ჩემი აზრით, კარგადაც მოწყობილხარ. ოთახი რიგიანია, რაც მთავარია, და მეტი რა გინდა?...

სტეგნუხინი რატომღაც დარცხვენითა და უხალისოდ შეექცეოდა. მერე მოიბოდიშა, დილაადრიან სემინარზე მივდივარ და სამეცადინო ბევრი მაქვს, ალბათ შუალამემდე მომიხდება ჯდომაო. თუმცა ბევრს ეხვეწნენ, ნუ წახვალო, მაინც ალარ დაიშალა, წამოდგა და ფარაჯა ჩაიცვა.

გასაცილებლად ლივანოვი გაჰყვა. სადარბაზოში რომ გავიდნენ, სტეგნუხინმა სახეში შეხედა:

— ეჰ, სერიოჟა, სერიოჟა... განა ეს საქმეა, რა გააკეთე?... შენც ვადიმივით... — როგორც კი ეს უთხრა, შეტრიალდა და ჩექმების ბრახუნით კიბეზე დაეშვა.

ლივანოვი კარგახანს იდგა და მისი ჩექმების ხმას უსმენდა, რომელიც თანდათან შორდებოდა. ერთბაშად მოუნდა, სტეგნუხინს დასწეოდა და იმ წარუმატებელი დაზვერვის ამბავი გაეხსენებინა, კარავლაბადებით რომ ძლივს გამოიყვანეს დაჭრილები. სტეგნუხინი კი მაშინ თავისი ტყვიამფრქვევით ვაჟკაცურად ელობებოდა მტერს. მოესურვა, გაეხსენებინა და ეკითხა, ახლა ვინღა გადაგვეფარება, თუ ჩვენ არ გადავეფარებითო ერთმანეთს.

ლივანოვმა კიბეზე აჩქარებით ჩაირბინა და სადარბაზოდან თოვლით დაფარულ ქუჩაში გავარდა. ქუჩაში არავინ იყო. სტეგნუხინი ისე შორს წასულიყო, თუნდაც დადევნებოდა, ვერ დაეწეოდა.

□

ფირდოუსი

ქეი-ქაუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარსულიდან თარგმნა ბელა შალვაშვილმა

შედის და... უმალ ნებდებიან ქაუსს მხარენი,
ლომს ან კი ვითარ შეებმიან სუსტი ხარები?

და აჰა, გზაზე ბერბერთ მხარე გადაეყარა.
გადინადირა, გადიარა ბევრი ქვეყანა,

ბერბერთა მეფემ წამოიწყო ბრძოლა ფიცხელი, —
ამოიწვადა მახვილები აღურიცხველი.

ლაშქარი დაძრა, — იმნაირი ენახა არვის,
მოცამწყრალობდნენ ცხად-აშკარად და არა მალვით.

მტვერი ისეთი დააყენეს, ირანელ მხედართ
მზერა დაჰბინდეს. მოიწევდნენ ამაყად, მხნედ.

მოაბოტებდა სპილოების უშქარი რემა,
ცახცახი იწყო ერთიანად ქვამან და ხემან.

თითქოს ზღვა ძალუმ ბობოქრობსო — მოღელავს ჯარი,
მათი სიმრავლით ირანელნი შექმნილან მტკნარი.

ხედავს გოდერძი: აღარ ხუმრობს რაკილა მტერი,
სეფქა იმარჯვა, ამხედრდა და ხმალს იკრა ხელი.

მიჰბაძეს სხვათაც, მახვილთ მისწვდნენ, ამხედრდნენ წამში,
ზახილ-ძახილი ირანელთა — აიჭრა ცაში.

მიჰქრის გოდერძი, ვაარღვია დუშმანის ჯარი,
მიჰყვნენ... მახვილი ამახვილეს, იფარეს ფარი.

და ბერბერების, კვალიც რომ არ დატოვეს ისე,
იმხელა ჯარი მიწის პირით აღგავეს მყისვე

რა დაინახეს ხანშიშესულთ, — ბედმა იავა —
და ბერბერების თავზე ჟამად გადაიარა,

ქაუსს წარუდგნენ მონანიე-გულმოკლულები, —
მწუხარებისგან თვალთა შინა აჩნდათ წყლულები.

ჰრქუეს: მეფეო, ვინც გადავრჩით, ყმანი ვართ შენი,
მადლი მოიღე, მბრძანებელო, წყალობა ჰქმენი —

დასაწყისი იხ. „საუნჯე" № 1.

ნულარას გვერჩი ოღონდაც და... მოგეცა ლხენა,—
უუმდიდრესი განძი ჩვენი მიიღე ძღვენად!

მოლბა ქაუსი, შეიბრალა დამარცხებულნი,
ბედნიერ იქმნა შეწყალებით ხნეთა კრებული.

დააგდო ბერბერთ სამფლობელო ირანის ხაამან,
არემიდამო შეძრა მათი ყიჟინის ხმამან.

აკვნესდა ებან-დაირები, წინწილა-დაფნი, —
დასავლეთისკენ მთა უხმობდათ, — მთას ერქვა ყაფი.

იმათი მეფეც დამორჩილდა ირანელთ უხმოდ,
ის კი არადა, მათ შეხვედრად რჩეულთაც უხმო.

ირანის მეფეს ძღვენს შეპპირდნენ ყაფის რჩეულნი,
მიართვეს კიდეც არნახული ძვირფასეული.

რა მოწიწება დაინახა მათი ქაუსმა,
არცა რა ავნო... მორჩილებამ გული გაუხსნა.

აწ ზაბულესთანს გაეშურა მღერად და ლხენად,
დასთანის ვაჟთან სურს აუბნოს სალუქი ენა.

თვესა ერთს დაჰყვეს ნიმრუზში და იამეს ღვინით,
კვნესოდა რუდი, ჰხმობდა ჩანგი, მეფობდა ლხინი.

გარნა საწუთრო, ვინ არ იცის, სურვილობს ასე, —
ეკალსაც ატანს ვარდებს, მწველი სურნელით სავსეს.

ვინ აღუდგება არსთ-არსების უმაღლეს ნებას? —
სწადია სიტკბოს მოგაგებს და — სწადია ვნებას.

ძლივს ამაღლებულს მეყვსეულად მიწაზე დაგცემს,
და აღზევებულს დაგამსგავსებს ძაღლივით ნაცემს.

ერთხანად თითქოს ჩაცხრა-ჩაკვდა ზრახვები ავი,
მაგრამ სიავემ უეცარად იჩინა თავი.

მეფისგან, ვისაც მორჩილებდა მისრი და შამი,
ცნობა ჰხვდა ქაუსს სალანძღავი, აღვსილი შხამით.

ვერ ეღირსები შენს წინ ქედი რომ მოვიხარო,
შენს ბატონობას არა ვსცნობო, ვინა გდიხარო?!

რა ესმა ქაუსს — ქვეყანაზე ვილაც მღილია —
ასე თავხედობს, — გაცაწყრა და გადაირია.

დაჰკრეს ნაღარებს... მიატოვა ნიმრუზი მყისვე,
ლხინი წარსული არც ახსოვდა, მიჰქროდა ისე.

სპა კვალში მისდევს... ცეცხლშენთებულს წააგავს ყველა,
ზღვის ღელვა რაა, თვითეული იმგვარად ღელავს!

ზღვის სანაპიროს ელდასავით მოედო ჯარი,
სანაპიროზე გამეტებით შლეგობდა ქარი...

ნავებში ჩასხდნენ, წარეტანნენ ძალუმად ხოფებს,
შემონათვალით ჯერაც ისევ ჰყრიდნენღა ცოფებს...

ხმელეთით ევლოთ, ათას ფარსანგს დალევდნენ როდის,
არადა გულზე აწვათ თითო ვეება ლოდი...

ზღვით ელვისაებრ მიაღწიეს იმ ნაპირს ზედა,
სამი ქვეყანა რომ ესახლა ლაღად და მხნედა.

მარჯვნივ მისრია, მარცხნივ — იგი ბერბერთა მხარე,
იმათ შორისი სამყოფელი უპყრია ზარეპს.

ამ ქვეყნებს გვერდით გაშლილიყო ჰამავერანი, —
დაგელლებოდათ მისი ლაშქრის მზერით მზერანი.

ქაუსმა ჯარი გადმოსხაო, — რა ჩასწვდათ სმენას,
ურთიერთს შორის ხერხიანად აუბნეს ენა.

თათბირის შემდგომ სამშავ ერთურს აუბა მხარი, —
ბერბერეთისკენ დაძრეს ერთხმად თავისი ჯარი.

მიაბიჯებდნენ ამაყნი და თავაწეულნი —
ერთი სურვილით — მოვაშთოთო მტერი წყეული.

ხმაურს აევსო მთა და ველი, ფოლორცი, შუკა,
წინ მიიწევენ, — თითქოს არცრა დარჩათო უკან.

ტყიურებს გზები აჰბნევიათ, ღმუიან ცხარედ,
წყლით გამომსხდარან, უბნელდებათ თვალები მყვარებს.

საზრიანობის დაჰკარგვია ყველას უნარი,
სად მიიმალონ — გასჩენიათ ეს საზრუნავი.

ირგვლივ გორდები, მახვილები მხოლოდ და მხოლოდ,
იტყოდით, — დღესვე მოელება ყველაფერს ბოლო.

ირანის ჯარმან გადაშლილმან, დაფარა ველი,
არცალა სადმე წყალი ჩანდა, არცალა ხმელი.

იტყოდით, ვრცელი ეს ქვეყანა ზღვააო ხმლების,
გამოუსხამთო ხმლებსა ამას საფრენად ფრთები.

მნათობთა ნაცვლად მახვილთ ცეცხლი ანათებს არეს,
არც სხივოსანი მზე მოჩანს და — არცალა მთვარე.

სად მახვილია ამოწვდილი, მოჩანს ფარებიც...
მიედინება ნაკადებად სისხლის ღვარები.

არემიდამოს დაჰპატრონდა ფერი აქატის,
თალხი ამგვარი არ ეხილა მზერას აქამდის.

დაფ-ნაღარებით დაბაზმურდნენ მთები ერთიან...
ბევრი ათასი თანამხედრებს გამოერჩია.

აატორტმანა დედამიწა ცხენთა ტორებმა,
სმენა ჩააქრო, დაცაახშო ბერბერთ დოლებმა.

დაჰქრის გორგინი, შეიდუში, ფარჰადი, თუსი,
ამხედრდნენ... ცხენებს გამეტებით უბიძგეს ქუს�lი.

ზახილ-ძახილით არეს იკლებს გოშვადის ვაჟი,
ფრთიანობს გივი, — მრავალ ომში ნაცადი კაჟი.

მახვილს იქნევენ, მთები დადგა დუმმანის — ვეკმარ-
ეს... მათი ხმლებით ითესება ღვარძლი და შრამი.

ამხედრებულნი მთათა მაღალთ მოჰგავდნენ სწორედ,
იმათ სიმაღლეს შენატროდა მინდორი-ფორე.

ცხენთ აქეზებენ ხანდისხანად... თვალებს — საცერებს
აელვარებენ... იტყვით, ზეცას ღაბლა დასცემენ.

ჟამიდან ჟამზე მბრძანებელის ზახილი ისმის,
ვაჟობს ქაუსი და — ვაჟობენ რჩეულნი მისნი.

მაინც ვერა და ვერ იმძლავრა ბნელეთზე მზემან,
ისევ დაჰქროდა კუპრისფერი ღრუბლების რემა.

თითქოს წვიმები მეწამული დაუშვეს ზეცით,
ან — ტიტებს რგავდნენ.. .დატორტმანობს წითელი ცეცხლი.

ნაპერწკალობენ მახვილები, ცეცხლსა სთესავენ,
გამოდარებას სულიერნი აღარც ესავენ.

გვამებისაგან აღიმართა ვორა მრავალი,
სისხლის მდინარეთ გადაკეტეს ყველა სავალი.

იგრძნო: ჩვენს ზედა თავად ბედი ქმნილაო მწყრალი,
და მეფემ ჰამავერანისამ ჩააგო ხმალი.

ქაუსს წარუდგა წარგზავნილი იმისი კაცი, —
მაშვრალი იგი წარგავდა საწუთროდაცლილს, —

ჰრქუა: მეფემან ჩვენმან სცნოო დიდება შენი,
ნიშნად, ამისა, მიიღეო მდიდრული ძღვენი.

მოაქვთ ოქრო და ბრილიანტი, იარაღები,
სპასიაკები, სოქალები... რომ ხელაღებით —

არ მოეკიდოს დამარცხებულს გამარჯვებული, —
ძღვენი მიართვეს ყველა სხვა ძღვენს აღმატებული.

ქმედებამ მათმან დაუმდოვრა გული ქაუსსაც,
ელჩს მიუბრუნდა, ნააზრევი ავრე აუხსნა:

გულს შიგან ჩემი მორჩილება გქონდეთ მარადი,
თორემ მოგსრავთო, — არ ვიცით სიტყვის ღალატი.

2

მოჰხსენდა ქაუსს — დამარცხებულ მეფეს ჰყავს ქალი, —
გულისა ლხინი და ჯავარი, სოფლისა წყალი.

ჰარილისაებრ მოქნილია იმისი ტანი,
გასაშტერებლად უბზინავსო მუშკ-ამბრის თმანი.

ქეიბურივით ჩაგესობა მისი ხატება —
შვიდ მზის და მთვარის ერთობლივი გამონათება.

ენა — სალუქი, ხერხიანი, ბაგენი — ყანდი, —
მზე არს, შეფრფვინვით რომ უმზერენ რიჟრაჟზე ვარდნი.

მეფის საცოლედ უკეთესი არ იპოვება, —
ზღვარი დასდოო სილამაზის უსაზღვროებას.

ამის გამგონე ქაუსის გულს ძგერამ უმატა, —
ყველა სურვილი ერთიანად მიუჩუმათდა —

გარდა ერთისა — თავისად ჰქმნას ასული იგი, —
ისე დაწინდოს, ვით მოითხოვს წესი და რიგი.

კაცი მოიხმო შენაქები, ენამზიანი,
მჭევრმეტყველების იყო იგი თანაზიარი.

ამ განსჯამდიდარს დაავალა ქაუსმა საქმე, —
პრქუა: რა ვით სჯობს, იფიქრეო ახლავე, აქვე.

ხამს დააჯერო მბრძანებელი ჰამავერანის —
რომ ქვეყანაზე შემედრება მართლაც ვერავინ.

ხამს დააჯერო — ამა ქვეყნის დიადნი, დიდნი
ვით ოცნებობენ — გადონ ჩემთან სამოყვროდ ხიდი.

ხომ აჩრდილებად ჩანან ჩემთან ქვეყნის შაჰები,
დიდებამ ჩემმან ხომ დაჩრდილა მათი სახელი.

აწ და მარადის მიეზღვება ურვა და კვნესა, —
ბრალი იმისი, ვინაც არ სცნობს სიმაღლეს ჩემსას.

ასე მაღალი რადგან გთხოვ-თქო ნათესაობას,
ზეობაც უნდა აღაჩინო, დიდო მზაობაც.

ამგვარად მესმა — ქალიშვილი ერთი გყოლია, —
სხვა რამ სიტურფე მასთან თურმე მონაგონია.

სურნელით — ვარდი, სინაზით კი არის იაო,
ხატება მისი მგოსანთ მღერის მიზეზიაო.

ვინღა არ იცის, — ცოდნა ესე არის მარტივი, —
ყობადის ვაჟის სიძობაა დიდი პატივი.

ჰამავერანის თავქალაქში მივიდა ელჩი,
მეფეს წარუდგა, გული დია უცემდა მკერდში.

ბაგეზე დიდის გამეტებით შაქარი იცხო, —
მბრძანებლის ქება-განდიდება საჭიროდ იცნო.

ქეი-ქაუსის საწადელის გასამხელადა
ენა აუბნა ხერხიანად, თაფლისფერადა.

ჰამავერანის მბრძანებელმა ისმინა ყოვლი, —
დარდი დააცხრა, სული მყისვე აღევსო თოვლით.

ფიქრობდა: თუმცა მაღალია მეფე ირანის, —
ზარისდამცემი, არნახული ძალის მჩინარე,

მაგრამ ვით შევძლო, შეველიო ერთადერთ ასულს...
ისიც ცხადია, უპასუხოს ვერ ვკადრებ პასუხს.

უარი ვკადრო, — მომიხტება, გამაცამტვერებს,
ბრალი მას, ღმერთი ქაუსს ვისაც გადაამტერებს.

არცა თანხმობა შევსთვალო და არცა უარი, —
უფრო დაჰგესლავს ხერხი ესე, მოსატყუარი.

ბაგედაშაქრულ ელჩს ეუბნა: რა გაეწყობა,
ამა ქვეყნისა ძლიერებთან მმართებს შეწყობა.

ქაუსმა ორი საგანძური წარმტაცა აჰა,
მესამე აღარც გამაჩნია, რომც ჰქონდეს ზრახვა.

სიმდიდრე ჩემი იყო ჩემი ღონე და ძალი,
ჩემი ლხენა და სიხარული — ჩემივე ქალი.

ქალს როგორც მივცემ, სიხარულსაც განვეშორები,
მე და წუხილი ვრჩებით ვითა თანატოლები.

ვით ხელმეწიფვის მისი ნების არაღსრულება,
სურვილი მისი ჩემთვის არის განკარგულება.

სუდაბე იხმო საუბრისა ამისა მერე,
მოვიდა იგი და მოუძღვა თვალწარმტაც ფერებს.

პრქუა მშობელმან: ტკბილმეტყველი მოგზავნა ელჩი
ქეი-ქაუსმა. სიხარულის წართმევას მერჩის.

დია იმძლავრა არა ერთსა ქვეყანას ზედა,
სამარადისოდ მწუხარე ჰქმნა მრავალი დედა.

ახლა სწადია სიხარული წარიღოს ჩემიც,
შხამი წარმაცხოს ერთიანად — ტერფიდან თხემით.

შენ რაღას იტყვი, ჭკუათსაფრ გიჩანს ეს საქმე? —
გონებას უხმე გონებიერს, მრავალგზის ნაქებს.

პრქუა სუდაბემ: სად ვიპოვი უკეთეს საქმროს,
ცოლობა მისი ჩემთვის არის ჭკუასთან ახლოს.

რამდენი ომი მოიგო და ამაღლდა ვითარ...
მთელი სამყარო მას ჰმორჩილებს ჭკვიანს და მდიდარს.

ვინ, ვინ მიიჩნევს უბედობად საქმესა ამოს,
შენს გარდა ვინ წუხს ბედნიერი ხვედრისა გამო?

რა ნახა მამამ, რომ უარზე არ არის ქალი,
მყისვე დადუმდა, ჩაიგუბა პირს შიგან წყალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს შეუძახა, თავი ძალით გაიხალისა,
ელჩი მოიხმო და პატივით გვერდით დაისვა.

საქმემან ამან დაუმძიმა თუმცაღა სულთქმა,
ქეი-ქაუსის წარმოგზავნილს თანხმობა უთხრა.

ურთიერთს შორის რა მოთავდა აზრების გაცვლა,
ლხენად დაჯდომა ისურვაღა განცდების ნაცვლად.

მსგეფსსა ერთს ისხდნენ, გაისმოდა ამო მღერანი,
ორძალის პანგებს დაემონა ჰამავერანი.

ელჩს მოაჩვენა გულისხმევა, თავისდადება, —
გულდათუთქულმა სანიჭარის იწყო მზადება.

დიბა-ფარჩებით დატვირთული აქლემნი დგანან...
სამასი მხევლის — წარსაგზავნის მოკაზმვა ბრძანა.

სპასიაკები, ტოლამები, სარასალები,
იაკინთები, ტოპაზები, ბისონ-ლალები...

ფარჩა-დიბიანს ორმოც კარავს მიუძღვის რემი, —
ამ სილამაზით გული ძალუმ უმატებს ცემას.

ტახტრევანზე ზის სადედოფლო წარმტაცი მთვარე,
და ტახტრევანი, აჰა, სტოვებს მშობლიურ მხარეს.

დედოფალს უნდა დაუმშვენოს თითქოსდა მხარი,
მდიდრულ ქარავანს გააყოლეს პატივად ჯარი.

ქეი-ქაუსთან რა მივიდნენ, ამა მშვენებით
იხარა მეფემ. აფრთიანდა ბედნიერებით.

ჰა, ტახტრევანი მიატოვა ახალმა მთვარემ, —
ქალი წარუდგა თვალნარგიზა ქაუსის თვალებს.

უციმციმებდა ალმასები მუშკ-ამბრის თმაში,
სიმი გრძნეული ორძალისა უჟღერდა ხმაში.

წარბები — ვერცხლი — ნაკვეთია ოსტატის ხელით, —
იტყოდით, სწორედ მიტომ არსო ამგვარად მწველი.

ატაცებული შეჰყურებდა მეფე ირანის, —
იჩქითად იქმნა იეზდანის მადლის მჩინარი.

შემდგომ ამისა, იხმო თვისი მოაბადები, —
ვინაც იცოდნენ დედამიწის გულში ნადებიც...

ამბავი უთხრა მათ ამ ქალის, საესავისა,
და იმავ წუთში, მათ წინაშე, სცნო ის თავისად.

3

ჰამავერანის მეუფე კი, სავსე ნაღველით,
ფიქრობდა, როგორ აღედგინა თვისი სახელი.

დღესა შვიდს წრიალ-ტრიალებდა, ვიდოდა თრთოლით,
დღესა მერვეს კი გააგზავნა მალიად მსრბოლი.

უთვლიდა ქაუსს: გავიხარებ შენისა ნახვით,
სტუმრობით შენით გამიბრწყინე გული და სახლი.

ჰამავერანი მოსვლით შენით იხარებს და,
შენი აქ მოსვლა დიდს და მცირეს გვამსგავსებს ფრთიანს.

წერილი იგი დათაფლული, სიცრუით სავსე,
ირანის მეფეს იტყუებდა ამგვარად, ასე.

ჰამავერანის მბრძანებელი, ქაუსზე მწყრალი, —
ფიქრობდა, ამ გზით გამოეხსნა თავისი ქალი.

წერილის აზრი შეფარული, იგრძნო მან ქალმან,
მოსალოდნელი უბედობა ანიშნა თვალმან.

ჰრქუა მეუღლეს: მამაჩემთან ნუ წახვალ ახლა,
ამა მიწვევას ლიბოდ უძევს ავი რამ ზრახვა.

მამაჩემს სურს რომ ლხინი იგი გიქციოს ომად,
თორემ მე ვიცი არ აქვს ლხენა-ქეიფის ნდომა.

თავს ვერ დაიხსნის იგი შენგან ვერარა ხერხით—
მიწვევის გარდა... დაგატეხოს სწადია მეხი.

გირჩევ, მეფეო, არ წახვიდე, თორემ ინანებ,
მშობელი ჩემი გაცთუნებთ და გავნებთ ირანელთ.

რადგანაც ქაუსს არვინ უჩნდა თავისა სწორად,
სუდაბეს ესე შეგონება ჩათვალა ჭორად.

ვითა მკადრებსო, უპასუხა, უხმო რჩეულებს,
და შაჰესაკენ მიაქვთ გეზი ახლა წვეულებს,

ქალაქი შაჰე იყო ერთი ბაღნარი, მტილი,
აი, აქ იყო მოლხენაც და ღრეობაც ტკბილი.

მთელი ქალაქი ფეხზე იდგა, ქაუსს ელოდა,
მორთული იყო არემარე მოსალხენოდა.

ქეი-ქაუსი შევიდა და დიდი პატარა
მის წინ დაემხო... სასახლემდე ასე ატარა

ათასმა მზერამ; ბრილიანტებს უხვად აყრიან,
ზაფრანა-ამბრი, მუტრიბთ ჰანგნი ცაში დაჰქრიან.

ორძალისა და რუდის ხმები ერთურთს ერევა,
იტყოდით, ქვეყნად გამეფდაო ბედნიერება.

ჰამავერანის რჩეულები შემოხვდნენ ქაუსს,
სმენა დაეხშო ორძალების, რუდების ხმაურს.

ოქროს, იაგუნდს მოუკაზმავს გზა და სავალი,
მიმობნეული ბრილიანტი მოჩანს მრავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშკ-ამბრის წვიმა მოიფრქვევა ამოდ, ნელიად,
ამ ნეტარებას არ დაჰნებდეს, არ რომელია.

შედის სტუმარი — ბედნიერი — სასახლეს შინა,
ტახტზე ჯდება და — გარეშემო ყოველი ბზინავს.

მსგეფსსა ერთს ისხდნენ უდარდელად, ზეობდა სული,
მძლავრობდა ღვინო, არვის აჩნდა ზრახვანი მტრული

ჰამავერანის მბრძანებელი თავს ევლებოდა,
დიდი ირანის მეუფის წინ შიშით კრთებოდა.

ემსახურება ირანელებს რაზმი რჩეული
ჰამავერანის. ლაღად გრძნობენ თავს მოწვეულნი.

ქებას ასხამენ ქეი-ქაუსს — მძლავრსა და მაღალს,
გადაივიწყეს სიფრთხილე და ღრეობენ ლაღად.

მერვე დღეს. ვითარ ჰქონდათ პირი შეკრული კიდეც,
ავმასპინძლებმა მასპინძლობას დაუდეს კიდე.

ამ დროისათვის მოჭრილიყვნენ ბერბერნი უნდა,
და აჰა, დათქმულ დროისათვის დაჰძრნენ გუნდად.

რომ ნერგმან მისმან ყლორტი დროზე ამოიყარა,
ჰამავერანის მბრძანებელმა დია იხარა.

ნიშანი მისცეს ერომანეთს და იელვეს მახვილთ
და ბრძოლის ველად გადაიქცა მასპინძლის სახლი.

ელვის სისწრაფით დაატყვევეს ირანის მეფე,
და მასთან ერთად ირანელთა რჩეული-სეფე

თხემით ტერფამდის ბორკილებში ჩასვეს გოდერძი,
ყველა რჩეული... შეუცვალეს ლხინი გოდებით.

მათი ღირსება-სიდიადე მიწაზე დასცეს...
ცრემლი სდიოდათ განდიდებულს საქვეყნოდ კაცებს.

უნდა დაეხდო მარტოოდენ ნათესავს სისხლით,
ასე ყოფილა... ასე მოდის მისხითი-მისხით.

დიახ, დუშმანთან ტყუილია თურმე ყოველი,
თვით სიწმინდისთვის, უწმინდური მათგან მოგელის.

ვინაც მეგობრად მიგაჩნია, დასცადე იმ დროს,
როდესაც გიჭირს... და ნუ გიკვირს თუ ისიც გიმტრობს.

სიმაღლე შენი ვააგიჟებს ცოტა არსებათ,
სიმაღლე შენი ცნობასუსტთა გულებს დასერავს.

ჰოი, საწუთროვ, ვინ ჩახვდება შენს ღაფალ ზრახვათ,
წუთის წინ სულ სხვა იყავი და ამ წუთში სხვა ხარ...

ისე ირწევი, ვითა ქარით ტირიფის ტოტი,
არავინ უწყის, უადგილო რად გიყვარს შფოთი.

ირანის მეფის, შეპყრობილის წამება სწადდათ,
და აჰა, კიდეც ხელსაყრელი დრო-ჟამი დადგა.

შავმა ღრუბლებმა ხეტიალი დაიწყეს ცაზე,
მიმოდიოდნენ და ავლებდნენ მოთალხოსაზებს.

ნებითა მაღლის იეზდანის — მრავლობდნენ მეტად,
ეგე ღრუბელნი წააგავდნენ მრისხანე მხედართ.

ბნელი საქმისთვის თითქოს სწადთო სიბნელის მიზღვა,
დარიალებდნენ, იზრდებოდნენ... იპყრობდათ რისხვა.

ერთს ბნელ საკანში მოათავსეს ირანის თავი, —
ცრემლი მოაწყდა უეცარად, ვითარცა ზვავი.

მასთან არიან რჩეულები — გოდერძი, გივი,
თუსი, ფარჰადი... მილეული იმედის სხივით.

დარაჯად ედგათ ათასობით მხედარი მტრისა,
იმედი რამის თუკი აქვნდათ, ისევე ღმრთისა.

ჰამავერანის მბრძანებელმა ძვირფასეული —
ქაუსის განძი — სამოსელი ფერხის, სხეულის —

ხელაღებით და გულუხვობით თვის მონათ უძღვნა,
საქმით ამგვარით გული მათი მოიგო უცბად.

ჰამავერანის მბრძანებელმა ბრძანება გასცა —
მომგვარეთ ქალი, მეყოფაო ოხვრა და განცდა.

ოდეს სუდაბემ მეფისა და რჩეულთ სამოსში
გამოწყობილი, იცნო თვისი მონა სამოცი,

მუშკის ზილფები დაიგლიჯა, ვარდის ღაწვები —
მიმოიხოკა... განაცვიფრა მონა-კაცები.

პრქუა მათ: ხედავთ რა მუხთალად მომექცა მამა,
თავისი ჭკუით, იქნებ ჰგონებს, ჩემზედა ჰგამა...

ლხინად იწვია ქმარი ჩემი, მოაღაფალა,
მოზარზეიმეს მიეპარა, ხმალი ახალა.

თუ არ ღალატით, ქაუსს იგი ვით დასჯაბნიდა, —
ბრძოლით ვერც მას და ვერც რჩეულებს მისას დაღლიდა.

ჰოი, თქვენ, მხდალო დიაცებო, მუხთალ-ჯაბანნო,
მზადა ვარ ყველა ცეცხლს მიგცეთ და ქარს გაგატანოთ!

ღირსეულ მეფეს ვით შეჰბედეთ უღირსი ქცევა,
საწყალობელნო, ძლევას ამგვარს არქმევთ ლა ძლევას?

ძალლების ხროვავ, ყოფნას თქვენსას მივიჩნევ არად, —
თქვა და ნარგიზი თვალებიდან ცრემლები ღვარა.

რაგინდ იღონოთ, არა ვსცნობო მშობელის ბინას,
ქეი-ქაუსს კი ჩავყვებიო საფლავსა შინა.

თავს მოჰკვეთთ ქაუსს? — მეც იმასთან მომკვეთეთ თავი,
გავინაწილო მინდა მისი წილხვედრი ავი.

წარვიდნენ, მეფეს მოახსენეს ყოველი მონათ,
გულზე დააწვა მეფეს ლოდი თავისი წონა.

სუდაბე თრთოლით მიეახლა ქაუსის საკანს,
ქალის გოდება არ ეხილათ ამგვარი სხვაგან.

ინაწილებდა ქაუსის ხვედრს მეუღლე მისი,
ორთავეს სულში ერთნაირად ჩამოწვა ნისლი.

მეფის დაკარგვით სპა-ლაშქარმაც ცრემლები ღვარა, —
მერმე კი დიდი ირანისკენ გაუყვა შარას.

და ჰა, დარეკა ქვეყანაზე კიდევაც ზარმა, —
შეპყრობილ არსო ქაუს მეფე — მაღალი ალვა.

მტერი მრავალი აფუსფუსდა — უმეფო მხარე —
თუ დაპყრობაა, დავიპყროთო ახლავე ბარემ.

ურიცხვი ჯარი მიაყენა თურქეთმა ირანს, —
ლაშქარი იგი მიაგავდა ბობოქარ მდინარს...

გადაივიწყა თურქთა მეფემ სმა, ჭაბა, ძილი,
ირანის ფლობის ეწეოდა ოცნება ტკბილი.

ისევ აკვნესდა მტრის ფერხთა ქვეშ ირანის მიწა,
ირანელთათვის ვანი უკვე წარსულად იქცა.

აფრასიაბი შეიჭრა და იხმო თაზელნიც, —
ჯარის ამგვარის არვინ იყო ჯერაც მნახველი.

თვესა სამს ულმრთოდ იღვრებოდა სისხლი ველებზე.
და... მეწამულმა გაიმარჯვა ყველა ფერებზე.

ჰოი, სიხარბევ ადამის ძის, ძლიერი რამ ხარ,
სიხარბისაგან, კაცს ვინ იცის, რის მომქმედს ნახავ.

ხემან დარგულმან, თითქოს მხოლოდ ღვარძლი მოისხა, —
აღარაფერი არ დატოვა... ყოვლი მოისრა.

თითქოს ღმერთს სურდა აღეგავა მათი სახელი,
ერთიან გაწყდნენ თურქებიც და —გაწყდნენ თაზელნიც.

მიმოიფანტა ირანელთა ურიცხვი ჯარიც, —
გაწყდა მრავალი ხნე, ჭაბუკი, ბავშვი თუ ქალი.

ზაბულესთანში, გაეშურა — გადარჩა ვინაც, —
ეგულებოდათ იქ როსტომი — ფოლადი, რკინა.

უთხრეს: მაღალო ფალავანო, გვიშველე რამე, —
ქაუსისათვის მზე მცხუნვარე გადიქცა ღამედ.

ირანის მხარეს გაუთენდა დღეები თალხი,
გადატანილზე უარეს დღეს მოელის ხალხი.

თუ არ გვიშველი, ხალხი ისე ელვისებრ წყდება,
ქაცთა ალაგას დაიბუდებს ტყიურთა წყება.

მეფეთა მხარეს, ლომგულების დიად ქვეყანას,
განგებამ ეს რა უსაშველო ჭირი შეჰყარა.

ირანი მალე გველეშაპის იქცევა ბუდედ,
ჩვენს ამა ნათქვამს ლიბოდ უკვე მომხდარი უძევს.

გაგვიხალვათე წუხილისგან სავსე გულები, —
ჰა, შემოგჩივით ღმერთისაგან განწირულები.

დაუძლეველო, შენ გენუკვით, გვიმეთაურე,
გადაგვარჩინე მოსალოდნელ აურზაურებს.

ისმენს როსტომი, სიბრალულით დაეწვა გული,
ცრემლი წარსდინდა.. ხატსა ზედა დააჩნდა წყლული.

ჰრქუა მათ: მზად ვარ, მტერი თქვენი ჩემს მტერად ვიცნო,
დუშმანის თქვენის მოსაშთობად მახვილი ვიძრო.

ვპირდებით, ირანს თურქებისგან გავააზატებ,
თავად იხილავთ, დავძრავ მათი სისხლის ნაკადებს.

მალემსრბოლები მიმოგზავნა უსწრაფეს ელვის, —
მხედართ იწვევდა, — დრო დადგაო შფოთის და ღელვის.

დაიძრნენ ქამარშემორტყმულნი პინდით, ქაბულით,
თავგანწირულებს მასპინძელი დახვდათ ზაბული.

4

ზაალის ვაჟმა ქაუსთანაც აფრინა კაცი —
გაუძელიო, ნუ შეგაკრთობს წილხვედრი მკაცრი.

ჰამავერანზე საბრძოლველად დავიძარიო,
დიადი ლაშქრით მოვიჩქარი ვითა ქარიო.

გული ამდოვრე, დაიწყნარე. ცოცხალ ვარ ვირე, —
უუდიდესი საწუხარიც ჩათვალე მცირედ.

ხმა მიაწვდინა მბრძანებელსაც ჰამავერანის —
არ ეკადრების მეუფესო ქცევა ვერაგი.

ქეი-ქაუსი ვით აცთუნე, აწ შემიტყვია, —
ამა ცთუნების საპასუხოდ შემომითვლია:

არა ეგების საქციელი მეფეს ცბიერი, —
არ იკადრებდა ამგვარს რამეს განსჯა ძლიერი.

ლაფალი საქმე ცნობასუსტის არის საგანი, —
მხოლოდ სულმდაბალთ უკადრიათ ქცევა ამგვარი.

არ გადაჰყარო ქეი-ქაუსს, იცოდე, ავი,
არ გაიმეტო ეშმაკისთვის შენივე თავი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორემ სიავე მე რომ ვიცი, კაცის გონებას
იმისნაირი, ალბათ, არსად ვაეგონება.

გაფრთხილებ, — უგლიმ-უტიფარად არ გაისარჯო, —
შენივე ნებით სახრჩობელა არ მიისაჯო.

ალბათ გსმენია მაზანდარანს რა დღე ვაწიე, —
მზე დავუბნელე, ზეცა მათთვის დაბლა დავწიე.

გავაცამტვერე უძლეველი მათი ფულადი,
თეთრი დევი და შენაქები ყველა გულადი.

ჭკუით იყავი, დღენი შავად არ გაითენო,
შენივე თავის გლოვის დღენი არ დაიყენო.

მეფეს ეახლა მალემსრბოლი ამა წერილით,
შემონათვალი ამ წერილმა ჰქმნა გამხელილი.

ჰამავერანის მეფეს მყისვე დააცხრა ზარი,
გარნა სიმწარეს უპასუხა მაინცღა მწარით.

უთვლის: აწ ქაუსს მეუფება არ ელირსება,
ტრაბახიაო, როგორცა ჩანს, შენ, თვისება...

აბა, სცადე და აქ მობრძანდი, —იხილავ ფავად, —
შენი სავალიც შენი მეფის საკნისკენ წავა.

მოგნატრებია ბორკილები და საპყრობილე? —
არ დავიზარებ, — საპყრობილეს დაგაძმობილებ.

რა მოისმინა მალემსრბოლმა, მალიად სრბოლით
როსტომს მიეჭრა და ყოველი უამბო თრთოლით:

ჩასახლებია საწყალობელს ბოროტი სული, —
პასუხი ესე უპასუხო გკადრაო მტრული.

ყველა ისმინა როსტომმა და ვით ჰქონდა ჩვევად,
რჩეულთა კაცთა მოისმინა თათბირი-რჩევა.

მერმე კი უცებ ახმაურდა წინწილა-დაფი,
აბობოქრებულ როსტომის რახშს პირს ადგა ქაფი.

ხმელეთით რადგან ხანი დიდი სჭიროდა სავალს,
ზღვით სვლა ირჩიეს, — არ დასჭირდათ ამაზე დავა.

ჰა, ატორტმანდა ზღვასა ზედა მრავალი ნავი, —
ჰამავერანის სამეფოში ამოყვეს თავი.

უწყალოდ იწყეს ხოცვა-ყლეტა გარეშეჭოზე, —
ყოველიფერი მეყვსეულად ცეცხლით შემოსეს.

ჰკაფავენ ყოველს, რაცა ჰხვდებათ მარჯვნივ და მარცხნივ,
მახვილი მათი ამოსუნთქვას არავის აცლის.

მეფემან მათმან რა შეიტყო როსტომის მოჭრა,
დიდ ბოროტებად მიიჩნია მცირედი მოცდაც.

დაყოვნება და — აღარავინ შემრჩება ხელთო,
სულ მალე სისხლი აატბორებს წყალსა და ხმელსაც.

არადა, უკვე ჩუხჩუხებდნენ წითლად ღელენი,
მეწამულს კიდეც დაეფარა უკვე ხმელეთი.

შეკრიბა ჯარი, გამოვიდა... აღარ ჩანს რამე, —
იტყოდით, დაეპატრონაო სინათლეს ღამე.

ირყევა ცა და დედამიწა, ჰყივიან დაფნი...
არემიდამოს ჰპატრონობსღა ზათქი და ხაფი.

გააფთრებულნი ერთმანეთზე იწევენ სპანი,
ერთურთს ერევა ჭიხვინი და მებრძოლთა ხმანი.

რახშზე ამხედრდა... ზახილი და გრგვინვა ჰყო პირმან,
ემედებას ფართო გზა-სავალი მისცა მან გმირმან.

ელვის უსწრაფეს მიმოფანტა დუშმანის ჯარი,
ხმალი ძალუმად ამახვილა, იფარა ფარი.

დუშმანის ჯარი ერთიანად აოტნა, მოსრა, —
ახლა დგებაო, იფიქრებდით, მეორედ მოსვლა.

ეგების რამე მირჩიოსო რჩეულთ კრებულმან, —
თავკაცნი იხმო მბრძანებელმა დამარცხებულმან.

ხნეკაცთ შეჰკადრეს: ჩვენ იმის მეტს გირჩევთ ველარას, —
რომ დახმარება სამ მეზობელს სთხოვო ქვეყანას.

ჭკუათსაფერად ჩათვალეს და — დაგზავნეს კაცნი —
სამ მეზობელთან... დაგვიდგაო დღეები მკაცრი.

დააბაზმურა დედამიწა სამთავე ჯარმან,
იტყოდით, ხელი აიღოო ძე-კაცზე დარმა.

როსტომს ეცნობა ეს ფარული კავშირი სამთა, —
თავის მხრივ ისიც გამორჩეულთ თათბირსა მართავს.

მერმე აცნობა ქეი-ქაუსს: შეკრესო პირი
ჩემს წინააღმდეგ... გარნა მე შენს ბედ-იღბალს ვტირი...

ჯარს როგორც დავძრავ, შემომხვდება სამი სპა ერთად,
მაგრამ არ ვჩივი, არ მეშინის, ძალი მაქვს ხელთა...

შენ არა გევნოს მბრძანებელო, იმასღა ვდარდობ,
თორემ მე, თუნდაც ათიოდ ჯარს დავხვდები მარტო...

რას დამაკლებენ ან ესენი, ან ბერბერები, —
მიწყივ მზადა ვარ — მათი სისხლით მოვრწყო ველები.

ჰპასუხობს მეფე: მე თუ მოვკვდი, არ არის ბრალი,
მტერს არ ჩაუგდო ოღონდ ჩვენი მიწა და წყალი.

სიკეთის გვერდით მტრობა სუფევს გაჩენის დღიდან,
თაფლთან ბალღამი დღეს არავის აკვირვებს დიდად.

შენ ოღონდ მტერი დაამარცხე და სხვა ნუ გაგვა,
არ დაგიკარგავ მაგ სამსახურს, წვასა და დაგვას.

მეფის წერილმა შემატაო თითქოსდა ძალა,
ამხედრდა იგი... ქარიშხალის — აშარის დარად.

აი, შემოხვდა სამი ქვეყნის ჯარი უშქარი,
თვალს ავლებს მტრულად, მრისხანებით, უტყვი მუქარით.

იზახის: მოდით, შემებრძოლეთ ერთად მრავალნი, —
მწადს მიგასწავლოთ ქვესკნელისკენ გზა და სავალი...

დგას. ილოდება მდორე გულით. და არა ღელვით,
ბევრი იცადა, შებრძოლება შეჰბედა ვერვინ.

ამასობაში გვარიანად დაბნელდა კიდეც, —
ზეცამ ნარნარით ჩამოუშვა მოთალხო რიდე.

კარავს შევიდა თუ არა და — დააცხრა ძილი,
გამოეცხადა ზმანებანი ამო და ტკბილი.

უცებ დანებდა სიამისმგვრელ ამო ზმანებათ,
და ამ ზმანებათ თავი მხოლოდ დილით ანება.

5

ერთი ხმაურით, შემართებით, მუქარით, რიხით, —
დილასისხამზე კვლა დაეწყვნენ აქეთ და იქით.

ჰამავერანელთ ჰყვათ უშქარი მებრძოლი სპილო, —
მობუხუნობდნენ, წააგავდნენ მქუხარე ნილოსს.

ცხენთა სიმძიმით დამძიმდა და აკვნესდა მიწა,
მხედართა ხმებზე ექო ბევრჯერ იძრა და მიწყდა.

რკინის პერანგნი, მუზარადნი... თითქოსდა ჟინი —
რკინით შემოსვის... ალბორზის მთაც მოსილა რკინით.

□

თანდეთ რეჟევიჩი

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოლონურიდან თარგმნა მიხეილ ქვლივიძემ

ტირილი

(წიგნიდან: „მომავალი დრო")

მე თქვენ მოგმართავთ — მლვდლებო
მასწავლებლებო მსაჯულებო
მხატვრებო
სარაზებო ექიმებო რეფერენტებო
და შენც მამაჩემო
მომისმინეთ რას გეტყვით

მე ახალგაზრდა არ ვარ
ნუ შეგაცდენთ ნურც ჩემი მოქნილი
სხეული
ნურც ჩემი ყელის სითეთრე
ნურც გახსნილი შუბლის სისპეტაკე
ნურც ახლადშეღინღლილი ულვაში
ნურც ქერუბიმის სიცილი
ნურც გამართული სიარული
ნუ შეგაცდენთ

მე ახალგაზრდა არ ვარ
გულს ნუ აგიჩუყებთ
ნურც ჩემი სიწმინდე
ნურც ჩემი უბიწოება
ჩემი სინედლე და მიამიტობა

მე ოცი წლისა ვარ
მე მკვლელი ვარ

მე იარაღი ვარ
ბრმა როგორც ნაჯახი
ჯალათის ხელში
მე კაცი მოვკალი
და სისხლიანი თითებით
დიაცის ძუძუებს ვეალერსებოდი

დასახიჩრებული
მე ვერ ვხედავდი —
ვერც ცას ვერც ყვავილს
ვერც ფრინველს ბუდეს ხეს
წმინდა ფრანციასკოს
ჰექტორსა და აქილევსს

ექვსი წლის განმავლობაში
განუწყვეტლივ
ჩემი ნესტოები სისხლიან ორთქლს
აფრქვევდნენ
და მე არ მწამს არც წყლის ღვინოდ
გარდაქმნა
არც ცოდვათა მიტევება
არც აღდგომა მკვდრეთით

ძვირადღირებული სიჩუმე

(წიგნიდან „მოუსვენრობა“)

I

თოვლი დასტრიალებს შავ ქალაქს
მიწაყრილებზე გდია ნამძინარევი
თეთრი ფრინველი
ჩვენს სახლში სიჩუმეა
სიჩუმეში იცინის ცოლი
და მისი სიცილით ივსება სიჩუმე
ესოდენ ძვირადღირებული

II

ესპანეთში საბერძნეთში
მდაბიოთა სახლებში
დუმილი ცხოვრობს
ღარიბ სახლებში
სიკვდილი ცხოვრობს
სიცილმა მიატოვა ისინი

ადამიანები მომლოდინე ადამიანები
მიწისთვის ყურმიდებულნი და სმენად
ქცეულნი
გახელილი თვალებით ჩაძინებულნი
არ იცინიან
ადამიანები მიწაში რომ წვანან
სდუმან
ახლოვდება ჟამი
მცენარეები რომელნა ფესვი და
ყვავილი
მიწისქვეშ ვითარდება
მზისკენ იწყებენ ლტოლვას
ძვირადღირებულ სიჩუმეში
პატიმრის წიმღერა ისმის
„ბალახი იცელება მისი გადაწვაც
შეიძლება
მაგრამ ვის შეუძლია უბრძანოს
გაზაფხულის მიწას
სიმწვანეს ნულარ გააჩენო
ბალახით ნულარ დაიფარებიო?!“

III

ძვირადღირებულ სიჩუმეში
საფაბრიკო ქალაქში — სასაფლაოა
შავი ქალაქის ცენტრში
საფლავის ძეგლებია ფიცრით ნაგები
და ყოველ მათგანს ვარსკვლავი
აგვირგვინებს
ძვირადღირებულ სიჩუმეში
საფლავებს შორის ჰაერს შეარხევს
ბავშვის სიცილი
გასცდება იგი სასაფლაოს
და კიდევ დიდხანს თვითოეული იმაოი
სიტყვა
სუნთქვა ჩურჩული
მკაფიოდ ისმის
ძვირადღირებულ სიჩუმეში

IV

თოვლი დასტრიალებს შავ ქალაქს
მიწაყრილებზე გდია ნამძინარევი
თეთრი ფრინველი
სიჩუმეა ჩვენს სახლში
სიჩუმეში იცინის ცოლი
და მისი სიცილით ივსება სიჩუმე
ესოდენ ძვირადღირებული
ელვარებს ოქროს გვირგვინი თმების
ქალს ხელი ძუძუზე უდევს და მესმის
მისი ხმა:
„ამჟამად ორი გული ფეთქავსო ჩემში“
მე მესმის მისი ხმა და მესმის მისი
სიცილი
ბედნიერი სიცილი
ამ სიჩუმეში.

□

შარლ ბოდლერი

ლექსები პროზად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგულიდან თარგმნა ზვიად გამსახურდიამ

ორმაგი ოთახი

ოთახი, ოცნების მსგავსი, ჭეშმარიტად სპირიტუალური ოთახი, რომლის შეგუბული ატმოსფერო ოდნავ შეფერილა ცისფრად და ვარდისფრად.

აქ სული ზანტად სთვლემს მცონარების არომატულ ემბაზში, სინანულითა და სურვილებით სავსე ემბაზში, — ო, ეს მიმწუხრი, მოცისფრო, მოვარდისფრო მიმწუხრი, ოცნება ვნების სიამტკბილისა მზის დაბნელებისას.

უცხოდ ნახელოვნები ავეჯის ფორმები გაწელილან, მოთენთილან სევდისმომგვრელად. თითქოს ოცნებობენ, სომნამბულურ ყოფას განიცდიან თითქოს, როგორც მცენარე, ან მინერალი. ქსოვილები მუნჯურად მეტყველებენ, როგორც ყვავილნი, როგორც ზეცა, როგორც მზე ჩამავალი.

კედლებზე — ანავითარი მხატვრული სუროგატი; წმინდა ოცნებასთან შედარებით, უანალიზო აღქმასთან შედარებით, განა ღვთისგმობა არ არის ყოველგვარი განსაზღვრული ხელოვნება. ყოველგვარი პოზიტიური ხელოვნება? აქ სუფევს კმაყოფილება ,სიცხადე და წარმტაცი ბუნდოვანება ჰარმონიისა.

უნატიფესი არომატი მსჭვალავს ოდნავ ნოტიო ჰაერს, მთვლემარე სულს ანანავებს სითბო გრძნეული.

ფარდების მუსლინი თოვლივით თეთრ ტალღებად ეშვება ფანჯრებიდან ლოგინზე. ამ სარეცელზე განისვენებს სათაყვანო კერპი, ოცნების დედოფალი, საიდან გაჩნდა იგი? რომელმა ჯადოსნურმა ძალამ დასვა იგი ამ ტახტზე, ოცნებათა და ვნებათა ტახტზე? რამ მოიყვანა? ეგ სულ ერთია. იგი აქ არის, აქ, ვიცანი, ვიცანი!

აი, მისი თვალები, ბინდში ცეცხლივით მოელვარე ნაზი თვალები, ამაზრზენი თვალები; ვიცანი ეს თვალები და მათი საშინელი სივერაგე!

გიზიდავენ, გიმონებენ, ნთქავენ მზერას უბირი კაცისას. ხშირად ვუთვალთვალებდი მე ამ შავ ვარსკვლავებს, აღტაცებას და ცნობისწადილს რომ აღძრავენ სულში.

რომელმა კეთილმა დემონმა მომმადლა ეს სიმშვიდე, ეს იდუ-

მალება და ნელსურნელება? ჰოი ნეტარებავ! განა შეედრება ყოველივე ამას, თუნდაც თავის უბედნიერეს გამოვლინებაში ის, რასაც ჩვეულებრივ სიცოცხლეს ვუწოდებთ? განა რა საერთო აქვს მას ამ უზენაეს ცხოვრებასთან, რომელიც მე ამჟამად შევიცანი, რომლითაც ვნეტარებ ყოველ წუთს, ყოველ წამს? თუმც, არა, არა, სადღაა წუთი, სადღაა წამი! დრო გაქრა, მარადისობა სუფევს, განცხრომათა მარადისობა!

მაგრამ აჰა, კარზე გაისმა თავზარდამცემი, მძიმე რახუნი და თითქოს ჯოჯოხეთურ სიზმარში მომეჩვენა, რომ ვიღაცამ ნიჩაბი მაძგერა მუცელში. აჰა, სულთამხუთავმაც შემოაბიჯა. ეს სასამართლოს აღმასრულებელი მოსულა ალბათ, რათა სული ამომხადოს კანონის ძალით, ან ურცხვი სარჭა თუ მომდგომია კარს, თავისი უტიფარი მოთხოვნებით, რათა ჩემი ცხოვრების წამება გააათკეცოს თავისი ყოფის ტრივიალური წვრილმანებით, ან რომელიმე რედაქტორმა თუ გამოგზავნა კაცი და ხელნაწერის გაგრძელებას მოითხოვს ჩემგან.

სამოთხისდარი ოთახი, სათაყვანო კერპი, ოცნების დედოფალი, სილფიდა, როგორც იტყოდა დიდი რენე — მთელი ეს გრძნეულება თვალის დახამხამებაში შთანთქა სულთამხუთავის უხეშმა რახუნმა.

ჰოი საშინელებავ! გამოვფხიზლდი! გამახსენდა! ო, ეს ხუხულა, ეს საუფლო მუდმივი სევდის და მოწყენისა, — ეს ჩემი ბინა! აი, უხეირო ავეჯი, დამტვერილი და დალეწილი; ჩამქრალი, ჩაფურთხებული ბუხარი; მოჟამული ფანჯრები, დამტვერილ მინებზე — წვიმის ზოლები. დაფანტული, დადღაბნილი ხელნაწერები; კალენდარი, რომელზედაც ფანქრითაა აღნიშნული საბედისწერო ვადები!

ვაჰმე! უცხო სამყაროს ნელსურნელება, რომლითაც ვტკბებოდი და ვნეტარებდი ესოდენ მწველად, უცებ შესცვალა თამბაქოს ბოლის ოხშივარმა და რაღაც შმორიანმა სუნმა, ირგვლივ სიღარიბეა და მიუსაფრობა.

ამ სულისშემხუთველ, მოწყენითა და ზიზღით სავსე სამყაროში ერთადერთი ნაცნობი საგანიღა მიღიმის: ლაუდანუმის შუშა, ძველი, ვერაგი საყვარელი; ალერსსაც რომ გპირდება და ღალატსაც, როგორც ყოველი საყვარელი, ვაგლახ!

დიახ, დრომ ისევ განამკვიდრა თავისი უფლებები; დრომ ისევ იწყო განმგებლობა; და ამ საზიზღარ ბებრუხანასთან ერთად დაბრუნდა მთელი მისი ეშმაკეული ამალა: მოგონებები, სინანული, კრუნჩხვები, შიშები, მოწყენა, კოშმარები, მრისხანება და ნევროზები.

ჰოდა, წამები ახლა საზეიმოდ ღაღადებენ მთელი ხმით, და ყოველი მათგანი, გამოფრინდება თუ არა საათიდან, ხმამაღლა აცხადებს: „ეს მე ვარ, ცხოვრება, აუტანელი, უწყალო ცხოვრება“.

არის მხოლოდ ერთადერთი წამი ადამიანის ცხოვრებაში, რომელსაც მოაქეს კეთილი ხარება, **კეთილი ხარება**, ყველას გამოუცნობ შიშის ზარს რომ ხცემს.

დიახ! დრო გამეფდა ისევ, კვლავ გამოაცხადა მან თავისი სას-

ტიკი დიქტატურა. კვლავ ხარივით მიმერეკება იგი თავისი ორმაგი შოლტით და დამჩხავის: ჰა, გადაადგი, ვირო, ფეხი! გაისვეთქე ოფლში, მონავ! იცხოვრე, იცხოვრე, წყეულო!".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამის პირველი საათი

ბოლოს და ბოლოს, ძლივს მარტო დავრჩი! ქუჩიდან რამდენიმე დაგვიანებული, ქანცმილეული ეკიპაჟის ხმაურიღა მოისმის. სიმშვიდეში თუ არა, მდუმარებაში მაინც გავატარებ რამდენიმე საათს. ძლივს მეღირსა მარტო დარჩენა. ადამიანთა სახეების ტირანია დამთავრდა, ასე რომ, ახლა მარტოოდენ საკუთარი თავიღა დამტანჯავს.

აჰა, მარტო ვარ! ახლა კი ძალმიძს განვიბანო ღამეულ სიბნელეში. უწინარეს ყოვლისა, ორგზის გადავატრიალოთ კარში გასაღები. ავრე მეჩვენება, თითქოს ვასაღების ეს გადაბრუნება აძლიერებს ჩემს სიმარტოვეს და განამტკიცებს იმ ბარიკადებს, რომელნიც ამჟამად აღმართულან ჩემსა და მთელს სამყაროს შორის.

საზარელი ყოფა! საზარელი ქალაქი! გავიხსენოთ გასული დღე: შევხვდი რამდენიმე ლიტერატორს, რომელთაგან ერთმა მკითხა, ნეტავ სახმელეთო გზა თუ მიდისო რუსეთში (როგორც ჩანს, რუსეთი მას კუნძული ჰგონია). დიდსულოვნად ვეპაექრე ერთი ჟურნალის რედაქტორს, რომელიც ჩემს ყოველ მოსაზრებას ასე პასუხობდა: „ჩვენი ჟურნალი — პატიოსანი ხალხის ჟურნალია" — ამით, ცხადია, იმას გულისხმობდა, რომ სხვა ჟურნალების რედაქტორები — ჯიბგირები არიან; ოციოდე კაცს მივესალმე, რომელთაგან თხუთმეტს არც კი ვიცნობდი; ამდენსავე კაცს ჩამოვართვი ხელი, თუმც წინასწარ წინდახედულად ვერ მოვიმარაგე ხელთათმანი. სანამ კოკისპირულად წვიმდა, დრეზის მოსაკლავად, ერთ მოცეკვავე ქალთან შევიარე, რომელმაც შემომთავაზა კოსტიუმ „ვენეტრას" დახატვა; ვევაჭრე თეატრის დირექტორს, რომელმაც ასეთი სიტყვებით გამომისტუმრა: თქვენ კარგს იზამთ, თუ, ზ...-ს მიმართავთ; ჩემს ავტორებს შორის ეს კაცი ყველაზე მეტად ტანსრულია, ყველაზე მეტად ბრიყვი და თან ყველაზე სახელგანთქმული; მასთან უთუოდ მიაღწევთ რასმეს, ინახულეთ იგი და მერმე ვისაუბროთო. ვიტრაბახე (არ ვიცი რად) ზოგი უკეღმართი საქციელით, რომელიც არასოდეს ჩამიდენია; რამდენიმე ჩემივე ქველმოქმედება, ერთ დროს სიხარულით ჩადენილი, სულმოკლედ უარვყავი ფანფარონობით და ადამიანის ღირსებისადმი უპატივცემლობით; მეგობარს უარი ვუთხარი წვრილმან სამსახურზე და პირწავარდნილ გაიძვერას მივეცი წერილობითი რეკომენდაცია; უჰ! და განა ეს არის ყველაფერი?

ყველაფრით უკმაყოფილოს, საკუთარი თავით უკმაყოფილოს, რარიგ მსურს გამოვისყიდო ყოველივე და მცირეოდენი ხალისი მაინც ვპოვო ღამეულ სიჩუმეში და სიმარტოვეში! სულნო, ვინც მიყვარდით, სულნო, ვისაც გიმღეროდით, განმაძლიერეთ, განმამტკიცეთ, განმარიდეთ სიცრუე და ხრწნადი ოხშივარი ამა სოფლისა,

ხოლო შენ, უფალო ღმერთო ჩემო, ჰყავ წყალობა და შემეწიე რამდენიმე მშვენიერი ლექსის შექმნაში, რითაც მე დავუმტკიცებ ჩემს თავს, რომ არა ვარ კაცთა შორის უკანასკნელი და არც მათზე მდაბალი, ვინც მე მძულს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრბო

ყველას როდი ხელეწიფება ბრბოში გათქვეფა, ბრბოში ყვინთვა, ბრბოში განცხრომა, — ეს ხომ ხელოვნებაა ერთგვარი; კაცთა მოდგმის ქცევა ხალისისა და სიამის წყაროდ მხოლოდ მას ძალუძს, ვისაც კეთილმა ფერიამ აკვნიდანვე შთაუნერგა მიდრეკილება გარდასახვისკენ, ნიღბების ცვლისკენ, შეაძულა მშობლიური კერა და შეაყვარა მოგზაურობა.

ბრბო და მარტოობა — ერთმნიშვნელოვანი სიტყვებია. პოეტის ქმედითი, ცხოველმყოფელი სული იოლად გარდაქმნის პირველს მეორედ. ვინაც არ იცის წარმოსახვით დასახლება თავისი სიმარტოვისა, იგი ვერასოდეს შეიგრძნობს მარტოობას ბრბოს ორომტრიალში.

პოეტს ერთი შეუდარებელი უპირატესობა აქვს: მას სურვილისამებრ ძალუძს არამარტო თვითგამოხატვა, არამედ თავის მოყვასად ქცევაც. პოეტს ძალუძს განსხეულდეს ნებისმიერ არსებად, იმ სულის მსგავსად, ამქვეყნად სხეულებრივ გარსს რომ დაეძებს. პოეტისთვის ხსნილია ყოველივე ერთადერთისთვის, და თუ ზოგიერთი კუნჭული მისთვის თითქოს მიუწვდომელია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი არ იმსახურებენ მის ყურადღებას.

მარტოხელა, ფიქრებში წასული მეოცნებე თავისებურ ტკბობას ჰპოვებს სამყაროსთან ამგვარი უშრეტელი ურთიერთობით. ის, ვინც იოლად ითქვიფება ბრბოში, იმგვარ სიამეთა ციებ-ცხელებას განიცდის, რომელთაც ვერასოდეს ეღირსება ზანდუკივით თავისთავში ჩაკეტილი ეგოისტი, ან ლოფორთქინასავით მცონარე კაცი. იგი ცხოვრობს ყოველგვარი პროფესიებით, საკუთარივით განიცდის ყოველგვარ სიხარულს თუ ტანჯვას, რომელსაც შემთხვევა მოუტანს.

ის, რასაც ადამიანები სიყვარულს უწოდებენ, უბადრუკობაა, ფუჭი არარაობაა ამ გამოუთქმელ ორგიასთან შედარებით. ეს არის წმიდათა წმიდა პროსტიტუცია სულისა, რომელიც მთლიანად ეძლევა ყოველგვარ მოულოდნელობას, გამოუცნობს, წამიერს და ანაზდეულს, ეძლევა მთელი თავისი გზნებითა და პოეტურობით.

ამ სოფლად ბედისაგან განებივრებულთ უნდა შევახსენოთ ხოლმე, რომ არსებობენ მათთვის მიუწვდომელი სიამენი, უფრო მაღალნი, უფრო დახვეწილნი, უფრო წარმტაცნი. ამით წუთიერად მაინც დასთმობენ ისინი თავიანთ უსაზმნო ამპარტავნებას. კოლონიების დამაარსებელნი, ერისმთავარნი, მღვდელი-მისიონერები, ქვეყნის კიდეზე გადახვეწილნი, უცილოდ ნაზიარებნი ამ გამოუთქმელ სიამეთა იდუმალებას. თავისი გენიით შექმნილ ხალხმრავალ ოჯახებში დამკვიდრებულნი, ისინი უთუოდ შეიგრძნობენ ამ

განცხრომას და იდუმალ დასცინიან მათ, ვისაც ებრალება ისინი მათი მშფოთვარე ყოფისა და ასკეტური ცხოვრების გამო.

მთვარის ქველმოქმედებანი

მთვარემ მოჩვენებასავით შემოიჭვრიტა ფანჯარაში, დაგხედა აკვანში მძინარეს და სთქვა: „ეს ბალღი მე მომწონს". მერმე მსუბუქად ჩამოუშვა ღრუბელთა კიბით, უხმოდ შემოცურდა ფანჯრის მინებში, გადაგეფოფრა დედობრივი მზრუნველობით და შენს სახეში შთაღვარა თავისი ფერები. შენი გუგები გამწვანდნენ, ღაწვნი შენნი გაფითრდნენ უჩვეულოდ, თვალებიც უცნაურად გაგიფართოვდა მას აქეთ, რაც შენ უჭვრეტ ამ უცხო სტუმარს. მთვარემ ნაზად წაგიჭირა ყელში ხელი და მას აქეთ გახრჩობს ტირილის სურვილი.

ამასობაში გალაღებულმა მთვარემ აღავსო ოთახი, როგორც შუქმთოვმა ჰაერმა, როგორც სხივოსანმა საწამლავმა და მთელმა ამ ცხოველმყოფელმა და მღელვარე ნათელმა იწყო ფიქრი და ხმამაღლა ზრახვა: „ამიერიდან შენ სამუდამოდ დაემორჩილები ჩემს კოცნას! ჩემებრ მშვენიერი იქნები შენ, შეიყვარებ ყოველივე იმას, რაც მე მიყვარს, და რასაც ვუყვარვარ მე; წყალს, ღრუბლებს, სიჩუმეს, ღამეს; ზღვას — მწვანეს და უკიდეგანოს; წყალს — უსახოს და ფერადმრავალს; ქვეყანას, რომელსაც ვერასდროს იხილავ, მიჯნურს, რომელსაც ვერასდროს გაიცნობ, ჯოჯოხეთურ ყვავილებს, ბოდვის აღმგზნებ არომატებს; როიალზე გაწოლილ კატებს, ვნებისაგან მიკნავლებულთა, ქალებივით რომ კვნესიან ნაზი, ჩამწყდარი ხმით".

„შეგიყვარებენ შენ ჩემნი მიჯნურნი და გეთაყვანებიან ჩემი თაყვანისმცემლები და შენ იქნები დედოფალი მწვანეთვალება ადამიანთა, რომელთაც მე, შენს მსგავსად, ყელში ვუჭერ ხელს ჩემი ღამეული ხვევნა-ალერსის დროს. დიახ, შენ იქნები მათი დედოფალი, ვისაც უყვარს მწვანე ზღვა — მშფოთვარე და უკიდეგანო, წყალი — უსახო, ფერადმრავალი, ქვეყანა, სადაც მათ არ უწერიათ ცხოვრება, ქალი, რომელსაც ვერასდროს გაიცნობენ, ავბედითი ყვავილნი, საღვთო ქურებს რომ ჰგვანან უცხო კულტისას, ნელსურნელებანი — ნებას რომ ძაგრავენ, ატეხილი მხეცები — სიშმაგის განსახიერება".

ამადაც ვწევარ ახლა მე შენ ფერხთით, ჩემო საყვარელო, გათვალულო პატარავ, და ვეძებ მთელს შენს არსებაში ამ ვერაგი ღვთაების არილს, ამ გრძნეული ნათლიდედის, ამ მომწამვლელ დედამძუძისას, რომელიც შხამავს ყველა მთვარეულს.

ტირი და სასაფლაო

ხედი სასაფლაოზე. ლუდხანა. — უჩვეულო აბრაა — გაიფიქრა მოხეტიალე მეოცნებემ — კარგადაა მოფიქრებული და დალევის იშტაზეც მოჰყავს კაცი. ჩანს, მედუქნე ჩასწვდა ჰორაციუსსა და ეპიკურელ პოეტებს, შესაძლოა ძველ ეგვიპტელთა დახვეწილი ღრმააზროვნებაც არ აკლდეს მას, რომელთათვისაც არც ერთი

პურობა არ ჩაივლიდა ჩონჩხის ან წარმავლობის სხვა რამ ემბლემის გარეშე".

ამ სიტყვებით იგი შევიდა ლუდხანაში, დალია ერთი ჭიქა ლუდი, თან საფლავებს გადაავლო თვალი და ნელ-ნელა გააბოლა სიგარა. შემდეგ გაიფიქრა: გავისეირნებო სასაფლაოზე, სადაც თვალს ახარებდა სამუხლე ბალახი და მზე უხვად აფრქვევდა სხივებს.

გაუძლისი ხვატი იდგა, მზე მთვრალივით გაშხვართულიყო ყვავილების დიდებულ ხალიჩაზე, რომელსაც უხვად ჰკვებავდა ხრწნადობის სიმსუყე. ირგვლივ დაუდუმებელი ზუნი იდგა ცხოვრებისა, წვრილ-წვრილ არსთა ცხოვრებისა, რასაც დროდადრო სროლის ხმა ერთვოდა, მახლობელ ტირიდან — თითქოს შამპანურის საცობები ფეთქდებაო სიმებიანი ორკესტრის ყრუ გუგუნში.

და აჰა, ხვატისაგან გათანგულს, სიკვდილის მწველი არომატების ატმოსფეროში, მოესმა ჩურჩული საფლავის ქვის ძირიდან, რომელზედაც იგი ჩამომჯდარიყო: „წყეულიმც იყვნენ თქვენი თოფები, თქვენი სამიზნეები, მოუსვენარო ცოცხლებო, — ამბობდა ეს ხმა — რამეთუ აროდეს ფიქრობთ გარდაცვლილებზე და არც მათ არამიწიერ განსვენებაზე. წყეულიმც იყვნენ თქვენი ამბიციები, თქვენი ანგარიშები, სულსწრაფო მოკვდავნო, კაცის კვლაში რომ ცდილობთ დახელოვნებას სიკვდილის წმინდა საკურთხევლის გვერდით. თქვენ რომ იცოდეთ, რა იოლია მიზანში მოხვედრა, რა იოლია პრიზის მიღება და რა არარაობაა ყველაფერი, სიკვდილის გარდა, — ამდენ ჯაფას არ დახარჯავდით, ამაოდ მშფოთველნო და ესოდენ ხშირად აღარ განუფრთხობდით ძილს იმათ, ვინც უკვე დიდი ხანია მიაღწია მიზანს, ერთადერთ ჭეშმარიტ მიზანს ამ ზიზღისმომგვრელ ცხოვრებაში".

თირზუსი

ფერენც ლისტისადმი

რა არის თირზუსი? მორალური და პოეტური გაგებით — ეს არის წმინდა ემბლემა ღვთაების მადიდებელი ქურუმის ან ქურუმქალის ხელში, რომელნიც განმარტავენ ღვთაების ნებას და ჰმსახურებენ მას. ფიზიკურად კი ეს არის ჯოხი, უბრალო სარი, ვაზის რტოებით შემოგრაგნილი, სწორი, ხმელი და მაგარი. ამ სარის გარშემო უცხო ტეხილებად თრთიან და იკლაკნებიან რტონი ურჩნი და უდრეკელნი, ყვავილნი ეჟვნისდარნი და თასისმაგვარნი. გამოუთქმელი დიდებულებით სუნთქავს მთელი ეს ნატიფი, მოელვარე სამყარო ფერთა და ხაზთა. თითქოს ტეხილი ხაზი და სპირალი უმიჯნურდებაო სწორს და ცეკვავსო მის გარშემო უტყვი თაყვანებით. ეს ნაზი გვირგვინნი, ეს თასები — სურნელებათა და ფერთა აფეთქება — მისტიურ ფანდანგოს ასრულებენო თითქოს საღვთო კვერთხის გარშემო.

რომელი კაღნიერი მოკვდავი გაბედავს თქმას, ვაზის ლერწები და ყვავილნი არიან შექმნილნი კვერთხისათვის, თუ თავად კვერთხი სხვა არარაა, თუ არა პრეტექსტი ვაზისა და მისთა ყვავილთა მშვე-

ნების გამოსავლენად? თირზუსი — განსახიერებაა თქვენი განსაცვიფრებელი გაორებისა, ძალუმო და სათაყვანო მაესტრო, ჩვენთვის სანუკვარო მსახურო იდუმალ-მწვეველი და ვნებიანი ბაკხური სილამაზისა. არასოდეს, არც ერთ ნიმფას, უძლეველი ბახუსის მირ გახელებულს, არ მოუქნევია თირზუსი თავის გაშმაგებულ ფანატოლთათვის ისეთის გააფთრებით, როგორც თქვენ შესძახით ჩქვენი გენიით მოყვასთა თქვენთა გულები. კვერთხი — თქვენი ნებაა, პირდაპირი, მტკიცე და უდრეკი; ყვავილები — გაფრენაა თქვენი ფანტაზიისა, თქვენსავე ნებას რომ ემორჩილება, ქალური საწყისი, წარმტაცი პირუეტებით გარს რომ უვლის ვაჟურ საწყისს. სწორი ხაზი და არაბესკა, ჩანაფიქრი და შესრულება, ნების სიმტკიცე, სინატიფე სახვისა, მიზნის ერთიანობა, საშუალებათა მრავალსახეობა, ყოვლისმძლე და განუყოფელი ამალგამა გენიისა — რომელი ანალიტიკოსი გაკადნიერდება იმდენად, რომ დაანაწევროს და გასთიშოს ეს ყოველივე?

ძვირფასო ლისტ! ნისლებსა და მდინარეებს მიღმა, ქალაქებში, სადაც როიალები მღერიან თქვენს დიდებას, ხოლო სასტამბო დაზგები ბეჭდავენ თქვენს სიბრძნეს — სადაც არ უნდა ბრძანდებოდეთ, მარადიული ქალაქის სიდიადეში თუ კამბრინუსის მიერ ნუგეშინისცემულ, საოცნებო ქვეყნების ბურუსში, სიხარულისა და შეუცნობი კაეშნის ჰანგთა იმპროვიზებისას, თუ თქვენი ღრმა მედიტაციების ქაღალდზე აღბეჭდვისას, — მარადიული აღტაცების, მარადიული სევდის მომღერალო, ფილოსოფოსო, მგოსანო და არტისტო, — მოგესალმებით უკვდავებაში!

სუპი და ღრუბლები

ჩემმა პატარა, თავქარიანმა საყვარელმა სადილი მომართვა, მე კი სასადილო ოთახის ღია ფანჯრიდან გავცქეროდი მცურავ სასახლეებს, უფლის მიერ ორთქლისგან ნაგებს, ამ საკვირველ, ხელშეუვლებ შენობებს. ვუჭვრეტდი მათ და ვფიქრობდი: „ეს ფანტასმაგორიული მშვენება მხოლოდ ჩემი მშვენიერი მიჯნურის თვალებს თუ შეედრება, ამ პატარა, თავქარიანი არსებისას, ამ სულზე უტკბესი, მწვანეთვალება ურჩხულისას".

და სწორედ ამ დროს ზურგში ერთი ლაზათიანი მუჯლუგუნი მივიღე და ჩამესმა ხმა, ჩემი სმენის დამათრობელი, ისტერიული ხმა, არყისაგან ხრინწმორეული თითქოს: „ჰა მორჩები თუ არა მალე მაგ სუპს, ეშმაკის კერძო, დოყლაპიავ! შენი... ღრუბლებით მოვაჭრევ!" — ეს იყო ხმა ჩემი სატრფოსი.

ANY WHERE OUT OF THE WORLD
საითაც გსურს გაეეშუროთ, ოღონდ გაეცალოთ ამ სამყაროს

ცხოვრება საავადმყოფოა, სადაც ყოველი ავადმყოფი საწოლის გამოცვლის ჟინითაა შეპყრობილი. ერთს ურჩევნია, ღუმელის გვერ-

დით იტანჯოს, მეორე ფიქრობს, რომ ფანჯარასთან გამოვანსაღდება.

მე მუდამ მეჩვენება, რომ უთუოდ კარგად ვიგრძნობ თავს იქ, სადაც ამჟამად არ ვიმყოფები და ამ პრობლემაზე, ადგილის გამოცვლის პრობლემაზე, გამუდმებით ვესაუბრები ხოლმე ჩემს სულს.

„მითხარი, სულო ჩემო, საბრალო, გათოშილო სულო ჩემო, რას იტყვი, დავსახლდეთ თუ არა ლისაბონში? იქ, ალბათ, ცხელა და შენ გამოცოცხლდები, როგორც ხვლიკი მზის შუქზე. ეს ქალაქი ზღვის პირასაა. ამბობენ, იგი მთლიანად მარმარილოსგანაა ნაგები, სოლო იქაურ მკვიდრთ იმდენად სძულთ თურმე მცენარეულობა, რომ ხეებს ანადგურებენ. აი, შენი გემოვნების შესაფერი ხედი — პეიზაჟი სინათლისა, ქვასა და წყალში არეკლილი სინათლისა".

სული ხმას არ იღებს.

„შენ ხომ ესოდენ გიყვარს სიმშვიდე მოძრავ სანახაობასთან შერწყმული, ხომ არ გსურს დავსახლდეთ ჰოლანდიაში, ამ კურთხეულ მხარეში? იქნებ გვეპოვა რაიმე ხალისი ამ ქვეყანაში, რომლის ლანდშაფტებითაც ესოდენ ხშირად დავმტკბარვართ ხოლმე მუზეუმებში? რას იტყვი როტერდამზე? შენ ხომ ძლიერ მოგწონს ეს ანძების ტყეები და ზედ სახლებზე მომდგარი ღუზაჩაშვებული გემები?"

სული ჩემი მდუმარებს.

„იქნებ ბატავია გიღიმოდეს ყველაზე მეტად? მ ა ნ დ ვპოვებდით მე და შენ სულს განათლებული ევროპისას, ტროპიკების სილამაზესთან შერწყმულს".

ხმა-კრინტი. — ხომ არ მომკვდარა, ნეტავ, ჩემი სული? „ნუთუ იმდენად ხარ გაოგნებული, რომ აღარაფერი გხიბლავს, გარდა საკუთარი ტანჯვისა? თუ აგრეა, გავიქცეთ იმ ქვეყნებში, სადაც ყოველივე სიკვდილის დაღს ატარებს. — მაშ გადაწყდა, საბრალო სულო! ტორნეოში მივემგზავრებით. ან არადა, ბალტიის ზღვის უშორესი ნაპირებისაკენ; ან კიდევ უფრო განვშორდეთ ცხოვრებას, თუ შესაძლოა პოლუსზე დავსახლდეთ, იქ სადაც გაზაფხულის მზის სხივები მსუბუქად ელამუნებიან დედამიწას, ხოლო დღე-ღამის მდორე მონაცვლეობა კლავს ყოველგვარ მრავალფეროვნებას და ჰქმნის მონოტონურობას, რომელიც სანახევროდ არყოფნაა თავისთავად. იქ მყოვარჟამ შთავინთქმით ხოლმე ბნელეთის წიაღში, ხოლო ჩრდილოეთის ნათება გაგვახალისებს ვარდისფერ სხივთა კონების ფრქვევით, ჯოჯოხეთის გულში დანთებული ფოიერვერკის ელვა-კრთომის დარი ფრქვევითა."

ბოლოს და ბოლოს ჩემმა სულმა სძლია საკუთარ გაოგნებას და სავსებით გონიერად მიპასუხა: „საითაც გსურს! საითაც გნებავს! ოღონდ განვშორდეთ ამ სამყაროს".

მ ა რ ტ ო ლ ბ ა

ერთი ფილანტროპი გაზეთის მჯდაბნელი მარწმუნებდა, მარტოლ-

ბა საზიანოაო ადამიანისათვის და, როგორც ყოველ ურწმუნოს, საბუთად მოჰქონდა ეკლესიის მამათა სიტყვები.

მე ვიცი, რომ დემონებს უყვართ ხეტიალი უდაბურ ადგილებში, მკვლელობისა და სიძვის სული არნახულად მძვინვარებს მარტოობაში. მაგრამ, შესაძლოა მარტოობა საშიში იყოს მხოლოდ მცონარე და უნიათო სულთათვის, რომელთაც სჩვევიათ მისი დასახლება თავიანთი ვნებებითა და ქიმერებით.

ცხადია, რომელიმე ყბედი, რომლისთვისაც სიამოვნების მწვერვალია კათედრის ან ტრიბუნის სიმაღლიდან ლაყბობა, უეცრად რობინზონის კუნძულზე რომ აღმოჩნდეს, ჭკუაზე შეირყევა უთუოდ. მე იმ გაზეთის მჯღაბნელისაგან არც მოვითხოვ კრუზოს ვაჟკაცურ სიქველეებს, მაგრამ სამაგიეროდ ნურც იგი გამოუტანს განაჩენს მარტოობისა და იდუმალების მეტრფე კაცს.

ჩვენს ენაჭარტალა მოდგმაში შესაძლოა ჰპოვოთ ისეთი ინდივიდებიც, რომელთაც არ შეაკრთობთ თვით სიკვდილით დასჯაც კი, ოღონდ მანამდე ნება მიეცით ეშაფოტის სიმაღლიდან ერთი ლაზათიანი სიტყვის წარმოთქმისა, რომელსაც არ ჩაახშობენ სანტერისეული* დოლები.

მე არ მებრალებიან ისინი, ვინაიდან ვფიქრობ, რომ ორატორული წიაღსვლები მათ ისეთსავე შვებას ჰგვრის, როგორსაც სხვებს — სიჩუმე და თვითჩაღრმავება. რა ვქნა, მძულს ასეთი ხალხი. ეს წყეული მეგაზეთე კი განა მაცლის, ჩემებურად ვპოვო განცხრომა ამ ცხოვრებაში.

„მაშასადამე, თქვენ არა გაქვთ მოთხოვნილება, სხვებს გაუზიაროთ თქვენი შვება, ჰა?" — მეკითხება იგი აპოსტოლის ტონით. დახეთ ამ შურიან მელაკუდას! მან კარგად იცის, რომ მე მძულს მისი შვების საგანი და ცდილობს დამაცდენინოს, თუ რა მგვრის მე შვებას.

— აი, აუტანელი მეხვანჯე!

რა უბედურია კაცი, რომელიც ვერ ეგუება მარტოობას, — ამბობს სადღაც ლა ბრუიერი და ამით თითქოს მათი დარცხვენა სურსო, ვინც საკუთარ თავს გაურბის და ბრბოში ეძებს თავდავიწყებას — როგორც ჩანს, იმის შიშით, რომ აუტანელი არ გახდეს საკუთარი თავისათვის.

„თითქმის ყველა ჩვენი უბედურება იმის შედეგია, რომ ჩვენ ვერ გავძელით საკუთარ ოთახში"— ამბობს მეორე ბრძენი, ვგონებ, პასკალი და ამით დაფიქრების სენაკისკენ მოუწოდებს იმ უგნურთ, რომელნიც აქეთ-იქით სირბილში ეძიებენ ბედნიერებას, რაც ერთგვარი გარყვნილებაა სულისა და რასაც მე ძმათაშორისს ვუწოდებდი, ჩვენი საუკუნის „ბრწყინვალე", მოდური გამოთქმების ხმარება რომ მჩვეოდეს.

---

*) სანტერი — ფრანგი გენერალი.

ცდუნებანი, ანუ ეროსი, პლუტოსი და დიდება

გასული ღამით ორი მომაჯადოებელი სატანა და ერთი პრანაკლებ ღირსშესანიშნავი დედაეშმაკი მესტუმრნენ ფარული კიბით, რომლითაც ჯოჯოხეთი უტევს ხოლმე ძილისაგან დაბანგულ ადამიანს და იდუმალ კავშირს ამყარებს მასთან. საზეიმო პოზებში გამწკრივდნენ ისინი ჩემს წინაშე, თითქოს ესტრადაზე დგანანო, გოგირდოვანი ნათებით ბრწყინავდნენ ღამის ბნელ ფონზე. ისეთი გოროზი და მბრძანებლური იერი ჰქონდათ, თავდაპირველად ნამდვილ ღმერთებად ჩავთვალე სამივე.

„პირველ სატანას ჰერმაფროდიტის სახე ჰქონდა. მისი სხეულის კონტურები ძველი ბაკხების ნებიერი სინაზით სუნთქავდნენ. მისი მშვენიერი, სევდიანი, ბუნდოვანი მუქი ფერის თვალები იებს ჰგავდნენ, გრიგალის ცრემლებით დამძიმებულთა, ნახევრად გახსნილი ბაგენი — სახმილს, გავარვარებულს და ნელსურნელოვანს, ირგვლივ ეწერები დასტრიალებდნენ, მისი მხურვალე სულთქმისაგან იწვოდნენ ჰაერში და სურნელებას ადრქვევდნენ გარშემო.

მის მეწამულ ჯუბას ქამარივით შემოგრაგნოდა ბრჭყვიალა გველი, რომელსაც თავი წამოეყო და სახეში შესცქეროდა პატრონს თავისი გავარვარებული, მთვრალი თვალებით. მას ამ ცოცხალ ქამარზე ეკიდა ბრჭყვიალა დანები, ქირურგიული ინსტრუმენტები და რაღაც ავბედითი სითხეებით სავსე შუშები. მარჯვენა ხელში წითლად მოელვარე სითხით სავსე თასი ეკავა, რომელსაც ჰქონდა ასეთი უცნაური ეტიკეტი: „სვით ამისგან ყოველთა, ეს ჩემი სისხლია, საუკეთესო გამახალისებელი". მარცხენა ხელში ვიოლინო ეკავა, რომლის ხმოვანებაც მის შეებასა და ტანჯვას დაჰკვნესდა და რომლითაც იგი ავრცელებდა თავისი გადამდები სიგიჟის სენს შაბაშების მრუმე ღამეებში.

გამხდარ წვივებზე გაწყვეტილი ოქროს ჯაჭვი ჰქონდა შებმული, რომელიც საგრძნობლად ბორკავდა მას, ასე რომ, იგი დროდადრო მიწას ჩასცქეროდა და თავმომწონედ ათვალიერებდა თავის ფეხის ფრჩხილებს, რომელნიც გულდასმით იყვნენ გაქლიბულნი და ბრჭყვიალებდნენ კარგად გამოყვანილი ძვირფასი თვლებივით.

ბოლოს მან შემავლო თავისი უნუგეშო, სევდიანი, ვერაგულად მათრობელი მზერა და წამღერებული ხმით მითხრა: „თუ გსურს, თუ გსურს, მე შენ გაქცევ სულთა მეუფედ, ცოცხალ მატერიაზე იმეფებ შენ, როგორც მოქანდაკე თიხაზე, მოქანდაკეზე უფრო ძალუმად იმეფებ. შენ ეზიარები უსასრულოდ განახლებად სიამეს საკუთარი თავისაგან განთავისუფლებისას და სხვებში თავდავიწყებისას. შენ მოიზიდავ სულებს და შეერწყმი მათ შენის სულითა". ხოლო მე მივუგე: „მადლობელი ვარ. მითხარ, აბა რას ვაქნევ მაგ არსებათა უბადრუკ გროვას, რომელთაც უთუოდ ჩემოდენი ფასი აქვთ ალბათ. მართალია, ოდნავ მრცხვენია წარსულის გახსენებისა, მაგრამ არც დავიწყება მსურს რაიმესი. კიდევაც რომ არ გიცნობდე შენ, ბებერო ურჩხულო, — შენი იდუმალი დანები, შენი საეჭვო შუშები, ჯა-

ჭვნი, რომელნიც გიბორკავენ ფეხებს, განა ეგ ყოველივე ნათლად არ მეტყველებს შენთან მეგობრობის სიძნელეებზე? დე, შენვე გქონდეს შენივე ძღვენი".

მეორე სატანას როდი ჰქონდა ასეთი ტრაგიული [illegible] და ამავე დროს მომღიმარი სახე, არც ასეთი ვერაგული [illegible] [illegible] [illegible]

ლიც სოფლური სალამურივით აჭრელებულიყო მსოფლიოს ყველა გაზეთების სათაურებით. მან ჩასძახა საყვირში ჩემი სახელი, რომელიც ათასი ჭექა-ქუხილის გვრგვინვასავით გავარდა სივრცეში და უშორესი პლანეტის ექოდ მომიბრუნდა უკან.

„დალახვროს ეშმაკმა", — ვთქვი სანახევროდ დაბუზღუნებულმა, „აი ეს კი ძვირფასი რამეა". მაგრამ, როდესაც კარგად დავუკვირდი მომხიბლავ ალქაჯს, ბუნდოვნად გამახსენდა, რომ მე იგი ოდესღაც მენახა, ჭიქებს რომ უჭახუნებდა ჩემს ზოგიერთ ნაცნობებს, არამზადობით სახელგანთქმულთა.

მისი ბრინჯაოს საყვირის ხრინწიანმა ხმამ კი ჩემს სმენაში გააღვიძა მოგონება რომელიღაც მოსყიდული საყვირის ხმისა.

და მე მივუგე მას უკიდურესი ზიზღით: „გაეთრიე აქედან! მე იმისთვის როდი ვარ შექმნილი, რომ ცოლად შევირთო მათი საყვარელი, ვისი სახელის ხსენებაც კი არ მსურს".

მართალია, სრული უფლება მქონდა მეამაყა ამ ვაჟკაცური უარით, მაგრამ სამწუხაროდ გამომეღვიძა და მთელი ძალები გამომეცალა. გუნებაში ვამბობდი: „ჭეშმარიტად, მაგრად მძინებია, რახან ასეთი წუნიობა გამოვიჩინე. ოჰ, ნეტავ კი მობრუნდებოდნენ უკან ამ სიცხადეში, მაშინ კი ნამდვილად აღარ დავიდებდი ასეთ თავპატიჟს!"

ხმამაღლა ვიწყე მათი ხმობა, ვევედრებოდი, შემინდეთ-მეთქი, რამდენიც გნებავთ, დამასხით-მეთქი თავსლაფი, ოღონდ კვლავ დავიმსახურო-მეთქი თქვენი კეთილგანწყობა, მაგრამ ამაოდ. როგორც ჩანს, ძალზე მძიმე შეურაცხყოფა მივაყენე მათ, ვინაიდან ისინი კვლავ აღარასოდეს მობრუნებულან.

დიდსულოვანი მოთამაშე

გუშინ, ბულვარზე, ბრბოში მიმავალმა, წამიერი შეხება ვიგრძენი იდუმალი არსებისა, რომელთან შეხვედრასაც მუდამ მიველტვოდი და რომლის ხატებაც მყისვე შევიცანი, თუმც აროდეს მენახა იგი. უთუოდ მასაც ივივე სურდა, ვინაიდან გვერდით ჩავლისას მრავალმნიშვნელოვნად ჩამიკრა თვალი. მეც მაშინვე მივდიე ამ წამყოფას, ფეხდაფეხ ავედევნე და მალე ორივენი აღმოვჩნდით უცხო ნათლით გაჩახჩახებულ მიწისქვეშეთში, რომელიც ისეთი სიმდიდრითა და ფუფუნებით ბრწყინავდა, პარიზის ვერც ერთი სრა-სასახლე რომ ვერ დაიკვეხნის. გასაოცარი ის იყო, რომ მე არაერთხელ ჩამივლია ამ ჯადოსნური სადარნოს გვერდით და არასოდეს შემიმჩნევია მისი კარიბჭე. აქ მეფობდა სულზე უტკბესი ბანგით გაჟღენთილი ატმოსფერო, წამიერად რომ გვავიწყებს მოსაწყენ ცხოვრებას ამა სოფლისას და სულიც ეწაფებოდა იმ ბუნდოვან ნეტარებას, რომელსაც ალბათ განიცდიან ლოტოსის მჭამელი მოგზაურნი, მარადიული დღის ნათლით გაბრწყინებულ ჯადოსნურ კუნძულზე მოხვედრილნი, სადაც ჩანჩქერთა რულის მომგვრელ ჟღურტუ-

ლში ისინი გრძნობენ, ვით იბადება მათში სურვილი თავიანთ ცოლ-შვილთან და პენატებთან არმიბრუნებისა, ზღვის აქოჩრილ ტალღებზე ხეტიალის შეწყვეტისა.

ქალთა და მამაკაცთა უცნაური სახეები რიალებდნენ ირგვლივ, საბედისწერო მშვენებით გაბრწყინვებულნი. და მე ეჭვენებოდა, თითქოს ოდესღაც მენახა ეს სახეები, ოღონდ ვერასგზით ვერ გავიხსენე, როდის და რომელ მხარეში. ეს სახეები უმალ დაძმურ სიმპათიას აღძრავდნენ ჩემში, ვიდრე იმ უნდობლობას, რომელიც, ჩვეულებრივ, იღვიძებს ჩვენში უცნობ ადამიანებთან შეხვედრისას.

რაიმე განსაკუთრებული გამოთქმით რომ განმესაზღვრა ის გამომეტყველება, რომელიც ასხივებდა მათ თვალთაგან, ვიტყოდი, რომ არასოდეს მინახავს თვალები, რომლებშიც ელავდა ასეთი უკიდურესი ზიზღი მოწყენისადმი, ასეთი დაუცხრომელი წყურვილი ცხოვრების შეგრძნებისა.

მე და ჩემი მასპინძელი ინახად დავსხედით კარგი ძველი მეგობრებივით, ვჭამდით და ვსვამდით უზომოდ, ნაირნაირ საუცხოო ღვინოებს შევექცეოდით და რაც არანაკლებ საოცარია, რამდენიმე საათში მე შევამჩნიე, რომ იგი ჩემზე არანაკლებ ნასმურევი იყო. დროდადრო ვწყვეტდით ჩვენს გამწე სმას და ამ ზეადამიანურ სიამოვნებას — ბანქოს თამაშს ვეწაფებოდით. აქვე უნდა ვაღიარო, რომ მე ბანქოში გავათამაშე და წავაგე ჩემი სული, ჭეშმარიტად გმირული უზრუნველობით და თავქეიფობით. სული ხომ ესოდენ ხელშეუვლები რამ არის, ხშირად სავსებით უსარგებლოა და ზოგჯერ ზედმეტ ტვირთადაც გვაწევს, ასე რომ მის დაკარგვას სულაც არ შევუშფოთებივარ, ალბათ უფრო მეტად შემაშფოთებდა სეირნობისას საგიზიტო ბარათის დაკარგვა.

ჩვენ დიდხანს ვწევდით რაღაც განსაკუთრებულ სიგარებს, რომელნიც თავისი შეუდარებელი გემოთი და არომატით აღვიძებდნენ სულში სევდას აროდესნახული ქვეყნებისას, წყურვილს აროდესგანცდილ შვებათა და ამ განცხრომისაგან გაბრუებულმა ანაზდად წამოვავლე ხელი სავსე ფიალას და ფამილარულად, დაურიდებლად შევძახე: „ეს თქვენი უკვდავი დღეგრძელობისა იყოს, ბებერო თხავ!“

წარმოიდგინეთ, ამგვარი მიმართვისას შოკის მსგავსი არაფერი შემიმჩნევია მისთვის.

ჩვენ ვსაუბრობდით აგრეთვე სამყაროზე, მის შექმნასა და მომავალ წარხდომაზე, ჩვენი საუკუნის დიად იდეაზე — ე. ი. პროგრესზე და სრულყოფის უნარზე, საერთოდ ადამიანური თვითმოტყუების ყოველგვარ ფორმებზე, ამ თემაზე მისმა ბრწყინვალებამ მრავალი მოსწრებული, მახვილგონიერი კალამბური ბრძანა, იგი საოცარ აუმღვრევლობას და სიმშვიდეს ინარჩუნებდა თვით უკიდურესად თავშესაქცევი ამბების მოყოლის დროსაც კი, თან განმაცვიფრა ისეთი დახვეწილი ფრაზებითა და საქცევებით, რომელთა მსგავსნიც არ შემხვედრია კაცთა მოდგმის თვით უსაჩინოეს სიტყვის ოსტატებთანაც კი.

მან განმიმარტა უაზრობა სხვადასხვა ფილოსოფიური სისტე-

მებისა, რომელნიც დღემდე ბატონობენ ადამიანთა აზროვნებაში, შემდეგ კეთილი ინება და გამანდო რამდენიმე ძირეული ჭეშმარიტება, რომელთა არსსა და უპირატესობასაც მე ვერავის ვამცნობ ამქვეყნად. იგი სულაც არ უჩიოდა იმ ცუდ სახელს, რომელიც მრსმა პერსონამ დაიმკვიდრა მთელს ქვეყანაზე, და მარწმუნებდა, რომ ეგბ თავადაც დიდადაა დაინტერესებული ცრუმორწმუნეობის აღმოფხვრაში და აღიარა, რომ ერთადერთი შემთხვევა ჰქონდა, როცა შეეშინდა თავისი ძალაუფლების შერყევისა და ეს იყო მაშინ, როდესაც ერთმა მქადაგებელმა, თავის თანამოძმეებზე მეტად გამჭრიახმა, წარსთქვა ეკლესიის ამბიონიდან: „საყვარელნო ძმანო ჩემნო, როდესაც თქვენი თანდასწრებით აქებენ და ადიდებენ განათლების მიღწევებს, გახსოვდეთ, რომ ეშმაკის ყველაზე ვერაგული ფანდი ის არის, რომ იგი ცდილობს დაგარწმუნოთ თავის არ არსებობაში!".

ამ სახელოვანი ორატორის ხსენებაზე სიტყვამ მოიტანა და ჩვენ შევეხეთ აკადემიების საკითხს: ჩემმა უჩვეულო თანამოსაუბრემ განმიცხადა, რომ იგი ხშირად წარმართავს ხოლმე ახალგაზრდობის აღმზრდელთა კალამს, სიტყვას თუ აზრს და რომ თითქმის ყოველთვის პირადად, თუმც უხილავად, ესწრება ხოლმე აკადემიურ სხდომებს.

მისი კეთილგანწყობის ამგვარი გამოვლინებით გაკადნიერებულმა ვკითხე მას, როგორ ბრძანდება-მეთქი უფალი ღმერთი, როდის შეხვდით-მეთქი მას უკანასკნელად. მანაც მომიგო ოდნავ უზრუნველი ტონით, თუმცა საკმაოდ გულდაწყვეტილად: „შეხვედრისას ვესალმებით ხოლმე ურთიერთს, როგორც ორი ხანდაზმული ჯენტლმენი, რომელთაც თანდაყოლილი ზრდილობის გრძნობა საბოლოოდ მაინც ვერ ავიწყეს ძველ შუღლს".

მის ბრწყინვალებას ვგონებ არაოდეს უბოძებია ესდენ ხანგრძლივი აუდიენცია უბრალო მოკვდავისთვის და მეც ვშიშობდი, ბოროტად არ მესარგებლა ასეთი პატივით. ბოლოს, როდესაც უკვე შემცივნებულმა ცისკარმა შემოიჭვრიტა ფერგამკრთალ მინებში, ამ ყოვლად წარჩინებულმა პერსონამ, რომლისთვისაც ამდენ პოეტს შეუსხამს ხოტბა და რომლის განდიდებასაც არაცნობიერად ემსახურება ამდენი ფილოსოფოსი, განმიცხადა: მე მსურს, რომ თქვენ კეთილი მოგონება დაგრჩეთ ჩემზე, მსურს აგრეთვე დაგიმტკიცოთ, რომ მიუხედავად ყოველივე იმ აუგისა, რასაც ამბობენ ჩემს შესახებ, მე ხშირად კეთილი ვარ, bon diable* როგორც მიწოდებთ ხოლმე თქვენ ყოველდღიურობაში. იმ აუნაზღაურებელი დანაკლისის საფასურად, რომელიც თქვენ განიცადეთ სულის დაკარგვით, მე დაგაჯილდოებთ თქვენ ყოველივე იმით, რასაც მიიღებდით ჩემგან იმ შემთხვევაში, ბანქოს თამაშის დროს ბედს თქვენთვის რომ გაეღიმა. კერძოდ — მე მოგცემთ საშუალებას იმისას, რომ მთელი თქვენი ცხოვრების მანძილზე დაამარცხოთ და განიქარეოთ ხოლმე

---

* კეთილი ეშმაკი (ფრ).

ეგ მეტად თავისებური დაავადება—**მოწყენა** წყარო ყოველთა თქვენთა სნეულებათა და ამავე დროს თქვენთა უდღეურ წინსვლათა მიზეზი. ამიერიდან მე დაგეხმარებით ყოველი სურვილის ასრულებაში; თქვენ იბატონებთ თქვენთა მსგავსთა უბადრუკ სულებზე; გარემოცული იქნებით ლიქნითა და თაყვანისცემით, ფულიც, ოქრო, ბრილიანტები, საზღაპრო სასახლეები — თავისთავად მოზღვავდებიან თქვენს კარზე და შეგეევედრებიან — გვეუფლეთო, — თქვენ კი ხელის განძრევაც არ დაგჭირდებათ მათ მოსახვეჭად. თქვენ მრავალგზის გამოიცვლით სამშობლოს და ისე ხშირად იმოგზაურებთ ხოლმე სხვადასხვა ქვეყნებში, როგორც ეს თქვენს ფანტაზიას მოეპრიანება. მოუყირჭებლად დაეწაფებით ვნების სიამტკბილეს იმ საოცნებო მხარეებში, სადაც ქალნი ისევე ნელსურნელოვანნი არიან, როგორც ყვავილნი და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ..." დაასრულა მან თავისი სიტყვა და გამომისტუმრა კეთილგანწყობილი ღიმილით.

იმ ხალხმრავალი შეკრების წინაშე თავის დამცირებას მოვერიდე, თორემ მზად ვიყავი ფეხებში ჩავვარდნოდი ამ დიდსულოვან მოთამაშეს, რათა ამით მაინც გამომეხატა მთელი ჩემი მადლიერება მისი ამ არნახული სიუხვის გამო. მაგრამ მასთან განშორების შემდეგ თანდათანობით კვლავ დამეუფლა დაუთრგუნავი უნდობლობა. უკვე ვეღარ ვბედავდი დაჯერებას ასეთი სასწაულებრივი ბედნიერებისას და რა დავწექი, ძველი სულელური ჩვევებისამებრ, ლოცვას ვბუტბუტებდი და ნახევრად ცნობამიხდილი ვამბობდი: „უფალო, შეასრულებინე ეშმაკს თავისი დანაპირები".

მხატვრის აღსარება

რაოდენ გულში ჩამწვდომია შემოდგომის დღეთა აღსასრული! გულში ჩამწვდომი და სევდისმომგვრელი! ხომ არსებობენ მომხიბვლელი გრძნობანი, ბუნდოვანნი და შემპარავნი, მაგრამ არ არსებობს ლახვარი, მარადისობის ლახვარზე უბასრესი.

რაოდენ მომხიბლავია ჭვრეტა ცისა და ზღვის უსაზღვროების! სიმარტოვე, სიჩუმე, ლურჯი ტატნობის შეუდარებელი ლივლივი. აი, პაწაწინა აფრაც მოჩანს თვალსაწიერზე... ეული და მიუსაფარი, როგორც ჩემი ბედკრული ყოფა. ზღვის მოქცევის მონოტონური დუდუნი; მთელი გარემო ფიქრობს ჩემით, ან იქნებ, მე ვფიქრობ გარემოთი? (აი, რა მალე მეკარგება ხოლმე საკუთარი „მე" ამგვარი ჭვრეტის სიდიადეში); ჰოდა ფიქრობენ, აზროვნებენ-მეთქი, ვამბობდი; აზროვნებენ ხატოვანად, მუსიკალურად, ჩვენი ყოველგვარი დედუქციების გარეშე, ყოველგვარი სოფიზმებისა და სილლოგიზმების გარეშე.

ჰო, მაგრამ, ჩემში იბადებიან ეს აზრნი, თუ საგნები ჰბადებენ მათ, მათი გარდუვალი შედეგია დაძაბულობა. ესოდენ ზეაღმტაცი შვება ტკივილს იწვევს სულისმიერს და ტანჯვას სხეულებრივს.

უკიდურესად დაძაბული ნერვები მძაფრი კრუნჩხვებით პასუხობენ ყოველივე ამას.

და აჰა, უკვე მოსვენებას მიკარგავს ლაქვარდთა სხლრმე; გულს მიღონებს ზეცის სიწმინდე, ზღვის უშფოთველობა, გარეშოს უძრაობა, აღაშფოთებენ ჩემს სულს... ნუთუ მარად უნდა ვიტანჯო, ან იქნებ სამუდამოდ უნდა გავექცე სილამაზეს? ჰოი ბუნებავ, უწყალო ჯადოქარო! მარადის გამარჯვებულო მეტოქევ, დამეხსენ-მეთქი! იკმარე თრგუნვა ჩემი ნატვრის და სიამაყის!

მშვენიერების წვდომა უთანასწორო დუელია, სადაც მხატვარი ბედითად მოსთქვამს, საბოლოოდ დამარცხებამდე.

რომელია ჭეშმარიტი?

მე კარგად ვიცნობდი ბენედიკტას, მას რაღაც იდეალური ატმოსფერო თან ახლდა ხოლმე ყოველთვის. მისი თვალები აღვიძებდნენ ჩემში წყურვილს ყოველივე დიადისას და მშვენიერისას. ისინი აღძრავდნენ ნდობას დიდებისას და მარწმუნებინებდნენ უკვდავებას.

მაგრამ ეს საუცხოო ქალწული ფრიად მშვენიერი გახლდათ, დიდხანს რომ ეცოცხლა და, ჩვენი გაცნობის შემდგომ, რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. მე ჩემი ხელით მივაბარე იგი მიწას გაზაფხულზე, როდესაც ტურფად ჰყვაოდნენ ყვავილნი და გაზაფხული საკმეველს აკმევდა სასაფლაოზეც. დიახ, ჩემი ხელით დავფლე იგი, მაგრად ჩავჭედე კუბოში, რომელიც სურნელოვანი და ულბოლველი ხისაგან იყო გამოთლილი და კიდობანს უფრო ჰგავდა ინდოეთიდან ჩამოტანილს, ვიდრე კუბოს.

და ამ დროს, ანაზდად, მზერა გამიშტერდა, გაოგნებული დავაცქერდი იმ ადგილს, სადაც დავფლე ჩემი საუნჯე, რადგან პაწაწინა არსება შევნიშნე მანდ, რომელიც საოცრად ჰგავდა მიცვალებულს. და ეს პაწაწინა არსება რაღაც ველური გახელებით სტკეპნიდა ახლადმიყრილ მიწას, ისტერიულად ხარხარებდა და ჰკიოდა: „ნამდვილი ბენედიქტა მე ვარ, მე, ყველასათვის ცნობილი კანალია! შენ დაისჯები შენი სიშმაგისათვის და სიბრმავისათვის და იცოდე, მე შემიყვარებ, მე, დიახ, შემიყვარებ, აი, ასეთს, როგორსაც მხედავ!"

„არა, არა, არა", შევყვირე მე ველური ხმით და, ჩემი უარისათვის უფრო მეტად ხაზგასასმელად, ჯიუტად დავკარი მიწას ფეხი. ფეხი მუხლამდე ჩამეფლო საფლავში და ამრიგად, ხაფანგში გაბმული მგლის მსგავსად, ალბათ სამუდამოდ, დავრჩი იდეალის აკლდამაზე მიჯაჭვული.

□

თენგიზ კეშელავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარსული პროზის წუძემდებელი

სპარსული ლიტერატურის ცხენება მკითხველში აღძრავს სინატიფის, დახვეწილობის, სილამაზის ასოციაციას. აზრის და პოეტურობის ტიტანების — ფირდოუსის, ჰაფეზის, ხაიამის, საადის, ჯამის, ნიზამის, ჯალალ ედ დინ რუმის მიერ თვალშეუდგამ სიმაღლეზე აყვანილმა უკვდავმა ქმნილებებმა დიდების შარავანდედით შემოსეს სპარსული პოეზია და მკვიდრი ადგილი მიუნინეს მას მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში. მათი წყალობით მრავალრიცხოვან მკითხველთათვის სპარსული ლექსი თავისებურ ხარისხის ნიშნად, მხატვრული ოსტატობის გარანტიად იქცა.

ასეთი მდიდარი ტრადიციებითა და სახელოვანი წინაპრებით ცნობილი თანამედროვე სპარსული ლიტერატურის წარმომადგენლებს ადვილი ცხოვრება არა აქვთ. ადვილი როდია ღირსეული მთამომავალი იყო ამ უმაღლესი შემოქმედებისა. ძნელია სპარსული კლასიკური პოეზიით გაზიზებული მკითხველი დააინტერესო. ამის გაკეთება შესძლო ევროპულ კულტურას ნაზიარებმა სადეე ჰედაიათმა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ მხოლოდ კლასიკური ლიტერატურის და ხალხური შემოქმედების ტრადიციებზე დაყრდნობით შეიძლებოდა შექმნილიყო თანადროულობის შესატყვისი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებები. მისი შემოქმედება დგას მრავალსაუკუნოვანი სპარსული კულტურის მტკიცე ბალავარზე.

მხატვრული პროზის დიდოსტატმა სადეე ჰედაიათმა თავისთავადი, ცინცხალი ფერები შეპმატა სპარსულ ლიტერატურას. ამ მწერლის საუკეთესო ქმნილებებმა კიდეე ერთხელ გვაგრძნობინა სპარსული ენის მადლი და ბარაქა, ყანდიეით ტკბილი სპარსული ხიტყვის ამოუწურავი გამომსახველობითი შესაძლებლობანი და საბოლოოდ დაასამარა ის მცდარი შეხედულება, რომ სპარსული ლიტერატურა ვარდასულ საუკუნეთა მიღმა დარჩა, წარსულის კუთვნილებაა და მას დახშული აქვს შემდგომი განვითარების გზა.

საუკუნეების მანძილზე ირანში პოეზიასთან შედარებით პროზა ნაკლები პოპულარობით სარგებლობდა და, შესაბამისად, მკითხველიც ცოტა ჰყავდა.

ისტორიული მოვლენებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების თავისებური პირობებით უნდა აიხსნას პოეზიისა და პროზის ურთიერთმიმართების საკითხები სპარსულ ლიტერატურაში. შეუვალი იყო სპარსული ლექსის პოზიციები. მდიდარი, თვითმყოფადი ცივილიზაციისა და კულტურის მქონე ირანელ ხალხს ისლამის წინა პერიოდში მრავალსაუკუნოვანი კულტურული ცხოვრების ტრადიციები გააჩნდა. ისლამმა შეზღუდა ხელოვნების ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიცაა მუსიკა, ცეკვა და ქანდაკება. ხელოვნების მოყვარული ირანელები იძულებული შეიქმნენ თავიანთი ნიჭი და გემოვნება წარემართათ იმ მიმართულებით, რაც ნებადართული იყო, კერძოდ პოეზიაში. ამით უნდა აიხსნას ირანელების განსაკუთრებული ყურადღება პოეზიისადმი და სპარსული ლექსის საარაკო აღზევება. სპარსულმა პოეზიამ სრულქმნილების მწვერვალებს მე-9-15 საუკუნეებში მიაღწია.

დიდებით მოხილი ეს ექვსი საუკუნე სპარსული ლიტერატურის ისტორიაში კლასიკურ ხანად იწოდება. ამ დროს პოეზიაში შეიქმნა ყალიბები, რომლებიც საფუძვლად დაედო სპარსელ სიტყვის ოსტატთა შემოქმედებითი პროცესის შემდგომ განვითარებას. ამ თარგების მიხედვით საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და დღესაც იქმნება სპარსული ლექსი, ამასთან იგი დიდ ზეგავლენას ახდენს მხატვრულ პროზაზეც. საერთოდ ძნელი წარმოსადგენია თანამედროვე ირანის ლიტერატურა იმ მძლავრი იმპულსების

გარეშე, რომელთაც იგი სპარსული კლასიკური ლიტერატურიდან ღებულობს. პროზა პოეზიას საგრძნობლად ჩამორჩებოდა. იგი უკანა პლანზე იყო გადასული. შემდგომ ვითარება შეიცვალა. მეოცე საუკუნიდან ძალთა თანაფარდობა სპარსულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში პროზის სასარგებლოდ ვითარდება. ორმოციანი წლებიდან მოყოლებული წამყვან როლს მხატვრულ ლიტერატურაში პროზა ასრულებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი ოცდაანი წლებიდან იღებს დასაბამს. უკანასკნელ ხანებში ირანის მწერლობაში ძალთა შემომატება სწორედ პროზაში ხდება. ირანელი მწერლები ცდილობენ თქვან ახალი სიტყვა თანამედროვე ლიტერატურის ისეთ ჟანრებში, როგორიცაა ნოველა, რომანი, დრამა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თანამედროვე სპარსული ლიტერატურა ცდილობს ფეხი აუწყოს მსოფლიო მწერლობაში მიმდინარე პროცესებს.

სპარსული მხატვრული პროზის აღმავლობა და განვითარება სადეყ ჰედაიათის სახელთანაა დაკავშირებული. მან ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ გზა გაეკვლია სპარსული ნოველისათვის, საერთაშორისო ასპარეზზე გაეტანა სპარსული ლიტერატურის, ამჯერად უკვე მხატვრული პროზის დიდება, თორემ რაც შეეხება სპარსულ ლექსს, მან უკვე კარგა ხანია მოიპოვა საყოველთაო აღიარება.

ნოველის მეკვლეები ჯამალზადე და სადეყ ჰედაიათია, რომლებმაც სპარსულ ლიტერატურაში დაამკვიდრეს ეს ჟანრი და გაუხსნეს მას შემდგომი განვითარების გზა. სადეყ ჰედაიათი დაიბადა 1903 წლის 17 თებერვალს, თეირანში, მაღალი არისტოკრატიული წარმომავლობის ოჯახში. ბავშვობა და ყრმობა მშობლიურ ქალაქში გაატარა. თეირანის ფრანგული კოლეჯის „სენლუის" წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1925 წელს ს. ჰედაიათი სწავლის გასაგრძელებლად ევროპაში გაგზავნეს. ჯერ ბელგიაში — სამოქალაქო ინჟინერთა უმაღლეს სასწავლებელში, შემდგომ კი პარიზში, არქიტექტურულ ინსტიტუტში. უცხოეთში ყოფნისას დარწმუნდა, რომ მისი ნამდვილი მოწოდება მწერლობაა და მთლიანად ლიტერატურულ საქმიანობას მიჰყო ხელი. იქ დაწერა თავისი პირველი მოთხრობები, გამოაქვეყნა ტრაქტატები „ვეგეტერიანობის სარგებლიანობაზე", „ადამიანი და ცხოველი".

თუმცა წლების განმავლობაში ს. ჰედაიათი შორს იყო თავისი სამშობლო მიწა-წყლისაგან, მაგრამ მისი გონება, აზრები განუყრელად იყო დაკავშირებული მშობლიური ხალხის ბედთან, მის ჭირ-ვარამთან. საფრანგეთში ყოფნისას წერს პატრიოტულ პოემას „სასანიდელი ქალიშვილი ფარვინი", ამ სამმოქმედებიან ისტორიულ დრამაში ასახულია სპარსელების ბრძოლა არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ.

1930 წელს ს. ჰედაიათი ირანში დაბრუნდა. ოცდაათიანი წლები ირანელი ხალხისათვის ძნელბედობის ხანა იყო. ამ დროს ირანში რეზა შაჰის სისხლიანი დიქტატურა, ნამსგდრეობელიციური რეჟიმი მძვინვარებდა. პროგრესული და მოწინავე აზრის გამოვლინება იდევნებოდა. საშშობლოში დაბრუნებული მწერალი იძულებული გახდა სამსახური დაეწყო. იგი მუშაობას იწყებს ირანის ნაციონალურ ბანკში, შემდეგ ვაჭრობის საამართველოში, საგარეო საქმეთა სამინისტროში და ა. შ. ს. ჰედაიათს თავისი არისტოკრატიული წარმოშობისა და გავლენიანი ნათესაველების წყალობით შეეძლო უზრუნველი ყოფილიყო, ცხოვრებაში ყველა გზა ჰქონდა გახსნილი. მიუხედავად ამისა, იგი მცირედით, მაგრამ თავისი შრომის ნაამაგარით კმაყოფილდებოდა. მწერალს სიცოცხლის ბოლომდე უხდებოდა მუშაობა უმნიშვნელო ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, რათა თავი ერჩინა. სადეყ ჰედაიათის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა გაუყოფელია.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში თეირანში შეიქმნა ლიტერატურული ჯგუფი „რაბუ", რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თანამედროვე ირანის კულტურულ ცხოვრებაში. მასში გაერთიანებული იყვნენ ირანის პროგრესული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. ჯგუფის ხელისმამძღვანელი და ორგანიზატორი სადეყ ჰედაიათი იყო.

ოცდაათიან წლებში ირანელი მკითხველის თაროზე გაჩნდა სადეყ ჰედაიათის ნოველების კრებულები: „ცოცხლად დამარხული", „სამი წვეთი სისხლი", „ჩრდილ-ნათელი", პამფლეტების კრებული „ბატონი ვალ-ვალი" და სხვა. ეს არა მარტო შესანიშნავი წიგნებია, რომლებმაც მაშინვე მიიპყრეს ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება, არამედ სპარსული მხატვრული პროზის განვითარების საფეხურებია.

კლასიკური სპარსული ლიტერატურისა და ევროპული ბურჟუაზიული ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილმა სადეყ ჰედაიათმა რთული, შემოქმედებითი ძიებებით აღსავსე გზა განვლო.

მშობლიური ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრების დაცემულობამ და მძიმე საზოგადოებრივმა პირობებმა თავისი გამოხატულება ჰპოვა მწერლის ლიტერატურულ პრაქტიკაში, მისი შემოქმედების პირველი პერიოდის მხატვრულ ქმნილებებში. იმ ფორმის ძიებამ, რომელიც საშუალებას მისცემდა მწერალს ეჩვენებინა ადამიანი საზოგადოებრივ წინააღმდეგო-

ბებთან დაპირისპირებაში, აესახა მისი ზემოქმედება ადამიანის პიროვნებაზე, თავისი დამოკიდებულება ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოელენების მიმართ, მიიყვანა სადეყ ჰედაიათი დასკვნამდე, რომ ადამიანის მის გარემომცველ სოციალურ სინამდვილესთან ურთიერთობის გამოხატვის საუკეთესო საშუალებას ფსიქოლოგიური ანალიზი წარმოადგენს. ეს შემოქმედებითი ძიებანი წარმატებით განახორციელა ირანელმა მწერალმა თავის ფსიქოლოგიურ ნოველებში.

სადეყ ჰედაიათის ადრეული ნოველები „ცოცხლად დამარხული", „მანეკენი ვიტრინაში", „კუზიანი დაუდი", „სამი წვეთი სისხლი" უიმედობისა და სასოწარკვეთილების სულისკვეთებითაა დაწერილი. მათ ფრანგული იმპრესიონიზმის ზეგავლენის ბეჭედი აზის. აღსანიშნავია მოთხრობა „ბრმა ბუ", რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არამარტო მის შემოქმედებაში, არამედ ახალ სპარსულ პროზაში.

სადეყ ჰედაიათის უსაყვარლესი პოეტები არიან ჰაფეზი და ხაიამი. მათდამი სწრაფვა მწერალს სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია. თავის მხატვრული შემოქმედების მწდეებად, შთაგონების წყაროდ ს. ჰედაიათს სწორედ ეს ორი ბუმბერაზი პოეტი მიაჩნდა.

ს. ჰედაიათის ფსიქოლოგიურმა პროზამ შეისისხლხორცა და გაითავისა სუფიური პოეზიის ქარაგმულობა და სიმბოლიკა, რაც განსაკუთრებით იგრძნობა მოთხრობაში „ბრმა ბუ", რომელიც ირანული მწერლის სულის ძაფითაა ნაქსოვი. გასაოცარია „ბრმა ბუს" გმირის მხატვრის შინაგანი სულიერი დინამიკის ჯადოსნური აღწერა. ავტორი სიღრმისეული შრეების ჩვენებისას თავაზობს მკითხველს საკუთარ სულიერ ცხოვრებაში გადადულებულ ფიქრებს. ნაწარმოები დაწერილია დეკადენტურ-მისტიკური განწყობილებით, მაგრამ თუ ამ მოთხრობის ზოგიერთ ჰასაჟს ჩამოვაცლით ნისლოვან ფარდას, დავინახავთ მწერლის თანადროული ირანის სულისმუსავი ცხოვრების გამოხატულებას.

ამავე პერიოდში სადეყ ჰედაიათი ქმნის ბრწყინვალე რეალისტურ ნაწარმოებებს: „ალავიე ხანუმი", „ლალე", „ძმაკაცი აქოლი", „აბჯი ხანუმი", „ქალი, რომელმაც ქმარი დაჰკარგა", „ხვავები", ამ ნაწარმოებებმა ჰედაიათს თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაში საპატიო ადგილი დაუმკვიდრეს.

ამ ნოველებში მწერალი გაბედულად ააშკარავებს მისი თანადროული ირანის სინამდვილის მანკიერ მხარეებს. ნოველების გმირები ირანის უბრალო ადამიანები არიან. სადეყ ჰედაიათი მათი ფსიქოლოგიური სამყაროს საუკეთესო მცოდნედ და შთაგონებულ მხატვრად გეეელინება. ირანელ ჰუმანისტს, სადეყ ჰედაიათს მკითხველი მიჰყავს დასკვნამდე, რომ ამ ადამიანებსაც აქვთ უფლება ცხოვრების სიხარულზე, სიყვარულზე, ყოველივე იმაზე, რაც ხალისს მატებს ადამიანს და მეტ შინაარსს აძლევს ცხოვრებას.

1936 წელს სადეყ ჰედაიათმა აისრულა თავისი ძრავალი წლის ნატვრა და ინდოეთს გაემგზავრა. ამ მოგზაურობისათვის, რომელიც მეცნიერულ მიზნებს ისახავდა, მწერალი იძულებული იყო გაეყიდა თავისი ქონება, უმთავრესად წიგნები. ინდოეთში მან ერთი წელი დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში გულმოდგინედ სწავლობდა სასანიდების ეპოქის ლიტერატურულ ძეგლებს და ფალაურ ენას. სამშობლოში დაბრუნებულს მძიმე ვითარება დახვდა. 1938 წელს თეირანში შედგა „ორმოცდაცამეტის" სასამართლო პროცესი. ასამართლებდნენ ირანის დემოკრატიული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეებს, რომელთა შორის იყვნენ ს. ჰედაიათის მეგობრები. დიდი სამიშროების მიუხედავად, სადეყ ჰედაიათი ყოველმხრივ ცდილობდა დახმარებოდა მათ. ინდოეთიდან დაბრუნების შემდეგ, რეზა შაპის დიქტატორული რეჟიმის დამხობამდე მწერალმა ვერ შეძლო ვერც ერთი მხატვრული ნაკარმოების გამოქვეყნება და იძულებული იყო შემოფარგლულიყო მხოლოდ მეცნიერულ-თარგმნითი მოღვაწეობით. იგი ზედიზედ აქვეყნებს მთელ რიგ გამოკვლევებსა და თარგმანებს ფალაური ენიდან. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სადეყ ჰედაიათის მიერ 1939 წელს გამოქვეყნებული ხაშუალო სპარსული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლის „არდაშირ პაპაკის ძის საქმეთა წიგნის" კრიტიკული გამოცემა.

აველსტური და ფალაური ტექსტების თარგმნისას სადეყ ჰედაიათი ურთავდა მათ მეცნიერულ აპარატს, რომლის შედეგნისას ითვალისწინებდა თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებს. ს. ჰედაიათის გამოკვლევებმა სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

1938-1941 წლებში სადეყ ჰედაიათი მუშაობს ირანის მუსიკალურ საამართველოში და თანამშრომლობს „მუსიკალურ ჟურნალში", რომლის ფურცლებზეც გამოაქვეყნა საინტერესო სტატიები ახალი ტუსის, ნიზამის, ჩაიკოვსკის, სპარსული სიმღერების, ანდაზების შესახებ, აგრეთვე რამდენიმე სპარსული ხალხური ზღაპარი.

ასევე ნაყოფიერად თანამშრომლობდა ორი ჟურნალებში „ხოხან", „ფეიამე ნოუ" და სხვა.

სადეყ ჰედაიათის ლიტერატურულ-კრიტიკული ალღო და დიდი ფილოლოგიური მომზადება კლასიკურ სპარსულ ლიტერატურაში გამოსჭვიეის მის წიგნში „ხაიამის სიმღერები". ომარ ხაიამის რობაების ამ გამოცემას სადეყ

ჰედაიათმა წაუშენებელი დიდი შესავალი, სადაც საუბარია ხაიამის შემოქმედების მხატვრულ თავისებურებებზე, ენაზე, სტილზე, პოეტის ათეისტურ შეხედულებებზე, მის სკეპტიციზმზე. უნდა აღინიშნოს, რომ ს. ჰედაიათის ომარ ხაიამისადმი ინტერესი ადრეულ დაებადა. ზემოდასახელებული კრებულის გამოსვლამდე ბევრად უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1924 წელს, ჰედაიათმა გამოსცა წიგნი „ბრძენი ომარ ხაიამის რუბაები".

ფაბრ ად დინ გორგანის პოემის „ვისრამიანის" ლიტერატურულ ანალიზს მიეძღვნა სადეკ ჰედაიათის სტატია „რამდენიმე სიტყვა ვისრამიანზე".

ს. ჰედაიათის შემოქმედების მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენს ხალხური სიტყვიერება. ჰედაიათის ნაწარმოებების მოელი რიგი სახეები, მოტივები, მისი სტილის თავისებურება დაკავშირებულია ხალხური ზეპირსიტყვიერების ტრადიციებთან, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ამ დიდი მწერლის შემოქმედების ფორმირებაში.

სადეკ ჰედაიათი ხალხური სიტყვიერებას დიდი მცოდნე და მოყვარული იყო. მისი ხელოვნება ფოლკლორისადმი არამიდგს აღარებდა ეპიზოდურ ხასიათს. ჭაბუკობიდან, ვიდრე ცხოვრების უკანასკნელ დღეებამდე, არ შეწყვეტილა მისი უყურადღება და ინტერესი ხალხის ამ სულიერი ხაუნჯისადმი.

მრავალმხრივია ს. ჰედაიათის შემოქმედების კავშირი ხალხურ სიტყვიერებასთან. იგი არის არა მარტო სპარსული ნაციონალური ფოლკლორის თაყვანისმცემელი და მწერალი-შემოქმედი, რომელმაც მრავალი მხატვრული ნაწარმოები შექმნა ფოლკლორზე დაყრდნობით, არამედ მისი შეგრძნებისა და მკვლევარიც.

ათასწლეულოვან ირანელ მწერლებსა და მოღვაწეებს შორის ს. ჰედაიათს ვერავინ გაუწევს შეტოქეობას სპარსული ხალხური შემოქმედების ცოდნასა და დაფასებაში.

ხალხური შემოქმედებითი გენიის შესწავლა და პოპულარიზაცია მან გადაუდებელ ამოცანად და დიდ ეროვნულ საქმედ მიიჩნია. მისი სახით სპარსულ ნაციონალურ ფოლკლორს გამოუჩნდა დაუღალავი მზრუნველი და ქომაგი.

ს. ჰედაიათის ეროვნული ზეპირსიტყვიერების ტექსტების შეკრებაში, ხალხური ტრადიციების აღწერაში და ირანის მოსახლეობის ეთნოგრაფიულ დახასიათებაში თავლსაჩინო დამსახურება მიუძღვის.

მისი ყურადღების არეში მოხვდა სხვადასხვა განრები: ანეკდოტები, გადმოცემები, ზღაპრები, ლეგენდები, ძველი ზნე-წეს-ჩვეულებები, სიმღერები, გამოცანები, ანდაზები.

სადეკ ჰედაიათი პირველი ირანელი ფოლკლორისტი და ეთნოგრაფია. ამ დარგებში კვლევა-ძიების დაწყება სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული.

სადეკ ჰედაიათი ხალხური სიტყვიერების ღრმა და საფუძვლიანი მცოდნეა. მის ნაწარმოებებში მოცემულია მეტად საყურადღებო ცნობები, თეორიული ხასიათის შეხედულებანი ხალხურ შემოქმედებაზე, მის წარმოშობაზე, რაობაზე, ოემატიკაზე, მნიშვნელობაზე, მხატვრულ ღირსებაზე, ხასიათსა და შესრულების წესებზე. იმ დროისათვის, როცა სპარსული ხალხური შემოქმედების წყაროები ნაკლებად იყო შესწავლილი და მათი კვლევა-ძიებაც არ წარმოებდა, სადეკ ჰედაიათის გამონათქვამებს უდაოდ გარკვეული მეცნიერული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

სადეკ ჰედაიათს, როგორც ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შემკრებს, გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი სპარსული ფოლკლორისტიკის ისტორიაში. 1931 წელს თეირანში სადეკ ჰედაიათმა გამოაქვეყნა კრებული „აუსანე"-ს (ზღაპარი) ხასელწოდებით. საგანგებოდ იგრძნობა კრებულის ხალხური ხასიათი. ეს წიგნი წარმოადგენდა სპარსული ხალხური სიტყვიერების ერთადერთ ნაბეჭდ კრებულს, სადაც წარმოდგენილი იყო მრავალი შესანიშნავი ნიმუში.

„აუსანე" წარმოადგენს ფოლკლორულ კრებულს, რომელიც შედგება შესავლისა და ტექსტებისგან, კერძოდ სიმღერებისაგან, რომლებიც თემატიკური ბუდეების მიხედვითაა განლაგებული. კრებულში ფიქსირებულია ხალხური, საბავშვო, იავნანას სიმღერები და გამოცანები.

1933 წელს ს. ჰედაიათმა თეირანში გამოსცა წიგნი „ნეირანგეხიანი" (სასწაულთა ქვეყანა), რომელშიც მოცემულია ღირსშესანიშნავი მასალები ირანელთა უძველესი გადმოცემებისა და ლეგენდების შესახებ. ამ წიგნში შესანიშნავად, ყველა დეტალის ზუსტი დაცვითაა აღწერილი საქორწინო, სამგლოვიარო და სხვა ცერემონიალები, მათთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები.

არანაკლებ ინტერესს ამჟღავნებდა ს. ჰედაიათი სპარსული ხალხური ზღაპრების მიმართ. იგი დიდი გულმოდგინებით და სიყვარულით აგროვებდა ხალხურ ზღაპრებს, ზოგიერთი მათგანი კიდეც გამოაქვეყნა თეირანის მუსიკალურ ჟურნალში. მისი ინიციატივით თეირანის რადიომ მოუწოდა ირანის მოსახლეობას გამოეგზავნათ ხალხური ზღაპრები და აღეთქვა მათ, რომ გამომგზავნელის სახელი ხალხური სიტყვიერების ნიმუშთან ერთად გამდებოდა ფართო საზოგადოების ყურადღების

---

1 აუსანე — ხალხურია, ხოლო ლიტერატურულია — აფსანე.

ღირსი. მართლაც, ირანის რადიოხა და ეთნოგრაფიის მუზეუმის მისამართით ირანის სხვადასხვა კუთხიდან იწყო დენა წერილებმა, რომლებიც შეიცავდნენ სპარსული ხალხური სიტყვიერების სხვადასხვა ნიმუშებს. მიღებული მასალები გულდასმით ისინჯებოდა და გადამუშავების შემდეგ, რასაც უმეტეს შემთხვევაში თვით ს. ჰედაიათი აკეთებდა, ხდებოდა ამ ზღაპრების ტრანსლირება რადიოთი.

ირანის ეთნოგრაფიისა და ხელოვნების შესახებ სადეყ ჰედაიათის ნაშრომებიდან უნდა აღინიშნოს: „სასანიდების ეპოქის ხელოვნება მედლებზე", „ირანის უძველესი ქალაქები", „ისპაჰანი — მსოფლიოს ნახევარი" და სხვა. განსაკუთრებით საინტერესოა ტრადიციული „საფარ-ნამეს" (მოგზაურობის წიგნის) ფორმით დაწერილი ეს უკანასკნელი ნაწარმოები, რომელშიც აღწერილია ირანელი ხალხის ყოფა-ცხოვრება. ავტორი ამყარებს თავის ღრმა ერუდიციას და კელავ ანიჭებს ადამიანს ესთეტიკურ სიამოვნებას მის წინაშე ირანის მატერიალური კულტურის შესანიშნავი ძეგლების გამოცოცხლებით.

40-იან წლებში სპარსული ფოლკლორისტიკა დაგროვების პროცესში იყო. იმ დროისათვის არ არსებობდა მეცნიერული გამოკვლევები ცალკეული პრობლემების შესახებ. არ იყო არც ერთი სახელმძღვანელო, რომლის მიხედვითაც შემკრები შეხძლებდა მეცნიერულად და მხატვრულად ღირებული ტექსტები ჩაეწერა. ამიტომაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სადეყ ჰედაიათის მიერ 1945 წელს ჟურნალ „სოხან"-ში გამოქვეყნებულ პროგრამას: „ფოლკლორი ანუ ხალხური ცოდნა". ეს იყო პირველი სისტემატიზირებული სახელმძღვანელო-პროგრამა სპარსული ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალების შეკრების საქმეში. ს. ჰედაიათის მიერ შემუშავებული ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეკრების ამ ინსტრუქციას დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება.

ეს პროგრამა საინტერესოა როგორც ფოლკლორისტებისათვის, ისე ეთნოგრაფებისა და ფილოლოგებისათვის. მასში ჩამოთვლილია ტერმინები, რომლებიც დაკავშირებულია ირანელი ხალხის როგორც მატერიალურ, ისე სულიერ კულტურასთან. ზოგიერთ ამ ტერმინთაგანი იქვე, ტექსტშივეა განმარტებული ავტორის მიერ. ზოგჯერ მოყვანილია ანდაზებიც, რომლის წარმოშობაც ამა თუ იმ მოვლენასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, როდესაც ლაპარაკობს სიტყვიერ ტაბუზე, ავტორი აღნიშნავს, რომ ხალხში სიტყვა „ცაშეტის" ნაცვლად მიღებულია სიტყვა „უფრო შეტის" ხმარება.

მეორე მსოფლიო ომის დროს სადეყ ჰედაიათი უყოყმანოდ ნადგა პროგრესულ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა რიგებში, რომლებიც ცდილობდნენ დაეცვათ მსოფლიო კულტურა ფაშიზმის ხელყოფისაგან. მსოფლიოს თავისუფალ ხალხთა მიმართ ჰიტლერული აგრესიის წინააღმდეგ გმირული ბრძოლის [illegible] უშნაშვნელოვანეს ძალად სადეყ ჰედაიათს [illegible] საბჭოთა კავშირი და მისი ძლევამოსილი შეიარღებული ძალები.

სადეყ ჰედაიათის ამ დროის გაწყობილებას კარგად ახასიათებს მისი მეგობარი, შშვიდობის პრემიის ლაურეატი მწერალი ბოზორგ ალავი: „უნდა გენახათ ჰედაიათი საბჭოთა კავშირისა და მოკავშირეების ფაშისტურ გერმანიასთან ომის დღეებში; იგი გულისძგერითა და მღელვარებით უგდებდა ყურს რადიოგადაცემებს კაცობრიობის მტერთან წითელი არმიის ბრძოლის შესახებ. წითელი არმიის ყოველი გამარჯვება და წარმატება მას თავისუფლების, საყოველთაო კეთილდღეობის, მეცნიერებისა და ცოდნის გამარჯვებად მიაჩნდა".

სამამულო ომის მრისხანე დღეებში, როცა მთელი მსოფლიო თვალყურს ადევნებდა ლეგენდარულ ბრძოლებს ვოლგასთან, სადეყ ჰედაიათი ქმნის ალეგორიულ ზღაპარს „სიცოცხლის წყარო", რომელშიც გამოიხატა მწერლის ოპტიმისტური განწყობილება, მისი ღრმა რწმენა ფაშიზმზე მსოფლიოს პროგრესული ძალების გამარჯვებისა. ამ ნაწარმოების გმირია ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლი უშიშარი აპამადაქი, რომელსაც მარადი გაზაფხულის ქვეყნიდან (იგულისხმება საბჭოთის ქვეყანა) მოაქვს უკვდავების წყალი და მხსნელად ევლინება ხალხს.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდს ემთხვევა სადეყ ჰედაიათის შემოქმედების ახალი ეტაპი. ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ, ირანის ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ სტიმული მისცა სადეყ ჰედაიათის შთაგონებას. მასზე ზეგავლენა მოახდინა მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის ისტორიულმა დამსახურებამ, მისმა პროგრესულმა და განმანთავისუფლებელმა მისწრაფებებმა.

ირანელი დემოკრატი მწერლის, სადეყ ჰედაიათის შემოქმედება ივსება ახალი იდეური შინაარსით. იგი, როგორც მხატვარი და მოაზროვნე, დემოკრატიული პროგრესული იდეების უფრო აქტიური მქადაგებელი ხდება. ამ პერიოდის თავის რეალისტურ ნაწარმოებებში მწერალი სვამს მწვავე სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებს, ააშკარავებს ფაშისტური იდეოლოგიის ყბადაღებულ ხასიათს („ბუჩქის ქვეშ"), იბრძვის კოლონიალიზმის მტაცებლური ბუნების წინააღმდეგ („ანტიქრისტეს სახედარი", „მარგალიტის ზარბაზანი").

ფართოვდება მწერლის სოციალური ინტერე-

დევი სიტყვებით უპასუხებდა: „იმპერიალისტებმა ჩვენი ქვეყანა დიდ საპყრობილედ გადააქცევს. სიმართლეზე ლაპარაკი და ფიქრიც კი დანაშაულად ითვლება, მიეუხალმებით მშვიდობიანთვის ბრძოლის იდეას".

ირანის იმდროინდელმა ხელისუფლებამ ყოველგვარი დაბრკოლება შეუქმნეს ს. ჰედაიათს, რათა მშვიდობის მომხრეთა კონგრესს არ დასწრებოდა, მაგრამ მან მაინც შესძლო ყველასათვის გასაგონად თავისი ხმა შეევრთებინა მსოფლიო მშვიდობის მებრძოლთათვის.

საშობლოში შექმნილი მძიმე ვითარების გამო 1950 წლის ბოლოს სადეყ ჰედაიათი პარიზს გაეშგზავრა და იქ ნაადრევად განშორდა წუთისოფელს. 1951 წლის ადრეულ გაზაფხულზე, პარიზში უკანასკნელი დილა გაუთენდა ირანელ მწერალს. პერ-ლა შეზის სასაფლაოზე დგას სადა, მოკრძალებული ძეგლი, ისეთი, როგორიც თვით სადეყ ჰედაიათი იყო.

სიცოცხლეში სადეყ ჰედაიათი ყურადღებით განებივრებული არ იყო. „ხამსახურში ყოველთვის ვიყავი უმნიშვნელო, შიეიწყებული მოსამსახურე და უფროსები უკმაყოფილონი იყვნენ ჩემით. მათ უხაროდათ, როდესაც მე განთავისუფლებას ვითხოვდი", — წერს იგი თავის ავტობიოგრაფიაში.

სიკვდილის შემდეგ ს. ჰედაიათს არც სახელი მოპკლებია და არც დიდება. მრავალმა პოეტმა, მწერალმა, კომპოზიტორმა თუ მხატვარმა უძღვნა მის ნათელ ხსოვნას თავისი ნაწარმოები. გამოუშვეს სამახსოვრო მედალი, რომლის ერთ მხარეზე მწერლის პორტრეტია გამოსახული, ხოლო მეორე მხარეზე ნაწყვეტი მოთხრობიდან „ბრმა ბუ". ნოველა „სვავები" გადაკეთეს პიესად და იდგმება თეირანის დრამატული თეატრების სცენაზე. „ლალეს" შთაგონებით ცნობილმა ირანელმა კომპოზიტორმა შექმნა სიმფონია. ირანელმა კინემატოგრაფისტებმა „დამ აქოლის" მიხედვით შექმნეს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი.

თანამედროვე სპარსული ლიტერატურის ყველა ანთოლოგიის აუცილებელი კომპონენტია ს. ჰედაიათის ნაწარმოები. ტრადიციად იქცა ირანში ყოველწლიურად მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოების ჩატარება. ს. ჰედაიათზე ბევრი იწერება როგორც ირანში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. მისი ცხოვრებისა და შემოქმედებითი გზის შესწავლას ეძღვნება კონგრესები, რეფერენდუმები, სიმპოზიუმები. ყველანი ერთხმად აღიარებენ, რომ სადეყ ჰედაიათი არის თანამედროვე ირანის უდიდესი მწერალი, რომლის შესანიშნავმა ქმნილებებმა გაამდიდრეს სპარსული ლიტერატურა. სადეყ ჰედაიათს უწოდებენ ახალი სპარსული ლიტერატურის მამამთავარს, მის დამაარსებელს, მანათობელ ვარსკვლავს და ა. შ.

სპარსული პროზის დიდოსტატის, სადეყ ჰედაიათის შემოქმედებამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა. მისი ნაწარმოებების გმირები ამეტყველდნენ მსოფლიოს მრავალ ენაზე.

ს. ჰედაიათის მრავალმხრივი ნიჭი სწვდებოდა მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროს. იგი იყო ბრწყინვალე ნოველისტი, თვალსაჩინო ფოლკლორისტი და ეთნოგრაფიულ მასალათა შემკრები, დაკვირვებული მკვლევარი, დრამატურგი, მთარგმნელი. იგი ავტორია მრავალი პუბლიცისტური წერილის, სათეატრო რეცენზიის თუ მიმოხილვისა. იგი ფლობდა არაბულ, ფალაურ, ფრანგულ, ინგლისურ, რუსულ ენებს. ფრანგულიდან ჰედაიათი არა მარტო თარგმნიდა, ამ ენაზე მას დაწერილი აქვს მხატვრული ნაწარმოებები, ასევე გამოკვლევები, მუსიკისა და მხატვრობის შესანიშნავი მცოდნე და მოტრფიალე ჰედაიათი თავისუფლად ფლობდა მხატვრის ფუნჯს. თავის წიგნებს თვით მწერალი აფორმებდა მხატვრულად. კერძოდ, მან მოხატა ფალაურიდან ნათარგმნი „არდაშირ პაპაკის ძის საქმეთა წიგნის" თაეფურცელი, აპურ-ამაზდას გამოსახულებაც მის მიერვეა შესრულებული. ჰედაიათსვე ეკუთვნის „ბრმა ბუს" ყდის, ტიტულისა და ფორზაცის გაფორმება.

სადეყ ჰედაიათი დიდ ყურადღებას უთმობდა მდიდარი სპარსული კულტურის, ხალხური შემოქმედების გამოშუურების, შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეს.

თანამედროვე ირანის ლიტერატორთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის სადეყ ჰედაიათი არის თაეკაცი, ვინც საფუძველი ჩაუყარა ამ ტრადიციას და დღენიადაგ ზრუნავდა, რომ ეს სამვილიშვილო საქმე შესრულებული ყოფილიყო მაღალ მეცნიერულ დონეზე.

მშობლიური ქვეყნის ისტორიაში სადეყ ჰედაიათი უმთავრესად შევიდა როგორც უდიდესი პროზაიკოსი, თანამედროვე სპარსული პროზის ფუძემდებელი და აღიარებული ოსტატი. მისი შემოქმედების მთავარი ეანრი ნოველა იყო, რომელიც მწერალმა განვითარების მაღალ საფეხურზე აიყვანა.

სადეყ ჰედაიათის პროზისათვის ნიშანდობლივია ლირიზმის ორგანული შერწყმა ფილოსოფიურ სიღრმესთან, უწყვეტი კავშირი ეროვნულ კულტურასთან.

თვითმყოფადობა ხელწერისა და მრავალფეროვნება პალიტრისა, რომელიც მდიდარია ფერებითა და ნიუანსებით, სადეყ ჰედაიათის ნოველისტიკის ძირითადი ნიშან-თვისებაა. მან ახალი ფურცელი გადაშალა სპარსულ ლიტერატურაში არა მარტო მრავალფეროვანი თემატიკით, არამედ ორიგინალური მხატვრული სტილით და მაღალი პროფესიული ოსტატობით. კოლორიტული

ელვარადობით სავსე ნოველა ჰედაიათისა ხიბლავს მკითხველს დიალოგების დამაჯერებელი გამლილი, სახეების სკულპტურული გამოკვეთილობით, მდიდარი ქვეტექსტით, ლაკონურობითა და უსიქოლოგიური სამყაროს წვდომით. მან განსაკუთრებული გულისყური მიაპყრო ადამიანის შინაგანებას, ფსიქოლოგიურ განცდებს და თანამედროვე სპარსული ლიტერატურა ფსიქოლოგიური ანალიზის სიღრმითა და სიხრულით გაამდიდრა.

სადეგ ჰედაიათმა გაბედულად გაუხსნა კარი ყოცხალი სპარსული მეტყველების ფორმებს, ანდაზებს, ზომიერად და მოხდენილად ჩასვა ისინი თხრობის ქსოვილში, რითაც ხელი შეუწყო სპარსული სალიტერატურო ენის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას.

ირანელმა მწერალმა შექმნა მნიშვნელოვანი, დასამახსოვრებელი სახეების მთელი გალერეა. ჰედაიათის გმირები: ალავიე, აქოლი, დაუდი, ლალე, ზარინქოლაპი, პაჯი ალა ძნელად დასავიწყებელი სახეებია. მკითხველი მათი ფიქრების, აზრების და მისწრაფებების თანამოზიარე ხდება, მათი სიხარულით, რაც ახე იშვიათია სადეგ ჰედაიათთან, თქვენც ხარობთ, მწუხარებასა და დარდს თქვენც განიცდით. ისინი კიდევ დიდხანს ცოცხლობენ თქვენს მახსოვრობაში. მაშინაც კი, როდესაც უკვე დახურეთ წიგნი და თითქოს ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეთ მათთან.

ირანელი მწერლის შემოქმედება ხალხური მადლითა და ჯადოსნურითაა გაჟღენთილი. მან დაგვიხატა თავისი მშობლიური ქვეყნის ყოფითი სინამდვილე, დაუვიწყარ მხატვრულ ფერცლებზე ასახა ცოცხალი სული, ერეკნელ ადამიანებში ირანელი ხალხისა. მისი თანამშემაშულეების ალიარებით სადეგ ჰედაიათი ყველაზე ირანული მწერალია სპარსელ პროზაიკოსთა შორის.

სადეგ ჰედაიათი სპარსული მწერლობის ერთ-ერთი დედაბოძია. შემთხვევით არ უწოდებენ მას „სპარსული პროზის ხაიამს". სადეგ ჰედაიათმა თავისი სათაყვანებელი წინაპრის ომარ ხაიამის მსგავსად შესძლო ლაპიდარულად, მოკლე, ტევად, ჩამოსხმულ ფორმებში ეადმოეცა დიდი სათქმელი, ღრმა აზრი, იგი იყო დიდი ტკივილის, მძაფრი განცდის ადამიანი, ვანწყობილებათა უბადლო მხატვარი; უზადო პოეტური ფერებით ძერწავდა ადამიანის სულიერი ცხოვრების მართალ სურათებს.

სადეგ ჰედაიათმა თავისი მდიდარი ლიტერატურული შემკვიდრეობით ღრმა კვალი დატოვა ეროვნული კულტურის ისტორიაში. მისი დაბადების 80 წლისთავი ფართოდ აღინიშნა.

□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიტალი ვილენკინი

თარგმნა ლარისა ტიტვინიძემ

ამედეო მოდილიანი

შესავალი

1984

ჩემი აზრით, ადამიანი მთელი სამყაროა, ზოგჯერ ყოველგვარ სამყაროზე უკეთესიც...

(წერილებიდან)

პერ-ლაშეზი, პარიზის ძველი სასაფლაო, ერთი ყველაზე პოეტური სასაფლაო მსოფლიოში, განსაკუთრებით ზაფხულში. მიბყვები სრეშით მოკირწყლულ ხეივნებს ან ასწლოვანი ხეებით დაჩრდილულ ვიწრო ბილიკებს და იძულებული ხდები, შენდა უნებურად შეჩერდე რომელიმე ძეგლის წინ, ზოგჯერ ნასევრად რომ დაუფარავს სშირ ფოთლებს.

გარდასული საუკუნეების რომანტიზმისა და კლასიციზმის დიდი აზის დიდებული მწერლების, ფილოსოფოსების, არტისტების, მხატვრების, სწავლულების საფლავებზე აგებულ ქანდაკებებს; მოძრაობასა და ნებას გამოხატავენ საფრანგეთის წინააღმდეგობის გმირთა საფლავებზე აღმართული ახალი, მოულოდნელი, გაბედული სკულპტურული სიმბოლოები. აქ არის დიდება საფრანგეთისა, მისი გენია, მისი ისტორია. მარმარილო და გრანიტი თითქმის ყოველგან ყვავილებითაა გაცოცხლებული, ხოლო ყვავილთა ფერები კი დიდი გემოვნებითაა შერჩეული.

მაგრამ არის ამ ძველ სასაფლაოზე დიდი უბანი, მთელი რაიონი, სადაც ყველაფერი სულ სხვაგვარად, ერთფეროვნად და პროზაულად გამოიყურება. თუმცა ზოგჯერ აქაც შეხვდები ლამაზ ძეგლებსა და ყვავილებს, მაგრამ ისინიც იკარგებიან ამ სავსებით ერთფეროვან, თითქმის სტანდარტულ, შეუმჩნეველ საფლავებს შორის. აქ იმარხებოდნენ წინათ პარიზის ღარიბ-ღატაკები. ურიცხვი რიგები ქვის დაბალი ყუთებისა, მიწიდან ოდნავ ამოწეული სახურავებით, მოწყენილი, მიწას გაკრული, უსიხარულო ქალაქი. ერთ-ერთ ასეთ საფლავის ქვაზე ამოტვიფრულია წარწერა იტალიურად:

ამედეო მოდილიანი

მხატვარი

დაიბადა ლიეორნოში 12 ივლისს, 1884 წელს.
გარდაიცვალა პარიზში 24 იანვარს, 1920 წელს.
დიდების კართან წამოეწია სიკვდილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა ქვემოთ კი იმავე დაფაზე წარწერილია:

ჟანა ებიუტერნი

დაიბადა პარიზში 6 აპრილს, 1898 წელს.
გარდაიცვალა პარიზში 25 იანვარს, 1920 წელს.

ამედეო მოდილიანის ერთგული თანამგზავრი, ვინც სიკვდილი არჩია მასთან განშორების ტანჯვას.

მე აქ მუზეუმიდან მოვედი, სადაც სიცოცხლეში პირველად ვიხილე მოდილიანის ჭეშმარიტი ქმნილებები. ვდგავარ საფლავთან, ისევ და ისევ ვკითხულობ წარწერას და უცებ მეჩვენება, რომ ასე მოკლედ აღწერილი ტრაგედია ამ ორმოციოდე წლის წინათ კი არა, სულ ახლახან მოხდა[1]. მეჩვენება, თითქოს აგერ ახლა შეიყარნენ მეგობრები „შარიტეს" — ღარიბთა საავადმყოფოს ეზოში, ჟაკობის ქუჩაზე, და ცოცხალი ყვავილების გვირგვინებითა და თაიგულებით სავსე ბალდახინმა, რომელშიც ესვენა ნახევრად ლატაკი, ყველასაგან განწირული მხატვრის ცხედარი, იანვრის ყინვით გათოშილი პარიზის თითქმის ყველა ქუჩა გადაიარა. თვალწინ მიდგება საფლავის ირგვლივ შეკრებილი ბრბო (იხსენებენ, რომ საფლავზე მაშინ ორასამღე კაცმა მოიყარა თავი, რომელსაც რალაც ბუნდოვანი საერთო დანაშაულის გრძნობა აერთიანებდა მიცვალებულის წინაშე. ხომ მართალია, რომ ყველამ, ვინც კი შეხვედრია მოდილიანის მისი ხანმოკლე სიცოცხლის გზაზე, ასე თუ ისე, თავისებურად შეიყვარა იგი — ახლა ჩვენ ეს ვიცით მათი მონათხრობებითა თუ მოგონებებით. — შეიყვარა, მაგრამ არ უშველა, გვერდი აუარა, გასწირა მარტოობისათვის. ბევრი მაოგანი, რომელმაც სიცოცხლეში ვერ გაიგო, არ აღიარა მისი ხელოვნება, ახლა, ახლად გათხრილ სამარესთან, მეტი ნდობითა და ცნობისმოყვარეობით დასჩერებია მას. თუმცა მეტისმეტად გვიანია, გვიანია თვით მხატვრისთვისაც, როგორც ეს ჩვეულებრივ ემართებათ ხოლმე დიდ ხელოვანებს, საერთო გულგრილობასა და მტრულ ვითარებაში დაჟინებით რომ იკვალავენ საკუთარ, მათთვის ერთადერთ გზას ადამიანთა გულებისაკენ. გვიანი არ არის მხოლოდ პარიზელი გაქნილი „მარშანებისათვის", სურათებით მოვაჭრეთათვის, რომლებიც აგრეთვე მრავლად ირევიან ამ ბრბოში. მათ კარგად უწყიან, რას ნიშნავს „დიდების კართან" და რა ხელსაყრელია უსახელო, ჭირვეული მხატვრისთვის უდროო, ტრაგიკული სიკვდილი, რათა სიკვდილის შემდეგ გადალახოს ეს ზღვარი... ისინი თვალებს აცეცებენ, ერთმანეთში ჩურჩულებენ, ცდილობენ შეუმჩნეველნი დარჩნენ ბრბოში. დღეს თუ არა, ხვალიდან მაინც დაიწყებენ ძებნას და ყიდვას იმისას, სულ ახლახან დანახვაც რომ არ უნდოდათ. იყიდიან, რათა დრომდე შეინახონ და მერე მოგებით გაყიდონ ეს უცნაური, თავისებური, მაგრამ, როგორც ჩანს, ვილაცისთვის უკვე მომხიბვლელი, ძვირფასი ტილოები— იქნებ ოკეანის გაღმაც მოაბერხონ გაყიდვა!

შემდეგ რაც მოხდა, საყოველთაოდ ცნობილია. მსოფლიო დიდება, უეცრად რომ აელვარდა ცვლილებით, დიდება, რომელსაც დროთა მსვლელობაში მრავალჯერ გადაუარა სნობიზმისა თუ მოდის ტალღებმა, ბევრჯერ შეავიწროვა უკვე სხვა უახლესმა მიმდინარეობებმა, მაგრამ კვლავ აღიდგინა კუთვნილი უფლებები. საარაკო, დღემდე კვლავ და კვლავ მზარდი ფასები მის ქმნილებებზე, ოდესღაც გროშის ფასად რომ იყო შეძენილი. კატალოგებსა და მონოგრაფიებში კი თითქმის უცვლელად მეორდება ეპითეტები: „ერთი დიდი მხატვართაგანი", „განუმეორებელი", „გენიალური".

მხატვრის ტრაგედია კი გამოუსყიდველი რჩება, იგი კვლავ ვრძელდება, ოღონდ ახალ

---

1 ა. ვილენკინის წიგნი „ამედეო მოდილიანი" პირველად დაიბეჭდა 1970 წელს, მოსკოვში (მთარგმნელი).

ფაზაში შედის და შესაძლოა, ჯერ კიდევ არ გასსნილა ყველაზე ძნელად გასახსნელი კვანძი. ამიტომ გტკივა ასე გული, როცა პერ-ლაშეზის სასაფლაოზე ამ შეუმჩნეველ სამარესთან დგახარ და კითხულობ წარწერას: „დიდების კართან წამოეწია სიკვდილი". დიდება მოვიდა და დიდი ხანია დამკვიდრდა მთელ მსოფლიოში, მაგრამ მოდილიანის შემოქმედება ბევრისთვის ჯერაც მიუწვდომელი რჩება. ფართო საზოგადოებისათვის იგი კვლავ ერთი ძნელად მისაწვდომი მხატვარია — ძნელად მისაწვდომი ამ სიტყვის პირდაპირი და არა გადატანითი მნიშვნელობით. უმეტესობა მისი ქმნილებებისა ჩაკეტილია კერძო კოლექციებში და ცნობილია მხოლოდ რეპროდუქციებით. არსებობს მრავალი შესანიშნავი ტილო თუ ნახატი (ასობით ნახატი, შეიძლება ათასობითაც), რომლებიც არასოდეს გამოუტანიათ ყველაზე ფართო, „თვალსაჩინო" გამოფენაზეც კი. ის, რაც მოდილიანიმ სიკვდილის შემდეგ დატოვა, სხვადასხვა ქვეყანაშია დაფანტული, მაგრამ არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ მუზეუმში არ არის წარმოდგენილი მისთვის შესაფერისი სისავსით, იტალიაში, სადაც იგი დაიბადა, და მის მეორე სამშობლოშიც, საფრანგეთში, ხელოვნებათმცოდნეები დღემდე დავობენ, იტალიელი მხატვარია იგი თუ ფრანგი, ორივე ქვეყნის ნაციონალურ მუზეუმებში კი მოდილიანის სულ რამდენიმე ტილოა და თითქმის არც ერთი ნახატი. დანარჩენები კი ინახება კერძო სახლებსა თუ ბინებში, „დახურულ", კერძო გალერეებში, დახვეწილ ატელიეებში და ძალიან იშვიათად, ისიც ნაწილ-ნაწილ თუ გამოიტანენ გამოფენაზე. თუმცა ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება აუქციონზეც შეისყიდოს ვისმე შემთხვევითმა, ფულიანმა მყიდველმა.

მწერალმა ჰერტრუდა სტაინმა ერთხელ ჰემინგუეისთან საუბარში როგორღაც სულ იოლად მიაკრა ერთ მის მშვენიერ ადრინდელ მოთხრობას სიტყვიერი იარლიყი: «inaccrochable». ეს გესლიანი ფრანგული სიტყვა ძნელად თუ გადაითარგმნება რომელიმე სხვა ენაზე. «Accrocher» ფრანგულად ნიშნავს მიკერას, მიჭედებას, ჩამოკიდებას. წინსართი «in» აქ უარყოფითი ნაწილაკის მნიშვნელობას იღებს. ჰემინგუეის მოჰყავს მთელი ფრაზა, რომელმაც აშკარად შეურაცხყო იგი: „მოთხრობა კარგია, — უთხრა მან. — უეჭველად კარგი, მაგრამ იგი წარმოგვიდგება, როგორც «inaccrochable», ესე იგი, იმ სურათსა ჰგავს, რომელიც მხატვარმა დახატა, მაგრამ არ შეუძლია გამოიტანოს გამოფენაზე, არც მყიდველი ეყოლება, რადგან სახლშიც არ შეიძლება მისი ჩამოკიდება".

მოდილიანის სურათებს ეს რამდენიმე ხანია სიამოვნებით ჰკიდებენ. ისინი უეცრად აღმოჩნდნენ სავსებით «accrochables», მაგრამ, სამწუხაროდ, უმთავრესად „სახლებში". მუზეუმებში მათ დიდი მოგვიანებით შეაღწიეს და უფრო ხშირად ამერიკაში, ვიდრე ევროპაში.

ახლა ევროპის ყველა მუზეუმი ბედნიერად ჩათვლის თავს, თუ შესაძლებლობა მიეცემა გამოფინოს მოდილიანის თუნდაც ერთი ნაწარმოები. ასე, ლონდონის კურტოს ინსტიტუტში საპატიო ადგილზე, ვან გოგის, სეზანისა და გოგენის შედევრების გვერდით ჰკიდია მოდილიანის ერთი მომხიბვლელი, ნიუ, ხოლო მოდილიანის ბევრად უფრო ნაკლებეფექტური „ლურჯკაბიანი ქალი" განსაკუთრებით საამაყო გამხდარა სტოკჰოლმის ახალი ხელოვნების მუზეუმისათვის.

რარიტეტის ბედი — იშვიათი მოვლენა, რომელიც მიუწვდომელი რჩება ფართო საზოგადოებისათვის, ტრაგიკული აღმოჩნდებოდა ბევრი მხატვრისათვის, ხოლო ისეთი მხატვრისათვის, როგორიც მოდილიანია, შეუწყნარებლად აღმაშფოთებელია. იგი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანურია და თავისი შემოქმედებითი არსით ადამიანებისთვისაა შექმნილი. იდუმალებანი, რაც ნიშანდობლივია მისთვის, როგორც ყველა დიდ მხატვარს, მასაც მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის სჭირდება, რათა ყველამ თავისებურად ამოიცნოს. მისი მთრთოლვარე, მხურვალე შინაგანი ხმა ყოველთვის გამოძახილს ეძებს. ამიტომაც ბედავს ასეთ უსაზღვრო გულწრფელობას და არც ის აშინებს, თუ ვინმეს უცნაურად მოეჩვენება. მას კი ხალხებსა და სასტუმროებში მიუჩინეს საპატიო ადგილი, წასვლისას კი გულმოდგინედ კეტავენ...

ჩვენში მოდილიანი არ არის არც მუზეუმებში, არც კერძო კოლექციებში (რამდენიმე შემონახული ნახატი, რა თქმა უნდა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ ავსებს ამ ხარვეზს). ოციანი წლების დასაწყისში, როცა სურათების მსოფლიო ბაზარზე ხდებოდა მოდილიანის ქმნილებების სტიქიური, უმთავრესად სპეკულაციური, ყაჩაღური „განაწილება", ჩვენს ქვეყანას იმდენად უჭირდა, ისე გმირულად იყო შემართული, რომ აღარ ეცალა დასავლეთის უახლესი მხატვრობის შესაძენად.

საზღვარგარეთის ხელოვნების გამოფენებზე ჩვენში მოდილიანი მხოლოდ ერთხელ იყო წარმოდგენილი, ისიც ძალიან დიდი ხნის წინათ 1928 წელს. თუმცა რეპროდუქციები, ზოგჯერ ძალიან კარგი რეპროდუქციებიც, უფრო მოგვიანებითაც იყო გამოფენილი. ამ რამდენიმე წლის წინათ ჩეხოსლოვაკიაში გამოცემული მონოგრაფია ელვის სისწრაფით გაიყიდა მოსკოვ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სა და ლენინგრადში. ბევრი გაარარა ანა ახმატოვას ერთ-ერთი წიგნის სუპერზე დაბეჭდილმა მოდილიანის ნახატმა. მას შემდეგ, რაც ვამოიკვეთნდა ილია ერენბურგის მემუარები: „ადამიანები. წლები. ცხოვრება", სადაც ასე დიდებულად, ნათლად არის წარმოდგენილი მოდილიანის ლიტერატურული პორტრეტი, დაინტერესება ამ მხატვრით, რომელიც მანამდეც არსებობდ ჩვენში, ოღონდ შემოფარგლული იყო პროფესიონალთა და მოყვარულთა საკმაოდ ვიწრო წრით, ძალისმეტად გაიზარდა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, რომლებიც სერიოზულად, დაუიკრებით ეკიდებიან ხელოვნების პრობლემებს. ბიბლიოთეკებში, ბუკინისტურ მაღაზიებში ძალიან ხშირად გაიგონებთ დაჟინებულ კითხვას: „გაქვთ თუ არა მოდილიანი? ან რაიმე მის შესახებ?" ბიბლიოთეკებში, განსაკუთრებით დიდ, სპეციალურ ბიბლიოთეკებში დიახაც ბევრი რამ არის მოდილიანიზეც და მის თანამედროვეებზეც — სხვადასხვა ენაზე გამოცემული დიდებული ალბომები იქნება ეს თუ პოპულარული მონოგრაფიები, ძვირფასი თუ ჩვეულებრივი გამოცემები.

მაგრამ მალაზიებში იშვიათად შეხვდებით მათ და ჩვეულებრივ ძალიან ძვირიც ღირს. უნდა ითქვას, რომ მოდილიანის შემოქმედების გაცნობა ჩვენშიც არ არის იოლი და ბევრი არც იცხობს. მოდილიანის შესახებ ძალიან ცოტა რამ არის დაწერილი რუსულ ენაზე. ილია ერენბურგის მემუარულ პორტრეტს წინ უსწრებს მხოლოდ რამდენიმე მოგონება და ორი თუ სამი მოკლე დახასიათება. კრებულში „პოეზიის დღე — 1967" დაბეჭდილია ანა ახმატოვას მშვენიერი მოგონებები, შეხვედრები მოდილიანისთან პარიზში, 1910 და 1911 წლებში, რასაც დართული აქვს ნიკოლოზ ხარჯიევის მცირე მოცულობის სტატია. ეს არის და ეს.

დასავლეთში ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე დიდძალი ლიტერატურა დაგროვდა მოდილიანის შესახებ. მასში სავსებით აისახა ის ცხოველი ინტერესი, რაც გამოიწვია მხატვარმა, როგორც უკვე ვთქვით, ზუსტად გარდაცვალების მეორე დღიდანვე. უკვე ათობით წიგნია დაწერილი მოდილიანის შესახებ, რომ აღარაფერი ვთქვათ უამრავ საჟურნალო და საგაზეთო სტატიაზე. ძირითადად რას წარმოადგენს მოდილიანისადმი მიძღვნილი ეს ვრცელი ლიტერატურა? აქ, ერთის მხრივ, ჩვენ ვხედავთ მისი შემოქმედების სერიოზულ, დაჟინებულ კვლევას, მეცნიერულ ანალიზს, კრიტიკული დაპირისპირების ცდებს და ესთეტიკურ განზოგადებასაც კი. მეორეს მხრივ, ჩვენ წინაშეა „კომერციული", მეტი ან ნაკლები წარმატებით შესრულებული მონოგრაფიები შესავალი წერილებით და რეპროდუქციებს დართული ტექსტებით, რომლებიც დაწერილია პოპულარულ-ინფორმაციული, სანაც ფანტასტიკური, დახვეწილ-გართულებული სტილით. სულ უფრო იზრდება ფრიად განსხვავებული დამაჯერებლობისა და ღირსების მემუარების რიცხვი. არსებობს ეგრეთ წოდებული მხატვრული ლიტერატურაც, სპეციფიური ბელეტრისტიკა, დამყარებული გამონაგონებსა და იაფფასიან ეფექტებზე, რაც „ატკბობს" მთელ რომანებს ან მის ცალკეულ გვერდებს მოდილიანის ბიოგრაფიის „ეგზოტიკით" და „რომანტიკით". უმეტესობაში კი მოჩანს ნამდვილი, ყოველგვარი სპეკულაციისაგან გაცლილი ინტერესი მისი შემოქმედებისადმი, სიყვარული თვით მხატვრისადმი, სიყვარული ჭეშმარიტი და არა თვალთმაქცური. ამ თვალსაზრისით, მე მგონია, განსაკუთრებით გამოირჩევა ორმოცდაათიანი წლებისა და სამოციანი წლების დასაწყისში გამოქვეყნებული ზოგიერთი გამოცემა, როგორიც არის მონოგრაფიები: გ. ელდიჩკასი, კლოდ რუასი და მხატვრის ქალიშვილის — ჟანა მოდილიანისა, რომელიც აშკარად პოლემიკურად არის განწყობილი ბევრი თავისი წინამორბედის მიმართ და თავის წიგნსაც ასე უწოდებს, „მოდილიანი ლეგენდების გარეშე"[1]. ასევე ძვირფასი და ნიჭიერად დაწერილია ჟან კოკტოს მშვენიერი პატარა ესეი, ლიონელო ვენტურის და ფრანკო რუსოლის სტატიები, მოქანდაკეების — ლიფშიცის და ცადკინის, მხატვრების — ვლამინკის, ორტის და სარატეს, ოსტერლინდის მოგონებები. ბევრი ძვირფასი ცნობა, ნათელი შთაბეჭდილება, ნიჭიერი ჩანახატი არის გაფანტული მოდილიანიზე დაწერილ სხვა სტატიებსა და წიგნებშიც.

1967 წელს ნიუ-იორკში გამოქვეყნდა პიერ სიშელის დაწერილი მოდილიანის ბიოგრაფია. ეს, მგონი, ყველაზე დიდი წიგნია, რაც კი დღემდე მოდილიანის შესახებ დაწერილა. წიგნის ტექსტი ექვსასამდე გვერდს შეიცავს, რასაც თან ერთვის შესანიშნავი საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატი. ავტორს მართლაც დიდი გულმოდგინება გამოუჩენია ყოველგვარი მასალის შესაგროვებლად. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ძვირფას ფაქტიურ მასალას, დოკუმენტებს, ავტორიტეტულ მემუარულ ცნობებს თან ერთვის აშკარა, დიდი ხნის წინათ უარყოფილი გამონაგონები, მითები, ანექდოტები, რომლებიც ძალიან ხშირად ავტორისეულ „ბელეტრისტიზებასაც" არ არიან მოკლებული.

ნიშანდობლივია, რომ, მიუხედავად მოდილიანიზე დაწერილი უამრავი სხვადასხვა ხასიათის ნაშრომისა, დასავლეთის ხელოვნებათმცოდნეობაში სულ უფრო ხშირად გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ მოდილიანის შემოქმედება კიდევ საჭიროებს უფრო ღრმად შესწავლას, რომ ივი ბოლომდე არ არის გაგებული და შეფასებული სათანადო ობიექტურობით. მართლაც, უნებურად ამას ფიქრობ, როცა ეცნობი მის ჭმნილებებს და ამავე დროს კითხულობ თუნდაც ყველაზე უკეთესს, რაც კი მასზე დაწერილა. ძნელი არ არის შეამჩნიო, რომ დასავლეთში მისი შემოქმედების ყველაზე სერიოზული, პროფესიული, გონივრული ანალიზიც კი დღემდე შემოფარგლულია უმეტესად „წმინდა ფორმის" პრობლემებით. მას განიხილავენ აბსტრაქტულად, მეტისმეტი ჩაკირკიტებით, რათა დაადგინონ მისი ოსტატობის ხერხების ან ორიგინალობა ან ტრადიციულობა. ამა თუ იმ ნაწარმოების ცალკეულ ფორმალურ ანალიზს, მხატვრის

[1] ეს წიგნი რამდენჯერმე გამოიცა სხვადასხვა ქვეყანაში, როგორც იტალიურ, ისე ინგლისურ ენაზე.

„ხელწერის" განსაკუთრებულ თავისებურებათა ჩაკირკიტებულ ძიებას გარდაუვალად თან სდევს დიდი ხელოვნების დამცირება. ოსტატობის ეს ხერხები, როცა მათ განიხილავენ თითქოს უპირო სივრცეში, განზრახ ჩაკეტილ სფეროში, ან უსულგულო ოქმს ემგვანება ავადმყოფობის ისტორიას. რომ გვაგონებს. ან საშუალებას აძლევს მკვლევარს, შემოგვთავაზოს ყოველგვარ საზღვარს გადაცილებული დაპირისპირებები, რომელთაგან ზოგი მეტნაკლებად საფუძვლიანია, ზოგი კი მეტად თვითნებური. ვიღას არ ადარებენ მოდილიანის. ვის გავლენის ალარ აბვეკავ?! იმდენ სახელსა და სკოლას უკავშირებენ მის შემოქმედებას, რომ ვინმემ შეიძლება საერთოდ მიმბაძველად მიიჩნიოს იგი ან მოწაფე ეკლექტიკოსად, ყოველ შემთხვევაში მანამდე მაინც, სანამ გაიკვლიდეს სხვადასხვა „ეტაპს" და ბოლოს და ბოლოს, ამა თუ იმ მკვლევარის ნებასურვილით, გამოიმუშავებდეს საკუთარ სტილს, რომელიც განთავისუფლებული იქნება სხვების წამბაძველობისაგან. ამ „გავლენებისა" და „მიბაძვების" კალეიდოსკოპში უკვე ძნელი ხდება განვსაზღვროთ ის რეალური სათავეები და გატაცებები, რამაც ნამდვილად გაუნათა ვეზა და დაეხმარა ჯერ სულ ახალგაზრდა მხატვარს, თავისთავადი ყოფილიყო ხელოვნებაში. მკვლევართა აზრი ამ გავლენებზე კამაოში ერთმანეთს სცილდება და ვერ ამჩნევენ, რომ ამასთან ერთად სცილდებიან თვით მხატვარსაც, ნაცვლად იმისა რომ ახლოს მივიდნინ მასთან, ჩაიხედოს მისი პოეზიის არსის სიღრმეში. ყურადღებით ადევნებენ თვალს, რა ცვლილებებს განიცდის მოდილიანის ტექნიკა და ეშირად ვერ ახერხებენ დაინახონ მისი შინაგანი სამყარო, გაიგონ, რისი ოქმა სურს მხატვარს. გაუგებარია, ხაძალადევად რატომ ართმევენ მის ხელოვნებას სოციალურ და ფილოსოფიურ შინაარსს. ქება-დიდებას ასხამენ, ტკბებიან მისი ფერწერის სიმშვენიერით, ნახატების სინარნარით და არაფერს ამბობენ მის სულიერ ზემოქმედებაზე. ყოველნაირად ცდილობენ, დაანაწილონ მისი შემოქმედება, პროკრუსტეს სარეცელზე მოათავსონ ცალკეული „პერიოდები" („კუბისტური" პერიოდი... „ხაზგური" პერიოდი... „იტალიური" პერიოდი... გამოძახილი ამა თუ იმ პერიოდისა..), სინამდვილეში კი მისი შემოქმედებითი ცხოვრება წუთიერი იყო. იგი მთლიანად ჩაეტია ათი-თორმეტი წლის გაშმაგებულად დაძაბულ შრომაში და ეს დაუშთავრებელი ძიებებით აღსავსე „პერიოდი" ტრაგიკულად ერთადერთი აღმოჩნდა მისთვის.

ჩვეულებრივ მოდილიანის ბიოგრაფიის დასასრულს დიდ წერტილს სვამენ: ბოლოს და ბოლოს მოდილიანმა იპოვა საკუთარი თავი, ბოლომდე თქვა თავისი სათქმელი, ის კი შუა სიტყვაზე გადაიწვა, მისი შემოქმედება კი აღმაფრენა კატასტროფულად შეწყდა, ისიც ერთი იმითგანი აღმოჩნდა, ვინც „ამქვეყნიდან ვერ დაასრულა სიცოცხლე, ვერ დაასრულა სიყვარული" და რაც მთავარია, ვერ დაასრულა თავისი შემოქმედება. იმის საფუძველზეც კი, რაც მან ნამდვილად უზადოდ შექმნა ამ თავის ერთაერთ „პერიოდში", რაც ჩვენთვის დღესაც განაგრძობს სიცოცხლეს, ვინ იტყვის, საით ან რომელ ახალ, შესაძლოა სრულიად მოულოდნელ მხარეს, რომელი უხილავი სიღრმეებისაკენ წარიმართებოდა ეს დაუცხრომელი ტალანტი, მუდამ რომ ოცნებობდა რაღაც საბოლოო, ყველაფრის ამომწურავ ჭეშმარიტებაზე? მხოლოდ ერთ რამეში არ შეიძლება ეჭვის შეტანა: ერთხელ მიღწეულს არასოდეს დასჯერდებოდა...

დავუკვირდეთ ხას, შევეცადოთ, გადავლახოთ არასრულყოფილება, გარდაუვალად თან რომ ახლავს ყოველი წიგნის რეპროდუქციას. აუჩქარებლად, ერთიმეორის მიყოლებით გადავფურცლოთ ეს პორტრეტები და ნახატები, ესოდენ არაჩვეულებრივნი, უცნაურნი, ერთი შეხედვით მონოტონურნი, მერე და მერე უფრო ძლიერად რომ გვიზიდავენ თავისკენ რაღაც მრავალმნიშვნელოვანი შინაგანი ნაირსახეობით, რაღაც ღრმა შინაგანი აზრით, რასაც ერთი შეხედვით ყოველთვის ვერ ამოვიცნობთ. თქვენ, ალბათ, გაგაოცებთ ან შეიძლება გაგიტაცოთ კიდეც ამ პოეტური ენის დაეინებამ და ადვილად ველარ დააღწევთ თავს იმას, რასაც იგი ჩაგაგონებთ, გაურკვევლად ჩაგჩურჩულებთ ან გაარნახობთ.

ყურადღებით დათვალიერების შემდეგ ითლად ინგრევა პირველი შთაბეჭდილება ამ სახეების მონოტონურობასა და ერთფეროვნებაზე. რაც უფრო დააკვირდებით ამ სახეებსა და მონახაზებს, მით უფრო მოგეძალებათ სურვილი, ჩასწვდეთ მიმზიდველ სიღრმეებს, რომელიც დაფარულია ხან ნათელი, გამჭვირვალე, ხანაც, რთული, აწეწილი, განზრახ გაბუნდოვანებული ეამოსახულების ზედაპირით. თვით ხერხების გამეორებაშიც (დაკვირვებულ თვალს არ გამოეპარება მათი სიმრავლე) თქვენ იგრძნობთ მხატვრის დაძაბულ სწრაფვას რაღაც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანისაკენ და შეიძლება ყველაზე იდუმალისაკენ, რაც ყველა ამ ადამიანს გააჩნია. თქვენ იგრძნობთ, რომ ეს ადამიანები შემთხვევით არ არიან შერჩეულნი, ისინი თითქოს ერთი და იმავე მაგნიტისაკენ მიიზიდებიან. და შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ყველანი, საკუთარ თავთან განმარტოებულნი, ერთი და იმავე შინაგანი, ლირიკული სამყაროსაკენ ისწრაფიან —

მშფოთვარე, შიშისმომგვრელი, მოუწესრიგებელი სამყაროსაკენ, რომელიც ალსავსეა გადაუჭრელი კითხვებით და იდუმალი სევდით.

მოდილიანი ხატავს თითქმის მხოლოდ და მხოლოდ პორტრეტებს. დიდი ხანია უკვე ითქვა, რომ თავისებურად, ფსიქოლოგიურად „პორტრეტულია" აგრეთვე ყველა მისი სახელგანთქმული ნიუ, შიშველი ნატურა. ასეც იხსენიებენ მას ზოგიერთ ცნობარსა თუ ენციკლოპედიაში — „პორტრეტისტი", როგორც მოწოდებით, ასევე პროდუქციით. მაგრამ რა უცნაური პორტრეტისტია, მხოლოდ თვითონვე რომ ირჩევს თავის მოდელებს და არ ღებულობს არავითარ შეკვეთას, თუნდაც თავისი ძმისაგან — თავისუფალი მხატვრისაგან, ან რომელიმე სულიერად მასთან ახლოს მყოფი ხელოვნების მოყვარულისაგან? ანკი ვინ შეუკვეთავს მას თავის პორტრეტს, თუ წინასწარ უარს არ იტყვის ყოველგვარ პირდაპირ მსგავსებაზე?

იგი ხომ დაბადებით უეჭველისა და ჩვეულებრივის გამოუსწორებელი დამამახინჯებელია, ახირებული მხატვარი, რომელმაც გასწირა თავი მოულოდნელი ჭეშმარიტების მუდმივი ძიებისათვის. მაგრამ უცნაურია სწორედ: უხეშად ხაზგასმული პირობითობის მიღმა მის ტილოზე შეიძლება მოულოდნელად დაინახოთ რაღაც ნამდვილად ჭეშმარიტი, გამიზნული გაუბრალოების ცდამ კი შესაძლოა გაგრძნობინოთ რაღაც ცხოვრებისეულად რთული და პოეტურად ამაღლებული.

აი, რომელიღაც მის პორტრეტზე — წარმოუდგენელი, ისრისებური ცხვირი, არაბუნებრივად მაღალი კისერი, თვალები კი რატომღაც არ ჩანს, არც თვალის გუგები. მათ ადგილას თითქოს ანცი ბავშვის მიერ დახაზული ან მოცისფრო-მომწვანო ფერად შეღებილი პატარა თვალებია. გამოხედვა კი აქვს, ზოგჯერ ძალიან დაჟინებულიც. ხასიათიც ჩანს, განწყობილებაც, საკუთარი შინაგანი ცხოვრებაც, გარე სამყაროსთან დამოკიდებულებაც. ზოგჯერ კი უფრო მეტიც: ის, რაც ფარულად აღელვებს, რასაც აუვსია თვით მხატვრის სული, რაც უხილავი გზებით აკავშირებს მას მოდელთან, უკარნახებს, რომ სწორედ ეს ერთადერთი, გარდაუვალი, აუცილებელი გზა არსებობს და არა რაიმე სხვა საშუალება მხატვრული გამომეტყველების დასაჭერად.

გვერდით, მეორე პორტრეტზე, თვალები ფართოდ არის გახელილი და უსაზღვროდ გამომეტყველია სწორედ შეუმჩნეველი წვრილმანებით. სამაგიეროდ შეიძლება კიდევ უფრო გაუბრალოებული მოგეჩვენოთ პალიტრა. ან შეიძლება „ზომაზე მეტად" გამოკვეთილი ანდა პირიქით, „წარეცხილი" მოგეჩვენოთ ხაზები ან სხვა რაიმე „პირობითობა". მაგრამ თავისთავად მოდილიანისათვის ეს სრულიად არაფერს ნიშნავს არც პირველ, არც მეორე პორტრეტზე. ამას მნიშვნელობა ეძლევა მხოლოდ მთლიანობაში, სახის პოეტურ გახსნაში.

აი, კიდევ ერთი ნახატი: გეჩვენებათ, თითქოს მასზე არაფერია დამთავრებული, აქ ვერ ვხედავთ იმას, რაც ჩვეულებრივია ჩვენი თვალისათვის, მოულოდნელი და ნაკლებად აუცილებელი კი რატომღაც მთავარი გამხდარა. ნახატი, რომელიც თითქოს არაფრისაგან, თვალით უხილავისაგან, პაერისაგან შექმნილა. მაგრამ ეს საოცრად თავისუფალი ნახატი მოდილიანისათვის არც სასწაულია, არც ბუნდოვანი, უხეში, მინიშნება. იგი უფაქიზესია და ამავე დროს უზუსტესი. მისი გრამატიკული დაუსრულებლობა თითქოს დაკავშირებულია სახეში ჩაღვრილ პოეტური მეტყველების სისავსესთან. აქაც, ნახატებში, ისევე როგორც ფერწერულ პორტრეტებში, მხოლოდ რაღაც გარეგნული მსგავსებაა მოდელთან, აქაც იგი საეჭვო „პორტრეტისტია", აქაც ნატურა გარდაქმნილია მხატვრის ნებით, რასაც უშუალო კავშირი არა აქვს ნატურასთან და დაკავშირებულია მხატვრის იდუმალ, მოუთმენელ ძიებებთან ხან ნაზი, ხანაც დაუოკებელი შეხებით. თითქოს უყურებდა იმას, ვინც ახლა მის წინ იდგა და ერთი ხელის მოსმით ჩამოიცილა, კარიკატურამდე დაიყვანა ან თითქმის სიმბოლომდე აამაღლა. და მაშინაც მიატოვა ეს თავისი მოდელი დაუმთავრებელ ტილოზე ან დაჭმუჭნილ ქაღალდის ფურცელზე, რაღაც ძალამ კვლავ გაიტაცა სხვისაკენ, სხვებისაკენ, ახალი ადამიანის ძიებისაკენ.

თ ა ვ ი ს ი ახალი ფორმა, თ ა ვ ი ს ი წერის ხერხები მოდილიანის მხოლოდ გულწრფელობისა და პირდაპირობის გასაძლიერებლად სჭირდება. მეტი არაფერი. თავისი სულიერი მრწამსით იგი ანტიფორმალისტია და საოცარია, ამ თვალსაზრისით რა იშვიათად ღალატობს თავის თავს, იგი ხომ პარიზში ცხოვრობდა იმ საუკუნეში, როცა ყველაფერი შთანთქა ფორმისათვის გაშმაგებულმა გატაცებამ, ფორმა — ფორმისათვის... იგი არასოდეს შეგნებულად არ აყენებს ფორმას თავისსა და გარემომცველ ცხოვრებას შორის. ამიტომაც უცხოა მისთვის ყოველგვარი აბსტრაქციონიზმი. ჟან კოკტომ ერთმა პირველთაგანმა განჭვრიტა ეს: „მოდილიანი არ ჭიმავს სახეებს, ხაზს არ უსვამს მათ ასიმეტრიულობას, უმიზეზოდ არ თხრის ცალ თვალს, არ აგრძელებს კისერს. ყველაფერი ეს თავისთავად ლაგდება მის სულში. ასე გვხატავდა იგი

ჩვენ „როტონდაში", მაგიდებთან მსხდომთ, გვხატავდა დაუსრულებლად, ისე, როგორც ალგებ ქვამდა: მსჯავრს სდებდა, უყვარდა ან სძულდა. მისი ნახატები უსიტყვო საუბარი იყო. ეს გახლდათ დიალოგი მის ხაზებსა და ჩვენს ხაზებს შორის".

მოდილიანის მიერ შექმნილი სამყარო საოცრად რეალურია. ამ არაჩვეულებრივისა და ზოგჯერ მისი ზოგიერთი ხერხის დახვეწილობის მიღმაც კი გარდუვლად იგრძნობა მისი სახეების რეალური ყოფიერება. მან დაასახლა ისინი ტილოზე და მას შემდეგ ცხოვრობენ ჩვენ შორის ეს შინაგანად ადვილად საცნობი ადამიანები, თუმცა ჩვენ არასოდეს გვიხილავს ისინი, ვინც მოდელებად გამოიყენა. მან იპოვა თავისი გზა, აღმოაჩინა თავის თავში განსაკუთრებული უნარი, გაეცნო ისინი ჩვენთვის, ვინც თვით ინდომა, გამოარჩია ბრბოდან, საზოგადოებიდან, თავისი დროიდან და შეიყვარა ან უარყო. მან გვაიძულა, აღგზნებულიყო ჩვენში სურვილი მათი ხვედის ან ოცნების ამოცნობისა, გვეგრძნო მათი ფარული ტკივილი თუ სიძულვილი, სიბეჩავე თუ გულჩვილობა, გამოწვევა თუ მორჩილება. მისი ყველაზე უფრო „პირობითი" და „გამარტივებული" პორტრეტებიც კი არაჩვეულებრივად ახლოს არიან ჩვენთან, თვით მხატვარმა დაგვაასლოვა მათთან. სწორედ ამაშია მათი უჩვეულო ზემოქმედებაც. ჩვეულებრივ არავინ და არავის აცნობს ასე: რაღაც მეტისმეტად სწრაფად და მეტისმეტად ინტიმურად.

რაღა თქმა უნდა, იგი სრულიადაც არ არის რევოლუციონერი არც ცხოვრებაში, არც ხელოვნებაში. არც სოციალური უთანაბრდება მის შემოქმედებაში რევოლუციურს. მასში იშვიათად დაინახავთ აშკარა, პირდაპირ გამოწვევას ამა თუ იმ მოვლენისადმი, რასაც გარემომცველ ცხოვრებაში ვერ შეგუებია მხატვრის ბუნება და მის მიმართაც მტრულად არის განწყობილი. და მაინც მართალია კოკტო, როცა ამბობს, რომ ეს მხატვარი არასოდეს ყოფილა გულგრილი გარემო ცხოვრებისადმი, რომ იგი ყოველთვის „მსჯავრს სდებდა, უყვარდა ან სძულდა". არამარტო საყოველთაოდ ცნობილი სარკასტული, თითქმის პლაკატური „საქორწინო წყვილი", არამედ სხვა ტილოებიც, მთელი რიგი ნახატები აშკარად გვაგრძნობინებენ, რარიგ სძულდა მოდილიანის მაძღარი თვითკმაყოფილება, იაფფასიანი სნობიზმი, თვალში საცემი ან მოხერხებულად დაფარული უხამსობა, ყოველგვარი ბურჟუაზიულობა.

მაგრამ მის შემოქმედებაში მსჯავრსა და უარყოფას ყოველთვის სძლევს გაგება და თანაგრძნობა, სძლევს სიყვარული. როგორი გამახვილებული, უფაქიზესი გრძნობიერებით იჭერს და გვიჩვენებს ადამიანურ დრამებს, როგორი ფრთხილი სინაზით სწვდება მათ ყველაზე უფრო ღრმად დამარხულ სევდას, რომელიც მიუწვდომელი და ჯიუტად დაფარულია გულგრილი თვალისათვის. როგორი უნარი შესწევს, გაიგოს შეურაცხყოფილი, დაკარგული ბავშვობის თუ გაწამებული, დალუპული სიჭაბუკის უსიტყვო, ენით გამოუთქმელი საყვედური. ყოველივე ეს ხშირია უბრუნველი ოპტიმიზმის მოყვარულებშიც, თუ გნებავთ, მოდილიანისთან ასე თუ ისე ახლო მყოფ ადამიანთა გალერეაშიც, მაგრამ რას იზამთ, თუკი მოდილიანი უპირველესად და ყველაზე ხშირად ამას ხედავს „უბრალო" ადამიანებში, რომლებიც არ მიეკუთვნებიან „საზოგადოებას" და რომლებისკენაც ყოველთვის ასე მიუწევს გული: ესენი არიან ახალგაზრდები სოფლისა თუ ქალაქის მდაბიოთაგან, მოახლეები და კონსიერჟი ქალები, მენატურეები და მკერავები, შიკრიკები და შეგირდები, პარიზის ბულვარების ქალიშვილები, რომელთაგან ერთს „ხალხის შვილიც" უწოდა მწარე ირონიით. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მოდილიანი მხოლოდ და მხოლოდ მწუხარებაზეა მიჯაჭვული, რომ იგი უსასოო, მორჩილი სევდის მხატვარია. არა, იგი ხარბად იჭერს და უნარი შესწევს გაიძულოს, ნათლად დაინახო ნამდვილი ადამიანური ღირსების ძალა, დაინახო ნამდვილი გულისხმიერი ადამიანური სიკეთე, შეურყეველი სულიერი მთლიანობა, განსაკუთრებით მხატვრებსა და პოეტებში. მათ შორის კი უფრო იმათ ირჩევს, ვინც დაძაბული, ჩუმი სიჯიუტით მიჰყვება განწირულის მძიმე გზას, მაგრამ მისი ტალანტი თავს არ იხრის არავის წინაშე. ეს არც არის გასაოცარი. მისი გზაც ხომ ასეთი იყო, გზა „ხანმოკლე, მაგრამ საგსე სიცოცხლისა" და ეს გზაც ოდესღაც თვითონვე დაუბედა თავის თავს.

თავი I

მონმარტრი

1906 წლის დამდეგს ახალგაზრდა მხატვართა, ლიტერატორთა და მხახიობთა შორის, რომლებიც მაშინ თავისებურ კოლონიად ცხოვრობდნენ მონმარტზე და ყველანი ასე თუ ისე იცნობ-

დნენ ერთმანეთს, ახალი პიროვნება გამოჩნდა და უმალვე მიიპყრო ყველას ყურადღება. ეს გახლდათ იტალიიდან ახლად ჩამოსული ამედეო მოდილიანი. იგი კოლანკურის ქუჩაზე დასახლდა, პატარა სარდაფ-სახელოსნოში, რომელიც ბუჩქნარით გადავლილი მინდვრის შუაგულში იდგა. ამ ადგილს „ნაკის"[1] ეძახდნენ და ის იყო იწყებდნენ იქ ახალი სახლების შენებას. მოდილიანის მაშინ ოცდაორი წელი შეუსრულდა, თვალისმომჭრელად ლამაზი იყო, მაგრამ, ეტყობა, რაღაც სხვა, უფრო მეტად არაჩვეულებრივით იპყრობდა საყოველთაო ყურადღებას. ბევრ მათგანს, ვინც მაშინ პირველად შეხვდა მოდილიანის, უპირველეს ყოვლისა მეხსიერებაში ჩარჩა ავადმყოფურად ანთებული დიდი შავი თვალების ჭიქური გამოხედვა და შავგვრემანი, ფერმკრთალი სახე. იგი ნელი ხმით ლაპარაკობდა, მაგრამ მის ხმაში თითქოს მდუღარება იყო ჩადვრილი, გეგონებოდათ, კი არ დადის, დაფრინავსო, მთლიანად კი მისი გარეგნობა ძალასა და ჰარმონიას გამოხატავდა.

როგორც შემდეგ იხსენებენ, ყოველ ადამიანთან ურთიერთობაში იგი არისტოკრატულად თავაზიანი, უბრალო და კეთილხასიათური იყო, უმალვე ინადირებდა ყველას თავისი ხულიერი სიფაქიზითა და გულგაშლილობით. დიდებულად, სრულიად თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულად, იოლად ეცნობოდა ყველას, კიდევ უფრო იოლად ახერხებდა პირველი, უმნიშვნელო ფრაზებიდან მისთვის სასურველ თემაზე გადასვლას და საუბარი უპირატესად ლიტერატურაზე გადაჰქონდა. ამასთან თითქოს ამაყობდა კიდეც თავისი ცოდნით და შეიძლება ახლად გაცნობილისთვის მეტისმეტი აჩქარებითაც ამეღავნებდა დიდებულ ცოდნას იბსენის, შელის, ნიცშესი, დ' ანუნციოსი და დოსტოევსკისაც კი. „ღვთაებრივი კომედიის" ტერცინები, ლეოპარდის, ვიიონის, რემბოს ლექსები ნიაღვარივით გადმოსჩქეფდა მის მაგეთაგან ყოველ ხელსაყრელ შემთხვევისას. მაგრამ ამავე დროს დაკვირვებულ თანამოსაუბრეს არ გამოეპარებოდა ამის იქით გადამალული, რამდენადმე შეკავებული ერუდიცია, ხოლო ამ სამხრეთული, ხმელთაშუაზღვისპირული ექსპანსიურობის მიღმა რაღაც სეტისმეტი სიფრთხილით გადანახული, ხულის სიღრმემდე დასული გულჩახვეულობა, შეიძლება უნდობლობა, ან იქნებ შიშიც კი.

ლიტერატურაზე იგი გატაცებით ლაპარაკობდა, არ შალავდა თავის მიკერძოებას და სიყვარულს. მაგრამ გარკვეულ მსჯელობას მხატვრობაზე, განსაკუთრებით მის თანამედროვე მიმართულებებზე, რატომღაც გაურბოდა, ყოველ შემთხვევაში პირველ ხანებში მაინც. თუმცა ისიც იგრძნობოდა, რომ დიდად დაინტერესებული იყო პიკასოს, მატისის, ვლამინკის, დერენის, უტრილოს, „მებაგე" რუსოს უკანასკნელი ნამუშევრებით და რომ იმ დროისათვის უკვე კარგად ჰქონდა შესწავლილი ლუვრი. მისი სახელოსნოს კედლებზე ქრონოლოგიურად იყო მიმაგრებული იტალიური რენესანსის ხუროთმოძღვრების რეპროდუქციები: ბოტიჩელი, პერუჯინო, ლოტო, კარპაჩო, ანდრე დელ სარტო, კორეჯო, ტიციანი. ეს კი სასაციოლოდ თუ არა, უცნაურად მაინც ეჩვენებოდა ბევრ მის ახალ მონმარტრელ ნაცნობს, განსაკუთრებით რადიკალურად რომ იყვნენ განწყობილი „წარსულის მემკვიდრეობის" მიმართ.

ერთნი ამბობდნენ, მოდილიანი დამწყები მოქანდაკეაო, მეორენი ირწმუნებოდნენ — მხატვარიაო. ერთიც სიმართლე იყო და მეორეც.

პარიზში ჩამოსვლისთანავე ამედეო თავისი მეგობრის, აგრეთვე დამწყები მხატვრის — ორტის დე სარატეს[1] სარეკომენდაციო წერილით გამოცხადდა გრანოვსკისთან, რომელიც მოქანდაკეც იყო და მხატვარიც, და გაანდო, რომ გატაცებულია სკულპტურით, ამასთან პორტრეტებითა და ბიუსტებით კი არა, „კოლოხალური მონუმენტებით". თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მაშინვე ჩაწერილიყო კოლაროსის სამხატვრო აკადემიაში. მისი ხიბლაბუკის მეგობრების მოგონებებს თუ დავუჯერებთ, იგი ჯერ ისევ იტალიაში, თვრამეტი წლის ჭაბუკი ყოფილა გატაცებული სკულპტურით. ახლა პარიზში მისთვის ძნელი შეიქნა მასალის შოვნა, ფულიც არ ჰქონდა საამისოდ. იძულებული გახდა მიემართა კალატოზებისათვის, რომლებიც ახალ სახლებს აშენებდნენ კოლანკურის ქუჩაზე. მაგრამ, ეტყობა, ეს მისთვის შეუფერებელი მასალა იყო. მწვავე მტვერი ავადმყოფურად უღიზიანებდა ბავშვობიდანვე ისედაც დაავადებულ ფილტვებსა და ყელს. ხშირად იძულებული ხდებოდა მიეტოვებინა სამუშაო და ამ სამუშაოს კვალი სადღაც იკარგებოდა. სამაგიეროდ ხატვა თავიდანვე დიდი გატაცებით დაიწყო, ოღონდ კოლაროსის სამხატვრო სკოლაში კი არა, განმარტოებული სახელოსნოს მყუდროებაში.

ყველაზე პირველად მონმარტრი უტრილომ გააცნო. ისინი როგორღაც სწრაფად შეეწყვნენ ერთმანეთს და იოლად გამონახეს საერთო ენა. თუმცა, ჩვეულებრივ, უტრილოსთან ურთიერთობა იოლი არ იყო. თუ მოდილიანის შინაგანი გულჩახვეულობა ბევრისთვის ამოუცნობი რჩე-

[1] მაკი — მარადმწვანე ბუჩქი.

[1] ორტის დე სარატე ეროვნებით ჩილელი იყო, თავის თავს რატომღაც ბასკს უწოდებდა, თავისი შემოქმედების ჭეშმარიტი სამშობლო კი მან პარიზში აღმოაჩინა.

ბოდა, საშაგიეროდ მისი ახალი ნეგობრის უხასოო მარტოობა მაშინვე თვალში ეცემოდა ყველას. საკმარისი იყო დაგენახათ მისი ლიმილი — „შეშინებული და იმავ დროს დამცინავი და იდუმალი", — როგორც ამბობს მწერალი ფრანსის კარკო, რომელიც კარგად იცნობდა უტრილოს, — ლიმილი, რომელიც მის მეტისმეტად ფერმკრთალ, ლამაზ სახეზე „თითქოს რაღაც მტანჯველ ტიკად ქცეულიყო". რაღაც მიამიტი, ბავშვური, უსუსური გეცემოდათ თვალში ამ ახალგაზრდა, აწოწილი მხატვრის დანახვაზე. იგი ყოველთვის დაუდევრად, ზოგჯერ თითქმის მათხოვრულად იყო ჩაცმული. მუდამ ხელებავებით მოთხვრილი დადიოდა. რაღაც შესაბრალისი იგრძნობოდა მის აჩქარებულ, არეულ სიარულშიც. უცხო პირს დაუჯერებლად მოეჩვენებოდა, რომ სწორედ მან დაიმკვიდრა მთელ მონმარტრზე თავზეხელაღებული ლოთისა და ეოჩხუბრის სახელი, რომ ხშირად ხარკეებსაც ამტვრევდა დუქნებში და თითქმის ყოველ ღამეს პოლიციის განყოფილებაში ატარებდა, რომ მას ჰკიცხავდა და დასცინოდა ყველა „წესიერი ადამიანი". ჩვეულებრივ უწყინარი ბუნების ამგვარი გაშმაგება სიმთვრალეში სხვა არა იყო რა, თუ არა ავადმყოფური აფეთქება გაუნელებელი მწუხარებისა, გულში ჩაკლული სევდისა, რასაც ბავშვობიდანვე დაუდო სათავე მისმა მიუსაფარმა, უსახლკარო ცხოვრებამ. უტრილო იყო შვილი სუზანა ვალადონისა, ერთ დროს განთქმული ცირკის აკრობატისა, რომელიც პოზიორობდა რენუართან, დეგასა და ტულუზ-ლოტრეკთან. დეგასგან ისწავლა მან ხატვა და ფერწერა და მალე სახელიც გაითქვა, როგორც ნიჭიერმა, თავისებურმა მხატვარმა. უტრილომ არ იცოდა, ვინ იყო მისი მამა, გვარი კი დედის ერთ-ერთი მეგობრისაგან მიიღო, რომელიც თვალით არასოდეს ენახა. დაცინვა და ამბუჩად აგდება ამის გამო მობეზრებული ჰქონდა როგორც სკოლაში, ისე შემდეგაც. სურათებს კი მაინც ჯიუტად აწერდა: „მორის უტრილო ვ." ესე იგი ვალადონი, რადგან აღმერთებდა დედას.

მოდილიანი ყოველთვის განსაკუთრებით მძაფრად განიცდიდა სხვის მწუხარებას, რაც მთავარია, სულის ყოველნაირ სიფაქიზესა და ხილვაზეს, რაგინდ მახინჯი ქერქი არ უნდა ჰქონოდა გადაკრული, რაგინდ ავადმყოფურ აფეთქებას არ უნდა ყოფილიყო შეფარებული და ეს შემდგომაც მრავალგზის დაადასტურა თავისი ურთიერთობით მეგობრებთან.

უტრილოსაც მაშინვე გაუგო და შეიყვარა, მიუხედავად იმისა, რომ იმხანად მონმარტრზე ამ თვითნასწავლი ხატვრის სურათებზე, რომელთაც დედის ნაჩუქარი ხუთი ფერის ხელებავით დაიწყო ხატვა, ბევრად უფრო ნაკლებად ლაპარაკობდნენ, ვიდრე მის შფოთიან აყალმაყალებზე. თუმცა ზოგიერთი ადგილობრივი დუქნის მეპატრონე და ბაყალი სიამოვნებით იძენდა მის სურათებს ფრანკის ფასად, ანდა ღვინის საფასურში ღებულობდა.

ფრანსის კარკო იგონებს, თუ ერთი მათგანი, ვინმე ძია ხულიე, რომელიც იაფფასიანი სურათებით ვაჭრობდა, როგორ ელოდა უტრილოს ყოველ დილით, როცა იგი მონმარტრიდან ჩამოდიოდა ნოტრ-დამის დასახატად, რათა მიეჩეჩებინა მისთვის მუყაოს ნაჭერი, ერთი ტუბი მოთეთრო, ერთი ტუბი რაღაც წითელი, ერთი ტუბი ლურჯი, ერთი ტუბი მწვანე საღებავი და ბოთლით სკიპიდარი, თან თავის კეთილშობილ ეესტს ყოველთვის დააყოლებდა ხოლმე ერთსა და იმავე ფრაზას: „ეს, ჩემო კეთილო, შენთვის სავსებით საკმარისია შედევრის შესაქმნელად".

უტრილოს ცხოვრებაში მოდილიანისთან შეხვედრა ერთი იშვიათი ბედნიერი შემთხვევა იყო და არც გასაკვირია, რომ უტრილო, როგორც მონმარტრის ძველი მკვიდრი, მოდილიანის განუყრელი თანამგზავრი და მეგზური გახდა.

იმ დროს მონმარტრს ჯერ კიდევ რაღაცით შემორჩენილი ჰქონდა ნახევრად პროვინციული, ნახევრად სოფლური კოლორიტი. ეს მით უფრო შესამჩნევი ხდებოდა, რაც უფრო ზევით მიიწევდით, ბორცვის თხემზე აღმართულ თეთრად ნოქათქათე საკრე-კიორის ეკლესიისაკენ.

ქვემო კვარტალებში, რომლებიც გაშლილი იყო პიგალის, ბლანშის და კლიშის მოედნებს შორის, ხმაური იდგა, ბენზინისა და რესტორნების საშზარეულოს სუნი ტრიალებდა. საღამოხანად აქ კიდევ უფრო საგრძნობი ხდებოდა ყალბი ბრწყინვალების ატმოსფერო, საეჭვო ცდუნებანი, ცინიკურად ხმაურიანი ან ვიწრო ქუჩაბანდებში მიჩქმალული ყოველნაირი ყიდვა-გაყიდვა. „ზემო" მონმარტრი სულ არ ჰგავდა „ქვემოს", განსაკუთრებით დღისით. როგორც ახლა, მაშინაც ზევით ადიოდა ქუჩა-კიბეების ციცაბო საფეხურები დროთა მსვლელობისაგან გაბრიალებული რკინის სახელურებით, აქა-იქ კიბის ბაქანთან ამოზრდილი ხეები. კიბეები შეუმჩნევლად ერწყმოდა ვიწრო ქუჩაბანდებისა და შესახვევების მიხვეულ-მოხვეულ ლაბირინთებს. ზოგიერთი ეს ქუჩა იმთავითვე შეიყვარა მოდილიანიმ და სამუდამოდ შემორჩა ხსოვნას. მრავალი წლის შემდეგ, როცა დიდი ხნის მიტოვებული ჰქონდა მონმარტრი, იგი სიყვარულით იგონებდა ძველი თქმულებებით

გალამაზებულ დე ლა ბრეტუარის ქუჩას, სადაც ოდესღაც წყალსატევი ყოფილა და გადმოცემით წმინდა მოწამე სენ-დენს, პარიზის პირველ ეპისკოპოსს, აქ გაუნუბანია ჯალათის მიერ ნოკვეთილი თავი. მოდილიანი აღშფოთებული იყო, რომ ლამარკისა და ლეპიკის ყველაზე უფრო პოეტურ ქუჩებს ახალი შენობებით ამახინჯებდნენ.

აქ მაღალი, მეორე იმპერიის დროინდელი, ხაჭირაო სახლების გვერდით კიდევ იყო შემორჩენილი ერთი ან ორსართულიანი ძველი, კრამიტით გადახურული, პატარა ,მანსარდებიანი სახლები, პატარ-პატარა მინაშენებით და სახურავებიდან უხერხულად ამოჩრილი ბუხრის საკვამურებით. ყველგან დაანახავდით ყვავილების ქოთნებსა და ყუთებს, მწვანედ შეფერადებულ ხის დარაბებს, აივნიდან აივნამდე გაბმულ თოკებზე გაფენილ თეთრეულს, დაბალ მესრებს იქით კი მოჩანდა ალუბლისა და მსხლის ბაღები, ალაგ-ალაგ ვენახიც; ქვაფენილი ოღროჩოღრო და ამოცვენილი იყო, სიძველისაგან დაბზარული, შელეხილი სახლების კედლები ზოგან თეთრად იყო შეღებილი, ზოგან მწვანედ, ბორდოსა და ნარინჯისფრად. მათ შორის კი მოჩანდა სან-პიერის, პარიზის უძველესი ეკლესიის ყრუ, რუხი კედელი; აქ დაქანებული ტროტუარის კუთხეები მუდამ ხავსით იყო მოფენილი, ეკლესიის კარიბჭიდან კი ხიცხეშიც გრილი ხით უბერავდა.

ხალამოს, როცა მიწყნარდებოდა ქუჩის მეწვრილშანეთა ხმამაღალი შეძახილები, მიწყდებოდა მეშუშეების, მლეხავების, ძველმანებიელ მოვაჭრეთა მონოტონური ხმები, ქვაფენილზე ბორბლების ხმაური, არღნის ჭყვიტინი, ბავშვების ტრიამული, ჩამოვარდნილ სიჩუმეში ქედან შორს აღწევდა ზარების რეკვა. საკრებულოს ეკლესიის პატარა მოედნიდან მოჩანდა, როგორ იძირებოდა მტრედისფერ კვამლში პარიზის სახლების სახურავები, კოშკები და გუმბათები. პოეტი ჟან ლიატურეტი იგონებს, ერთხელ, ხალამოჟამს, სწორედ ამ მოედანზე როგორ უკითხავდა მას მოდილიანი ლეოპარდის, კარდუჩის, დ' ანუნციოს ლექსებს ზეპირად.

დამინდებისთანავე აინთებოდა გაზის ფარნები. ლეპეკის ქუჩის ბოლოს, „მულენ დე ლა გალეტის" თავზე აელვარდებოდა ფერადი გირლანდა და გაანათებდა წისქვილის ხილუეტს, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენოდა მონმარტრს. ამ წისქვილმა დიდი ხანია თავის ფრთებქვეშ შეიფარა პარიზის ერთი ყველაზე ლამაზულარული დუქანი, სადაც ყოველთვის შეიძლებოდა თავშეხილალებული ღრეობა. ოგი ძველთაგანვე იზიდავდა მხატვრებს და იმის მიხედვით, თუ როგორ ლაბარაკობენ მხატვრები ტილოებზე, შეგვიძლია [illegible] ფერთა ხვლა, არაბედ შემოქმედებითი მსოფლშეგრძნების ცვლაც. ძნელ[illegible] ნოთ, როგორი [illegible] ეკურებდა ნახ პარიზში ამლად [illegible] მოდილიანი, როცა ამ სასეელგანმეტ ტილოებს იხსენებდა. აი, რენუარის ბაყვირაო ბალი დღისით „მულენ დე ლა გალეტში". ბალი გარეთ გაუმართავთ, ბალში ყველაფერი მზის სხივებითაა ელვარებული. ყველგან მოჩანს ალალი, აუმღვრეველი „ხიცოცხლის ბიბარული" ეს იხატება მოხდენილ ცეკვებშიც, უზრუნველ პოზებშიც, მომხიბვლელ ღიმილშიც, მაცდუნებლად ავსებულ სასმისებშიც, ამრეშუმის „ბებრის ცისარტყელაშიც, ბალი ვარდისფერი, ლურჯი, ოქროსფერი, ზურმუხტისფერი ტოსების მომხიბვლელ გრიგალშიც. განვლო თორმეტმა თუ ცამეტმა წელმა და ტულუზ-ლოტრეკის ერთ-ერთ ტილოზე ხელ ხმა ხასით წარმოგვიდგა იგივე „მულენ დე ლა გალეტი". ოღონდ განათებული, მოწყენილი დუქანი, ტუნგი ავეჯი, ბუნდოვანი ბის იატაკი. წინა პლანზე ლოტის ბარიერს მიყრდნობილი ს

უსიზარბელი ლიმილი. უკან ვიწრო მოედანზე, თამბაქოს ბოლში მოცეცავე წყვილები ირევიან ცილიერრები, ბენვეული, მოლაპლაპე ლამპიონები გაფანტულან უსიათოვნო, გამალიზიანებელ მწვანე ფონზე. ყველაფერი ჩაბნედილა, ჩახუთულა, გაოფლილა, თითქოს ერთმანეთს აწვებიან და იჭყლეტებიან.

ახლა იმავე „ბულენ დე ლა გალეტს" ხატავს უტრილო, მაგრამ მას არ აინტერესებს, რა ხდება იქ, შიგნით. მისთვის საკმარისია წიხქვილის ფრთების ძველი, დამახინჯებული ფერადი რეკლამა, რომელიც ხან იქ და ხან აქ გაიელვებს მესერს მიღმა. მისი წიხქვილი ზოგჯერ დედაბერს გავგონებს, რომელიც ვილაცას მასხარას ტანსაცმლით შეუმოსავს და ხირცხვილისაგან გაშეშებულა პატიოსანი ხალხის წინაშე.

თუმცა უტრილოსათვის ყოველთვის საკმარისია მონმარტრის რომელიმე კუთხის მხოლოდ გარეგნული ხატი, რათა გაიძულოთ, მისებურად აღიქვათ მისი ფარული არსი და შეუძლებელი იყო, ამას არ განეცვიფრებინა ყველა, ვინც შეადარებდა მის ნახატს ახლახან საკუთარი თვალით ნანახთან უტრილოს ჭეშმარიტად შესწევდა ძალა ამემეტყველებინა კედლები. ყველაზე პროზაული შესახვევები, გაჯეკარიდინები, ხახლების ხედები, ყველაზე ძველი ფანრები და ტუმბოები. ყველაზე ბანალური ადრები („შეშა და სიგარები"). ყველაფერი სიბეს იცვლიდა, ცოცხლდებოდა, ივსებოდა შინაგანი სიმართლით ადუმალად ერწყმოდა გაბეგვირვალე ცის კამარას, გაზაფხულს, გაძარცვულ შიშველ ხეებს ან პირველ თოვლს, ფიფქი ჭუდით რომ მოსავდა ხაკრე-კაორის ეკლესიის გუმბათებს. მას რაღაც სასწაულით შეეძლო ბავშვური, შიამიტური, თითქმის ინფანტილური მონიბაში დახვეწილ, სრულყოფილ ზელოვნებად ექცია.

რაღაც იდუმალი, მწუხარებით სავსე, მარტოხული ცხოვრება იმალება თეძრი კედლების იქით, უამრავი ფანჯრების, სახურავებისა და მანსარდების დარაბების მიღმა. უტრილოს ადამიანურობა, მისი კუშტი სინაზე მისი სურათების ქვეტექსტში იმალება, პირდაპირ არ არის გამოთქმული. მას შეუძლია შინაგანად გაადამიანუროს, მხატვრულ აღმოჩენად აქციოს უველაზე ბანალური, ღია ბარათის მსგავსი „ქალაქის ხედი", ადამიანებს კი მის სურათზე ვერ ნახავთ. არიან მხოლოდ ძაწაწინა ფიგურები, თითქმის ყოველთვის ქალები და თითქმის ყოველთვის ზურგშექცეულნი ჩვენკენ. ეს ფიგურები გაფანტულნი არიან აქა-იქ, ორ-ორად, სამ-სამად, თითო-თითოდ გაბნრან შებოჭილ პოზებში და უმეტესად ცერადოვან აქცენტს ან ეფექტებელ კომპოზიციურ დეტალს უფრო წარმოადგენენ. ესენი ადამიანები კი არა, თანჯინები არიან უშუალო კავშირს ადამიანებთან უტრილო ავადმყოფურად გაურბოდა. მოდილიანის კი იმთავითვე ადამიანური ინტერესები. ყოველი ახალი შეხვედრა ადამიანებთან რაღაცას ნიშნავდა, რაღაცას [illegible] ჰპირდებოდა. იხილეთ „ადგილის [illegible] ძალგორიც უტრილო იყო, მას კიდევ უფრო ეაუმაბვილდა ყურადღება ადამიანური დრამების მიმართ. უტრილო ამ დრამებს ხახლების ცარიელი ფანჯრების მიღმა მალავდა, მოდილიანის კი თავისი ბუნების წყალობით არ შეეძლო პირდაპირ არ შეეხედა მოქმედი პირებისათვის. იქნება აქ აღმოაჩინა მან თავისი პირველი ძირითადი „მოდელი". ყველა ეს იაფფასიანი ხასტუმროების მოახლეები, ჯურჭლის მრეცხაველები, ქალიშვილები და მოსდერლები, რომელთა ხაბელი ყველას პირზე ეკერა, გვარი კ ორავინ იცოდა, ბარიზის გარეუბნების ეს ფერმკრთალი, დარდიანი ბავშვები.

როცა მოდილიანი პირველად გამოჩნდა უტრილოს ხაზოგადოებაში მონმარტრის ქუჩებსა ზედ დუქნებში (მერე ხულ უფრო ხშირად ბედავდნენ ერთად), ბევრი გაოცა ამან: განა რა ხერთო შეიძლება ჰქონდეს ამ მოდურ ზოლიან პალტოსა და მოხდენილ კოსტუმში გამოწყობილ ზრდილ ახალგაზრდას. ყველზე ბაფთა რომ უკეთია, წვერი საგულდაგულოდ გაუპარსავს და ლამაზად გადაუვარცხნია თმა, „ქალაქის გიჟთან", რომელსაც თვალი თუ არ მიადევნე, შეუძლია ხაცვლების ამარა გამოვარდეს ქუჩაში? როგორ ეგუება ერთის ზოგიერი თავშეკავება მეორის შფოთიან ექსცესებს? ამასთან მოდილიანი მაშინ ხავსებით რესპექტაბელური ღვინოების — „ვუკრეხი" და „ახტეხ" გარდა არაფერს სვამდა. უტრილოს კი მონმარტრელმა ბიეტმა დიდი ბანია „ლიტრალო" შეარქვეს და ეს უკვე მრავალი წლის ტრადიციად ქცეულიყო.

მაგრამ ხულ რაღაც ერთი თვისა თუ თვენახევრის შემდეგ ეს განმასხვავებელი კონტრასტი თითქმის სრულიად წაშალა. ამ მოკლე დროის მანძილზე მოდილიანმ რაღაც მოულოდნელი, მძაფრი გარდატეხა გადაიტანა. ხაოცრად ხნრაფად გაბერა მისი ელეგანტური, მშვენიერი კოსტუმი. იგი შესცვალა უბრალო, ხშირად ხაშინლად დაბმუნებილმა. მუქყავისფერმა ზოლიანმა ველვეტმა, გახაჭებული ხაყელოს ნაცვლად გაჩნდა არცოლ მოლად ახალი წითელი ფულარის ყელსახვევი. შესამჩნევად შეიცვალა მისი შინაგანი სახეც. ხულ უფრო მეტად ამინა თავი ავადმყოფურმა დაძაბულობამ. რაღაც ღრმა დაბნეულობა ინატებოდა მის გამოსედვაში და ღიმილში. გამოხედვა ხშირად ძა-

ლიან დამძიმებული ჰქონდა, ლიმილი კი მობეზრებული.

ყოველივე ეს შეიძლება ხულ უბრალოდ აიხსნას: ერთი ხანია მოდილიანიმ თავაშვებულ სმას მიბყო ხელი, თითქოს ნიადაგი გამოეცალა ფეხქვეშ. ამას მალე დაემატა რაღაც უფრო დიდი ხაშინელება — დაიწყო ნარკოტიკების მიღება. ეს ჯერ ცდუნება იყო. მერე აუცილებლობად გადაექცა ჰაშიში, რომელიც ძალიან გავრცელდა პარიზის ბოჰემაში ჯერ კიდევ ბოდლერის დროიდან. შორეული ნაცნობებიც კი ამჩნევდნენ, რომ ახალგაზრდა მხატვარი, რომელიც იმ იყო გამოდიოდა ცხოვრებაში, რაღაც მტანჯველ კრიზისს განიცდიდა. ჩვენ, ალბათ, ბოლომდე ვერახოდეს შევიტყობთ მიზეზს, თუმცა მრავალი მოსაზრება არსებობს ამის შესახებ, ზოგი ობიექტელურად პირდაპირი, ზოგი კი ფსიქო-პათოლოგიურ ხვეულებში მიმალული. შეიძლება მხოლოდ შევეცადოთ რეალურად წარმოვიდგინოთ ამ ხულიერი კრიზისის გარემომცველი ვითარება და გადავხედოთ მის წინაისტორიას. მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ პარიზში გატარებული პირველი წლები დღემდე რჩება მოდილიანის ბიოგრაფიის ბურუსით მოცულ ეტაპად. აქ ყველაზე ნაკლებად გვაქვს მტკიცედ დადგენილი ფაქტები და ვერც სავსებით დავეყრდნობით იმ პირთა ავტორიტეტულ მოგონებებს, რომლებიც მაშინ ახლოს იყვნენ მოდილიანისაგან, რადგან ზოგჯერ შეუძლებელი ხდება მათი მოგონებების გამორჩევა ინტერპრეტაციებისა და ლეგენდებისაგან. ამიტომ იძულებული ვართ შედარებით ერთადერთ სანდო კრიტერიუმად ჩავთვალოთ მემუარულ დამოწმებათა თუნდაც არაპირდაპირი დამთხვევები.

პარიზში ჩამოსულ მოდილიანის მხოლოდ ხაკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდა. დედამ შეძლო მხოლოდ იმდენი თანხა მიეცა, რაც პირველ ხანებში დასჭირდებოდა. ეს ფული დიდ ხანს ვერ ეყოფოდა. მუშაობას იგი პირველი დღიდანვე შეუდგა, მუშაობას, მაგრამ არა ფულის შოვნას. როგორც ვთქვით, ხშირად იძულებული ხდებოდა მიეტოვებინა ქვაზე მუშაობა ხველების გამო. ამასთან ეს ხველა სულაც არ იყო უვნებელი, რამდენიმე წლის წინათ მოდილიანის ტუბერკულიოზური პროცესი გაეხსნა. ხატვით ბევრს ხატავდა, მაგრამ მისი მხატვრობით არც ერთი მარშანი არ დაინტერესებულა. მის სურათებს არავინ ყიდულობდა. ანდრე ვარნო იხსენებს, როგორი მწარე ირონიით უამბობდა მოდილიანი, რომ პარიზში ჩამოსულმა მხოლოდ ერთადერთი ადამიანი აღმოაჩინა და იხიც ბრმა, რომელიც თანახმა იყო შეეძინა რამდენიმე მისი სურათი. ეს გახლდათ ერთი ახირებული მოხუცი, ძია ანჟელი, რომელსაც მარილაც თითქმის დაკარგული ჰქონდა თვალის ჩინი. მოხუცი დაუინებით და მეთოდურად აგროვებდა თავის ბინაში, გაბრიელის ქუჩაზე, ახალგაზრდა, უსახელო მხატვრების სურათებს. რაღა თქმა უნდა, ამ სურათებს ძალიან იაფად ყიდულობდა და იმედი ჰქონდა, ოდესმე აუცილებლად გამდიდრდებოდა. მოხუცს საცაა, აუხდებოდა კიდეც ოცნება, მის ხელთ იყო შედევრები. მაგრამ ამ დროს იფეთქა პირველმა მსოფლიო ომმა და სურათების ფასიც დაეცა. მას მოსვენებას აღარ აძლევდნენ კრედიტორები და იძულებული შეიქნა, სულ იაფად გაეყიდა მთელი თავისი კოლექცია. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი სრულ სიღატაკეში გარდაიცვალა.

თავის პირველ ღარიბულ ბინაში, კოლანკურის ქუჩაზე, მოდილიანი დიდხანს არ გაჩერებულა, რადგან ახალი კვარტალის მშენებლობას იწყებდნენ და მისი ქოხიც უნდა დაენგრიათ. დაიწყო ნახევრად მშიერ-მწყურვალი მოხეტიალე ცხოვრება ერთი შემთხვევითი თავშესაფრიდან მეორეში, ერთი უვარგისი სასტუმროდან მეორე, კიდევ უფრო უვარგისში და კიდევ უფრო მოკლე დროით, იმის მიხედვით, თუ რამდენად მეტად განიცდიდა უფულობას. ლუი ლიატურეტი, რომელიც იმ ხანებში თითქმის ყოველდღე ხვდებოდა მოდილიანის, გვიამბობს: „იმისათვის, რომ ეშოვა ფული პურის, ძეხვისა და თამბაქოს საყიდლად, იძულებული ხდებოდა გადაეღო ან შეესწორებინა უნიჭოდ შესრულებული სურათები და ზოგჯერ ამბრეზიც დაეხატა დუქნებისათვის. ყველა ამ თავის იძულებით მუშაობას, რა თქმა უნდა, არავისთან ამხელდა, არასოდეს არავის შესჩივოდა თავის გაჭირვებაზე, არავის სთხოვდა დახმარებას და, კიდეც რომ შეეთავაზებინა ვინმეს, არ მიიღებდა, რადგან მეტისმეტად ამაყი იყო".

ბოლოს, როგორც იქნა, მოახერხა პატარა ხახელოსნოსმაგვარი შენობის დაქირავება ლებეკის ქუჩის ბოლოს, იქ, სადაც ეს ქუჩა ჟან-ბატისტ კლემენის მოედანს უერთდება. ეს იყო პაწაწინა ფარდული თუ ყოფილი ორანჟერეა, რომელსაც აგურის ფუნდამენტი და ხის კედლები ჰქონდა. ხახლი ბაღის სიღრმეში იდგა, ბებერი მსხლის ხეებით გარშემორტყმული.

როგორც ჩანს, მოდილიანი აქ ძალიან კარნაკეტილად ცხოვრობდა. მასთან მხოლოდ მენატურე ქალები დადიოდნენ, რომელთაც მისი მომხიბვლელი გარეგნობა იტაცებდა და არად აგდებდნენ მხატვრის სიღატაკეს. როცა ლიატურეტი იხსენებს, პირველად როგორ მოვიდა ამ ხახელოსნოში, ტყუილად როდი უსვამს ხაზს, რომ ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, „შეაღწია" მასთან. როცა მის „სტუდიაში" შევიდა,

დაინახა სანოლი, ორი სკამი, მაგიდა და ჩემოდანი, რომელიც დივნის მაგიერობასაც ეწეოდა. კედლებზე ჩამოკიდებული იყო ტილოები, ათტაკზე ეყარა ნახატებით გატენილი საქაღალდეები.

„ნახატების გასაოცრად მაღალი დონე იმთავითვე განაპირობებდა ამ მხატვრის ტალანტი, — განაგრძობს თხრობას ლიატურიტი. — მისი პიროვნება ყოველგვარ გავლენაზე დომინირებდა. საგონებელში გაგდებდათ ფერი, რომელსაც ჯერ კიდევ აკლდა დამაჯერებლობა და არ ემორჩილებოდა რაიმე გარკვეულ მეთოდს.

— ყოველივე ეს ჩალის ფასადაც არ ღირს, — განაცხადა ავტორმა. — ეს ხულ ჩემი დაწყევლილი იტალიური თვალის ბრალია, რომელსაც არაფრით არ სურს შეეგუოს პარიზის სინათლეს... მართლაც, რა მაცდურია ეს სინათლე... ნეტავი ოდესმე თუ შევძლებ ამის დაჭერას?! რომ იცოდე, რამდენი რამ მაქვს ჩაფიქრებული თემის ახლებურად გამოხატვის თვალსაზრისით, ეიხფერ, ნარინჯისფერ ტონებში, მუქ ულტრამარინისფერში... ოღონდ არ ვიცი, როგორ მოვახერხო მათი ამღერება... დაინებე თავი, ნუღარ უყურებ ამ სისულელეებს.

როცა სტუმარმა პროტესტი განაცხადა ამგვარ მკაცრ შეფასებაზე და შეაქო კედელზე ჩამოკიდებული ერთ-ერთი ნიუ, მისი გამგვირვალე კოლორიტი და დიდებული ძერწვა, მოდილიანიმ კიდევ უფრო დაბეჯითებით უპასუხა:

„— არა, ეს ის არ არის! ეს ჯერ კიდევ პიკასოდან მოდის და ისიც არ გამომივიდა. პიკასო მიაფურთხებდა ამისთანა სასაძაგლეს...

ამ საუბრიდან რამდენიმე დღის შემდეგ მოდილიანიმ გამომიცხადა:

— მე თითქმის ყველაფერი გავანადგურე, რაც შენ ნახე. უნდა შეგეძლოს, სენტიმენტალური გულმოწყალების გარეშე იმსჯელო საკუთარ თავზე... მხოლოდ ორი თუ სამი ნახატი დავტოვე... და ის ტორსიც, შენ რომ მოგეწონა. თუმცა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ დავუბრუნდე, ხულ სხვანაირად გადავაკეთო... საერთოდ კი მინდა, როგორმე მოვეშვა მხატვრობას და ხელი მოვკიდო ქანდაკებას...“

არ ვიცი, რამდენად ზუსტად გადმოგვცემს ლიატურიტი მოდილიანის ნათქვამს. მაგრამ პიკასოსთან დაკავშირებული რამდენიმე მოკლე ფრაზის ინტონაცია მეტისმეტად ცოცხლად და უშუალოდ ეღერს. აქ იგრძნობა ოსტატით ფარული აღტაცებაც, აშკარა შიშიც, არ აღმოჩნდეს მის ტყვეობაში, და მზადყოფნაც, რათა კიდევ გაიბრძოლოს შემოქმედებითი დამოუკიდებლობისათვის („მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ დავუბრუნდე, ხულ სხვანაირად გადავაკეთო!“) ეს მეტისმეტად საგულისხმოა იმ შინაგან კრიზისთან დაკავშირებით, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

მხატვარ ანსელმო ბუჩის 1906-07 წლის ზამთარში პარიზის ერთ-ერთ ვიტრინაში უნახავს მოდილიანის სამი პატარა [illegible] ჩარჩენია ამ ქალების [illegible] ერთფეროვანი, მომწვანო-მიწისფერი სახეები. როგორც ჩანს, ეს ტილოები უკვალოდ დაიკარგა და ამგვარი მოკლე აღწერის შემდეგ შეუძლებელია მათი რაობისთან დაპირისპირება. მაგრამ, როცა უყურებ მოდილიანის სახელგანთქმულ „ებრაელ ქალს“, ერთ იმ მცირერიცხოვან სურათთაგანს, რომელმაც მოაღწია ჩვენამდე მისი შემოქმედების აღრეული მონმარტრის პერიოდიდან (ახლა ამ სურათს 1908 წლით ათარიღებენ), რატომღაც გახსენდება „ცისფერი“ პიკასოს მაწანწალების, არლეკინების, მრეცხავი ქალების კუთხოვანი, დაძაბული ფიგურები, შემდეგ მის სურათებში ქალაქის ღარიბ-ღატაკთა სახეები თანდათან მეტ სითბოს იძენენ, „ვარდისფერდებიან“. შემოხვევითი არ არის, რომ მოდილიანის შემოქმედების ისეთი მცოდნე, როგორიც იყო ფრანკო რუსოლი, როცა მის 1906—1907 წლების მხატვრობაზე ლაპარაკობს, წერს: „ფერწერა მკვრივია და გამოკვეთილი, აგრესიული და პათეტიური, თითქოს თავისებურად გადაუმუშავებია „ცისფერი“ და „ვარდისფერი“ პიკასოს სახეები“. ლიატურიტის მონათხრობიდან და სხვა მოგონებებიდანაც ჩანს, რომ ამ ხანებში პიკასო მეტისმეტად ბევრს ნიშნავდა მოდილიანისათვის და ეს აწვალებდა კიდეც. ძალიან შორეული ასოციაციით მახსენდება ახალგაზრდა პახტერნაკის დამოკიდებულება ახალგაზრდა მაიაკოვსკისადმი: „დრო და გავლენათა ერთნაირობა მანათესავებდა მე მაიაკოვსკისთან. ჩვენ დამთხვევები გვქონდა. მე ეს შევნიშნე... მივხვდი, რომ, თუ რაშეს არ მოვუბერხებდი საკუთარ თავს, მომავალში ეს უფრო გახშირდებოდა... მე ამას სახელი ვერ დავარქვი, მაგრამ გადავწყვიტე, უარი მეთქვა ყველაფერზე, რასაც მისკენ მივუყავდი“.

ვიმეორებ, დეე, ეს ასოციაცია ზოგიერთს მეტისმეტად შორეულად და ნაძალადევად მოეჩვენოს. ასე იყო თუ ისე, ლიატურიტის მონათხრობში შემორჩენილია, თუ არ ვცდები, ერთადერთი შემთხვევა, როცა მოდილიანი თვითონვე მიუთითებს განცდილ გავლენაზე. უნებურად წამოიჭრება კითხვა: ხომ არ გახდა ეს, ნაწილობრივ მაინც, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მოდილიანიმ გაანადგურა მრავალი თავისი ტილო და ნახატი? თუმცა, ეტყობა, ძირითა-

დი მიზეზი ამ შეუბრალებელი მსჯავრისა იყო კიდევ უფრო ღრმა საერთო უკმაყოფილება საკუთარი თავით და დაუდეგარი შეურიგებლობა ყოველივე იმისადმი, რასაც თავისი ხელმოცარულობის მიზეზად მიიჩნევდა. შემდეგ ლიტერატურული გვიყვება: „როცა მოდილიანი ყან-ბატისტა კლემანის მოედანზე მდებარე სახელოსნოდან გადადიოდა, წასვლის წინ ტერასაზე ნამდვილი აუტოდაფე მოაწყო და ცეცხლს მისცა მრავალი ტილო თუ ნახატი. მეზობლები აღშფოთდნენ, ეგონათ, მოდილიანი უეცრად შეიშალა, მან კი სრულიად დამშვიდებით გამოუცხადა ერთ მათგანს: „ეს ბავშვური ზიზილ-პიპილები მეტის ღირსნი არ არიან!"

პიკასოც იქვე ,მის გვერდით იყო, რავინიანას ქუჩაზე, სულ ორიოდე ნაბიჯის დაცილებით მოდილიანის სახელოსნოდან. ერთხართულიან, გვერდზე გადახრილ ხის ბარაკში ცხოვრობდა, რომელსაც უცნაური სახელი „ბატოლიავუარი" ერქვა („მცურავი სამრეცხაო"). ეტყობა, რალაცით მიაგავდა პარიზის მიდამოებში სადღაც სენის ნაპირზე მიბმულ ბარჟას და ამიტომაც უწოდეს ეს სახელი. აქ პოეტების და მხატვრების, მოქანდაკეებისა და აქტიორების გვერდით ცხოვრობდნენ ტანსაცმელისა და თეთრეულის მკერავი ქალები, ქუჩის მეწვრილმანეები, მეძველმანეები, ძაღლების მწვრთნელები. ეს იყო საკმაოდ ძველი შენობა, ფარღალალა, წვიმისა და სიძველისაგან ჩაშავებული კედლებით, დაბურული ფანჯრებით, რომელთაგან ზოგი ემილია გუდოს პატარა მოედანზე გადიოდა, ზოგი კი მოპირდაპირე მხარეს, მოწყენილ, მუდამ ნოტიო ბალჩაში. შიგნით, გრძელი დერეფნის ორივე მხარეს ჭიით დაჭმულ, ჭრიალა კარებების იქით ჩარიგებული იყო ვიწრო, ბნელი ოთახები, რომლებსაც დიდი ხანია მხატვრები სახელოსნოებად იყენებდნენ. საკმარისი იყო შესულიყავით რომელიმე მათგანში, რომ წარმოგედგინათ დანარჩენი ოთახებიც: მოლბერტი, ქვეჩარჩო, ჩაგლეჯილი დივანი, კოჭლი მაგიდის თავზე ჩამოკიდებული აბაჟურიანი თუნუქის ლამპა, პირისაბანი, ტაშტი და ტაბურეტზე შემოდგმული ტოლჩა — ასე აგვიწერენ პიკასოს სახელოსნოს. ბატოლიავუარის ზოგიერთ ძველ მკვიდრს თავისი შემოსავალი უკვე უფლებას აძლევდა შეეცვალა ეს უბადრუკი მოწყობილობა უფრო კომფორტაბელურით. მაგრამ ერჩიათ, აქვე დარჩენილიყვნენ და ევლოთ მონმარტრზე ისე, როგორც, მაგალითად, იგივე პიკასო დადიოდა — ლურჯი ბამბის ქსოვილის კომბინიზონით, ძველი ხანდალეტებით და ფორმადაკარგული კასკეტით .ეს შესაძლოა „რამდენადმე დარღვევა იყო ძველი, დაკანონებული ფორმისა, ადათისა და სოციალური პირობითობის", რასაც ჯერ კიდევ ოცდახუთი წლის წინათ ვან გოგი მხატვრის უფლებად აღიარებდა. „შენ იცი, მაგალითად, რომ მე დაუდევრად ვეკიდები ჩაცმას, — წერდა იგი [illegible] ამას და ვალიარებ [illegible] ცუდია, თუმცა ამაში რამდენადმე ბრალი მიუძღვის მძიმე პირობებს და სიღატაკეს, მაგრამ ხანდახან ეს ძალიან მოხერხებული საშუალებაც არის, რათა მოიპოვო განმარტოება, რომელიც აუცილებელია შენთვის, და საშუალება მოგეცეს საფუძვლიანად ჩაუღრმავდე ამა თუ იმ, შენთვის საინტერესო პრობლემას".

ამგვარი შეხედულება სავსებით მიღებული უნდა ყოფილიყო ბატო-ლიავუარშიც, როცა პიკასოს გვერდით ცხოვრობდნენ მხატვრები: ვან დონგენი, ხუან გრისი, ბრაკი, გამუდმებით მოდიოდნენ დერენი და ვლამინკი, მატისი და მარი ლორანსენი, აქ ათენებდნენ და ალამებდნენ პოეტი მოდერნისტები: გიიომ აპოლინერი, მაქს უაკობი, ანდრე სალმონი, მწერალი — მაკორლანი, ესთეტი — მორის რეინალი, შემდეგში გამოჩენილი აქტიორი — შარლ დიულენი. ერთხანს მოდილიანიც აქ ცხოვრობდა, სანამ იპოვიდა განმარტოებულ თავშესაფარს ყან-ბატისტა კლემანის მოედანზე. მაგრამ ახლაც ხშირად მოდიოდა, გული მოუწევდა აქეთკენ. ეს სავსებით ბუნებრივიცაა — იგი ხომ ახალგაზრდა იყო, დაუდგრომელი, მიმნდობი, ხარბად იწოვდა ყოველივეს, რაც ირგვლივ ხდებოდა. თავისი შემოქმედებითი განცდების განმარტოებული ჩაკირკიტება, რაღა თქმა უნდა, ჰქანცავდა, ამიტომ უნდოდა მოეცილებინა ეს განცდები, ბატო-ლიავუარში კი, მიუხედავად სიღატაკისა, წყაროსავით ხჩქეფდა სიცოცხლე. აქ ყველაფერი საინტერესო და საჩიხარული იყო.

ბატო-ლიავუარში ნამდვილი არსტისტული ბოჰემის ატმოსფერო სუფევდა, რომელიც ფორს იდგა ყოველგვარი თავაშვებული ღრეობისა და „კომპანიურობისაგან", თუმცა ღვინო აქაც ცოტა რიდი ისმებოდა. ბატო-ლიავუარის ბოჰემა განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩეოდა და ეს ყველაფერში ჩანდა თავის ლექსთა ნიალვარი იქნებოდა ეს თუ მწვავე კამათი და შეხლა-შემოხლა ესთეტიკის საკითხებზე, გაუთავებელი იმპროვიზაციები და გამონაგონები თუ ანაზდეული გამოხმაურება ყოველივე ახალზე, რაც კი ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში ხდებოდა. ყოველივე ამან, რასაკვირველია, თან ახლდა ახალგაზრდული შემოქმედებითი მგზნებარება, ტრადიციების უარყოფა, ამბოხება ხელოვნების პატრიარქთა წინააღმდეგ. ტყუილად რიდი ამართებოდა აქ

კოხტაუმირებული წარმოდგენები, რასაც თან ახლდა გაუთავებელი სიცილ-ხარხარი, წარმოადგენდნენ სრულიად ჯანმრთელი სარა ბერნარის ხაზეიმო დაკრძალვას, აწყობდნენ ტრაგედია „პრინცადონა და სუფლიორის" იმპროვიზაციას, განსაცვიფრებელი შარჟებითა და მომაკვდინებელი კალამბურებით ანადგურებდნენ საეჭვო დიდებით მოხილ აკადემიურ სახელებს.

მაგრამ აქ, ბოჰემის მხიარულსა და უზრუნველ ატმოსფეროში, იშვა და მომწიფდა ისეთი ხერიოზული მოვლენა მხატვრობაში, როგორიც იყო, მაგალითად, კუბიზმი. ამ ათასნაირ ხუმრობასა და გართობა-თამაშობაში იმალებოდა და შერე მოულოდნელად იჩენდა თავს შემოქმედებითი მაგნიტები, რომლებიც საოცარი ძალით იზიდავდნენ ახალგაზრდებს.

„ტოლილავუარის ინტელექტუალური ცენტრი იყო აპოლინერი, აღიარებული ავტორიტეტი და ესთეტი, რომლის შეხედულებებს აქ ყველა პატივს სცემდა, დაცინვისა კი ყველას ეშინოდა. უზარმაზარი ერუდიცია, რომელიც მოიცავდა ყველა ხალხისა და ყველა დროის ლიტერატურასა და გამომსახველობით ხელოვნებას, ერწყმოდა ახლის ძიებებისა და ახალ წამოწყებათა დაუდგრომელ სურვილს შემოქმედების ყველა სფეროში, როგორც პოეტი, იგი ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, ადრეული რომანტიზმიდან თანადროულ სოციალურ თემებზე გადასვლის პროცესში იმყოფებოდა და უმთავრესად ლექსთა წყობის ანონიებული ფორმების ნგრევით იყო გატაცებული. აპოლინერის საუკეთესო პოეტური კრებულები ,რომელთაც შემდეგ დიდი გავლენა მოახდინეს თანამედროვე ფრანგულ პოეზიაზე, ჯერ კიდევ შექმნის პროცესში იყო („ალკოჰოლი"), ანდა მთლიანად მომავალს მიეკუთვნებოდა („კალიგრამები"). მაგრამ როგორც კრიტიკოსს იმთავითვე დიდი გავლენა ჰქონდა, რადგან უნარი შესწევდა გაეყოლებინა ახალგაზრდა პოეტები და მხატვრები თანამედროვე ფორმათა ძიების პრობლემებისაკენ, რაც მან პირველმარისხოვან ამოცანად ეახებოდა, იგი გახდა კუბიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი და შემდეგში დაწერა ცნობილი სტატიები: „ფერწერის შესახებ", „ახალი მხატვრები", რომლებიც გაერთიანა შემდეგ ერთ წიგნში — „მხატვარი-კუბისტები".

თუ აპოლინერი ბატო-ლავუარის მკვიდრთა და იქ თავშეყრილთა ინტელექტუალურ ბელადად ითვლებოდა, მეორე პოეტი — მაქს ეკობი სული და გული იყო ამ „ბანდისა", როგორც ისინი უწოდებდნენ თავიანთ თავს. ალბათ პირველად მან მოიყვანა აქ მოდილიანი, — მას ხომ განსაკუთრებული ნაგი ჰქონდა — გაეცნო, დაეკავშირებინა, ერთმანეთთან დაეახლოვებინა ტალანტები, რომლებიც თვით იყო აღტაცებული.

ამ ფანტაზიორს, „ვეზიონერს", მეოცნებეს, ლექსად თუ პროზად დაწერილი უცნაური ზღაპრების ავტორს, დაუცხრომელ იმპროვიზატორს და დაუჯერებელი წარმოდგენების გამომგონებელს, ამავე დროს ხოცარი უნარი ჰქონდა, მეტისმეტად გულისხმიერი და ყურადღებიანი ყოფილიყო ადამიანების მიმართ, მთელი სულითა და გულით გაეზიარებინა სხვისი მწუხარება. მის დეკადენტურ მისტიკას, აღმფრენან თუ უფსკრულში დაშვებას, მის რიტმულ და ბგერით ძიებებს ხშირად თან სდევდა უეცარი, გულწრფელი შიში, მოახლოებული ისტორიული ტრაგედიის წინათგრძნობა, ხოლო ამ სიტყვებისა და ბგერების ვირტუოზული თამაშის მიღმა ხშირად ბოროტი სარკაზმი იმალებოდა „მაძღართა" მიმართ.

ეს გარეგნულად თითქოს უზრუნველი დენდი, რედინგოტსა და ცილინდრში გამოწყობილი, ბაფთით ჩამოკიდებული მონოკლით, მოხდენილი ფაკეტით და გახამებული გულისპირით, ჯოხით ხელში, ზოგჯერ პირველ დაძახებისთანავე გაცხარებული ტარბოდა წაყინკლავებული მეზობლების დასაშოშმინებლად, ანვილაცის დასახმარებლად, ვინმეს დასახსნელად უბედურებისაგან, მუდამ მზად იყო, ჯილაცას ამოსდგომოდა გვერდში ანდა უბრალოდ საჭმელი მაინც მიეტანა. უბანში ყველა იცნობდა მას, ყველას უყვარდა, თუმცა აბარებულ ადამიანად კი მიიჩნდათ, ცოტა შერყეულადაც, ცოტა სასაცილოდაც, თითქმის ყველამ იცოდა, რომ „დენდიზმის" ამ ელეგანტურ მორთულობას ხახლში მისვლისთანავე სგეულდაგულოდ შეინახავდა ძველ ზანდუკში, სამუშაო მაგიდას კი ფრიად ნირშეცვლილი ძველი კოფთით მიუჯდებოდა, ხოლო მისი ფილანთროპიის წყაროს ძალიან ხშირად შეადგენდა ვინმე კონსიერჟი ქალისაგან კარტზე მკითხაობაში ალებული ჯონორარი. პიკასოს აქვს ერთი პორტრეტი — ეკობი იატაკზე ზის თავის წიგნებს შორის.

მაქს ეკობიც აქვე, ბატო-ლავუარის ზანელობლად ცხოვრობდა, იმავე რავინიანას ჭუჩაზე, მის პაწაწინა ბინაში, რომელიც სანახევროდ სარდაფს წარმოადგენდა, ყოველთვის ბნელოდა, დღისითაც კი ანთებული ლამპა ედგა მაგიდაზე, გაივლიდით კატების და ნარეცხის სუნით აშმორებულ პატარა ეზოს, ხიდაც ყველებზე ფერადი ცარცით ზოდიაკოს ნიშნები იყო გამოყვანილი, და, როგორც კი კარის

ზღურბლს გადააბიჯებდით, მაშინვე სუნთქვებს შორის აღმოჩნდებოდით, დერეფანშიც კი სუნთქვები ეკიდა. მათგან ბევრი იყო მეგობარი ჩრდილოეთის ნაბუქარი, ბევრი კი ხაკუთარი, რომელთაც სულაც არ ეტყობოდათ დილეტანტის ხელი. ამ ხარდაფში, სადაც ყველა „ხელოვნების ადამიანი" სასურველი სტუმარი იყო ყოველ დროსა და ყოველ საათს, სადაც ღუმელზე ყდამ დულდა გაზიზნული ყავადანი, საკმელი კი არაფერი ჰქონდათ, სხვადასხვა დროს გაიარა ფერწერის, გრაფიკის და ქანდაკების მთელმა ეგრეთ წოდებულმა „პარიზის სკოლამ" („Ecole de Paris"). მოდილიანიც, როგორც ბევრი სხვა, ხშირად შემოდიოდა აქ და დიდხანობით რჩებოდა.

პოეტურმა მისტიკამ, რაშიაც შექმნა მაქს ჟაკობის „ექსტაზები, ხილვები, ბოლვები, ლოცვები, პოემები და ოცნებები" (ასე განსაზღვრა მან ერთხელ თავისი ლირიკის ჟანრები) მიიყვანა იგი რელიგიურ მისტიკამდე. პროვინციული, ღარიბი ებრაული თერძის შვილი, როგორც იტყვიან, „ბოკემის ტიპიური წარმომადგენელი", მოულოდნელად თავგამოდებულ კათოლიკედ იქცა და მოუხშირა ეკლესიაში სიარულს, რითაც თავისი უახლოესი მეგობრებიც კი განცვიფრებაში მოიყვანა. თუმცა ამას ბელი არ შეუშლია ნაოელი ხატოვანების სახარგებლოდ ფრიად თავისუფლად შეხებოდა საღმრთო თემას, როცა ლექსს უძღვნიდა იქვე მეზობლად მდებარე საკრე-კიორის ეკლესიას:

ღმერთი იქა ზის, თავის ცეხე-ღარბაზში,
დამლამბლბით შუქი გამოკროის მისი
საკმელიდან,
ღამით შორიდან ვხედავ მის სასაბლეს,
ხასკვიტის ტორტივით მაღალს და მოხატულს.

ჟაკობის ერთ გვიანდელ ლექსთა კრებულში — „სენტრალეფური ლაბორატორია" — არის ასეთი ლექსი: „ბატონ მოდილიანის, რათა მან ირწმუნოს, რომ მე პოეტი ვარ". ამ ლექსში, რომელიც რადიკალურ ოდნავ მოგვაგონებს ანალოგიურად მაიაკოვსკის ინტონაციებს, კვლავ გამოყენებული აყავს ღმერთი, რომელმაც მდივნად პოეტი დანიშნა და გასაშიფრად მისცა თავისი წიგნი. მართლაც ყოველ ლამით პოეტი ამ ხაქმით არის გატაცებული, ირგვლივ კი დაფრინავენ თავბედი დემონები და ცდილობენ წარიტაცონ ანლა უკვე საერთო ხაიდუმლო პოეტისა და ღმერთისა, არც ეს არის მაინცდამაინც ორთოდოქსული ანლად მოქცეულისათვის.

ჩვენ არ ვიცით, რა ხიფუძველი გააჩნდა მაქს ჟაკობს დეიმტკიცებინა თავისი ძველი მეგობრისათვის, რომ იგი პოეტია. თუ ვიმსჯელებთ ორი ხახელგანთქმული პორტრეტით, რომლებიც შექმნა მოდილიანმა 1918 წელს, მხატვარმა ეს იცის და ღრმად აქვს შეგნებული. ოღონდაც ერთ პორტრეტზე იგი იმგვარი პოეტია, რომელიც დამცრალი ირონიათ ცდილობს დამალოს თავისი ჭეშმარიტი სახე და მაღალი საზოგადოების ადამიანად მოგვაჩვენოს თავი, მეორეზე კი მოულოდნელად წარმოგვიდგება ყოველგვარი ნიღაბისა და „დროის მონაბერი" მოდურობის გარეშე, ღრმა შემოქმედებითი შთაგონების წუთებში, ფიქრებში ჩაძირული ან იქნებ საშინელი წინათგრძნობით დამძიმებული. მაქს ჟაკობმა არაერთხელ უწინახწარმეტყველა თავის თავს ტრაგიკული დასასრული — „პოეტის გოლგოთა" (1944 წელს, ოკუპაციის დროს, იგი ტყვედ შეიპყრეს გერმანელმა ფაშისტებმა და გაგზავნეს დრანსში, რათა იქიდან ოსვენციმში გადაეყვანათ, მაგრამ ოსვენციმში გაგზავნა ალარ დასცალდა, იგი დრანსში გარდაიცვალა ბარაკის ჭუჭყიან იატაკზე, სადაც უკანასკნელ წუთამდე ნუგეშს აძლევდა და ამხნევებდა თავის ბედში მყოფთ).

ბატო-ლიავუარის მეხამე და შეიძლება ყველაზე უფრო ძლიერი მიზიდვის ცენტრი, რა თქმა უნდა, პაბლო პიკასო იყო. როგორც მაქს ჟაკობი, ისიც აქ „უფროსად" იყო აღიარებული, თუმცა 1906 წელს მას მხოლოდ ოცდაბუთი წელი შეუსრულდა. მაგრამ ამ დროისათვის მან, როგორც მხატვარმა, უკვე მოასწრო განვითარების ისეთი გზა გაევლო, რომელმაც თავის მხრივ შეიძლება ერთი მთლიანი შემოქმედებითი ცხოვრება დაიტიოს. ამ საოცარ გზაზე სწავლების წლები მისთვის იგივე აღმოჩენების წლებად იქცნენ. გავლენები (სეზანი, ტულუზ-ლოტრეკი) თითქოს მთლიანად მხოლოდ იმიტომ წარმოიქმნებოდა, რათა მაშინვე დაეძლია და ამით კიდევ უფრო გაემდიდრებინა საკუთარი თვითმყოფადობა. დროის თვალსაზრისით მოკლე შემოქმედებითი ეტაპები, რომლებიც წარმოიქმნებოდნენ მსოფლმხედველობის სიახლის შედეგად, ყოველთვის აღმოაჩენდა ხოლმე მასში ოსტატობის ახალ ბუნებას. პიკასოსგან სწავლა ძნელი იყო, მაგრამ არც გვერდის ავლა შეიძლებოდა. მისი გაკვეთილი, პირველ ყოვლისა, შემოქმედებითი ნებისყოფის გაკვეთილი იყო. იგი თითქოს დაეჭვებისა და საკუთარი თავით დაუკმაყოფილებლობის ბორცშესხმა იყო. მისი თავგამოდებული მტრებიც კი აღტაცებულნი იყვნენ უანგარობით რასაც იგი თავისი მიღწევებისა და დიდების მიმართ ამჟღავნებდა. მას დაუნანებლად შეეძლო უარი ეთქვა იმაზე, რასაც ის იყო მიაღწია, რაც უკვე ბევრს მოსწონდა და აღელვებდა.

როცა მოდილიანი პიკასოს შეხვდა, იგი ერთი ამგვარი მძაფრი შემობრუნების პროცესში იმყოფებოდა. მან უარყო თავისი ნაზი შუქით გაჟღენთილი „ვარდისფერი პერიოდი", მისი ფსიქოლოგიურად გამჭვირვალე სილრმეები, პლასტიკური სისავსეები და ახლა გატაცებული იყო „ავინიონელი ქალიშვილებით". ეს ერთი იმ ნაწარმოებთაგანია, რომლის შესახებაც პიკასოსათვის ისეთი უახლოესი მხატვარიც კი, როგორიც ჟორჟ ბრაკი იყო, ნებას აძლევდა თავს, ეთქვა: „პიკასო ზოგჯერ ნავთს გვასმევს და ბაბბას გვაჭმევს". ნაცვლად სულ ახლანდელი პოეტური სახეებისა, ქალურობისა და დედობისა, მის ახალ, უზარმაზარ ტილოზე გამოჩნდნენ განზრახ დამახინჯებული, დეფორმირებული, ადამიანის მსგავსი არსებანი, გამოსახულნი უხეში გრაფიკული სქემატურობით და უსიცოცხლო კოლორიტით. ეს საძაგელი თოჯინები, მოკლებულნი ყოველგვარ პერსპექტივას ან რაიმე გრძნობიერებით აღქმულ ატმოსფეროს, დემონსტრატიული არაბუნებრივობით არიან განლაგებული ტილოზე, თითქოს მიგვანიშნებენ, რომ შესაძლოა მათი დანახვა ერთდროულად სხვადასხვა თვალსაზრისით, ერთი პროფილით შებრუნებულა და ამავე დროს პირდაპირ მისჩერებია მაყურებელს ძველ ეგვიპტურ ყაიდაზე სტილიზებული თვალით; სხვანი — ზოგი ზურგით შებრუნებულა, ზოგი გვერდშექცევით, დანარჩენებიც არაფრისმოქმელ პოზაში გაშეშებულან. ეს იყო სურათი, რომელშიც აშკარად ჩანს რადიკალურად ახალი სტრუქტურის პრეტენზია და განსაკუთრებულ აღქმას მოითხოვდა. ეს გახლდათ სურათი-ექსპერიმენტი, სურათი-დეკლარაცია, აშკარად პოლემიკური და გამომწვევი, მიუხედავად არცთუ მთლად აშკარად გამოხატული პროზაული კოლორიტისა. ეს იყო მაუწყებელი ახალი მიმართულებისა თანამედროვე მხატვრობაში, რომელიც მალე კუბიზმად მონათლეს და რომლის თავგამოდებული დამცველები გახდნენ აპოლინერი და ჟაკობი.

ამაზე ცოტა ხნით ადრე კი „შემოდგომის სალონის" ერთ-ერთ დარბაზში გამოჩნდა სურათები, რომელთაც გააოცეს მაყურებელი უპირველეს ყოვლისა არაჩვეულებრივად მჭახე ფერების არნახული სიკაშკაშით. მთლიანი, წმინდა ფერი და მხოლოდ ფერი, ყოველგვარი სხვა ელფერის შეურევლად. ეს ფერი ბატონობდა ყველაფერზე თავისი დამაბრმავებელი ხიმძაფრით. ზღვა და მიწა, სახლები და ხეები. ადამიანთა ფიგურები და სახეები მხოლოდ ფერთა შეუოკებელი დღესასწაულის ხაბები გამხდარიყო. ხაგანთა ფერების აღქმის სუბიექტურობამ ინსტინქტის ძალა მოიპოვა, რასაც ვეღარაფერი აოკებდა: ცა შეიძლებოდა ზურმუხტისფერი მწვანე ყოფილიყო, მიწა — წითელი, ხისხლისფერი, სახურავი — ნარმოუდგენლად ლურჯი, ხეთა ღეროები, ქვემოთ რომ სანგურისფრად იწვოდა, ზევით მოულოდნელად გადიოდა ოქროსფერსა და ვერცხლისფერში. პორტრეტებზე ერთ რომელიმე ფეროვან ზოლს შეეძლო დაემორჩილებინა მთელი სახე და განესაზღვრა სხვა დანარჩენი წმინდა ფერის მაფორმირებელი ზონები. წინასწარ გამორიცხული იყო ყოველგვარი მინიშნება მოცულობის მოდელირებაზე, ილუზიურ შუქ-ჩრდილებზე, რაიმე ფსიქოლოგიურ გამომსახველობითობაზე. ასე დაიწყო „ფოვიზმი", რომელსაც მეთაურობდა მატისი და რომლის ირგვლივ შემოიკრიბნენ მაშინ ვლამინკი, დერენი, ფრიეზი, მარკე, ვანდონგენი. სახელწოდება „კუბიზმი" და „ფოვიზმი", ერთი და იმავე წარმოშობისაა. იგი მოიგონა კრიტიკოსმა ლუი ვოკსელმა. სიტყვა „კუბიზმით" იგი შეეცადა განესაზღვრა პიკასოსა და მისი მიმდევრების ახალი მიმართულების არსი და ამით წინა პლანზე წამოეწია მათი მიდრეკილება განსაზღვრული, გეომეტრიულად გამარტივებული სახისა და კომპოზიციისადმი.[1] „ფოვიზმი" წარმოსდგება ფრანგული სიტყვისაგან „fauve", რომელიც გამოხატავს ცხოველის, მხეცის გაშმაგებას. ეს უკვე ტერმინი კი არა, უფრო ემოციაა, ზუსტი ეპითეტი, რომელიც წამოსცდა კრიტიკოსს ამ დაუოკებლად, „ველური", ხტიჭიური სინათლისა და ფერის უჩვეულო შერწყმის ხილვისას მატისის, ვლამინკის და სხვათა ტილოებზე.

ერთი ხანია ბატო-ლავუარი კუბისტებსა და ფოვისტებს შორის ატეხილი გამძაფრებული დისკუსიების არენად იქცა. თუ ამ კამათის უშუალო მონაწილეების მოგონებებს დავეყრდნობით (მაგალითად, მორის რეინალი), კამათი შემოფარგლული იყო მხოლოდ მხატვრული ფორმის შემდგომი განვითარების პრობლემებით. კითხვა — საით წასულიყვნენ შემდეგ? — მხოლოდ ამ თვალსაზრისით ისმებოდა. მოკამათეებს არ აინტერესებდათ არც სოციალური შინაარსი, არც ფსიქოლოგიური შესაძლებლობანი და არც თვით „გამომსახველობა" გამომსახ-

---

1 სხვა ცნობებს თუ დავუჯერებთ, პირველად პატარა კუბებზე ლაპარაკი წამოიწყო ანრი მატისმა და ეს დაკავშირებული იყო ბრაკის სურათთან „სახლი ესტაკეში". როცა უტრილო მონმარტრზე, რომელიღაც დუქანში შესულა, სადაც კედლებზე ეკიდა კუბისტების პირველი ნაწარმოებები. მაშინვე გულმოდგინედ შესდგომია კუბების დათვლას, ეტყობა, რაღაც გისართობ თამაშობად მიიღო ეს.

ველობითი ხელოვნებისა. ისინი ერთნაირად უარყოფდნენ ფსიქოლოგიური რეალიზმის ყოველგვარ გავლენას ანდა მხატვრის რაიმე სოციალურად განსაზღვრულ შემოქმედებით ინტერესს. წინასწარ იყო გამოცხადებული, რომ ყოველივე ამას არავითარი კავშირი არა აქვს ხელოვნებასთან და აბუჩად იგდებდნენ, როგორც ყოფიერ, პროზაულ შემოხვევითობას, ბილწ „ანექდოტს", ასევე უარყოფდნენ აგრეთვე ყოველგვარ „რენესანსულ" პერსპექტივებს, რაც არ უნდა ილუზიური ყოფილიყო იგი, და რენესანსთან დაკავშირებულ გამომსახველობით საშუალებებს მხატვრობაში.

ორივე ჯგუფმა აიტაცა და უკიდურესობამდე მიიყვანა სეზანის ყველაზე უფრო მძაფრი, დაუჯერებლად მიბერბოლიზირებული აზრები მხატვრობაზე, ამოგლიჯეს ისინი მისი რთული, შინაგანად გადახლართული, ცოცხალი შემოქმედებითი გამოცდილებიდან. კუბისტებს ყველაზე მეტად ხიბლავდა სეზანის მოთხოვნა, ეძიათ ყოველი მოვლენის არსში უბრალო, გეომეტრიული ფორმები (კუბი, კონუსი, წრე); ისინი აკავშირებდნენ ამ პრინციპს ძველი, პრიმიტიული ხელოვნების ხერხების გამოყენებასთან. ფოვისტებისათვის ყველაზე უფრო ახლობელი იყო სეზანის აზრი ფერის სუვერენულ მეუფეობაზე: „ოცა ფერი სიმდიდრის ზღვარს აღწევს, ფორმა უკიდურეს სისავსეს ღებულობს". სეზანის მეგობრებთან ერთად მათთვის ბევრის მთქმელი იყო აგრეთვე გვიანდელი გოგენის ეგზოტიკურად გამძაფრებული ზღაპრულობა და ვან გოგის მძვინვარე ალსარება.

განსხვავებული იყო მათი დამოკიდებულებაც იმპრესიონიზმისადმი. ფოვისტები არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ შთაბეჭდილების უშუალობას, ფუნჯით ატაცებულ წუთიერ თრთოლვას, თუმცა ყოველივე ეს მათში მოცემული უნდა ყოფილიყო უფრო მტკიცედ, უფრო მონუმენტურად, მეტი კომპოზიციური გამოკვეთილობით. პიკასო იმპრესიონიზმის შესახებ გამანადგურებელი კატეგორიულობით აცხადებდა: „მათთან მხოლოდ ამინდს ხედავ, მაგრამ ფერწერას არა". უნდა თქვის, რომ მოხუცი დეგა, როცა პირველად გაეცნო კუბისტების შემოქმედებას, გულში არ დარჩა მათ: „მე მგონია, ეს ახალგაზრდები უფრო მეტს ეჭიდებიან, ვიდრე ამას მხატვრობა მოითხოვს". კუბისტებმა, როგორც ამას მორის რეინალი აღასტურებს, ამჯობინეს კომპლიმენტად მიეღოთ ეს.

ძირითადად დავობდნენ იმაზე, თუ რის შედეგად უნდა წარმოშობილიყო ეს ახალი ფორმები — მხატვრის მიერ ბუნებისა და საგნების უშუალო, სტაქიური აღქმისაგან თუ მოვლენის „შინაგანი არსის" გონივრული ანალიზისაგან. ფოვისტების მოსაზრება, რომ წმინდა ფერის „აკორდების" შემოწმებით შესაძლებელია შეიქმნას პერსპექტივის, მოცულობის და განათების ახალი პრინციპები, ეწინააღმდეგებოდა კუბისტების ფერთა ასკეტიზმს (შემდეგ ზოგიერთმა მათგანმა დაარღვია ეს პრინციპი), საგნის ტიპიური ელემენტების გეომეტრიულ სქემას, მათ სურვილს, რომ მაყურებელს აღქმის პროცესში თვითონვე გაეშიფრა ამ ელემენტების ურთიერთკავშირი და წარმოსახვის შეშფოთებით ერთ მთლიანობად ექცია.

„კუბიზმი — ეს აუცილებელი რეაქციაა, რომელმაც უნდა წარმოშვას დიდებული ქმნილებები, ზიუხედავად იმისა, გვაქვს თუ არა ამის სურვილი", — წერდა შემდეგში აპოლინერი. — „სუფთა ფერწერა — აი, რას აღწევენ თანამედროვე ახალ მიმართულებათა ახალგაზრდა მხატვრები. ეს სრულიად ახალი პლასტიკური ხელოვნებაა", — ამბობდა იგი და თვითნებურად ნათლავდა სტიქიურ კუბისტებად ზოგიერთ მათ მოწინააღმდეგეებაც კი. იგი იწონებდა კუბისტურ ძიებებს „მეოთხე განზომილების" შესაქმნელად, რომელიც „წარმოადგენს სივრცის უხაზღვროებას და გარკვეულ მომენტში მარადიულობას ანიჭებს მას ყოველ მიმართულებაში. სწორედ ეს არის თვით სივრცე, „განზომილება" უსასრულობისა. იგი განსაზღვრავს საგანთა პლასტიკურობას".

მოდილიანის მეგობრები იყვნენ პიკასოც და გრისიც, დერენიც და ვლამინკიც, კუბისტებიც და ფოვისტებიც, ისიც მათი ძიებებისა და კამათის ატმოსფეროში ცხოვრობდა, მაგრამ არ მიკედლებია არც ერთისა და არც მეორეს. თუმცა ეს ბუნებრივი უნდა ყოფილიყო ახალგაზრდა მხატვრისათვის, რომელსაც აწვალებდა საკუთარი გზის გაურკვეველობა. გარდა ამისა, ხელარიბეც სტანჯავდა. ფოვისტები და განსაკუთრებით კი კუბისტები ძალიან მალე მოდაში შემოვიდნენ. მათ სურათებს ყიდულობდნენ, აგროვებდნენ. — ერთნი გულწრფელი გატაცებისა, მეორენი კი snobიზმის გამო. მოდილიანიმ კი მარტობა ირჩია და ამას ჩვეულებრივ ამით ხსნიან, რომ მან ვერ მიაღწია თანამედროვე მიმართულებების „მოწინავეობა" სიმაღლემდე. მაგრამ ამ მიმართულებებმა ხომ მრავალი წლის მანძილზე შეინარჩუნეს გავლენა, მოდილიანი კი თავისი აუყვავების წლებშიც გულგრილი იყო მათი ესთეტიკური საფუძვლებისადმი, თუმცა იყენებდა მათ ხერხებს. ამასთან იყენებდა ყოველთვის გაბედულად, თავისი განსაკუთრებული მიზნებისათვის და გარკვეული შემოქმედებითი ჰიპოთეზებისათვის (ეს შეიძლე-

ბა იფიქრო, მაგალითად, როცა უყურებ ხიბრტყეების თვითნებურ, კუბისტურ შერწყმას, თავისებურ „დაკუთხვას" მის შემდეგდროინდელ ირონიულ თუ ნახევრად ირონიულ პორტრეტებში. შეიძლება ასევე მიიღო, ეტყობა, ფოვიზმიდან გამომდინარე, ფერების გადასხივება ერთი ფერიდან მეორეში, რაც დამახასიათებელია ზოგიერთი მისი შიშველი ნატურისათვის).

1907 წელს მოდილიანიმ პირველად გამოიტანა თავისი ნაწარმოებები გამოფენაზე პარიზში. პიერ ხიშელიმ „შემოდგომის სალონის" არქივების საშუალებით ზუსტად დაადგინა, რომ ოქტომბრის გამოფენაზე გრან-პალეს შენობაში მან გამოფინა შვიდი ნაწარმოები (ხუთი აკვარელი, „ლ. მ-ს პორტრეტი" და „თავის ეტიუდი"). „მოდილიანი ამედეო, იტალიელი, წარმოშობით ლივორნოდან, მცხოვრები — ფ. ბ. კლემანის მოედანი, 7".

1908 წელს მოდილიანიმ „დამოუკიდებელთა სალონში" გამოფინა თავისი ხუთი ფერწერული ტილო. მათ შორის იყო ზემოთ ნახსენები „ებრაელი ქალი", რომელსაც იგი, როგორც ამბობენ, ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა (იშვიათი მოვლენა საკუთარი თავის შეფასებასახ) და „ზეზე მდგომი შიშველი ნატურა" ან „პატარა ლანა" (ეს ხომ არ იყო ის ნიუ, ასე რომ მოეწონა ლიატურეტს, ავტორისაგან მომავალში ასეთ დიდ შრომას რომ მოითხოვდა?). ორივე ეს ხურათი ხულაც არ წარმოადგენს დამწყების უნიათო მცდელობას. ლიტერატურაში მათ ასახელებენ მოდილიანის ადრეული, მაგრამ უკვე მომწიფებული ოსტატობის ნიმუშებად. ასეთივე ოსტატობით იქნა შესრულებული ცოტა უფრო მოგვიანებით „ასოთამწყობი პედრო" და „ლივორნოელი მათხოვარი". საკმარისია შევხედოთ ამ ნაწარმოებებს თუნდაც რეპროდუქციებში, რომ ვიგრძნოთ რაღაც პრინციპულად საწინააღმდეგო იმისა, რასაც ძირითადად ფორმის ნოვატორები მოითხოვდნენ. ეს არის სწორედ სოციალური და ფსიქოლოგიური სინამდვილის ის „ანეკდოტი", რასაც ისინი შეუფერებლად მიიჩნევდნენ მაღალი ხელოვნებისათვის. ასეთივე „ანეკდოტებს" წარმოადგენენ მოდილიანის მაშინდელი ნახატებიც. შემთხვევითი არ არის, რომ მოდილიანის ერთ-ერთი ბიოგრაფი, რომელსაც ბედნიერება ხვდა ენახა ძნელად მისაღწევ კერძო კოლექციაში ბევრი მისი ნახატი, ამბობს, რომ ისინი გვაგრძნობინებენ „სიღარიბეხა და მწუხარებას", რომ შესრულებული არიან „სოციალური სულისკვეთებით" და ამ თვალსაზრისით ოდნავ „ლიტერატურული ელფერიც" დაპკრავთ, რომ მათში იგრძნობა „სტეინლენიხა და ლოტრეკის გავლენა".

ის, რაც მოდილიანიმ 1908 წელს „დამოუკიდებელთა სალონში" გამოიტანა, პირველ ყოვლისა დამოუკიდებელი იყო. ყველაზე უანგარო მიმდინარეობებისაგან მხატვრობა, მის ფერწერულ ტილოებსა და ნახატში (ნახატი რიტმიც მხოლოდ ერთი იყო, გამოფენილი) იგრძნობოდა ის, რაც არ შეიძლებოდა ეთქვა ყოფილიყო არც კუბიზმის გეომეტრიულ მეტაფიზიკაში და არც „წმინდა ფერის" ორგიებში მატისის ან ვლამინკის ტილოებზე.

მოდუშულ კოლორიტში, რომელიც ჯერ არ გაენათებინა რაიმე პოეტურ აღმოჩენას, ნახატში, რომელიც ჯერ კიდევ საბაბს გვაძლევდა გველაპარაკა ამა თუ იმ გავლენაზე, მთავარი იყო სახე, ამოღებული თანამედროვე ცხოვრებიდან, სახე ცოცხალი ადამიანისა, მისი ხასიათი, მისი ბედი, რომელიც უეცრად ასე ახლობელი აღმოჩნდება მხატვრისათვის და ითხოვდა მისგან თანაგრძნობასა და ამოცნობას.

გამოფენილ ხურათებს არავითარი წარმატება არ მოუყოლია. მოდილიანი მაშინ ეჩვენათ უფერული, ძველმოდური, პროვინციული, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად საინტერესო. შეიძლება იმიტომაც, რომ მეტისმეტად ნათელი და მოულოდნელი იყო გარემო საზოგადოებისათვის.

მხოლოდ ერთ მის ერთგულ მეგობარს, რომელიც არცთუ იმე დიდი ხნის წინათ გაიცნო მონპარტრზე, კვლავ უხიტყვოდ ხჭეროდა მისი და კვლავ ძველებურად იყო მისით აღტაცებული. ეს გახლდათ ახალგაზრდა ექიმი სახელად პოლ ალექსანდრი, მაშინ ლიაბუეზუერის საავადმყოფოს ინტერნი, ენთუზიასტი, უფაქიზესი სულის რომანტიკოსი, რომელიც შეიძლება უფრო მეტად იყო გატაცებული თანამედროვე მხატვრობით, ვიდრე თავისი უანგარო, კეთილშობილი მოღვაწეობით მედიცინაში. მან მაშინვე შეიყვარა მოდილიანის ტალანტი. მანვე აიძულა ჩაწერილიყო „დამოუკიდებელთა სალონში" და მონაწილეობა მიეღო მორიგ გამოფენაში. ახლა იგი გახდა მისი ხურათების ერთად-ერთი შემსყიდველი, თუმცა ნაკლებად გააჩნდა ამის საშუალება. ახე დაედო სათავე მოდილიანის ტილოებისა და ნახატების კერძო კოლექციას, რომელსაც დღემდე ბადალი არა ჰყავს, ყოველ შემთხვევაში რაოდენობითა და ადრეული პერიოდის ნაწარმოებთა მხატვრული დირებულებით, მოდილიანიმ ოთხგზის დახატა პოლ ალექსანდრის ფერწერული პორტრეტი, მრავალი ჩანახატი შექმნა. დახატა მისი ძმისა და მამის პორტრეტი. პოლ ალექსანდრის წყალობით გაიცნო აგრეთვე მოდილიანიმ ხეზანის შემოქმედება ისე, როგორც საჭირო იყო. მათ ერთად ინახულეს ხეზანის პირველი რეტროსპექტული

გამოფენა, რომელიც მალე გაიხსნა დიდი მხატვრის გარდაცვალების შემდეგ. როგორც პოლ ალექსანდრე გვიამბობს, ეს გამოფენა თავზარდამცემი აღმოჩნდა მოდილიანისათვის .

სეზანის შემდგომმა დიდმა გამოფენამ 1909 წელს კვლავ ერთიანად შეხარა მოდილიანი და, როგორც ამბობენ, სეზანის გავლენა უშუალოდ აისახა მის შემოქმედებაში. ყველაზე ხშირად და, ვფიქრობ, სამართლიანადაც, „სეზანიზმს" ხედავენ მის სურათში „ვიოლონჩელისტი". მას უპირისპირებენ კიდეც სეზანის ხურათის „წითელფილეტიანი ჭაბუკის" ერთ-ერთ ვარიანტს, რომლის რეპროდუქციასაც, როგორც ამბობენ, ყოველთვის ჯიბით ატარებდა მოდილიანი. ეს კონკრეტული მაგალითი დავას არ იწვევს, მაგრამ იქნებ გაცილებით მნიშვნელოვანი იყოს, გამოვძებნოთ რაღაც უფრო მეტად საერთო, უფრო რთული, უფრო ძნელად შესამჩნევი შინაგანი კავშირი.

იმ დროს სეზანის მაგალითი ბევრ მხატვარს რაღაც უფრო მეტს ასწავლიდა, ვიდრე ოსტატობის ხერხები იყო. აი, ერთი, ამ თვალსაზრისით დამახასიათებელი, გამოძახილი მისი პირველი გამოფენისა, მხატვრის გარდაცვალების შემდეგ რომ მოეწყო: „ვიწრო ტილოზე სეზანი ახერხებს სხვანაირად მოაწყოს სამყარო. იგი ზუსტია და ამავე დროს გაიძულებს იოცნებო. მისი ტილო, მართალია, თავისთავად არსებობს, მაგრამ მთლიანობაშია გარემო სამყაროსთან. ეს საკუთარი ჰარმონიის სისავსე ამავე დროს ნაწილია სამყაროს საერთო ჰარმონიისა... ეს ჩაწყობილი, შემჭიდროებული პეიზაჟები თავის თავში იტევენ სხვა პლანის ყოველნაირ შესაძლებლობასაც, რასაც ამოიცნობენ კიდეც მასში ადამიანები" (პოლ იუსონი, მხატვრული ჟურნალის „მონპარნასის" რედაქტორი).

უნებურად მახსენდება ჰემინგუეის სიტყვები. ოდესღაც (ისიც სრულიად ახალგაზრდა) როგორ დადიოდა ლუქსემბურგის მუზეუმში თითქმის ყოველდღე „სეზანისათვის". „სეზანის მხატვრობამ მასწავლა, — განაგრძობს ჰემინგუეი. — რომ ნამდვილი, უბრალო ფრაზები კიდევ არ არის საკმარისი, რათა მიხცე მოთხრობას ის ტევადობა და სიღრმე, რის მიღწევასაც მაშინ ვცდილობდი. მე ძალიან ბევრი რამ ვისწავლე მისგან, მაგრამ სახელდობრ რა, ამის გარკვევით ახსნა არ შემიძლია. გარდა ამისა, ეს საიდუმლოც არის" („დღესასწაული, რომელიც მუდამ თან გახლავს").

პირველი გამოფენების წარუმატებლობამ ცუდად იმოქმედა მოდილიანიზე. მას ძველებურად ხვდებოდნენ მხატვართა წრეში, მეგობართა თავყრილობებზე, რომელთა ადგილად, გარდა ბატო-ლავუარისა, ითვლებოდა მონმარტრის სახელგანთქმული დუქნები და ბისტროები: „მეგობარი ემილია", „მარია — ჩინებული დიასახლისი", „მშვენიერი გაბრიელი", „მარდი კურდღელი" („Lapin agyle"), სენ ვანსენის და დე ბოლოს ჟურნალების გზაჯვარედინზე. ყველაზე ხშირად მათი შეხვედრების ადგილი იყო „მარდი კურდღელი", ეს დაბალი, გვერდზე გადახრილი მწვანედარაბებიანი პატარა სახლი, გარშემორტყმული უხეში ნორმანდიული გალავნით. რომელმაც უკვდავება მოიპოვა უტრილოს მრავალტილოზე. დუქნის პატრონი, ძია ფრედე, ახმახი, ჭაღარა მოხუცი, თავზე განუყრელი ბეწვის ქუდით და უხეში სამოებით, განიერი შარვლითა და სვიტერით, — მონმარტრის ერთი კოლორიტული ფიგურა იყო. იგი კარგად მღეროდა და უკრავდა გიტარაზე, ხელოვნებაშიც ერკვეოდა, გაშინაურებული იყო ყველა მხატვართან და შეეძლო დროულად დაეცვა ისინი ავარებისა, სუტენიორებისა და საეჭვო პირების თავდასხმისაგან, რომლებიც ასევე ხშირი სტუმრები იყვნენ მისი დუქნისა და ხშირად ალესილი დანები ედოთ ჯიბეში. პატარა დარხაზებში თავისუფლად დადიოდა დუქნის პატრონის საყვარელი პატარა სახედარი — ლოლო და კოლიაკის ნარჩენებს სთხოვდა მაგიდასთან მსხდომთ.

მოდილიანიც ძალიან ხშირად იყო ხოლმე აქ. „შინაურად" ითვლებოდა. ყველანი იცნობდნენ, ყველას უყვარდა, უბრალოდ ეძახდნენ „მოდის". ზოგჯერ ამ, ასე ვთქვათ, დაუმსახურებელი უფლებით დახლთან მაიმარად გაცნობილებიც სარგებლობდნენ. მისი წარმატება მონმარტრელ ქალიშვილებში ყველას პირზე ეკერა.

მაგრამ მის ირგვლივ ეს ბოჰემური ყოფა თანდათან იბინდებოდა, უსიხარულოდ და მძიმე ასატანი ხდებოდა. ხშირად მოდიოდა აქ უკვე მთვრალი ქვემო მონმარტრის ხაეჭვო ადგილებიდან. ასეთ დროს იგი შარიანი და აგრესიული იყო, უყვარდა ტრაბახი. ხელმოცარულობით გაღიზიანებული ადამიანის ამ შემთხვევით აგრესიულობას არავითარი საერთო არ ჰქონდა მოდილიანის ნამდვილ გამბედაობასთან. სხვა საქმე იყო, როცა სადმე რესტორანში გაიგონებდა პარიზელი მონარქისტების ზმამაღალ, ანტისემიტურ ლაპარაკს, არ შეუშინდებოდა უთანასწორო ბრძოლას და ისეთნაირად ეკვეთებოდა, რომ მაშინვე ჩაწყვეტინებდა ზმას. მაგრამ ხულ სხვა რამ გამოსჭვიოდა მის უმიზეზო დებოშებში, რისთვისაც ახლა თითქმის ყოველთვის მზად იყო, თუმცა მეორე დღეს ძალიან სწუხდა და ნანობდა თავის საქციელს. ასე მოხდა, მაგალითად, მაშინაც, როცა მეტად

კეთილმა ექიმმა ალექსანდრიამ სხვა ახალგაზრდა მხატვრებთან და მოქანდაკეებთან ერთად მოაწყო იგი მათთვის განკუთვნილ საერთო საცხოვრებელში, დელტას ქუჩაზე მდებარე ერთ ძველ სახლში. პირველად ყველაფერი კარგად მიდიოდა, მოდილიანი დაუმეგობრდა თავის ახალ ამხანაგებს, თითო ხურათი აჩუქა კიდეც ყოველ მათგანს. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს დათვრა და მათი სურათებისა და ქანდაკებების განადგურება მოინდომა. მერე, რა იქმა უნდა, ნანობდა ამას, პატიებას ითხოვდა. აპატიეს კიდეც, მაგრამ, როგორც მას მოეჩვენა, „ბოლომდე არ აპატიეს“ და ამ საერთო საცხოვრებელში უკვე აღარ ეცხოვრებოდა.

გარეგნულად სულ უფრო და უფრო ცუდად გამოიყურებოდა, მაგრამ თანაგრძნობის გამომხატველი ყოველი სიტყვა მოთმინებას აკარგვინებდა. ამავე დროს, როგორც ჩანს, შინაგან მოთხოვნილებას გრძნობდა, გულითადი ურთიერთობა ჰქონოდა ვინმესთან. „მოდი“ მისი ჩვეულებრივი, შემოკლებული სახელი იყო, ასე შეეძლო დაეძახა ყველას. მაგრამ ყველა როდი ჰქონდა უფლება, გარდა მცირე გამონაკლისისა, ეთქვა მისთვის „მოდი“. როგორც დედა ეძახდა. ლიტერატურა გვიყვება, ერთხელ მისი თანდასწრებით, როგორ უკითხავდა მოდილიანი თავის თანამეინამძღვრეს ლეგორნოდან მიღებულ დედის წერილს. მაგრამ [illegible] ეს წაიკითხა პირველი სიტყვები: «Mio caro Dedo!» („ჩემო საყვარელო დედო“) ცრემლები მოაწვა ყელში და კითხვა ვეღარ გააგრძელა. თუმცა, მგონი, მაშინვე გადავიდა პარიზელთათვის ჩვეულებრივი ხალბრის ტონზე. ახლა ყოველნაირად ცდილობდა, ასე მოეჩვენებინა სხვებისთვის თავი.

დედას იგი აღმერთებდა. მაგრამ მარტო დედაზე წუხილი როდი იყო მიზეზი, რომ მისი ფიქრი ყოველ წუთს თავს დასტრიალებდა იტალიას. რადაც მეტად მნიშვნელოვანი, რაც მას იტალიიდან გამოჰყოლოდა, ვერ ეთვისებოდა პარიზს და ეს გამხდარიყო მისი იმყოფნდელი მოუსვენრობის მიზეზი.

იტალია

მაინც გვორგუნა ბედმა განშორება,
და ამ შორეულ, უცხო მხარეში,
შენი დაბინდული ზამბახი მესიზმრება,
როგორც გარდასული სიყრმის მონატრება...

ა. გლოკი

— მე ბანკირთა შვილი და შვილიშვილი ვარ, — არწმუნებდა მოდილიანი გიიომ აპოლინერს, როცა მან დროებით პარიზის ერთ-ერთ ბანკში დაიწყო მუშაობა კანტორის მოხელედ. შენნა პატრონებმა რომ სცადონ და პრაქტიკაში გამოიყენონ ზოგიერთი თეორია და მეთოდი, რომელიც მე ვიცი, მილიონებს გავაკეთებდით!

— ფილოსოფია ჩემი წილხვდომია. მე, შეიძლება ითქვას, სისხლში მაქვს ფილოსოფია, — ეუბნებოდა იგი ორტის დე სარატეს და სხვა თავის მეგობრებს, უმტკიცებდა, რომ ერთი მისი პირდაპირი წინაპარი დედის მხრიდან სპინოზა იყო.

ჩვენამდე ვერ მოაღწია ამ ნათქვამის ინტონაციამ. არ ვიცით, რომელი ბარბობდა: იუმორი ოჯახური ლეგენდებისადმი თუ თავის მონონების გულუბრყვილო სურვილი ასე იყო თუ იხე, მოდილიანის ბიოგრაფიაში ფაქტებით არ დასტურდება არც „ბანკირობის“ და არც „ფილოსოფოსობის“ ვერსია. შეუძლებელია „პირდაპირი“ შთამომავალი მყოლოდა ბარუხ სპინოზას, რომელმაც მთელი ცხოვრება ასკეტურად გაატარა და უშვილძროდ გადაეგო. ამას ადასტურებს მისი ცხოვრების ოფიციალური ყოველი ვერსია. არც ბანკირი ყოფილა მოდილიანთა გვარში არავინ, რასაც დამაჯერებლად გვისაბუთებს მხატვრის ქალიშვილი ბეატრიჩეს დღიურებსა და სხვა ოჯახურ საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით. თუმცა ორივე ამ ლეგენდას მაინც გააჩნია რაღაც რეალური საფუძველი, რაც ოჯახში თაობიდან თაობაში გადადიოდა. ეანა მოდილიანი დაწერილებით მოგვითხრობს ამას მამაზე დაწერილი წიგნის პირველ თავებში. საერთოდ, მოდილიანის ადრეული ბიოგრაფიისათვის ამ თავებსა და მხატვრის ძმის — ემანუელეს შედარებით უტყუარ მოგონებებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

ამედეო დაიბადა 1884 წლის 12 ივლისს,

ლივორნოში, წვრილბურჟუაზიულ ებრაულ ოჯახში, როგორც მაშინ ამბობდნენ, კომერსანტ ფელიციანიო მოდილიანისა და ევგენია გარსენის ოჯახში. მოდილიანთა გვარი რომის სამხრეთით მდებარე ამავე სახელწოდების ხოფლიდან წარმოსდგება. ამედეოს მამა ოდესღაც შეშითა და ნახშირით ვაჭრობდა, ახლა კი პატარა სამაკლერო კანტორის მფლობელი იყო და, გარდა ამისა, რაღაც კავშირი ჰქონდა, როგორც ჩანს, ძალიან არამყარი, ვერცხლის საბადოების გადამუშავებასთან სარდინიაში. უნდა ითქვას, რომ სამაკლერო კანტორა იტალიურად იმავე სიტყვით აღინიშნება, რითაც ბანკი („banco"). აქედან ითლად შეიძლებოდა წარმომდგარიყო მითი ბანკირის შვილობაზე. მაინცდამაინც არც იმის საფუძველი გაგვაჩნია, ბანკირად მოვიხსენიოთ ამედეოს პაპა მამის მხრიდან. თუმცა 1840 წელს მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მომხდარა: იგი ამარაგებდა რომის ერთ-ერთ კარდინალს სპილუნძით, რომელიც ესპანეთიდან ბოდა ვატიკანს მონეტების გამოსაშვებად. მაგრამ შემდეგ ცუდად წახვლია საქმე. ამის საფუძველზე უფიქრია, რომ შეეძლო გვერდი აევლო პაპის ბრძანებისათვის, რომელიც უკრძალავდა ებრაელებს მიწის მფლობელობას, და ვენახი უყიდია. მაგრამ მაშინვე მოსულა ბრძანება, ოცდათხი საათის განმავლობაში გაეუქმებინა ნასყიდობა. ამის შემდეგ იძულებული გამხდარა დაეტოვებინა რომი და გადასახლებულიყო ლივორნოში. ამიტომ იყო, რომ მერეც, დიდი ხნის შემდეგ, როგორც კი რაიმე გაუჭირდებოდათ ოჯახში, მაშინვე ოხვრით იტყოდნენ ხოლმე: „ეჰ, ოდესღაც კი მოდილიანები პაპების ბანკირები ყოფილან!"

ევგენია გარსენი (Garsin), ამედეოს დედა, წარმოშობით ძველი ესპანელი ებრაელი ყოფილა. ეს გვარი, რომელიც ერთ დროს ტუნისიდან მარსელში გადმოსახლებულა, ხმელთაშუაზღვისპირელი კომერსანტების ფართოდ განტოტვილ შტოს წარმოადგენდა, სადაც თაობიდან თაობაში გადადიოდა მუმანიტარული თვითგანათლების კულტი, მიდრეკილება ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი და თავისუფალი ხულისკვეთება რელიგიურ აზროვნებაში. ევგენია გარსენის მამის პაპა წმინდა წიგნების ცნობილი განმმარტებელი ყოფილა, დედის ბებია კი წარმოშობით მართლაც სპინოზა იყო და შეიძლება რაიმე ნათესაური კავშირიც ჰქონდა ხანელოვან ფილოსოფოსთან.

თუკი შეიძლება რაიმე ითქვას „საერთო ოჯახურ სახეზე", საქმოსან გონებაფხიზელ და ხავსებით ბურჟუაზიულ მოდილიანებისაგან განსხვავებით გარსენების ეჭვმიუტანელი ინტელიგენტობა, მეოცნებე რომანტიზმი და მიდრეკილება ფილოსოფიური აზროვნებისადმი უცნაურად ერწყმოდა საბირჟო აზარტს, რაც ხშირად ავანტურიზმამდეც კი დადიოდა. საერთო ამ ორ საგვარეულოს შორის მხოლოდ ის იყო, რომ ორივე ოჯახმა მშვიდობიანად დაიღწია გეტოს თავი და გამუდმებით ეწეოდნენ დაძაბულ ბრძოლას არსებობისათვის, ჰმგეთად, მცირე ხნით მდიდრდებოდნენ და მერე თანდათან უსასოოდ ღატაკდებოდნენ.

ამედეო სწორედ მაშინ მოევლინა ქვეყანას, როცა მშობლების სახლში ჩინოვნიკები გამოცხადდნენ უკვე ვალში აღწერილი ქონების წასაღებად. ევგენია გარსენისათვის ეს თავზარდამცემი მოულოდნელობა იყო. არავითარი „ბანკი" მათ არ გააჩნდათ, ყველამდე ვალებში ჩაფლული ქმრის გაკოტრება კი სტოიკურ უბედურებად დაატყდა თავს. მართლაც რომ თავს დაატყდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობითაც: რადგანაც თანახმად იტალიის კანონებისა, მელოგინის ქონება ხელშეუხებელი იყო. ყველაფერი, თუკი რამ ფასეულობა გააჩნდათ ოჯახში, ჩინოვნიკების მოხვლამდე მის საწოლზე დაყარეს. გათამაშდა ორმოცდაათიან-სამოციანი წლების იტალიური კინოკომედიის ხცენა. თუმცა სახაცილო არაფერი იყო იმ ამბავში, სწორედ ამედეოს დაბადების წინ უბედურებად რომ დაატყდა მოდილიანების ოჯახს. დედამ ახალშობილისათვის ეს ცუდის მომახწავებლად ინიშნა.

მამის მიმართ ამედეო ყოველთვის გულგრილი იყო, ზოგჯერ მტრულადაც კი იყო მისადმი განწყობილი, დედა კი გატაცებით უყვარდა და დედასაც დიდი გავლენა ჰქონდა მასზე. საკმარისია დავხედოთ მისი მშობლების ფოტოსურათებს, რომ შვილის ეს განსხვავებული დამოკიდებულება მშობლებისადმი როგორღაც გასაგები გახდეს. მამის სურათებიდან ორდინალური ხიცივე იგრძნობა. დედის პორტრეტები კი გვაცებენ რაღაცნაირი შეკავებული შინაგანი ხიძლიერით და კეთილშობილებით. ეს იხატება მის გარეგნობაშიც — გვერდზე გადახრილ ლამაზ ჭალარა თავი, ნაღვლიანი, თითქმის ბებრული ღიმილი, ელეგანტური, წელში გამოყვანილი შავი კოსტუმი და ხამგლოვიარო ფუალით მორთული შლაპა (ალბათ, თავის ხაყვარელ დედოს გლოვობდა).

ეს შთაბეჭდილება არ გვატყუებს. ევგენია გარსენი-მოდილიანი მართლაც შესანიშნავი ქალი და იშვიათი დედა იყო.

თხუთმეტი წლისა დაინიშნა იგი მამაკაცზე, რომელიც არათუ უყვარდა, უბრალოდ არც იცნობდა. ორი წლის შემდეგ კი თავისი ჩვეული ატმოსფეროდან, რომელიც ხრული თავისუფლებითა და გულგაშლილობით გამოირჩეოდა ყვე-

ლაფერში — დაწყებული რელიგიიდან, დამთავრებული ყოველდღიური ცხოვრებით, ხაზოგადოებიდან, სადაც ყველაზე მეტად ფასობდა მიჩვილი გონება და ტალანტი, აღმოჩნდა „მდიდარ", შემთხვევითი სტუმრებითა და მსახურებით ხავსე ოჯახში, სადაც ყველაფერი თავიდან ბოლოამდე შებოკილი იყო ფორმალური ეტიკეტით, შებორკილი ქმრისა და დედამთილის შეულახავი უფლებამოსილებით. მოდილიანები მას გაუნათლებელ, ამპარტავან და გულჩახვეულ ადამიანებად ეჩვენა. არც მათი რელიგიური ორთოდოქსალობა სჯეროდა, ყალბად, მოჩვენებითად მიიჩნევდა. აღშფოთებული იყო მათი ხიძუნწით და ამჯობინებდა საერთოდ არაფერი დაეხარჯა საკუთარი თავისათვის, ვიდრე დამცირებულიყო ფულის თხოვნით და შემდეგ აუცილებელი ანგარიშის ჩაბარებით. იგი მოთმინებით ემორჩილებოდა მეხთვის უცხო ოჯახურ გარემოს, მომქანცველ სადილ-ვახშმებს, მოსაწყენ ვიზიტებს, ტრაფარეტულ საუბრებს. ემორჩილებოდა ალბათ შვილების გულისათვის, რომლებიც ოთხნი იყვნენ: უფროსი — ემანუელი 1878 წელს დაიბადა, მას მოჰყვნენ: მარგერიტა, უმბერტო და ამედეო. ახლაც, ოჯახის სრული გალატაკების ღამს, მათი გულისთვის აღუდგა წინ ყოველივეს, მოულოდნელად არაჩვეულებრივი ნებისყოფის სიმტკიცე გამოამჟღავნა და ყველაფერი თვითონ ითავა. ფლამინიო მოდილიანის შემოსავლის იმედი მაინცდამაინც არ უნდა ჰქონოდა, მით უმეტეს, რომ იგი ხშირად წასული იყო ოჯახიდან. ახლავე უნდა შეხდგომოდა შრომას, რაც თავისთავად უკვე გაბედული ნაბიჯი იყო მისი მდგომარეობის ქალისათვის, და საკუთარი შრომით ერჩინა ოჯახი.

ამაში დაეხმარა ევროპული ლიტერატურისა და რამდენიმე უცხო ენის დიდებული ცოდნა. მისი მშობლიური ენა ფრანგული იყო. ევგენია გარხენმა წარმატებით თარგმნა დ' ანუნციოს და სხვა მწერლების ნაწარმოებები. ამასთან ერთად უცხო ენებსაც ასწავლიდა ბავშვებს. ამ საქმიანობაში შემდეგ თანდათანობით ჩაება თავისი დებიც — ლორა და გაბრიელა, რომლებიც მასთან ცხოვრობდნენ, და ბოლოს თავისი ქალიშვილიც — მარგერიტა. მალე თავის ხახლში ჩამოაყალიბა ინგლისური და ფრანგული ენების ნამდვილი კერძო სასწავლებელი, რომელმაც მალე სახელი გაითქვა ქალაქში. მხატვრულ თარგმანებს მალე მოჰყვა დამოუკიდებელი ლიტერატორული შემოქმედების პირველი ცდები. მართალია, ევგენია გარხენი თავის დღიურში ამას უბრალო „გართობას" უწოდებდა, რომელიც საამოვნებას ანიჭებდა ხერხიოზული შრომის შემდეგ. მაგრამ რომელიღაც „პატარა ნოველა" უკვე მიღებული იყო დასახვეწად. რა თქმა უნდა, ფსევდონიმით. ამას მოჰყვა რანაწერი მის დღიურში: „გახედული ეზრი მოიმატა — პატარა რომანი უნდა დავწერო". ჩვენ არ ვიცით, განახორციელა თუ არა ეს განზრახვა. სამაგიეროდ ვიცით, რომ ეს დამწყები ავტორი მრავალი წლის მანძილზე ეგრეთ წოდებულ „თეორკანიან ზანგად" იქცა და მუშაობდა ვიღაც ამერიკელისათვის, რომელსაც განზრახვა ჰქონდა ლიტერატურათმცოდნეობაში ემოღვაწა. ევგენია გარხენი რეგულარულად უგზავნიდა მას ხელმოუწერელ სტატიებს ლიტერატურაზე, რისი წყალობითაც, ბოლოს და ბოლოს, ამ ამერიკელმა უნივერსიტეტის კათედრაც ჩაიგდო ხელში ამერიკის შეერთებულ შტატებში. სტატიების ფეშმარიტი ავტორი კი დიდი იუმორით ეკიდებოდა ამ ამბავს.

თავის დღიურში ორი წლის დედოს დედა ასე ახასიათებს: „ცოტა განებივრებულია, ცოტა ჭირვეული, მაგრამ მშვენიერია, როგორც ანგელოსი". თუმცა ამ ხანებში გადადებული ფოტოსურათიდან ვერ გაიგებ, ეს მართლაც ანგელოსია თუ თვალებანთებული, მომხიბვლელი ჭინკა, რომელიც ეს-ესაა გადმოხტება ძიძის კალთიდან და ციბრუტივით დატრიალდება. როცა წამოიზარდა, როგორც შინაურები იხსენებენ, ხშირად მოუთმენლობასა და ხიფიცხეს ამჟღავნებდა, საერთოდ კი წყნარი და გამგონე ბავშვი იყო. გამგონე იყო ალბათ უფრო იმიტომ, რომ დედა უყვარდა.

მოდილიანების „მდიდარ სახლს" ვია რომაზე ამედეო არ მოსწრებია. ბავშვობა და ყრმობა გაატარა ვია დელა ვილაზე, ჩვეულებრივ ბროვინციულ სახლში, რომელიც არაფრით გამოირჩეოდა ამ ქუჩის სხვა სახლებისაგან. შემდეგ, როცა ჭაბუკმა ამედეომ მიატოვა ლივორნო, მისი ოჯახი პიაცა მაჯენტაზე გადავიდა, უფრო მოგვიანებით კი ფლორენციაში გადასახლდა. სხვადასხვა დროს გადაღებული ფოტოსურათებიან დეტალებით, მემუარებში გაფანტული ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობებით შეგვიძლია ახლა თუ ისე ზუსტად წარმოვიდგინოთ ის გარემო, სადაც იზრდებოდა დედო — უმცროსი შვილი და ოჯახის საყვარელი. როგორც გვიამბობს ლანა მოდილიანი, რომელიც მშობლების გარდაცვალების შემდეგ ბებიასთან და მამიდასთან იზრდებოდა, ძნელი არ იყო, გონებაში აღგვედგინა იმ წლების ოჯახური ატმოსფერო. არსებითად ყველაფერი უცვლელი დარჩა.

არის ისეთი სახლები, სადაც მრავალი წლის განმავლობაში ერთი და იგივე ოჯახი ცხოვრობს და თითქმის ყველაფერი უცვლელი რჩება — ავეჯს არ ახალებენ, კედლებზე იგივე ხურათე-

ბი ჩკიდია, სუნიც კი იგივე დგას — უცვლელი და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი. ახე წარმოგვიდგება მოდილიანების სახლიც: მოწყენილი ოთახების ანფილადა. სასტუმრო, სადაც ფანჯრებსა და კარებზე მძიმე ფარდებია ჩამოკიდებული და სადაც იმდენი რბილი საყარძელი, პუფი, პატარა მაგიდა და თეჯირი დგას, რომ გვერდს ვერ აუვლი; ფართო სახადილო, კედლებზე ბენო

ერთისა და ოჯის ქონება „გაატანა ქარს". მაგრამ იგი ევგენია გარსენის უსაყვარლესი ძმა იყო და ბევრჯერ გაუწვდია დახთვის დახმარების ხელი. ეს ხიყვარული შემდეგ მის შვილებზედაც გადავიდა. ამ ძველებურ ალბომებში ბავშვების ფოტოებსაც შეხვდებით: ემანუელე — შემდეგში გამოჩენილი სოციალისტი და ანტიფაშისტი, იტალიის პარლამენტის წევრი; მარგერიტა, რომელიც სამუდამოდ დედასთან დარჩა და ეხმარებოდა საშინაო სკოლაში; უმბერტო — სტუდენტი, რომელიც პარიზსა და ლიეუში სწავლობდა — შემდეგში ინჟინერი; ბოლოს თვით ამედეო ბავშვობაში, ყრმობასა და ხიჭაბუკეში.

ამედეომ სწავლა პირველად შინ დაიწყო. კარგად შეითვისა ფრანგული ენა. სხვა თუ არაფერი, ამ პოლიგლოტების ოჯახში უცხო ენის სწავლება მაინც ყველას შეეძლო: დედას, პაპას, დეიდებს, უფროს დას. შემდეგ სკოლაში შეიყვანეს, იქიდან კი ლიცეუმში გადავიდა, სადაც უხალისოდ სწავლობდა, სწავლობდა და ცდილობდა მხოლოდ იმიტომ, რომ დედა არ გაეწყენინებინა.

1896 წელს მან სერიოზული ავადმყოფობა გადაიტანა. ამასთან დაკავშირებით დედამ თავის დღიურში ასე ჩაიწერა: „დედოს ძალიან მძიმე პლევრიტი ჰქონდა. მე ჯერაც ვერ გამოერკვეულვარ საზარელი შიშისაგან. ამ ბავშვის ხასიათი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ ჩამოყალიბებული და არ შეშიძლია მასზე გარკვეული აზრის გამოთქმა. ვნახოთ, რა გამოვა ამ პატარა ბიჭის პარკისაგან. იქნებ მხატვარი?"

უკანასკნელი ფრაზა ნიშანდობლივია. იგი შეგნებულად არ ჩაიწერებოდა დედის დღიურში. განსაკუთრებით ისეთი დედის, როგორიც ევგენია გარსენი იყო, შეუგნებლად, მაგრამ განუწყვეტლივ თვალს რომ ადევნებდა შვილის განვითარებას. ეტყობა, შენიშნა ნიჭი ან განსაკუთრებული მიდრეკილება გამომსახველობითი ხელოვნებისადმი.

ამის პირდაპირი დადასტურება ჯერჯერობით თითქმის არ არის ცნობილი. თუმცა ჩვენამდე მოაღწია თორმეტი წლის ამედეოს ორმა ნაზრომმა. ორივე ეტყობა, ნაკლებად მნიშვნელოვანია, უფრო მიბაძვაა, მაგრამ მაინც რეპროდუქციაშიც კი უურადღებას იქცევს რაღაცნაირი ფარული დრამატიზმით. ეს გახლავთ თიხის თეფშზე გამოხატული გორგონა და ეტაჟერის ორი კედლის მოხატულობა. ერთზე გამოხატულია ქალის თავი, ქვემოთ კი თავის ქალის ჩონჩხი, მეორეზე მოხუცის თავი: უზარმაზარი, მახინჯი ყურები, ჭაღარა ბაკენბარდები და გაყინული, თითქოს რაღაცით შეძრწუნებული გამოხედვა. ეს „ხიმბოლისტური" ნაწარმოები ამედეოსი და მისი პირველი გულითადი მეგობრის — უბერტო მონდოლფის ერთობლივი შემოქმედებითი შრომის ნაყოფი იყო. უბერტოს მამა — გიმნაზიის მასწავლებელი, ძალიან კეთილი გულის ადამიანი, თითქმის ყოველ საღამოს დადიოდა ევგენია გარსენის სახლში და მეგობრობდა მთელ მის ოჯახთან. ამიტომაც — ეხმარებოდა ლათინური ენის გამოცდის ჩაბარებაში. უბერტო მონდოლფი [illegible] ოსი იყო და მასთან მეგობრობას, მის ოდენ ნაკითხობას და მრავალმხრივ განვითარებას ბევრი რამ შეეძლო მიეცა ამედეოსთვის. თავის მხრივ უბერტოც, როგორც შემდეგ გაანდო ანა მოდილიანის, გულწრფელად აღტაცებული იყო თავისი მეგობრის შემოქმედებითი წარმოსახვებით აღრეული განვითარებით. იგი იმასაც იხსენებს, თუ როგორ ვერ იტანდა დედო თავის ოჯახში ოფიციალურობას, განსაკუთრებით მამის მხრივ.

თუმცა, თუ დავეყრდნობით ჩანაწერს, რომელიც თავისი ხელით შეუტანია ამედეოს დედის დღიურში, 1897 წელს მან კარგად ჩაუბარებია მეოთხედან მეხუთე კლასში გადასასვლელი გამოცდები ლივორნოს ლიცეუმში (ეს ჩანაწერი მოკლებული არ არის იუმორს, „რათა დავიცვათ სიზუსტე მოდილიანთა ოჯახური ანალებისა"), მაგრამ მაინც ვერ სწავლობდა კარგად და არც შემდეგი გამოცდები ჩაუბარებია წარჩინებით.

მომდევნო 1898 წელმა ბევრი მწუხარება მოუტანა მოდილიანების ოჯახს. 4 მაისს „საზოგადოებრივი სიმშვიდის დარღვევისათვის" დაპატიმრეს და ივლისში ნახევარი წლით პატიმრობა მიუსაჯეს უფროს შვილს — ემანუელეს, ახალგაზრდა ადვოკატს, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა იტალიელი მუშების ხელმძღვანელობაში. იგი იყო პირველი რევოლუციური თავყრილობების და დემონსტრაციების ორგანიზატორი. ამასთან მას დაეკისრა მნიშვნელოვანი ფულადი ჯარიმის გადახდა. მხოლოდ მეგობრების მცირე ნაწილი და მათ შორის, რა თქმა უნდა, პირველ რიგში მონდოლფი, დაეხმარნენ მაშინ მოდილიანების ოჯახს. მაგრამ ევგენია გარსენი სულაც არ ეძებდა დახმარებას ირგვლივ მყოფ ბურჟუაზიულ გარემოცვაში. იგი არ ფარავდა თანაგრძნობას შვილის იდეებისადმი და თვითონ გაწყვეტა ჩვეული ურთიერთობა მრავალ თავის ნაცნობთან, რამაც კიდევ უფრო გაუარესა მისი მატერიალური მდგომარეობა. შემდეგ ემანუელეს იხევ მიუსაჯეს ორი წლით პატიმრობა აჯანყებისაკენ მოწოდებისათვის, მაგრამ რვა თვის შემდეგ გაანთავისუფლეს.

შემოდგომაზე კვლავ ახალი ელდა დაატყდა ოჯახს. ამედეოს ძალიან მძიმე ფორმის ტიფი შეეყარა, რამაც შემდეგში დიდი ხნით დაასვა დადი მის ჯანმრთელობას.

ავადმყოფობის დროს ამედეო გამოუტუდა დედას, რომ მისი ერთადერთი, ყოველისმომცველი გატაცებაა მხატვრობა. ბოდვის დროს ავადმყოფი სულ სადგურს ახსენებდა, საიდანაც უნდა წასულიყო შემდეგ ფლორენციაში და ბოლოს და ბოლოს, საკუთარი თვალით ენახა შუზეუმები, რომელთა შესახებ ამდენი რამ სმენოდა.

ჯერ კიდევ ავადმყოფობამდე ამედეო შეეფიდა ლიგორნოელი მხატვრის — გულიელმო მიქელის სახელოსნოში. მიქელი იყო სახელგანთქმული ფატორის შოწაფე, ფატორისა, რომლის სახელთანაც იყო დაკავშირებული იტალიურ მხატვრობაში მიმდინარეობა «macchiaioli». ამ ჯგუფის ტოსკანელი მხატვრები ახლოს იდგნენ ფრანგ ტაშისტებთან (იტალიური „macchia" როგორც ფრანგული «tache», ნიშნავს „ლაქას") და იმპრესიონისტებს [illegible] ეყვნენ.

მიქელი პეიზაჟისტი იყო, მაგრამ პორტრეტებსაც ხატავდა. ეს პორტრეტები არაფრით ეროვნულად დირსშესანიშნავი, თუმცა ყველაფერში მხატვრის მტკიცე ხელი იგრძნობოდა. ავტოპორტრეტზე იგი ნამდვილი სანგვინიკია — ტანმაკური, ფბიარული დამილი, გვერდზე მოგდებული ფართოფარფლებიანი შლაპა, რომელიც შესანიშნავად ეხამება ჰალსტუხის ნაცვლად გაკეთებული ორტიხტული ბაფთას, მოკლე, შავ წვერს, ულვაშებსა და ჩიბუხს. ყველა მოგონება ერთხმად ადასტურებს, რომ თვით იგი არ ყოფილა დიდი მხატვარი, მაგრამ უყვარდა თავისი მოწაფეები, სრულ თავისუფლებას აძლევდა მათ და ამ გზით შემოქმედებით დამოუკიდებლობას უღვიძებდა. ამასთან ერთად აჩვენდა ნათელ, დახვეწილ ხატვას და ყოველ ქანრში ხოლიდურ ტექნიკას საფუძველს უქმნიდა. იგი აჩვენდა თავის მოწაფეებს, წინააღმდეგ შტამპისა, პატივი ეცათ ნაყოფიერი, მაღალი ოსტატობისათვის, არ აიძულებდა თავის მოწაფეებს, გადაეღოთ კატონისა და ბრუტუსის დამტვერილი თაბაშირის ნიღბები, როგორც მიღებული იყო ამ დროს პარიზის ზოგიერთ სტუდიაშიც ეს. მას სწავლებისა სხვა, თავისი მეთოდები ჰქონდა. ამედეოსთან ერთად მიქელისთან სწავლობდნენ: ოსკარ გილია, ჯინო რომიტი, ბენვენუტო ბენვენუტი, რენატო ნატალი, ორისტიდე სომატი, ლანდო ბარტოლი, ვინცეთ და კიდევ რამდენიმე დამწყები მხატვარი. ამედეოს უახლოესი მეგობარი მონდოლფის შემდეგ, რომელიც საერთო პოლიტიკურმა ინტერესებმა ახლა განსაკუთრებით დააახლოვა ემანუელე მოდილიანის, გახდა ოსკარ გილია.

მიქელის სახელოსნოში ხატვრები ზელოვნებაზე, ალბათ, შორს იდგა ულტრა თანამედროვე მიმდინარეობებისაგან, მაგრამ [illegible] ბმები პარიზიდან [illegible] ბენსა, ცეზანსა და ენინეიაზე [illegible] დენადმე [illegible] კვირველია, [illegible] რამ პრაქტიკაში [illegible] ილნე თავს. ახე ფიქრობ, მაგალითად, როცა ეუურებ რომიტის „მამის პორტრეტს", შესრულებულს 1899 წელს. [illegible] ამობურცული ძარღვები ხელებზე და „წყალფის სინამდვილით" გამოხატული ტილეტის [illegible] ეული ლილი.

წინადადით, როცა ამედეო მიქელის სახელოსნოში უნდა გამოცხადებულიყო, დედას ახე ჩაუწერია ლლიურში. „I ოგვისტოდან ეგი მეცადინეობას აწყებს ხატვაში, რისადმიც [illegible] ინია დიდ მიდრეკილებას ამჟღავნებს. უკვე მხატვრად წარმოუდგენია თავი. რაც შეეხება მე, ლიდად არ ვუქერ ფბარს, მეშინია, რაკი ამ გზას გაჰყვება. სწავლა ამ მაატოვოს. მაგრამ [illegible] გადავწყვიტე [illegible] ხურვილი. რაგორმე უნდა დავებმარო, რათა სძლიოს [illegible] და მოწყენილობა, რამაც მეტად თუ ნაკლებად ყველას დაგვრია ხელი".

სახელოსნოს ამბანაგებს ამედეო ახსოვთ ძუშაობით გატაცებული — მიქელის გაკვეთილებზეც, რომიტის სახლშიც, სადაც ყოველ კვირას იკრიბებოდნენ ზიშველი მოდელის დასახატად, ქალაქგარეთაც სადაც ეტიუდების დასახატად მიდიოდნენ. ქალაქში გასეირნებისას ამედეო მუდამ ჭიუტად ამჯობინებდა ხეებვო ხეხახვევებს, ძველი ლიგორნოს ორხის ნაპირებს. მის პრობლემულ-პროვინციულ, საქმიან უსაქმოცენტრს. ამ პერიოდის რაიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები არ შემორჩენილა. ლიგორნოს მუზეუმში დაცულია ხურათი „გზა სალვიანოსაკენ", რომელსაც მოდილიანის მიაკუთვნებენ. ცნობილია ეგრეთვე „მჯდომარე ბიჭი". ამ ხურათს პოზიორობდა მიქელის შვილი ალბერტინი (ვიღაცამ შემდეგ ამ პორტრეტს „ბეჭითი" თუ „წესიერი ბიჭი" უწოდა). ორისტიდე სომატისთან ინახება გამოუქვეყნებელი ჩანახატი „დოქტრის პორტრეტი". როცა ამის შესახებ გვიყვება ეანა მოდილიანი, მოგაგონებ ხატვები „ერთი მისი მეგობრისა ამ ეპოქიდან": „თუმცა, უნდა ითქვას, რომ იგი მხოლოდ ზიშველი ნატურის ხატვისას ამჟღავნებდა გარკვეულ თვითმყოფადობას, თავისუფლად ეწდობოდა ხაზის თავისებურ, განსაკუთრებულ გრძნობას".



ამედეო მოდილიანი. ჩელიტი დაბანდელი

76122